თამაზ ნაცროშვილი

მეშვიდეთ მეცხრამეტეზე

„ნაკადული"
თბილისი
1991

ნ3.3(2Г)
ნ328

ხელახალი გამოცემა

© „ნაკადული“, 1991

Н $\frac{70803-210}{М-603\ (08)-91}$ 125 -- 91

ISBN S—525—00423—2

წინათქმა

მაშრიყით მაღრიბამდე... არაბულად „მაშრიყი“ ჰქვია აღმოსავლეთს, „მაღრიბი“ — დასავლეთს. ორივე სიტყვა იმდენად ნაცნობი იყო შუა საუკუნეთა საქართველოში, რომ ხალხურ ზღაპრებში ხშირად გვხვდება გამოთქმა „მაშრიყ-მაღრიბის ხელმწიფე“. მაგრამ ჟამთა მსვლელობამ განდევნა ისინი ზეპირმეტყველებიდან და მხოლოდ წერილობით ძეგლებში შემოგვინახა.

ქართველი მემატიანე, XII საუკუნის ისტორიის თხრობისას, ჩამოთვლის იმ სახელმწიფოებს, რომლებთანაც საქართველოს დიპლომატიური კონტაქტები ჰქონდა დამყარებული. ივი ასახელებს ბიზანტიას, ჯვაროსანთა სამთავროებს, ეგვიპტეს, სირიას, ბაღდადის საბალიფოს, ხვარაზმს... და ბოლოს დაასკვნის: „ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიბამდე“, ე. ი. აღმოსავლეთიდან დასავლეთამდეო.

ქართული კულტურის თვალსაჩინო გაფურჩქვნა XII — XIII საუკუნეებში შედეგი იყო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური აღორძინებისა. მტერთან მძიმე ბრძოლებში მტკიცდებოდა ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველო, თავისი ძლიერების ზენიტს რუსთველის ეპოქაში რომ მიაღწია. საგრძნობლად გაიზარდა მისი ავტორიტეტი ახლობელსა თუ შორეულ ქვეყნებში, მაშრიყით მაღრიბამდე.

მაგრამ XIII საუკუნის ოციანი წლებიდან გადაიშალა შავი ფურცლები საქართველოს ისტორიისა. მონღოლთა ხანგრძლივმა ბატონობამ, შემდეგ კი თემურ-ლენგის მრავალგზის შემოსევებმა წელში გატეხა ქვეყანა. ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო გადაიქცა

ოსმალეთისა და ირანის მეტოქეობის ობიექტად, საომარ ასპარეზად. ისინი გაუთავებლად არბევდნენ ჩვენს მიწა-წყალს და არ წყდებოდა სისხლისმღვრელი ომები. ქართველი ხალხი გმირულ წინააღმდეგობას უწევდა მძვინვარე აგრესორებს, მაგრამ ძალები უთანასწორო იყო და დღენიადაგ დგებოდა ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ქართველი მემატიანის გამოთქმამ „მაშრიყით მაღრიბამდე" სულ სხვა ელფერი შეიძინა XVII—XVIII საუკუნეებში. სად აღარ შეხვდებოდით სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს...

ქართულ საისტორიო წყაროებსა და მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში ვრცლად არის მოთხრობილი ქართველი ხალხის გაპარკვევანი და ტანჯვა-ცხებანი, ქვეყნის ჭირი და ლხინი, ისტორიის მწარე გაკვეთილები და საშვედრო-სასიცოცხლო ბრძოლებში გამოჭედილი ოპტიმიზმი.

მაგრამ ქართულ წყაროთა ცნობები ყოველთვის როდია საკმარისი რომელიმე ისტორიული მოვლენისა თუ პიროვნების სრული დახასიათებისათვის. ზოგჯერ სურათის ნაცვლად ვხედავთ მხოლოდ კონტურებს, პორტრეტის ნაცვლად — სილუეტს. ასე მაგალითად, ქართველი ისტორიკოსი ორიოდე სიტყვით აღნიშნავს შაჰ-აბასის მიერ ქართველების გადასახლებას ირანში. მათი სახელები და შემდგომი ბედი ბურუსითაა მოცული და აი, ირანში მოხვედრილი ერთი ქართველი ქალიშვილის თავგადასავალს გვიამბობს იტალიელი მოგზაური; ქართული წყაროები ერთობ ძუნწად გვაცნობენ სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურებულ უნდილაძეთა საგვარეულოს, და კვლავ უცხოურ წყაროებში ვპოულობთ ინფორმაციას მათი აღზევებისა და დაცემის შესახებ; ფრანგი და ინგლისელი ავტორები გვაცნობენ ქართველ ისტორიკოსსა და დიპლომატს, სახელად იოსებს, რომლის ნაწერები ინახება პარიზსა და გლაზგოში. და რაც მთავარია, აღმოსავლური და დასავლური წყაროები (მაშრიყით მაღრიბამდე!) დამატებით შუქსა ჰფენენ სახელოვან ქართველ მოღვაწეთა — დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ლაშა-გიორგის, შალვა ახალციხელის, ქეთევან

დეჯოფლის, თეიმურაზ I-ის, გიორგი სააკაძის, ზურაბ ერისთავის, გიორგი XI-ის, ვახტანგ VI-ის და სხვათა ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

დიახ, უცხოურ წყაროებში მოიპოვება უაღრესად საინტერესო მასალა საქართველოს ისტორიისათვის. მრავალი მათგანი თარგმნილი და გამოქვეყნებულია ქართველ მეცნიერთა მიერ, ზოგიერთი კი ნაკლებად არის დამუშავებული ანდა სავსებით უცნობია.

საქართველო, გასაგებ გარემოებათა გამო, არასოდეს ყოფილა მოწყვეტილი აღმოსავლურ სამყაროს და ამიტომ „ქართლის ცხოვრებას" ხშირად აუსახავს იქაური ამბებიც. ქართველი ყამთააღმწერელი, სხვათა შორის, მოიხსენიებს მთელ იმდროინდელ მსოფლიოში საბელგანთქმულ მულიდებს. სწორედ მათ მიუძღვით გარკვეული წვლილი წინამდებარე წიგნის დაბადებაში. ერთი მხრივ, „ქართლის ცხოვრების" ლაკონიურმა ცნობამ და მეორე მხრივ — არაბულ-სპარსულ წყაროებსა და ჯვაროსნულ ქრონიკებში დამოწმებულმა ზღვა მასალამ მიბიძგა გამეცნო მკითხველისათვის მულიდთა ანუ ასასინთა ვინაობა, მათი ცხოვრების რეალისტური თუ ფანტასტიკური ეპიზოდები, ყველაზე შთამბეჭდავი და კოლორიტული დეტალები. ქართველი მკითხველი მით უფრო უნდა დაინტერესდეს მულიდთა თავგადასავლით, რომ რვა საუკუნის წინათ ისინი ქალაქ თბილისშიც ბინადრობდნენ, ხოლო რუსთველოლოგიაში გამოთქმული ერთი მოსაზრების თანახმად, „ვეფხისტყაოსნის" ფურცლებზეც უპოვიათ ადგილი — ზღაპრულ ქაჯთა სახით.

წინამდებარე წიგნში მკითხველი შეხვდება აგრეთვე სხვა ხალხთა ისტორიაში საკმაოდ ცნობილ ღიგურებს, როგორიც არიან ბიზანტიის კეისარი ანდრონიკე და იერუსალიმის მეფე ბალდუინი; ასასინთა მრისხანე ორდენის მეთაური ჰასან იბნ საბაჰი და უკანასკნელი ხვარაზმშაჰი ჯალალედინი; სეფიანთა ირანის პირსისხლიანი ხელმწიფე შაჰ-აბასი და ისპაანის დამპყრობელი მირ-მაჰმუდი, წინამძღოლი ავღანთა ტომისა; იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე და გამოჩენილი სომეხი მოღვაწე ისრაელ ორი...

წიგნი, ძირითადად, ეყრდნობა იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ და სპარსულ წყაროებს. გამოყენებულია ქართველ და უცხოელ მკვლევართა სპეციალური ნაშრომებიც.

რა თქმა უნდა, ჩვენი წიგნის მიზანს სრულიადაც არ შეადგენს მთელი ჩვენი წარსულის გადმოცემა. ერთი კი არა, ათასი წიგნიც ვერ დაიტევს ყველაფერს, რაც თქმულა და დაწერილა საქართველოზე, რაც გადახდენია მას თავისი მდიდარი ისტორიის გრძელ გზაზე. წიგნის ფრაგმენტული შინაარსი განპირობებულია უცხოურ წყაროებში ქართული ისტორიოგრაფიისათვის ნაკლებად ცნობილი თუ დღემდე უცნობი მასალების არსებობით.

წიგნის მთავარი გმირია ქართველი ხალხი და მისი შვილები, თავიანთი გმირული საქმეებით, შრომითა და გარჯით. ამათ მოიხვეჭეს უკვდავება და ისტორია ხომ ცოცხალთა წიგნია, რომელიც თითეოსდა მკვდრეთით აღადგენს გარდასულ ჟამთა ადამიანებს, რათა გააცნოს ისინი შთამომავლობას.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „უკეთესნი და უდიდესნი ნომერნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულისნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შენო�edობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მოქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ეობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი — საკუთარის ვინაობის დავიწყებაა“...

მე ვარ მულიდი

დილაადრიან აფორიაქდა მონღოლთა ბანაკი. ყველანი ჩაღატა-ნოინის კარვისაკენ გარბოდნენ. ატყდა მოთქმა-ტირილი. ღამით ვიღაც უჩინარი აჩრდილივით გაპარვოდა კარვის მცველებს, უხმაუროდ შესულიყო მძინარე ჩაღატა-ნოინთან და დანის ერთი დაკვრით გაეთავებინა. არავის არაფერი გაუგია, არც მკვლელის გამოჩენა და არც მიმალვა. დილით იხილეს მკვდარი სარდალი და „არა უწყოდეს ვისგან მოკლულ იყო".

ეს მოხდა ალამუთზე ლაშქრობის დროს, როდესაც მონღოლთა ჯარში იძულებით წაყვანილი ქართველები ერიენენ. ქართველებს მობეზრებული ჰქონდათ ალამუთის ხანგრძლივი ომი და თვით მონღოლებიც არ ეპიტნავებოდათ.

ბუნებრივია, რომ მონღოლებმა თვალი ქართველებს დაადგეს. სხვა ვინ მოკლავდა ჩაღატას, თუ არა ისინი — მონღოლთაგან „დიდსა ჭირსა შინა" ჩავარდნილი ქართველები? ამაში არავის ეპარებოდა ეჭვი; გარდა ჩარმაღან-ნოინისა, რომელიც უმტკიცებდა თვისტომთ: „დასწყნარდით, კაცნო, რამეთუ არა არს ნათესავი ქართველთა კაცის მკვლელი". მაგრამ მისი ფხიზელი განსჯა ვეღარ აღწევდა პატრონის დაკარგვით გამძვინვარებულ მონღოლთა სმენას. ისინი ველური შურისძიების წყურვილით უკვე მიემართებოდნენ ქართველთა ბანაკისაკენ.

ქართველები ცოტანი იყვნენ და აღარ იცოდნენ, რომელი გზა აერჩიათ. ერთნი საბრძოლველად ემზადებოდნენ, მეორენი აკავებდნენ და აშოშმინებდნენ. მაშინ გრიგოლ სურამელმა, ქართლის ერისთავმა, გადაჭრით ბრძანა: „არა არს ჟამი ბრძოლისა, რამეთუ მცირე ვართ". მისი აზრით, ბრძოლას ყველა შეეწირებოდა უკლებლივ, უბრძოლველობას კი მხოლოდ წარჩინებულთა სიკვდილით

დასჯა მოჰყვებოდა. გაბოროტებული მონღოლები, ალბათ, რამდენიმე თავკაცს აკმარებდნენ მსხვერპლად ჩაღატა-ნოინს.

ქართველებს ლოცვის გარდა აღარაფერი დარჩენოდათ. უკანე მოახლოებული იყვნენ სისხლმოწყურებული მონღოლები, როდესაც მოხდა სასწაული (ქართველი ჟამთააღმწერელი ამ სასწაულის მოვლინებას ღვთისმშობელს მიაწერს).

უცებ ლერწმოვანიდან უცნობი კაცი გამოვიდა, წითლად შეღებილი ლახვარი ფაღლა აღმართა და ხმამაღლა იყვირა სპარსულად: „მან ქუშტემ ჩაღატა“ (მე მოვკალ ჩაღატა). მონღოლები ეძგერნენ უცნობს და ნოინების წინაშე მიიყვანეს. ნოინებმა ჰკითხეს მას, ვითარ მოკლა ჩაღატა-ნოინი.

უცნობმა ამაყად უპასუხა: „მე ვარ მულიდი, ფულიდთა შორის საჩინო...“

ამ სიტყვებმა მყისვე ახადა საიდუმლოების ფარდა ღამით მომხდარ მკვლელობას. ყველაფერი ნათელი გახდა.

ჟამთააღმწერელსაც, რომელიც .დაწვრილებით მოკვითხრობს ამ ჟრუანტელის მომგვრელ ეპიზოდს, მშვენივრად მოეხსენება მათი ასავალ-დასავალი („კაცის მკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდაჲ უწოდიან“).

„მულიდი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს ერეტიკოსს ანუ მწვალებელს, სარწმუნოებისაგან განდგომილს. ასე მოიხსენიებენ ამ „კაცისმკვლელთ“ აღმოსავლური წყაროები. ევროპულ ლიტერატურაში ისინი ცნობილი არიან ასასინების სახელით. ფიქრობენ, რომ „ასასინი“ დამახინჯებული ფორმაა არაბული სიტყვისა „ჰაშაშინ“ (ე. ი. ჰაშიშის მწევლები).

სიტყვა „ასასინი“ მკვლელის მნიშვნელობით დამკვიდრდა რამდენიმე ევროპულ ენაში (ინგლისური, ფრანგული, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური), ხოლო ამ სიტყვიდან ნაწარმოები ზმნა ზოგიერთ მათგანში მუხანათურ მკვლელობას, ტერორისტული აქტის ჩადენას აღნიშნავს.

ვინ არიან ეს მულიდები ანუ ასასინები, რომლებმაც ესოდენ შავი სახელი მოიხვეჭეს, რომ დღესაც კი დასავლეთში რომელიმე პოლიტიკური მოღვაწის მკვლელობა ძალაუნებურად მოგვაგონებს ხოლმე საუკუნეთა სიღრმეში ჩამარხულ ისტორიას. რა მანქანებით დაიმსახურეს ასასინებმა ასეთი უჭკნობი „დიდება“?

ასისინთა ორდენი დაარსდა ისმაილიტთა მიერ XI საუკუნის დამ-

ლეგს ირანში. ისმაილიტების სექტა ჯერ კიდევ VIII საუკუნეში იყო შექმნილი და მრავალი აქტიური მომხრე ჰყავდა მაჰმადიანურ სამყაროში. ისმაილიზმი გახდა ასასინთა ორდენის იდეოლოგია. ორღუნს სათავეში ჩაუდგნენ ირანელი ფეოდალები, რომლებმაც ირანში თურქ-სელჩუკთა გაბატონების შედეგად დაკარგეს თავიანთი მიწები და ახლა გამქრალი ძალაუფლების აღდგენაზე ოცნებობდნენ. ასასინთა ამბოხებაში მონაწილეობდნენ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დაბალი ფენებიც: ხელოსნები, გლეხები.

ასასინთა ორდენის ფუძემდებელი იყო ჰასან იბნ საბაჰი. ევროპელი მეცნიერნი აღნიშნავდნენ: ჰასან იბნ საბაჰმა გააცოცხლა ფანატიზმი და მას წმინდა პოლიტიკური მიმართულება მისცაო. იგი სიჭაბუკეშივე ეზიარა ისმაილიტურ რჯულს ირანელ ხელოსანთა წრეში, თუმცა თავად წარჩინებული წარმოშობისა იყო. შემდგომში გაემგზავრა ეგვიპტის ფატიმიანთა სახალიფოში, რომელიც წარმოადგენდა ისმაილიტური პროპაგანდის ცენტრს. ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ ჰასან იბნ საბაჰმა ირანის მრავალი ოლქი შემოიარა, ეწეოდა პროპაგანდას და ეძებდა შესაფერის ადგილს მმართველობის ცენტრის დასაარსებლად. მისი მომხრეებიც აწარმოებდნენ დაზვერვას ყოველი მიმართულებით.

საბოლოოდ არჩევანი შეაჩერეს ალამუთზე. ალამუთის ციხე მდებარეობდა ელბურსის მთების ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალის (3 689 მეტრი ზღვის დონიდან) მახლობლად, მაღალ კლდეზე. ალამუთი („ალუჰ ამუთ") ნიშნავს არწივის ბუდეს. მიუვალი და აუღებელი კლდეებით გარშემორტყმული ალამუთი მართლაც ზედგამოჭრილი ადგილი იყო ასასინთათვის. ჰასან იბნ საბაჰის აგენტებმა ისმაილიტურ რჯულზე მოაქციეს ციხის გარნიზონი. რასაკვირველია, ციხისთავს აღარ ძალუძდა წინააღმდეგობის გაწევა. მან ქედი მოიხარა ასასინთა წინაშე და კომპენსაციად მიიღო სამი ათასი ოქროს დინარი.

ეს მოხდა 1090 წელს. აქედან იწყება ასასინთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა. ამის შემდეგ მათ ხელთ იგდეს კიდევ რამდენიმე ციხე ჩრდილო-დასავლეთ ირანის მთიან რაიონებში და თავის საყრდენ პუნქტებად გადააქციეს. ზოგი დაიპყრეს ძალით, ზოგი — ცბიერებით, ზოგიც თვითონ ააშენეს. მალე ორმოცდაათამდე ციხე ეკუთვნოდათ მთელს ირანში. მათი პოზიციები განსა-

კუთრებით ძლიერი იყო მთიან დეილემსა და ყოჰესთანში. XII საუკუნის დამდეგს ასასინებმა დაიბუდეს სირიის მთებშიც.

ისპაანისა და გირდკუქის მიდამოებში ისინი საბაყო გადასახადს კრეფდნენ ვაჭართაგან. ყოჰესთანში ერთხანს რამდენიმე ქალაქსაც კი დაეპატრონენ. ალამუთის ირგვლივ მდებარე მინდვრებში გაჰყავდათ სარწყავი არხები, იმარაგებდნენ სურსათს.

ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე ჰასან იბნ საბაჰს აღარ მიუტოვებია ალამუთი. მაგრამ მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა ხორასნიდან დამასკომდე და მისი სახელი შიშის ზარს სცემდა მთელ მაჰმადიანურ სამყაროს. იჯდა ოთახში, წიგნებს კითხულობდა, წერდა, ლოცულობდა, მარხულობდა, გეგმავდა საბრძოლო ოპერაციებს და ოთხ კედელში გამოკეტილი ხელმძღვანელობდა ამბოხებას თურქ-სელჩუკთა იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე. მისი ასკეტური ცხოვრება სამაგალითო იყო ორდენის წევრთათვის. ჰასან იბნ საბაჰის შიშით ალამუთში ვერავინ ვერ სვამდა ღვინოს. ციხიდან გააძევეს სალამურზე დამკვრელი, რადგან ასასინთა ორდენის მბრძანებელი გარყვნილებად თვლიდა მუსიკას.

ჰასან იბნ საბაჰის სისასტიკეს საზღვარი არ ჰქონდა. მან წუთისოფელს გამოასალმა თავისი ორი ვაჟი. პირველს ბრალად დასდეს ჰასან იბნ საბაჰის თანაშემწის მკვლელობა (შემდეგ გამოირკვა ბრალდების სიყალბე და ცილისმწამებელიც ვერ ასცდა სასჯელს), ხოლო მეორე ვაჟის ერთადერთი დანაშაული იყო... აკრძალული ღვინის სმა.

ცნობილი ავსტრიელი მეცნიერი ი. ჰამერი ამბობს: ადამიანის ბუნება არ არის ისეთი ულმობელი, რომ ისტორიკოსმა რამდენიმე საეკვო მოტივიდან მაინცდამაინც ყველაზე უარესი აარჩიოს, მაგრამ ასასინთა ორდენის ფუძემდებელთან დაკავშირებით ყველაფერი სიმართლეს წააგავსო. ჰამერი ვარაუდობს, რომ ჰასან იბნ საბაჰმა თავისი ვაჟები სიკვდილით დასაჯა არა იმდენად სიმკაცრის გამო, რამდენადაც იმ მიზნით, რომ საზოგადოებაში დაენერგა გულგრილობა ყოველგვარი ბუნებრივი, ადამიანური გრძნობების მიმართ.

ინგლისელი ორიენტალისტის ე. ბრაუნის აზრით, ჰასან იბნ საბაჰს თითქოს იმის დამტკიცებაც სურდა, რომ იგი იღვწოდა არა თავისი გვაროვნული ინტერესებისათვის, არამედ საერთო საქმისათ-

ვის. მან თავის მემკვიდრედ დაასახელა ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი.

ასასინთა ბრძოლის ძირითადი მეთოდი იყო ტერორისტული აქტები, რომელთა შესრულება ევალებოდათ ფიდაებს. არაბულ ენაზე „ფიდაი" ეწოდება იმ კაცს, ვინც თავს სწირავს. ფიდაებად არჩევდნენ გამბედავ და მოხერხებულ ახალგაზრდებს. მათი თავგანწირვა და ბრძა მორჩილება მბრძანებლის წინაშე, ერთი შეხედვით, კაცს ლეგენდა ეგონება.

ვენეციელი ისტორიკოსი მარინო სანუტო მოგვითხრობს: „1194 წელს, დაზავების ჟამს, ანრი, შამპანის გრაფი და ნომინალური მეფე იერუსალიმისა, სტუმრად ეწვია სირიის ასასინთა მბრძანებელს. ერთხელ სეირნობისას მაღალი კოშკის თავზე დაინახეს თეთრებში ჩაცმული რამდენიმე ჭაბუკი. ასასინთა მბრძანებელი მიუბრუნდა ჯვაროსან გრაფს და ჰკითხა, ჰყავს თუ არა მასაც ასეთივე მორჩილი ქვეშევრდომები. პასუხისათვის არც კი დაუცდია, რაღაც ანიშნა ორს ამ ჭაბუკთაგან. ისინი მაშინვე გადმოეშვნენ კოშკიდან და, რა თქმა უნდა, მიწამდე სული არ ჩაჰყოლიათ."

ფიდაები არ იყვნენ განსწავლული თავისი რელიგიის საიდუმლოებებში, მაგრამ საგულდაგულოდ იწვრთნებოდნენ არა მარტო იარაღის ხმარებაში, დაღლილობის ატანასა და შენიღბვის ხელოვნებაში, არამედ ზოგჯერ — ევროპულ ენებშიც კი. მარკიზ კონრად მონფერატის მოსაკლავად გაგზავნილებმა საკმაოდ იცოდნენ ფრანკთა ენა და ზნე-ჩვეულებანი, რათა ყველას მიეჩნია ისინი ქრისტიან ბერებად იმ ექვსი თვის მანძილზე, რომელიც მათ გაატარეს გადაცმულებმა ჯვაროსანთა ბანაკში, ელოდნენ რა ხელსაყრელ შეშთხვევას.

ფიდაების სიცოცხლე ყოველთვის ბეწვზე ეკიდა და იშვიათად ეწერათ გადარჩენა, რადგანაც მათ უყვარდათ თავისი დავალების შესრულება საჯაროდ, დრამატულ სტილში, როდესაც თავს ესხმოდნენ მაჰმადიან ამირას მეჩეთში პარასკეობით და ქრისტიან ჰერცოგს — ეკლესიაში კვირაობით, სალოცავად შეყრილი აუარება ხალხის თვალწინ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თავდასხმის ობიექტი მეტწილად შეიარაღებული იყო და საკმაო ამალაც ახლდა თან. ფიდაი, თუ მოასწრებდა, მაშინვე თავს იკლავდა და საპატიო სიკვდილს ეგებებოდა დარწმუნებული იმაში, რომ მას იმავე წუთიდან ელოდა სამოთხე. ფიდაებს კვალდაკვალ მიჰყვებოდ-

ნენ მზვერავები, რათა მოეხსენებინათ ორდენის მბრძანებლისათვის მათი წარმატება თუ წარუმატებლობა.

არსებობს გადმოცემა, რომ ერთი ფიდაის დედამ, როდესაც გაიგო დავალებაზე წასულთა დაღუპვა, ჩათვალა, რომ მისი შვილიც აღარ იქნებოდა ცოცხალი და სასეიმოდ მოირთო და მოიკაზმა, მაგრამ სწორედ იგი გადარჩენოდა სიკვდილს ალალბედზე და ცოცხალი დაბრუნდა. ამის დანახვაზე დედამ, გლოვის ნიშნად, მაშინვე ძაძები ჩაიცვა.

ტყვედ ჩავარდნილი ფიდაები, რომელთაც სასტიკი წამებით ხოცავდნენ, კიდევ ახერხებდნენ იმას, რომ მტრისათვის სამაგიერო მიეზღოთ. ერთმა მათგანმა, სელჩუკთა სულტნის სანჯარის წინაშე დაკითხვის დროს ასასინთა ორდენის წევრებად გამოაცხადა რამდენიმე გამოჩენილი ამირა და სასახლის მოხელე, რომლებმაც, ალბათ, უდანაშაულოდ გაიზიარეს მისი ხვედრი. ასეთი ბრალდება, რაგინდ დიდი თანამდებობის არ უნდა ყოფილიყო ეჭვმიტანილი, საფრთხეში აგდებდა მის სიცოცხლეს. ასე დაიღუპნენ სამარყანდის გამგებელი და ქირმანის სელჩუკთა უფლისწული.

თვით სულტან ბარქიაროკზეც მიიტანეს ეჭვი. იქნებ იმიტომაც, რომ მის მტრებს ხშირად უღებდა ბოლოს ასასინთა ტერორი. ბარქიაროკმა საკუთარი ხელით განგმირა ცილისმწამებელი, ხოლო თავის ქვეშევრდომთა გონებაში ასეთი ეჭვების გასაფანტავად სასტიკი რეპრესიები დაატეხა ასასინებს, რომლებიც საპასუხოდ თავს დაესხნენ სულტანს და მძიმედ დაჭრეს იგი.

სპარსელი ისტორიკოსი რაშიდ ად-დინი გვაწვდის ჰასან იბნ საბაჰისა და მისი მემკვიდრეების დროს ფიდაების ხელით მოკლულ პირთა სიებს. აქ ჩამოთვლილია ბაღდადისა და კაიროს ხალიფები, თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს ვეზირები და ამირები, ირანისა და სირიის ქალაქების და პროვინციების გამგებელნი, ყადიები და მუფთიები. ყველგან აღნიშნულია თარიღი და ისიც, თუ რომელი პიროვნება რომელ ქალაქში მოკლეს. ზოგჯერ ზუსტადაა მითითებული მკვლელობის ადგილი, იქნება ეს ისპაანის თუ დამასკოს მეჩეთი, სულტნის სასახლე თუ სამხედრო ბანაკი. მოცემულია ფიდაების სახელი და სადაურობა. ხშირად ტერორისტს რამდენიმე კაცი ეხმარება და მათი მხოლოდ რაოდენობა აღინუსხება დაუსახელებლად. მაგალითად, ფატიმიანთა ხალიფას მკვლელობაში შვიდი ფიდაი მონაწილეობდა.

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასასინთა ტერორი არ ვრცელდებოდა საზოგადოების დაბალ ფენებზე (თუ არ ჩავთვლით მსხვერპლთა შორის მოხსენიებულ ორდენის ერთ-ორ მოღალატეს). ასასინთა თვალსაზრისით, მკვლელობის მეთოდი არა მარტო გმირული იყო, არამედ უფრო სამართლიანი და ჰუმანურიც, რადგან ნაკლები სისხლი იღვრებოდა, ვიდრე ომებში.

1139 წელს ვინმე იბრაჰიმ დამღანელის ხელით მოკლულია თბილისის ყადი. ირკვევა, რომ ყადის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანია მულიდებისათვის (საერთოდ, ყადიების მკვლელობის მთავარ მოტივს შურისძიება წარმოადგენდა).

ჰასან იბნ საბაჰის რაინდებს მათთვის შორეულ თბილისშიც კი ჰქონიათ მოკიდებული ფეხი. თუმცა თბილისს ვინ ჩივის, კიდევ უფრო შორეულ მარსელსა და პარიზში აწყდებოდნენ გადაცმული ფიდაების ნაკვალევს.

ისე დიდი იყო ასასინთა მიერ დათესილი შიში მაჰმადიანურ სამყაროში, რომ ისინი, ვისაც რაიმე ცოდვა მიუძღოდა მათ წინაშე, საბოსელს ქვეშ მუდმივად ატარებდნენ ჯაჭვის პერანგს.

ასასინებმა ზოგჯერ მუქარა იცოდნენ ხოლმე. ერთხელ სულტანი სანჯარი მათი ციხის ასაღებად მიეშურებოდა. ერთ მშვენიერ დილას თავის კარავში, თვალი რომ გაახილა, იქვე საწოლთან დაინახა მიწაში ჩარჭობილი ხანჯალი და წერილი, რომლითაც აფრთხილებდნენ, რომ მისთვის უკეთესია უკან გაბრუნება, ვინაიდან ეს ხანჯალი შესაძლოა მის მკერდში აღმოჩნდეს. სპარსელი ისტორიკოსი ჯუვეინი გვარწმუნებს, რომ ალამუთის ბიბლიოთეკაში თავისი თვალით ნახა სანჯარის ფირმანები ასასინთა მბრძანებლისადმი, რომელსაც იგი ეპირფერებოდა და ეზავეებოდა.

ასევე დაემუქრნენ სალადინს. მერე ორჯერ დაესხნენ თავს, თუმცა ორჯერვე უშედეგოდ. ეგვიპტის სახელგანთქმული სულტანი (იგი წარმოშობით ქურთი იყო), რომელმაც 1187 წელს ჯვაროსნებს „წარუღო“ იერუსალიმი და რამდენიმე წელიწადში სირია-პალესტინის უმეტესი ნაწილიც, ფიდაების შიშით ღამეს ათევდა მოძრავ ხის კოშკში.

შიშსა და სიძულვილს გამოხატავდა მათთვის შერქმეული სახელი „ჰაშაშინ“ იმ ნარკოტიკის მინიშნებით, რომელსაც ადამიანი უგონო სიშმაგემდე მიჰყავს. სინამდვილეში ჰაშიში ასასინთა საიდუმლო საკუთრება სრულიადაც არ ყოფილა. მავრამ მაჰმადიანურ

სამყაროში თვლიდნენ, რომ არც ერთი ჭკუათამყოფელი ასე არ გარისკავდა თავის სიცოცხლეს და, ბუნებრივია, ფიდაი ხელოვნურად უნდა შეემზადებინათ თავგანწირვისათვის. ამას კი ვითომდა ჰაშიშით აღწევდნენ. ჰაშიშით მთვრალს ეზმანებოდა მაჰმადიანური სამოთხე; ახალგაზრდა ფიდაი უკვე მზად იყო სიკვდილისათვის, ოღონდ კი ისევ სამოთხეში დაბრუნებულიყო (ჰალუცინაციები „სამოთხის“ სიზმრებით, ჰაშიშის მოწევისას, დადასტურებულია სპეციალური სამედიცინო გამოკვლევებით).

არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ჰაშიშის ყოველდღიური ხმარება გამბედაობას და ვაჟკაცობას უნერგავდა ადამიანს. პირიქით, ნარკომანია, როგორც ცნობილია, იწვევს მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ და გონებრივ დაძაბუნებას, რაც საბედისწერო იქნებოდა მისთვის, ვისაც საოცარი ტერორისტული აქტი უნდა ჩაედინა. შესაძლოა მხოლოდ ერთხელ, სამოთხის მოსაჩვენებლად ათროპდნენ ფიდაებს ჰაშიშით. მაგრამ ჯერჯერობით ესეც არაა დადგენილი (საყურადღებოა, რომ „ასასინი“ და „მულიდი“ მტრების მიერ შერქმეული სახელებია, თვითონ ისინი „ისმაილიტებად“ გვაცნობენ თავს).

ასასინები ხშირად ჯვაროსნებთან ერთად ებრძოდნენ მაჰმადიანებს, მაგრამ არც ჯვაროსნებს ელოლიავებოდნენ. ფიდაის ხანჯალი არ არჩევდა ქრისტიანსა და მაჰმადიანს. ხანდახან ასასინები დაქირავებულ ტერორისტებადაც გვეცლინებიან. მაგალითად ფიქრობენ, რომ კონრად მონფერატის მკვლელობა მოხდა სალადინის ანდა რიჩარდ ლომგულის დავალებით.

მულიდებს ძალზე ხშირად უწყობდნენ სისხლიან ანგარიშსწორებას. განსაკუთრებით საინტერესოა სპარსელი ისტორიკოსის რაველდის მიერ აღწერილი ეპიზოდი:

როდესაც XII საუკუნის დასასრულს ასასინებმა ხელთ იგდეს ციხე ისპაანის მახლობლად, სელჩუკები ფრიად შეშფოთდნენ და ალყა შემოარტყეს ციხეს. ასასინებს გაუჭირდათ, რადგან შემოელიათ სურსათი. მათმა წინამძღოლმა იბნ-ათაშმა (აღსანიშნავია, რომ იგი ვაჭარი იყო) შეატყობინა ეს ამბავი სულტნის ვეზირს, მულიდთა ფარულ მიმდევარს, და დახმარება სთხოვა. მოითმინე ორი-სამი დღე, სანამ ამ ძაღლს (ე. ი. სულტანს) მოვსპობო, შეუთვალა ვეზირმა იბნ-ათაშს. სულტანი მუჰამედი ზაფხულის სიცხეებს ვერ იტანდა და თვეში ერთხელ მაინც სისხლის გამოშვებას იყო ჩვე-

ული. მოსწყიდულ დალაქს მოწამლული დანით ხაიქიოს უნდა გაესტუმრებინა სულტანი. მაგრამ საიდუმლო გეგმა გამომჟღავნდა და შეთქმულნი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო დალაქს მისივე მოწამლული დანით გამოუშვეს სისხლი. ღონემიხდილი იბნ-ათაში ორ დღეში დანებდა სულტნის ლაშქარს. იგი აქლემზე შესვეს და ისე გაატარეს ისპაანის ქუჩებში, სადაც ათასობით მაყურებელი გამოფენილიყო სეირის სანახავად. აქლემზე ამხედრებულს ტალახის გუნდებს ესროდნენ და დამცინავი შაირებით ამკობდნენ. იბნ-ათაში ასტროლოგიაში იყო განსწავლული და ვიღაცამ სარკასტულად ჰკითხა, ნუთუ წინასწარ ვერ განჭვრიტე შენი ბედიო. მან უპასუხა: ჩემმა ჰოროსკოპმა მაცნო, რომ ისპაანის ქუჩებს ჩავივლიდი იმაზე დიდი ზარ-ზეიმით, ვიდრე მეფეს ეკადრება, მაგრამ ეს აღარ შემიტყვია, რომ ზეიმი ამგვარი იქნებოდაო. იბნ-ათაშს. ცოცხლად გააძვრეს ტყავი, არ გასულა დიდი ხანი და მსაჯულები, რომლებმაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს იბნ-ათაშსა და მის თანამებრძოლებს, ამოწყვეტილ იქნენ ფიდაების მიერ, მათ შორის —ისპაანის ყადიც.

ასასინებმა ძირი გამოუთხარეს თურქ-სელჩუკთა ძლიერებას. გამართლდა სახელგანთქმული ვეზირის ნიზამ ალ-მულქის წინასწარმეტყველება. თავის პოლიტიკურ ტრაქტატში „სიასეთ-ნამე“ იგი აფრთხილებდა ხელმწიფეს, რომ მულიდებზე საშიში მტერი სელჩუკებს არა ჰყავთ და საიდუმლო თავშესაფრებიდან მათი გამოსვლა მოიტანს ნგრევასა და უბედურებას. ნიზამ ალ-მულქი ლამობდა, ჩანასახშივე მოესპო ეს მოძრაობა. მან ისიც იცოდა, რომ სწორედ ჰასან იბნ საბაჰი იყო მულიდთა მოთავე და სასტიკად სდევნიდა მას.

არსებობს ლეგენდა, რომ ნიზამ ალ-მულქი, ჰასან იბნ საბაჰი და ომარ ხაიამი ერთად სწავლობდნენ სიყმაწვილეში. ერთმანეთს შეპფიცეს, თუ რომელიმე მათგანი აღზევდებოდა, დანარჩენი ორისათვის მფარველობა გაეწია. ომარ ხაიამმა პოლიტიკურ სარბიელს პოეზია და მეცნიერება არჩია. ჰასან იბნ საბაჰი და ნიზამ ალ-მულქი სელჩუკთა სამეფო კარზე დაწინაურდნენ. შემდეგ ჰასან იბნ საბაჰმა ინტრიგებს მიჰყო ხელი ნიზამ ალ-მულქის წინააღმდეგ, მაგრამ ამ უკანასკნელმა აჯობა და ასასინთა ორდენის მომავალი მბრძანებელი სასახლიდან განდევნეს. თითქოსდა ამის გამო იძია შური ჰასან იბნ საბაჰმა. მართლაც, ფიდაების პირველი მსხვერპლი ნი-

ზამ ალ-მულქი იყო. მაგრამ სამი მეგობრის ამბავი მაინც ლეგენდად არის მიჩნეული, ვინაიდან ისინი თანატოლები არ ყოფილან.

საუკუნე-ნახევარზე მეტხანს ეპირათ ასასინებს ალამუთი და მბრძანებლის სიტყვის წარმოთქმისთანავე მზად იყო თავგანწირული ფიდაი და ხანჯალი.

1256 წელს მონღოლებმა აიღეს ალამუთი, გაძარცვეს და დაანგრიეს. გამარჯვებული ჰულაგუ-ყაენი ავიდა ციხის დასათვალიერებლად და ამ დიდებული სანახაობის მხილველმა, რაშიდ ადდინის სიტყვით, „განცვიფრების თითზე იკბინა“.

მონღოლებმა დედაწულიანად ამოწყვიტეს ასასინები ისე, რომ მათი კვალიც არ დარჩენილა. ისმაილიტთა სექტა, როგორც ვთქვით, მანამდეც არსებობდა და დღესაც ბოლინობს აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგრამ ასასინთა ორდენი ალამუთის დაცემისთანავე სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას.



მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა

გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, ენციკლოპედიური თხზულების „კალმასობის“ ავტორი, იოანე ბატონიშვილი თავის ნაშრომში „ისტორია ქართლისა“ წერს: „იყო ბალდვოინ იერუსალიმის მეფედ, რომელმანცა მრავალი ძლევა მიიღო სარაცინელთა ანუ არაბთა ზედა. და ესე ბალდვოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისამებრ სხვათა ისტორიებთა“.

საიდან არის აღებული ეს ფრიად საინტერესო ცნობა? პასუხი ამ კითხვაზე ჯერჯერობით არაა გაცემული. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ იოანე ბატონიშვილი უშუალოდ ლათინურ წყაროს ფლობდა ეყრდნობოდეს, ცინაიდან იერუსალიმის მეფის სახელის ქართული ტრანსკრიპცია უფრო ლათინურიდან გადმოღებულს წაგავს.

უპირველეს ყოვლისა, ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ ვინ არის ამ ცნობაში მოხსენიებული „ბალდვოინ, იერუსალიმის მეფე“.

იოანე ბატონიშვილის სიტყვით, ზემოთქმული ამბავი მომხდარა დავით აღმაშენებლის მიერ ლორეს აღების მეორე წელს, მაშასადამე 1119 წელს.

ამ დროს ჯვაროსანთა მიერ პალესტინაში დაარსებულ იერუსალიმის სამეფოს სათავეში ედგა ბალდუინ II (1118 — 1131).

...მომთაბარე თურქ-სელჩუკთა ტომებმა XI საუკუნის ბოლო მესამედში დაიპყრეს ბიზანტიის მრავალი სამფლობელო. ბიზანტიამ დახმარება სთხოვა დასავლეთ ევროპას. XI საუკუნის დამლევს სირია-პალესტინა დაფარა ევროპიდან სახელისა და მიწების მოსახვეჭად წამოსულ ჯვაროსანთა ტალღამ. ანა კომნენეს სიტყვით, ყოველი მხრიდან მოვარდნილი მდინარეებივით დაიძრნენ ისინი და სიმრავლე მათი აღემატებოდა ზღვაში ქვიშას და ცაში ვარსკვლავებს.

ბალდუინიც ამ დიდი მოძრაობის მონაწილე გახლდათ. ხხვათა შორის, იგი იყო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი წინამძღოლის გოტფრიდ ბულონელის ბიძაშვილი. 1099 წელს ბალდუინმა გვირობითა და სისასტიკით განთქმულ ტანკრედთან ერთად აიღო ქალაქი ბეთლემი (ლეგენდის თანახმად — ქრისტეს დაბადების ადგილი), ხოლო 1100 წლის ოქტომბრიდან გახდა ედესის საგრაფოს ბატონ-პატრონი. როგორც ჩანს, მას ჭკუა ხმალზე ძრანაკლებ უჭრიდა. თავისი პოზიციები ედესის საგრაფოში მალე განმტკიცა იმით, რომ ცოლად შეირთო ერთ-ერთი სომხური ოლქის მდიდარი გამგებლის გაბრიელის ქალიშვილი, სახელად მართა. შემდეგ უდიდესი პატივით მიიღო სომეხთა ეკლესიის პატრიარქი და, ამგვარად, თავისი სომეხი ქვეშევრდომების სიყვარული და მხარდაჭერა მოიპოვა.

ბალდუინის შესახებ ერთ ანეკდოტურ ამბავს გადმოგვცემს ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ჟაკ დე ვიტრი. მისი სიტყვით, აღმოსავლეთში უდიდესი გულმოდგინებით უვლიდნენ წვერს და იგი მიაჩნდათ ვაჟკაცობისა და ღირსების მჭევრმეტყველ სიმბოლოდ. წვერიდან თუნდაც ერთი ღერის ამოგლეჯა სასტიკ დამცირებად ითვლებოდაო. ასეთი საოცარი კულტი წვერისა მშვენივრად გამოუყენებია ბალდუინს. თურმე მან ედესაში დამკვიდრებისთანავე აღმოსავლურ ყაიდაზე მოუშვა წვერი, შემდეგ კი ბრწყინვალე კომედია გაითამაშა. ბალდუინი ღარიბი კაცი იყო და იმ მიზნით, რომ გამოეცანცლა ფული მდიდარი სიმამრისაგან, განუცხადა მას, თითქოს თავისი წვერი დააგირავა კრედიტორებთან საკმაოდ დიდძალი თანხის მისაღებად. ამის გამგონე გაბრიელი ძლიერ გაწცვიფრდა და მწუხარებამ შეიპყრო. მან მტკიცედ გადაწყვიტა გადაერჩინა თავისი სიძე და ქალიშვილი სამუდამო შერცხვენისაგან და დაუყოვნებლივ მისცა ბალდუინს ოცდაათი ათასი ბეზანტი იმ პირობით, რომ იგი აღარასოდეს დააგირავებდა თავის წვერს, რაოდენ დიდ გასაჭირშიაც არ უნდა ჩავარდნილიყო.

ერთი სიტყვით, ბალდუინი ჭკუასთან ერთად იუმორის ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული...

ედესა იყო ჯვაროსანთა ავანპოსტი ჩრდილოეთ სირიაში და ყველაზე ხშირად უწევდა მტრის თავდასხმების მოგერიება. ბალდუინი უნარიანად მართავდა თავის სამფლობელოს, თუმცა მრა-

ვალ წარმატებასთან ერთად მარცხიც იგემა და ოთხი წელიწადი გაატარა მაჰმადიანთა ტყვეობაში.

ბალდუინი აკურთხეს იერუსალიმის მეფედ 1118 წლის 14 აპრილს. იგი უკვე ხანდაზმული იყო, ომსა და მმართველობაში დიდად გამოცდილი. შემდგომმა მოვლენებმა მალე დააამტკიცა მისი სამხედრო-პოლიტიკური ნიჭის საჭიროება, რადგანაც მაჰმადიანები ხანგრძლივ განხეთქილებათა შემდეგ ნელ-ნელა იწყებდნენ გაერთიანებას ჯვაროსანთა მოსასპობად.

ბალდუინმა სცადა მორიგებოდა თავის ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგეს, დამასკოს ათაბაგს თუღთეგინს და ელჩების პირით დაზავება შესთავაზა. თუღთეგინმა მიუღებელი პირობები წამოაყენა. ბალდუინი ომით დაემუქრა, მაგრამ დამასკოს ათაბაგმა მყისვე საქმით უპასუხა მუქარას და იერუსალიმის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას შეესია. ამავე დროს სამხრეთიდან ეგვიპტის ფატიმიანთა ხალიფა შემოიჭრა იერუსალიმის სამეფოში. ბალდუინმა მოიხმო ჯარები ანტიოქიის სამთავროდან და ტრიპოლის საგრაფოდან, საკუთარ ძალებსაც მოუყარა თავი და აიცდინა საფრთხე. მაჰმადიანები უომრად გაეცალნენ იერუსალიმის მეფეს. ჯვაროსნებმა თავად შეუტიეს დამასკოს, სასტიკად დაამარცხეს თუღთეგინის ვაჟი, შემდეგ ალეპოსაკენ დაიძრნენ და მისი მიდამოები ააოხრეს.

თუღთეგინი და ალეპოს სულტანი ილღაზი საერთო ძალებით აპირებდნენ ანგარიში გაესწორებინათ იერუსალიმის სამეფოს ჯვაროსნებთან, რომლებიც აღარ ასვენებდნენ დამასკოს, მაგრამ მოულოდნელად ეს გეგმა გადადებულ იქნა, ვინაიდან 1118 წლის დამლევს ანტიოქიის მთავარმა როჟერმა კილიკიის სომხებთან ერთად აიღო აზაზის ციხე (ალეპოს ჩრდილოეთით), ილღაზის რომ ეკუთვნოდა და უშუალოდ დაემუქრა ალეპოს. მოკავშირეებმა გადაწყვიტეს ლაშქრობა ანტიოქიის წინააღმდეგ.

ამ შეთანხმების შესაბამისად ილღაზი წამოვიდა მარდინიდან, მცირე ხნით შეჩერდა ედესასთან და 1119 წლის ივნისის დამდეგს გადაჭრა მდინარე ევფრატი. როჟერს აცნობეს მოახლოებული საფრთხე. მან დახმარება სთხოვა ბალდუინს, რომელიც მაშინვე შეუდგა სამზადისს, მაგრამ როჟერმა დატოვა ანტიოქია და გზას დაადგა. შემდეგ შეისვენა, რამდენიმე დღე ელოდა იერუსალიმის მეფის გამოჩენას და მისი დაყოვნებით გაღიზიანებული, საბო-

ლოოდ აჰყვა ადგილობრივ მფლობელთა რჩევას, რომელთაც საკუთარი მიწების დაცვა უფრო აწუხებდათ და უბრძანა ჯარს წინსვლა. ჩქარობდა, რათა აეცილებინა მაჰმადიანთა თავდასხმა ათარიბის ციხეზე (ანტიოქიასა და ალეპოს შორის).

20 ივნისს როჟერმა დაიკავა უვარგისი პოზიცია ორ მთას შუა, სოფელ ბალათთან, ათარიბის ციხის ჩრდილო-დასავლეთით. მან ჩათვალა, რომ ამ ადგილის კლდოვანი რელიეფი დააბრკოლებდა მტერს.

ამასობაში ილღაზი ელოდა თუღთეგინს ქალაქ ალეპოსთან, ძაგრამ მის ამირებს მოსწყინდათ უქმად ყოფნა და მოითხოვეს დაუყოვნებლივ ამოქმედება. ილღაზი დათანხმდა. 27 ივნისს აშალეს ბანაკი და იმავე ღამეს, ისარგებლეს რა სიბნელით, განლაგდნენ ჯვაროსანთა უშუალო სიახლოვეს.

მეორე დღეს, გარიჟრაჟზე ილღაზის ლაშქარი სამი მხრიდან შემოერტყა ფრანკებს (ასე ეძახდნენ ევროპელებს აღმოსავლეთში) და მუსრი გაავლო. მრავალ რაინდთან ერთად დაიღუპა როჟერიც. სამოცდაათი რაინდი დაატყვევეს და ალეპოსაკენ უკრეს თავი. ამბობენ, რომ როჟერის მეომართაგან ოც კაცზე მეტი არ დაბრუნებულა ანტიოქიაში. ამ ბრძოლას ჯვაროსნებმა უწოდეს „სისხლის ველი“.

ილღაზის ბოლომდე არ მიუყვანია თავისი ტრიუმფი. ნაცვლად იმისა, რომ თავს დასხმოდა თითქმის დაუცველ ანტიოქიას, იგი დაკმაყოფილდა ათარიბისა და ზარდანას აღებით.

ანტიოქიაში ჩავიდა ბალდუინი და დაეპატრონა იქაურობას. დაღუპულთა ქვრივები დააქორწინა გადარჩენილებზე, დაღუპულთა ქონება მათსავე შვილებს ჩააბარა. შემდეგ დამხმარე ძალები მოიხმო ედესის საგრაფოდან და ილღაზის შესახვედრად დაიძრა. 14 აგვისტოს სოფელ დანითის მახლობლად გაიმართა შეტაკება.

სირიელი ამირა უსამა იბნ-მუნკიზი თავის ავტობიოგრაფიულ მოგზაურობაში, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ ოფიცრის დღიური, მოგვითხრობს, რომ ილღაზის მეტისმეტად ჰყვარებია ღვინო. როჟერის დამარცხების შემდეგ დაუწყია სმა და ბალდუინის გამოჩენამდე ველარ გამოფხიზლებულა.

უსამას მიხედვით, აგვისტოს ბრძოლა არც ერთ მხარეს არ მოუგია. ფრანკთა რაზმებმა დაამარცხეს მაჰმადიანთა რაზმები და მაჰმადიანთა რაზმებმა — ფრანკთა რაზმებიო. ფრანკებიც ბლო-

მად დახოცილან და მაჰმადიანებიც. ილღაზი დაბრუნდა მარდინში, ბალდუინი — ანტიოქიაში.

ტყვედ ჩავარდნილთა შორის ყოფილა ვინმე რობერტი (ორიოდე ციხის მფლობელი ანტიოქიის სამთავროში). მან თვითონ დანიშნა თავისი გამოსასყიდი — ათი ათასი დინარი. „წაიყვანეთ ათაბაგთან, — ბრძანა ილღაზიმ, — ეგებ დააშინოს ტყვე და მეტი გამოსტყუოს“. რობერტი მიჰგვარეს ათაბაგ თუღთეგინს, რომელიც თავის კარავში ღვინოს შეექცეოდა. რობერტის დანახვაზე იგი მაშინვე წამოდგა, ხელი დაავლო ხმალს და მოჰკვეთა თავი ტყვეს. როცა ეს ამბავი შეიტყო ილღაზიმ, უსაყვედურა ათაბაგს: „ჩვენ ყოველი დინარი გვესაჭიროება, რომ შეომრებს დროზე გადავუხადოთ. ამან გამოსასყიდი დანიშნა, ათი ათასი დინარი. შენთან გამოვგზავნე, მეგონა დაშინებდი და გაზრდიდა თანხას, შენ კი მოგიკლავს“. ათაბაგმა მოკლედ მოუჭრა, ამაზე უკეთ კაცის დაშინება არ ვიციო.

1119 წლის ზაფხულში მომხდარმა ამბებმა საგანგაშო ვითარება შეუქმნა ბალდუინს. როჟერისა და მისი რჩეული რაინდების ამოჟლეტა მნიშვნელოვანი დარტყმა იყო ჯვაროსანთა პოზიციების შესარყევად. სხვას რომ თავი დავანებოთ, როჟერს ნიჭიერი მხედართმთავრის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. სიკვდილამდე ოთხი წლით ადრე მან სასტიკად დაამარცხა ირანის თურქ-სელჩუკთა ლაშქარი, რამაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მაჰმადიანურ სამყაროზე. როჟერი, ანუ როგორც არაბები ეძახდნენ — „სიროჯალ“ (ე. ი. სირ როჟერ), გახდა ისეთივე ლეგენდარული ფიგურა, როგორც შემდგომში — რიჩარდ ლომგული.

საერთოდ, ჯვაროსანი და მაჰმადიანი რაინდები დიდად აფასებდნენ ერთიმეორის სამხედრო ნიჭსა და მეომრულ შემართებას. ზემოხსენებული უსამა იბნ-მუნკიზი ამტკიცებს, რომ ფრანკებს არ გაეჩნიათ არც ერთი ადამიანური ღირსება, გარდა სიმამაცისა! ხოლო იმდროინდელი ჯვაროსნული ქრონიკის ავტორი აცხადებს, თურქები რომ ქრისტიანები იყვნენ, მათზე ბრწყინვალე ხალხს მთელი დედამიწის ზურგზე ვერ იპოვიდიო.

1119 წელს ჯვაროსნებმა დაკარგეს ოთხი წლის წინათ მოპოვებული უშიშროება. ახლა მათ დაუპირისპირდა ძლიერი გამგებელი ალეპოში (ილღაზის სახით), სადაც მუდამ ეგულებოდათ სუსტი მეტოქე.

ევროპიდან ახალი ძალები კანტიკუნტად მოდიოდა და ჯვაროსანთა გაჭირვება კატასტროფულ ხასიათს იღებდა. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ 1119 წელს დაარსდა ტამპლიერთა ორდენი, რომლის წევრები ნახევრად ბერები, ნახევრად რაინდები იყვნენ. როგორც ფიქრობენ, ტამპლიერთა ორდენი შეიქმნა მაჰმადიანური სამყაროსათვის თავზარდამცემი ასასინთა ორდენის მიბაძვით. მკაცრი დისციპლინა და მტკიცე სამხედრო ორგანიზაცია თავიდანვე გახდა ტამპლიერთა გამოსარჩევი ნიშანი, მათ შესამჩნევი როლი ითამაშეს ჯვაროსანთა შემდგომ ისტორიაში, მაგრამ 1119 წელი მხოლოდ დაბადების წელი იყო მათი.

ყოველივე ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, საკმაოდ დამაჯერებელი ხდება იერუსალიმის მეფის ჩამოსვლა საქართველოში და მისი საიდუმლო ვიზიტის მიზანიც ნათელია. როგორც ჩანს, გასაჭირში ჩავარდნილმა ჯვაროსნებმა იმედის თვალი მიაპყრეს საქართველოს, რომელსაც ადრიდანვე თვლიდნენ ქრისტიანული კულტურის ბასტიონად აღმოსავლეთში. თუმცა ჯვაროსან დამპყრობელთა და საქართველოს მიზნები ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა, მტერი მაინც საერთო ჰყავდათ და ბუნებრივ მოკავშირეებად გამოდიოდნენ. XI საუკუნის დამლევს ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებამ მაჰმადიანთა უძლეველობას სახელი გაუტეხა და ხელსაყრელი გარემოება შეუქმნა საქართველოსაც. ქართველი მემატიანე ხაზს უსვამს, რომ სწორედ ამის შემდგომ შეუწყვიტა ხარკის ძღვევა სელჩუკებს დავით აღმაშენებელმა.

ახლა კი, ოცი წლის შემდეგ, საქართველო უკვე სერიოზულ ძალას წარმოადგენდა და თამამად შეეძლო ჯვაროსანთათვის დახმარების გაწევა. დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმებმა მოამწიფა თურქ-სელჩუკთა განდევნა საქართველოს მიწა-წყლიდან. 1118-1120 წლებში განხორციელდა ყივჩაღთა მუდმივი ჯარის შექმნა. ამიერიდან დავით აღმაშენებელს ძალა შესწევდა, თავდაცვითი ომით არ დაკმაყოფილებულიყო და თვითონ მიეტანა იერიში მტერზე.

არაფერია გასაოცარი და საეჭვო იმაში, რომ იერუსალიმის მეფე დახმარების სათხოვნელად ჩამოსულიყო საქართველოში 1119 წლის დამლევს.

სირიაში დროებითი სიწყნარე დამყარდა. მაჰმადიანები აღარ უტევენ სისხლდაცლილ და ღონეგამოლეულ ჯვაროსნებს. დროებითი სიწყნარე ავის მომასწავებელია. ვისთვის? რა თქმა უნდა, ჯვაროსნებისათვის! ილღაზი ძალებს იკრებს გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად. მაგრამ მის გეგმებს განხორციელება არ უწერია.

საკვლევებით მოულოდნელად ილღაზი ჩათრეულ იქნა ახალ კონფლიქტში, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

აღმოსავლური წყაროები მოგვითხრობენ ქართველების ლაშქრის შემოსევას მაჰმადიანურ ოლქებში 1120 წელს, ხოლო ერთი მათგანი სირიაზეც თავდასხმას მიუთითებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, „თვესა ნოემბერსა წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარყვნა". აშორნია მოთავსებულია ბასიანის მეზობლად. აქედან არც ისე შორს იყო ილღაზის სამფლობელოები — მარდინი და მაიაფარიკინი. ეტყობა, ეს ცნობები ერთსა და იმავე მოვლენას ეხება, სახელდობრ, საქართველოს სამხედრო დახმარებას დასუსტებული ჯვაროსნებისათვის.

თავისთავად, შემდგომ წელს ილღაზის გამოლაშქრება საქართველოზე და დიდგორის ომი იმას მეტყველებს, რომ 1120 წელს მოხდა რაღაც ისეთი, რამაც ჯვაროსანთა წინააღმდეგ საღვთო ომის სულისჩამდგმელი და დაუცხრომელი წინამძღოლი ილღაზი ანტიოქია-იერუსალიმის მაგივრად დიდგორში მოიყვანა.

ანტიოქიის სამთავროს კანცლერს ფრანგ ფოტიეს 1121 წლის ლაშქრობა საქართველოზე თითქმის ილღაზის პირად საქმედ მიაჩნია. მისი სიტყვითო, ილღაზი აპირებდა დავით აღმაშენებლის დამარცხებას და მოსპობა-დამორჩილებას, რათა შემდეგ იერიში მიეტანა ანტიოქია-იერუსალიმზე და ბოლო მოეღო ჯვაროსნებისათვის. მაშასადამე, ილღაზი თავისი ზურგის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა ჯვაროსნებთან მომავალი ომის წინ და აშკარაა, რომ ამ ზურგის გამაგრება გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა, რათა გულდამშვიდებით გაეშალა ოპერაციები სირია-პალესტინის ფრონტზე.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ 1120 წლის დამლევს დავით აღმაშენებელს გაულაშქრია ილღაზის სამფლობელოებზე (ალბათ, დიარბექირის მიდამოებში) და პირნათლად შეუსრულებია ბალდუინის თხოვნა.

ამრიგად, თუნდაც არ არსებობდეს იოანე ბატონიშვილის ცნობა, ზემოთ მოცემული სურათი თავისთავად მიგვიყვანდა ასეთ დასკვნამდე.

1121 წელს იწყება ჯვაროსანთა გამოცოცხლება. მაისში ისინი თავს დაესხნენ ათარიბის ციხეს და სერიოზულად დაემუქრნენ ალეპოს. ილღაზიმ უბრძანა თავის ვაჟს სულეიმანს (ათარიბის გამგებელს) ფრანკებთან დაზავება. ზავის პირობები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა.

ჯვაროსანთა გამარჯვებები გრძელდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. მათ ალყა შემოარტყეს ზარდანას და აიღეს, შემდეგ დაიძრნენ ალეპოსაკენ და დაამარცხეს მისი დამცველები. ბალდუინი რამდენიმე ციხეს დაეუფლა ალეპოს მიდამოებში. შეშფოთებულმა სულეიმანმა ზავი ითხოვა (ილღაზი უკვე საქართველოში იყო წასული), მაგრამ მოლაპარაკება ჩაიშალა, რადგან ბალდუინი დაჟინებით მოითხოვდა ათარიბის ჩაბარებას.

1121 წლის აგვისტო... დიდგორის ომი... დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე გამარჯვება. მძიმედ დაჭრილი ილღაზი გარბის ბრძოლის ველიდან. მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქარი განადგურებულია.

კანცლერ გოტიეს ცნობით, დიდგორის ომში მონაწილეობდა ორასი ფრანკი. ცხადია, მათი ნაამბობის მიხედვით აღწერა გოტიემ ქართველი ხალხის ტრიუმფი დიდგორში. მისი აღტაცება სავსებით გასაგებია. დიდგორის ომმა გააცამტვერა ილღაზის პერსპექტივები. მას ჯვაროსნებისათვის აღარ სცხელოდა.

მომდევნო წლის შემოდგომაზე ილღაზის დამბლა დაეცა (ვინ იცის, იქნებ დიდგორში მიღებული ჭრილობის გამო) და სწრაფად მოეღო ბოლო.

ასე გათავდა ისტორია ჯვაროსანთა ყველაზე მრისხანე მტრისა და, უდავოა, რომ იერუსალიმის მეფე ამ ამბის გაგონებაზე შვებით ამოისუნთქებდა.

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო ცნობა. 1136 წელს ნორმანდიაში მყოფ მწერალს თავის ქრონიკაში შეუტანია ჯვაროსან რაინდთაგან გაგონილი: ვითომც 1123-1124 წლებში დავითს, ქართველთა მეფეს და თოროსს, კილიკიის მთავრის ძმას, ერთ სულ-

ტანთან ტყვედ ჩავარდნილი რაინდების განთავისუფლებაში მიუღიათ მონაწილეობა.

ძნელი სათქმელია, ეხება თუ არა ეს ცნობა თვით ბალდუინს, მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ 1123 წლის აპრილში ბალდუინი ხელმეორედ აღმოჩნდა მაჰმადიანთა ტყვეობაში. იგი მოათავსეს არზრუმის მახლობლად მდებარე ციხეში. კარგად ცნობილია ისიც, რომ ედესის გრაფმა ჟოსელენმა თავისი პატრონის დასახსნელად ლახმარება სთხოვა ბიზანტიის იმპერატორსა და კილიკიის სომეხთა მთავრებს. ბალდუინის განთავისუფლება მოხერხდა 1124 წელს. მაშასადამე, ზემოხსენებულ რაინდთა შორის შესაძლოა ბალდუინიც იყო.

ბალდუინ II გარდაიცვალა 1131 წელს იერუსალიმში. საერთო აღიარებით, მისი მეფობის დროს ჯვაროსანთა ძლიერებამ თავის ზენიტს მიაღწია. ცამეტი წლის მანძილზე მან განამტკიცა და განავრცო იერუსალიმის სამეფოს საზღვრები.

ბალდუინს აქებენ მტრულად განწყობილი მაჰმადიანი ისტორიკოსებიც (ისევე როგორც დავით აღმაშენებელს). იბნ ალ-კალანისის სიტყვით, ბალდუინი მრავალჯერ ჩაუვარდა ტყვედ მაჰმადიანებს (სინამდვილეში — მხოლოდ ორჯერ), მაგრამ ყოველთვის იხსნიდა თავს სხვადასხვა ხერხით. მისი სიკვდილის შემდეგ აღარავინ დარჩა ფრანკთა შორის. ბალდუინის დარად დაჯილდოებული საღი გონებითა და მმართველობის უნარითო.

იბნ ალ-ასირი უხალისოდ აღიარებს ფრანკთა გაძლიერებას 1120 წლის შემდეგ, რაც უეჭველად იყო დავალებული ბალდუინისგანო.

აქ ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ჯვაროსანთა წინაშე არანაკლები დამსახურება მიუძღვის დავით აღმაშენებელს.

ორი თქმულება

ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან გამოჰყვა ჩვენს მეხსიერებას დაუვიწყარი სტრიქონები: „თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმანარნარი, პირ-მცინარი...“ ანდა — კიდევ უფრო დაუვიწყარი: „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული...“

მაგრამ მარტოოდენ ქართველი პოეტები როდი ასხამდნენ ხოტბას თამარ მეფეს. გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი თავის ერთ ლექსში წერდა მეზობელი საქართველოს ძლევამოსილი მეფე-ქალის შესახებ: „მან თითისტარი შუბად აქცია, ჩვენ კი შუბი ვაქციეთ თითისტრად“.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ იყო დამცირებული მაჰმადიანურ სამყაროში ქალი და ამიტომაც არის ძვირფასი სარწმუნოებით მაჰმადიანი პოეტის მიერ დახატული ლაკონიური პორტრეტი თამარისა. ნიზამის, ცხადია, ეუცხოვებოდა საქართველოს სამეფო ტახტზე ასული ქალი და მით უმეტეს — მისი სწორუპოვარი მეფობა. მაგრამ არც თავის სარწმუნოებას და არც დაძაბულ ურთიერთობას თავისი ქვეყნის მბრძანებელსა და ქრისტიანული საქართველოს ხელმწიფეს შორის, არ შეუშლია ხელი, რომ თვალი გაესწორებინა სიმართლისათვის, რაოდენ მწარეც არ უნდა ყოფილიყო იგი. ნიზამი ჭეშმარიტი პოეტი იყო და არა სამეფო კარის პირმოთნე მემატიანე.

ეტყობა, ნიზამის ლექსი არ ჰქონდა წაკითხული რუმის სულტანს, ქართველი მკითხველისათვის საკმაოდ კარგად ცნობილ რუქნადინს, როდესაც იგი თავის წერილში თამარისადმი უტიფრად აცხადებდა: „ყოველი დიაცი რეგვენია“. მთელ საქართველოს შოსპობით ემუქრებოდა და ქართველებისაგან ითხოვდა დამორჩილებასა და გამაჰმადიანებას. რუქნადინმა თამარს ისიც შემოუთ-

ვალა: შენს რჯულს თუ დაუტევებ, ცოლად შეგირთავ და თუ არ დაუტევებ, ხარჭად აგიყვანო.

უნდა აღინიშნოს, რომ რუმის სასულტნომ განსაკუთრებით გაითქვა სახელი სწორედ რუქნადინის დროს. აღმოსავლური წყაროს ცნობით, მცირე აზიის სელჩუკთა ძლიერებას საზღვარი არ ჰქონდა და „რუქნადინის სულტნობით ქვეყნად დიდებული ხანა დაიწყო“.

ქართველი მემატიანე ასე ახასიათებს რუქნადინს: „...რომელი უმაღლეს და უდიდეს იყო სხუათა ყოველთა სულტანთა“.

მაგრამ ბასიანის ომში (1202 წ.) რუქნადინმა საკუთარ ტყავზე იწვნია ნიზამის ლექსის მწარე სიმართლე. სასტიკი დამარცხების შემდეგ რუმის სულტანს დიდხანს აღარ უცოცხლია და საფლავში ჩაიყოლა ოცნება რევანშზე. სამაგიეროდ, მისიანებმა თავისებურად იძიეს შური თამარზე. ბასიანის ომში გაცვეთილი ხმლის ნაცვლად ბასრი კალამი მოიმარჯვეს ხელში და სახელგატეხილ რუქნადინს თავისი მატიანის ფურცლებზე მოუშუშეს საბედისწერო ჭრილობა იმით, რომ ჩრდილი მიაყენეს თამარის სახელს. ამ უცნაური „რევანშის“ ავტორი გახლავთ იბნ ბიბი, მცირე აზიის თურქ-სელჩუკთა მემატიანე. მისი თხზულება შექმნილია XIII საუკუნის 80-იან წლებში. ქვემოთ მოტანილ ამბავს იბნ ბიბი მოგვითხრობს თვითონ რუქნადინის სულტნობის აღწერისას, მაგრამ ამბავი რეტროსპექტულია და მიმდინარეობს რუქნადინის მამის ყილიჯ-არსლანის ზეობის ბოლო წლებში.

აი, რას წერს იბნ ბიბი: „საბოლოოდ, რუქნადინის გულში დაიბადა სურვილი ქვეყნიერების დაპყრობისა და მან გადაწყვიტა, მოეწყო საღვთო ომი საქართველოს წინააღმდეგ. მიზეზი იყო შემდეგი — თამარმა, საქართველოს მეფემ, რომელიც მბრძანებლობდა საქართველოსა და მის სატახტო ქალაქ თბილისზე, და გააჩნდა ძალაუფლება ბრძანებისა და აკრძალვისა, შეიტყო, რომ სულტან ყილიჯ-არსლანს ჰყავდა თორმეტი ვაჟი, რომელთაგან თითოეული იყო მშვენიერი, ვითარცა მთვარე ცაში და მომხიბლავი, როგორც ხელმწიფე დედამიწაზე. შესაბამისად არაბული ანდაზისა, რომელიც მეტყველებს, რომ ქალებს აქვთ ბუნება მიდრეკილი ვნებისაკენ და სადაც კი იპოვნიან პირმშვენიერი ვაჟის კვალს, იწყებენ სამიჯნურო სიმღერას: „ზოგჯერ ყურს შეუყვარდება თვალით დანახვამდე...“ მან გაგზავნა რუმის ქვეყანაში მხატვარი და თითო-

ეული უფლისწულის სურათი დაახატვინა. ყველაზე მეტად იგი მიიზიდა რუქნადინმა და შეუყვარდა მისი სურათი. ამიტომაც შეუთვალა ყილიჯ-არსლანს თხოვნა დამოყვრებისა. ყილიჯ-არსლანმა გააცნო თავის ვაჟს საქმის არსი და ჰკითხა: რას იტყვი ამ წინადადებაზეო. მაგრამ რუქნადინი აღივსო რისხვითა და ზიზღით, გამოხატა უკიდურესი უკმაყოფილება და თქვა: „როგორ შეიძლება სამყაროს მბრძანებელმა დაუშვას ჩემი წასვლა ქართველთა ქვეყანაში, ურწმუნოებისა და გარყვნილების ადგილას, სადაც არის მსუბუქი ცხოვრება და ბიწიერ სურვილთა სილაღე. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ მალე „ალაჰი გვიბოძებს დიდ ნადავლს“ და ეს აღსრულდება ქართველთა ქვეყნის დაპყრობით. მე მოვაწყობ ლაშქრობას, იმ ქვეყანას გავაცამტვერებ და ხელმწიფის სასახლეში მოვიყვან სამარცხვინო ტყვეობის ხუნდებით შებორკილ თამარს“. შვილის ასეთი კეთილშობილება ესიამოვნა სულტნის სულსა და გულს, მან შეაქო იგი და პატიება სთხოვა. იბნ ბიბის თხზულების მომდევნო თავში აღწერილია რუქნადინის მარცხიანი ლაშქრობა საქართველოზე (ე. ი. ბასიანის ომი), განხორციელებული მამის სიკვდილის შემდეგ. კადნიერი სულტანი თავად ძლივს გადაურჩა „სამარცხვინო ტყვეობის ბორკილებს“.

ახლა ყური ვათხოვოთ „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ეპიზოდს, სადაც გადმოცემულია თამარის პირადი ცხოვრება. ქართველი მემატიანე გვაუწყებს თამარზე გამიჯნურებული ოვსთა მეფის სიკვდილს, გამოწვეულს თამარის უარით და დასძენს: „და სხვანი რაოდენნი ხელმწიფეთა ძენი ამისთვის გაჭრით გამიჯნურებულნი და ხელქმნილნი ვერღარა სთმობდეს სურვილსა მისსა, ქვემორე სიტყვამან საცნაურ ჰყოს“. შემდეგ სათითაოდ ჩამოთვლილია თამარის ხელის მაძიებელნი, რომელთაც სხვადასხვა მიზეზისა გამო ვერ აისრულეს წადილი და გაუცრუვდათ იმედები. აი, ვინ იყვნენ ისინი: ძე ბიზანტიის კეისარ მანოელისა; ძე ანტიოქიის მთავრისა; ძე სულტან ყიზილ-არსლანისა, რომელიც მამამ დააკავა, რათა გადაერჩინა რჯულის ღალატისაგან. და კიდევ — მუტაფრადინი, არზრუმის ფამგეზლის ძე, რომელიც არ იქნა მიჩნეული თამარის ღირსეულ საქმროდ (მიუხედავად გაქრისტიანებისა), და კიდევ — შირვანშაჰი აღსართან, თამარის სიყვარულით მზად რომ იყო მაჰმადის რჯულზე უარის სათქმელად, მაგრამ ისიც ამაოდ დაშვრა.

ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი მარიუს კანარი იმოწმებს ზემოთ მოტანილ ინფორმაციას ქართული წყაროებიდან და შენიშნავს, რომ უზარმაზარი უფსკრულია მაჰმადიანი მემატიანის ავყიობასა და ისტორიულ სინამდვილეს შორის, „მაჰმადიანური მწერლობა ყირამალა აყენებს ფაქტებს", — შენიშნავს იგი და ერთგვარ შურისძიებად მიიჩნევს იბნ ბიბის, რბილად რომ ვთქვათ, ფანტაზიას. ფრანგ ორიენტალისტს არც უკვირს ის გარემოება, რომ უიმედოდ ძლეულნი ცდილობდნენ გაეშავებინათ ძლევამოსილი მეფე-ქალი, ვისგანაც იგემეს მარცხი, და ქალისაგან მარცხი მართლაც არაჩვეულებრივი და შემაძრწუნებელი უნდა ყოფილიყო მაჰმადიანთათვის. მ. კანარი იქვე დასძენს, რომ მაინც მოსალოდნელი იყო მეტი კეთილშობილება მაჰმადიან ისტორიკოსთაგან, ვინაიდან საქართველოს ქვეშევრდომთა შორის მრავლად იყვნენ მაჰმადიანები და ისინი სარგებლობდნენ ერთობ ფართო ავტონომიით ფრანგ ორიენტალისტს არც ის ავიწყდება, რომ ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა დაამყარა თანასწორობის ატმოსფერო ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის, და ქორწინებანი მაჰმადიანი უფლისწულებისა ქართველ ქალებზე არცთუ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. მ. კანარი აკვირდება იმ ფაქტს, რომ იბნ ბიბის ცნობა ეხება ყილიჯ-არსლანის ზეობას, რომელიც მთავრდება 1188 წელს და შენიშნავს, რომ სწორედ XII საუკუნის 80-იან წლებში ქართველთა მმართველი წრეების წინაშე მწვავედ იდგა საკითხი თამარის დაქორწინებისა, რადგან დედოფლისათვის აუცილებელი იყო მემკვიდრე — მომავალი მეფე საქართველოსი. მ. კანარის ვარაუდით, ეგებ, სწორედ მაშინ მოინდომა რუქნადინმა თამარის ცოლად შერთვა, უარი მიიღო და ეგებ ამიტომაც თხზავს იბნ ბიბი თავის დაუჯერებელ თქმულებასო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეფეთა მიერ მხატვრის გაგზავნა სატრფოს სურათის დასახატავად — საკმაოდ გავრცელებული მოტივია აღმოსავლურ ლიტერატურასა და ფოლკლორში. ასე რომ, იბნ ბიბიმ რუქნადინზე თამარის გამიჯნურების ფანტასტიკურ ეპიზოდს მექანიკურად მიუსადაგა აღმოსავლური მწერლობის ტრადიციული სიუჟეტი.

...ღვთის წყალობით, იბნ ბიბის სიცრუე პირველად ფრანგმა მკვლევარმა დაგმო, ჩვენ როდი გამოუვიდია თავი. ერთი სიტყვით,

ისტორიული სინამდვილე სულ სხვაა, ვიდრე იბნ ბიბის თხზულებაში გადმოცემული თქმულება, და სიმართლეს ვერ გააქარწყლებს ცილისწამება სირცხვილნაჭამი სულტნის მემატიანისა. მართლაც, რომ, რუსთველისა არ იყოს, რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი დაუწერია!

* * *

თამარ მეფის სახელოვანი ცხოვრება, მისი ზეობის წლებში საქართველოს მიერ გადახდილი ომები მაჰმადიან აგრესორთა წინააღმდეგ და, კერძოდ, ბასიანის ომი საფუძვლად დაედო XV—XVI სს. მიჯნაზე რუსეთში შექმნილ ლიტერატურულ ძეგლს, რომელსაც ეწოდება „თქმულება დინარაზე". აი, რახ მოგვითხრობს დასახელებული ნაწარმოები:

როდესაც გარდაიცვალა ივერიის ხელმწიფე ალექსანდრე, მას არ დარჩა მემკვიდრე ვაჟიშვილი. ჰყავდა მხოლოდ ასული თხუთმეტი წლისა, სახელად დინარა, ძალზე გონიერი და გულადი არსება, რომელსაც არ სურდა გათხოვება. მამამ უანდერძა ივერიის მეფობა თავის ასულს.

დინარამ დაიწყო ქვეყნის მართვა ბრძნულად, შეძლო მოეხვეჭა თავის კარისკაცთა და დიდებულთა სიყვარული, გამოიჩინა სათნოება ხალხის მიმართ და მკაცრად იცავდა მართალ სამართალს. იგი გატაცებით კითხულობდა საღმრთო წერილს და გადმოცემებს წინანდელ მეფეებსა და მათს გმირულ საქმეებზე, რამაც გულში ჩაუნერგა მხედრული სიმამაცე. როგორც ფუტკარი, ყვავილიდან ყვავილზე რომ დაფრინავს და აგროვებს თაფლს, დინარაც ასევე იძენდა სიბრძნეს ღირსსახსოვარი წიგნებიდან. და როგორც გამოცდილი მენავე მიისწრაფვის უვნებლად გაატაროს თავისი ხომალდი ზღვის მძვინვარე ტალღებში, ასევე გულმოდგინედ ზრუნავდა იგი თავისი ქვეყნის მშვიდობისათვის.

როდესაც სპარსეთის მეფემ ადრამელეხმა შეიტყო ალექსანდრე მეფის სიკვდილი და ივერიის სახელმწიფოში ქალის გაბატონება, მან გადაწყვიტა ივერიის დაპყრობა და ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრა. ელჩების პირით შეუთვალა დინარას: „თუ გსურს დაიმსახურო ჩემი წყალობა, გამომიგზავნე ორმაგი ძღვენი. და თუკი არ დამემორჩილები, ნებას არ მოგცემ იმეფო!"

დინარამ გაუგზავნა სპარსეთის მეფეს თავისი ელჩები, დატვირთულნი იმაზე დიდი ძღვენით, ვიდრე მისი მამა გზავნიდა, და ასეთი პასუხი გასცა: „შენ მიბრძანებ, რომ ხელი ავიღო მეფობაზე, როშელიც შენ არ გიბოძებია ჩემთვის და მაღალმა ღმერთმა მომანიჭა. რა უფლება გაქვს შენ, ურჯულოს, წილი მოითხოვო იმ ქვეყანაში, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრია? იმიტომ კი არ გიგზავნი ძღვენს, რომ შენი მეშინია, არამედ მეგობრობის დასამყარებლად; თქვენ მაჰმადის რჯული გიჭირავთ, ჩვენ კი ჭეშმარიტი ღმერთი გვწამს. ტყუილად მემუქრები. ღმერთი არ ინებებს ჩემს დამარცხებას“.

სპარსეთის მეფემ ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ აღარ მიიღო მორთმეული ძღვენი და შემოუთვალა დინარას: „თუ გსურს დედოფლად დარჩე და ჩემი წყალობა დაიმსახურო, გიბრძანებ მომცე ყველაფერი და შენ მხოლოდ პერანგები დაიტოვო. თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ დავძრავ შენს წინააღმდეგ მთელ ჩემს ჯარს, ხელთ ვიგდებ შენს სამეფოს და დაგატყვევებ ყველა შენს დიდებულთან ერთად“.

დინარამ სპარსეთის მეფეს პასუხად მისწერა: „მრისხანე მეფეო, თუ შენ ესოდენ დიდი ჯარით გამოილაშქრებ სუსტი ქალწულის წინააღმდეგ. კიდეც რომ გაიმარჯვო, შენთვის სამარცხვინო იქნება უმწეო ბავშვზე გამარჯვება. და თუკი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამარჯვებას მომანიჭებს, თუ ჩემი ქალური ფეხი შენს მეფურ სხეულს დავადგი და თავი მოგკვეთე, ამით დიდ სახელს მოვიხვეჭ. მთელი ქვეყნიერება შეიტყობს ივერიის ქალთა დიდებას და სპარსელი მეფის სირცხვილს“.

მაშინ ადრამელეხი დიდძალი ჯარით დაიძრა მისი ქვეყნის წინააღმდეგ. დინარამ შეკრიბა თავისი დიდებულნი და მოუწოდა სალაშქროდ გამზადება. ისინი ყოყმანმა შეიპყრო და მოახსენეს დინარას: „როგორ ძალგვიძს წინააღმდეგობა გავუწიოთ ასეთ უთვალავ ჯარს, ასეთ ძალას?“ დინარამ შეახსენა მათ ბიბლიური გმირების სასახელო საქმენი — მცირერიცხოვანთა გამარჯვებანი მრავალრიცხოვან მტერზე, ღვთის შემწეობით. „ნუ მიეცემით სასოწარკვეთას, თუ არ შევიარაღდით ურჯულოთა წინააღმდეგ, თუ სარწმუნოებისათვის არ დავიხოცეთ, სულ ერთია დავიღუპებით და მონებად ვიქცევით. დავიღუპებით შერცხვენილნი ისე, რომ ჩვენი ხსოვნაც აღარ დარჩება.. როცა მზის დიდი მცხუნვარება მიწას გააშრობს,

ამის შემდეგ მიწა დიდხანს იქნება გამხმარი და უნაყოფო. ასევე შეიძლება დაემართოს ჩვენს გაფართოებულ სახელმწიფოს, გამრავლებულ ხალხს. როგორღა შევძლებთ ჩვენ კვლავ გაერთიანებას, თუ სპარსელები მას შეავიწროებენ და დაიმონებენ?... უკუაგდეთ ში-ში, გაიმსჭვალენით სიმამაცით! რაღას აყოვნებთ? და მეც, ქალწული, მოვდივარ თქვენთან ერთად, დავივიწყებ ქალურ სისუსტეს, აღვივსები მამაკაცური ძალით, შევიმოსები აბჯრით, თავზე მუსარადს დავიხურავ, ხმალს შემოვირტყამ და ხელში ავიღებ შუბს. წინ გაგიძღვებით და თქვენთან ერთად ვიბრძოლებ!"

ივერიის მთელმა მხედრობამ მოიყარა თავი, ხოლო დედოფალი შაბრენის მონასტრისაკენ გაეშურა ფეხშიშველი, წვეტიანი ქვებით მოკირწყლულ მძიმე გზაზე. მონასტერში მუხლებზე დაეცა ღვთისმშობლის ხატის წინ და მხურვალე ლოცვით შეევედრა მშობელი ქვეყნის უპირველეს მფარველსა და ქომაგს. შემდეგ ცხენზე შეჯდა და ასე მიმართა მხედრობას: „მეგობრებო და ძმებო, მე თქვენზე უწინარეს მსურს თავი დავდო სამშობლოსათვის და თუ თქვენც ასევე მოიქცევით, ღმერთი იყოს თქვენი შემწე და გფარავდეთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი!"

დინარა დაიძრა თავისი ჯარით სპარსეთის მეფის შესახვედრად. ფიცხელი ომი დამთავრდა ივერიის მხედრობის გამარჯვებით. სპარსეთის მეფე შეპყრობილ იქნა. მას თავი მოჰკვეთეს და შუბზე წამოაცვეს. მოხვეჭილ იქნა უთვალავი ალაფი. ძედიდურ მტერზე ბრწყინვალედ გამარჯვებული დინარა დაბრუნდა თავის ქვეყანაში...

რუსული თქმულება ივერიის დედოფალზე ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გახდა მეცნიერთა კვლევის საგანი. მისი შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით გამოჩენილ ქართველოლოგს მარი ბროსეს და ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მკვლევარს, აწ განსვენებულ იასე ციცაძეს. ხაზგასასმელია, რომ სწორედ მ. ბროსეს ნაშრომთა გამოქვეყნებამ გამოიწვია ძველი რუსული ლიტერატურის სპეციალისტთა ბუნებრივი ყურადღება და დაინტერესება, რომელიც დღემდე არ შენელებულა, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში.

თქმულების გაცნობისას მკითხველს მრავალი შეკითხვა შეიძლება წამოეჭრას, ზოგიერთ მათგანზე ამომწურავი პასუხია გაცემული, ზოგი კი ამოუხსნელი რჩება. მათი მხოლოდ ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. სანიმუშოდ დავიმოწმოთ ორიოდე მათგანი:

რატომ გადაკეთდა თამარის სახელი რუსულ თქმულებაში? (მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ „დინარა“, ძირითადად, უნდა გულისხმობდეს თამარ მეფეს): „თქმულება დინარაზე“ ბერძნულიდან არის ნათარგმნი თუ რუსული ლიტერატურის ორიგინალური ძეგლია? (საბოლოოდ, გაზიარებულია მეორე ვარაუდი); რატომ არის შეცვლილი თამარის მამის სახელიც? (ეგებ, სახელი „ალექსანდრე“ გიორგის ნაცვლად, გამოძახილია იმ ფაქტისა, რომ რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის ზეობის წლებში (1476 — 1511 წწ).

მ. ბროსე საკმაოდ ელემენტარულ ეჭვშარიტებას შეგვახსენებს, როდესაც წერს, რომ თქმულების გმირთა საკუთარი სახელების შეუსაბამობა რეალურად შესაძლებელ სახელებთან შედეგია ამ სახელთა უჩვეულობისა რუსი ავტორისათვის. მართლაცდა, მხატვრულ ნაწარმოებს როგორ მოვთხოვოთ სახელების სიზუსტე, როდესაც დიპლომატიურ მასალებში ძალზე ხშირად გვხვდება ხოლმე სახელთა გადაკეთება თუ დამახინჯება (ასე მაგალითად, ქართლის მეფე გიორგი X მოხსენიებულია, როგორც „იური“, ხოლო კახეთის რომელიღაც დიდებულს ეწოდება „სტოროზან“ და ეშმაკმა უწყის, რა ერქვა სინამდვილეში? ეგებ შერმაზანი, ეგებ სარიდანი და ა. შ.).

მ. ბროსე ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ თუ ვიხელმძღვანელებთ თქმულებაში გადმოცემულ ამბებსა და საქართველოს ისტორიის მონაცემებს შორის ზუსტი ანალოგიების ძებნის პრინციპით, ამით ვერაფერს მივაღწევთ, ვინაიდან „თქმულება დინარაზე“ მხატვრული ლიტერატურის ძეგლია და არა — საისტორიო თხზულება.

მ. ბროსე მიიჩნევდა, რომ რუსულ თქმულებაში ასახულია შამქორის ომი (1195 წ.), ითვალისწინებდა რა „ქართლის ცხოვრების“ სათანადო ცნობებს.

პირველად ი. ცინცაძემ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ხსენებულ ძეგლში ასახულია არა მარტო შამქორის ომი, არამედ თამარის ეპოქის სხვა ბრძოლებიც და მნიშვნელოვანი მოვლენებიც. ი. ცინცაძის მოსაზრებით, რუსულ თქმულებაში თავისი ადგილი უპოვია ბასიანის ომსაც. მკვლევარმა მთელ რიგ არგუმენტებთან

ერთად ისიც მიუთითა, რომ XII — XIII სს. ქართულ საისტორიო წყაროებში სახელწოდება „სპარსი, სპარსელი“ ვრცელდება თურქ-სელჩუკებზეც და იქვე დასძინა, რომ ეს ფაქტი მისთვის ცნობილი გამხდარა ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილთან საუბრების დროს.

„თქმულება დინარაზე“, ძირითადად, უნდა ასახავდეს ბასიანის ომსა და მის წინარე მოვლენებს ანუ რუქნადინისა და თამარის დაპირისპირებას. ამას მეტყველებს თქმულების უმთავრესი დეტალები: ელჩობათა გაცვლა-გამოცვლა, „სპარსეთის მეფის“ ძლიერება და წრესგადასული გულზვიადობა, რაც მხოლოდ და მხოლოდ რუქნადინის მაგალითით იქნებოდა შთაგონებული, იმ რუქნადინისა, რომელიც „უმაღლეს და უდიდეს იყო სხუათა ყოველთა სულტანთა“. რა თქმა უნდა, თქმულებაში მოტანილია ზოგიერთი დეტალი შამქორის ომის აღწერიდან. ისევე, როგორც აღნიშვნა ქართველთა მიერ თავრიზის აღებისა, რასაც ბასიანის ომიდან შვიდი წლის შემდეგ ჰქონდა ადგილი. მაგრამ რუსული თქმულების ლაიტმოტივი გახლავთ ქრისტიანული საქართველოს ბრძოლა მაჰმადიან აგრესორთან, რომელიც დაპყრობით ემუქრება მას და სასტიკად მარცხდება გადამწყვეტ ომში. თამარისდროინდელ საქართველოს ისტორიაში კი ასეთი მოვლენის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია რუქნადინის გამოლაშქრება საქართველოზე და ბასიანის ომი.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თქმულების ავტორს მარჯვედ შეურჩევია ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი ეპიზოდი საქართველოს ისტორიიდან და დაუმუშავებია იმ იდეათა შესაბამისად, რომლებიც აღელვებდა იმდროინდელი - რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას. თქმულებაში მოცემულია იდეალური ხახე ქვეყნის ბრძენი მმართველისა და სამშობლოს მამაცი დამცველისა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ, რუსი მემატიანის ცნობით, ყაზანის აღებისას (1552 წ.) თვით ივანე მრისხანემ თავისი ჯარის გასამხნევებლად წარმოთქმულ მგზნებარე სიტყვაში მისაბაძ მაგალითად დაასახელა ივერიის დედოფალ დინარას სიმამაცე.

მ. ბროსე აღნიშნავდა, რომ „თქმულება დინარაზე“, როგორც ჩანს, რუსეთში ძალზე მოსწონდათ და ხშირად იხსენიებდნენ ოფიციალურ აქტებში. ასე მაგალითად, 1619 წელს რუსეთში ელჩად წარგზავნილმა ქართველმა მიტროპოლიტმა ხარიტონმა მოახსენა რუსეთის ხელმწიფეს, რომ ყიზილბაშთაგან დევნილმა ფეიმურაზ

I-მა თავი შეაფარა იმერეთს და იქვე საჭიროდ ცნო განემარტა, რომ იმერეთი სწორედ ის მხარეა, „სადაც განისვენებს დედოფალ დინარას ნეშტი“ (მაშასადამე, იგულისხმება ქართული წყაროს ცნობა თამარ მეფის გელათში დაკრძალვის შესახებ). ეტყობა, ქართველმა ელჩმა კარგად იცოდა, რომ ოთხი საუკუნის წინათ გარდაცვლილი დედოფალი დინარა ანუ თამარ მეფე გაცილებით მეტად იყო ცნობილი რუსეთში, ვიდრე თანადროული იმერეთი.

ქართველი ელჩებისა თუ მეფეებისათვის კი რუსული თქმულება სახელოვან ქართველ დედოფალზე წარმოადგენდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებურ „სავიზიტო ბარათს“, როდესაც ისინი ჩადიოდნენ მოსკოვსა და პეტერბურგში მაჰმადიან აგრესორთა მიერ გარშემორტყმული საქართველოდან და ითხოვდნენ პოლიტიკურ დახმარებას. მაგრამ „დინარას“ წყალობით, ისინი უგვარტომო მთხოვნელები როდი იყვნენ, არამედ ავბედობის შედეგად გასაჭირში ჩავარდნილი ქვეყნის შვილები, იმ ქვეყნისა, რომელსაც ოდესღაც განაგებდა რუსეთში ესოდენ პოპულარული დედოფალი, მედგარი მედროშე მათი საერთო მტრის — მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში. „თქმულება დინარაზე“ რუსული საზოგადოების სიმპათიებს აღვივებდა ლეგენდარული მეფექალის შთამომავალთა მისამართით და ხელს უწყობდა პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას რუსეთსა და საქართველოს შორის.

ლტოლვილნი ბიზანტიიდან

XIII საუკუნის დამდეგს ანტიოქიიდან, კიპროსიდან და სხვა ადგილებიდან, სადაც ქართული სავანეები იყო, საქართველოში ქველმოქმედების სათხოვნელად ჩამოსულან ბერ-მონაზონნი, რომლებიც თამარ მეფეს ფულუხვად დაუსაჩუქრებია და კმაყოფილნი გაუსტუმრებია. კონსტანტინოპოლზე გავლისას ისინი დააკავა ბიზანტიის კეისარმა ალექსი III-მ (ანგელოსთა დინასტიიდან), ურცხვად გაძარცვა და საქართველოდან გატანებული „დიდძალი ოქრო“ მიითვისა.

ბუნებრივია, რომ კეისრის ასეთი უმსგავსო საქციელი საქართველოს მთავრობის აღშფოთებას გამოიწვევდა. თამარის მეორე ისტორიკოსი ანუ ბასილი ეზოსმოძღვარი გვაუწყებს:

თამარი „განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი... მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარ მეფისა შემოხვეწილი“.

ბიზანტიელი ისტორიკოსის მიქელ პანარეტოსის მიხედვით, თამარი ყოფილა ალექსის მამიდა (უფრო ზუსტად: „ძალუა მამის მხრიდან“). ამ ცნობასთან დაკავშირებით მკვლევართა საერთო დასკვნა ის არის, რომ XII საუკუნეში რომელიღაც კომნენოსს ცოლად ჰყავდა ბაგრატიონთა ასული, მაგრამ სახელდობრ რომელს— რომელი, ამაზე სხვადასხვა ვარაუდი არსებობს.

ალექსი კომნენოსის პაპა ანდრონიკე მიეკუთვნება ყველაზე კოლორიტულ ფიგურებს ბიზანტიის ისტორიაში. თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრებამ, უსაზღვრო სიმამაცემ და დაუშრეტელმა ენერგიამ დიდი პოპულარობა მოუხვეჭა თანამედროვეთა შორის. ანდრონიკე ვერ მოურიგდა ბიზანტიის კეისარს (თავის ბიძაშვილს)

და ხანგრძლივი ყარიბობა არჩია მის ქვეშევრდომობას. დაეხეტებოდა ერთი სამეფო კარიდან — მეორე სამეფო კარზე, ქრისტიანებთან თუ მაჰმადიანებთან. მოიარა რუსეთი, სირია, მესოპოტამია, კილიკიის სომხეთი.

XII საუკუნის სამოცდაათ წლებში საქართველოსაც ესტუმრა. ანდრონიკე ძალზე გულთბილად მიიღეს. ქართული წყარო გვამცნობს, რომ გიორგი III-მ „მისცა პატივი შესატყვისი სახლის-შვილობისა მისისა".

ბოლო ხანებში გამოთქმული ერთი ჰიპოთეზის თანახმად, სწორედ ანდრონიკეს პირველი ცოლი, რომლის ვინაობა დღემდე არაა დადგენილი, უნდა იყოს ბაგრატიონთა გვარიდან, კერძოდ გიორგი III-ის და, ე. ი. მამიდა თამარისა. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ანდრონიკეს შვილიშვილისათვის თამარ მეფე იქნებოდა მამის ბიძაშვილი, რაც ყველაზე მეტად ემთხვევა მიქელ პანარეტოსის თხზულებაში დამოწმებულ გამოთქმას. მაგრამ არსებობს ერთი სერიოზული დაბრკოლება, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ამ ვარაუდს. საქმე ისაა, რომ თამარის მამიდას, გათხოვილს ბიზანტიაში, საერთოდ არ იცნობენ ქართული წყაროები. ზემოხსენებული ჰიპოთეზის ავტორი გონებამახვილურად ცდილობს დაბრკოლების გადალახვას და მიუთითებს, რომ ქართული წყაროები არ იცნობენ თამარის არც იმ მამიდას, რომელიც რუსული ქრონიკის მიხედვით, კიევის ღიდ მთავარს იზიასლავს შეუთავსს ცოლად. ამასთან ერთად, საქართველოში განსაკუთრებული პატივით დახვედრა ანდრონიკესი გიორგი III-სა და მას შორის დამყარებულ მოყვრობაზე უნდა მეტყველებდესო.

მაგრამ არანაკლები პატივით დახვდებოდა საქართველოს მეფე თავის მკვიდრ მამიდაშვილს. ასეთი ნათესაური კავშირიც არ არის გამორიცხული. ჩვენში დღესდღეობით ყველაზე სარწმუნო ვარიანტად მიიჩნევენ, რომ დედა ანდრონიკესი იყო დავით აღმაშენებლის ასული. მისი წარგზავნა „ბერძენთა მეფის" რძლად აღნიშნულია ქართულ წყაროში („ბერძენთა მეფედ" ნაგულისხმევია ანდრონიკეს პაპა, კომნენოსთა დინასტიის ფუძემდებელი ალექსი I, თანამედროვე დავით აღმაშენებლისა). მაშინ გიორგი III და ანდრონიკე ყოფილან ბიძაშვილ-მამიდაშვილები, ხოლო ანდრონიკეს შვილიშვილისათვის თამარი იქნებოდა პაპის ბიძაშვილის შვილი.

ცხადია ამ შემთხვევაშიც შეიძლება ვაწოდოთ თამარს — ალექსის ძალუა მამის მხრიდან.

საქართველოში სტუმრობისას ანდრონიკემ მონაწილეობაც კი მიიღო ქართველი მეფის სამხედრო ლაშქრობაში.

ასე გადიოდა წლები. ბედმა სიბერეშიღა გაუღიმა ტახტის მაძიებელს. უკვე სამოც წელს იყო გადაბიჯებული ანდრონიკე, როდესაც კეისრობას ეღირსა.

კონსტანტინოპოლში ამბოხებამ იფეთქა და მისი ბიძაშვილი ტახტიდან ჩამოაგდეს. ანდრონიკემ ისარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით, სასწრაფოდ მიაშურა სატახტო ქალაქს და ხელთ იგდო ძალაუფლება.

ბიზანტიის ახალმა კეისარმა ქმედითი ზომები მიიღო სახელმწიფოში გაბატონებული კორუფციის აღმოსაფხვრელად. იგი ებრძოდა არისტოკრატიას, მფარველობდა საზოგადოების დაბალ ფენებს. სასტიკად სდევნიდა თანამდებობათა გაყიდვას, მოხელეთა თვითნებობას, შეამსუბუქა გადასახადების ტვირთი. ხალხმა ოდნავ მოითქვა სული. კონსტანტინოპოლის მოსახლეობა პირდაპირ აღმერთებდა ანდრონიკეს. ბიზანტიელი ისტორიკოსის სიტყვით, ვინც მისცეშდა კეისარს — კეისრისას, მას შეეძლო მშვიდად დაეძინა თავისი ხევების ჩეროში.

თანამედროვე მკვლევარნი ანდრონიკეს უწოდებენ „გლეხთა მეფეს“ და „დემოკრატიული მონარქიის“ შემქმნელს, მაგრამ ამასთან ერთად ადარებენ ჰირსსხლიან რიჩარდ III-ს, შექსპირის უკვდავი ტრაგედიის გმირს.

თავისი მტრების წინააღმდეგ ახალმა კეისარმა ულმობელი ტერორი გამოაცხადა; მისი ბრძანებით ამოწყვიტეს ყოფილი კეისრის ცოლ-შვილი და უახლოესი ნათესავები. მრავალი წარჩინებული შეიქნა რეპრესიების მსხვერპლი. საინტერესოა, რომ ანდრონიკე იშვიათად მიმართავდა საიდუმლო მკვლელობას. იგი საჯაროდ ასამართლებდა ბრალდებულთ.

მაგრამ გარეშე მტრებს ვერაფერი მოუხერხა ანდრონიკემ. სიცილიის ნორმანებმა ბიზანტიას წაართვეს თესალონიკა, უნგრელებმა — დალმაცია, დაკარგულ იქნა კიპროსიც. კეისარი ამაოდ სთხოვდა დახმარებას რომის პაპს, ვენეციელებს და ბოლოს — ეგვიპტის სულტან სალადინსაც კი. შიშმა შეიპყრო ბიზანტიის მოსახლეობა. ამით ისარგებლა ანდრონიკეს მიერ სასტიკად შევიწრო-

ებულმა და შეურაცხყოფილმა არისტოკრატიამ და ანგელოსთა საგვარეულოს მეთაურობით აჯანყება მოაწყო.

1185 წლის სექტემბერში ანდრონიკე ტახტიდან ჩამოაგდეს. მისი ადგილი შეთქმულების ორგანიზატორმა ისააკ ანგელოსმა დაიჭირა. ანდრონიკემ გაქცევა სცადა, მაგრამ მიაგნეს და სასტიკი წამებით მოკლეს.

ანდრონიკეს მცირეწლოვანი შვილიშვილები ალექსი და დავითი გადააჩრჩინეს ერთგულმა მომხრეებმა და კონსტანტინოპოლიდან გააპარეს. პატარა ლტოლვილებმა თავშესაფარი ჰპოვეს საქართველოში, თამარ მეფის კარზე. უფროსი ძმა ალექსი მხოლოდ სამი წლისა იყო. ძმებმა ქართულად აიდგეს ენა და საქართველო გახდა მათი მეორე სამშობლო. საქართველოში მიიღეს განათლება და საქართველოშივე შეისწავლეს სამხედრო საქმე. როგორც აღნიშნავენ, ალექსი და დავითი ქართული ცხოვრებისა და ქართულ შეხედულებათა გავლენის ქვეშ იზრდებოდნენ და ოცი წლის ასაკში, უთუოდ, ქართველ დიდებულებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ბიზანტიელნ. პაპის, მამისა და ბიძის სიკვდილის შემდეგ ისინი იყვნენ ბიზანტიის ტახტის კანონიერი მემკვიდრენი, მაგრამ თავისი უფლებების აღდგენაზე ოცნებაღა შეეძლოთ. კონსტანტინოპოლში ანგელოსთა დინასტია ბატონობდა...

1195 წელს ისააკ ანგელოსი ტახტიდან ჩამოაგდო საკუთარმა ძმამ, თვალები დათხარა და თვითონ დაეპატრონა სამეფო გვირგვინს. არც ახალ კეისარს ალექსი III-ს გააჩნდა უნარი, რომ ეხსნა სახელმწიფო მძიმე კრიზისისაგან. ბიზანტიის იმპერია სულს ღაფავდა. კეისრის ხელისუფლება შერყეული იყო გაუთავებელი შეთქმულებებითა და ამბოხებებით. მიუხედავად უზარმაზარი გადასახადებისა, ხაზინა დღითი დღე ცარიელდებოდა. ალექსი III-ის სისუსტემ და სიხარბემ დაუკარგა ბიზანტიას ის მცირე პრესტიჟიც, რომელიც კიდევ შერჩენოდა გარე სამყაროს თვალში („ალექსი ანგარი" — ასე გვაცნობს ხსენებულ კეისარს ქართული წყარო).

სახელმწიფოს ხრწნა და რღვევა უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა. საზოგადოების მაღალ წრეებში გამქრალი იყო პატრიოტიზმი, აღარ არსებობდა ცნება ღირსებისა და პატიოსნებისა. სრული გულგრილობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიმართ და მხოლოდ პირად ბედნიერებაზე ზრუნვა, მხოლოდ საკუთარ სია-

მოვნებათა დაკმაყოფილების შეუზღუდველი სურვილი — აი, რით გამოირჩეოდნენ იმდროინდელი ბიზანტიელი მოღვაწენი.

1201 წელს ალექსი III-მ საპყრობილიდან გამოუშვა თავისი ძმისწული და სეხნია — ახალგაზრდა ალექსი, ძე თვალდათხრილი ისააკისა და ლაშქრობაში წაიყვანა. ალექსიმ მოახერხა გაქცევა კეისრის სამხედრო ბანაკიდან. ჯაშუშებს რომ არ ეცნოთ, დასავლურ ყაიდაზე დაიყენა თმა, დასავლური სამოსელი ჩაიცვა და იტალიისაკენ მიმავალ ხომალდზე ამოჰყო თავი. ჯერ რომის პაპს ეახლა და დახმარებას შეევედრა. მისი ორჭოფული პასუხის გამო უშუალოდ დაუკავშირდა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მესვეურებს.

ალექსი ითხოვდა შემწეობას უზურპატორის დასამხობად. იგი დაჰპირდა ჯვაროსნებს, რომ ტახტზე თუ აიყვანდნენ მას, სამაგიეროდ გადაუხდიდა ორასი ათას მარკას ვერცხლით, უზრუნველყოფდა ერთი წლის სამყოფი სურსათით, თვითონაც შეუერთდებოდა იერუსალიმზე ლაშქრობას ათი ათასი ბერძენი მეომრითურთ და, რაც მთავარია, ბიზანტიის ეკლესია ამიერიდან დაემორჩილებოდა რომის პაპს (ჯვაროსანთა წინაშე ალექსის შუამდგომლობდა მისი დის ქმარი, გერმანიის იმპერატორი ფილიპე).

დასავლეთ ევროპის პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობათა წარუმატებლობის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ბიზანტიის კეისრების სისტემატური ორგულობა. ამტკიცებდნენ, რომ ბიზანტია მხარს უჭერდა მაჰმადიანებს დასავლეთის ქრისტიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ყველანაირად აყენებდა ზიანს ჯვაროსნების მიერ აღმოსავლეთში დაარსებულ სამეფო-სამთავროებს. ვენეციელი ვაჭრები და გერმანელი ბარონები კბილებს ილესავდნენ ბიზანტიის იმპერიაზე, მისი მიწა-წყლისა და გზების ხელში ჩაგდებას ოცნებობდნენ და აი ახლა მშვენიერი საბაბი ეძლეოდათ იმისათვის, რომ გაეწყვეტინათ ძველი ანგარიშები თავის მტერ-მოყვარეებთან.

ჯვაროსნებმა ხალისით აღუთქვეს დახმარება ბიზანტიელ ლტოლვილს. 1202 წელს დაიდო შეთანხმება ზემოჩამოთვლილი პირობების საფუძველზე.

ასე იცვალა გეზი მეოთხე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ. ვენეციელთა ფლოტმა იერუსალიმის ნაცვლად კონსტანტინოპოლს მიაყენა საომრად გამზადებული ჯარი. 1203 წელს ჯვაროსნებმა ალყა შემოარტყეს ბიზანტიის სატახტო ქალაქს. ალექსი III-მ სცადა ძო-

რიგება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბიზანტიელებმა ძლივს მოავროვეს ოციოდე დამპალი და ჭიანჭამი ხომალდი. ამასობაში მათი ფლოტის ადმირალი გართული იყო აფრების, ღუზებისა და ლურსმნების გაყიდვით!

ჯვაროსნებს მაინცდამაინც არ გასჭირვებიათ გადატრიალების მოწყობა კონსტანტინოპოლში. ალექსი III გაიქცა. კეისრად გამოაცხადეს თვალდათხრილი ისააკ ანგელოსი.

ჯვაროსნებმა დაპირებულის გადახდა მოსთხოვეს ისააკსა და მის ძეს. ისინი ეკლესიის საუნჯესაც კი გადასწვდნენ, თანხის ნახევარი ჩააბარეს ჯვაროსნებს და შეევედრნენ, ცოტა ხანს კიდევ ეცლიათ.

ურთიერთობა ჯვაროსნებსა და ანგელოსებს შორის გამწვავდა. 1204 წლის იანვარში ბიზანტიელები გზავნიან ხომალდებს ვენეციელთა ფლოტის წინააღმდეგ. „ასე გვიხდის სამაგიეროს ალექსი?“— დრტვინავდნენ ჯვაროსნები.

ამავე დროს მოსახლეობის ანტიპათიასაც იწვევდა ჯვაროსანთა წყალობით გამეფებული მამა-შვილი: ისააკი და ალექსი IV. მწიფდებოდა ამბოხება. ორ ცეცხლს შუა მოქცეულმა ისააკმა ისევ ჯვაროსნები ამჯობინა და მოუწოდა შემოსულიყვნენ კონსტანტინოპოლში წესრიგის დასამყარებლად. მაგრამ უკვე გვიანი იყო. შეთქმულებმა მარჯვედ გამოიყენეს ხალხის ანტილათინური განწყობილება და ანგელოსთა დინასტია დაამხეს. ისააკმა ვეღარ გადაიტანა ამდენი უბედურებანი და სული განუტევა. ალექსი IV ჯერ საპყრობილეში ჩასვეს და ცოტა ხნის შემდეგ ისიც მამის კვალს გაეყოლეს.

ბიზანტიის კეისარი გახდა ალექსი დუკა ანუ ალექსი V. ჯვაროსნებმა იცოდნენ, რომ ახალი კეისარი გულშიაც არ გაივლებდა ახალგაზრდა ალექსი ანგელოსის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას. მაშასადამე, აზრი ეკარგებოდა მთელ ლაშქრობას და გაწეულ ხარჯებს. საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება. ჯვაროსნები არც შეყოყმანებულან და არც დაყოვნებულან. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

1204 წლის 13 აპრილს ჯვაროსნებმა აიღეს კონსტანტინოპოლი და გაუგონარი ძარცვა-გლეჯა გააჩაღეს ქალაქში.

დასავლეთში მთელი ერთი საუკუნე სწამებდნენ ბიზანტიას

ჯვაროსანთა საქმის ღალატს და ევროპელთა მახვილი, სახიფათოდ რომ ეკიდა ბიზანტიის თავზე, ბოლოს და ბოლოს ძირს დაეშვა.

საფრანგეთიდან წამოსული მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა დამთავრდა კონსტანტინოპოლში. დამთავრდა ისე, რომ ერთ შეიარაღებულ მაჰმადიანსაც კი არ შესტაკებია.

ვიღას ახსოვდა იერუსალიმი! კონსტანტინოპოლის აღება გაცილებით იოლი აღმოჩნდა, ვიდრე იერუსალიმისა და უზარმაზარი ნადავლი თითქმის უბრძოლველად მოიხვეჭეს ჯვაროსნებმა (იმდროინდელ მსოფლიოში კონსტანტინოპოლი ითვლებოდა უმდიდრეს ქალაქად. ამბობდნენ, მსოფლიო საუნჯის ორი მესამედი კონსტანტინოპოლშია, ხოლო ერთი მესამედი მთელი დედამიწის ზურგზე არის მიმოფანტულიო).

ასე დაესვა წერტილი ოდესღაც ძლევამოსილ ბიზანტიის იმპერიას (ნახევარი საუკუნის შემდეგ აღდგენილი სახელმწიფო მისი აჩრდილიღა იყო.)

ბიზანტიის კეისართა ტახტზე დაჯდა ჯვაროსნების ერთ-ერთი წინამძღოლი ბალდუინ ფლანდრიელი.

...საქართველოს ურთიერთობა ანგელოსთა დინასტიასთან თავიდანვე დაძაბული უნდა ყოფილიყო. თამარს, კომნენოსთა ნათესავს, ცხადია ახსოვდა, რომ ისინი სწორედ ანგელოსებმა დაამხეს. თავის მხრივ ანგელოსებმა იცოდნენ, რომ საძულველი ანდრონიკეს შვილიშვილები საქართველოში იყვნენ გახიზნული, სამეფო კარზე იზრდებოდნენ და პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდნენ კეისრისათვის, ვინაიდან კომნენოსთა დინასტია ხალხის თვალში ბიზანტიის ბრწყინვალე წარსულს განასახიერებდა.

ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა, როდესაც ალექსი III დაბარბდა ბერ-მონაზონთა ოქროს, ნაწყალობევს თამარისაგან.

საქართველოში იმასაც მშვენივრად ხედავდნენ, რომ ბიზანტიის იმპერიის დამხობა კარზე იყო მომდგარი.

1204 წლის აპრილში ქართული მხედრობა დაიძრა ტრაპიზონისაკენ და იოლად დაეუფლა საქართველოს მოსაზღვრე ვრცელ ტერიტორიას, რომელიც ძირითადად ლაზებით იყო დასახლებული.

ე. წ. ლათინური იმპერიის გვერდით შეიქმნა ტრაპიზონის საკეისრო. ამდენი მაჰმადიანური ქვეყნებით გარშემორტყმულ საქართველოს ახალი მეზობელი შეეძინა, ერთგული და ერთმორწმუნე

მოკავშირე. ბაგრატიონთა ნათესავი ალექსი კომნენოსი გახდა ტრაპიზონის პირველი კეისარი.

ალექსისა და მისი ძმის საბოლოო მიზანი იყო დაბრუნება კონსტანტინოპოლში და ბიზანტიის კეისართა ტახტზე კომნენოსთა დინასტიის აღდგენა, მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა.

ორნახევარი საუკუნის მანძილზე არსებობდა ტრაპიზონის საკეისრო, რომელიც გადაიქცა ბერძნული კულტურის შესანიშნავ ცენტრად. თვით ტრაპიზონი წარმოადგენდა ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქს აღმოსავლეთში და ყველგან იყო ცნობილი როგორც „თავი და თვალი აზიისა“.





ლომი ბრჭალთაგან

ბასილი ეზოსმოძღვარი თავის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ აბბობდა, თუ მომავალი თაობანი თამარის მეფობის სიდიადეს არ დაიჯერებენ, ასეთმა ურწმუნოებმა დაე გაიხსენონ თამარის დროს ქართველთა მიერ აღებული ციხენი და ქალაქნი, შემომტკიცებული მხარეები და უშიშროების მოსახვეჭად თითქმის ორჯერ გავრცობილი საზღვრები ქვეყნისა, დაე გაიხსენონ „ერაყამდის მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარაღამდის“ და მაშინ უსათუოდ დარწმუნდებიან, რომ მატიანეთა საამბობი სრულ ჭეშმარიტებას შეიცავსო.

ავტორის მსჯელობას ეპიგრაფივით უძღვის ბრძნული აფორიზმი: „გარნა ლომი ბრჭალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან.“ ამ სიტყვებით უპასუხებს მემატიანე მომავლის სკეპტიკოსებს და გულისტკივილით წარმოთქვამს, თამარის დიდებულ საქმეთა სათითაოდ ჩამოთვლა ისევე ძნელი არის, როგორც ადამიანის თავზე ყოველი თმის ღერის აღრიცხვაო.

...ბასიანის ომში რუმის სულტნის რუქნადინის სასტიკმა დამარცხებამ ქართული მხედრობის სახელს უძლეველობის შარავანდედი მოჰფინა. კადნიერებით აღსავსე და მრისხანედ აზვავებული მტერი უკუგდებულ იქნა. „მთასავით მაღალ“ საომარ ცხენზე ამხედრებულმა რუქნადინმა თავისი გულის წადილი ვერ აისრულა და გაქცევით უშველა თავს. „ვარსკვლავებივით მრავალრიცხოვანი“ მისი ლაშქარი გაიფანტა და ფეხდაფეხ დაედევნა კუდამოძუებულ მბრძანებელს.

გამოხდა მცირეოდენი ხანი და დასავლეთის ჯვაროსნებმა ბოლო მოუღეს ბიზანტიის იმპერიას. მისი ადგილის დაკავება აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში მხოლოდ საქართველოს ძლიერ სა-

ხელმწიფოს შეეძლო. ისლამს სხვა მოპირდაპირე ჯერჯერობით არავინ ჰყავდა აღმოსავლეთში.

მშვიდობა სუფევდა ყველგან და მტერი თითქოსდა არსაიდან ემუქრებოდა ამაყად თავაწეულსა და მხრებგაშლილ ქვეყანას. მართალია, მგელი და ცხვარი ერთად როდი ძოვდა მაშინდელ საქართველოში, სოციალური სამართლიანობის დამყარებაზე ოცნებაც კი ნაადრევი იყო, მაგრამ მშვიდობიანი ცხოვრება თავისთავად დიდ შვებასა და შეღავათს წარმოადგენდა მშრომელი ხალხისათვის.

სისხლისმღვრელ ომებში მოხვეჭილი მშვიდობის დარღვევას, როგორც ჩანს, თამარის მეუღლის დავით სოსლანის სიკვდილმა მისცა ბიძგი. საქართველოს მეზობლებმა, ეტყობა, იფიქრეს, ჩვენი მძლავრობის დრო დადგაო და არდებილის სულტანი მოულოდნელად თავს დაესხა ანისს, მოძმე სომეხი ხალხის სახელგანთქმულ ქალაქს, რომელიც საქართველოს სამეფოს საზღვრებში შემოდიოდა. მომხდურნი ელვისებური სისწრაფით დაეუფლნენ ანისს. აღდგომის დღესასწაული დგებოდა და ქალაქის მცხოვრებთ ეკლესიებში მოეყარათ თავი. თორმეტი ათასი კაცი იმსხვერპლა ბარბაროსულმა ხოცვა-ჟლეტამ.

თამარის ბრძანებით არდებილისაკენ დაუყოვნებლივ დაიძრა ქართული მხედრობა. აიღეს ქალაქი არდებილი და შური იძიეს ანისში ჩადენილი მხეცობისათვის.

არდებილიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს მხედართმთავარნი წარუდგნენ თამარ მეფეს და მოახსენეს იმდროინდელი ირანის დაქსაქსულობა და უძლურება; მოუწოდეს ახალი ლაშქრობა მოეწყო, რათა საიმედოდ განამტკიცებინათ ქვეყნის უშიშროება, ეჩვენებინათ მეზობელი მაჰმადიანური სამფლობელოებისათვის თავისი ძალა და ღონე, არც ერთს რომ აღარ გასჩენოდა ცდუნება საქართველოზე ყაჩაღური თავდასხმისა.

თამარმა გააცნო მხედარმთავართა გაბედული გეგმა საქართველოს მთავრობას და ნება-დასტური მიიღო. ყველანი შეუდგნენ მზადებას შორეული ლაშქრობისათვის. შემოდგომაზე საუცხოოდ გაპრწყობილი და შეიარაღებული ჯარი შეიკრიბა თბილისში. ღიმილით უმზერდა მეფე თავისი მხედრობის აღლუმს, გულს უხარებდა მეომართა სიჩაუქე და საბრძოლო მზადყოფნა. თამარმა სამეფოს დროშა ჩააბარა ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელს და ქართული მხედრობა გაუდგა გზას შორეული ხორასნისაკენ.

ხორასნის ლაშქრობის აღწერილობას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ქართველი მემატიანე გადმოგვცემს ქართული მხედრობის მთელ მარშრუტს, ზუსტად ასახელებს გეოგრაფიულ პუნქტებს, დაწვრილებით მოგვითხრობს საომარ ეპიზოდებს. მისი სიტყვით, ქართულ მხედრობას აუღია შემდეგი ქალაქები: მარანდი, თავრიზი, მიანა, ზანგანი, აბჰარი, ყაზვინი, გურგანი. ქართველებმა კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მიაღწიეს! მოხვეჭილ იქნა უზარმაზარი ალაფი: ოქროვერცხლი და თვალ-მარგალიტი.

ლაშქრობის დასახული გეგმა წარმატებით განხორციელდა. ყველამ, მტერმაც და მოყვარემაც, კიდევ ერთხელ შეიტყო საქართველოს სამხედრო ძალების ძლიერება და სიმტკიცე. ეს იყო აგრესორთა ხმამაღალი გაფრთხილება.

ქართველი მემატიანენი თითქმის ერთნაირი გამოთქმებით გამოხატავენ თავიანთ აღტაცებას და განცვიფრებას. ერთი ამბობს, ესოდენ შორეული ქვეყნები ქართველთაგან ჯერ არავის დაულაშქრავსო. მეორე კვერს უკრავს, იმსიშორეზე გაილაშქრეს, სადაც ქართველთა სახელი არც კი სმენოდათო. მესამე აღნიშნავს, არასოდეს გაგონილა საქართველოში ძველი დროიდან აქამდის, რომ ქართველებს ერაყი და ხორასანი დაერბიოთო.

გულუხვი ეპითეტებით ამკობენ ხსენებულ ლაშქრობას: ხან „დიდი ლაშქრობა“ ეწოდება, ხანაც ძლევამოსილი, ანდა ბრწყინვალე, გაუგონარი, განუმეორებელი, ფანტასტიკური. და ყოველთვის ადვილი მისახვედრია, რომ იგულისხმება სწორედ ხორასნის ლაშქრობა, რომლის მსგავსი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. მართლაც, ასე შორს არასოდეს წასულა საქართველოს ჯარი, ამდენი ცნობილი ქალაქი ერთად არასოდეს აუღია და ამხელა ალაფი არასოდეს მოუხვეჭია.

ერთი უცხოელი მეცნიერი იმასაც კი წერს, ქართულმა მხედრობამ თითქმის გიჟური ნახტომი გააკეთა თვით ხორასნის საზღვრებამდეო!

შიშობდა ქართველი მემატიანე, მომავალი თაობანი არ დაიჯერებენ თამარის ზღაპრულ საქმეებს და ჩვენი ნაამბობის სიმართლეში დაეჭვდებიანო.

კაცმა რომ თქვას, უსაფუძვლო როდი იყო მემატიანის შიში.

აბა როგორ დაეჯერებინათ ოთხი საუკუნის შემდეგ თავრიზსა და ყაზვინში ტყვედ ჩაყვანილ ქართველებს ხსენებულ ქალაქთა აღება-თამარის მხედრობის მიერ. ოთხი საუკუნის შემდეგ თავრიზ-ყაზვინის ხილვა დატყვევებულ ქართველებსღა შეეძლოთ. ზოგი მათგანი თავისი ნიჭისა და სიმამაცის წყალობით ერთ ან მეორე ქალაქის გამგებელიც კი ხდებოდა ანდა იქაური ჯარის სარდალი, მაგრამ თათრული ჰქონდა უკვე სახელი, სარწმუნოებაც, ტანსაცმელიც და ზნე-ჩვეულებაც. ავიწყდებოდა დედაენა და როგორღა უნდა წაეკითხა „ქართლის ცხოვრება", სადაც წინაპართა საგმირო საქმეები იყო მოთხრობილი...

დღესაც კი შეეპარებათ ხოლმე ეჭვი, ხორასნის ლაშქრობა თამარის ისტორიკოსის ფანტაზიის ნაყოფს ხომ არ წარმოადგენსო?

ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, დასახელებული თხზულება არც ერთ სხვა საუკეთესო ქართულ საისტორიო ძეგლს არ ჩამოუვარდება, დიდი ნდობის ღირსიც არის და ისტორიისათვის ძვირფას წყაროდ უნდა ჩაითვალოს. ამასთან, თამარის ისტორიკოსი მართლის-მთქმელი და პირუთვნელი მემატიანეა, მისი ცნობების ღირსებისა და ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მრავალი მკაფიო მაგალითის მოტანა შეიძლება.

სხვა ქართული წყაროებიც ლაკონიურად ადასტურებენ „ისტორიანსა და აზმანში" ვრცლად გადმოცემულ ამბავს. ასე მაგალითად, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე წერს: „დალეწნეს სპარსეთისა ქალაქნი, და მარანდი ამოსწყვიდეს და ერანის ქვეყანა. ესდენად სიშორესა შინა მივიდენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა". დამოწმებულ ნაწყვეტში აღნიშნული „სპარსეთისა ქალაქნი" და „ერანის ქვეყანა" აშკარად მიგვანიშნებს, რომ იგულისხმება სწორედ ის დიდი ლაშქრობა, რომელსაც აღწერს თამარის პირველი ისტორიკოსი. ამას თვალნათლივ ადასტურებს მარანდის დასახელება. აღებულ ქალაქთაგან მხოლოდ და მხოლოდ მარანდის მითითება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ხსენებული წყაროს თანახმად ქართული მხედრობა იქაურობას არ გასცილებია. გამოთქმა „ესდენად სიშორესა შინა მივიდენ" მეტყველებს, რომ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე გაცილებით შორეულ მხარეებს გულისხმობს, ვიდრე მარანდი იყო.

მიუხედავად ასეთი მოწმობისა, ეჭვი ეჭვად რჩება და კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ხორასნის ძლევამოსილ ლაშქრობას.

უცხოური წყაროს დასტურს მართლაც ოქროს ფასი ექნებოდა. თამარის ისტორიკოსი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ქალაქ მარანდის აღებას. სწორედ მარანდთან გაიმართა ყველაზე სერიოზული ბრძოლა და ქართველთაგან მარანდის აღებამ თურმე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა თავრიზელებზე, რომ მათ უომრად დამორჩილება არჩიეს. ზემოთ ჩამოთვლილ ქალაქთაგან, როგორც ჩანს, მარანდის აღებას ჰქონია ყველაზე დიდი გამოძახილი, ვინაიდან უცხოური წყაროებიც, ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანის მსგავსად, ქართველთა მიერ მარანდის აღებას აღნიშნავენ.

სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის სიტყვით, ზაქარია და ივანე მხარგრძელნი გაუძღვნენ მრავალრიცხოვან ჯარს მარანდისაკენ, აიღეს ეს ქალაქი და ააოხრეს მისი მიდამოები. დიდძალმა ხალხმა თავი შეაფარა მეჩეთს. ზაქარიას ბრძანებით, მაჰმადიანთა სამლოცველოს ცეცხლი წაუკიდეს. ავტორი გვამცნობს, რომ ამირსპასალარს ასეთი სისასტიკე შურისძიების გრძნობამ უკარნახა.

კირაკოს განძაკეცის თხრობას თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა არანაკლებ ცნობილი სომეხი მემატიანის ვარდანის თხზულებაში მოცემული აღწერილობა ქალაქ არდებილის აღებისა. ჩანს, კირაკოსსაც არდებილის აღება უნდა ჰქონდეს მოთხრობილი და მარანდის სახელს შეცდომით მიუთითებს, ვინაიდან თამარის პირველი ისტორიკოსის თანახმად, შურისძიებით გამოწვეული რეპრესიები ჩატარდა სწორედ არდებილში. ეტყობა, მარანდის აღებაც ჰქონდა გაგონილი კირაკოს განძაკეცს და ამიტომ ახსენა მისი სახელი, ოღონდ სრულიად სხვა ამბავს დაუკავშირა.

მარანდის აღებას მოიხსენიებენ აღმოსავლური წყაროებიც.

რაშიდ ად-დინი თავის თხზულებაში აღნიშნავს, რომ ხვარაზმშაჰი ჯალალედინი დაიძრა საქართველოზე შურისძიების მიზნით, რადგანაც მანამდე ქართველებმა მაჰმადიანთა ზოგიერთი ოლქი დაარბიესო (მათ შორის მითითებულია ქალაქი მარანდი).

არაბი გეოგრაფი იაკუთი გვაუწყებს, რომ ცნობილი ქალაქი მარანდი დაქვეითების გზას დაადგა მას შემდეგ, რაც ქართველებმა ააოხრეს ქალაქი და ტყვედ წაიყვანეს მცხოვრებთა დიდძალი რაოდენობა.

ეს არის უაღრესად ძვირფასი საბუთი ქართული მხედრობის ლაშქრობაზე ირანში.

კიდევ უფრო ძვირფასი საბუთი მოიპოვება იბნ ხალიქანის ბიოგრაფიულ ლექსიკონში. მისი თხზულება იმით არის ღირსშესანიშნავი და საინტერესო, რომ ავტორი ამჯობინებს გადმოგვცეს რომელიმე დამახასიათებელი ეპიზოდი მაჰმადიანურ სამყაროში ცნობილი პიროვნების შესახებ, ვიდრე მთელი მისი ცხოვრების თხრობით თავი მოაბეზროს მკითხველს. იბნ ხალიქანის სიტყვაძუნწობას თავისი მიზეზი ჰქონდა. იმ ხანებში უკვე არსებობდა მისი მეგობრისა და მასწავლებლის, გამოჩენილი არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის საყოველთაოდ აღიარებული საისტორიო თხზულება, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით შეიცავდა საჭირო ინფორმაციას და ძალზე პოპულარული იყო მაჰმადიანურ სამყაროში. ბუნებრივია, რომ იბნ ხალიქანს არ სურდა იბნ ალ-ასირის ნაშრომის ერთგვარი განმეორება. მისმა ბიოგრაფიულმა ლექსიკონმა განსხვავებული და მიმზიდველი სახე მიიღო და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა არაბულ მწერლობაში...

ქალაქ არბელაში, არცთუ ისე შორს მარანდიდან, ცხოვრობდა ერთი სწავლული. სახელად იზადინი ერქვა და სარწმუნოებით მაჰმადიანი იყო. არავის არაფერს უშავებდა, გამოირჩეოდა გონიერებითა და პატიოსნებით, კეთილსინდისიერად ეკიდებოდა თავის საქმეს. არ შურდა მეზობლის დოვლათი, გულს არ უკლავდა სხვისი ხეირი და იღბლიანობა. მაგრამ მტერი მაინც მეტი ჰყავდა, ვიდრე მოყვარე. სხვისა არაფერი შურდა სხვებს კი ყველაფერი შურდათ მისი. ბრიყვს — მისი სიბრძნე, ბოროტს — მისი სიკეთე. ერთ მშვენიერ დღეს დააბეზღეს ქალაქის გამგებელთან, შენი მოსპობა სწადია, თვითონ სურს ქალაქის ბატონ-პატრონი გახდესო. დაჟინებით ურჩიეს, დროზე შეიპყარ, თორემ ავაზაკებს დაიქირავებს და ძალაუფლებას ხელიდან გამოგტაცებსო. ავაზაკებთან არასოდეს ჰქონია საქმე იზადინს, წიგნისა და კალმის მეტი სხვა არაფერი იცოდა ამ ქვეყნად. სიზმარშიც არ მოელანდებოდა ქალაქის გამგებლის სასახლე და ძალაუფლება. ერთიცა და მეორეც შორს იყო მისგან, ათასჯერ უფრო შორს, ვიდრე მოციმციმე ვარსკვლავები. მაგრამ ეჭვიანმა ქალაქის გამგებელმა ყური ათხოვა. ცილისწამებას და დაუყოვნებლივ ვააძევა არბელადან უიღბლო სწავლული.

იზადინმა მეზობელ ქალაქ მოსულში ჰპოვა თავშესაფარი და ლუკმა-პური. სწავლულთა სამყაროში მას კარგად იცნობდნენ და

პატივსა სცემდნენ. მისი მეგობარი იყო თვით იაკუთი — გამოჩენილი არაბი გეოგრაფი. მან ბაღდადიდან მისწერა ლტოლვილ იზადინს: „ნუ შეგაშინებს მტერთა ძალადობა, დაე გამოთქვან გულში ჩამარხული სიძულვილი. ის ჟამიც დადგა, როცა გაიძულეს შენი მიწა-წყლის მიტოვება, რადგან შეგნიშნეს ღირსება და ნიჭი, თვითონ რომ არ გააჩნიათ. ამგვარადვე სძულთ შავბნელ ყორრებს თეთრი შევარდენი და შურთ მისი შეფერილობა“.

ირკვევა, რომ სწორედ იმ წელს, როდესაც იზადინი გააძევეს ქალაქ არბელადან, აუღიათ ქართველებს მარანდი. იბნ ხალიქანი ამბობს: „ქართველებმა გაძარცვეს ქალაქი, ამოჟლიტეს მცხოვრებთა ნაწილი და წაიყვანეს ტყვეობაში დანარჩენნი“.

გაძევებული სწავლულის ვაჟიშვილს სახელდახელოდ ლექსი შეუთხზავს, რომელშიც ირონიულად შენიშნავს: მარანდის აღებისას „ურჯულო“ ქართველების სისასტიკე როგორ უნდა გაგიკვირდეს, როდესაც მართლმორწმუნე მაჰმადიანებმა თავისი საამაყო სწავლული გააძევეს მშობლიური ქალაქიდან და ოჯახი აუწიოკესო.

აი, ასეთი წვლილი შეიტანა მაჰმადიანი სწავლულის ცხოვრების ერთმა ეპიზოდმა ქართული წყაროს სიმართლის დასადგენად.



უტყუარი მოწმენი

...იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისაო, მწუხარედ შენიშნავს ძველი ქართველი მემატიანე თამარის გარდაცვალების გამო. მაგრამ დღემდე საკამათოდ ითვლება, თუ სახელდობრ რომელ წელს გამოეთხოვა წუთისოფელს უპირველესი და უდიადესი ქართველ ქალთა შორის.

პირდაპირ თვალი აგიჭრელდებათ, როდესაც ვადაფურცლავთ ჩვენს მეცნიერთა შრომებს და ამ მოვლენის სხვადასხვანაირ დათარიღებას წააწყდებით. რომელი თარიღიც გნებავთ, ის შეგხვდებათ, დაწყებული 1201 წლიდან და დამთავრებული 1216 წლით. საოცარია, არა? თითოეული ავტორი სხვადასხვა წყაროს ეყრდნობა, მაგრამ წყაროთა შორის თანხმობა არ არის, თითოეული მათგანი ჯიუტად დგას თავისაზე და განსხვავებულ თარიღს გვაწვდის.

უცხოურ წყაროებს აბა რა უნდა მოვკითხოთ, როდესაც თვით ქართული წყაროები არ გამოირჩევიან ერთსულოვნებით. ასე მაგალითად, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე აღნიშნავს, რომ თამარი გარდაიცვალა 1207 წელს; ჟამთააღმწერლის ცნობით, „რაჟამს მიიცვალა თამარ, იყო ლაშა თვრამეტისა წლისა“, მაშასადამე ეს იქნებოდა 1210 ან 1211 წელი. ხოლო თამარის პირველი ისტორიკოსის მიხედვით, თამარ მეფის გარდაცვალების თარიღი დაახლოებით 1213 წელი უნდა იყოს.

რომელი წყაროა მართალი და რომელი მცდარი, ამის გასარკვევად ამაოდ დავშვრებით. ჭეშმარიტება ჩაიკარგება ქაღალდის მთებსა და მელნის ზღვაში.

ერთი თარიღის საიდუმლოება კვლავაც საიდუმლოებად დარჩებოდა, რომ არ არსებობდეს საისტორიო მეცნიერების დამხმარე დარგი — ნუმიზმატიკა. საიდან წარმოდგება ეს სიტყვა? ბერძნუ-

ლად „ნომიზმა“ (ლათინურად „ნუმიზმა“) ფულს ჰქვია. ფულის ნიშნის ანუ მონეტის შემსწავლელ მეცნიერებას ეწოდება ნუმიზმატიკა.

მონეტას ორი მხარე აქვს: შუბლი და ზურგი. შუბლზე თავსდება გამოსახულებათა ან ზედწერილთა მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაწილი, ხოლო ზურგზე — მეორეხარისხოვანი ზედწერილები და გამოსახულებანი. მათი ყოველმხრივი შესწავლის შედეგად ნუმიზმატები ავსებენ ჩვენს ცოდნას იმ ეპოქის შესახებ, როდესაც გამოუშვეს ესა თუ ის მონეტა, ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას იმ ქვეყნების შესახებ, სადაც ეს მონეტა იყო მიმოქცევაში.

საყოველთაოდ არის ცნობილი ბერძენი მოქანდაკის პრაქსიტელეს ქანდაკება, რომელიც გამოსახავს ძველ ბერძენთა ვაჭრობის ღმერთს ჰერმესს ყრმა დიონისეთი მარცხენა ხელში (დიონისე ღვინისა და ვენახის ღმერთად ითვლებოდა). ჟამთა სიავემ მარჯვენა ხელი შემოამტვრია ჰერმესს. გაჩნდა კითხვა: ნეტავი რა ეჭირა მას მარჯვენა ხელში? ფიქრობდნენ, ყურძნის მტევანი ეჭირაო; მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდი იყო და ვარაუდადვე დარჩებოდა, რომ არ აღმოეჩინათ მონეტა, რომელზედაც გამოსახული იყო სწორედ ეს ქანდაკება: ჰერმესს აწეულ მარჯვენა ხელში მართლაც ყურძნის მტევანი ეჭირა და უჩვენებდა ყრმა დიონისეს.

მონეტას თავისი წვლილი შეაქვს შორეული წარსულის სურათების აღდგენისახ. ასეა ყველგან, ასეა ჩვენშიც.

„ქართული ნუმიზმატიკური ძეგლები ზუსტად და პირუთვნელად ასახავს ჩვენი წინაპრების ბედ-იღბალს და ჩვენი ქვეყნის გმირულ, რთულ თავგადასავალს“, — აღნიშნავდა ცნობილი ქართველი ნუმიზმატი დ. კაპანაძე.

ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ერთი მაგალითი, რომელსაც ხშირად იმოწმებენ.

VI საუკუნეში აღმოსავლეთი საქართველო სასანურ ირანს ემორჩილებოდა და, ბუნებრივია, რომ მიმოქცევაში იხმარებოდა სასანური მონეტა. მის შუბლზე გამოსახული იყო ირანის შაჰის ბიუსტი, ხოლო ზურგზე — ცეცხლთაყვანისმცემელ სასანელთა ემბლემა, საკურთხეველზე აგიზგიზებული ცეცხლი, რომელსაც ორი შეიარაღებული მცველი დარაჯობს. დროთა მსვლელობაში მონეტა თანდათან იცვლიდა სახეს. ირანის შაჰის გამოსახულების გვერდით

ქართველ მეფეთა სახელები გაჩნდა, ხოლო საკურთხეველზე აგიზ-გიზებული ცეცხლის ადგილი დაიჭირა ჯვარმა (ეს ეროვნული ემ-ბლემაც იყო ქართველებისათვის). მონეტამ ზუსტად და თანმიმდევ-რობით ასახა სასანურ ირანთან ბრძოლის დასაწყისიც და დასას-რულიც.

რომ არ მოგვეპოვებოდეს წერილობითი წყაროები საქართვე-ლოში ხვარაზმელთა შემოსევაზე, ნუმიზმატიკური მასალა გვეტ-ყოდა თავის სათქმელს და მიგვახვედრებდა ჩვენი ქვეყნის ისტო-რიაში მომხდარ უბედურებას.

არსებობს მონეტა, რომელიც არც გარეგნულად და არც შინა-არსით ქართული არ არის, მაგრამ იგი მოჭრილია თბილისის ზარაფ-ხანაში და მასზე აღბეჭდილია სახელი ავად სახსენებელი ჯალალე-დინისა. მონეტის შუბლზე ეკითხულობთ: „სულტანი უზენაესი“, ხოლო ზურგზე ასეთი ზედწერილია: „განადიდოს ღმერთმან დიდე-ბა მისი განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“.

როგორც ჩანს, თბილისის აღების შემდეგ, ხვარაზმშაჰ ჯალალე-დინს, სხვა ნადავლთან ერთად, ხელში ჩაუვარდა სახელმწიფო ხა-ზინა, რომელიც საკუთარი მონეტების მოსაჭრელად გამოიყენა (ხვარაზმელთაგან თბილისის აღებისა და მონეტის მოჭრის თარიღი ერთი და იგივეა, სახელდობრ 1226 წელი.) ჯალალედინის ბრძანე-ბით ქართული ფულის მთელი მარაგი თბილისის ზარაფხანაში ხე-ლახლა გადაამუშავეს, თითოეულ მონეტას ახალი სიქა დაარტყეს და ქართველ მეფეთა მონეტები გადააქციეს „უზენაესი სულტნის“ მონეტებად.

ხვარაზმშაჰმა თავისი გულის წადილი მხოლოდ მონეტაზე აის-რულა. საქართველოს მეფის ქვეშევრდომთა გადაქცევა „უზენაესი სულტნის“ მონებად შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგრამ პირწმინდად ვერც მონეტები დაიმონა სისხლისმსმელმა გადამთიელმა. უცხო მფლობელის საკუთრებად ქცეული, სახეშეცვლილი და ხმაჩახშო-ბილი მონეტები მაინც ახერხებენ ყრუდ მოგვაწვდინონ ხმა და თავისი ნამდვილი წარმოშობა გვამცნონ.

დიახ, ისინი ჯიუტად ებღაუჭებიან თავის „ქართველობას“. ხსე-ნებულ მონეტებზე ჯალალედინის სიქის ქვეშ ხშირად არის შე-

მორჩენილი ლაშა-გიორგისა ან თამარის ფულის დაუზიანებელ წარწერათა ნაწყვეტები.

„გამაჰმადიანებულ“ მონეტებს არ დავიწყებიათ, თუ ვის ემსახურებოდნენ და ვის ადიდებდნენ. მძვინვარე დამპყრობელს ვერ ამოუშანთავს მათი მეხსიერებიდან ბრწყინვალე წარსული.

ქართული მონეტები ლაკონიურად მოგვითხრობენ იმ საშინელ ტრაგედიას, თავს რომ დაატყდა საქართველოს XIII საუკუნეში. ქვეყნის ბედ-იღბალთან ერთად, სულ მოკლე ხანში, მკვეთრად იცვლება მონეტის გარეგნობა და ზედწერილების შინაარსი. თუ თამარისა და ლაშა-გიორგის მონეტებზე მოთავსებული ზედწერილები გამოირჩევა ამაყი ტიტულებითა და მედიდური ეპითეტებით („მეფე მეფეთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, მესიის მახვილი...“), მათი უახლოესი მემკვიდრეების მონეტათა ზედწერილები შებღალულია დამამცირებელი ეპითეტებით (მაგალითად, „მსოფლიოს მფლობელის ყაენის მონა, დავით მეფე“), რომლებიც შეუნიღბავად და გულწრფელად ღაღადებენ აყვავებული სახელმწიფოს თავბრუდამხვევ დაქანებას ძლევამოსილების მწვერვალიდან დაკნინების უფსკრულში.

ხშირად მონეტაზე მოთავსებული ზედწერილები ისეთ ცნობებსაც შეიცავს, რაც მატიანეში არ შემონახულა. გარდა ამისა, მონეტას, როგორც წყაროს, ის უპირატესობა აქვს, რომ იგი სახელმწიფო საბუთია, მოღწეული ჩვენამდე უცვლელი სახით, ხშირ შემთხვევაში — მრავალ ეგზემპლარად. იგი არ დაუმახინჯებია გადამწერის კალამს, იგი არ არის გამსჭვალული ისტორიკოსის მიკერძოებით და დაზღვეულია მისი უნებური შეცდომებისაგან თუ შეგნებული სიყალბისაგან. მონეტა ძუნწად, მაგრამ ობიექტურად ასახავს ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას.

მონეტაზე აღბეჭდილი ზედწერილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს თარიღი, რომელიც მონეტის მოჭრის დროს მიგვითითებს. მაშასადამე, მონეტის ზედწერილები ძვირფასი მასალა ყოფილა ქრონოლოგიისათვის.

ქართველმა აღმოსავლეთმცოდნემ გ. ჯაფარიძემ ერთი თარიღის საიდუმლოების ამოსახსნელად ყურადღება მიაქცია ნუმიზმატიკურ მასალას და ახალი შუქი მოჰფინა ამ მართლაც ბურუსით მოცულ საკითხს.

მკვლევარის მიერ შესწავლილი ნუმიზმატიკური მასალა გადაჭრით უარყოფს ზოგიერთ წყაროში მოცემულ თამარის გარდაცვალების თარიღს (1207 წ.); თამარი რომ ცოცხალია 1207 წლის შემდეგაც, ამას თვალნათლივ ამტკიცებს 1210 წელს მისი სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტები.

მონეტის შუბლზე მოთავსებული თამარის ხელრთვის გარშემო არის ზედწერილი ქართული ასომთავრულით (დაქარაგმებულად): „სახელითა ღვთისათა იქნა ჭედაი ვერცხლისი ამის ქორონიკონსა ულ" (ქორონიკონი ულ ანუ 430 უდრის 1210 წელს); ნუ გაგიკვირდებათ, რომ სპილენძის მონეტა მონათლულია „ვერცხლად". ეს სიტყვა იმ ხანებში აღნიშნავდა ფულსაც.

მონეტის ზურგზე მოთავსებულია ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დიდი დედოფალი, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ ასული გიორგისა, მესიის შემწე, ანმტკიცოს ღმერთმან ძლევანი მისი." გარშემო ასევე არაბულად: „ამრავლოს ღმერთმან დიდება მისი, გაახანგრძლივოს მისი მფარველობა და შემწე იყოს მისი წარმატებისა" (ქართულ მონეტაზე არაბულ ზედწერილს იმიტომ ათავსებდნენ, რომ ეს ფული გავრცელებულიყო მთელს მაჰმადიანურ სამყაროში).

წარმოუდგენელია თამარის სახელის რაიმე მიზეზით გაჩენა 1210 წელს მოჭრილ მონეტებზე, თუკი ის 1207 წელს გარდაიცვალა.

მონეტის მოჭრის უფლება სახელმწიფოს ეკუთვნოდა. თვით საქართველოს ხელისუფლება 1210 წელს მოჭრილი თამარ მეფის მონეტით გვაუწყებს საუკუნეთა სიღრმიდან, რომ თამარი ნამდვილად ცოცხალია 1210 წელს.

ნუმიზმატიკური მასალის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს თამარის გარდაცვალების უტყუარი თარიღი, რადგანაც არსებობს ლაშა-გიორგის მიერ 1210 წელსვე მოჭრილი სპილენძის მონეტები.

მონეტის შუბლზე ვკითხულობთ: „გიორგი, ძე თამარისა", გარშემო კი წერია: „სახელითა ღვთისითა იქნა ჭედაი ვერცხლისი ამის ქორონიკონსა ულ" (ე. ი. 1210 წელს): მონეტის ზურგზე არაბული ზედწერილია: „მეფეთა მეფე, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი თამარის ძე, მესიის მახვილი".

ლაშა-გიორგის სახელითაა მოჭრილი იმავე ულ (430) ქორონიკონით დათარიღებული სხვა ტიპის მონეტაც, რომელზეც არის მითითებული აგრეთვე ჰიჯრის (ანუ მაჰმადიანური წელთაღრიცხვის) თარიღი, სახელდობრ 606 წელი. იგი იწყება 1209 წლის 6 ივლისს და მთავრდება 1210 წლის 24 ივნისს. მაშასადამე, ხსენებული მონეტის მოჭრის დრო 1210 წლის პირველი ნახევარი ყოფილა.

ამრიგად მოგვეპოვება 1210 წლით დათარიღებული მონეტები, როგორც თამარისა, ასევე ლაშა-გიორგისა. დედა-შვილის მონეტები წარმოადგენს დამოუკიდებელ სამონეტო ტიპებს. ერთი თამარს აცხადებს მეფეთა მეფედ, ხოლო მეორე — თამარის ძეს ლაშა-გიორგის.

იმდენად დამაჯერებლად ითვლებოდა თამარის გარდაცვალების აღიარებული თარიღი (1213 წ.), რომ ერთმა ფრიად გამოცდილმა ნუმიზმატმა ლაშა-გიორგის მონეტის საფუძველზე დაასკვნა, 1210 წელს თამარმა ძალაუფლება გადასცა თავის ვაჟიშვილს და თვითონ კი მონასტერში აღიკვეცაო!

ლაშა-გიორგის საკუთარი სახელით მონეტის მოჭრა შეეძლო სახელმწიფო გადატრიალების ანდა დედის სიკვდილის შემდეგ. თამარის ტახტიდან ჩამოგდებისა და „მონასტერში აღკვეცის" თაობაზე არავითარი, არც სარწმუნო და არც საეჭვო საბუთი არ გაგვაჩნია. ლაშა-გიორგის მონეტის მოჭრის მიზეზად უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ და მხოლოდ თამარ მეფის გარდაცვალება.

ყოველ დიდსა თუ მცირე სახელმწიფოში მმართველის პირველი საზრუნავი იყო ეხილა თავისი სახელი მონეტაზე. ფული სწრაფად ვრცელდებოდა ბაზარში, ვაჭრებს მიჰქონდათ შორეულ ქვეყნებში.

დედის გარდაცვალების შემდეგ ლაშა-გიორგიმ, სამონეტო საქმეში არსებული წესის თანახმად, დაუყოვნებლივ მოჭრა საკუთარი მონეტა, რომელიც ამცნობდა ქართულ და არაქართულ მოსახლეობას, საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში და მის გარეთაც, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა ახალი მონარქი.

გ. ჯაფარიძის დასკვნით, ნუმიზმატიკური მასალა თვალნათლივ და ეჭვმიუტანლად მეტყველებს, რომ თამარ მეფის გარდაცვალება და ლაშა-გიორგის გამეფება მომხდარა 1210 წლის პირველ ნახევარში.

ზემოხსენებული თარიღის უტყუარი და პირუთვნელი მოწმენი — სპილენძის მონეტები მიწაში როდი მარხია, ისინი მუზეუმშია დაცული, ნუმიზმატიკურ ნაშრომებში არიან აღწერილი. ასეთ ფასდაუდებელ მოწმეთა არაფრად ჩაგდება მხოლოდ ღალატი იქნებოდა ჭეშმარიტებისა.



ეპისტოლე ფრანგი რაინდისა

მოდიოდა მეცამეტე საუკუნე — მშფოთვარე და შემზარავი, სისხლიან-ქარიშხლიანი საუკუნე. ენით აუწერელი ვაება და გლოვა ელოდა ქვეყნიერებას. ცენტრალური აზიის სტეპებში დაბადებული წარღვნა უკვე ფეხს იდგამდა და სადაცაა წალეკავდა მთასა და ბარს, სოფელსა და ქალაქს, სასახლეებსა და ქოხებს, მდიდარს და ღარიბს, მაჰმადიანსა და ქრისტიანს, სულიერსა და უსულოს.

ველური ყიჟინითა და ფლოქვების თქარათქურით მოდიოდა მეცამეტე საუკუნე, სისხლიან-ქარიშხლიანი საუკუნე, მონღოლთა საუკუნე.

მაგრამ ცოტაოდენი დრო კიდევ დარჩენილა მონღოლებამდე და დასავლეთ ევროპას ჯერჯერობით იერუსალიმის ბედი აფიქრებს. მეოთხე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ვერაფერი უშველა მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილ „წმიდა ქალაქს". ვენეციელთა მეცადინეობით ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლის აღება არჩიეს სირია-პალესტინის მცხუნვარე მზის ქვეშ ბრძოლას. დაძაბუნებული ბიზანტია უფრო მიმზიდველი საკბილო იყო, ვიდრე აიუბიანთა ღონიერი სახელმწიფო.

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა დამთავრდა კონსტანტინოპოლში და რომის პაპი უკვე ოცნებობდა მეხუთე ლაშქრობაზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იერუსალიმში უნდა დამთავრებულიყო.

ინოკენტი III, ახალგაზრდა და მგზნებარე პაპი, ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ მოუწოდებდა დასავლეთ ევროპის მეფე-მთავრებს. იგი მოითხოვდა მათგან ენერგიული ნაბიჯების გადადგმას ქვეშევრდომთა საბრძოლო სულისკვეთების ასაღორძინებლად. რომის პაპი მთელ თავის სამწყსოს შეახსენებდა ათასობით ქრის-

ტიანთა მწარე სვედრს, სარკინოზთა საპყრობილეებში რომ იტანჯებოდნენ. იგი აფრთხილებდა ყველა ძორწმუნეს, მაჰმადიანები მალე ქალაქ აკრასაც აიღებენ და იერუსალიმის საძეფოს საშთებში შეიჭრებიანო.

რომის პაპი დაუღალავად მოუწოდებდა დასავლეთ ევროპის ქალაქებსა და სოფლებს, ფეოდალებსა და გლეხებს — გამოეყოთ ჯვაროსნული ლაშქრობისათვის იმდენი მეომარი, რამდენსაც კი შეძლებდნენ და გაეღოთ სამი წლის სამყოფი მარაგი იარაღისა თუ სურსათ-სანოვაგისა. რომის პაპი მოუწოდებდა საზღვაო ქალაქებს, გაემზადებინათ ხომალდები ჯვაროსანთა გადასაყვანად დასავლეთ ევროპიდან პალესტინაში. იგი უბრძანებდა ეპისკოპოსებს, აბატებს და მთელ სამღვდელოებას, დაუყოვნებლივ დაეწესებინათ ყოველთვიური რელიგიური პროცესიები, მხურვალედ შეევედრებოდნენ უფალს, შეუნდე შენს უღირს შვილებს ყველა ცოდვა და იერუსალიმი დაგვიბრუნეო.

ტაძარში მორჩილად მუხლმოყრილი მლოცველნი სასოებით უსმენდნენ მომაჯადოებელ გალობას. ტკბილად ჟღერდა მუსიკა, მაგრამ სიტყვები იყო მწარე და ეკალივით ჩხვლეტდა მლოცველთა სმენას. ტაძრის თაღები გუგუნით იმეორებდნენ სამოცდაძეცხრამეტე ფსალმუნის მოთქმა-გოდებას: „ღმერთო, შეევიდეს წარმართნი სამკვიდრებელსა შენსა და შეაგინეს ტაძარი წმიდა შენი. დაასხეს მძორები მონათა შენთა საჭმლად მფრინველთა ცისათა და ხორცნი წმიდათა შენთანი მხეცთა ქვეყანისათა. დასთხიეს სისხლი მათი ვითარცა წყალი გარემოს იერუსალემსა და არავინ იყო მფარველ მათდა. ვიქმნენით ჩვენ საყვედრელ მოძმეთა ჩვენთა, საცინგლ და საიცხელ გარემოსთა ჩვენთა. ვიდრემდის, უფალო, განრისხნე სრულიად, და აღატყდეს, ვითარცა ცეცხლი, შური შენი?“...

წერილს წერილზე წერდა დაუზარებელი რომის პაპი, მაგრამ უშედეგოდ და უნაყოფოდ იხარჯებოდა მისი შთაგონებული მოწოდებანი. რომის პაპი აუწყებდა დასავლეთის ქრისტიანებს, რომ ყველ მათგანს მიუტევებდნენ თვით უმძიმეს ცოდვებსაც კი, მიუტევებდნენ უკლებლივ ყველას, ვინც ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამდა. მაგრამ მორწმუნენი მაინცდამაინც არ იტკივებდნენ თავს საკუთარ ცოდვებზე ფიქრით. ყოველ ეკლესიაში სალარო დაეწესებინათ ჯვაროსნული ლაშქრობი-

სათვის საჭირო თანხის შესაგროვებლად, მაგრამ ეს სალაროები დროულად ვერ ივსებოდა. საკუთარ ფულს საიმედოდ ინახავდნენ საკუთარ ცოდვებთან ერთად.

რომის პაპმა მაჰმადიან სულტნებსაც გაუგზავნა წერილები კაიროსა და დამასკოში. ამცნობდა მათ, რომ ჯვაროსნები მალე აისხამენ იარაღს ქრისტეს საფლავის სახსნელად და არწმუნებდა, გიჯობთ მშვიდობიანად დაგვითმოთო იერუსალიმი. ამავე დროს, პაპმა გაუმბილა თავის სამწყსოს ახლად „ამოსსნილი" საიდუმლოება: ისლამი აპოკალიფსში მოხსენიებული მხეცია, მაშასადამე ეკვსას სამოცდაექვსი წელიწადი უნდა იარსებოს და აქედან ექვსასმა უკვე ჩაიარაო. უეჭველია, მრავალი მისი მსმენელთაგანი გულში ფიქრობდა, თუ ეს სიტყვები ჭეშმარიტებას წარმოადგენს, კიდევ სამოცდაექვსი წელიწადი დაგვრჩენია, რომ მშვიდად და უდარდელად გავატაროთო.

ძალზე ძნელი იყო ჯვაროსნული სულის ხელახლა გაღვიძება დასავლეთში. როგორც ალი, ხმელ ჩალას რომ ააბრიალებს, მძვინვარედ იფეთქებდა ხოლმე აღტყინება და თვალის ერთ დახამხამებაში ქრებოდა იმავე ალივით. „წმიდა ქალაქი" იერუსალიმი ნელნელა იშლებოდა ხალხის მეხსიერებაში. იგი გადაქცეულიყო ძვირფას მოგონებათა ქალაქად, რომელსაც ამშვენებდა წარსულის გმირული მითები, ბრწყინვალე სახელები გოტფრიდისა და ტანკრედისა, მაგრამ აწმყო და ლეგენდარული ქალაქი თითქოსდა სხვადასხვა ენებზე მეტყველებდნენ და ერთიმეორისა არაფერი ესმოდათ.

საეკლესიო წრეებში თანდათანობით მწიფდებოდა აზრი, რომ იერუსალიმის ქრისტიანული სამეფოს უბედურებანი და ჯვაროსნულ ლაშქრობათა მარცხი გამოწვეული იყო ქრისტეს მხედართა არცთუ უცოდველი ცხოვრებით. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროიდანვე ეკლესია გულმოდგინედ ცდილობდა ჩაენერგა ჯვაროსნებში სურვილი ცოდვათაგან განწმენდისა. რელიგიური პათოსით გამოწვეული ლაშქრობის მონაწილისათვის უპირველესი ვალდებულება უნდა ყოფილიყო მისი პირადი უმწიკვლობა. მაგრამ ეკლესია ამაოდ ფლანგავდა თავის მჭევრმეტყველებას. ათასგვარი სამარცხვინო სასჯელით ემუქრებოდნენ ცოდვილთ, მაგრამ არაფერი არ ჭრიდა. მუქარას არავინ უგდებდა ყურს. არც

ამქვეყნიური სამსჯავრო აშინებდათ და არც ჯოჯოხეთში მოხვედრის საფრთხეს უწევდნენ ანგარიშს.

ხანდახან იმასაც კი ამტკიცებენ. რომ გვიანდელი ხანის ექსპედიციებში ერთ ჭეშმარიტად ღვთისმოსავ ჯვაროსანზე მოდიოდა ოთხმოცდაცხრამეტი ვაიჯვაროსანი, წამოსული ლაშქრობაში ან ბრძოლის სიყვარულით, ან თავისი ბატონის ინტერესებისათვის ანდა თავგადასავალთა საძიებლად. ზოგს სურდა თავის დაძვრენა ყმობიდან, ზოგსაც — მომბეზრებელი ოჯახური უღლიდან. ზოგს იზიდავდა ძარცვა-გლეჯის ფართო ასპარეზი, ზოგსაც — ლაღი ცხოვრება. ერთი სიტყვით, იყო მრავალი სხვადასხვა მიზეზი ლაშქრად წასვლისა, მაგრამ ეკლესიის მესვეურთა თვალსაზრისით, არც ერთი მათგანი არ შეეფერებოდა ჯვაროსნებსა და ჯვაროსნულ იდეას. ამიტომაც მიეწერებოდა ლაშქრობათა მარცხი ღვთის განრისხებას ჯვაროსანთა ცოდვებსა და ავკაცობაზე.

შექმნილი ვითარების შედეგად რამდენიმე ხუცესმა საფრანგეთსა და გერმანიაში ახალი ქადაგება გააჩაღა. ისინი მოუწოდებდნენ ბავშვებს, შეესრულებინათ ის საპატიო მისია, რომლის შესრულება არ ძალუძდათ მათს მამებს — გამოუსწორებელი უზნეობის გამო. ხუცესები ჰპირდებოდნენ გულუბრყვილო ბავშვებს, რომ ზღვა გადაიქცეოდა ხმელეთად, რათა ისინი ჩასულიყვნენ პალესტინაში, რომ სარკინოზებს სასწაულებრივი პანიკა შეიპყრობდა ბავშვების ლაშქრის დანახვაზე, რომ უფალი მხოლოდ უძანკო ბავშვთა ხელით განახორციელებდა დასავლეთის ქრისტიანთა უწმინდეს მიზანს და იერუსალიმიდან განიდევნებოდნენ წარმართნი.

ათასობით ბავშვი გამოეხმაურა მოწოდებას. ამბობენ, რომ მათი რიცხვი ორმოცდაათი ათასს აღწევდა. ისინი გატაცებით უსმენდნენ ხუცესთა მგზნებარე ქადაგებას, სჯეროდათ მათი ცრუ სასწაულები, მათი მისტიკური ხილვანი და მათი ოპტიმისტური წინასწარმეტყველებანი.

და დაიძრნენ აურაცხელი გოგო-ბიჭები ხმელთაშუა ზღვისაკენ. მარსელისა და გენუის გზები სავსე იყო „ჯვაროსანი" ბავშვებით. ისინი ცალობდნენ ჰიმნებს და როდესაც ხალხი ეკითხებოდა მათ, საით გაგიწევიათო, თამამად და რიხიანად უპასუხებდნენ, იერუსალიმს მივდივართ, ქრისტეს საფლავი უნდა ვიხსნათო.

მათი რიცხვი ყოველ სოფელსა და ქალაქში იზრდებოდა. სასოწარკვეთილი მშობლები ატუსაღებდნენ შვილებს, ისინი მაინც

ახერხებდნენ გაქცევას. ბავშვებს არა ჰქონდათ ფული, არ გააჩნდათ სურსათ-სანოვაგე, არ ჰყავდათ წინამძღოლი. ისინი თავს იჩენენდნენ მოწყალებით და მართლაც რომ ღვთის ანაბარად დარჩენილნი ჯიუტად აგრძელებდნენ გზას. ბავშვთა ლაშქარს კვალდაკვალ მისდევდა მღვრიე მდინარე სინდისგარეცხილი ადამიანებისა, რომლებიც სვავებივით ჩნდებიან ყოველგვარი ლაშქრის ზურგში. ურცხვი ნაძირალები ძარცვავდნენ და რყვნიდნენ ბიჭებსა და გოგონებს, და სანამ ხმელთაშუა ზღვას მიაღწევდა პატარა „ჯვაროსანთა“ ლაშქარი, მრავალთა და მრავალთა უბიწოება სამუდამოდ გამქრალიყო.

ორი მთავარი ნაკადი მიედინებოდა ხმელთაშუა ზღვისაკენ. პირველმა გაიარა გერმანია, გადალახა ალპები და გენუის მიცარცულებით აიღო გეზი. გზაში ბევრჯერ გაძარცვეს ისინი და წაართვეს მოსახლეობისაგან მიღებული საჩუქრები. სიცხე და შიმშილი უმოწყალოდ ათხელებდა უჩვეულო ჯვაროსანთა რიგებს. მრავალი მათგანი დაიღუპა, მრავალმა გზიდან გადაუხვია. როდესაც ჩაღწიეს იტალიას, ისინი მიმოიფანტნენ საჰმელ-სასმელის საძიებლად.

საბოლოოდ გენუაში ჩავიდა მხოლოდ **შვიდი ათასი ბავშვი.** ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში ელოდნენ დაპირებულ სასწაულს. გადაჰყურებდნენ ხმელთაშუა ზღვას და სულგანაბულნი ფიქრობდნენ, აი ახლა განიპობა წყალი და გზას მოგვცემსო. მაგრამ სასწაული, რასაკვირველია, არ მომხდარა. ზღვა რჩებოდა ზღვად. წყალი არ განპობილა. ხოლო სვლა „ზღვასა ზედა“, მიუხედავად დიდი რწმენისა, ბავშვებს არ ძალუძდათ. ისინი ვერ გაცდნენ იტალიას. ჯვაროსან ბავშვთა მცირე ნაწილი, წარმოშობით დიდგვაროვანთა წრიდან, გენუის წარჩინებულმა მოქალაქეებმა წაიყვანეს საკუთარ ოჯახებში. დანარჩენნი, იმედგაცრუებულნი და გულგატეხილნი, გაუდგნენ გზას შინისაკენ. ბრუნდებოდნენ ფეხშიშველნი და ძონძებში გახვეულნი. მათ აღარავინ ეგებებოდა ზარ-ზეიმით. პირიქით, მასხრად იგდებდნენ და დასცინოდნენ მშრალზე დარჩენილ „ჯვაროსნებს“. საჩუქრებს ვინ ჩივის, ლუკმა პური ენატრებოდათ და მშიერ-მწყურვალნი ძლივსღა მილაწლასებდნენ გრძელ გზაზე.

ასეთი იყო გერმანელ ბავშვთა ლაშქრობის დასასრული. მაგრამ ფრანგებს კიდევ უფრო უარესი დღე დაადგათ. არც ერთი მათგანი არ დაბრუნებულა სამშობლოში.

მარსელში ჩასვლისას მათი რიგები ისევე შეთხელებული იყო, როგორც გერმანელებისა. ისინიც, გერმანელ ბავშვთა მსგავსად. იმედგაცრუებულნი დარჩნენ. არც მარსელში მომხდარა სასწაული. ხმელთაშუა ზღვას ფიქრადაც არ მოსვლია ხმელეთად გადაქცევა. ბეჯითი ლოცვა და გალობა ვერ შეამოკლებდა შორეული პალესტინის გზას. ჯვაროსან ბავშვებსა და საოცნებო ქვეყანას შორის მრისხანე ზღვა გადაშლილიყო. ალბათ, ფრანგ ბავშვებსაც უკან გაბრუნება ეწერათ, მაგრამ უეცრად ბედმა გაულიმა გულგატეხილებს. თითქოსდა სასწაულის სხივი აელვარდა უიმედობის სიბნელეში. გამოჩნდა ორი ვაჭარი, რომლებიც აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწეობდნენ და საკუთარი ხელისგულივით იცოდნენ იქაურობა. მედიდურად იდგნენ მათი ხომალდები ნავსადგურში. ვაჭრები წუთითაც არ შეყოყმანებულან, მყისვე დაჰპირდნენ ბავშვებს უფასოდ წაყვანას პალესტინაში. სამაგიეროს უფალი გადაგვიხდისო, ასე ჯანუცხადეს მათ ღვთისმოსავ ბავშვებს. ისინიც, ოღ თქმა უნდა, სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ ესოდენ მომხიბლავ წინადადებას. მოულოდნელი წარმატება მართლაც რომ უფლის წყალობას ჰგავდა. კიდევ უფრო მტკიცედ იწამეს თავისი ზეშთაგონებული მისია, ჩვენს ჯვაროსნულ ლაშქრობას ნამდვილად მამაზეციერი დაჰკანკალებსო.

და აი, მარსელის ნავსადგურიდან ერთმანეთს მიჰყვა პატარა ჯვაროსნებით სავსე შვიდი ნომალდი. ბავშვები შეუსვენებლივ გალობდნენ ჰიმნებს და ამაყად აფრიალებდნენ პაწია დროშებს.

ხომალდები აღმოსავლეთისაკენ მიცურავდნენ. ცხადია, ბავშვებმა არ იცოდნენ, რომ ამ ორი „ქველმოქმედი" ვაჭრის მთავარი საქმიანობა იყო ქრისტიანი ბავშვების მოტაცება და გაყიდვა ეგვიპტეში, ქალაქ ალექსანდრიის ბაზარზე. ახლა კი არც დასჭირვებიათ მოტაცება, მზამზარეულად ჩაუვარდათ ხელში უამრავი ბავშვი. გზაში ორი ხომალდი ზღვამ ჩაყლაპა, მაგრამ ვაჭრები მაინც უდიდეს მოგებას ნახავდნენ. ხუთი ხომალდი ჩაიყვანეს ალექსანდრიაში და შაჰმადიანებს მამასისხლად მიჰყიდეს საფრანგეთში მუქთად ნაშოვნი ბავშვები.

რა აღწერს ასე უნამუსოდ გაცურებული პატარა რაინდების სასოწარკვეთას!

ორმოცი ყმაწვილი თვით ეგვიპტის სულტანმა შეიძინა, რათა

საგანგებოდ გაეწვრთნა ისინი და რჩეული მეომრებით შეევსო თავისი პირადი გვარდია.

ამიერიდან ისინი უნდა აღეზარდათ მაჰმადიან მეომრებად და იერუსალიმის გათავისუფლების მიზნით სამშობლოდან წამოსულნი სულ მოკლე ხანში თვითონვე თავგანწირვით დაიცავდნენ იმავე იერუსალიმს მაჰმადიანთა მხარდამხარ და ქრისტეს საფლავის სახსნელად ამხედრებულ ევროპელ მოძმეთა სისხლს წარბშეუხრელად დაღვრიდნენ...

პატარა ჯვაროსნები ურცხვად მიჰყიდეს მაჰმადიანებს.

ასე დამთავრდა უჩვეულო ჯვაროსნული ლაშქრობა. პირველი და უკანასკნელი იყო იგი — ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა (თუკი ლაშქრობა, და თანაც ჯვაროსნული, ეთქმის ამ გაუგონარ ტრაგიკომედიას).

...ჯვაროსანთა გაჭირვება სირია-პალესტინაში ქრონიკულ ხასიათს იღებდა. ბედმა თითქოსდა სამარადისოდ შეაქცია ზურგი ქრისტეს მხედრებს. იერუსალიმის სამეფო თვით იერუსალიმის გარეშე იყო დარჩენილი და ფაქტიურად ზღვის სანაპიროსღა შეიცავდა. ჯვაროსანთა სამხედრო ახალშენებსა და ციხე-ქალაქებს გარდუვალი საფრთხე ემუქრებოდა. სალადინის დაწყებული საქმე, გადასული მის მემკვიდრეთა ხელში, მოთმინებით ელოდა ღირსეულ დაგვირგვინებას. ბევრი აღარაფერი აკლდა ჯვაროსანთა განდევნას სირია-პალესტინიდან.

რომის პაპი განაგრძობდა ქადაგებებსა და მოწოდებებს. ვის უნდა გაეწვდინა შემწეობის ხელი სირია-პალესტინაში უსასოოდ დარჩენილ ჯვაროსანთათვის? უფალსა თუ დასავლეთ ევროპას? მაგრამ უფალი ძალზე შორს იყო ცოდვილი მიწიდან და არც ევროპელი მოძმენი ჩქარობდნენ იარაღის ასხმას.

ვითარება დასავლეთ ევროპაში ხელსაყრელი არ იყო ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. საფრანგეთი და ინგლისი ერთმანეთს ედავებოდნენ მიწებს. გერმანიაში ბრძოლა მიმდინარეობდა სამეფო ტახტის დასაჭერად.

იმედი იბადებოდა და მაშინვე კვდებოდა.

თითქოსდა სამუდამოდ გაეწირა განგებას ჯვაროსანთა ოცნება იერუსალიმზე.

ჯვარცმულის საფლავი რჩებოდა მაჰმადიანთა ხელში.

იბადებოდა იმედები და უმალვე კვდებოდა..

და ერთ მშვენიერ დღეს საფრანგეთში, ქალაქ ბეზანსონის არ-ქიეპისკოპოსს ზღვის გაღმიდან მოუვიდა არაჩვეულებრივი ეპისტოლე, ლათინურ ენაზე შედგენილი ნაცნობი ფრანგი რაინდის მიერ:

„ქრისტეს მიერ სასიქადულო მამას და პატრონსა საყვარელსა ამედეს, ღვთის განგებით ბეზანსონელ არქიეპისკოპოსს, გ. დე ბუა, მდაბალი მხედარი, ამენ. ვიცი ჩემი კეთილდღეობა თქვენთვის სასიხარულოა, ამისათვის საცნობელ იყოს თქვენდა, რომ ნებითა ღვთისითა, მე და მეუღლე ჩემი ჯანმრთელად და უვნებლად ვიმყოფებით.

აღთქმის ქვეყნისა და სხვა ირგვლივ მდებარე ადგილთ ამბავთაგან შემდეგი განვიზრახე მოკლედ აღმენიშნა — სულ თუ არა, ზოგიერთი რამ მაინც, რაც უფრო საყურადღებოდ ჩანს. პირველად საცნაურ იყოს თქვენდა, რომ იერუსალიმის სამეფოს ზავი აქვს სარკინოზებთან; ანტიოქიის სამთავროსაც, რომელმან ურიცხვი დევნა განიცადა ხან ბაბილონის სულტნისაგან, ხან სომხეთის მეფისაგან, ხანგრძლივი დაზავება აქვს ზემოთქმულ სულტანთან.

აწ ისმინეთ სხვა რამ საკვირველი და საყურადღებო. ამბად მიეიღე, და საქმის სიჭეშმარიტე სანდო მოციქულთაგან გავიგეთ, რომ ივერიითგან ვინმე ქრისტეანენი, გეორგიანებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთოვანებელ დახმარებით ძალითა ფრიად აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ, სწრაფად აღდგნენ და აიღეს რა უკვე სამასი ციხე და ცხრა დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრნეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი, ევფრატზე მდებარე, ყველა წარმართთა ქალაქთაგან წარჩინებული ყოფილა და დიდი. იმ ქალაქის პატრონი ბაბილონის სულტნის შვილი იყო; და ზემოთ ნათქვამ ქრისტიანთაგან ტყვედ ქმნილს, თავი მოეკვეთა, თუმცა უზომო ოქროს განძის მიცემა აღუთქვა.

კერძოდ რაღა მოგახსენოთ? ზემო აღნიშნულნი წმიდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი წარჩინებული თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ჭაბუკი ესე დედის მისის დედოფლის უძლიერესის თამარის ძვლებს თან ატარებს, რომელმაც, სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდვა, და შვილსა სთხოვა, თუ მიიცვალე-

ბოდა, ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებინათ, მან კი დედის თხოვნათა ყურადმღებელმა და დედის აღთქმის შესრულების მსურველმა, დააპირა მისი (გვამის) წმიდა ქალაქში წამოღება წარმართთა ნებით თუ უნებლიედ"... (დე ბუას წერილის ლათინური დედანი ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. იგი გამოაქვეყნა გერმანელმა მეცნიერმა რ. რორიხტმა. ქართულ ენაზე თარგმნა ზ.ავალიშვილმა).

ქართველთა რომელი ომი არის ნაგულისხმევი ფრანგი რაინდის დაუთარიღებელ ეპისტოლეში?

ალბათ, ასეთი კითხვა გაუჩნდება ქართველ მკითხველს უპირველეს ყოვლისა. ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გასაცემად აუცილებელია დე ბუას წერილში მოცემული ინფორმაციის დეტალური ანალიზი.

დადგენილია, რომ წერილის ადრესატი — ამედე დე ტრემლე ბეზანსონის არქიეპისკოპოსად იყო 1195-1220 წლებში (სხვა ცნობის თანახმად: 1208-1220 წლებში).

წერილის ევროპელი გამომცემლები არ განმარტავენ „ბაბილონის სულტნის" მნიშვნელობას, როგორც საკმაოდ ცნობილს დასავლეთის ლიტერატურაში. შუა საუკუნეთა ევროპულ წყაროებში „ბაბილონი" ეწოდება კაიროს, აიუბიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქს და ამიტომაც „ბაბილონის სულტნებად" მოიხსენიებენ აიუბიანთა სულტნებს. ამ ტერმინის პოპულარობას მეტყველებს ის ფაქტი, რომ „სალადინი, სულტანი ბაბილონისა" გვხვდება ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის" ფურცლებზე (მეათე დღე, ამბავი მეცხრე).

რაც შეეხება წერილში მოხსენიებულ „ბაბილონის სულტანს", იგი არის სახელგანთქმული სალადინის ძმა და მემკვიდრე ალ-ადილი, რომელიც აიუბიანთა ტახტზე იჯდა 1200-1218 წლებში.

ფრანგი რაინდი თავის წერილში აღნიშნავს, რომ იერუსალიმის სამეფოს ზავი ჰქონდა სარკინოზებთან. XIII საუკუნეში აიუბიანთა სახელმწიფოსა და იერუსალიმის ჯვაროსანთა სამეფოს შორის ორჯერ დაიდო ექვსწლიანი ზავი. პირველად ეს მოხდა 1204 წელს, ხოლო მეორედ — 1211 წელს.

წერილში ნახსენებია აგრეთვე ანტიოქიის სამთავროს ზავი „ბაბილონის სულტანთან". ამის გარკვევა არ წარმოადგენს სიძნელეს, ვინაიდან ანტიოქიის ჯვაროსნებს ალ-ადილთან ჰქონდათ

ერთადერთი და ხანმოკლე შეტაკება, რომელიც დამთავრდა ზავით 1207 წლის ზაფხულში.

გაცილებით სერიოზული და ხანგრძლივი კონფლიქტი არსებობდა ანტიოქიის სამთავროსა და კილიკიის სომხეთს შორის. მართლაც რომ ურიცხვი დევნა განიცადა ანტიოქიამ კილიკიის სომეხთა მეფისაგან, როგორც გვაუწყებს დე ბუა.

ხსენებული კონფლიქტი წარმოქმნა მემკვიდრეობის საკითხმა.

1200 წელს მოულოდნელად განუტევა სული ანტიოქიის მთავრის ბოემუნდ III-ის უფროსმა ვაჟიშვილმა რაიმონმა. ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა თვით მთავარიც. ტახტის კანონიერ მემკვიდრედ დარჩა ძე რაიმონისა, სახელად რუბენი, რომელიც იზრდებოდა კილიკიის მეფის კარზე (რაიმონს ცოლად ჰყავდა კილიკიის სომეხთა მეფის ლეონ II-ის ძმისწული, სახელად ალისა).

მაგრამ ანტიოქიის მთავრის ტახტზე დამკვიდრდა რაიმონის უმცროსი ძმა ბოემუნდ IV, ვრაფი ტრიპოლისა.

ლეონ II სასწრაფოდ დაიძრა ანტიოქიისაკენ მცირეწლოვანი რუბენის უფლებათა აღსადგენად. აღმოჩნდა, რომ ბოემუნდს უკვე მტკიცედ ეჭირა ქალაქი და ლეონი უკან გაბრუნდა კილიკიაში, რათა საფუძვლიანად გამზადებულიყო ომისათვის.

1203 წელს იწყება დაძაბული ბრძოლა ანტიოქიის სამთავროსა და კილიკიის სამეფოს შორის.

ლეონის მხარეზე არიან ჰოსპიტალიერთა ორდენის ბერები, ბოემუნდს მხარს უჭერენ ტამპლიერები.

ბოემუნდის ყველაზე ერთგული მოკავშირე გახდა ალეპოს სულტანი ალ-ზაჰირი, ძე სალადინისა. მას ხელს აძლევდა ანტიოქიასთან კავშირი, რადგანაც აშინებდა კილიკიის გაძლიერება. გარდა ამისა. ალ-ზაჰირი ყოველთვის გაფაციცებით ეძებდა თავისი ბიძის ალ-ადილის პოტენციურ მეტოქეს (სხვათა შორის, ხსენებულ ალეპოს სულტანს მიმოწერა ჰქონდა გაჩაღებული რომის პაპთან და მეგობრობდა ვენეციელებს).

1206 წლის გაზაფხულზე ალ-ზაჰირმა ანტიოქიის სამთავროს ჯვაროსანთა ენერგიული დახმარებით დაამარცხა ლეონი. დადებული იქნა რვაწლიანი ზავი.

1208 წლის ზაფხულში ამბოხებამ იფეთქა ანტიოქიაში. რაინდთა უმრავლესობა და ჰოსპიტალიერები (ლათინთა პატრიარქის ჩაგონებით) აუჯანყდნენ ბოემუნდს. ამავე დროს ლეონი და რუბენი გა-

იჭრნენ ანტიოქიისაკენ, აიღეს ქალაქი და წმ. პეტრეს ტაძარში ლათინთა პატრიარქმა ერთგულება შეჰფიცა რუბენს და საზეიმო ვითარებაში გამოაცხადა იგი ანტიოქიის მთავრად.

მაგრამ გამარჯვებულთა ტრიუმფი ეფემერული გამოდგა.

ბოემუნდი თავის ერთგულ ტამპლიერებთან ერთად ჩაკეტილი იყო ანტიოქიის ციხე-სიმაგრეში. მეოთხე დღეს მან მოულოდნელად დატოვა ციხე, ძლიერი იერიში მიიტანა მტერზე და განდევნა ქალაქიდან რუბენის მომხრენი. კილიკიელებს მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ვინაიდან ისინი შიშობდნენ, ბოემუნდსა და ალ-ზაჰირს შუა არ მოვექცეთო. მართლაც, ანტიოქიის მთავრის ერთგული მოკავშირე მაჰმადიანი სულტანი, ძე სალადინისა, უკვე უახლოვდებოდა ანტიოქიას ბოემუნდის დასახმარებლად.

ასე დაკარგა რუბენმა თითქოსდა უკვე დაპყრობილი ანტიოქია, მაგრამ საბოლოო გამარჯვების იმედი არ დაუკარგავს და ხელი არ აუღია ბრძოლაზე. ბოემუნდს კვლავ საფრთხე ემუქრებოდა და ამან აიძულა ალ-ზაჰირი მომდევნო წელს თავს დასხმოდა კილიკიას. ლეონმა შუამავლობა სთხოვა ალ-ადილს. „ბაბილონის სულტანმა“ ყურად იღო თხოვნა და ჩაერია საქმეში.

1209 წელს კიდევ ერთხელ დაზავდნენ ალ-ზაჰირი და ლეონი. კილიკიის სომეხთა მეფემ გააუქმა თავისი პრეტენზიები ანტიოქიის სამთავროზე და პირობა დადო, რომ აღარ შეუტევდა ანტიოქიას. და მართლაც, 1216 წლამდე ეს პირობა არ დაურღვევია. ანტიოქიაში მშვიდობამ დაისადგურა...

ამგვარად, ფრანგი რაინდის ეპისტოლეში ორიოდე სიტყვით არის გადმოცემული სირია-პალესტინის მნიშვნელოვანი მოვლენები ანუ „ადგილობრივი ინფორმაცია“, მაგრამ ძირითადი აქცენტი გადატანილია „გარეშე ინფორმაციაზე“, რომელიც ეხება საქართველოს.

ქართველები ეომებიან „ბაბილონის“ სულტნის ძეს (ე. ი. აიუბიანთა უფლისწულს), რომელსაც ეკუთვნის „ქალაქი, ევფრატზე მდებარე“. თუმცა არაა მითითებული ქალაქის სახელწოდება, მიუხედავად ამისა, დე ბუას მინიშნება ადვილი მისახვედრია, ვინაიდან საქართველოსა და აიუბიანთა უშუალო შეხების ერთადერთი წერტილი იყო ხლათის ქვეყანა და მეტოქეობის მთავარი ობიექტი — თავად ხლათი. სხვა ასპარეზი კონფლიქტისა ამ ორ სახელმწიფოს შორის ისტორიამ არ იცის.

შეეძლო თუ არა დე ბუას მოეხსენებინა ხლათი, როგორც „ქალაქი ევფრატზე მდებარე“?

ცნობილია, რომ მდ. ევფრატი სათავეს იღებს არზრუმის მიდამოებში, მაგრამ არსებობს მეორე ევფრატიც, რომელსაც ფრანგი მეცნიერის სენ-მარტენის სიტყვით თურქები უწოდებენ მურად-ჩაის, ხოლო სომხები თვლიან „ჭეშმარიტ ევფრატად“. სენ-მარტენი აღნიშნავს, რომ ევფრატი ანუ მურად-ჩაი მიედინება სომხეთის შუაგულიდან დასავლეთისაკენ და ერთვის არზრუმიდან მომავალ ევფრატს. დღევანდელი მურად-სუ ისტორიულ რუკებზე აღნიშნულია როგორც აღმოსავლეთი ევფრატი. სწორედ ეს დიდი მდინარე, რომელსაც ჭეშმარიტ ევფრატს უწოდებენ სომხები, ჩაივლის ქალაქ ხლათის სიახლოვეს. ადვილი დასაშვებია, რომ მისთვის ცნობილ მდინარეზე მდებარედ მიეჩნია ფრანგ რაინდს არანაკლებ ცნობილი ქალაქი.

შეესაბამება თუ არა ხლათს დე ბუას სიტყვები: „ყველა წარმართთა ქალაქთაგან წარჩინებული ყოფილა და დიდი“?

იაკუთი წერს, რომ ხლათი იყო ცნობილი და აყვავებული ქალაქი.

XIII საუკუნის სპარსული გეოგრაფიული თხზულების მიხედვით, ხლათში მრავლად მოიპოვებოდა ბაზრები, სადაც თავს იყრიდა სხვადასხვა საქონელი მთელი მსოფლიოდან.

იმავე საუკუნის დამლევს აბულ-ფიდა აყვავებულ ქალაქად მოიხსენიებდა ხლათს და უდარებდა თვით დამასკოს.

გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ქალაქს აიუბიანები ჯერ კიდევ მათი ფუძემდებლის სულტან სალადინის დროიდან, ადვილი საფიქრებელია, რომ სირია-პალესტინიდან დაშორებულ ხლათს ასეთივე შეფასება დაემსახურებინა ჯვაროსანთა შორის.

არაბულ წყაროებში აღნიშნულია სალადინის „ლტოლვა“ ხლათის დასაპყრობად, აგრეთვე ორი წარუმატებელი გალაშქრება ხლათისაკენ (ერთი მათგანი — თვით სალადინის სარდლობით).

აიუბიანთა გარდა აზერბაიჯანის ათაბაგთა და რუმის სულტანთა თვალიც იყო მიპყრობილი ხლათზე, რომელიც მესოპოტომიასა და არაქსის ველს შორის კომუნიკაციების ხაზზე მდებარე საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა.

იბნ ალ-ასირი გადმოგვცემს: სანამ ავად გახდებოდა, 1193 წელს

სალადინმა იხმო თავისი ძმა ალ-ადილი და რჩევა ჰკითხა: „ჩვენ გავანადგურეთ ფრანკები და აღარავინ არის ამ ქვეყანაში (იგულისხმება სირია-პალესტინა), ვისაც შეეძლოს მისი დაპყრობა. ახლა რომელ მხარეს გავწიოთ?“ ალ-ადილმა ურჩია ლაშქრობა ხლათზე. მაშინ სალადინმა უბრძანა: „წაიყვანე ჩემი შვილი და ლაშქრის ნაწილი. დაიძარ ხლათისაკენ, ბოლოს მოვუღებთ რუმს და მეც თქვენთან მოვალ. ხლათიდან შევიჭრებით აზერბაიჯანში, მივაღწევთ სპარსთა ქვეყანას და იქ არავინ არის, რომ შეძლოს ჩვენი მოგერიება.“

თვალნათლივ ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხლათის აღებას აიუბიანთა აგრესიულ გეგმებში. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის მარცხისა და სელჩუკთა სულტან-ათაბაგების დასუსტების შედეგად მცირე აზიაში, სომხეთსა და ირანში შეიქმნა ერთობ ხელსაყრელი ვითარება სალადინისათვის ჩამოთვლილი ქვეყნების დასაპყრობად.

სალადინს არ დასცალდა თავისი მიზნების განხორციელება, მაგრამ ექსპანსიას ხლათისაკენ განაგრძობენ მისი მემკვიდრეები და საბოლოოდ წარმატებას აღწევს სალადინის ძმისწული ალ-აუჰადი, გამგებელი მაიაფარიკინისა. ხლათის დაუფლებაში ალ-აუჰადს აქტიურ დახმარებას უწევდნენ მისი ძმა ალ-აშრაფი და მამა — თვით აიუბიანთა სულტანი ალ-ადილი.

ზემოთ მოტანილი ფაქტები აიუბიანთა მისწრაფებისა, დაეპყროთ ხლათი, ცხადად ამტკიცებს მის მნიშვნელობას და გვაფიქრებინებს, რომ ფრანგი რაინდის წერილში აღნიშნული ქალაქი სწორედ ხლათი უნდა იყოს.

ალ-აუჰადი ხლათს დაეპატრონა 604 (1207/8) წელს.

საქართველოს სამეფოს გაცილებით სერიოზული და საშიში მეტოქე გამოუჩნდა. მიუხედავად ამისა, არ შეწყვეტილა XIII საუკუნის დამდეგიდან დაწყებული ომები ხლათის ქვეყნისა და მეზობელი სომხური ტერიტორიების შემომტკიცებისათვის.

თავის მხრივ, აიუბიანთა სახელმწიფოს ფხიზლად ეჭირა თვალი ხლათზე, ხელიდან რომ არ გამოსცლოდა ხანგრძლივი ლტოლვისა და ბრძოლის შედეგად აღებული ქალაქი.

თვით აიუბიანთა სულტნის ალ-ადილის მოღვაწეობის მთავარ ასპარეზს სირია-პალესტინასთან ერთად წარმოადგენდა მესოპო-

ტამია, სადაც მის შვილებს კონფლიქტი ჰქონდათ საქართველოსთანაც, ხლათში ალ-აუჰადის გაბატონების შედეგად.

ქართველთა თავდასხმები ხლათის ქვეყანაზე გრძელდებოდა. იბნ ალ-ასირის ცნობით 605 (1208/9) წელს ქართველებმა აიღეს ქალაქი არჭეში და ააოხრეს. ალ-აუჰადი ხლათში იყო დიდი ლაშქრით, მაგრამ ვერ გაბედა გამოსვლა მტრის წინააღმდეგ და ქართველები დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში მშვიდობით და უვნებლად.

ალ-აუჰადი დაჟინებით ითხოვდა მამისაგან დახმარებას ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად. ალ-ადილმა გადაწყვიტა ჩარევა და დაიძრა თავის ქვეშევრდომთა გაერთიანებული ლაშქრით ხლათისაკენ 1209 წლის ზაფხულში, მაგრამ მესოპოტამიის მაჰმადიან მფლობელებთან ურთიერთობის მოწესრიგებამ დააყოვნა, ალყა შემოარტყა ქალაქ სინჯარს და ხლათამდე არ მიუღწევია. ქართველებსაც უკვე მიეტოვებინათ ხლათის ქვეყანა.

ბრძოლას ხლათისათვის საკმაო გამოხმაურება უნდა ჰქონოდა სირია-პალესტინის ჯვაროსნებში, ვინაიდან მათ წინაშე იშლებოდა მიმზიდველი პერსპექტივა: აიუბიანთა ძალების დაქსაქსვა და საკუთარი პოზიციების განმტკიცება იერუსალიმისათვის ბრძოლაში. ალ-ადილის წინაშე დგებოდა ორ ფრონტზე ომის ერთობ რთული პრობლემა.

საქართველოსა და აიუბიანთა შორის კონფლიქტის კულმინაციურ მომენტს წარმოადგენს ქართველთა მორიგი ლაშქრობა ხლათის ქვეყანაში და საკუთრივ ხლათის გარემოცვა, რაც სათანადოდ აისახა თითქმის ყველა თანადროულ არაბულ წყაროში. იგივე ეპიზოდი უნდა იყოს ასახული დე ბუას წერილშიც.

არაბული წყაროების თანახმად, ხლათის გარემოცვის უტყუარ თარიღს წარმოადგენს 607 (1210/11) წელი.

უნდა ითქვას, რომ ხლათის გარემოცვის შედეგები ჯეროვნად არ არის შესწავლილი. ამას ამტკიცებს ზოგიერთი მოსაზრება, გამოთქმული უცხოელ მკვლევართა მიერ. ასე მაგალითად, ჰ. გიბი წერს: „ქართველები სასტიკად დაამარცხა (1210 წ.) ალ-აუჰადმა და აიძულა დაედოთ ოცდაათწლიანი ზავი". შეუძლებელია ვილაპარაკოთ სასტიკ დამარცხებაზე, როდესაც ყველა წყარო ერთხმად გვაუწყებს, რომ ალყაშემორტყმული ხლათი ქართველთა ხელში გადასვლას გადაურჩა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ქართუ-

ლი მხედრობის სარდალი ივანე მხარგრძელი, ცნობილი ორიენტალისტის ვ. მინორსკის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „მოულოდნელად შეიქნა მსხვერპლი თავისი უანგარიშო მამაცობისა“.

XIII საუკუნის არაბი ისტორიკოსი იბნ ვასილი მოგვითხრობს: „ქართველები გაემართნენ ხლათის წინააღმდეგ და ალყა შემოარტყეს მას... ივანემ, ქართველთა მალიქმა, დალია ღვინო და აცდუნა იგი სიმთვრალემ, ამპეედრებულიყო და წასულიყო ხლათისაკენ ოცი მხედრის თანხლებით. ცხენმა გადმოაგდო ძირს იგი და დაატყვევეს მუსლიმებმა თანამებრძოლებთან ერთად და მიჰგვარეს ალ-მალიქ ალ-აუჰადს“.

ეს ამბავი მომხდარა 1210 წლის 10 ოქტომბერს.

ივანე მხარგრძელის დატყვევება იყო ძლევამოსილი სამხედრო კამპანიის მარცხიანი ფინალი, რომელმაც მკვეთრად შეატრიალა ხლათის ბედი და დაპყრობას გადაარჩინა ქალაქი. ქართველებს ჭელიდან გაუსხლტათ გამარჯვება, მაგრამ დამარცხებაზე, და მით უმეტეს სასტიკ დამარცხებაზე, ლაპარაკიც ზედმეტია.

კირაკოს განძაკეცი მოგვითხრობს, რომ ხლათელებმა ივანეს შეპყრობა ამცნეს სულტანს (ე. ი. ალ-ადილს), რომელმაც დიდი კმაყოფილება გამოთქვა და ბრძანა, მასთან ჩაეყვანათ ტყვე. როდესაც ეს ამბავი შეიტყო საქართველოს ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა, ხლათელებს მუქარა შეუთვალა: გამოუშვით ჩემი ძმა, თორემ დაღუპვა არ აგცდებათ, თქვენი ქვეყნის შიწას საქართველოში წავაღებინებ და აქაურობას გავაუდაბურებო. შეშინებულ ხლათელებს აღარა გაუგზავნიათ ივანე აიუბიანთა სულტანთან.

ივანემ გაათავისუფლა ხუთი ათასი მაჰმადიანი ტყვე, დაუბრუნა ალ-აუჰადს მრავალი ციხე, გადაუხადა ასი ათასი დინარი და შეპპირდა, რომ ცოლად მიათხოვებდა თავის ასულს. და ბოლოს, დაიდო ოცდაათწლიანი ზავი.

ხუთი ათასი ტყვისა და მრავალი ციხის დაბრუნება იმას მეტყველებს, რომ სანამ ხლათს ალყაში მოაქცევდნენ, ქართველებს სერიოზული წარმატება მოუპოვებიათ.

კირაკოს განძაკეცი არაბულ წყაროებში მოხსენიებული საზავო პირობებიდან აღნიშნავს ხლათის მფლობელის დაქორწინებას ივანე მხარგრძელის ასულზე და გვაუწყებს, რომ სულტანთა სამფლობელოებში ქრისტიანთა ხვედრი შემსუბუქდა. ხლათსა და ტარონის მხარეში არსებული მონასტრები გაათავისუფლეს გადასახა-

დისაგან, ზოგი — სანახევროდ, ზოგიც — მთლიანად. ებრძანა სულტნის ყველა ქვეშევრდომს, რომ პატივით მოპყრობოდნენ იერუსალიმს სალოცავად მიმავალ ქართველებს. ისინი არ იხდიდნენ გადასახადს აიუბიანთა ქალაქებში და თვით იერუსალიმშიც. „დამყარდა მშვიდობა და მეგობრობა საქართველოს სამეფოსა და სულტანთა სახელმწიფოს შორის", — დაასკვნის სომეხი მემატიანე.

ჩამოთვლილი პრივილეგიები, ცხადია, წარმოადგენს ოცდაათწლიანი ზავის პირობებს.

კიდევ ერთი საზავო პირობა აღნიშნულია ევროპულ წყაროში, ფრანგი ისტორიკოსი ჟაკ დე ვიტრი წერს, რომ ქართველები შემოდიან იერუსალიმში გაშლილი დროშებით და არავის უხდიან ხარკს. მისივე სიტყვით, სარკინოზები ვერ ბედავენ იერუსალიმს ჩამოსული ქართველების შეწუხებას, ვინაიდან მათ შეუძლიათ თავის მეზობელ სარკინოზებზე შური იძიონ.

ჟაკ დე ვიტრის ცნობაში საქართველოს „მეზობელ სარკინოზებად" აშკარად ნაგულისხმევია ხლათში გაბატონებული აიუბიანები, ხოლო ქართველთა საპატიო უფლება იერუსალიმში გაშლილი დროშებით შესვლაზე წარმოადგენს ხლათში დადებული ოცდაათწლიანი ზავის ერთ-ერთ პირობას (ჟაკ დე ვიტრი აღწერილ მოვლენათა თანამედროვეა. იგი იყო ქალაქ აკრას ეპისკოპოსი. ჟაკ დე ვიტრის ცნობას თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებენ მომდევნო ხანის ევროპელი ავტორები).

კიდევ ერთ საზავო პირობას გვამცნობს იბნ ალ-ასირი. მისი სიტყვით, ხლათელები იძულებული შეიქნენ ხლათის ციხეში აეშენებინათ ქართველებისათვის ეკლესია, სადაც რეკავდა ზარი.

სხვა არაბული წყაროს ცნობით, ხლათში გათხოვილი თამთა, ასული ივანესი, ქრისტიანულ სარწმუნოებას ინარჩუნებდა. ესეც საზავო ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობად უნდა ჩაითვალოს.

კირაკოს განძაკეცის მიხედვით, ივანეს განთავისუფლებამდე ქართველებს ფეხი არ მოუცვლიათ ხლათიდან. საომარი მოქმედება, შეწყვეტილი იყო. ხლათელებმა ძვირფასი მძევალი იგდეს ხელთ, მაგრამ ალყაშემორტყმული ქალაქი ვერ დაიტრაბახებდა გამარჯვებას. ხლათის გარემოცვა გაგრძელდა 1211 წლის დამდეგამდე.

ხლათს არსაიდან არ ელოდა რეალური დახმარება. სწორედ ამავე პერიოდში აიუბიანთა სულტანი ალ-ადილი ჯვაროსნებს ეომებოდა სირია-პალესტინასა და ეგვიპტეში.

ხლათში დადებული საზავო ხელშეკრულება, რომელიც მნიშვნელოვან პრივილეგიებს ანიჭებდა საქართველოს სამეფოსა და ხლათის ქრისტიანულ მოსახლეობას, ერთადერთი გამოსავალი იყო ალ-აუჰადისათვის. სამაგიეროდ, ოცდაათწლიანი ზავი ხლათის მფლობელს აღუთქვამდა უშიშროებას საქართველოს მხრიდან. ხოლო ქართველებს დამარცხებამ კი არ უკარნახა ზავის დადება, არამედ სარდლის შემთხვევითი დატყვევების შედეგად შექმნილმა ვითარებამ. ივანე მხარგრძელის სიცოცხლემ, საქართველოს მთავრობის თვალში, გადაწონა საბოლოო გამარჯვების წყურვილი და სომხური პროვინციების განთავისუფლების გეგმა.

ყოველივე ზემოთქმული აქარწყლებს ხლათზე ლაშქრობის ცალმხრივ შეფასებას და კიდევ უფრო განამტკიცებს იმ ვარაუდს, რომ ფრანგი რაინდის ფანტაზიით შეფერადებულ სურათს უნდა კვებავდეს ხლათის გარემოცვის ამბები.

კირაკოს განძაკეცის, ჟაკ დე ვიტრისა და იბნ ალ-ასირის მიერ აღნიშნული საზავო პირობების გაცნობის შემდეგ გასაგები ხდება ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვებიც: „შემოიხვეწა ხლათელი და ძლევა-შემოსილმან მას ზედა მისცნა ზავისა სიმტკიცენი მათგან შეუცოდებელობასა შინა წყალობისნი“ (შესაძლოა, ქართულსა და სომხურ წყაროშიც ცალმხრივად იყოს გაშუქებული ოცდაათწლიანი ზავი, მაგრამ იგივე ბრალდება უნდა წავუყენოთ არაბულ წყაროთა უმრავლესობას).

ქართველთა ლაშქრობას ხლათზე დიდი რეზონანსი ჰქონია მაჰმადიანურ სამყაროში. ამას შესანიშნავად ადასტურებს იბნ ალ-ასირი. არაბი ისტორიკოსი მოგვითხრობს ხვარაზმშაჰ ჯალალედინის მიერ თბილისის აღებას 1226 წ. და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, თუ რაოდენ ბრწყინვალე იყო ხვარაზმშაჰის ეს გამარჯვება და რატომ დაიჭირა მან საპატიო ადგილი მაჰმადიანთა გონებაში. იბნ ალ-ასირის სიტყვით, ქართველები აღზევდნენ მაჰმადიანებზე და აკეთებდნენ ყველაფერს, რასაც მოისურვებდნენ. ისინი მიემართებოდნენ აზერბაიჯანის ქალაქებისაკენ, ვერც ერთი მოწინააღმდეგე ვერ უკუაქცევდა მათ და ვერავინ იგერიებდა მათ შეტევებს. შემდეგ აღნიშნულია, რომ არზრუმის გამგებელი შეიმოსა ქართველთა მეფისაგან ნაწყალობევი საპატიო სამოსელით და თავისი დროშის თავზე მოათავსა ჯვარი, ხოლო შვილს ქრისტიანობა შიაღებინა ქართველთა დედოფალზე დასაქორწინებლად, რასაც უნ-

და აღეკვეთა მათი თავდასხმები. შემდეგ იბნ ალ-ასირი ეხება ბასიანის ომს და წერს, რომ ქართველთა გაძლიერების გამო იკონიის სულტანმა რუქნადინმა, ყილიჯ-არსლანის ძემ, შეკრიბა მრავალრიცხოვანი ლაშქარი საქართველოსთან საომრად, მაგრამ ქართველებმა გაანადგურეს იგი.

როგორც ვხედავთ, იბნ ალ-ასირს მოკლედ აქვს მოხსენიებული საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენები XIII საუკუნის პირველ მეოთხედში. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი ადგილი: „რაც შეეხება სომხეთს, ქართველები შეიჭრნენ ქალაქ არჭეშში, დაეუფლნენ ყარსს და აღუა შემოარტყეს ხლათს. ალაჰს რომ არ შეეწყალებინა მუსლიმები — ქართველთა ლაშქრის სარდლის ივანეს დატყვევებით, ისინი დაიპყრობდნენ ხლათს“.

იბნ ალ-ასირი ქართული მხედრობის ხლათზე ლაშქრობას ჩამოთვლის იმ ღირსშესანიშნავ მოვლენებთან ერთად, რომლებიც მაჰმადიანთა თვალში საქართველოს ძლევამოსილებისა და აღზევების დამამტკიცებელი იყო.

თუ გავითვალისწინებთ კირაკოს განძაკეცის, იბნ ალ-ასირისა და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობებს, აღარ უნდა გაგვიკვირდეს დე ბუას წერილის შინაარსიც. ფრანგი რაინდი აღნიშნავს სამასი ციხისა და ცხრა დიდი ქალაქის აღებას. ჩვენ არ ვიცით, რამდენი ციხე აიღეს ქართველებმა ხლათის ქვეყანაში. სამაგიეროდ ის ვიცით, რომ დაზავებისას ალ-აუჰადს დაუბრუნეს მრავალი ციხე. ხლათის ქვეყანა შეიცავდა დაახლოებით სამოცდაათ ქალაქს და შესაძლოა, ცხრა დიდი ქალაქის აღებაც არ იყოს გადაჭარბება (გამოთქმა „დიდი ქალაქი“ ერთობ პირობითად ჟღერს. ივანე მხარგრძელი თავის ცნობილ წერილში რომის პაპს ატყობინებს, რომ მისი ძმისწული შანშე თხუთმეტი დიდი ქალაქის პატრონია).

მაგრამ ვიკმაროთ. ორიოდე დეტალის დამთხვევაც ბევრს ნიშნავს. დე ბუას წერილი თვითმხილველის ხელით აკურატულად შედგენილი ოქმი ხომ არ არის, რომ ხლათის გარემოცვის ზუსტი სურათი გადმოგვცეს. გაზვიადება და გადასხვაფერება ფრანგი რაინდის ინფორმაციაში არც ისე შორსაა ქართული წყაროს ცნობიდან, სადაც აღნიშნულია ხლათის ქვეყნის მოწვა-მორბევა და არაა აღნიშნული ივანე მხარგრძელის დატყვევება.

უეჭველია, დე ბუას აღფრთოვანებას ასაზრდოებს ხლათის გარემოცვა და ის ბრძოლებიც, ქართულმა მხედრობამ რომ გადაიხადა ხლათის მისადგომებამდე.

ძნელი დასაშვებია, რომ ფრანგი რაინდის ინფორმაცია ქართველთა ლაშქრობაზე მხოლოდ და მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი იყოს. თუ ეჭვს არ შევიტანთ, რომ მას სინამდვილეში მომხდარი მოვლენები აქვს აღებული თავისი წერილის წყაროდ, მაშინ იმ ერთადერთ ნამდვილ საქმედ, რომლის გამოძახილს შეიძლება წარმოადგენდეს დე ბუას წერილში მოთხრობილი ამბავი, უნდა ვიგულოთ ქართველთა ლაშქრობა ხლათზე 1210 წელს.

მაგრამ რას ნიშნავს „ბაბილონის სულტნის“ შვილის დატყვევება ქართველთა მიერ და სიკვდილით დასჯა?

ეს ცნობა უნდა გაჩენილიყო ალ-ადილის ძის, ხლათის მფლობელ ალ-აუჰადის გარდაცვალების შედეგად.

საქმე ისაა, რომ ხლათის გარემოცვას და ოცდაათწლიან ზავს თითქმის მაშინვე მოჰყვა ალ-აუჰადის სიკვდილი.

კირაკოს განძაკეცის მიხედვით, ივანე მხარგრძელის ასული თამთა, საზავო ხელშეკრულების საფუძველზე, შეირთო ალ-აუჰადმა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მისმა ძმამ ალ-აშრაფმა. მაგრამ ზოგიერთ წყაროში ვკითხულობთ, რომ ხლათში ჩასულ თამთას უკვე ალ-აშრაფი დახვდა იქაურობის ბატონ-პატრონად და სწორედ მან შეირთო თამთა. არაბული წყაროების თანახმად, ალ-აშრაფი თავისი ძმის გარდაცვალებისას ხლათში იმყოფებოდა. მომაკვდავმა ალ-აუჰადმა თვითონ უანდერძა თავისი სამფლობელო ალ-აშრაფს.

ალ-ადილის შვილის უეცარი გარდაცვალება საყურადღებო ფაქტი იქნებოდა ჯვაროსნებისათვის. აღსანიშნავია, რომ ხლათის მფლობელი მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა სათნოებით. არაბულ წყაროებში ვკითხულობთ, რომ ალ-აუჰადისაგან მხოლოდ უბედურება და ხოცვა-ჟლეტა ახსოვდა ხლათის მოსახლეობას.

ძნელი სათქმელია, თვითონ შეეთხზა ფრანგმა რაინდმა ალ-აუჰადის სიკვდილით დასჯის ამბავი, თუ მართლაც ასეთი იყო სირია-პალესტინაში ჩასული ხმები. არც ერთია წარმოუდგენელი და არც მეორე. ხლათის მფლობელის უეცარი სიკვდილი ძალაუნებურად უკავშირდებოდა ხლათის ბრძოლებსა და გარემოცვას. ყოველ შემთხვევაში, დე ბუას მიერ მოთხრობილი ქართველთა ძლევამოსი-

ლება სწორედ ასეთ შტრიხს მოითხოვდა. „ბაბილონის სულტნის“ შვილის დატყვევება და თავის მოკვეთა ორგანულად ერწყმის მთელი წერილის პათოსს.

ფრანგი რაინდის წერილში მოცემული ინფორმაციიდან ყველაზე რთული ასახსნელია თამარის ანდერძი იერუსალიმში მისი ნეშტის დაკრძალვის თაობაზე და ლაშა-გიორგის განზრახვა — შეესრულებინა ანდერძი დედისა. დანარჩენი ცნობები მეტ-ნაკლებად შეესაბამება სინამდვილეს და დასტურდება სხვა წყაროებითაც. მაგრამ თამარის ზემოხსენებული ანდერძის შესახებ ყველა წყარო დუმს.

მაგრამ აქაც ჩნდება მკრთალი სხივი, რომელმაც დე ბუას წერილის ეს ცნობაც ვინძლო დამაჯერებელი და უფრო სარწმუნო გახადოს.

ქართული წყაროების მიხედვით, თამარი დაკრძალულია გელათის ტაძარში. თავის დროზე გელათში ჩაუტარებიათ არქეოლოგიური გათხრები, რომელთა მიზანი სწორედ თამარის საფლავის დადგენა იყო, მაგრამ საგულვებელ აკლდამაში ნეშტი ვერ აღმოუჩენიათ.

ერთი მხრივ, ამ ფაქტის გათვალისწინებით და, მეორე მხრივ, დე ბუას წერილის საფუძველზე გამოჩენილი ქართველი მეცნიერი შ. ამირანაშვილი წერდა, რომ ფრანგი რაინდის ცნობა ლაშა-გიორგის შესახებ ისტორიულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს და ლაშა-გიორგიმ ნამდვილად განახორციელა დედის უკანასკნელი წადილი. მან ქართული მხედრობის დახმარებით მიიტანა დედის ცხედარი იერუსალიმში და დაკრძალა ქრისტეს საფლავთან.

„წარმართთა ნებით თუ უნებლიედ“?

ვინ იცის, ეგებ ოცდაათწლიანი ზავის ერთ-ერთ პირობად ქართველებმა შეიტანეს უფლება თამარის დაკრძალვისა იერუსალიმში...

ეპისტოლეს ბოლო ნაწილში აღწერილია მიწისძვრა (ხსენებული ფრაგმენტი არ არის თარგმნილი ქართულ ენაზე).

დე ბუას სიტყვით, საზარელი და გაუგონარი მიწისძვრა მომხდარა „ლოსორის ქვეყანაში, რომელიც ესაზღვრება იკონიის სულტნის ქვეყანას“. რას ნიშნავს ლოსორი? სად უნდა ვეძიოთ ლოსორის ქვეყანა? ლოსორი წარმოადგენს „ლასკარის“ დამახინჯებას და მაშასადამე, ლოსორის ქვეყანა ნიშნავს ნიკეის იმპერიას, რომელ-

საც განაგებდა ლასკართა დინასტია (ნიკეის იმპერია წარმოიშვა ჩრდილო-დასავლეთ მცირე აზიაში 1204 წელს, ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებისა და ბიზანტიის დაშლის შედეგად).

სწორედ ნიკეის იმპერიის ტერიტორიაზე, და ამასთან იკონიის სასულტნოს საზღვართან, მდებარეობდა ფრანგი რაინდის წერილში დასახელებული ქალაქი ფილადელფია.

დე ბუა მოგვითხრობს, რომ დიდ მიწისძვრას დაუნგრევია ორ-ავალი ქალაქი და მათ შორის—ფილადელფია (დღევანდელი ალაშეჰირი, თურქეთის ტერიტორიაზე).

ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი წერს, რომ ფილადელფია და მის შორიახლოს მდებარე სხვა ქალაქებიც (ლაოდიკეა, აპამეა) ხშირად განიცდიდნენ მიწისძვრებს. დიდი მიწისძვრები ფილადელფიასა და მეზობელ ქალაქებში დამოწმებული აქვთ სხვა ძველ ავტორებსაც. ხოლო XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ტავერნიე აღნიშნავს, რომ ქალაქი ალაშეჰირი, რომელსაც წინათ ერქვა ფილადელფია, მთლიანად დანგრეულია და კვლავინდებურად განიცდის მიწისძვრებს.

ზემოთქმული კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ფრანგი რაინდის წერილში მოტანილი ცნობები სინამდვილეს ემყარება.

თავისთავად შემთხვევითი არ უნდა იყოს მიწისძვრის მოხსენიებაც, ფილადელფიაში რომ მომხდარა, ვინაიდან ნიკეის იმპერია კონსტანტინოპოლში დამკვიდრებულ ჯვაროსნებს ეომებოდა (დე ბუა ღვთის სასჯელად მიიჩნევს აღნიშნულ მიწისძვრას).

ეპისტოლეში აღწერილი მიწისძვრა ერთობ ფანტასტიკური იერით ხასიათდება. მაგრამ აქაც ადგილი უნდა ჰქონდეს ზემოთ აღნიშნულ მოვლენას: ამბის გაზვიადებას და გადასხვაფერებას (რაც შეიძლება დიდი შთაბეჭდილების მოსახდენად მკითხველსა თუ მსმენელზე).

ფრანგი რაინდის სიტყვით, მიწისძვრას შუაზე გაუხლეჩია მთა და მთელი დღის განმავლობაში ინთხეოდა ერთი მხრიდან რძე და მეორედან — სისხლი! ხოლო მომდევნო დღეს იმავე ადგილას უნახავთ მყრალი წყალი და ქვიშის გროვა. ეს უცნაური სურათი აშკარად მიგვანიშნებს, რომ მიწისძვრის გარდა, ვულკანის ამოფრქვევაც მომხდარა ფილადელფიის მიდამოებში. მაშინ მტკიცდება, რომ დე ბუას ფანტასტიკური ცნობაც კი ნაწილობრივ სინამდვილიდან მომდინარეობს, ვინაიდან ვულკანური მოქმედება, მიწისძვრათა

მსგავსად, ძველი დროიდანვე ახასიათებდა ფილადელფიის რაიონს. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ ფილადელფიასთან მიწის ზედაპირი დაფარულია ფერფლით, კლდეები და მთები შავი ფერისაა, ნახანძრალივით; დედამიწის წიაღიდან ამოხეთქილ გახურებულ ლოდებს კლდოვანი ბორცვები წარმოუქმნია. რაც შეეხება მყრალ წყალს, შესაძლოა იგულისხმებოდეს მინერალური წყლები. ფილადელფია დღესაც ცნობილია თავისი ცხელი წყლებითა და ბუნებრივი აბანოებით (თავის დროზე ამასვე აღნიშნავდა სტრაბონი).

ფრანგი რაინდი წინა წლებში დატრიალებულ ამბებს არ მისწერდა თავის ადრესატს. დე ბუა აღნიშნავს, რომ მიწისძვრა „ლოსორის ქვეყანაში“ მომხდარა 22 ივნისს, ხოლო ეს ამბავი შეუტყვიათ აგვისტოს დამლევს, ე. ი. დაახლოებით ორი თვის შემდეგ. ასევე ახალი ამბავი იქნებოდა 1211 წლის ივლისში დადებული ზავი იერუსალიმის სამეფოსა და აიუბიანთა სახელმწიფოს შორის, აგრეთვე ქართველთა ლაშქრობა ხლათზე და ალ-აუჰადის სიკვდილი.

მაშასადამე, დე ბუას წერილის ყველაზე დამაჯერებელი თარიღია 1211 წლის შემოდგომა (ალბათ, სექტემბერი).

რას უნდა გამოეწვია ნამდვილად მომხდარი ამბების გაზვიადება და გადასხვაფერება ფრანგი რაინდის ეპისტოლეში?

ჯვაროსნები დიდ იმედებს ამყარებდნენ იმაზე, რომ ქართველები — „მებრძოლი ქრისტიანი ხალხი“ (ევროპულ წყაროებში ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმა) დახმარებას გაუწევდნენ მათ სარკინოზებზე შეტევით ჩრდილოეთ მესოპოტომიაში. ხლათზე ლაშქრობის კარგი დასაწყისი და თვით ხლათის გარემოცვა კიდევ უფრო გააღვივებდა ჯვაროსანთა იმედებს.

შორეული მოკავშირის გამოჩენით აღძრული აღტაცება ბადებს მომხიბლავ ოცნებას, რომ საქართველოს ურიცხვი მხედრობა დაიხსნის იერუსალიმს „ბაბილონის სულტნის“ ხელთაგან და მთელ მაჰმადიანურ სამყაროს დაიმორჩილებს.

წარმოქმნილ ოცნებას მშვენივრად ეხმიანება „დედოფლის უძლიერესის თამარის“ ანდერძი, რომლის შესრულებას („წარმართთა ნებით თუ უნებლიედ“) ესწრაფვის მისი ძე და მემკვიდრე — ალექსანდრე მაკედონელის ბადალი ჰაბუკი მეფე. დამოუკიდებლად იმისგან, მოეპოვება თუ არა ხსენებულ პასაჟს რაიმე რეალური საფუძველი, იგი სარწმუნოდ ხდის უახლოეს ხანში იერუსალი-

მის კედლებთან ქრისტიანული ქვეყნის მხედრობის მოახლოებას. ეს ნახევრად ზღაპრული ოცნება სინამდვილის ელფერით იმოსება, რასაც განაპირობებს, ერთი მხრივ, იმდროინდელი საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი და, მეორე მხრივ, სასოწარკვეთილ ჯვაროსანთა სულისკვეთება.

მოსალოდნელი დახმარებით აღფრთოვანებული ფრანგი რაინდი დაუყოვნებლივ გზავნის წერილს თავის სამშობლოში, ვაგონილ ამბავს აზვიადებს, გაცილებით დიდი იმედები რომ აღუძრას ადრესატს და საფრანგეთში ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისი გაახალისოს, მღვდელმთავართა ქადაგება წააქეზოს და ფრთები შეასხას.

ამრიგად, დე ბუას წერილს პროპაგანდისტული დანიშნულება გააჩნდა და, ცხადია, ვერ მოვთხოვთ ისტორიული სინამდვილის ზედმიწევნით ზუსტ ასახვას. ხოლო როდესაც გარკვეული ასპექტით განვიხილავთ წერილში დამოწმებულ ცნობებს, აღარ გაგვაოცებს ნამდვილად მომხდარ მოვლენათა ტრანსფორმაცია, ზოგჯერ უკიდურესობამდე მისული.

სწორედ 1211 წელს იყო მართებული და მიზანშეწონილი ასეთი ხასიათის წერილის გაგზავნა დასავლეთ ევროპაში.

ექვსწლიანი ზავი იერუსალიმის სამეფოსა და აიუბიანთა სახელმწიფოს შორის დასრულდა 1210 წლის ზაფხულში. ფრანკებმა უარი თქვეს ზავის განახლებაზე, თუნდაც რამდენიმე თვით, და საომარ მოქმედებას შეუდგნენ პალესტინაში. ამის საპასუხოდ ალ-მუაზამმა (ძე ალ-ადილისა, დამასკოს მფლობელი) შეუტია ქალაქ აკრას, ფრანკებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და უკან გააბრუნეს, მაგრამ აკრას მიდამოები აოხრებულ იქნა. 1211 წლის მაისში იერუსალიმის ნომინალურმა მეფემ იოანე დე ბრიენმა ათასი მეომარი გადასხა ზღვით ეგვიპტის სანაპიროზე, ქალაქ დამიეტას მახლობლად, მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ ამაო იყო წარმატებაზე ფიქრი ევროპიდან დახმარების გარეშე. იერუსალიმის მეფე დაჟინებით ითხოვს სამხედრო ძალებს; რომის პაპი ინოკენტი III კიდევ ერთხელ აჩაღებს ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგებას მთელს ევროპაში, მაგრამ ვერ პოულობს აქტიურ გამოხმაურებას.

რომის პაპი ცდილობს ხმა მიაწვდინოს ევროპის იქით მდებარე ქრისტიანულ ქვეყნებსაც. არსებობს მისი ეპისტოლე საქართველოს მეფისადმი, დათარიღებული 1211 წლის 7 ივნისით: „საქართველოს ბრწყინვალე მეფეს — მოწოდება წმიდა მიწის დასაცავად“.

რომის პაპი უწონებს საქართველოს მეფეს „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ გალაშქრების განზრახვას. ეტყობა, ლაშა-გიორგიმ 1210 წლის ზაფხულში აუწყა რომის პაპს, როგორც დასავლეთის ქრისტიანთა მწყემსს, მომავალი ლაშქრობა ხლათზე.

მაგრამ ამ ლაშქრობის შედეგები რომში ჯერ არ იცოდნენ...

ახალი ექვსწლიანი ზავი იერუსალიმის სამეფოსა და აიუბიანთა სახელმწიფოს შორის დადებულ იქნა 1211 წლის ივლისში.

რა თქმა უნდა, ეს იყო დროებითი მშვიდობა.

რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყება მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა.

ნ. თ. ნატროშვილი

მათ ეწოდებათ გეორგიანები

„დამიეტაში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა წასულიყო ქრისტიანების შესაწევნელად. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში“,— ამას სწერდა საქართველოს მეფე რუსუდანი რომის პაპს. თითქმის იგივეს იმეორებდა ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი.

მათი წერილები 1224 წელს მიიღეს რომში. თურმე რა ახლოს იყო საქართველოდან მომავალი დახმარება! ორმოცი ათასი მხედარი, უკვე იარაღასხმული და საომრად გამზადებული, ახალგაზრდა ქართველი მეფის ლაშა-გიორგის წინამძღოლობით უნდა დაძრულიყო პალესტინისაკენ და ჯვაროსნებთან ერთად მიეტანა იერიში საერთო მტერზე.

უზარმაზარ მაჰმადიანურ ზღვაში ჩაკარგული ქრისტიანული კუნძული დახმარების ხელს უწვდიდა ამ მრისხანე ზღვის ტალღებთან შესაბრძოლებლად დასავლეთიდან შემოჭრილ ქრისტიანულ ზომალდებს.

„არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“, — ყოველთვის ასე ფიქრობდნენ საქართველოში. მანამდეც, ვიდრე ეს სტრიქონი დაიწერებოდა და მერეც, როცა ზეპირად ისწავლეს „ვეფხისტყაოსანი“. მოყვარე ყველა ქრისტიანს ერქვა, მეზობელსაც და შორეულსაც, რადგან ერთი და იგივე ღმერთი სწამდათ, მშობლიურ ენაზე წამოთქვამდნენ ერთსა და იმავე ლოცვებს ეკლესიაში თუ ბრძოლის ველზე, ჭირში და ლხინში, დაბადებიდან სიკვდილამდე.

ამიტომაც იყო, რომ ძლიერების ჟამს საქართველოში მზად იყვნენ ერთმორწმუნის დასახმარებლად, ხოლო გასაჭირში იმავე ერთმორწმუნეთაგან ელოდნენ შველას და მფარველობას.

თამარის საქართველოს ახლომახლო არავინ ეგულებოდა სერიოზული მეტოქე და მტერი. არაბი ხალიფები ვეღარ ხალიფობდნენ, სელჩუკთა მიერ შეკოწიწებული იმპერია უკვე ჩაბარდა წარსულს, ჯერ არ დაედგათ ფეხი ჩვენს მიწაზე მონღოლებსა და ხვარაზმელებს, აკვანში იწვა ოსმალეთი, დაბადებულიც არ იყო სეფიანთა დინასტია.

საქართველოს ძლიერი სახელმწიფო აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველად თვლიდა თავს. სხვებსაც სჯეროდათ მისი, რადგან სიტყვას ადასტურებდა საქმე. როდესაც არდებილის სულტანმა ანისი ააოხრა და ქრისტიანთა სისხლით მორწყო ეკლესიები, საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ გაგზავნა დამსჯელი ექსპედიცია არდებილისაკენ და ანისის ჯავრი იყარა. სომეხი ისტორიკოსი ვარდანი წერდა, თამარის მეფობის ჟამს ქრისტიანები გაძლიერდნენო.

საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ ყოველი მხრიდან შემორტყმული მაჰმადიანური ზღვა წალეკვას უქადდა ქვეყნის მომავალს. ახალი დამპყრობლის ხელში, დღეს თუ ხვალ, ისევ გაერთიანდებოდნენ დაქუცმაცებული სამთავროები ქრისტიანული კუნძულის მოსასპობად, რადგან ქართველ ხალხს სხვა ენა ჰქონდა, სხვა ღმერთს ლოცულობდა, სხვა ზნე-ჩვეულებანი გააჩნდა, ნგრევას შენება ერჩია, მონობას — თავისუფლება.

მაჰმადიანთა ღმერთმა ერთადერთი ენა იცოდა — არაბული და თავისი მოციქულის პირით მოუწოდებდა ყველა მაჰმადიანს: ებრძოლეთ მათ, რომელთაც არა სწამთ ალაჰი! ფეხზე დააყენეთ მთელი ჯარები, რომ შეაშინოთ ალაჰის მტრები. დახოცეთ ისინი, სადაც კი ჰპოვოთ! თუ ალაჰი თქვენს შემწედ მოვიდა, ვისღა უნდა შეეძლოს თქვენი ძლევა? თქვენ კი არა, ალაჰი ხოცავს მათ! მოციქულო, მორწმუნენი აღძარ საბრძოლველად, ოცმა მათ შორის ორასი ურჯულო დაამარცხოს; ასმა — ათასი, რადგანაც არა სწამთ ალაჰი და არაფერი გაეგებათ. ვინც ალაჰის სასწაულები არ იწამოს, საშინელი სასჯელი მოელის, ალაჰი ყოვლისშემძლეა და შურისმგებელი! მორწმუნენო, ებრძოლეთ ურჯულოებს, რომელნიც გმეზობლობენ თქვენ: ნუ ეძებთ მათ შორის ნურც მფარველსა, ნურც მეგობარსა! ალაჰისა არის აღმოსავლეთი და დასავლეთი...

ეს სიტყვები ყურანიდან არის ამოწერილი.

კარლ მარქსი აღნიშნავდა, რომ ყურანსა და მასზე დაფუძნებულ მუსლიმანურ კანონმდებლობას მთელი მსოფლიოს ხალხთა ვეოგრაფია და ეთნოგრაფია დაჰყავს მარტივ და ხელსაყრელ ფორმულამდე: ორ ნაწილად ჰყოფს ყველას, მართლმორწმუნეებად და ურჯულოებად. ურჯულო — ეს არის „გიაური“, ეს არის მტერი. ისლამი წყევლის ურჯულო ხალხებს და გაუთავებელ მტრობას თესავს მუსლიმანებსა და ურჯულოებს შორის.

სხვადასხვა სარწმუნოება თიშავდა ხალხებს, მაგრამ მაჰმადიანურ მახვილთან ერთად არსებობდა მაჰმადიანური კულტურაც, რომლის გავლენა ევროპასაც გადასწვდა. „აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო, — წერდა ივანე ჯავახიშვილი, — აღმოსავლეთის და დასავლეთის, ქრისტიანული და მაჰმადიანური კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთებელი იყო“.

მოხდა საოცარი ფერისცვალება და ორსიტყვიანი ზღაპრიდან დაიბადა გენიალური პოემა. იგი გადაიქცა ფიქრებად კეთილსა და ბოროტზე, საწუთროსა და საიქიოზე, გმირობასა და მოყვრისათვის თავდადებაზე, რაინდულ სიყვარულზე, რომელმაც არ იცოდა არავითარი დაბრკოლება, იღებდა აუღებელ ციხეს და ამარცხებდა დაუმარცხებელ მტერს. ზღაპრის ორი წვეთიდან ვაჩნდა „სიბრძნის ტბა“, სადაც იმ ორი წვეთის აღმოჩენა მიკროსკოპით შეიარაღებულ თვალსაც კი გაუჭირდება.

ქართველი კაცი თვალნათლივ ცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებში თავის მეფეს, მეზობელს, სატრფოს. ინგრეოდა სასახლეები და ციხეები, იჩეხებოდა ბაღი და ვენახი, ხანძარი ნთქავდა ტყეს, წითლად იღებებოდა მდინარე, მაგრამ სიცოცხლე მაინც სძლევდა სიკვდილს და ხალხის გულში საღვთო წიგნის გვერდით მუდამ ჟღერდა უკვდავი პოემა. ქრისტიანული მცნება („შეიყვარო მოყვასი შენი“...) დაჩრდილა ლექსმა: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად“.

...1220 წელი — საბედისწერო მიჯნა საქართველოს ისტორიაში. არავინ უწყის მომავალი და გულმშვიდად ემზადებიან ჯვაროსანთა დასახმარებლად.

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა მიზნად ისახავდა იერუსალიმის განთავისუფლებას მაჰმადიანთა ბატონობისაგან. 1187 წელს ეგვიპტის სახელგანთქმულმა სულტანმა და აიუბიანთა ცნობილი

დინასტიის ფუძემდებელმა, ჯვაროსანთა წინააღმდეგ საღვთო ომის სულისჩამდგმელმა სალადინმა აიღო იერუსალიმი, რომელიც თითქმის ერთი საუკუნე ქრისტიანთა ხელში იყო. მანვე დაიპყრო მრავალი ციხე-ქალაქი სირია-პალესტინაში და უკიდურესად შეავიწროვა ფრანკები. ევროპამ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა, მაგრამ რიჩარდ ლომგულის მხედართმთავრობამაც კი ვერ გადაწონა გამარჯვების სასწორი ჯვაროსანთა მხარეზე. იერუსალიმი სალადინს დარჩა. XIII საუკუნის დამდეგს — მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელმაც იერუსალიმის მაგივრად რატომღაც კონსტანტინოპოლში ამოყო თავი და ბიზანტიის იმპერია დაამხო. იერუსალიმში ისევ მაჰმადიანები ბატონობდნენ. გავიდა კიდევ ათიოდე წელი და დაიწყო მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა.

1218 წლის მაისში ჯვაროსანთა მხედრობა მიადგა დამიეტას (ნავსადგურია ეგვიპტეში).

პალესტინის ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრი იმავე წლის სექტემბერში წერილობით უხსნიდა რომის პაპს, თუ რატომ აღმოჩნდნენ ჯვაროსნები ეგვიპტეში. ჟაკ დე ვიტრის სიტყვით, საშინლად ცხელი ზაფხული არ იყო ხელსაყრელი დრო იერუსალიმზე შეტევისათვის. ხოლო ეგვიპტე, იერუსალიმის ხრიოკებისაგან განსხვავებით, ნაყოფიერსა და წყალუხვ მხარეს წარმოადგენდა. ძლიერი ციხე-სიმაგრეები მხოლოდ სამ ქალაქს გააჩნდა, მათ შორის დამიეტასაც, რომელსაც „ეგვიპტის გასაღებს“ უწოდებდნენ და მისი აღება გზას გახსნიდა დანარჩენებისაკენ.

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ფურათი იმოწმებს ჯვაროსან წინამძღოლთა ნათქვამს: „სწორედ ამ მდიდარი ქვეყნის (ე. ი. ეგვიპტის) რესურსების წყალობით დაიპყრო სალადინმა სირია-პალესტინა. თუ ჩვენ დავეპატრონებით ეგვიპტეს, ადვილად შევძლებთ დავიბრუნოთ იერუსალიმი სხვა სამფლობელოებთან ერთად“.

ჯვაროსანთა მხედრობა ეთნიკურად ჭრელი იყო: ფრანგები, იტალიელები, გერმანელები, ინგლისელები... წინამძღოლობდნენ იოანე, მეფე იერუსალიმისა და ლეოპოლდი, ავსტრიის ჰერცოგი.

ზაფხულში ჯვაროსნებთან ჩამოვიდა რომის პაპის ლეგატი კარდინალი პელაგიუსი, რათა ძმობა და ერთობა განემტკიცებინა სხვადასხვა ჯურის ჯვაროსანთა შორის.

დამიეტას ალყა გრძელდებოდა.

1219 წლის დამდეგს ეგვიპტის სულტანი ალ-ქამილი, ძმისწული სალადინისა, იწყებს საზავო მოლაპარაკებას. მან ჯვაროსნებს შესთავაზა იერუსალიმის სამეფოს დაბრუნება (ორიოდე ციხის გამოკლებით პალესტინა-ეგვიპტის გზაზე, და გარკვეული ხარკი ამის კომპენსაციად) და ოცდაათწლიანი ზავი. სამაგიეროდ ჯვაროსნებს უნდა მიეტოვებინათ ეგვიპტე.

იერუსალიმის მეფე იოანე მზად იყო მიეღო ეს მომხიბლავი და ხელსაყრელი წინადადება. იგი დამიეტას ოპერაციის საბოლოო მიზნად სწორედ იერუსალიმის სამეფოს აღდგენას მიიჩნევდა. მაგრამ კარდინალმა პელაგიუსმა სასტიკი უარი განაცხადა ზავზე.

კარდინალი აქტიურად ერეოდა სამხედრო საქმეებში. მისი შეხედულებით, ჯვაროსნები იყვნენ ქვეშევრდომნი რომის ეკლესიისა და არა იერუსალიმის სამეფოსი. მწიფდებოდა კონფლიქტი ლაშქრობის წინამძღოლებთან. იტალიიდან დიდი რაოდენობით ჩამოსული დამხმარე ძალები თავის ლიდერად აღიარებდნენ კარდინალს. მასვე უჭერდნენ მხარს ტამპლიერთა და ჰოსპიტალიერთა ორდენის ბერი რაინდები. კარდინალ პელაგიუსის ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც „აღმოჩენილ“ იქნა არაბულ ენაზე დაწერილი წიგნი, რომელიც წინასწარმეტყველებდა დამიეტას დაცემას.

ალ-ქამილმა დახმარებისათვის იხმო თავისი უმცროსი ძმა, დამასკოს სულტანი ალ-მუაზამი. ამ უკანასკნელმა, სანამ ეგვიპტის გზას გაუდგებოდა, დაანგრია იერუსალიმის კედლები და სირიის საუკეთესო ციხეები. მათი დაცვა მაინც შეუძლებელი იყო, ვინაიდან სირიაში ძალზე ცოტა რჩებოდა ჯარი. გარდა ამისა, დამასკოს სულტნის ვარაუდით, ქრისტიანებს თუნდაც ხელთ ეგდოთ ეს ციხეები, დანგრეულს უცებ ვერ აღადგენდნენ და მაჰმადიანებს ხელსაყრელი პოზიციები ექნებოდათ სირია-პალესტინაში.

ეს მოხდა 1219 წლის მარტში. ახალმა ამბავმა მალე ჩააღწია დამიეტას და შეტევით გართულ ჯვაროსანთა შორის ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია.

გაზაფხულზე შინისაკენ გასწია ავსტრიის ჰერცოგმა. მას სხვებმაც მიჰბაძეს. კარდინალი პელაგიუსი ევედრებოდა აბარგებულ ჯვაროსნებს, შემოდგომამდე მაინც გაეძლოთ და გულუხვად ჰპირდებოდა ინდულგენციებს არა მარტო მათი საკუთარი ცოდვებისათ-

ვის, არამედ იმ ცოდვებისთვისაც, მათი უახლოესი ნათესავები რომ ჩაიდენდნენ მომავალში.

მაგრამ მაჰმადიანთა საქმეც ვერ იყო რიგზე. ეგვიპტის სულტანი ვერაფრით დაეხმარა ალყაშემორტყმულ დამიეტას, სადაც უკვე იჩინა თავი შიმშილმა. ეგვიპტის მოსახლეობის გასამხნევებლად კაიროს ქუჩებში ჩაატარეს შეპორკილი ტყვეები. შემდეგ ორი კაცი ამოარჩიეს მათგან და ელჩებად გაგზავნეს ჯვაროსანთა ბანაკში.

ალ-ქამილი ადრინდელ საზავო პირობებთან ერთად ჯვაროსნებს ჰპირდებოდა იერუსალიმისა და სხვა ციხეთა აღსადგენი ხარჯების გადახდას, ოცი კეთილშობილი წარმოშობის მაჰმადიანის მძევლად გადაცემას ციხეების აღდგენამდე და ყველა ტყვე ქრისტიანის განთავისუფლებას, ვინც კი ცოცხალი მოიძებნებოდა ეგვიპტე-სირიაში.

კარდინალი პელაგიუსი კვლავ უარზე იყო. იგი უმტკიცებდა თავის ოპონენტებს, რომ ზავი მაჰმადიანთა ხრიკია, ისინი გაგვთიშავენ და მოკლე ხანში იოლად დაიბრუნებენ იერუსალიმს, რომლის მთავარი ციხეები უკვე დაანგრიეს.

შორსმჭვრეტელმა კარდინალმა თავისი გაიტანა და ჯვაროსნებმა ფაორკეცებული ენერგიით შეუტიეს მტერს.

1219 წლის ნოემბერში დამიეტა აღებულ იქნა.

დადგა კაიროს ჯერი.

სწორედ ამ დროს ჩავიდნენ დამიეტაში ლაშა-გიორგის ელჩები. კარდინალმა პელაგიუსმა რომის პაპის სახელით მოუწოდა საქართველოს, ჯვაროსანთა დასახმარებლად მხედრობა გამოეგზავნა სირია-პალესტინაში.

ზემოხსენებული ჟაკ დე ვიტრი, რომელიც დამიეტაში გაიცნობდა ლაშა-გიორგის ელჩებს, თავის წიგნში „იერუსალიმის ისტორია“ ასე ახასიათებს ქართველებს:

„ისინი არიან ფრიად მედგარნი და მამაცნი ბრძოლაში, ძლიერნი სხეულით და ძლევამოსილნი მხედართა ურიცხვი რაოდენობით. მათ სასტიკად დაშინებული ჰყავთ სარკინოზები, თავიანთი თავდასხმებით ხშირად აყენებენ ზიანს სპარსელებს, მიდიელებს და ასირიელებს, რომელთაც ესაზღვრებიან, მთლიანად გარშემორტყმულნი ურჯულო ხალხებით. მათ ეწოდებათ გეორგიანები, რადგანაც განსაკუთრებულ პატივსა და თაყვანს სცემენ წმინდა გიორ-

გის, ვისაც მფარველად და მეფროშედ თვლიან ურჯულოებთან ომებში და ადიდებენ ყველა სხვა წმინდანზე მეტად. ყოველთვის, როცა კი ეწვევიან სალოცავად უფლის საფლავს, ისინი შემოდიან წმინდა ქალაქში გაშლილი დროშებით და არავის უხდიან ხარკს. სარკინოზები ვერანაირად ბედავენ მათს შეწუხებას, რამეთუ შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ შური იძიონ თავიანთ მეზობელ სარკინოზებზე. მათი კეთილშობილი ქალები ამორძალთა დარად შეიარაღებულნი იბრძვიან რაინდების მხარდამხარ...“

შემდეგ ჟაკ დე ვიტრი მოგვითხრობს, რომ ქართველები აღშფოთდნენ იერუსალიმის დანგრევის გამო და სასტიკი მუქარა შეუთვალეს დამასკოს სულტანს.

იერუსალიმში ქართული მონასტრები იყო...

ქართველმა ელჩებმა რომის პაპის მოწოდება აუწყეს საქართველოს მეფეს.

ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ლაშა-გიორგის რაინდულ სულისკვეთებას ასეთი გეგმა კარგად ეგუებოდა და მანაც სიამოვნებით განაცხადა თანხმობა.

ვენეციელი ისტორიკოსი მარინო სანუტო გადმოგვცემს, რომ ქართველები აღაფრთოვანა ჯვაროსანთა მიერ დამიეტას აღებამ და გადაწყვიტეს, რაც შეიძლება დიდი წვლილი შეეტანათ ჯვაროსნულ ლაშქრობაში, სახელდობრ — აეღოთ დამასკო.

ეს საბედისწერო დარტყმა იქნებოდა სალადინის მემკვიდრეთათვის. ალ-ქამილის დასახმარებლად ეგვიპტეში ჩასულ დამასკოს სულტანს უკან გაბრუნება მოუწევდა და ამით მკვეთრად შესუსტდებოდა ჯვაროსანთა წინააღმდეგ დარჩენილი ძალები. სხვა გზას აირჩევდა ალ-მუაზამი და მაშინ უარესი კატასტროფა იყო მოსალოდნელი.

ლაშა-გიორგი („ლომი ძალითა და უმანკო გონებითა“) გეგმავდა გაბედულ სამხედრო ოპერაციას. შორი გზა სერიოზულ სამზადისს მოითხოვდა. თავისთავად შორეული ლაშქრობის გამოცდილება უკვე ჰქონდა მიღებული ქართულ მხედრობას. სულ ათიოდე წლის წინათ ჩატარდა ძლევამოსილი რეიდი ხორასნის შუაგულამდე, სადაც, თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, „ქართველთა ნათესავი ვერავინ მიწევნილ იყო ლაშქრად, არა მეფე, არა მთავარი, და ვერვინ წინააღუდგა სპარსეთს შესულთა, ვერ ხვარასნისა სულტანი, ვერ ერაყისა და ვერა რომელი თემი“. მხოლოდ აღაფის

სიმძიმემ შეაწყვეტინა ქართულ მხედრობას ეს გასაოცარი და ტრიუმფული სვლა, რომელიც მონაგონი იქნებოდა ლაშა-გიორგის ლაშქრობასთან. მაშინ გენახათ ქართველი ისტორიკოსის აღტაცება!

ამასობაში ალ-ქამილმა ეგვიპტის გადასარჩენად მოუწოდა თავის მეორე ძმას ალ-აშრაფს, დიარბექირისა და ხლათის პატრონს, საქართველოს მეზობელს.

ალ-აშრაფი ყოყმანობდა. მისი წასვლა მთლიანად უხსნიდა გზას დამასკოსაკენ ქართულ მხედრობას.

ალ-ქამილმა კიდევ ერთხელ შესთავაზა ზავი ჯვაროსნებს და კიდევ ერთხელ გაუშვეს ხელიდან ჯვაროსნებმა მარჯვე შემთხვევა უფრად დაპატრონებოდნენ იმ ტერიტორიას, რომლის განთავისუფლება იყო საბოლოო მიზანი მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისა.

კარდინალი პელაგიუსი ჯიუტობდა. ელოდა დამხმარე ძალებს და, ალბათ, მთელი მაჰმადიანური სამყაროს დამარცხება ეზმანებოდა. ვინ იცის, ეგებ მხედართმთავრად იყო დაბადებული და არა ღვთისმსახურად. მხედართმთავრობდა კიდეც, ვინაიდან იმედგაცრუებულმა იერუსალიმის მეფემ მიატოვა ლაშქრობა დამიეტას აღების შემდეგ.

1220 წლის დამლევს რომის პაპმა შეატყობინა კარდინალ პელაგიუსს: გერმანიის იმპერატორი საზეიმო პირობას სდებს, რომ მომავალი წლის მარტში გაგზავნის ჯარს ჯვაროსანთა დასახმარებლად და აგვისტოში თვითონაც გაეშურებაო.

თავის მხრივ კარდინალი ამცნობდა რომის პაპს, რომ ქართველები, ქრისტიანნი და სამხედრო საქმეში გამოცდილნი, ემზადებიან სარკინოზთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისათვის.

ჟაკ დე ვიტრის წიგნში მოტანილი ქართველთა დახასიათება თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდ იმედებს ამყარებდნენ ჯვაროსნული ლაშქრობის თავკაცები ქრისტიანული საქართველოს სამხედრო ძალებზე.

ყველაფერი ჩაშალა მონღოლთა შემოსევამ.

კარდინალი პელაგიუსი მოუთმენლად ელოდა დახმარებას დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან. მაგრამ გერმანიის იმპერატორი იკვიანებდა, ხოლო ლაშა-გიორგის მხედრობამ მონღოლებთან ომში დაღვარა სისხლი.

1221 წლის ზაფხულის დამლევს ალ-ქამილმა თავისი ძმების ალ-მუაზამისა და ალ-აშრაფის ენერგიული მხარდაჭერით დაამარცხა ღონეგამოლეული მტერი და სექტემბერში ჯვაროსნებმა დაცალეს დამიეტა.

„ალაჰმა უწყალობა მუსლიმებს მოულოდნელი გამარჯვება", — წერს არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი. მათი იმედების მწვერვალი იყო დამიეტას დაბრუნება სირია-პალესტინის დაკარგვის ფასად, მაგრამ ალაჰის წყალობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ასე დამთავრდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა.

ჯვაროსნებმა თავისი მარცხი კარდინალ პელაგიუსს გადააბრალეს. საყვედურობდნენ მას, რომ არ ისარგებლა დამიეტას აღებით, რომ იჩემებდა მხედართმთავრობას, რომ იერუსალიმის სამეფოს აღდგენას კი არ ფიქრობდა, არამედ ეგვიპტის დაპყრობას და ა. შ.

მაგრამ ვინ იცის რას იტყოდნენ კარდინალის კრიტიკოსები, ორმოცათასიანი ქართული მხედრობა რომ ჩაბმულიყო ჯვაროსნულ ლაშქრობაში. მაშინ მართლაც გაუსწორებდა თვალს ლაშა-გიორგი თავის სახელოვან პაპის პაპას — დავით აღმაშენებელს და დაიმკვიდრებდა ადგილს ყველაზე რჩეულთა შორის საქართველოს ისტორიაში.

და ჩვენც აღარ მოგვეჩვენებოდა გაზვიადებულად გულწრფელი პანეგირიკი ერთი ფრანგი რაინდისა, ამ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე ალექსანდრე მაკედონელის ბადალი რომ უწოდა ლაშა-გიორგის.

მაგრამ უეცრად მოვარდნილ გრიგალს, რომელსაც მონღოლები დაარქვეს, ალბათ ალექსანდრე მაკედონელიც ვერ გაუმკლავდებოდა...

რუსუდან მეფისა და ივანე მხარგრძელის წერილებში კვლავ არის წამოჭრილი ჯვაროსანთა დასახმარებლად წასვლის საკითხი, მაგრამ

თვით ევროპაში გაჭიანურდა ლაშქრობის ორგანიზაცია და ამასობაში ხვარაზმშაჰი ჯალალედინი გამოჩნდა, შემდეგ — ისევ მონღოლები და საქართველოს ბედი უკულმა შეტრიალდა.

რუსუდანი უკვე შველას ითხოვს რომის პაპისაგან და პასუხად ლოცვები მოსდის. საქართველოსათვის არავის სცხელოდა. სანთელივით დნებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქა.



რ ი ნ დ ე ბ ი

რინდებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ აღმოსავლეთის ისტორიაში. ისინი ხშირად გვხვდებიან აგრეთვე აღმოსავლური პოეზიის ფურცლებზე. ქართველი მკითხველისათვის უცნობი როდია მათი სახელი. რინდების ვინაობა სხვადასხვა ასპექტით არის გაშუქებული როგორც ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში (ი. ჯავახიშვილი, ვ. გაბაშვილი, ე. ჯაველიძე), ასევე — მხატვრულ ლიტერატურაში („ლაშარელა"). მაგრამ საკითხი ამოწურულად არ შეიძლება ჩაითვალოს და კვლავ იმსახურებს ყურადღებას. დაინტერესება რინდების ასავალ-დასავალით სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან ისინი უშუალოდ მონაწილეობენ „ქართლის ცხოვრების" ერთ ფრიად საგულისხმო ეპიზოდში.

ქამთააღმწერელი მოგვითხრობს ლაშა-გიორგის შესახებ: „განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, შეიყუარნა თანამოჰასაკენი მოსმეურობათა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა, რომელ ესეოდენ უსახურებად მიიწია, რომელ ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვინისა თაფლუჭისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რ ი ნ დ თ ა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი. ხოლო რ ი ნ დ ნ ი, მეფისა მისლვასა არ მგონებელნი და ღვინით უცნობო-ქმნილნი, ზედა მიეტევნეს მგუემელნი ძლიერად ვიდრემდე ერთიცა თუალი მარჯუენე ხედვისაგან უხედვო ყვეს".

ქამთააღმწერლის მიხედვით, ამ ეპიზოდს ის მოჰყვა შედეგად, რომ საქართველოს სამეფოს დიდებულებმა, და განსაკუთრებით— ივანე მხარგრძელმა და ვარამ გაგელმა, მკაცრი ულტიმატუმი წაუყენეს ლაშა-გიორგის: ვეღარ მოვითმენთ შენს მეფობას, თუ „ბოროტთა კაცთა" არ განუდგებიო. ქართველი მემატიანე გვარწმუნებს, მეფემ მოინანია თავისი შეცდომები და ფიცი მისცა ვეზირებს, თქვენს დაუკითხავად ნაბიჯს აღარ გადავდგამო.

ვინ იყვნენ ეს რინდები, რომელთა წრეში ქართველი მეფის ყოფნა საძრახის და სამარცხვინო მოვლენად მიაჩნია ჟამთააღმწერელს?

„რინდ“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს მოქეიფეს, მსმელს, თავზე ხელაღებულ ლოთი-ფოთს (ესაა ძირითადი მნიშვნელობანი). ჟამთააღმწერლის ცნობის შინაარსიც თითქოსდა ემთხვევა ასეთ განმარტებას და მაშინ ბუნებრივია მისი აღშფოთება ლაშა-გიორგის მიერ ჩადენილი „უსახურების“ გამო. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვეულებრივ ლოთებად წარმოგვედგინა ზემოხსენებული რინდები. აღმოსავლურ სამყაროში დიახაც დაცინვითა და ზიზღით ეძახდნენ ასე, მაგრამ თვით „რინდები“ ამაყად ატარებდნენ შერქმეულ სახელს და სრულიად სხვა მნიშვნელობას ანიჭებდნენ. რინდი, მათი გაგებით, ნიშნავდა ვაუკაცსა და დარდიმანდს, კეთილშობილსა და პატიოსან ადამიანს. ეს მშვენივრად ჩანს აღმოსავლური პოეზიის ნიმუშებიდან...

სხვას რომ თავი დავანებოთ, ჟამთააღმწერლის მიერ უდიერად მოხსენიებულ რინდთა რიცხვს მიეკუთვნება XIV საუკუნის სახელოვანი სპარსელი პოეტი ჰაფეზი. იგი წერდა: „როდესაც ჩაუვლი ჩემს საფლავს, სიყვარულით დაიჩოქე. მთელი ქვეყნის ლაღი რინდები აქ მოვლენ სალოცავად“.

ლაშა-გიორგი და ჰაფეზი... ქართველი მეფე და სპარსელი პოეტი... დროსა და სივრცეს რომ არ დაეშორებინა ისინი, ვინ იცის ეგებ შეხვედროდნენ ერთმანეთს რინდების წრეში.

რინდის სახეს ღრმა გენეტიკური ფესვები მოეპოვება აღმოსავლეთის საზოგადოებრივ და კულტურულ ისტორიაში. მისი ჩანასახი ჩნდება ჯერ კიდევ X საუკუნის არაბული პოეზიის ფურცლებზე. ეს სახე ჰაფეზმა დახვეწა და მაღლა ატყორცნა, როგორც სიმბოლო ამაყი და თავისუფალი ადამიანისა.

ჰაფეზის სიტყვით, ბოროტებითა და მაცდურობით აღვსილ წუთისოფელში უსამართლოდ აღზევებულ ბრიყვთა და რეგვენთა ზეიმია, ხოლო ბრძენთ მათ წინაშე სამათხოვროდ გაუწვდიათ ხელი. არაბულ მერნებს ზურგზე ვირის კურტანი ადგათ, ბნელი სიმდაბლე ცხოვრების კანონად გადაქცეულა და ქერის ერთ მარცვლად აღარ ფასობს მგოსნის სიმღერა. მაგრამ ჰაფეზი არ მისდევს მუხთალი წუთისოფლის წესსა და რიგს („ო, გულო ჩემო, არ გაიკარო მხვეჭელობა და სიხარბე მგლური“). მისთვის სულ ერთია, რას იტ-

ყვიან სხვანი. თავისი დაძონძილი მოსასხამი ურჩევნია სულტნის ზიზილ-პიპილებს.

ჰაფეზის ლექსებში ხშირად შეხვდებით რინდს — უსახლკარო მოქეიფეს, უდარდელსა და ენამახვილს. ეს გახლავთ პოეტის დადებითი გმირი და თვითონაც ეხალისება რინდობა („რინდებს და თავზე ხელაღებულებს ღამეს ვუნათებ, როგორც სანთელი"). ჰაფეზი უმოწყალოდ დასცინის საზოგადოების უხამს კანონებს; სარკაზმითა და რისხვით მოიხსენიებს ზნეობის დამცველ მუჰთასიბებს, ვერცხლისმოყვარულ მუფთიებს, მოსყიდულ მსაჯულებს, აპპარტავან დიდმოხელეებს, მატყუარა იმამებსა და მოლებს — მათი თვალთმაქცური ლოცვებითა და ბინძური საქმეებით, დედამიწაზე დამყარებული ჯოჯოხეთითა და ზეცაში აღთქმული სამოთხით. ხოლო ფარისეველური მორალით შებორკილ საზოგადოებას უპირისპირდება რინდი — არწივივით ლაღი, გულითა და გონებით ვდიდარი, ერთგული მეგობარი, შმაგი მიჯნური.

ადამიანური სიყვარულის ქებათა-ქება ეწინააღმდეგებოდა ღვთის სიყვარულის ქადაგებას. ჰაფეზის მიხედვით, სატრფოს სიყვარულს მოჰყვება განთავისუფლება მიწიერ თუ ზეციურ მეუფეთაგან. სიყვარულის თემასთან მჭიდროდ არის გადახლართული ღვინის თემა. კულტი მაჰმადიანთათვის აკრძალული ღვინისა მკრეხელობას წარმოადგენდა მორწმუნეთა თვალში. ხშირად იმოწმებენ ხოლმე ფრანგი ირანისტის ჯ. დარმსტეტერის სიტყვებს იმაზე, რომ სპარსულ პოეზიაში ღვინის სმა ესაა ამბოხი მიმართული ყურანის წინააღმდეგ, ფარისეველთა წინააღმდეგ, სარწმუნოების მიერ ადამიანის ბუნებისა და გონების დათრგუნვის წინააღმდეგ.

ჰაფეზიც სვამს და ხან ღვინით თვრება, ხანაც — სიყვარულით („ჰაფეზ, არც ერთი წამი უღვინოდ, არც ერთი საათი უსიყვარულოდ!"); სვამს და აღიზიანებს თავისი დროისა და მომდევნო საუკუნეთა ფარისევლებს. მას ეამაყება სახელი მეამბოხე რინდისა, რომელიც ამსხვრევს ისლამის მიერ კვარცხლბეკზე აღმართულ ფეტიშებს. რინდს არ ხიბლავს აღთქმული სამოთხის მაცდუნებელი სილამაზე და დაცინვით მიმართავს მორწმუნე ასკეტს: სამოთხეში ნუ მეპატიჟები, ეგ ჩემი ხვედრი არ არისო. შენ წილად გერგო ღვთისმოსაობა, ლოცვა და კანონი, მე კი ღვინის სარდაფში წავალ, იქაც ტაძარია, ოღონდ სხვაგვარად ლოცულობენო („მოდი და შევსვათ იმდენი ღვინო, რომ თავს დაგვექცეს მთელი სამყარო").

ჰაფეზის შემოქმედებით თანაბრად ტკბებოდნენ მეფენიც და გლახაკნიც, სწავლულნიც და უსწავლელნიც. მის ლექსებში ყველა იმას პოულობდა, რასაც ეძებდა. აღმოსავლელი კომენტატორები ჰაფეზის თითქმის ყოველ სტრიქონში მისტიკურ შინაარსს ხედავენ და ამტკიცებენ, რომ ჰაფეზის მიერ ვნებიანი შტრიხებით დახატული სატრფო ესაა ღმერთი, ხოლო ღვინო — სულიერი ექსტაზია, რომელსაც ეძალება ადამიანი, რათა მიაღწიოს სანატრელ შეერთებას ღმერთთან. თუმცა უნდა ითქვას, რომ ევროპელ მკვლევართა ერთი ნაწილი სავსებით უარყოფს ჰაფეზის შემოქმედებაში სუფიურ განწყობილებათა არსებობას და მისი ჰედონიზმი რეალური ცხოვრების მრწამსად მიაჩნია.

ჰაფეზი ამბობს: გათავდა მარხვა და მოვიდა გაზაფხული. გაიარა ფიცისა და პირმოთნე ლოცვათა ჟამმა. დგება ჟამი რინდებისა — მხიარული ჟამი. ტკბებიან რინდები სიმღერითა და ღვინით. რა არის დანაშაული მსმელთა? რა ბრალი მიუძღვით? სჯობს იყო ალალი რინდი, ვიდრე ფარისეველი, შავ სინდისს რომ მალავს. ჩვენ ასკეტები არა ვართ, ლაღი რინდები ვართ. ჭეშმარიტების ცოდნა — აი, ჩვენი ერთადერთი საიდუმლო. არაფერს ვუშავებთ არავის. სჯობს ღვინისმსმელი იყო, ვიდრე სისხლისმსმელი! (საბჭოთა ირანისტი ი. ბრაგინსკი ასკვნის, რომ ჰაფეზის მთელ შემოქმედებას წითელ ხაზად გაჰყვება პროტესტი არსებული წყობის წინააღმდეგ და ოცნება ნათელ მერმისზე. რინდები ამიტომაც ხდებოდნენ ხოლმე სოციალურ მოძრაობათა აქტიური მონაწილენი).

ჰაფეზის პოეზიამ შთააგონა გოეთეს შექმნა თავისი „დასავლურ-აღმოსავლური დივანისა“, რომლის მეორე ნაწილს ეწოდება „ჰაფეზის წიგნი“. ვაიმარელი ბრძენი ასე მიმართავს შირაზელ პოეტს: არც დასაბამი გაქვს, არც დასასრული—მარადისობის დარად. ნეტავი, შენი ხვედრი მარგუნა! ჰაფეზ, ვიქნებით ჩვენ მეგობრები. ცხოვრების ჭირსა და ლხინში შენთან ერთად შევიცნობ სიყვარულსა და თრობას...

როდესაც საბჭოთა პოეტების დელეგაციამ ირანში ყოფნისას მოინახულა ჰაფეზის აკლდამა-მუზეუმი, მათ მიართვეს შირაზელი პოეტის ვეება ტომი, მწვანე ტარსიკონის ყდა რომ ჰქონდა გადაკრული, და საბჭოთა სტუმრები, აღმოსავლური ჩვეულებისამებრ, შეუდგნენ „წიგნზე მკითხაობას“. ერთმა მათგანმა შემთხვევით გადაშლილ გვერდზე ამოიკითხა შემდეგი: „მე მოვდიოდი შენს შესა-

ხვედრად, გადმოვიარე უდაბნო და მაღალი მთები. ჩვენ ერთი სისხლისანი არა ვართ, ჩვენ ერთი ენა არა გვაქვს, მაგრამ გული ეხმიანება გულს“.

...რინდებს მარტო ჰაფეზის ლექსებში როდი ვხვდებით.

XII საუკუნის სპარსელი პოეტი სანაი თავს მიიჩნევდა რინდად და ასე მიმართავდა ზნეობის მეთვალყურე მუჰთასიბს: რა გესაქმება ჩვენს ზარხოშ უბანთან, რა დაგიშავეს სევდით შეპყროჰილმა მიჯნურებმა?

XIII საუკუნის სპარსელი პოეტი ჯელალ ედ-დინ რუმი აცხადებს: „ტრფობისგან მთვრალი მივენდე რინდებს... და მეც რინდი ვარ“.

მომხიბვლელად ელვარებს თავისუფლების მოტრფიალე რინდის სახე XVI საუკუნის თურქი პოეტის რუჰი ბაღდადის შემოქმედებაში. მისი სიტყვით, სიყვარულით გახელებული რინდები მწუხარების მტვრით დაფარულ ქვეყანაზე მგორავი მარგალიტები არიან, რომლებიც არად აგდებენ მუხთალი ბედის სიბნელეს, რადგანაც სიყვარულის მზით არიან გასხივოსნებულნი...

ცხადია, რინდებისათვის ღვინოცა და სიყვარულიც ამქვეყნიური ჯოჯოხეთიდან თავის დახსნის გზა იყო, წვდომა უხილავი სინათლისა და შეურყვნელი ჭეშმარიტებისა; ძიება სხვა ღმერთისა, რომელიც არა ჰგავდა მაჰმადიანი მოლებისა თუ ქრისტიანი ხუცების ყბადაღებულ ღმერთს.

აღმოსავლური პოეზიის მასალების მიხედვით ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთის ქალაქებში არსებობდა „რინდების უბანიც“, სადაც თავშესაფარს პოულობდნენ სხვადასხვა გვარისა და სარწმუნოების მიუსაფარნი: ქრისტიანები, იუდეველნი, ზოროასტრელნი, მანიქეველნი, მრავალნაირი ერეტიკოსნი ისლამისა, მოხეტიალე დერვიშები, მელექსენი და მუტრიბნი.

რინდები XIII საუკუნის თბილისშიც ცხოვრობდნენ. ამას ნათლად მეტყველებს ჟამთააღმწერლის ცნობა.

ქართული სიტყვა „გარინდება“, ალბათ, სულიერი ექსტაზით შეპყრობილი რინდის სახემ წარმოქმნა (ვგონებ, პ. ინგოროყვას გარდა, არავის აღუნიშნავს ეს ანდა იმდენად უეჭველია, რომ აღარც ჩაუთვლიათ მსჯელობის ღირსად. ამას გვაფიქრებინებს ვახუშტი კოტეტიშვილის მოხდენილი თარგმანიც ჰაფეზიდან: „...გზად ვინმე რინდი შეჰყრია, გზის პირად გარინდებული“).

მაგრამ რა ესაქმებოდა ქართველ მეფეს რინდებთან?

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა; „უეჭველია, ლაშა-გიორგი სამეფო ტახტის მპყრობელთა შორის თავისი ადამიანური თვისებებით არაჩვეულებრივ პიროვნებად მოჩანს“.

მართლაც, ქამთააღმწერელი ერთობ კოლორიტული შტრიხებით გვიხატავს თამარის მემკვიდრის პორტრეტს.

როგორც ცნობილია, ველისციხეში ყოფნისას ჭაბუკი მეფე ერთი გათხოვილი ქალის მშვენებას ისე მოუხიბლავს, რომ თავისი გრძნობა ვეღარ დაუმორჩილებია და ცოლად წაუყვანია იგი. ქართული სახელმწიფო სამართალი უკრძალავდა მეფეს თავისივე ქვეშევრდომი ქალის შერთვას. მაგრამ სიყვარულის დაუოკებელი გრძნობა სახელმწიფო სამართლის დებულებაზე ძლიერი გამოდგა. მეფისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ ველისციხელი ქალის გაგდებასა და კანონიერი ცოლის შერთვას, რათა სამეფოს ჰყოლოდა კანონიერი ტახტის მემკვიდრე. ლაშა-გიორგი კი ვერაფრით თმობდა თავის სატრფოს და სხვა ცოლის გაგონებაც არ სურდა („მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა“). სამღვდელოება ჰკიცხავდა მეფეს და აფრთხილებდა, მსიძაგნი და ზემრუშენი ღვთის სასჯელს ვერ ასცდებიანო. აფრთხილებდნენ და შეახსენებდნენ ბიბლიური დავითის სიყვარულის ისტორიას... ლაშა-გიორგისაც უკვე ჰყავდა შვილი ველისციხელი ქალისაგან, მაგრამ მოსალოდნელმა ღვთის სასჯელმა ვერ შეაკრთო ახალგაზრდა მეფე. მაშინ უმაღლესმა სამღვდელოებამ უკიდურეს ზომებს მიმართა: „წარგუარეს ქალი იგი, დედა დავითისი, და ქმარსავე მისსა მისცეს“. მაგრამ ლაშა-გიორგი თავისი სატრფოს ერთგული დარჩა და სხვა ცოლი აღარ მოუყვანია.

საერთოდ, ქართულ წყაროებში იშვიათია მეფეთა სამიჯნურო რომანების გადმოცემა, ლაშა-გიორგის ამბავი სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს. ქამთააღმწერლის თხრობა ადამიანური უბრალოებით ამდიდრებს თამარის მემკვიდრეს. საქართველოს მეფეც ჩვეულებრივი ადამიანი იყო და ჩვეულებრივად უძგერდა გული.

გაუგონარი რამ იყო ლაშა-გიორგის სურვილი — გადედოფლება ველისციხელი ქალისა. ამიტომაც უკიჟინებდნენ: „ვითარ ეგების თამარ მეფისა ძესა ესვას ცოლად გლეხთა ასული?“ (ანალოგიური სიტუაციები ჩვენშიაც ყოფილა და სხვაგანაც, შორეულსა თუ ახლო წარსულში).

ქართველმა მეფემ თამამი გამოწვევა ესროლა ფეოდალურ-კლერიკალურ წრეებს და ზურგი აქცია ტრადიციას. „აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ“, — როგორც გვამცნობს ჟამთააღმწერელი. და მაინც არ ეწერა პირადი ბედნიერება სამეფო ტახტის მპყრობელს. თავისუფლად მოაზროვნე მეფე უძლური აღმოჩნდა სამღვდელოების წინაშე. თავისი დოგმების გასამარჯვებლად არაფერს შეეპუებოდნენ ფანატიკოსი ღვთისმსახურნი, რომლებმაც ჯერ კიდევ ლაშა-გიორგის გამეფებამდე გამართეს ის სარწმუნოებრივი პაექრობა („სამარცხვინო და შემაძრწუნებელი შეცილება“ — ივანე ჯავახიშვილის სიტყვით), დაწვრილებით რომ არის აღწერილი „ქართლის ცხოვრებაში“. თურმე კათალიკოსმა მართლმადიდებლობის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად იმაზე უკეთესი ვერა მოიფიქრა რა, რომ სეფისკვერი (სხვა ვერსიით — „წმიდა კრავი“) სამი დღის ნაშიმშილარი ძაღლისათვის მიეგდო და რომელი სარწმუნოების სეფისკვერსაც შეჭამდა ძაღლი, ის სარწმუნოება გამოეცხადებინა ცთომილად.

„კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილი გვაუწყებს, რომ სამღვდელოებას ლაშა-გიორგის მეფობაშიც განუზრახავს იმავე ექსპერიმენტის ჩატარება. მაგრამ ახალგაზრდა მეფეს უთქვამს კათალიკოსისათვის: „არა, მამაო, უკეთუ მე მაშინ დავსწრებოდი, არამცა მექნევინებინა საქმე ესე, ვინაითგან საშინელ და შემაძრწუნებელ არს ესე“. მიუხედავად ამისა, ლაშა-გიორგი მაინც იძულებული გამხდარა ნება დაერთო სარწმუნოებრივი პაექრობისა, ოღონდ მისივე დაჟინებით უფრო ესთეტიკური ფორმა შეურჩევიათ მართლმადიდებლობის დასადგენად — დამშეული ძაღლების ჩარევის გარეშე (იოანე ბატონიშვილის ცნობები მისი თხზულებიდან „ისტორია ქართლისა“ ვრცლად არის განხილული და ნდობის ღირსად მიჩნეული კორნელი კეკელიძის ნაშრომში „ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა-გიორგის ისტორიისათვის“).

...ღვთისმსახურებს მშიერი ძაღლის სამსჯავროზე გაჰქონდათ თავისი სარწმუნოების ჭეშმარიტება. რინდების ერთადერთ სარწმუნოებას წარმოადგენდა ჭეშმარიტება.

მიმზიდველი იყო მათი ლაღი ცხოვრება და მეამბოხე სული. რინდები არ ემორჩილებოდნენ ცისა თუ ხმელეთის მეუფეებს, უსახლკარონი იყვნენ და მთელი ქვეყანა თავის სახლკარად ეგულებოდათ, უქონელნი იყვნენ და ყველაზე მდიდრებად მიაჩნდათ

თავი. საქართველოს მეფე, პატრონი ქალაქებისა და სასახლეებისა, მბრძანებელი ყმათა და ლაშქართა, დათრგუნეს ფეოდალური საზოგადოების ულმობელმა კანონებმა, რომელთაც არაფრად აგდებდნენ რინდები.

ათაბაგ-რეგენტობის ყინით შეპყრობილ დიდვეზირთა, თავკერძა ფეოდალთა და ფანატიკოს ღვთისმსახურთა გარემოცვაში მოქცეული მეფისათვის რინდებთან ყოფნა დროებითი გაქცევა იქნებოდა სამეფო კარზე გაბატონებული სულისშემხუთველი ატმოსფეროდან.

ლაშა-გიორგი თავისებურად მისდევდა მამა-პაპათა ტოლერანტულ პოლიტიკას. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია იმდროინდელი ქართველი მეფეების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მაჰმადიანთა მიმართ. გავიხსენოთ თუნდაც დავით აღმაშენებელი, თავის სასახლეში რომ იწვევდა მაჰმადიან სწავლულებსა და თეოლოგებს სადისკუსიოდ, ანდა გულმოდგინედ რომ ზრუნავდა მაჰმადიან პოეტებსა და სუფიებზე.

რაც შეეხება რინდების მიერ ლაშა-გიორგისათვის მარჯვენა თვალის გამოთხრას, ეს ფაქტი არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. იოანე ბატონიშვილის ცნობით, ჩოგანბურთის თამაშისას მეფეს თვალში მოხვედრია მეტოქის ჩოგანი. თითქმის მთელი თვე მკურნალობდნენ, მაგრამ ცალ თვალში მხედველობა მაინც დაკარგდა. ავტორი იქვე დასძენს, ლაშა-გიორგის თავისი მეტოქისათვის ერთი ურიგო სიტყვაც არ უკადრებია.

XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ამ ეპიზოდის წყაროდ ასახელებს მღვდელმონაზონ იოსებ გამრეკელის ძის თხზულებას, რომელიც დღესდღეობით უცნობია ჩვენთვის (აღსანიშნავია ისიც, რომ იოანე ბატონიშვილის მიხედვით, ლაშა-გიორგის სატრფო, სახელად სუსანა, გათხოვილი ქალი არა ყოფილა, როგორც ამას ამტკიცებს ჟამთააღმწერელი).

რომელს უნდა ვერწმუნოთ, ჟამთააღმწერელს თუ იოანე ბატონიშვილს?

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჟამთააღმწერელი ტენდენციურად არის განწყობილი ლაშა-გიორგისადმი. XIV საუკუნის ქართველი მემატიანე ცდილობს აგვიხსნას მიზეზი საქართველოს ძლიერი სამეფოს დაქვეითებისა და გვთავა-

ზობს ყველაზე მარტივ განმარტებას, რომელიც ემყარება შუა საუკუნეებში გავრცელებულ თეოლოგიურ კონცეფციას — ყოველგვარი უბედურება ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში წარმოადგენს ღვთის მიერ დაწესებულ სასჯელს ხალხის უსჯულოებისა და უზნეობისათვის. უფალმა ჩვენი ცოდვების გამო სასჯელად მონღოლები მოგვივლინაო, ვკითხულობთ ქართულსა და სომხურ წყაროებში. ხოლო სპარსელი ისტორიკოსის რაშიდ ად-დინის თხზულებაში ჩინგიზ-ყაენი ასე მიმართავს დაპყრობილი ქალაქის მოსახლეობას: „მე სასჯელი ვარ ღვთისა, თქვენ რომ დიდი ცოდვები არ ჩაგედინათ, არც სასჯელი დაგატყდებოდათ თავზე!“

ჟამთააღმწერელსაც მონღოლთა გაბატონება საქართველოში და ქვეყნის გაუგონარი აოხრება მიაჩნია განგების რისხვად, რადგანაც „იწყეს უძღებება და განცხრომა ყოველმან ასაკმან და მიიქცეს ყოველნი სიბოროტედ“. ღმერთი და სარწმუნოება, სიკეთე და სათნოება აღარავის ახსოვდაო. და უზნეობის უპირველეს ნიმუშად ჟამთააღმწერელს ესახება ლაშა-გიორგის ცხოვრება.

მაგრამ ქართველი მეფის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი, მოთხრობილი თვით ჟამთააღმწერლის მიერ, აბათილებს ზემოხსენებულ მტკიცებას (მით უმეტეს — იოანე ბატონიშვილის კორექტივის გათვალისწინებით).

ანდა როგორ დავარქვათ „უსახურება“ ლაშა-გიორგის ნაცნობობას სახელგანთქმული სპარსელი პოეტის წინამორბედ რინდებთან?

„ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყვარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა“, — ასე ახასიათებდა ლაშა-გიორგის მისი თანამედროვე ქართველი მემატიანე და დავით აღმაშენებელს ადარებდა გადახდილი ომების გამო.

ჟამთააღმწერელს რომ დაეუჯეროთ, თამარ მეფის მომდევნო თაობის ღმერთები, თითქოსდა, ვენერა და ბახუსი ყოფილან. თავის დროზე, ამასთან დაკავშირებით ზ. ავალიშვილი შენიშნავდა: „ამგვარი შეხედულება უთუოდ შემდეგი მწარე გაჭირვების ნაყოფია და ქრონოგრაფის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ტენდენციით ასახსნელი. ნამდვილად კი ეს იქნებოდა სიმდიდრესა და უზრუნველობაში გაზრდილი, განათლებული, ხელოვნებაში დაწინაურებული და საკმაოდ თავისუფლად მოაზროვნე საზოგადოება; სწორედ ის, რომლის მგოსანია შოთა რუსთველი... რა თქმა უნდა, ჩვენი დრო-

ისათვის არ არის სავალდებულო ძველ ქრონიკებში მოთავსებული ზოგიერთი ზნეობრივი მსჯელობანი, არც მათი ისტორიის ფილოსოფია. საქართველოს თანდათანი ღაცემის მიზეზები და საფეხურნი რთული რამეა, რომლის ახსნა ორიოდე ფორმულით არ შეიძლება".

ზუსტი და ყურადსაღები ნათქვამი გახლავთ და დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, ვინაიდან წარსული საუკუნეების ღირსეულ მოღვაწეთა შეცოდება-შეცდომებს (ტყუილსა თუ მართალს) ზოგჯერ უსაშველოდ აზვიადებენ და ზოგჯერაც, სრულიად უსაფუძვლოდ, ათასი უბედურების მიზეზად სახავენ — ვერც რომ დაესიზმრებოდათ. ხოლო მათ, განკითხულთა და განქიქებულთ, პასუხის გაცემა არ ძალუძთ სამარადისო მდუმარების ტყვეობიდან. თავს ვეღარ დაიცავენ, ბრალდება-ცილისწამებათა და გაქილიკების წინაშე უმწეონი არიან.

თქმულ არს: ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთო...

ეს შეგონება უსამართლო განკითხვას უნდა ეხებოდეს.





მე ვარ შენი ასასინი

ქართული წყაროებიდან კარგად არის ცნობილი, თუ რაოდენ საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში ჯალალედინმა.

იგი, საყოველთაო აღიარებით, ნიჭიერი სარდალი და მამაცი მხედარი იყო („მაღალი და სახელოვანი ხელმწიფე... უშიში ბრძოლათა შინა", — ასე მოიხსენიებს ქართველი მემატიანე საქართველოს მძვინვარე მტერსა და დამაქცეველს).

ჯალალედინის სამშობლო — მდიდარი და ძლევამოსილი ხვარაზმი ცეცხლითა და მახვილით დაიპყრეს მონღოლებმა, მაგრამ ახალგაზრდა ხვარაზმშაჰი ბედს არ შეურიგდა, მთელი ათი წელიწადი ებრძოდა იმავე მონღოლებს ინდოეთსა თუ ირანში, თავდაუზოგავად ებრძოდა და დიდი ზიანიც მიაყენა.

ინგლისელი ორიენტალისტის ე. ბრაუნის სიტყვით, ჩინგიზყაენის ურდოების თარეშის ბნელ დღეებში, როდესაც ირანის ზეცა დაბურული იყო ცეცხლმოდებული ქალაქების კვამლით, ხოლო მიწა ირანისა იყლინთებოდა ნიკი შვილების სისხლით, კაშკაში და უნაყოფო მეტეორივით გაიელვა ჯალალედინმა.

გულადი ხვარაზმშაჰი, საუბედურო, ბეცი და ჭირვეული სახელმწიფო მოღვაწე გამოდგა. მაჰმადიანური ფანატიზმით შეპყროობილმა საერთო ენა ვერ გამონახა ვერც ქრისტიანებთან და ვერც მაჰმადიანებთან. მონღოლთაგან აოხრებულ სამშობლოს მოწყვეტილი ლტოლვილი სხვათა სამშობლოს აოხრებდა, უტახტოდ დარჩენილი ხვარაზმშაჰი სხვის ტახტს ეპოტინებოდა და სადაც კი გაიარა, ყველგან სისხლიანი კვალი დატოვა. ბოლოს და ბოლოს შემოელია ხვარაზმიდან წამოყვანილი ჯარი, თვითონაც დასუსტდა და მოწინააღმდეგენიც დაასუსტა.

ასეთი უგუნური პოლიტიკის წყალობით ჯალალედინმა საკუ-

ოარი ხელით გაუკაფა გზა თავის დაუძინებელ მტრებს — მონღოლებს, რომლებიც იოლად დაეუფლნენ ხვარაზმშაჰის მიერ აკლებულ მიწებს.

ყამთააღმწერლის თხსულებაში ლაკონიურად არის მოცემული ჯალალედინის უაზრო ბრძოლების პროგრამა. ხვარაზმშაჰი ასე მიმართავს თავის ლაშქარს: თუმცა ჩვენ გვძლევენ თათარნი, დანარჩენ ხალხებს ჩვენ თვითონ ვძლიოთო. ღიახ, სპარსელებზე, სომხებსა და ქართველებზე იყრიდნენ მონღოლთა ჯავრს გზააბნეული და გონებადაბნელებული ხვარაზმელები.

კარლ მარქსი ახასიათებდა ჯალალედინს, როგორც ნიჭიერ ღ. ხელოვან მხედართმთავარს, მაგრამ იქვე შენიშნავდა, რომ ხვარაზმშაჰის დამპყრობლურ ომებში იღუპებოდნენ მაჰმადიანთა მთავარი ძალები, ეს კი მხოლოდ მონღოლთათვის იყო ხელსაყრელი.

არსებობდა ირანში ერთი პატარა სახელმწიფო, დღიდან ჯალალედინის გამოჩენისა ვიდრე მის აღსასრულამდე რომ ცდილობდა ერთგულ მოკავშირედ გახდომოდა დევნილ ხვარაზმშაჰს. ეს იყო მულიდთა ანუ ასასინთა სახელმწიფო, რომლის ცენტრს სახელგანთქმული ალამუთის ციხე წარმოადგენდა.

მულიდთა სახელი დიდიხანია პირზე ეკერა ყველას, აღმოსავლეთში თუ დასავლეთში. მართალია, მეომართა სიმრავლეს ვერ დაიტრაბახებდა ალამუთის ბატონი, მგარამ ისეთი მიუდგომელი ციხეები ეჭირა მთებში და იქიდან ისეთი თავგანწირული ფიდაები მიდიოდნენ ხოლმე ახლობელსა თუ შორეულ ქვეყნებში საოცარი ტერორისტული აქტების განსახორციელებლად, რომ მათი სიმცირე სათქმელი აღარ იყო.

მულიდებმა თავიდანვე მტრული პოზიცია დაიჭირეს მონღოლთა მიმართ, რადგანაც თვალნათლივ დაინახეს, რომ მრისხანე ურდოების ნიაღვარს ვერაფერი შეაჩერებდა, ვერც კლდეები, ვერც ციხეები და ვერც გადაცმული ტერორისტის დანა, სელჩუკთა იმპერიის დამხობის შემდეგ მულიდებს ასეთი საშიში მტერი აღარ ჰყოლიათ. წვრილ-წვრილ სამთავროებად დაქუცმაცებული მაჰმადიანური სამყარო მოთმინებით იტანდა „მწვალებელთა“ დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას და უეცრად მონღოლებმა დღის წესრიგში დააყენეს ალამუთის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ზემოთქმულმა განაპირობა მულიდთა კეთილგანწყობა ჯალალედინისადმი, რომელიც მონდოლთა ყველაზე აქტიურ და ძლიერ

მოწინააღმდეგედ ითვლებოდა. მაგრამ ხვარაზმელებმა აქაც აამღვრიეს წყალი და მხოლოდ მულიდთა თავშეკავების გამო არ გაჩაღდა კიდევ ერთი ომი ანტიმონღოლურ ძალებს შორის.

საქართველოს ისტორიისათვის საკმაოდ ნაცნობ ფიგურას წარმოადგენს ორხანი, ხვარაზმელთა ლაშქრის ერთ-ერთი სარდალი გარნისის ბრძოლაში (1225 წ.); იგი ორიოდე წლის შემდეგ თბილისისაკენ გამოგზავნეს ხუთი ათასი მეომრით, რადგანაც ხმა გავრცელდა, ხვარაზმშაჰის მიერ თბილისში დატოვებული ჯარი ქართველებმა დაამარცხესო.

სწორედ ეს ორხანი შეიქნა მულიდთა მსხვერპლი. ამას დაწვრილებით მოგვითხრობენ ჯალალედინის მდივან-ბიოგრაფი მუჰამედ ნესევი და სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი.

ორხანს გაუძარცვავს მულიდთა სამფლობელოები ყოჰესთანში. მულიდებმა გადაწყვიტეს, რომ მშვიდობიანად მოეგვარებინათ საქმე და თვით ხვარაზმშაჰს მიართვეს საჩივარი. მან კი რატომღაც ორხანს შეახვედრა მულიდთა ელჩი.

საჩივრით გაცეცხლებულმა ორხანმა მუქარა ამჯობინა მოლაპარაკებას. ჩექმაში, უბეში და სარტყელში დამალული დანები აღოაძვრინა და აყვირდა: „აი ჩვენი დანები! გაგვაჩნია ხმლებიც, კიდევ უფრო ბასრი და მომაკვდინებელი. თქვენ ვერაფერს გააწყობთ ჩვენს წინააღმდეგ!“

პირში ჩალაგამოვლებული ელჩი უკან გაბრუნდა.

განჯის გამგებლად დანიშნული ორხანი სასტიკად ჩაგრავდა არა მარტო ქრისტიანებს, არამედ მაჰმადიანებსაც. ისედაც გაჩანაგებულ მოსახლეობას ბორკილივით დაადო უზარმაზარი გადასახადები, მაგრამ ალამუთში უკვე გამოტანილი იყო სასიკვდილო განაჩენი.

სამმა გადაცმულმა მულიდმა ქუჩაში შეაჩერა ორხანი. ისინი საჩივრის ქაღალდს უფრიალებდნენ თვალწინ განჯის გამგებელს და ხმამაღლა იმეორებდნენ, სამართალი გვინდა, სამართალი. ორხანი შეეკითხა, ვის უჩივითო. მულიდები გარს შემოერტყნენ, დანები იშიშვლეს და იქვე გაათავეს იგი.

„ასე დაიღუპა მტარვალი მტარვალთა ხელით“, — კმაყოფილებით დაასკვნის კირაკოს განძაკეცი. ათი ორხანი რომ მოეკლათ მულიდებს, მაინც ვერ შეაყვარებდნენ თავს ერთი საუკუნის მან-

ძილზე ტერორიზებულ ადამიანებს, რომლებმაც ზეპირად იცოდნენ მათი ავი და ბნელი საქმენი.

შკვლელებმა გასისხლიანებული დანების ქნევით გაირბინეს განჯის ქუჩები და ყველას გასაგონად ადიდებდნენ თავიანთ მბრძანებელს ალა ად-დინს. ახლოს ვერავინ მიეკარა, შორიდან ესროდნენ ისრებს და ბოლოს და ბოლოს ჩაქოლეს ისინი.

იბნ ალ-ასირის ცნობით, გაბოროტებული ჯალალედინი შეესია ჰულიდთა ქვეყანას და ცეცხლს მისცა იქაურობა. მულიდებმა ისევ დიპლომატია არჩიეს. მათი ელჩი მოსალაპარაკებლად ეახლა ხვარაზმშაჰის ვეზირს.

მუჰამედ ნესევის გადმოცემით, ერთ მშვენიერ დღეს ლხინში ჰულიდთა ელჩს ზომაზე მეტად მოეკიდა ღვინო, სიფრთხილე გაუჭრო და ენა აუხსნა. მან ასე მიმართა ვეზირს: „შენს ლაშქარშიც გვყავს ჩვენი ხალხი, ისე კოხტად არიან შენიღბულნი, რომ ვერც გამოარჩევ შენიანებისაგან!“

ვეზირი ძლიერ დაინტერესდა, შეევედრა ელჩს, ახლავე მაჩვენე ისინიო და უშიშროება აღუთქვა ყველას. ელჩმა იხმო გადაცმული მულიდები. ერთმა მათგანმა მოახსენა ხვარაზმშაჰის ვეზირს: „აბა და ამ დღეს, ამა და ამ ადგილზე, მე შემეძლო შენი მოკვლა და მხოლოდ იმან გადაგარჩინა, რომ ბრძანება არ მქონდა მიღებული“.

ამის გაგონებაზე ვეზირი აცახცახდა, სამოსელი შემოიძარცვა, პერანგის ამარა დარჩა და სასოწარკვეთილი ხმით წარმოთქვა: „რისთვისაა ყოველივე ეს, რა უნდა ჩემგან ალა ად-დინს? ასეთი რა დავაშავე, რომ ჩემი სისხლი სწყურია? მე მისი მონა ვარ, ისევე როგორც ჩემი სულტნისა. აჰა, თქვენს ხელშია ჩემი სიცოცხლე და მომკალით, თუ გსურთ“.

ეს ამბავი აუწყეს ჯალალედინს. ადვილი წარმოსადგენია მისი ეაცოფება! მაშინვე შეუთვალა ვეზირს, ხუთივე მულიდი ცეცხლში ჩააგდეთო. ვეზირი იძულებული იყო, შეესრულებინა ხვარაზმშაჰის ბრძანება. თავდადებული ფანატიკოსები თურმე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ხოტბას ასხამდნენ თავიანთ მბრძანებელს.

ამჯერად აღარ შემდგარა მულიდთა შურისძიება. მათი ახალი ელჩი მხოლოდ ფულად კომპენსაციას მოითხოვდა. ორმოცდაათი ათასი დინარი დაუჯდათ ხვარაზმელებს ხუთი მულიდის სიკვდილი.

გამოხდა ხანი. ჯალალედინი ხორასანში ებრძოდა მონღოლებს.

ისევ მოვიდა ალამუთიდან ელჩი, ცხრა თავგანწირული მულიდის თანხლებით. ისინი მზად იყვნენ, ანგარიში გაესწორებინათ ჯალალედინის მტრებთან.

ხვარაზმშაჰმა შეკრიბა თავისი დიდებულნი და რჩევა ჰკითხა. ურჩიეს, მიეღო მულიდთა დახმარება. მაგრამ ჯალალედინმა იუარა და ასე განუცხადა ელჩს: „ისევე როგორც სხვებმა, თქვენც კარგად იცით, ვინ არის ჩვენი მტერი და მეტოქე და ისიც იცით, ვინ არის ჩვენი მეგობარი და მოკავშირე. თუ გსურთ გააკეთოთ ის, რასაც ამბობთ, ხელს არაფერი გიშლით. აუცილებელი როდია მითითება. ვერაფერს ვერ დაგავალდებულებთ, ჩვენი ბასრი ხმლები და მამაცი მეომრები საკმარისია ჩვენთვის“.

ცოტა ხნის შემდეგ ხვარაზმელებმა გაძარცვეს მულიდთა საეკლესიო ქარავანი და სამოცი მექარავნე გამოასალმეს წუთისოფელს, ვითომდა მონღოლთა აგენტები ეგულებოდათ მათ შორის. მულიდებს ხელი არ გაუნძრევიათ სამაგიეროს გადასახდელად. — თავის მხრივ ჯალალედინმა მხოლოდ ბოდიში მოუხადა ალამუთიდან მოსულ ელჩებს და ნადავლის უმნიშვნელო ნაწილი დაუბრუნა.

როგორც ვხედავთ, სამჯერვე ხვარაზმელებმა გამოიწვიეს კონფლიქტი და მულიდებმა მხოლოდ ორხანი განწირეს სასიკვდილოდ. ისინი ჯიუტად ცდილობდნენ მშვიდობის შენარჩუნებას ჯალალედინთან. 1230 წელსაც კი, როდესაც ხვარაზმშაჰი დიდ გასაჭირში ჩავარდა, მისი ელჩი, ზემოხსენებული მუჰამედ ნესეევი, ღირსეული პატივით მიიღეს ალამუთში და გამოსტუმრებისას ოთხასი ცხვარი უძღვნეს.

„წყეული მულიდები“ (როგორც უწოდებდნენ მაჰმადიანურ სამყაროში), გაცილებით გონიერი პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ, ვიდრე პირსისხლიანი ჯალალედინი, რომელსაც ისლამის მედროშედ მოჰქონდა თავი, და ფაქტიურად ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სწორედ ისლამის ძალები დაექსაქსა და დაესუსტებინა. ამაში კი ნამდვილად მიაღწია წარმატებას. მაგრამ მისი დღეები უკვე დათვლილი იყო. მონღოლებმა მალე მულიდებიც აღგავეს პირისაგან მიწისა.

ვალტერ სკოტის რომანში „თილისმა“ აღწერილია, თუ როგორ მიაყენა შეურაცხყოფა ინგლისის დროშას მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთმა წინამძღოლმა, იტალიელმა კონრად მონ-

ფერატმა. ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული მზად იყო შერკინებოდა კონრადს, მაგრამ დაუშალეს მეგობრებმა, ვინაიდან გვირგვინოსანს არ ეკადრებოდა მეტოქედ უბრალო მარკიზი. მაშინ რიჩარდის ქომაგად გამოვიდა შოტლანდიელი რაინდი და ორთაბრძოლაში მძიმედ დაჭრა კონრად მონფერატი. მის გადასარჩენად ყველაფერი იღონა რიჩარდ ლომგულმა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად კონრადს ბასრი მახვილი ჩასცა ტამპლიერთა ორდენის დიდოსტატმა, რომელიც რიჩარდის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების მონაწილე იყო და შიშობდა, რომ სასიკვდილოდ განწირულ მარკიზს აღსარებისას საკუთარ ცოდვებთან ერთად სხვისი ცოდვებიც არ გადმოელაგებინა.

ეს ეპიზოდი ვალტერ სკოტის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია.

სინამდვილეში კონრად მონფერატი ასასინებმა მოკლეს.

ორი გადაცმული ასასინი ექვსი თვე ცხოვრობდა ჯვაროსანთა შორის. ისინი ისე ჩინებულად თამაშობდნენ ქრისტიანი ბერების როლს, რომ იოტისოდენა ეჭვიც არავის გასჩენია. ყველა ენდობოდა მათ. ენდობოდა კონრად მონფერატიც. ხოლო ასასინები ჩვეული მოთმინებით ელოდნენ მარჯვე მომენტს.

1192 წლის 29 აპრილს ქალაქ ტვიროსის ქუჩაზე კონრადს თავს დაესხა თეთრ სამოსელში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა, ორივეს დანა ეჭირა ხელში, ჯიქურ ეკვეთნენ კონრადს და სასიკვდილოდ განგმირეს. ერთი ასასინი ადგილზევე იქნა მოკლული; მეორე გაიქცა და თავი შეაფარა ეკლესიას, სადაც რამდენიმე წუთის შემდეგ შეიყვანეს სულთმობრძავი კონრადიც. ასასინი გამოვარდა სამალავიდან და ამჯერად ბოლო მოუღო თავის მსხვერპლს.

ზუსტად იქნა შესრულებული დავალება ასასინთა მბრძანებლისა, რომელსაც ევროპელები „მთის მოხუცს" ეძახდნენ. საიდან გაჩნდა ეს უცნაური ტიტული? საქმე ისაა, რომ ასასინთა ციხეები მდებარეობდა ირანისა და სირიის მთებში, ამან განაპირობა მათი ხელმწიფის წოდება „შეიხ ალ-ჯაბალ" (ე. ი. მთის შეიხი ანუ მთავარი), მაგრამ თვით სიტყვა „შეიხი" არაბულად მოხუცსაც ნიშნავს და ჯვაროსნებმა რატომღაც მეორე მნიშვნელობა გადათარგმნეს (მსგავსი გაუგებრობა შეიძლება მოჰყვეს, მაგალითად, ქართულიდან სიტყვა „ხევისბერის" თარგმნას).

საერთო ინტერესს იწვევდა, წააქეზა თუ არა ვინმემ „მთის მოხუცი“ კონრადის მკვლელობაზე. გარკვეული და ამომწურავი პასუხი დღემდე არაა ვაცემული. ამ ისტორიულ დეტექტივს ისიც მატებს სიმძაფრეს, რომ ეეჭვმიტანილი არიან ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული და ეგვიპტის სულტანი სალადინი, ორი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა დასავლეთ-აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქაში.

აღსანიშნავია, რომ არაბული წყაროები ადანაშაულებენ სალადინს, ხოლო ევროპული წყაროები — რიჩარდ ლომგულს! ამ გარემოებამაც გააღვივა მკვლევართა ცნობისმოყვარეობა და მოცემული საკითხი თავსამტვრევ ამოცანად აქცია.

ზოგიერთი არაბული წყაროს მიხედვით, სალადინმა დიდძალი ოქრო უძღვნა ასასინთა მბრძანებელს და სთხოვა რიჩარდისა და კონრადის მოკვლა. შეიხმა კონრადზე შეაჩერა არჩევანი. მისი შეხედულებით, ჯვაროსანთა ორივე წინამძღოლის მოსპობა უზომოდ გააძლიერებდა ეგვიპტის სულტანს, რომელიც ასასინების კეთილმოსურნეთა რიცხვს როდი ეკუთვნოდა.

იბნ ალ-ასირი მოიხსენიებს ბრალდებას რიჩარდის მიმართ, როგორც ფრანკთა შორის გავრცელებულ ვერსიას.

რიჩარდ ლომგულის სახელის შელახვა თვით ასასინთა დამსახურება უნდა იყოს. კონრადის მკვლელმა აღიარა დაკითხვაზე, რომ შეიხის ზურგს უკან იდგა ინგლისის მეფე.

ცნობილი ორიენტალისტის ბ. ლუისის აზრით, თუნდაც სხვისი კარნახითა თუ ჩაგონებით ემოქმედა ასასინთა მბრძანებელს, ფრიად საეჭვოა, რომ ასეთი საიდუმლო კომბინაცია ცნობილი ყოფილიყო რიგითი ფიდაებისათვის, რომელთაც მხოლოდ მკვლელობის ჩადენა ევალებოდათ. ბ. ლუისი ფიქრობს, რომ დავალებასთან ერთად ფიდაის ეძლეოდა შეთხზული „ლეგენდა“ — ეჭვისა და უნდობლობის დასათესად მოწინააღმდეგის ბანაკში. ბრალდებამ რიჩარდის მიმართ მართლაც გამოიწვია სერიოზული უთანხმოება ჯვაროსანთა შორის. ლეგენდას, რაც მთავარია, ნიადაგს უმაგრებდა ის ფაქტი, რომ რიჩარდ ლომგული და კონრად მონფერატი ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ. ამიტომაც მყისვე დაიბადა დასკვნა: ვისთვის იყო ხელსაყრელი კონრადის სიკვდილი თუ არა რიჩარდისათვის?

„მთის მოხუცს“ ისეთი ავი რეპუტაცია ჰქონდა მოხვეჭილი და-

ნავლეთში, რომ ვინმესთვის უნდობლობის გამოსაცხადებლად საკმარისი იყო მისი სახელის დაკავშირება ასასინებთან (ანალოგიურ სურათს ვხედავთ მაჰმადიანურ სამყაროში). სხვათა შორის, რიჩარდის „საქმის“ გაზვიადებით ძლიერ დაინტერესებულნი იყვნენ ფილიპე, საფრანგეთის მეფე და ჯონ უმიწაწყლო, ძმა რიჩარდისა. რომელსაც ინგლისის ტახტზე ეჭირა თვალი.

რიჩარდ ლომგულის მომხრეებმა სცადეს ეჭვის აღმოფხვრა და ევროპაში გაავრცელეს წერილი „მთის მოხუცისა“, რომელიც არწმუნებდა ქრისტიანული ქვეყნების მეფეებსა და ხალხებს, რიჩარდი არაფერ შუაშია, კონრადთან ჩვენი ანგარიშები გავასწორეთო (დღემდე გაურკვეველი რჩება, ყალბი იყო ეს წერილი თუ ჭეშმარიტი).

ასასინთა მბრძანებლის გამოსარჩლებამაც ვერ უშველა ინგლისის მეფეს. მითქმა-მოთქმას რიჩარდის გარშემო უკვე ღრმად ჰქონდა გადადგმული ფესვები. ერთი საუკუნის შემდეგ საფრანგეთში დაიწერა ისტორიული პოემა, სადაც გადმოცემულია, თუ როგორ წერთნიდა რიჩარდ ლომგული თავის ასასინებად ინგლისელ ყმაწვილებს.

ბრალდება (თუ ცილისწამება?) რიჩარდის მიმართ კონრად მონფერატის მკვლელობის საქმეზე ჯერ კიდევ არაა მოხსნილი. ალბათ იმიტომაც გადაასხვაფერა ისტორიული სინამდვილე ვალტერ სკოტმა, რომ ერთი ლაქაც კი არ დამჩნეოდა მისი საყვარელი გმირის პორტრეტს.

ბუნებრივია, რომ ასასინები ხშირად გვხვდებიან ჯვაროსნული ქრონიკების ფურცლებზე, მაგრამ მათი სახელის შეჭრა ტრუბადურთა პოეზიაში, ცოტა არ იყოს, გაოცებას იწვევს.

ტრუბადურები და ასასინები? რა უნდა ჰქონდეს საერთო ამ ორ სიტყვას, რანაირად ეხმიანება ლირიკული ლექსი და სიმღერა — მაჰმადიანურ სამყაროში გაჩენილ საზარელ ორდენს, სად ამქვეყნიურ სიამოვნებათა მგზნებარე მეხოტბენი და სად ე. წ. „სიკვდილის ანგელოზები?!“

ტრუბადურთა პოეზია, წარმოქმნილი XI-XII სს. საფრანგეთში, კერძოდ — პროვანსში, ითვლება მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად.

დღესდღეობით აღნუსხულია ხუთასამდე ტრუბადურის სახელი.

მათ შორის არის ხუთი მეფე, მრავალი ფეოდალი, რამდენიმე სასულიერო პირი, ვაჭრები, ხელოსნები, წერილფეხა კარისკაცები.

საგულისხმოა, რომ ხუთასი პოეტიდან ოცდაათი მიეკუთვნება მშვენიერ სქესს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ პროვანსულმა ლირიკამ უდიდესი გავლენა მოახდინა იტალიის, ესპანეთის, გერმანიისა და ინგლისის პოეზიაზე.

ტრუბადურთა პოეზიის უმთავრეს თემას წარმოადგენს მიჯნურობა. მისი „კანონების“ ცოდნა აუცილებელი იყო მიჯნურისათვის და მით უმეტეს — ტრუბადურისათვის, რომელიც თხზავდა სამიჯნურო ლექსებს, თვითონვე ქმნიდა მელოდიას და თვითონვე მღეროდა.

ტრუბადურები ამტკიცებდნენ, რომ სიყვარული აკეთილშობილებს და ამაღლებს ადამიანის სულს, აჯილდოებს მიჯნურს სიმღერის ნიჭით. არ შეიძლება იყოს პოეტი, ვინც მიჯნური არაა და, პირიქით, გარდუვალია მიჯნურის გადაქცევა პოეტადო.

ტრუბადურთა მიჯნურობის ობიექტად, თითქმის ყოველთვის, გვეკლინება გათხოვილი ქალი.

აღნიშნული მოვლენა გამოხატავდა ადამიანის გრძნობათა ბუნებრივ პროტესტს არისტოკრატიის წრეებში გაბატონებული ქორწინების ტიპის მიმართ, როდესაც განმსაზღვრელი მოტივი ქორწინებისათვის იყო მშობელთა ქონებრივი ან დინასტიური ინტერესები და არა თვით ქალ-ვაჟის გრძნობები და ნება-სურვილი.

ფრიდრიხ ენგელსი წერდა, რომ პროვანსელთა რაინდული სიყვარული აშკარად მიისწრაფვის ცოლქმრული ერთგულების დარღვევისაკენ და პოეტები გატაცებით უმღერიან ამ მისწრაფებას.

მაგრამ ზოგიერთი ტრუბადური ხოტბას ასხამდა პლატონურ თუ ცალმხრივ მიჯნურობას. ერთი მათგანის ლექსში ვკითხულობთ: „მე ელოცავ სიყვარულს იმიტომ, რომ მაიძულა არჩევა მისი, ვინც ხელსა მკრავს. საპასუხო გრძნობა რომ გაჩენილიყო, მაშინ აღარ მომწევდა ცრემლის ღვრა, არ მეცოდინებოდა არც ოხვრა, არც სევდა, არც იმედი, არც სასოწარკვეთა და არც ვედრებანი“.

სრულყოფილი მიჯნურობისათვის სავალდებულო იყო ტანჯვა და განუხორციელებელი ოცნება. ტრუბადურებს მიჯნური აჰყავდათ თვალმიუწვდომელ პიედესტალზე, მისგან ელოდნენ ყველა სიკეთეს და ევედრებოდნენ როგორც ღვთაებას. ექსტრავაგანტური

კულტი ქალისა — აი რა არის ტრუბადურთა გამოსარჩევი ნიშანი. მათი ლექსები დახუნძლულია რელიგიურ წარმოდგენათა სფეროდან ნასესხები გამოთქმებით: მოწყალება, ვედრება, ხატება, თაყვანისცემა, გალმერთება.

ტრუბადურები ამტკიცებდნენ, რომ მიჯნურობისა არაფერი ესმის იმას, ვინც მოთმინებით არ ელოდება მოწყალებას, რამეთუ მიჯნურობის წესი და კანონია — ხანგრძლივი ლოდინით დაიტანჯოს მიჯნური.

ამგვარი მიჯნურობა წარმოქმნის ტრუბადურთა პოეზიაში ჰიპერბოლურ სახეებსა და მოტივებს. პოეტისათვის ძვირფასი ხდება მისი ქალბატონის მთელი ნათესაობა, ძვირფასი ხდება ქვეყანა, სადაც იგი ცხოვრობს და ჰაერი, რომელსაც იგი სუნთქავს.

„როდესაც ჩემამდე აღწევს გრილი სიო თქვენი კუთხიდან, ასე მგონია, სამოთხის ნიავი მეალერსება", — აღტაცებით უმღერავნებს თავის მიჯნურს სახელგანთქმული ტრუბადური ბერნარ დე ვენტადორნი. სიყვარული ცვლის ყველა მის შეგრძნებას, ყინვა ეჩვენება თეთრ და ყვითელ ყვავილებად, ხოლო სასტიკი ქარი და აოკისპირული წვიმა ახალისებს და ამხნევებს უიმედოდ გამიჯნურებულს. მაგრამ მშვენიერი ქალბატონი ნიშნად კეთილგანწყობისა იშეტებს მხოლოდ ღიმილს და ზოგჯერ — კოცნას, როგორც უმაღლეს ჯილდოს.

ბოლოს და ბოლოს ტრუბადურის მიჯნურობა იძენს ვასალური სამსახურის იერს.

„მე თქვენი ქვეშევრდომი ვარ, ქალბატონო, — წარმოთქვამს ზემოაღნიშნული ბერნარ დე ვენტადორნი, — სამარადისოდ გადავდე თავი, რომ თქვენ გემსახუროთ და შეპორკილი ვარ ამ ფიცით... მე თქვენი ნიეთი ვარ, შეგიძლიათ გამყიდოთ ანდა გამასაჩუქროთ".

ამ სტრიქონებიდან ერთი ნაპიჯილა რჩება ასასინთა გამოჩენამდე და ეს ნაბიჯიც გადადგმულია რამდენიმე ტრუბადურის ლექსში. მყარდება, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელი ანალოგია ლირიკოსებისა — კაცისმკვლელებთან.

ემერიკ დე პეგიონი ასე მიმართავს თავის მიჯნურს: „შენ უფრო დიდი ძალაუფლება გაქვს ჩემზე, ვიდრე მთის მოხუცს ასასინებზე, მისი მოსისხლე მტრების მოსაკლავად რომ მიდიან, თუნდაც ზღვის გადაღმა ეგულებოდეთ ისინი".

მიჯნური შედარებულია ასასინთა მრისხანე მბრძანებელთან,

თვით პოეტი — ასასინთან. იგი მზადაა შეასრულოს მიჯნურ-მბრძანებლის ყოველგვარი სურვილი და ბრძანება, როგორც ასასინმა, საკუთარი სიცოცხლის ფასად.

ახლა სხვებსაც დავუგდოთ ყური.

ბერნარ დე ბონდეი: „ვით ასასინები ემსახურებიან უყოყმანოდ თავის მბრძანებელს, მეც ასევე ვემსახურები სიყვარულს უსაზღვრო ერთგულებით“.

ანონიმი პოეტი — სატრფოს: „მე ვარ შენი ასასინი; იმედი მაქვს, რომ შენი ბრძანების შესრულებით მოვიხვეჭ სამოთხეს“ (ევროპული წყაროების მიხედვით, სასიკვდილოდ განწირულ ასასინს სწამდა, რომ ჯილდოდ ელოდა სამოთხე).

ჟირო დე ბორნე: „ჩემი სიყვარული არის ასასინი, რომელიც მკლავს უწყალოდ“.

სხვათა შორის, ეს უკანასკნელი მიეკუთვნება ე. წ. „ნათელი სტილის“ პოეტებს. არსებობდნენ „ბნელი სტილის“ პოეტებიც. ისინი ამკობდნენ თავის ლექსებს ბუნდოვანი მინიშნებებით, იდუმალი მეტაფორებითა და ქარაგმებით. შეგნებულად მიისწრაფოდნენ, რათა მათი პოეზია გაუგებარი დარჩენილიყო უბრალო მოკვდავთათვის და სრულიადაც არ თვლიდნენ საჭიროდ, რომ ყველა ჩაწვდენოდა მათი შემოქმედების ღრმა აზრს (მაშინ მარილი ოქროზე ძვირი ეღირებოდაო, ხუმრობდნენ ისინი).

ზემოხსენებული ჟირო დე ბორნე ასე იცავდა თავის კრედოს: „განა ღირს ლექსი წვალებად, თუ მას ვერავინ გაიგებს? არა. სანატრელია იმ სიმღერათა ხვედრი, რომელთაც პოეტი ქმნის ხალხისათვის“.

ასეთი მსოფლმხედველობის პოეტის ლექსში ასასინთა მოხსენიება თვალნათლივ ამტკიცებს, რომ მათი ვინაობა ზედმიწევნით ნაცნობი იყო იმდროინდელ ევროპელთათვის.

ზემოთ მოტანილი სტრიქონები დაწერილია XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე. სწორედ მაშინ გახდა განსაკუთრებით პოპულარული ასასინთა სახელი ევროპაში, ვინაიდან საფრანგეთის მეფემ საჯაროდ განაცხადა, რომ „მთის მოხუცმა“ სირიიდან გამოგზავნა ასასინები მის მოსაკლავად (ვითომდა რიჩარდ ლომგულის ჩაგონებით!).

„მე ვარ შენი ასასინი“, — ეფიცებოდა პოეტი სატრფოს და მსმენელისათვის უკვე ცხადი იყო მისი სიყვარულის ძალა და ფა-

სი. მიჯნურობაში თავგანწირვის გამოსახატავად ტრუბადურები ვერსად ვერ მიაგნებდნენ ამაზე უკეთეს ანალოგიას. „მთის მოხუ-ცის“ წინაშე ასასინთა ბრმა მორჩილებასთან რა მოსატანი იყო რაინდის ვასალური სამსახური ფეოდალისა თუ მეფის ამალაში. ევროპელთა წარმოდგენით, ასასინები ჰაშიშით მთვრალი ფანატი-კოსები იყვნენ, ტრუბადურები კი ჰაშიშის ნაცვლად სიყვარულს დაეწაფნენ.

ასე დაამშვენა პროვანსული ლირიკა აღმოსავლურმა ორნამენ-ტმა.

„მთის მოხუცი“, ალბათ, არ იცნობდა ტრუბადურთა შემოქმე-დებას და ვერც დაესიზმრებოდა, რომ მისი სახელი დაუკავშირეს ევროპის ულამაზეს ქალებს.

აღსანიშნავია, რომ ასასინებსა და ტრუბადურებს თითქმის ერთდროულად მოუღეს ბოლო; ასასინებს — მონღოლებმა, ხოლო ტრუბადურებს...

1209 წელს ჩრდილოეთ საფრანგეთის ბარონთა კოალიციამ სა-ბაბად მოიძია პროვანსში „მწვალებლობის“ გავრცელება და ორ-მოცდაათი ათასი მეომრისაგან შემდგარი ჯარი, ვინმე სიმონ დე მონფორის წინამძღოლობით, შეესია პროვანსს „დაუშვებელი უღ-ერთობის“ აღმოსაფხვრელად (სინამდვილეში მათი მიზანი იყო პროვანსის ნაყოფიერი მიწებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდება).

თითქმის ოცი წელიწადი მიმდინარეობდა ეს ომი და ქვეყანა სისხლით მოირწყო. განადგურდა ქალაქები. დაანგრიეს ან გადაწ-ვეს მრავალი ციხე-კოშკი, ტრუბადურთა პოეზიის ცენტრებს რომ წარმოადგენდნენ. გაიმარჯვა ჩრდილოეთმა და პროვანსში დაარ-სდა ინკვიზიცია, რომელმაც დიდი ხნით ჩაახშო თავისუფალი აზ-რის ყოველგვარი გამოვლინება.

ტრუბადურები გარბოდნენ ესპანეთსა და იტალიაში. რა თქმა უნდა, მათი პოეზია ძირფესვიანად არ მოუსპიათ, მაგრამ მიჯნურის მხიარულ სიმღერას თითქმის ყველგან ჩაუწყდა ხმა. მისი ადგილი დაიჭირა პოლიტიკურმა პოეზიამ. ზოგიერთი ტრუბადური მოძალა-დეთა მხარეზე გადავიდა, ერთი მათგანი კი თვითონ გახდა ინკვი-ზიტორი და ყოფილი კოლეგების დევნას შეუდგა.

ტრუბადურთ უმრავლესობა აღდგა ყაჩაღ-ფანატიკოსების წინა-

ალმდეგ, რომლებმაც ააოხრეს მათი სამშობლო — მშვენიერი პროვანსი. დევნილმა ტრუბადურებმა „ცხვრის ტყავში გახვეული მგელი“ შეარქვეს კათოლიკურ სამღვდელოებას.

ცხადია, ამაზე უკეთესი შურისძიება არ ძალუძდათ გამიჯნურებულ პოეტებს. მათი ერთადერთი იარაღი ხომ ლექსი და სიმღერა იყო...



მ'მვენივრად იცნობდნენ მულიდებს

თამარის პირველი ისტორიკოსი თავის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარაეანდედთანი" გვაუწყებს: „ამას ჟამსა შინა მოიკლა ყიზილ-არსლან ათაბაგი, და აწ გასულტნებული, მულიდთა მიერ". იქვე დაწვრილებით არის გადმოცემული ყიზილ-არსლანის მემკვიდრეთა შორის გამართული ბრძოლა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ინტერესს იწვევს მულიდთა სახელის დაკავშირება გასულტნებული ათაბაგის ტრაგიკულ აღსასრულთან.

როგორ აისახა ეს ამბავი საკუთრივ აღმოსავლურ წყაროებში?

სპარსელი ისტორიკოსი ჰამდალაჰ ყაზვინი მოგვითხრობს, რომ ყიზილ-არსლანმა შეიპყრო ერაყის სელჩუკთა სულტანი თოღრული და მისი ვაჟიშვილი მალიქ-შაჰი, აზერბაიჯანს გაგზავნა და ქეჰრანის ციხეში ჩაამწყვდია. სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა ყიზილ-არსლანს დარჩა, მაგრამ სწორედ იმ დღეს, როდესაც ტახტზე უნდა ასულიყო სულტნად, დილით მოკლული იპოვეს და მისი მოკვლა მიაწერეს მულიდთა ფიდაებს (ეს მოხდა 1191 წლის შემოდგომაზე).

იბნ ისფანდიარის მიხედვით, ინანჯ-ხათუნმა თავის მეუღლეს ყიზილ-არსლანს ოთხი მკვლელი მიუგზავნა; მათ ნაკუწ-ნაკუწ აჩეხეს ყიზილ-არსლანი, ინანჯ-ხათუნმა კი ყვირილი ატეხა, მულიდებმა მოკლესო.

რაშიდ ად-დინი აღნიშნავს ყიზილ-არსლანის მკვლელობის ფაქტს, მაგრამ იქვე დასძენს, მისი მკვლელის ვინაობა ვერ გამოირკვიესო.

სამაგიეროდ, მირხონდისა და აყსარაის ცნობებში პირდაპირ არის მითითებული, ყიზილ-არსლანი მულიდებმა მოკლესო.

არაბული წყაროების საფუძველზე ფიქრობენ, რომ ყიზილ-არსლანი მოკლულ იქნა საიდუმლო ვითარებაში, შესაძლოა ერთ-ერთი თავისი ამირას მიერ, შესაძლოა ინანჯ-ხათუნის მიერ.

აი, ასეთი ჭრელი სურათი წარმოგვიდგება თვალწინ. სხვადასხვა წყაროები სხვადასხვანაირად აშუქებენ მომხდარ ამბავს და რომელიმე მათგანისადმი უპირატესობის მინიჭება საჭიროებენ იქნებოდა. შესაძლოა სიმართლესთან ყველაზე ახლოს იყოს იბნ ისფანდიარი, რომლის თხრობა შეიცავს ინანჯ-ხათუნის დავალებით ყიზილ-არსლანის მკვლელობას და მის მიერვე გავრცელებულ ბრალდებას მულიდთა მისამართით. არც ის არის გამორიცხული, რომ ინანჯ-ხათუნს დაქირავებული ფიდაები მიეგზავნა ყიზილ-არსლანის მოსაკლავად (მსგავსი ფაქტები ხანდახან გვხვდება მულიდთა ისტორიაში). თუნდაც დავუშვათ, რომ მულიდებს არავითარი ბრალი არ მიუძღოდათ, ქართული წყაროს ცნობა უთუოდ ინარჩუნებს თავის ღირსებას, ვინაიდან იგი ასახავს აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებულ ერთ-ერთ ვერსიას ყიზილ-არსლანის მკვლელობაზე — მულიდთა ხელით. მაშასადამე, გადამწყვეტი მნიშვნელობა არცა აქვს, რომელი წყაროა უფრო ზუსტი, ვთქვათ მირხონდი თუ იბნ ისფანდიარი; თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა ნათელყოფს, რომ საქართველოში ძალზე კარგად იციან მულიდთა საქმიანობა ანდა მათს შესახებ წარმოქმნილი მითქმა-მოთქმა.

...XI საუკუნის დამლევიდან XIII საუკუნის შუა წლებამდე, არცთუ ისე შორს საქართველოდან, არსებობდა ისმაილიტთა დაშოუკიდებელი სახელმწიფო. მაჰმადიანურ სამყაროს ერთობ მჭიდრო და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ამ სახელმწიფოსთან. მათი სახელი დასავლეთ ევროპასაც მისწვდა ჯვაროსანთა მეოხებით.

თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებით საქართველო მოწყვეტილი არ ყოფილა აღმოსავლურ სამყაროს და ბუნებრივია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა აღმოსავლეთის ისტორიაში, როგორიც იყო ალამუთის სახელმწიფოს არსებობა, უცნობი არ დარჩებოდა საქართველოსათვის.

ამას ცხადლივ ამტკიცებს თამარის პირველი ისტორიკოსისა და ქამთააღმწერლის ცნობები.

ეტყობა, იმდენად ცნობილი იყო მულიდთა სახელი და ვინაობა XII-XIII სს. საქართველოში, რომ „ისტორიანის და აზმანის" ავტორი საჭიროდ არა თვლის ამ ტერმინის განმარტებას (განსხვავებით ქამთააღმწერლისაგან, რომელიც წერდა XIV საუკუნეში, როდესაც ალამუთის სახელმწიფო უკვე აღარ არსებობდა და მულიდთა ხსენება უთუოდ მოითხოვდა კომენტარს).

ისმაილიტის აღსანიშნავად „მულიდს“ იყენებდნენ არა თვით ისმაილიტები, არამედ მათი კლასობრივი და პოლიტიკური მოწინააღმდეგენი. ასე უწოდებდნენ მათ მაჰმადიანურ სამყაროში. ასევე მოიხსენიებენ არაბული, სპარსული და სომხური წყაროები. იგივე ტერმინი გვხვდება იმ ევროპელთა ჩანაწერებში, რომლებმაც აღმოსავლეთში იმოგზაურეს (გიიომ რუბრუკი, მარკო პოლო, ოდორიკო პორდენონე).

რამ გამოიწვია, რომ ქართველი ისტორიკოსებიც მტრების მიერ შერქმეული სახელით გვაცნობენ ისმაილიტებს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თვალი უნდა გავადევნოთ მულიდებთან საქართველოს ნაცნობობა-ურთიერთობის ფაქტებს.

მულიდთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა (1090 წ.) ემთხვევა დავით აღმაშენებლის მეფობის დასაწყისს. როგორც ცნობილია, XI საუკუნის დამლევს საქართველოს სამეფომ პირველი ნაბიჯები გადადგა პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღსადგენად. დღის წესრიგში იდგა საქართველოდან თურქ-სელჩუკთა სამუდამო განდევნის საკითხი. იმავე თურქ-სელჩუკებს სასტიკად ებრძოდნენ ალამუთში დამკვიდრებული მულიდები და მათი ბატონობის დამზობას ლამობდნენ. მაშასადამე, საქართველოსა და მულიდებს საერთო მტერი ჰყავდათ.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ხაზგასმით უკავშირებს ჯვაროსანთა მიერ მოპოვებულ წარმატებებს თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში XI საუკუნის დამლევს. მაგრამ დუმს ალამუთის მულიდთა ბრძოლის შესახებ, რასაც არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა თურქ-სელჩუკთა ძალაუფლების დასასუსტებლად. თვით პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წარმატება დიდად იყო დავალებული მულიდთაგან. უცხოელ მკვლევართა აზრით, ევროპელი ჯვაროსნები ასასინთა მიერ დემორალიზებული სახელმწიფოს ნაცვლად რომ შესტაკებოდნენ ერთიან, თავისი ძლიერების ზენიტში მყოფ სელჩუკთა იმპერიას, ალბათ, საკმარისი არ იქნებოდა იერუსალიმის ასაღებად გოტფრიდის, ტანკრედისა და სხვა ჯვაროსან წინამძღოლთა გმირობა. თავის მხრივ, მულიდებისთვისაც ხელსაყრელი იყო ჯვაროსანთა წარმატებანი. ფრანკების ჯვაროსნულმა ლაშქრობამ საშუალება მისცა ჰასან იბნ საბაჰს „თევზი დაეჭირა ამღვრეულ წყალში“, რადგანაც ჯვაროსნები რომ არ გა-

მოსჩენოდნენ მთავარ მტრად მაჰმადიანურ სამყაროს, გაცილებით სერიოზული ომი გაჩაღდებოდა მულიდთა წინააღმდეგ და დაასაბარებდა ალამუთის სახელმწიფოს. სხვათა შორის, აბასელთა ხალიფას ვეზირისადმი გაგზავნილ წერილში (1133 წ.) სელჩუკთა სულტანი სანჯარი ჩამოთვლის მაჰმადიანური სამყაროს გაჭირვებებს: ისმაილიტთა მძლავრობას ხორასანში, ურწმუნო ფრანკთა მიერ სირიისა და სხვა მხარეების დაპყრობას და ურწმუნო ქართველების თარეშს ისლამის ქვეყნებში. სანჯარი საყვედურს გამოთქვამს ბაღდადის ხალიფას მისამართით მისი უდარდელობის გამო. გვძარცვავენ, გვხოცავენ, აგვიკლეს, აგვაოხრეს და მაჰმადიანთა უზენაესი მბრძანებელი ხალიფა ყურსაც არ იბერტყავსო. სანჯარი, რა თქმა უნდა, გულისხმობს XI საუკუნის დამლეგიღან განვლილ დროში მომხდარ მოვლენებს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს რღვევა, შინაგან ფაქტორებთან ერთად, უთუოდ განპირობებული იყო ჯვაროსანთა, მულიდთა და საქართველოს სამეფოს მიერ მიყენებული მტკივნეული დარტყმებით.

ცხადია, რომ დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში ზეღმიწევნით უნდა სცოდნოდათ ალამუთის მულიდთა მოღვაწეობის გეზი და შედეგები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დავით აღმაშენებელი" რამდენიმე ადგილას არის აღწერილი, თუ როგორ ადევნებენ თვალს საქართველოს სამეფო კარზე მულიდების ამბოხებას სელჩუკთა ბატონობის წინააღმდეგ და დაწვრილებით იციან მათი ყველაზე თვალსაჩინო აქციები. ასეთი სურათები მწერლის ლაღი ფანტაზიის ნაყოფს კი არ წარმოადგენს, არამედ ისტორიული სინამდვილის საკვებით ფხიზელსა და დამაჯერებელ წარმოსახვას, თუმცა ქართულსა და უცხოურ მატიანეებში ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი ამის თაობაზე და მკვლევარი იძულებულია მხოლოდ ვარაუდით დაკმაყოფილდეს.

ზემოთ დასახელებული ქართული საისტორიო წყაროები ჩინებულად იცნობენ მულიდებს, მაგრამ თვით საქართველოში მათი ყოფნისა თუ საქმიანობის შესახებ არაფერს ამბობენ. ხარვეზს ძუნწი, მაგრამ უაღრესად ძვირფასი ცნობებით ავსებს რაშიდ ადდინის თხზულება, მთლიანად მიძღვნილი ისმაილიტთა ისტორიისადმი.

რაშიდ ად-დინი გვაუწყებს, რომ ჰასან იბნ საბაჰის მმართველობის დასასრულს ისმაილიტთა მოღვაწეობა გაძლიერდა ერაყის, აზერბაიჯანის, ხორასნის, მაზანდარანის, გილანისა და გურჯისტანის ქვეყნებში. ჰასან იბნ საბაჰის გარდაცვალების თარიღის (1124 წ.) მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქართველოში მულიდთა გააქტიურება მოჰყოლია დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქ თბილისის შემოერთებას.

თუ გავითვალისწინებთ დავით აღმაშენებლისა და მის მემკვიდრეთა რჯულშემწყნარებლობით პოლიტიკას, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ საქართველოს მეფის მიერ თბილისის მაჰმადიანური მოსახლეობის მფარველობა გამოიწვევდა ანტაგონიზმს მულიდებთან.

სიბტ იბნ ალ-ჯაუზის სიტყვით, დავით აღმაშენებელი მაჰმადიანებს ეპყრობოდა უფრო მეტი პატივისცემით, ვიდრე თვით მაჰმადიანი ხელმწიფენი. მაშასადამე, საქართველოს მეფეს სელჩუკთა სულტნებზე არანაკლები გულმოდგინებით უნდა დაეცვა თბილისის მაჰმადიანური მოსახლეობის ინტერესები მულიდთა საფრთხისაგან და აღეკვეთა მათი პროპაგანდა თუ ტერორი. გარდა ამისა, ქვეშევრდომნი, რომლებიც უმორჩილებოდნენ არა ადგილობრივ ხელისუფლებას, არამედ ალამუთის სახელმწიფოს მბრძანებელს, არასასურველ ქვეშევრდომებად ჩაითვლებოდნენ. ქართული ფეოდალური საზოგადოება, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა მეამბოხეთა ორგანიზაციის ქსელს საქართველოს სამეფოში. თავის მხრივ, ისმაილიტთა მოძრაობის შინაარსი და მიზნები ფაქტიურად გამორიცხავდა კომპრომისს რომელიმე ხელისუფლებასთან, მაჰმადიანური იქნებოდა ის თუ ქრისტიანული. რასაკვირველია, მულიდებისათვისაც მიუღებელი იყო ქართველ მეფეთა მტკიცე ხელისუფლების დამყარება თბილისში.

რაშიდ ად-დინის იმავე თხზულებაში დამოწმებულია ფაქტი მულიდთა ტერორისა უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

ალამუთის სახელმწიფოს მბრძანებლის მუჰამედ იბნ ბუზორგიმიდის დროს ფიდაების მიერ დახოცილ პირთა სიაში მოხსენიებული ხრის თბილისის ყადი. მკვლელობა მომხდარა 1139 წელს. მკვლელი ყოფილა ვინმე იბრაჰიმ დამღანელი.

რა დაუშავა მულიდებს თბილისის ყადიმ? მას თურმე სიკვდილი მიუსჯია მაჰმადიანურ სამართალში მიცემული რამდენიმე მუ-

ლიდისათვის, რომლებიც დაუნდობლად ებრძოდნენ მაჰმადიანურ სარწმუნოებას, ებრძოდნენ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. თბილისის ყადი მულიდთა შურისძიების მსხვერპლი გამხდარა (ზემოხსენებულ სიაში რაშიდ ად-დინს დასახელებული ჰყავს ჰამადანისა და ყოჰესთანის ყადნი; ისინი იმავე მიზეზით გამოასალმეს წუთისოფელს ფიდაებმა).

როგორც ჩანს, მულიდებს აქტიური მოღვაწეობა ჰქონდათ გაჩაღებული თბილისში და, შესაძლოა, საქართველოს სხვა ქალაქებშიც, საღაც მაჰმადიანური მოსახლეობა ბინადრობდა.

საქართველოს ხელისუფლება მფარველობდა და ანვარიშს უწევდა მაჰმადიან სამართლისმცოდნეთ და, კერძოდ, თბილისის ყადის (ცნობილი ფაქტია: XII საუკუნის დამლევს ქალაქ დვინში მოწვეულ სასამართლოზე, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა დავა სომეხთა ორ მონასტერს შორის ძვირფასი ჯვრის გამო, საქართველოს დიდებულებთან და სომხური ეკლესიის მესვეურებთან ერთად იყვნენ ყადნი თბილისისა, ანისისა და დვინისა).

მაშასადამე, საქართველოს ხელისუფლება კიდევ უფრო ეფექტურ ზომებს მიიღებდა მულიდთა წინააღმდეგ და საპასუხო რეპრესიებით გაუმასპინძლდებოდა.

ამრიგად, XII საუკუნის შუა წლებში საქართველოსა და მულიდებს შორის მტრული ურთიერთობა სუფევს.

მულიდები, ალბათ, განაგრძობდნენ არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე. ვინაიდან არსებობას განაგრძობდა ალამუთის საჩელმწიფო.

მულიდებს კარგად იცნობდნენ რუსთველის ეპოქაშიც, რასაც ადასტურებს თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა მულიდთა მიერ ყიზილ-არსლანის მოკვლაზე.

ალამუთის სახელმწიფოს შესახებ კიდევ უფრო მეტს შეიტყობდნენ ქართველები ჩრდილოეთ ირანში ძლევამოსილი ლაშქრობის დროს (XIII საუკუნის დამდეგს).

ქართული მხედრობის მარშრუტი გადიოდა ალამუთის მულიდთა მუდმივი ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს. თამარის პირველი ისტორიკოსის მიხედვით, აღებულ იქნა ქალაქები ზანგანი (ანუ ზენჯანი), ავჰარი (ანუ აბჰარი) და ყაზვინი.

ყურადღებას იქცევს ქალაქ ყაზვინის დასახელება. თვით ალამუთის ციხე მდებარეობს ყაზვინიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით

ორმოცდაათი კილომეტრის მანძილზე. სპარსული წყაროების თანახმად, ყაზვინელებს, როგორც ალამუთის ყველაზე ახლო მეზობლებს, მრავალი ბრძოლა ჰქონიათ გადახდილი მულიდებთან, აურაცხელი ზარალი განუცდიათ მათი თავდასხმების შედეგად და ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული დაუსრულებელ მტრობას.

აბჰარი მოთავსებულია შუა გზაზე ზენჯანსა და ყაზვინს შორის. ეს ქალაქიც მულიდთა აქტიური მოღვაწეობის ზონაში მდებარეობდა. როდესაც ალამუთის მორიგი მბრძანებელი ჰასან III დაუკავშირდა ირანისა და აზერბაიჯანის ათაბაგ უზბეგს და მათ გაერთიანებული ძალებით დაამარცხეს ერაყის გამგებელი, ჰასანს გაწეული სამსახურის ჯილდოდ ებოძა სწორედ აბჰარი და ზენჯანი. ეს ორი ქალაქი თავისი სანახებითურთ რამდენიმე წლის მანძილზე მულიდთა მფლობელობაში იყო.

ამ მიდამოებში ქართული მხედრობის ლაშქრობის შედეგად, ბუნებრივია, რომ საქართველოში კიდევ უფრო ნაცნობი გახდებოდა მულიდთა სახელი.

ქართულ მხედრობას მიუღწევია ქალაქ გურგანამდე (კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე): „მიიწივნეს ვიდრე გურგანისად ქალაქად და მოაოხრეს ქვეყანა იგი“.

გურგანისაკენ მიმავალთ უეჭველია უნდა გადაეჭრათ მულიდთა საფლობელოები რუდბარის ოლქში, ვინაიდან ალამუთის ციხე მდებარეობდა უმოკლეს გზაზე ყაზვინსა და კასპიის ზღვას შორის. ასე რომ, შესაძლოა, ქართველებმა საკუთარი თვალით იხილეს მთელს აღმოსავლეთში სახელგანთქმული ალამუთი ანუ „არწივის ბუდე“. ოღონდ ალაჰმა უწყის, გადაეყარნენ თუ არა გზაში თვით არწივებს, რომელთაც არაფრად ეპიტნავებოდათ ამხელა ჯარის სტუმრობა ალამუთის მიდამოებში.

მულიდებთან შესაძლებელ კონტაქტებს გვაფიქრებინებს ერთი ცნობა ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებიდან განჯაზე ქართველთა გალაშქრების შესახებ. ლაშა-გიორგის ერცელ სიტყვაში ივანე მხარგრძელისადმი ასეთი ფრაზა გვხვდება: „ახლა განჯელთ ხარაჯა არ მოუციათ და ათაბაგი ერანისა დიდის ლაშქრით მოშველებია განჯელთა“, ივანე მხარგრძელს დაუდასტურებია განჯელთა განდგომის ამბავი და უთქვამს, „იმათი ათაბაგი“ თორმეტი ათასი მეომრით მოსულა განჯაში და ის არ აძლევინებს ხარკს, თორემ განჯელების ბრალი არ არისო.

ამ ცნობაში „ერანის ათაბაგად“ ნაგულისხმევია ილდეგიზიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, არანისა და აზერბაიჯანის ათაბაგი უზბეგი (ძმისწული მულიდთაგან მოკლული ყიზილარსლანისა).

ფარსადან ვორგიჯანიძის ცნობას ერთგვარად ეხმიანება სპარსულ გეოგრაფიულ თხზულებაში („აჯაიბ ად-დუნია“) დამოწმებული ცნობა, სადაც ვკითხულობთ, რომ დაახლოებით იმავე ხანებში ფადიშაჰი შესულია ხაჩენის სამთავროს. ფიქრობენ, რომ ეს „ფადიშაჰი“ უნდა იყოს ივანე უზბეგი.

თუ გავიხსენებთ, რომ ხაჩენის პროვინცია იმხანად საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შემოდიოდა, ცხადი ხდება, რომ ორი წყარო (ქართული და სპარსული) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ გვაუწყებს ილდეგიზიანთა ათაბაგის გარკვეულ კონფლიქტს საქართველოს ხელისუფლებასთან.

სწორედ ხსენებულ უზბეგთან დაამყარა განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ალამუთის მბრძანებელმა ჰასან III-მ. მათ შორის დაიდო მოკავშირეობის ხელშეკრულება. ჯუვეინისა და რაშიდ ად-დინის მიხედვით, მულიდთა მბრძანებელი თავის ლაშქრის თანხლებით ალამუთიღან აზერბაიჯანს მოვიდა. იგი წელიწადნახევარი იმყოფებოდა სტუმრად უზბეგის სამფლობელოებში: ერაყში, აზერბაიჯანსა და არანში (ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა მულიდთა ისტორიაში. მანამდე, ალამუთის მბრძანებლებს საერთოდ არ მიუტოვებიათ თავისი რეზიდენცია. მაგრამ ამას ვინღა ჩიოდა, როცა ჰასან III-მ ზურგი აქცია მამა-პაპათა მოძღვრებას და ისლამის წიაღში დააბრუნა მულიდები. მან აღიარა აბასელთა ხალიფას უზენაესობა, მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მეზობელ მაჰმადიანურ სამფლობელოებთან და თვით ხალიფას ნება-დასტურით გილანის ამირათა ასულებზე დაქორწინდა. საქმე იქამდე მივიდა. რომ ალამუთში „მწვალებლური“ წიგნების დაწვას მიჰყვეს ხელი).

არანისა და აზერბაიჯანის ათაბაგი უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა თავის სტუმარს. მათი მეგობრობა დღითი დღე მტკიცდებოდა. საჩუქრები და საპატიო ხალათები უბოძეს არა მარტო ალამუთის დიდებულებს, არამედ მულიდთა მთელ ლაშქარს. ათაბაგი უზბეგი ყოველდღიურად ათას ოქროს დინარს უგზავნიდა ალამუთის მბრძანებელს სხვადასხვა ხარჯისათვის.

როგორც ჩანს, ძალზე ძვირად ფასობდა მულიდთა მხარდაჭერა!

უზბეგის დროებით მოკავშირედ ქცეული მულიდები აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ განჯა-ხაჩენის სამხედრო ოპერაციებში. მართალია, წყაროებში კონკრეტულად განჯა არ არის მითითებული, მხოლოდ ნათქვამია ბრანსაც ესტუმრნენო, მაგრამ არანის მთავარი ქალაქი სწორედ განჯა იყო და ადვილი დასაშვებია, რომ უზბეგთან ერთად მულიდებიც მოსულიყვნენ განჯაში ქართველებთან საომრად.

ასეა თუ ისე, მულიდთა ლაშქრის სტუმრობა საქართველოს მეზობელ მხარეში (არანი), რაც ეჭვმიუტანელ ფაქტს წარმოადგენს, თავისთავად საკმარისი იყო იმისათვის, რომ მათი სახელი კიდევ ერთხელ გახმაურებულიყო საქართველოში.

თავის დროზე, ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა თ. ჟორდანიამ გამოთქვა ვარაუდი, რომ ალამუთის მულიდთა მსხვერპლნი შეიქნენ დავით სოსლანი, თამარ მეფე და ლაშა-გიორგი. მისი აზრით, მულიდებმა საწამლავით მოუღეს ბოლო საქართველოს ხსენებულ მეფეებს და ეს ამბავი საიდუმლოებით იყო მოცული, ვინაიდან თ. ჟორდანიას სიტყვით, „თვისის ნაავკაცარს მულიდნი საოცარი ხერხებით ჰმალავდნენ“.

რა შეიძლება ითქვას ასეთი ვარაუდის შესახებ?

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მულიდებს თავის ხანგრძლივსა და სისხლიან მოღვაწეობაში თითქმის არასოდეს გამოუყენებიათ საწამლავი (ერთადერთ გამონაკლისად მიჩნეულია სელჩუკთა სულტნის მუჰამედის მკვლელობის ცდა მულიდთაგან მოსყიდული დალაქის მიერ, რომელსაც მოწამლული დანით უნდა გამოეშვა სისხლი სულტნისათვის).

გარდა ამისა, მულიდთა ტერორისტული პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშანი იყო საჯარო მკვლელობანი და თავის ნაავკაცარს მულიდები იშვიათად მალავდნენ.

მთავარი კი ისაა, რომ ქართულსა თუ უცხოურ წყაროებში ერთი სიტყვითაც არ არის მითითებული ანდა მინიშნებული, საქართველოს ესა და ეს მეფე მულიდებმა მოკლესო.

ასე რომ ზემოთქმული ვარაუდი დღესდღეობით არსებული მასალების მიხედვით არ დასტურდება, თუმცა იმდროინდელი საქართველოს ურთიერთობა მულიდებთან არ გამორიცხავს ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას...

ქართული წყაროებიდან ყველაზე ვრცლად მოგვითხრობს მუ-

ლიდთა შესახებ ჟამთააღმწერელი. მის თხზულებაში აღწერილია ქართველების მონაწილეობა მონღოლთა ლაშქრობაში ალამუთის წინააღმდეგ (XIII საუკუნის 50-იანი წლები).

ჟამთააღმწერლის ინფორმაცია უნდა მომდინარეობდეს ქართული წყაროდან, რომელიც შეიცავდა თვითმხილველის ნაამბობს. ამას მიგვითითებს მთელი ეპიზოდის შინაარსი: ჩაღატა-ნოინის მკვლელობა ღამით, მონღოლთა მიერ ქართველებზე ეშვის მიტანა, ვითარება ქართველთა ბანაკში მონღოლების მოსალოდნელი თავლასხმის წინ, ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის საკმაოდ ერცელი სიტყვა, მულიდის მოულოდნელი გამოსვლა სამალავიდან და ჩადენილი დანაშაულის აღიარება, მონღოლთა განაჩენი...

ასეთი დეტალური თხრობა აშკარად მეტყველებს იმას, რომ ქართველ მემატიანეს სიტყვასიტყვით ჩაუწერია ალამუთის ომის მონაწილის ნაამბობი. უცხოურ წყაროებში აღნიშნულია მხოლოდ ფაქტი ჩაღატას მკვლელობისა.

ზემოთ მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ საქართველოში მშვენივრად იცნობდნენ მულიდებს, ღლიდან მათი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსებისა, ვიდრე ალამუთის დამხობამდე.

ამ ნაცნობობა-ურთიერთობის მიმოხილვის შედეგად გასაგებია, თუ რატომ მოიხსენიებენ ქართული წყაროები ისმაილიტებს იმ ოდიოზური შინაარსის ტერმინით, რომელიც მაჰმადიანურ სამყაროში იყო გავრცელებული და გამოხატავდა მტრულ დამოკიდებულებას მრისხანე მეამბოხეთა მიმართ.



არ ქაჯნია, კაცნიაო

„ვეფხისტყაოსნის“ მკითხველი ქაჯებსა და ქაჯთა სამეფოს პირველად ეცნობა პოემის შემდეგ თავში: „ამბავი ნესტან-დარეჯანისა ქაჯთაგან შეპყრობისა“.

...ნესტან-დარეჯანი უგზო-უკვლოდ გადაიხვეწა გულანშაროდან. ხელმწიფის კარზე გლოვაა. გაქრა ტურფა სადედოფლო. ფიცის გამტეხი უსენი ველარ მიჰკარებია განრისხებულ ცოლს. სახლი და შვილი მოსძულდა ფატმანს. მწუხარე და ცრემლშეუშრობელი, დღისით თუ ღამით, განუწყვეტლივ იგონებს იგი გადაკარგულ ნესტან-დარეჯანს. დარდი გულს უკლავს და აღარ ეკარება ნუგეში. მაგრამ ერთ მშვენიერ საღამოს უეცრად გამოკრთება იმედის სხივი. ფატმანმა შემთხვევით მოისმინა ხანაგაში ჩამომხტარ მგზავრთა საუბარი. ქაჯთა მეფის მონა თავის თავვადასავალს მოუთხრობდა გზაში გაცნობილ თანამგზავრებს. ირკვევა, რომ ნესტან-დარეჯანი მოუტაცნიათ ქაჯებს!

ფატმანმა დაწვრილებით უამბო ავთანდილს ქაჯთა მეფის მონისაგან გაგონილი: ქაჯთა მეფის სიკვდილი, მისი შვილების ამბავი, დულარდუსტის საქმენი, ქაჯთა სამზადისი ზღვას იქით გასამგზავრებლად, როშაქის წასვლა სამეკობროდ, შეყრა ნესტან-დარეჯანთან, ქაჯთაგან მისი შეპყრობა და უძვირფასესი ნადავლითურთ დაბრუნება ქაჯეთის ციხე-ქალაქში.

ამას მოსდევს ფატმანის გრძნეულ მონათა მიერ მოტანილი ცნობები ქაჯეთიდან და ასე შეიტყობს ავთანდილი ნესტან-დარეჯანის დაწინდვას ქაჯთა მეფის ვაჟზე.

ავთანდილი აღტაცებულია იმით, რომ ბოლოს და ბოლოს მიაგნო ნესტან-დარეჯანის კვალს, მაგრამ ამავე დროს ვერ მალავს თავის გაოგნებას. ფატმანის ნაამბობი ეუცხოვება, ვინაიდან, საყოველთაოდ გავრცელებული შესედულებით, ქაჯნი უხთრცო ავ-

სულები არიან. ხოლო ამ ტრადიციულ წარმოდგენას მთლიანად აქარწყლებს ფატმანი, რომელიც აღწერს ქაჯებს, როგორც სავსებით ნორმალურ ადამიანებს. ფატმანის სიტყვით, ქაჯებს ჰყავთ თავიანთი მეფე, ვაზირნი, თავადნი, მონები, ლაშქარი; ისინი ძარცვავენ ქარავნებს, იტაცებენ ქალებს და ხანაგაში ჩერდებიან ჩვეულებრივი მგზავრებივით.

რა თქმა უნდა, ავთანდილს ამის მსგავსი არაფერი სმენია ქაჯთა შესახებ. იგი განცვიფრებით ეკითხება ფატმანს: „ქაჯნი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?“

ავთანდილს ვერ დაუჯერებია, რომ ბუნებაში არსებობს ხორციელ ქაჯთა მოდგმა. შემდეგი შეკითხვით უარყოფს კიდეც ასეთი გაუგონარი ფენომენის შესაძლებლობას და ფაქტიურად ეჭვქვეშ აყენებს ფატმანის ნაამბობს. იგი კვლავინდებურად ფიქრობს, რომ ზღაპრულ ქაჯებს არ შეიძლება გააჩნდეთ ადამიანური ვნებანი და უზომო გაოცებას გამოთქვამს ნესტან-დარეჯანის მოტაცების გამო: „მაგრა ქაჯნი უხორცონი რას აქნევენ, მიკვირს, ქალსა?!“

მომდევნო სტროფებში ფატმანი მოთმინებით უხსნის ავთანდილს, რომ ნესტან-დარეჯანი დაატყვევეს არა უხორცო ავხულებმა, არამედ თავიანთ საოცარ და საზარელ საქმეთა წყალობით „ქაჯებად“ წოდებულმა ადამიანებმა. სწორედ აქ არის აღწერილი ქაჯთა „ქაჯობა“. წინარე სტროფებში ქაჯებს თითქმის არაფერი ეცხოთ „ქაჯური“, მათი მხოლოდ სახელი ესმოდა ავთანდილს. ახლა კი საქმენიც გამოჩნდა — უტყუარი წყარო „ქაჯებად“ მონათვლისა. ფატმანი არწმუნებს ავთანდილს: „არ ქაჯნია, კაცნიაო...“, მერე უხსნის, რომ „ქაჯნი სახელად მით ჰქვიან...“ და მათი ლაკონიური პორტრეტის გადმოცემის შემდეგ დასძენს: „ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი, თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი“.

ბუნებრივია, რომ ავთანდილისათვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ფატმანისეული ახსნა-განმარტება. პოემაში ვკითხულობთ:

> ავთანდილ მადლი უბრძანა: „ცეცხლნი დამივსენ ცხელანი,
> დიდად მეამნეს ამბავნი, სიტყვანი აწინდელანი“.

მისი კმაყოფილება გამოწვეულია იმით, რომ ნესტან-დარეჯანი ზებუნებრივ ძალებს როდი ჰყოლიათ დატყვევებული. ავთანდილს გაცილებით იოლად შეუძლია წარმოიდგინოს შებრძოლება ხორ-

ციელ ადამიანებთან, რაგინდ მრისხანე და უძლეველ ტომს არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, ვიდრე უხორცო ქაჯებთან. ავთანდილი რომ შეაკრთო ზღაპრულ ავსულებთან ბრძოლის პერსპექტივამ, ეს თვალნათლივ ჩანს ფატმანის ნათქვამიდან: „მართლად გხედავ მანდა მკრთალსა“.

„ვეფხისტყაოსნის“ ქაჯები არ არიან უხორცო ავსულნი. ამას ეჭვმიუტანლად ადასტურებს თვით პოემის ტექსტი.

თუ ერთხელ და სამუდამოდ ვენდობით რუსთველის მოწმობას („არ ქაჯნია, კაცნიაო“)და მისტიფიკაციად არ მივიჩნევთ, მაშინ იბადება ასეთი კითხვა: პოეტის ფანტაზიის ნაყოფია „ქაჯებად“ წოდებული ადამიანები თუ შეესაბამებიან რომელიღაც სინამდვილეში არსებულ ხალხს.

...ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დამდეგს ქართველმა ისტორიკოსმა მ. ჯანაშვილმა სცადა დაემტკიცებინა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯების სახით გამოყვანილი არიან მულიდები ანუ ასასინები. ეყრდნობოდა რა ვებერის „მსოფლიო ისტორიაში“ მოტანილ ცნობებს ამ სექტის შესახებ, მ. ჯანაშვილი ასკვნიდა, რომ რუსთველის პოემის ქაჯებსაც სწორედ ის თვისებები აქვთ, რითაც მულიდნი გაირჩეოდნენ სხვა რწმენის ხალხთაგან.

შემდგომში ეს მოსაზრება გაიზიარა და უფრო საფუძვლიანად დაასაბუთა გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ. იგი წერდა: „უკანასკნელ ხანებში, მაჰმადიანური სექტების შესწავლის მიზნით, მე მიხდებოდა გაცნობა სამეცნიერო ლიტერატურისა აღმოსავლეთის ისტორიაში კარგად ცნობილი ისმაილიტ-მულიდების ან ასასინების შესახებ. ამ შეტუდიების დროს ჩემს წინაშე უნებლიეთ წამოიჭრა საკითხი: ჩვენს პოემაში ქაჯების სახით მულიდ-ასასინებზე ხომ არ არის ლაპარაკი?“

მკვლევარი მოკლედ ახასიათებს XI საუკუნის დამლევს ირანში წარმოქმნილ მულიდთა დამოუკიდებელ სახელმწიფოს და გვიჩვენებს მათი ბრძოლის მეთოდებს, თავზარს რომ სცემდა აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც.

კ. კეკელიძე გვაწვდის მულიდთა საოცარი საქმიანობის ცოცხალსა და მჭევრმეტყველ სურათს: „ასასინები მეტად მოხერხებული ადამიანები იყვნენ; არ იყო ისეთი დაბრკოლება, რომელიც მათ არ გადაელახათ თავიანთი მიზნის განხორციელებისას. არ იყო ისეთი საქმე, რომელიც მათ არ სცოდნოდათ მოწინააღმდეგეთა ბანა-

ჯიდან. არ იყო ისეთი საჯარო ადგილები და დაწესებულება, სადაც ისინი შეუმჩნეველად, როგორც უხილავი სული და გრძნეული არსება, არ შეპარულიყვნენ და ისიც არა ღამით მარტო, არამედ დღისითაც. ისინი მიდიოდნენ ხოლმე შორს, ცხრა მთას იქითაც, რათა სასიკვდილო დანა ჩაეცათ ძლევამოსილი მტრისათვის მისი ჯარის თვალწინ, ძლიერი სულტნისათვის ფხიზელ დარაჯთა გარშემორტყმულ სასახლეში და გავლენიანი მოხელისათვის მის გარშემო შემოკრებილ მდივანთა წრეში".

ზემოთქმულს მოეძებნება მრავალი საინტერესო და კოლორიტული საბუთი მულიდთა მოღვაწეობისა, რომელიც შემოუნახავთ სანდო საისტორიო წყაროებს. ნამდვილად ვანსაცვიფრებელია მულიდთა ფართო არეალი (საფრანგეთიდან — ინდოეთამდე), ისმაილიტურ რჯულზე მოქცეულთა ფართო დიაპაზონი (მთიელი გლეხიდან — სელჩუკთა იმპერიის ვეზირამდე), ფიდაების ზღაპრული ფანატიზმი და მართლაც რომ „ქაჯური" მოხერხება და ყოვლისშემძლეობა.

ჯ. კეკელიძის დასკვნით „ვეფხისტყაოსნის" ქაჯები თავისი ყოფა-ცხოვრებითა და ხასიათით ზედმიწევნით გვაგონებენ მულიდებს.

ქაჯთა იდენტიფიკაცია ამით არ შემწყდარა.

ზოგიერთი მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის" ქაჯებსა და ქაჯეთს მიიჩნევს რომელიმე ტომისა და მათი ქვეყნის სახელწოდების დამახინჯებულ ფორმად (მაგალითად, „ქალჯები" — სამხრეთ ავღანეთში, „კაჩარ" — ინდოეთში, „კაჯე" — ნიგერიაში, და სხვ.); ასეთი მსჯელობა სამართლიანი იქნებოდა, რომ არ არსებობდეს ქართულ ენაში სიტყვა „ქაჯი", რომელიც თავისი პირველადი მნიშვნელობით (ავსული, ეშმა) გვხვდება თვით „ვეფხისტყაოსნის" ფურცლებზე. პოემის დასაწყისში როსტევანი ამბობს ტარიელის შესახებ: „ვითა ეშმა დაეკარგა", და შემდეგ ტარიელის ძებნით დაღლილი ავთანდილი იმავე ამბავს ასე იხსენებს: „ულონიოდ მართალ იყვნეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან", ხოლო როდესაც პირისპირ შეეყრება ტარიელს, ეუბნება: „ვითა ქაჯი დაგვემალე". რასაკვირველია, პოეტს თავისუფლად შეეძლო ეთქვა: „არ ეშმაკნია, კაცნიაო", ანდა „არ ავსულნია, კაცნიაო".

მაშასადამე, მცდარი უნდა იყოს „ქაჯის" ფონეტიკურად შესატყვისი ტომისა თუ ქვეყნის ძიება აზია-აფრიკის ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკაზე. „ვეფხისტყაოსნის" ტექსტი ეძლევა ერთადერთ

პასუხს: პოემის ქაჯნი და ქაჯეთი დამკვიდრებულ ეთნიკურ-გეოგრაფიულ ცნებათა სახეცვლილება კი არ არის, არამედ პოემაში აღნიშნული მეტსახელი რომელიღაც ხალხისა და მისი ადგილსამყოფელისა.

გარდა ამისა, თუნღაც მიახლოებითი იდენტიფიკაცია მოითხოვს რაიმე დამახასიათებელი, გამოსარჩევი ნიშნის მითითებას. „ქაჯებად" გამოცხადებისათვის საკმარისი არაა ავღანეთში მცხოვრები ქალჯების სანაქებო მეომრობა, ნიგერიაში არსებული კაჯეს ტომის შავკანიანობა ანდა მავრიტანიის კულტურულ-ეკონომიკური სიმაღლე. „ვეფხისტყაოსნის" ქაჯთა აღწერა გაცილებით დეტალურია და შეიცავს რამდენიმე ისეთ შტრიხს, რომელიც არ მოიპოვება ზემოხსენებულ ტომთა ისტორიულ პორტრეტში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანადროულობისა და მსგავსების მიხედვით „ვეფხისტყაოსნის" ქაჯებსა და ქაჯეთთან ყველაზე ახლოს არიან მულიდები და ალამუთი. ერთობ დამაჯერებლად გამოიყურება კ. კეკელიძის დებულება, საუცხოოდ შემაგრებული სათანადო მასალებით, რაც სხვა ავტორთა მიერ თითქმის იგნორირებულია.

მაგრამ კ. კეკელიძე მულიდთა გაცნობას საქართველოში უკავშირებდა მონღოლებთან ერთად ქართველ მხედართა მონაწილეობას ალამუთის ომში და შესაბამისად XIII საუკუნის შუა წლებისათვის გადაჰქონდა „ვეფხისტყაოსნის" დაწერის თარიღი. კ. კეკელიძის აზრით, ის დეტალური აღწერილობა ქაჯთა ანუ მულიდთა ცხოვრებისა, ხასიათისა, ზნე-ჩვეულებათა და ციხე-სიმაგრისა, რომელიც გვხვდება „ვეფხისტყაოსნის" ფურცლებზე, შესაძლებელი უნდა გამხდარიყო მხოლოდ მონღოლ-ქართველთა შვიდწლიანი ომისა და ალამუთის აღების შემდეგ.

ასეთი დასკვნა მეტ-ნაკლებად მისაღები იქნებოდა მაშინ, როდესაც ცნობილი იყო მხოლოდ თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებებში მოტანილი ინფორმაცია, მაგრამ ამჟამად ხელთა გვაქვს რაშიდ ად-დინის უტყუარი ცნობები საქართველოში მულიდთა მოღვაწეობის გაძლიერებასა (XII საუკუნის ოციან წლებში) და თბილისის ყადის მკვლელობაზე.

მაშასადამე, ალამუთის წინააღმდეგ მონღოლთა გალაშქრებამდეც ძალზე კარგად იცნობდნენ მულიდებს საქართველოში.

დღვსავით ნათელია, რომ რუსთველსაც შესანიშნავად ეცო-

დინებოდა, თუ ვინ იყვნენ და რას წარმოადგენდნენ მულიდები.

რა თქმა უნდა ეცოდინებოდა, ვინაიდან „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, კ. კეკელიძის გამოთქმით, იყო ღვიძლი შვილი თავისი დროისა, „ხორცი ხორცთაგან და ძვალი ძვალთაგან“ თავის ეპოქისა.

მულიდთა ანუ ასასინთა პოპულარობას იმდროინდელ აღმოსავლურ თუ დასავლურ სამყაროში მკაფიოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა აღმოსავლური საისტორიო წყარო მოგვითხრობს მულიდთა შესახებ და ისინი გვხვდებიან თითქმის ყველა ჯვაროსნული ქრონიკის ფურცლებზე, აგრეთვე იმ პოემებში, სადაც აღწერილია ჯვაროსანთა ცხოვრება და ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპიზოდები.

მულიდ-ასასინებს საპატიო ადგილი უჭირავთ ისეთ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიებში, როგორიც არიან აიუბიანთა სულტანი სალადინი და ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული, ხვარაზმშაჰი ჯალალედინი და საფრანგეთის მეფე ფილიპე.

მულიდებს იცნობენ ნიზამი და ხაყანი, ასასინებს — დანტე და ბოკაჩო.

არანაკლებ ნაცნობი უნდა ყოფილიყო მათი სახელი ქართველი პოეტისა და ქართული საზოგადოებისათვის.

კ. კეკელიძის სიტყვით, რუსთველმა თავის პოემაში ვრცლად გადმოგვიშალა თვალწინ აღმოსავლურ-მაჰმადიანური სამყარო XII-XIII საუკუნეებისა, ხოლო ამ სამყაროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ასასინთა ორდენი, რომლის ისტორია მრავალი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ ამბებთან არის გადახლართული. თითქმის ორასი წლის მანძილზე ძრწოდა მთელი წინა აზია მულიდ-ასასინთა წინაშე. აზიისა და ევროპის ქვეყნები, სამაჰმადიანო და საქრისტიანო, მაშრიყი და მაღრიბი იყო მოწმე მათი გაჩენისა, აღზევებისა და ბოლოს — დამხობისა. მართლაც არ შეეძლო ქართველ პოეტს გვერდი აევლო ასეთი განუმეორებელი მოვლენისათვის და თავის მხატვრულ ტილოზე არ მიეჩინა მისთვის გარკვეული ადგილი.

ვიქტორ ნოზაძის ნაშრომში ვკითხულობთ: „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯთა სამეფო უეჭველად ისტორიული ქვეყანაა და სწორედ ამ მიმართულებით ძიება უნდა მიმართოს მან, ვისაც ძალი აქვს ცდისაო“.

ქაჯთა ყველაზე სარწმუნო პროტოტიპად საგულვებელია სა-

ხელგანთქმული მულიდები და სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაუდგეს გზას კვლევა-ძიება...

„ვეფხისტყაოსანში“ ქაჯთა ქვეყანას ეწოდება „ქაჯეთი“. როდესაც ქაჯთა მეფის მონა რამდენჯერმე ახსენებს „ქაჯეთს“, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ გეოგრაფიულ რუკაზე ვეძებოთ „ქაჯეთი“. ასეთივე ამაო შრომა იქნებოდა ძებნა „მულიდეთისა“. მსგავსი სახელწოდება ქართულ წყაროებში არ არის დამოწმებული (ჟამთააღმწერელი ასე მოიხსენიებს მულიდთა სამფლობელოს: „ქვეყანა ალმუთისა“,) მაგრამ ადვილი დასაშვებია მისი არსებობა. ვინაიდან რამდენიმე უცხოური წყარო მულიდთა ტერიტორიას აღნიშნავს არა მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით. ვთქვათ დეილემი ან ყოჰესთანი ანდა ჟამთაამღწერელის მსგავსად — ქვეყანა ალმუთისა, არამედ იმ სახელწოდების შესაბამისად. რომლითაც ისმაილიტები იყვნენ ცნობილი მაჰმადიანურ სამყაროში.

ევროპელი მოგზაურები გიიომ რუბრუკი, მარკო პოლო, ოდორიკო პორდენონე, აგრეთვე სომეხი ისტორიკოსები მოიხსენიებენ მულიდთა სახელმწიფოს ერთიმეორის მსგავსი სახელებით, რომელთა ყველაზე მართებული ვარიანტი გახლავთ „მულიდისტანი“, ანუ, ქართულად რომ ვთარგმნოთ, „მულიდეთი“.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ რუსთველიც და ზემოდასახელებული ავტორებიც ქვეყნის სახელწოდებას აღნიშნავენ ამ ქვეყნის მკვიდრთა მეტსახელის მიხედვით.

„ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია“, — ეუბნება ავთანდილს ფატმანი.

XI-XIII სს. ისტორიულ სინამდვილეში ასეთი სახელი და უძლეველობის შარავანდედი მოხვეჭილი ჰქონდა მულიდთა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცენტრს — ალამუთის ციხეს, რომელიც მდებარეობდა დეილემში, ორი დღის სავალზე ყაზვინიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. დეილემის მთიანეთში მრავლად იყო სხვა ციხეები, მაგრამ ალამუთი წარმოადგენდა ყველაზე ძლიერსა და მიუდგომელ ციხეს. რამდენჯერაც არ სცადეს სელჩუკებმა სახელგანთქმული ალამუთის აღება, იმდენჯერვე მოეცარათ ხელი. ყოველი ცდა ფუჭი და ამაო იყო. ალამუთი მედგრად იგერიებდა ულთვალავ თავდასხმებს; ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ სულტნები და თითოეული მათგანი თავის უწმინდეს მოვალეობად თვლიდა

აწოეძირკვა „მწვალებელთა“ ჯილაგი, მაგრამ მულიდთა სახელმწიფოს გული ძალუმად განაგრძობდა ფეთქვას, დრო და მტერი ვერაფერს აკლებდა მას, ალამუთი რჩებოდა ალამუთად, როგორც მჭეცრმეტყველი სიმბოლო მულიდთა ძალაუფლებისა. ყველა იმედი რომ გადასწყვეტოდათ, ალამუთი მაინც არ უმტყუნებდა მულიდებს. არწივის ბუდე ყოველთვის შეიკედლებდა ფრთამოტეხილ თუ გულგატეხილ არწივებს...

„არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა“, — ამბობს ფატმანი.

ალამუთის ციხე აგებული იყო ძალზე მაღალი და მიუვალი კლდის თავზე, ელბურსის მთების შუაგულში. მნახველთა სიტყვით, ეს კლდე შორიდან არ ახდენს დიდ შთაბეჭდილებას, ვინაიდან მოჭცეულია მაღალი მწვერვალების ტყვეობაში და მხოლოდ ახლო მანძილზე მისულს შეუძლია, ღირსეულად შეაფასოს მისი უაღრესად ხელსაყრელი პოზიცია. არ არსებობს არავითარი საფარი ციხეზე პირდაპირი იერიშის მისატანად და ციხის ძლიერება ნამდვილად შემაძრწუნებელი ხდება. ალამუთი მართლაც აუღებელ ციხედ ჩითვლებოდა იმდროინდელი სამხედრო ტექნიკის პირობებში. ფრიალო კლდეები ყოველი მხრიდან გადმოკიდებულა თვალჩაუწვდენელ უფსკრულზე („ყოვლგნით კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოადგების“).

ინგლისელ არქეოლოგთა გამოთვლით ალამუთის კლდის სიმაღლე აღწევს თითქმის სამას მეტრს, ხოლო სიგრძე ასოცდაათი მეტრი იქნება („ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია“).

ციხის ვრცელ ტერიტორიაზე თურმე მოზრდილი სოფლის მოსახლეობა დაეტეოდა. მდინარიდან გამოყვანილი არხი განუწყვეტლივ ამარაგებდა წყლით ალამუთის უზარმაზარ წყალსატევებს, ხოლო საწყობებში უხვად ინახებოდა სურსათ-სანოვაგე.

ჯუვეინი, თვითმხილველი ალამუთის დაპყრობისა, მოგვითხრობს, რომ მონღოლებს ძალზე გაუჭირდათ და გაუჭიანურდათ ციხის დანგრევა.

აუწერელი სასწაული გამოდგა მონღოლთათვის ალამუთი. ჯი ამბობს რაშიდ ად-დინი, ჰულაგუ-ყაენმა „განცვიფრების თითზე იკბინაო“, ე. ი. გაუგონარმა განცვიფრებამ შეიპყროო.

მიუვალ მთებში, ვეებერთელა კლდეზე აგებული მიუდგომელი ციხე, რა თქმა უნდა, უდიდესი პოპულარობით სარგებლობ-

და და დღეს, როცა ნანგრევებიღა შემორჩენილა, ალამუთის ნაშთიც კი იწვევს გაოცებას. სავსებით ბუნებრივია, რომ დღევანდელი ალამუთის მნახველებს შთაბეჭდილებას უთავეცებს სახელგანთქმული ციხის ისტორია და მასთან დაკავშირებული მოვლენები.

მულიდთა გარეშე თითქოსდა არც არსებობს ალამუთის ციხე. ეს ორი ცნება განუყოფლად არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან. მულიდთა სსენება იწვევს ალამუთის გახსენებას და ალამუთის სსენება — მულიდთა გახსენებას. მულიდები ძნელი წარმოსადგენია უალამუთოდ და ალამუთი — უმულიდებოდ. სწორედ მულიდთა დამკვიდრებამ ალამუთში შემოსა ციხე უძლეველობის შარავანდედით.

ძაგრამ არ არის აუცილებელი „ვეფხისტყაოსნის“ ფინალში აღწერილი ქაჯეთის ციხის აღება მივიჩნიოთ ალამუთის აღებით შთაგონებულ სურათად. მხატვრული თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსნის“ გპირთათვის საგმირო საქმედ ჩაითვლებოდა სწორედ აუღებელ ციხედ აღიარებული ქაჯეთის (ანუ ალამუთის) ციხის აღება და გაცილებით მკრთალად გამოიყურება სინამდვილეში მოსიდარი ამბის (ალამუთის დაპყრობა მონღოლთაგან) გადატანა პოემის ფურცლებზე. და, რაც მთავარია, ქაჯეთის ციხის აღების გაიგივებას ალამუთის აღებასთან ფაქტიურად გამორიცხავს შემდეგი გარემოება: მონღოლებს იერიშით არ აუღიათ ალამუთი და არავითარი სისხლის ღვრა არ დასჭირვებია მულიდთა მთავარი ციხე-ქალაქის დამხობას, არც მისი დამცველნი ამოუწყვეტიათ სასტიკ შეტაკებაში (როგორც ამას გვიხატავს რუსთველი). სინამდვილეში ალამუთის უკანასკნელმა მბრძანებელმა როქნადინ ხურშაჰმა, მიუხედავად მულიდთა ერთი ნაწილის უკმაყოფილებისა, უსიტყვო კაპიტულაცია ამჯობინა თავგანწირულ წინააღმდეგობას, თავისი მთავარი ციხეები ჩააბარა ჰულაგუ-ყაენს და მიიღო უსაფრთხოების გარანტია. ასე რომ, მონღოლები უომრად დაეუფლნენ ალამუთს!

როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ იწერებოდა, ალამუთის ციხე ჯერ ისევ ბრწყინავდა უძლეველობის შარავანდედით, აუღებელ ციხედ ითვლებოდა მთელს აღმოსავლეთში და მისი აღება მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ სწორუპოვარ გმირებს თუ შეეძლოთ ავტორის შემოქმედებითი ფანტაზიის აღმაფრენის შედეგად...

აი, ასეთია ამბავი ქაჯეთისა და ალამუთისა.

მაგრამ ქაჯეთის ციხეზე მეტად რუსთველის პოემაში აღწერილი ქაჯები იწვევენ ინტერესს და აღვივებენ ცნობისმოყვარეობას.

ფატმანი უმტკიცებს ავთანდილს, რომ ქაჯნი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, „ჩვენებრვე ხორციელანი", მაგრამ ისინი მაინც განირჩევიან ადამის ძეთაგან და ამიტომაც შეურქმევიათ მათთვის ფრიად ულაზათო და შეურაცხმყოფელი სახელი. აი, რას ამბობს ფატმანი:

„ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი,
კაცნი გრძნებისა მცოდნელნი, ზედა გახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი;
მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი".

ამ სტროფში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ უძლეველი „ქაჯები", ერთად თავშეყრილნი, გადამტერებიან ადამიანთა მთელს მოდგმას და ვერავინ ამარცხებს მათ, ვინაიდან შეუძლებელია მათი დამარცხება.

მომდევნო სტროფში ფატმანი განაგრძობს:

„იქმან რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ,
ქარნა აღძრვენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ წყალსა, წმიდად დააშრობენ,
სწადდეს — დღესა ბნელად იქმან, სწადდეს — ბნელსა ანათობენ".

ფატმანის მიერ დახატული სურათი წარმოადგენს ჩვეულებრივ ჰიპერბოლას. როგორც წესი, გამორიცხულია ჰიპერბოლის სიტყვასიტყვით „თარგმნა". რასაკვირველია, არც ამ სტროფის წაკითხვისას უნდა ვიფიქროთ, რომ „ქაჯები" მართლა აბრმავებდნენ მტერს და წყალზე ისე დარბოდნენ, თითქოს ხმელეთი არისო.

შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით ქაჯთა უჩვეულო საქმიანობა გამოხატულია ზღაპრული და დაუჯერებელი ამბებით. მაგრამ რეალობის ესოდენ დამახინჯებული სურათიც უეჭველად შეიცავს განსაზღვრულ შემეცნებით მომენტს და ამახვილებს მკითხველის ყურადღებას იმაზე, რომ ქაჯებად წოდებული ადამიანები ისეთ საოცარ საქმეებს სჩადიან, რაც ჩვეულებრივ მოკვდავთა წარმოდგენასა და შესაძლებლობებს საგრძნობლად აღემატება.

ნესტან-დარეჯანის წერილში კიდევ ერთხელ ვხვდებით ქაჯთა მოკლე დახასიათებას, სადაც აღნიშნულია მათი შეუდარებელი საბრძოლო თვისებები.

„კვლაცა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად საომართა, — ამბობს ნესტან-დარეჯანი და გაკვირვებით ეკითხება ტარიელს, — ნუთუ ესენი გეგონნენ სხვათა მებრძოლთა წესითა?!“

უძლეველი ტომი, რომელიც უპირისპირდება და ეომება მთელ დანარჩენ სამყაროს („ყოველთა კაცთა მავნენი“), სახელგანთქმული თავისი ზღაპრული საქმეებით და გაიგივებული ზღაპრულ ავსულებთან, წოდებულია იმავე ავსულთა ერთ-ერთი გავრცელებული სახელით...

ასეთნი არიან ვეფხისტყაოსნის ქაჯები.

ასეთივენი იყვნენ ალამუთის მულიდები.

თუ არ ისინი, სხვა ვინ უნდა მივიჩნიოთ ქაჯთა პროტოტიპად?

მაჰმადიანური სექტებისათვის უცხო არ ყოფილა პოლიტიკური მკვლელობანი, მაგრამ ასასინთა გარდა არავის მიუნიჭებია ესოდენ გადაჭარბებული როლი ტერორისათვის. შემთხვევითი როდია, რომ ევროპელთა ცნობიერებაში მათი სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა მუხანათურ მკვლელობას.

ალამუთის მბრძანებელთა გავლენა ვრცელდებოდა უფრო დიდ ტერიტორიაზე, ვიდრე სელჩუკთა სულტნებისა თუ ხვარაზმშაჰებისა.

ძლიერნი ამა ქვეყნისა თრთოდნენ მულიდთა სახელის გაგონებაზე. მაჰმადიანურ სამყაროში არც ერთი წარჩინებული პირი არ იყო დაზღვეული ხიფათისაგან, თუკი ალამუთის ბატონის კეთილგანწყობით არ სარგებლობდა.

განსაკუთრებულ ძრწოლას იწვევდა მულიდთა მრავალსახეობა. ისინი იყვნენ მიუვალ ციხეთა მცველები, გამოცდილი ტერორისტები და ამასთან ჩვეულებრივი ადამიანებივით ცხოვრობდნენ ქალაქად და სოფლად, გათქვეფილნი მოსახლეობის მაღალსა თუ დაბალ ფენებში.

უსინათლო მათხოვარი, თვეობით რომ იჯდა ქუჩის მტვერში და ხრინწიანი ხმით თხოულობდა მოწყალებას, ერთ მშვენიერ დღეს ბასრი დანით შეიარაღებულ ასასინად მოევლინებოდა ქუჩაში მიმავალ დიდკაცს.

მორჩილად ქედმოხრილი მთხოვნელი ცრემლნარევი მუდარით ვაუწვდიდა არზას გზაში შესასვენებლად შეჩერებულ ვეზირს და საჩივრის კითხვით გართული ვეზირის თვალწინ უცებ იელვებდა დანა.

სულტნის სანდო დიდმოხელე, რომლის უსაზღვრო ერთგულება მრავალგზის გამოეცადა ხელმწიფეს, თითქოს მოაჯადოვესო, მოულოდნელად გადაიქცეოდა სისხლიანი ორეულის დამსახურებულ წევრად და წყალში იყრებოდა მისი ბრწყინვალე კარიერა, თვალის დახამხამებაში წაიშლებოდა შესაშური პატივი და დიდება, მრავალწლიანი გარჯით რომ ჰქონდა შეძენილი სულტნის სასახლეში.

უპოვარი და მდიდარი, სუსტი და ძლიერი, გულკეთილი და გულბოროტი, ახალგაზრდა და მოხუცი — ისინი არაფრით ადარ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როდესაც ეზიარებოდნენ ჰასან იბნ საბაჰის რჯულს და ერთგულებას შეჰფიცავდნენ ალამუთის მორიგ მბრძანებელს.

ფიდაები ინიღბებოდნენ ვაჭრად თუ მსახურად, მათხოვრად თუ დერვიშად; ისინი ახერხებდნენ შეეღწიათ ყველგან: სულტნის სასახლეში, სარდლის სამხედრო ბანაკში, მოქალაქის სახლში.

კირაკოს განძაკეცი აღნიშნავს: „დიდხანს დაძრწიან ისინი ერთი ადგილიდან მეორეში, სხვადასხვანაირად გადაცმულნი, სანამ მოიხელთებენ ხელსაყრელ შემთხვევას დავებმილი მკვლელობისათვის“.

გარდასახვის ხელოვნებას საუცხოოდ დაუფლებული ორი ფიდაი ჯვაროსანთა ბანაკში ცხოვრობდა მთელი ექვსი თვის მანძილზე. ისინი თავს ასაღებდნენ ქრისტიან ბერებად! ხუმრობა საქმე იყო ფრანკთა ენის და ზნე-ჩვეულებათა ესოდენ ზედმიწევნით შესწავლა, რომ ეჭვი არავის შეპარვოდა? ხუმრობა საქმე იყო თვით იმ კაცის ნდობის მოხვეჭა, ვისაც იერუსალიმის მეფე ერქვა და ვისი მოკვლაც ევალებოდათ თავდადებულ ფიდაებს?

აბასელთა ხალიფას მკვლელები მისივე ამალის წევრებად იყვნენ გადაცმულნი!

მულიდთა საარაკო საქმეები კიდევ უფრო ზღაპრული ელფერით იმოსებოდა ხალხის წარმოდგენაში. სინამდვილე ლეგენდას ჰგავდა და ლეგენდა — სინამდვილეს.

ახასინთა მბრძანებელი სტუმრად ჩასულ ჯვაროსან გრაფს იმეთ სანახაობას უჩვენებდა, რომ ბევრის მნახველი გრაფი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ეჭვობდა, ცხადში ვნახე თუ მესიზმრაო. შეიხის ხელის ღაქნევაზე მაღალი ციხის ქონგურებიდან ძირს ხტება ორი თეთრად ჩაცმული ჭაბუკი და „გულუხვი“ მასპინძელი ღიმილით

ეუბნება სახტად დარჩენილ სტუმარს: თუ გნებავთ, დანარჩენებიც გადმოხტებიანო. ჯვაროსანი გრაფი ეეედრება, ღვთის გულისათვის გეყოფათო და არწმუნებს, რომ ქვეშევრდომთა ასეთ თავგანწირვაზე ქრისტიანი ხელმწიფენი ვერც კი იოცნებებენო. გულწრფელად ამბობდა ამას ჯვაროსანი რაინდი და გულში კი ფიქრობდა, ეს ხალხი ჭეშმარიტად ეშმაკის მოდგმა ყოფილაო.

გიიომ ტვიროსელის მიხედვით, ასასინები ისე ემორჩილებოდნენ თავიანთ მბრძანებელს, რომ სათვალავში აღარ აგდებდნენ არავითარ სიძნელესა და ხიფათს. მყისვე მიეშურებოდნენ დავალების შესასრულებლად და სრულიადაც არ აწუხებდათ ფიქრი იმისა, შეძლებდნენ თუ არა თავის დახსნას გარდაუვალი განსაცდელისაგან.

ფიდაების მიერ დახოცილთა შორის არიან ისეთი მსხვილი ფიგურები, როგორიცაა თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს სახელგანთქმული ვეზირი ნიზამ ალი-მულქი, ფატიმიანთა ხალიფა ალ-ამირი, აბასელთა ხალიფა ალ-მუსთარშიდი, იერუსალიმის ჯვაროსანთა სამეფოს გამგებელი კონრად მონფერატი. ვარაუდობენ, რომ ბათინეველ მსხვერპლი გახდა მალიქ-შაჰი, ყველაზე გაბოროტებული სულტანი სელჩუკთა სულტნებს შორის.

ფიდაები თითქოს ტკბებოდნენ კიდეც თავიანთი სისხლიანი მისიის აღსრულებით ყველაზე თვალსაჩინო ადგილებსა და ყველაზე მოულოდნელ ვითარებაში. დანას ჩასცემდნენ ერთ კაცს და ჟრუანტელი დაუვლიდა მთელ ქალაქს.

ფიდაების საოცარ გამბედაობას და თავგანწირვას ადამიანები ხსნიდნენ ეერძნეულებით, ჯადოსნობითა და უფრო ხშირად — ჰაშიშის ზემოქმედებით.

მარკო პოლოს გარდა სამოთხის ბაღზე მოგვითხრობს ოდორიკო პორდენონე. ორივე ინფორმაცია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არის შეღებული იმ ლეგენდიდან, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელს აღმოსავლეთში და აღბეჭდილია არა მარტო ბაჰმადიანურ მწერლობაში, არამედ ჩინურ წყაროშიც.

სამოთხის ბაღის ლეგენდას თუ შოვაშორებთ ზღაპრულ საბურველს, დაგვრჩება შემდეგი სურათი: ასასინთა მბრძანებელი ათრობს და აძინებს თავის ერთგულ ფიდაებს ჰაშიშის ნახარშით. სამოთხის ბაღი წარმოადგენს ნარკოტიკით გამოწვეულ ჰალუცინაციას. გამოიღვიძებდა ჭაბუკი და სამოთხიდან ისევ ცოდვილ დედამიწაზე ამოჰყოფდა თავს. შეეეედრებოდა „მთის მოხუცს“ სამოთხეში დაბ-

რუნებას. მოკალი ესა და ეს კაცი და სამოთხე არ აგცდებაო, დიდსულოვნად ჰპირდებოდა მბრძანებელი.

ჰაშიშის ზემოქმედებას გონებასა და ნერვულ სისტემაზე განსაზღვრავს მისი ოდენობა. გარკვეული დოზით მიღებული ნარკოტიკი აგიყვანს ადამიანს და კაცისმკვლელ მანიაკად აქცევს. მაგრამ საფიქრებელია, რომ ჰაშიშის ხმარება, თუნდაც ვერწმუნოთ ლეგენდას, შეზღუდული იქნებოდა. ფიდაების საქმიანობა არა ჰგავს მანიაკთა სიგიჟეს. ისინი იყვნენ დიდი მოთმინებით აღსავსე და მოხერხებით დაჯილდოებული შეთქმულნი, რომელთა ცბიერება ძართლაც რომ ქაჯური იყო. ფანატიკოსებს, ალბათ, არ სჭირდებოდათ აღმგზნები წამალი, მაგრამ გაოგნებული ადამიანები ასე ხსნიდნენ მათ უჩვეულო მოღვაწეობას.

ლეგენდა ჩრდილავს სინამდვილეს.

მართალია, „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯთა პორტრეტი მოცემულია ნაწილობრივ ჰიპერბოლის მეშვეობით, მაგრამ სინამდვილეში მულიდებზე გავრცელებული მითქმა-მოთქმა ისეთ ფანტასტიკურ ელემენტებს შეიცავდა, რომ წყლის დაშრობა თუ მტერთა დაბრმავება არ უნდა გაგიკვირდეს.

ერთი არაბული წყაროს მიხედვით, სირიის ასასინთა მბრძანებელს, სახელად სინანს, მიაწერდნენ ჯადოსნურ საქმეებსა და სასწაულებს. აღნიშნულია ტელეპათიის შემთხვევები, ფრენა ჰაერში. ვეებერთელა კლდეების ამოძრავება, მტერთა გაქვავება ერთ ადგილზე, დაუბრკოლებლად შეღწევა ყველგან. ავტორი გვარწმუნებს, რომ სინანი, რაც არ უნდა შორს ყოფილიყო მოქმედების ადგილიდან, იმწამსვე შეიტყობდა ხოლმე, თუ რა შეემთხვა დავალებაზე წასულ ფიდაის.

ამიტომაც იძენდნენ ფანტასტიკურ იერს მულიდები ადამიანთა წარმოდგენაში.

ქალაქ ბანიასის (სირია) მიდამოებში ასასინთა დამკვიდრების გამო ერთ ნაყოფიერ ველს შეარქვეს „ვადი ალ-ჯინ“ (ჯინთა ანუ არაბული ზღაპრების ავსულთა ველი).

სპარსელი ისტორიკოსი ჯუვეინი ხშირად აჯილდოებს მულიდებს ახალი მეტსახელით: „შაითანი“, ხოლო ალამუთის დაპყრობას მონღოლთა მიერ მოიხსენიებს როგორც „შაითანის ბუდის“ დამხობას.

ჯინი და შაითანი ქართულად რომ ვთარგმნოთ, ზუსტად „ქაჯი“ იქნება.

მაშასადამე, მაჰმადიანურ სამყაროშიც ქაჯებად მიაჩნდათ მულიდები!

არ უნდა გამოგვრჩეს კიდევ ერთი საყურადღებო მსგავსება „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებსა და ალამუთის მულიდებს შორის. ერთნიცა და მეორენიც აქტიურად ეწევიან მეკობრეობას. მოეპოვებათ საერთო ანალოგიაც, სახელდობრ, შუა საუკუნეების ევროპაში არსებული „მეკობრე რაინდები“, რომლებიც ისხდნენ თავიანთ ციხე-სიმაგრეებში და დროდადრო გადიოდნენ დიდ-შარაგზაზე საყაჩაღოდ. სწორედ ამ „მეკობრე რაინდებს“ შეუდარა აღმოსავლეთის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა ალამუთში მოკალათებული მულიდები, ხოლო ცნობილმა რუსთველოლოგმა — „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯები!

მრაკლისმთქმელი დამთხვევაა!

აი, რას ამბობს როშაქის მოლაშქრე:

> „დღისით, მზისით ვმკობრობდით, ღამეთაცა ვიყენით თევით;
> და ელეწეთ ქარავანი, ლარი ჩვენკენ გარდმოვდევით“.

აღმოსავლური წყაროები ხშირად მოგვითხრობენ მულიდთა სამეკობრო საქმეებს.

რაშიდ ად-დინი დაწვრილებით აღნუსხავს, თუ რამდენი ცხვარ-ძროხა, ცხენი და აქლემი გაიტაცეს მულიდებმა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებიდან (ერთხელ, ყაზვინის მიდამოებში ხელთ ჩაუგდიათ ოცდაათი ათასი ცხვარი).

ჯუვეინი აღნიშნავს, რომ მუჰამედ II-მ ორმოცდაექვსი წელიწადი იბატონა ალამუთში. ამ ხნის მანძილზე მულიდებმა მრავალი სისხლი დაღვარეს; ისინი შფოთს აღვიძებდნენ, ამბოხს იწვევდნენ და ურცხვად მეკობრეობდნენო.

იმავე ავტორის სიტყვით, ალა ად-დინის ანუ მუჰამედ III-ის მბრძანებლობის წლებში, მულიდები ყოველდღიურად მისდევდნენ მეკობრეობას.

ყველას ეშინოდა მულიდებისა, ყველა ცახცახებდა მათი სახელის გაგონებაზე.

იბნ ალ-ასირის ცნობით, XI-XII სს. მიჯნაზე მულიდთა ტერორი ისე გაძლიერდა, რომ სულტან ბარქიაროკის დიდებულნი სახლიდან არ გადიოდნენ უაბჯროდ და უმუზარადოდ.

ასე იყო შემდგომშიც. როდესაც რკინის აბჯარში გამოწყობილი ცაზვინის ყადი წარუდგა მანგუ-ყაენს, მონღოლთა მბრძანებელმა გაკვირვებით ჰკითხა ასეთი ჩაცმულობის ბიზეზი. ყადიმ აუხსნა, მულიდთა დანებისაგან ამაზე უკეთესად ვერაფერი დაგიცავსო

მაჰმადიანურ სამყაროს ისე ჰქონდა მოდებული შიში, რომ ყადის მკვლელობა იქნებოდა თუ მეჩეთის დაწვა, მყისვე მულიდები ახსენებებოდათ. და ზოგჯერ უკამართლოდაც მიაწერდნენ სხვათა მიერ ჩადენილ დანაშაულს. როგორც საიდუმლოებით მოცულნი და თავზარდამცემ უბედურებაზე იცოდნენ ოქმა, აქ ეშმაკის ხელი უნდა ერიოსო, ალბეგ ყოველ უჩვეულო ინციდენტში ელანდებოდათ მულიდების დანა და მათი ზღაპრული მოხერხება.

მულიდთა მიერ დათესილ პანიკას განსაკუთრებით მკაფიოდ ასახავს ისპაანის ამბები (XII საუკუნის დამლეგს), რაც მოთხრობილია რავენდის თხზულებაში. სწორედ პანიკური შიშის შედეგია მულიდთა ხელით დახოცილთა უზარმაზარი რიცხვი და მათი საზარელი მკვლელობანი. ქალაქის ბნელ ჩიხში მსხვერპლთა შეტყობინებისა და სადისტური წამების შემაძრწუნებელი დეტალები. იმავე პანიკის თავისებური გამოძახილია რავენდის მტკიცება, ისპაანში მულიდებმა თავის რჯულზე ოცდაათი ათასი კაცი მოაქციესო, მაშინ როდესაც თვით რავენდის სიტყვით, ისპაანის მოსახლეობა შეადგენდა ასი ათას კაცს.

აღმოსავლური წყაროების თანახმად, მულიდები თავიანთ უპირველეს მოვალეობად თვლიდნენ ყველანაირი ბიანი მიეყენებინათ ყველა მაჰმადიანისათვის. ამგვარად, რაც უფრო მეტ მაჰმადიანს ძოკლავდნენ და რაც უფრო სასტიკად, მით უკეთესი იქნებოდა ხოლო თუ მოახერხებდნენ წარჩინებულთა მოკვლას, ეს ყველაზე უკეთესი იქნებოდა.

„ყოველთა კაცთა მავნენი, ივი ვერვისგან ვნებულნი“..

უჩვეულო და საკვირველი იყო მულიდთა საქმეები. მთელი მათი მოღვაწეობა შორდებოდა ჩვეულებრივი ადამიანის წარმოდგენის ფარგლებს. მათი მსგავსი არავის არაფერი გაეგონა და ენახა რეალურ ცხოვრებაში. ისინი მართლაც ჰგავდნენ ზღაპრულ პერსონაჟებს.

შიშთან ერთად გავრცელებული იყო ზიზღი.

ცნობილი ფილოსოფოსი ღაზალი ამტკიცებდა, რომ ყველა მუ-

ლიდი, თუკი არ მოინანიებდა ცოდვებს, სიკვდილით უნდა დაესაჯათ (ისმაილიტურ რჯულზე გაზრდილ ბავშვებთან ერთად).

ზიზღით მოიხსენიებენ მულიდებს გამოჩენილი პოეტები ხაყანი და ნიზამი.

ზიზღით უყურებდნენ მულიდებს ყველგან, აზიაში თუ ევროპაში, მაჰმადიანები თუ ქრისტიანები.

როდესაც მულიდები შეებრძოლნენ ირანში შემოჭრილ მომთაბარე ოღუზებს, მოსახლეობა კმაყოფილებას გამოთქვამდა, წყეულნი სჯიან წყეულებსო.

ხვარაზმშაჰ ჯალალედინის სარდალი მულიდებმა მოკლეს განჯაში და სიმეხი ისტორიკოსი აღნიშნავს, მტარვალი მტარვალთა ხელით დაიღუპაო.

მულიდთა ელჩი დახმარებას ევედრება ინგლისის მეფეს მონღოლთა წინააღმდეგ, მაგრამ ინგლისელი ეპისკოპოსი საზეიმოდ წარმოთქვამს, დაე ამ ძაღლებმა ერთმანეთი დაჭამონო.

ყველას ეზიზღება მულიდები, ყველა მტრობს მულიდებს, ვინაიდან თვითონ ისინი მტრად მოჰკიდებიან მთელ სამყაროს.

ყარაყორუმში ჩასული ყაზვინის ყადი მოუწოდებდა მონღოლთა დიდ ყაენს, მოესპო მულიდები და ჩასჩიჩინებდა, ეს ხროვა ყველა სარწმუნოებისა და ყველა ხალხის მტერი არისო.

და როდესაც მონღოლებმა გაილაშქრეს მულიდთა ციხეებზე, ირანის ფეოდალთა უმეტესი ნაწილი, ისინი, ვინც ფიდაების შიშით მთელი საუკუნე-ნახევარი „საწოლშიც აბჯრით წვებოდნენ“, ახლა ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს ჰულაგუ-ყაენს ალამუთის ომში, დაუზარებლად ამარაგებდნენ ცოცხალი ძალითა და სურსათ-სანოვაგით.

მონღოლთა გამარჯვებამ ასეთი სტრიქონები დააწერინა ჯუვეინის: „გაიწმინდა მულიდთა ავკაცობით წაბილწული ქვეყნიერება. მგზავრებს უშიშრად შეუძლიათ აქეთ-იქით მგზავრობა. ჰულაგუმ ძირფესვიანად ამოთხარა მულიდები და მათი კვალიც არ დატოვა. ეს იყო სალბუნი მაჰმადიანთა ჭრილობაზე... მანგუ-ყაენმა ბრძანება გასცა, რომ არც ერთი მათგანი არ დაეზოგათ და აკვნის ჩვილებიც კი მოესპოთ“.

...ყოველივე ზემოთქმული სავსებით საკმარისია „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებისა და ალამუთის მულიდების გასაიგივებლად.

რომელია თავდაპირველი რუსთველის მხატვრულ აზროვნებაში? თუ ავტორს მიზნად ჰქონდა დასახული პოემაში ქაჯთა ხორცშესხმა,

თვალსაჩინო მოდელად მხოლოდ და მხოლოდ მულიდები გამოდგებოდნენ. ეგებ თვით მულიდთა არსებობამ და მათზე გავრცელებულმა მითქმა-მოთქმამ უბიძგა პოეტის ფანტაზიას და გამოიწვია ქაჯების გაჩენა „ვეფხისტყაოსნის“ ფურცლებზე.

თუ ვირწმუნებთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯთა სახით გამოყვანილი არიან მულიდები, შესაძლოა ასეთი კითხვაც დაისვას: მულიდთა ისტორიიდან რომელიმე ეპიზოდს ხომ არ უპოვია ადგილი გენიალური პოემის ფურცლებზე?

აი, რას მოუთხრობს ქაჯთა მეფის მონა თავის თანამგზავრებს:

„მე ვარო მონა მეფისა მაღლისა, ქაჯთა მფლობლისა;
მათ მიხვდა ცემა სენისა, მათისა დამამხობლისა:
მოგვიკვდა შემწე ქვრივისა, შემწყნარებელი ობლისა,
აწ შვილთა მისთა და მისი ზრდის, უკეთესი მშობლისა.
დულარდუბტ არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოდია,
ვისცა არ დაჰკოდს, ყმა მისი ვერავის დაუკოდია;
მას უსხენ წვრილნი ძმის-წულნი: როსან და ერთი როდია,—
აწ იგი ქაჯეთს ხელმწიფედ ქვე ზის, მორჭმული სწოდია“.

სწორედ აქ მოხსენიებულმა როსანმა უნდა შეირთოს ცოლად ქაჯთაგან მოტაცებული ნესტან-დარეჯანი.

ამას ამცნობენ ფატმანს მისი მონები, ქაჯეთიდან ამბის მოსატანად რომ გააგზავნა: „ქვე დაუწინდავს საცოლედ როსან ცოტასა ყმისადა“.

ხშირ შემთხვევაში, „ყმა“ იგივეა, რაც ახლანდელი „ყრმა“. მაგრამ ასახსნელია, თუ რას ნიშნავს „ცოტა ყმა“.

ვისრამიანში ვკითხულობთ: „არ ცოტა ყმა ვარ, რომელ ჭრელითა რაითმე მოვღორდე“ (განმარტებულია ამგვარად: პატარა ბავშვი არა ვარო).

კიდევ უფრო ზუსტდება ამ გამოთქმის მნიშვნელობა ამირანდარეჯანიანის მიხედვით: „და ვითა შეიქნა ამარ შვიდისა წლისა... ნადირობდის და ასპარეზსა სცემდის და სადაცა მინდორსა შიგან ლომი ნახის, მან ცოტამა ყმამან ვითა კატა მოკლის“.

მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქაჯთა მეფის ძე, სახელად როსან, დაახლოებით შვიდი წლის ყმაწვილი ყოფილა.

ახლა ყური დავუგდოთ ჯუვეინის და რაშიდ ად-დინს. ისინი მოგვითხრობენ შემდეგს:

მუცლის სნეულებით გარდაიცვალა ალამუთის მბრძანებელი

ჰასან III. მას დარჩა მემკვიდრედ ცხრა წლის ალა ად-დინი ანუ მუჰამედ III. ერთადერთი ვაჟიშვილი განსვენებული მბრძანებლისა თამაშობდა და ერთობოდა თავის თანატოლებთან ერთად, მწყემსავდა ცხვარ-აქლემს, ხოლო სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა ქალების ხელში მოექცა (შემდგომი თხრობიდან ირკვევა, რომ ამ ქალთა შორის იგულისხმება გარდაცვლილი ჰასან III-ის დაც).

ცხადია, „ვეფხისტყაოსნის“ ფურცლებზე ისტორიული ფაქტები უშუალოდ არ იქნება გადმოცემული. მოსალოდნელია მსგავსება და არა ზუსტი ასლი.

თუ ამ კუთხით შევხედავთ „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ ამბავსა და მულიდთა ისტორიის ზემოხსენებულ ეპიზოდს, მსგავსება ფრიად მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

...მულიდებთან ქაჯთა გაიგივების შედეგად კიდევ ერთხელ მტკიცდება რუსთველის შემოქმედების თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ვინაიდან „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებსა და ქაჯთა სამეფოს ანალოგია უჩნდება აღმოსავლეთის ისტორიულ სინამდვილეში და არა რომელიმე არსებულსა თუ არარსებულ სპარსულ პოემაში

დაიძრა დიდი სულტანი

„დაიძრა დიდი სულტანი, სულ დაძრა მთა და ბარია“, — ასე იწყება ერთი ხალხური ლექსი, ჩაწერილი ხევში 1875 წელს. პირველივე სტრიქონი გამსჭვალულია საგანგაშო განწყობილებით და გვაუწყებს მოახლოებულ განსაცდელს. საქართველოს ასაოხრებლად დაძრულა „დიდი სულტანი“, უთვალავია მისი ლაშქარი და ეჩვენება მოლექსეს, რომ მთელი მთა-ბარი დაუძრავს საომრად გამზადებულ სულტანს. ადიდებულ მდინარესავით მოედინება შემოსეული მტერი და მდინარეები არ ჰყოფნის სასმელად. ამომშრალან ალაზანი და მტკვარი, თითქოსდა დევმა შეკოიპაო და უწყლოდ დარჩენილი თევზები სულსა ღაფავენ. საძოვრები გადაიქცა, გაოხრდა და გატიალდა. გადამთიელთა ცხენებმა პირწმინდად გადაძოვეს ბალახი... ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი ჰიპერბოლური სახეები ემსახურება ერთადერთ მიზანს — გვაჩვენოს მომხდურთა სიმრავლე, მათი ძალა და მედიდურობა. სათვალთვალო კოშკის თავზე ავარდნილი ცეცხლივით ბორგავს ლექსი. რათა ქვეყნის ყოველ კუთხეს მიაწვდინოს ხმა, ყოველ ქალაქსა და სოფელს ამცნოს კარზე მომდგარი საფრთხე: მოემართება საქართველოსაკენ მტერი და მოსპობით ემუქრება სულიერსა და უსულოს. ჯერ არ დატრიალებულა სიკვდილის უზარმაზარი ცელი, მაგრამ ავ წინათგრძნობას შეუპყრია მოლექსე და მოსალოდნელი ვაების პრელუდიად ისმის მისი ამონაკვნესი: „თევზნი გაწყვიტნა წყურვილით. წამამყვა მათი ბრალია“.

ზემოხსენებული ხალხური ლექსი გადმოგვცემს საქართველოს ისტორიის საყოველთაოდ ცნობილ ეპიზოდს: ხვარაზმელთა შემოსევას საქართველოში და ჯალალედინის მიერ რუსუდან დედოფლის ცოლად მოთხოვნას. მისი შინაარსი ჩვენთვის უცნობ ინფორმაციას არ შეიცავს და არც პერსონაჟთა ვინაობა წარმოადგენს საიდუმ-

ლოებას. ასე რომ, ერთი შეხედვით, საკვლევი და დასადგენი თითქოს არაფერი უნდა იყოს. მაგრამ ინტერესს იწვევს მთელი რიგი რეალიები ლექსისა, რომლებიც მიგვანიშნებენ, რომ ხალხური ლექსი შეიძლება ხანგაში რიდი არის შეთხზული საისტორიო წყაროების საფუძველზე, ანამედ აღწერილ მოვლენათა თანადროული ნაწარმოებია. საუკუნეები გამოუვლია მას ხალხის მეხსიერებაში ჩარჩენილი სიზმარივით, მაგრამ არ დაუკარგავს თავისი პირვანდელი სისხლ-ხორცი, ფერი არ უცვლია და მსოლოდ ალაგ-ალაგ, შებღალულა მომდევნო დროის დანალექებით. ეტყობა, ძალზე პოპულარული ყოფილა ეს ლექსი საქართველოში, ვინაიდან მისი ზოგიერთი მოტივი თუ მსატერული სახე შეეჩვილა, ხანდახან უადგილოდაც კი, გვიანდელი ეპოქის ამსახველ ხალხურ ლექსებში.

„დიდი სულტანი", — ასე გვაცნობს მოლექსე ჯალალედინს. მართალია, თვით ლექსის შინაარსიდან მშვენივრად ჩანს, თუ სახელდობრ რომელი ისტორიული მოვლენა გახდა მოლექსის შთაგონების წყარო, მაგრამ თუნდაც შერყვნილიყო დანარჩენი ტექსტი. პირველივე სტრიქონი მოგვცემდა გასაღებს მთელი შინაარსის ამოსახსნელად.

ქართული წყაროც „დიდი სულტნის" ტიტულით მოიხსენიებს ჯალალედინს. ეამთააღმწერელი მოგვითხრობს ხვარაზმელთა ლაშქრის გამოჩენას საქართველოს საზღვრებთან და აღნიშნავს, რომ ივანე მხარგრძელმა და ვარამ გაგელმა მოახსენეს რუსუდან მეფეს „მოსულა ხვარაზმელთა და თვით დიდისა სულტნისა ჯალალდინისა". დასახელებული ლექსის ვარიანტი, ჩაწერილი ზემო რაჭაში, კიდევ უფრო ეჭვმიუტანლად ამტკიცებს, რომ „დიდი სულტანი" ნამდვილად ჯალალედინი გახლავთ. ამ ვარიანტში ვკითხულობთ შემდეგს: „...შემოდიოდა ხვარამ მეფისა ლაშქარი" („ხვარამ მეფე", რა თქმა უნდა, ხვარაზმის მეფეს ნიშნავს).

ლექსის სხვა ვარიანტში პირველი სტრიქონი ამგვარად არის შეცვლილი: „დაიძრა დიდი სულტანი, დაადგა ხორასანია". ხორასნის ხსენება არ უნდა იყოს გაუგებრობისა და შემთხვევითობის ნაყოფი. აქაც სინამდვილის ზუსტი ასახვა გვევლინება ხალხურ ლექსში. ქართული და სომხური წყაროები ხშირად ხორასნის სულტნობით უსმობენ ლტოლვილ ჯალალედინს. სტეფანოზ ეპისკოპოსი წერს: „ვამოჩნდა ხორასნიდან სულტანი ჯალალედინი, ძე ხვარაზმშაჰისა". სხვა სომეხი ისტორიკოსებიც ამბობენ, მონღოლებმა ხო-

რასნის სულტანი ჯალალედინი თავისი ქვეყნიდან გამოაძევესო. ხვარაზმი მონღოლებს ჰქონდათ დაპყრობილი, ხოლო ყველაზე ვრცელი ტერიტორია, რომელსაც ფლობდა ირანში დამკვიდრებული ჯალალედინი, სწორედ ხორასნის პროვინცია იყო.

ლექსში აღნიშნულია, რომ საქართველოსაკენ დაძრული სულტანი „ჩამოხდა რეშის წყაროზედ" (ვარიანტები: „რეშის ჩამოხდა წყალზედა", „რეხისა წყალსა ჩამოხდა"). რას უნდა ნიშნავდეს რეშის ანუ რეხის წყალი? საფიქრებელია, რომ იგულისხმება მდინარე არაქსი, რომელსაც ქართულ წყაროებში, ძირითადად, ეწოდება „რახსი". მართალია, ყამთააღმწერლის თხზულების იმ მონაკვეთში, საქართველოს საზღვრებთან ჯალალედინის გამოჩენას რომ მოგვითხრობს, არსად არაა ნახსენები „რახსი". მაგრამ მითითებულია, რომ ხვარაზმელნი მოვიდნენ „მოოხრებად ქვეყანათა დვინისა" (როგორც ცნობილია, დვინი მდებარეობდა არაქსის პირას).

ხვარაზმელი ისტორიკოსი ნესევი გადმოგვცემს: როდესაც ჯალალედინმა შეიტყო ქართველთა ჯარის თავმოყრა გარნისში, იგი სასწრაფოდ ღაიძრა იმ მიმართულებით, მიაღწია მდინარე არაქსის ნაპირს, სადაც შეხვდა თავის წინამებრძოლ ამირებს. ჯალალედინს აცნობეს მტრის სიახლოვე და ჯარის სიმრავლე. სულტანმა დეზი ჰკრა ცხენს და შეაგდო მდინარეში. მას ფეხდაფეხ მიჰყვა მთელი ლაშქარი.

საყურადღებოა, რომ ნესევის თხზულებაში პირველად აქ არის მოხსენიებული არაქსი.

გარნისის ომის (1225 წ.) შემდეგ ჯალალედინი დაბრუნდა თავრიზში და როდესაც თბილისის ასაღებად გამოემართა, ისევ არაქსთან შეჩერდა (სწორედ არაქსის პირას მოხდა სიკვდილით დასჯა გარნისის ომში ტყვედ ჩავარდნილი შალვა ახალციხელისა).

ამრიგად, დასტურდება ხალხურ ლექსში აღნიშნული ფაქტი: დიდი სულტანი რეშის წყალზე ჩამოხდაო.

ჯალალედინი სანდო შიკრიკს მოიხმობს, წერილს ატანს საქართველოში და არიგებს: „ეს ქუჩთა მეფეს მიართვი, ეს სამი სიტყვა ჩემია: „ან ჩვენ დაგვივდე სამეფო, გადაიარე მთანია, ან მოგვიკრიფე ხარაჯნი, ცხენ-ცხორი, ძროხა-ჯორია, ან მოგვეც ქალი რუსუდან, ტანჩი ალვისა ფერია"..

ყამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ გარნისის ომში გამარჯვების შემდეგ ჯალალედინი ბიჯნისთან შეხვდა ავიგს, ივანე მხარ-

გრძელის ვაჟს, და მისი მეშვეობით სცადა მოლაპარაკება საქართველოს სამეფო კართან. ქართველი მემატიანე დაწვრილებით გადმოგვცემს ჯალალედინის შემონათვალს. უპირველეს ყოვლისა, სულტანი აუწყებს ავაგს, საქართველოს დასარბევად არ მოვსულვარ. მშვიდობა მსურდა, მაგრამ თქვენ საომრად აღიჭურვენით და ფიცხლად შემებითო. მერე ამცნობს თავის ვინაობას და წარმომავლობას, ხვარაზმის სახელმწიფოს სიდიადეს და ძლევამოსილებას. უამბობს მონღოლებთან ომის ამბავს და დასძენს, ქართველთა მხნეობა და ქვეყნის სიმაგრე მსმენიაო. მოუწოდებს შეკავშირებას და საერთო ძალებით ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ. საამისოდ, საქართველოს მეფე-ქალი რუსუდანი ცოლად უნდა მიეცათ მისთვის („და მყოთ ქმარ მისა და მეფე თქვენ ზედა, და ვსძლოთ ყოველთა მტერთა ჩვენთა"). ჯალალედინი აფრთხილებდა ქართველებს, თუ იუარებთ, თქვენს ქვეყანას ავაოხრებ და თუნდაც მე გაგეცალოთ, მონღოლები ახლოს არიან და იმათ ვეღარ გადაურჩებითო. ჯალალედინი აჩქარებდა ავაგს, სასწრაფოდ შეატყობინა თქვენს მეფეს ჩემი ნათქვამი და კიდევ ერთხელ შეახსენებდა: „არა მნებავს ოხრება საქართველოსა, არამედ დაცვა მტერისაგან".

ამგვარად, ჯალალედინი ქართველებს უსაყვედურებს მშვიდობის დარღვევას და თავს იკატუნებს, თქვენთან ომს არ ვაპირებდიო.

„დიდი სულტნის" მტკიცებას უარყოფს მისივე სამეფო კარის მემატიანე. ნესევის სიტყვით, ჯალალედინმა, ჯერ კიდევ გარნისის ომამდე, ელჩები გაუგზავნა რუმისა და ეგვიპტე-სირიის სულტნებს და აცნობა: აზერბაიჯანის ოლქები ხელიდან გამოვგლიჯე ქართველებს და დავეუფლეო. ახლა საქართველოზე გალაშქრებას ვაპირებ, სასტიკად შეებრძოლები და ვუჩვენებ, რომ სახლს პატრონი გამოუჩნდაო. აღმოსავლური წყაროების მიხედვით, იმ ხანებში ქართველები განუწყვეტლივ არბევდნენ არან-შირვანის პროვინციებს და ჯალალედინი, როგორც მაჰმადიანური სამყაროს მედროშე, თავის ვალად მიიჩნევდა ქართველთაგან შევიწროებული მაჰმადიანური მოსახლეობის ქომაგობას. მაშასადამე ქართველები თუნდაც არ დასვედროდნენ ჯალალედინს გარნისში, „დიდი სულტანი" უკვე მოდიოდა საქართველოს ასაოხრებლად.

ხალხური ლექსის ზემოთ მოტანილ ფრაგმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გამოთქმა „ქუჩთა მეფე" (ვარიანტი

„ქუშთა“). კონტექსტის მიხედვით ცხადია, რომ იგულისხმება საქართველოს მეფე.

სტეფანწმინდაში ჩაწერილი ვარიანტი თანამედროვე მკითხველისათვის უფრო გასაგები ფორმით გვაწვდის აღნიშნულ სიტყვას. „ქუჩთა“ მეფის ნაცვლად მოხსენიებულია „გურჯთა“ მეფე („ეს გურჯთა მეფეს მიგვირთვი, ეს სამი სიტყვა ჩვენია“). ამ ვარიანტის წყალობით იოლდება „ქუჩთა“ გაშიფრვაც. ცხადია, უნდა წავიკითხოთ „ქურჯთა“, ხოლო არაბულად „ქურჯი“ ჰქვია ქართველს. ხალხურ ლექსში ქართველთა სახელწოდების არაბული ფორმით მოტანა ხაზს უსვამს ლექსის სიძველეს.

„დიდი სულტანი“ ანდა „ხვარამ მეფე“ შეიძლება გადმოსულიყო ფოლკლორში წერილობითი წყაროდან, მაგრამ „ქუჩთა“, ე. ი. ქურჯთა მეფე არც ქართულ საისტორიო წყაროებშია დამოწმებული და არც ზეპირსიტყვიერების სხვა რომელიმე ძეგლში.

ქართველმა მოლექსემ კარგად იცის, თუ როგორ მოიხსენიებენ ქართველებს მაპმადიანურ საშყაროში და კვლავ ზუსტად ასახავს ისტორიულ სინამდვილეს.

რა მოჰყვა ჯალალედინის წინადადებას?

საქართველოში ცივად მიიღეს ხვარაზმელი სულტნის სამშვიდობო მოწოდება. რამი ეპიტნავებოდათ მისი მეგობრობა-მოკავშირეობა, თუკი ბაგრატიონთა ტახტზე დასვამდნენ გადამთიელს. ყამთაალმწერელი კვაუწყებს: „ვანკვირდა მეფე და უცხო უსნდა საქმე ესე“.

ხალხური ლექსი პათეტიკური სახეებით ავსებს მელატიანის ძუნწ ქონათხრობს: „ეგ რო რუსუდანს მოხსენდა, გაწყრა ის დიდუფალია, უკუიხვივნა ძუძუნი, მაგრამ შაიკრა თმანია, უკიბო ჩახდა ჩარდახსა, შაძრა ჩარდახის კარია: „ცხო ვიღა გათათრებულა ბაგრატიონთა ქალია!“ ჩალეწა საყურ-ბეჭედი, მით ჩაინათლა გსანია“.

საქართველოს მეფე ივიწყებს თავის დედაკაცობას და საბრძოლო თადარიგს იჭერს.

ბუნებრივია, რომ საუკუნეთა მანძილზე ლექსი განიცდიდა გარკვეულ ტრანსფორმაციას. ასე მაგალითად, კახეთში ჩაწერილი ვარიანტი ჯალალედინის ნაცვლად ასახელებს თემურ-ლენგს („დაიძრა თემურყეინი, დაბგდო ხორასანია“). ეტყობა, თემურის მრა-

ვალგზისმა შემოსევებმა ნაწილობრივ დაჩრდილა ხალხის მეხსიერებაში ჯალალედინის ამბავი.

ანაქრონიზმად უნდა ჩითვალოს ძველთაგან ვარიანტში შენახული მოტივი: „დიდი სულტანი" შოიახლოს რუსუდანს... ქართველი მეფისაგან. საქართველოს მეფე-ქალი ლექსის ზოგიერთ ვარიანტში გადაქცეულა მეფის ასულად (ერთგან არსად მეფე არის აღნიშნული და მეორეგან — ერეკლე მეფე).

და კიდევ ერთი ანაქრონიზმი: სიტყვა „გათათრება" არ არსებობდა რუსუდანის დროინდელ საქართველოში.

ირკვევა, რომ ხალხის მეხსიერებას ისეთი ფაქტიც შემოუნახავს წარსულიდან, რომელიც ქართულ საისტორიო წყაროებში არ მოიპოვება.

რაჭაში ჩაწერილი საფერხულო სიმღერა „როს იძრა ცა და ქვეყანა" რამდენიმე ადგილას ემთხვევა ზემოთ განხილული ლექსის სიუჟეტს (სულტნის მიერ შიკრიკის გამოგზავნა „ვურჯთა" მეფესთან და რუსუდანის მოთხოვნა ცოლად), მაგრამ საგანგებო ინტერესს იწვევს შემდეგი სტრიქონი: „დაიძრა დიდი სულტანი, პატარა ტანოვანია"; შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ეს ფაქტი?

ნესევი თავისი თხზულების დასასრულს ორიოდე სიტყვით გვიხატავს ჯალალედინის პორტრეტს და გვაუწყებს, რომ სახელგანთქმული სულტანი ყოფილა ტანმორჩილი. საეჭვოა, რომ მოლექსის ნათქვამი „პატარა ტანოვანია" შემთხვევითი დამთხვევა იყოს. როგორც ჩანს, ხალხში დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ამ თითქოსდა უმნიშვნელო დეტალს. ალბათ, „პატარა ტანოვანი" სულტნისაგან უფრო უკეირდათ „საქმენი საგმირონია".

ნესევის გამოთქმით, ჯალალედინი იყო „ლომი ლომთა შორის და გულადი გულადთა შორის". ხვარაზმელ ისტორიკოსს მრავალი ამბავი აქვს მოთხრობილი თავისი განცხადების სანდოობის ილუსტრაციოდ. ჯალალედინის რაინდული ბუნების საჩვენებლად თუნდაც ერთი ეპიზოდის დამოწმებაა საკმარისი:

ხლათის ალყის დროს, იქაურმა ვამგებელმა მოსალაპარაკებლად მიიწვია ჯალალედინი და უთხრა: „ორივე მხარე დაიქანცა. ეგებ ორთაბრძოლა მოგვეწყო და ამით მოგვეთავებინა საქმე?" ჯალალედინმა მხოლოდ ჰკითხა, ერთმანეთს როდის შევერკინოთო. ორთაბრძოლა დანიშნეს მეორე დღისათვის. დილით ჯალალედინმა აბჯარი აისხა. ვეზირი ამაოდ არწმუნებდა, ხლათის გამგებელი

შენი ტოლი არ არის და მასთან ორთაბრძოლა არ ვეკადრებიო. ვერც მიზანს მიაღწევ მისი მოკვლით, ხლათელები მაინც არ დაკვხვბდებიანო. ჯალალედინმა მიუგო: „როგორ იქნება, არ შეეებრძოლო იმას, ვისაც ბრძოლა სურს? როგორ ვთქვა უარი, როდესაც ორთაბრძოლაში მიწვევენ?“. ვერა და ვერ ააღებინეს ხელი განსრახულზე. მოახტა ცხენს და მარტოდმარტო გაუდგა გზას ხლათისაკენ. დანიშნულ დროს გამოცხადდა დანიშნულ ადგილზე და მოთმინებით ელოდა მეტოქის გამოჩენას. ხლათელებმა ციხის გალავნიდან ლანძღვა-გინება დაუწყეს და ისრების წვიმა დაატეხეს თავს. მეტოქეც არსად ჩანდა და გაწბილებული ჯალალედინი უკან გამობრუნდა.

...ხალხურ ლექსში არც გარნისის ომია ნახსენები და არც თბილისის აოხრება ჯალალედინის მიერ. ალბათ, გაუჭირდებოდა მოლექსეს დამარცხებათა და გოლებათა ამეტყველება პოეზიის ენით. მისი მუზა მხოლოდ სასახელო ფაქტს მოუხიბლავს: მოდის მრისხანე სულტანი, აოხრებით ემუქრება ქვეყანას, თუკი არ მიათხოვებენ ცოლად რუსუდანს; მაგრამ საქართველოს მეფე-ქალი ამაყად უარობს მაჰმადიანი ხელმწიფის მორიგ ცოლად გადაქცევას და საომრად ემზადება. საბედისწერო გარნისის ომისა და შემდგომ უბედურებათა ამბავი ვეღარ ჩატეულა ხალხურ ლექსში. სალექსო და სასიმღერო იქ აღარაფერი იყო. პოეზია ვერ გაუძლებდა იმ შემაძრწუნებელი სურათების აღწერას, რომელიც ქართველ ჟამთააღმწერელს შემოუნახავს ჩვენთვის. დადუმება მიჯობდაო, გვეუბნება მემატიანე, მაგრამ თავს ძალას ატანს და მოთმინებით აღწერს „დიდი სულტნის“ მიერ დატრიალებულ ცოდვის კალოს. მიუხედავად ამისა, იგი ასეთი ეპითეტებით ახასიათებს სისხლისმსმელ სულტანს: „კაცი მხნე და ქველი, შემმართებელი, უშიში ვითარ უხორცო, ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცხო“.

რა თქმა უნდა, მაჰმადიანი ისტორიკოსები კიდევ უფრო შეამკობდნენ „დიდი სულტნის“ გმირულ საქმეებსა და თავგანწირულ ბრძოლას მონღოლ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

ჯალალედინის სიკვდილიდან მრავალი წელი იყო გასული და მაჰმადიანურ ქვეყნებში მაინც არ სჯეროდათ უკანასკნელი ხვარაზმშაჰის დაღუპვა. ჩამქრალ იმედს აღვივებდა ლეგენდა — ჯალალედინი ცოცხალია, საიდუმლო თავშესაფარში იმყოფება და მონღოლთა დასამარცხებლად ახალ ძალებს აგროვებსო.

უსაფუძვლო როდი იყო მაჰმადიანურ სამყაროში მოხვეჭილი პოპულარობა. ინგლისელი ორიენტალისტი კ. ბოსვორთი წერს, რომ თავისი შეცდომებისა და ცოდვების მიუხედავად ჯალალედინი იყო ერთადერთი კაცი თანამეროვეთა შორის, რომელიც მონღოლ დამპყრობლებს ვაეჯიბრებოდა ძალითა და მხნეობით. ლტოლვილმა ხვარაზმშაჰმა და მისმა ჯარმა შექმნეს ჯებირი ისლამსა და მონღოლებს შორის და როდესაც ეს ჯებირი დაინგრა, აღარავის შეეძლო ძისი აღდგენა აღმოსავლეთიდან მოვარდნილი ნიაღვრის შესაკავებლად.



შალვა ახალციხელი

„არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი", — ასე ახასიათებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე სახელგანთქმულ სარდალსა და ვეზირს, შალვა ახალციხელს, რომელიც თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლის მონაწილე იყო თამარის მეფობაში და ბრძოლის ველიდან ყოველთვის სახელიანი ბრუნდებოდა. შამქორის ომში, სასტიკად რომ დაამარცხეს მაჰმადიანთა ლაშქარი, სწორედ შალვა ახალციხელმა მიართვა თამარს ხალიფას ნაალაფარი დროშა, რომელსაც ავვაროზის დარად გამარჯვება უნდა მოეტანა მაჰმადიანთათვის, მაგრამ საკუთარ თავსაც ვერ უშველა და თორმეტი ათას მეომარსა და თხუთმეტი ათას აქლემთან ერთად ქართველებს ჩაუვარდა ტყვედ. შალვა ახალციხელი წინამბრძოლი იყო ბასიანის ომში და აქტიურად მონაწილეობდა ყარსის ალყაში; ერთი სიტყვით, ყველგან ჩანდა, სადაც კი იფეთქებდა „ომი ფიცხელი და ძლიერი", სადაც ისრები თვრებოდა სისხლით და „ხრმალნი ჭამდეს ხორცთა მტერთა".

ლაშა-გიორგის მეფობაშიც არ მოჰკიდებია ჟანგი ქართულ ხმალს. გამარჯვებათა წყება ბანგივით ადუნებდა გონებას, უძლეველად მიაჩნდათ თავი და ვერავინ ხედებოდა, რომ კარზე იყო მომდგარი დასაწყისი დასასრულისა. საქართველოს „ოქროს ხანა" თავის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა...

ჯერ მონღოლები გამოჩნდნენ საქართველოს საზღვარზე და მერე — მონღოლთაგან დევნილი და დაჭრილი ვეფხვივით გამძვინვარებული ჯალალედინი.

სერიოზული გამოცდა ელოდა საქართველოს სამხედრო ძლიერებას...

1225 წელს ქართულმა მხედრობამ მძიმე მარცხი განიცადა ხვარაზმელებთან გარნისის ომში. წინამბრძოლი კვლავ შალვა ახალ-

ციხელი იყო. ცხენი მოუკლეს, ქვეითად გაიგრძელა ბრძოლას. ბაგრამ გაიარჯვების სასწორი ხვარაზმელთა მხარეს იხრებოდა, სა-ბოლოოდ ალბათ ქართველთა რიგები თანდათან თხელდებოდა. შალვას ხელში შეხვედრია ხმალი, ბრძოლით დაღლილი მიწაზე დაეცა და დაღუპულთა შორის ჩაეძინა. სახე სისხლით ჰქოდა მოთხვრილიო. ალბათ, დაჭრილი იყო და ხვარაზმელებს არ გასჭირვებიათ მისი დატყვევება.

ყამთაალმწერელი მოგვითხრობს, რომ შეპყრობილი შალვა ჯალალედინს წარუდგინეს და „მოახსენეს სულტანსა ახოვნება და წყობათა შინა სიქველე მისი". ჯალალედინმა დიდი პატივით მიიღო სახელოვანი ტყვე და წყალობის ნიშნად აზერბაიჯანის რამდენიმე ქალაქი უბოძა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ შალვა ახალციხელი „მოიკლა სულტნისა მიერ არა დატეეებისათვის სჯულისა". ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრება" იმასაც გადმოგვცემს, თუ როგორ ცდილობდა ჯალალედინი შალვას გამაჰმადიანებას, ხან უთვალავ წყალობას ჰპირდებოდა, ხანაც სატანჯველითა და სიკვდილით ემუქრებოდა, მაგრამ ქართველი სარდალი მტკიცედ იდგა ქრისტეს რჯულზე — მაჰმადიანთა ხელში პატივსა და დიდებას სიკვდილი არჩია.

ქართული წყაროს ინფორმაცია ერთგვარ წინააღმდეგობას შეიცავს. აბა, განსაჯეთ, თუკი შალვა ახალციხელმა უარი თქვა გამაჰმადიანებაზე, ფანატიკოსი სულტანი როგორღა უბოძებდა მაჰმადიანთა სამფლობელოებს? თუ მაინც უბოძა, ერთი წლის შემდეგ რაღას ეჩხიზღა? ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯერ წყალობით შეეპყოთ ქრისტიანი ტყვე და მერე მისგან გამაჰმადიანება მოეთხოვათ.

ქართული წყარო შალვას სიკვდილით დასჯის მიზეზად ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულებას თვლის და წმინდანად აცხადებს რჯულისთვის დაღუპულ სარდალს, მაგრამ უცხოური წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ შალვა ახალციხელს სამშობლოსათვის გაცილებით დიდი სამსახურის გაწევა ჰქონია გულში.

ხვარაზმელი ისტორიკოსი ნესევი ადასტურებს ყამთაალმწერლის ცნობას, რომ შალვა ახალციხელს კარგად იცნობდნენ საქართველოს მეზობელ მაჰმადიანურ ქვეყნებში. აზერბაიჯანის ათაბეგ-უზბეგის ერთ-ერთ მოხელეს უამბნია ნესევისათვის: როდესაც ელჩად ვიყავი საქართველოში, შალვა კარგად მექცეოდა, მაგრამ მის

ქვეყნას სასლვარი არა ჰქონდაო. ერთხელაც მითხრა, ნეტავი ალის მართლმორწმუნეთა ამირას, ჩვენს დროში ეცხოვრა, ისეთ დღეს დავაყრიდი, ვაჩენის წუთს დაიწყეველიდაო.

ნესევი ირაფერს ამბობს შალვასთვის ქალაქთა ბრძოლაზე და ჰკვაუწყებს შემდეგს: როდესაც სულტანი საქართველოსკენ დაიძრა, მდინარე არაქსის პირას შეპყრობილ იქნა მსტოვარი, რომელსაც შალვას წერილები მიჰქონდა ქართველებთან. შალვა თურმე ამცნობდა თავისიანებს, ჯალალედინი საქართველოზე ვამოლაშქრებას აპირებსო. სულტნის ბრძანებით, შალვა ახალციხელი სიკვდილით დასაჯეს.

შალვა ახალციხელის თავგადასავალს ტყეობაში უფრო ვრცლად აღწერენ სპარსელი ისტორიკოსები ჯუვეინი და რაშიდ ად-დინი:

როდესაც შებორკილი შალვა მიჰყვარეს ჯალალედინს, მან დამცინავად ჰკითხა ახოვან ქართველ სარდალს: სად არის შენი მკლავის ძალა, რომლითაც ემუქრებოდა მართლმორწმუნეთა ამირას, ნეტავი მოგსწრებოდი, გაჩვენებდი ჩემს ბასრ ხმალსა და ცეცხლისმფრქვეველ შუბსაო. დატყვევებულ რაინდს აღარაფერი ჰქონდა სათქმელი და მოკრძალებით მიუგო: სულტანი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული და ჩვენ რას გავაწყობდითო.

შალვა ახალციხელს ისლამის აღიარება შესთავაზეს. ენამოსწრებულად მოუსაწყლებია თავი, ღირსი ვარო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იძულებული გამხდარა, გამაჰმადიანებულიყო. შემდეგ სულტანი თავრიზისკენ გაბრუნდა და თან იახლა დატყვევებული ქართველი დიდებულებიც. მოწყალე თვალით უყურებდა შალვას. ნდობა გამოუცხადა, თავისი ხვაშიადი აუწყა, საქართველო თქვენი შემწეობით უნდა დავიპყროო. სამფლობელოდ აზერბაიჯანის რამდენიმე ქალაქი უბოძა. ამასობაში ხვარაზმელები ლაშქრობის სამზადისს შეუდგნენ, მაგრამ შალვა და სხვა ქართველი დიდებულნი ატყუებდნენ სულტანს, ყოველგვარ ვალდებულებას კისრულობდნენ და ცრუ დაპირებებით აქეზებდნენო (ჯუვეინის სიტყვით. „უნდოდათ მუხანათობის თოკით სიკვდილის ჭაში ჩაეჩეხათ იგი"). სულტანმა გეზი აიღო საქართველოსკენ და შალვამ ქართველებს მოახლოებული საფრთხე აცნობა.

ამავე დროს ჯალალედინმა ელჩი გაგზავნა რუსუდანის კარზე, რომელიც მტკვრის ნაპირას გადაეყარა შალვასგან მომავალ მთვრალ მღვდელს და მისგან შემდეგი მოისმინა: „მალე ქართვე-

ლები ლაშქარს დაძრავენ, რათა მარქაბის ველზე შემოვერტყათ სულტანს და სამაგიეროო შურისგება მოეუწლოთ". ხვარაზმელმა ბოლოჩმა მყისვე მოკლა მღვდელი და სულტანთან გაეშურა, რათა ეუწყებინა შალვას მზაკვრობა (მთვრალი მღვდლის ეპიზოდი, შესაძლოა, მაჰმადიანი ისტორიკოსის ფანტაზიაა. უფრო დამაჯერებლად ჟღერს ნესევის ცნობა საქართველოში საიდუმლოდ გაგზავნილი შიკრიკის შეპყრობაზე).

ჯალალედინმა, როდესაც შალვას „ღალატი" მოახსენეს, თავშეკავებით განაცხადა, გამოვცადოთ და შევამოწმოთო. სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად სასწრაფოდ დაიბარა შალვა და რჩევა ჰკითხა: საქართველოზე სალაშქროდ რომელი გზა ჯობს — ყარსისა თუ მარქაბის ხეობისაო? ქართველებმა მიუგეს: ყარსის გზაზე გამაგრებული ქალაქებია, იქ გავლა გაგვიჭირდება, თანაც მარქაბის გზა უფრო მოკლეა, თბილისამდე მალე მიგვიყვანსო. სულტანი მიხვდა ქართველთა თვალთმაქცობას, წამოდგა, ხმალი წელზე შემოჰკრა შალვას და შუაზე გაჰკვეთა. მერე ბრძანა, დანარჩენებიც ჯოჯოხეთში გაისტუმრეთო...

ეტყობა, შალვა ახალციხელი დარწმუნებული იყო, რომ სულტანი მის რჩევას ყურს ათხოვებდა და მარქაბის გზით წაიყვანდა ლაშქარს საქართველოსკენ. ამიტომ წინასწარ აცნობა საქართველოს სამეფო კარს ხვარაზმელთა მომავალი მარშრუტი. გამოთქმულია სხვაგვარი ვარაუდიც. თითქოსდა ჯალალედინი ადრევე მოეთათბირა შალვა ახალციხელს და მისი კარნახით არჩევანი მარქაბის გზაზე შეაჩერა.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ეჭვმიუტანელი ფაქტი გახლავთ: აღმოსავლური წყაროების მიხედვით, ტყვედ ჩავარდნილი შალვა კვლავ ერთგული რჩებოდა მშობელი ქვეყნისა და კვლავ საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრობდა. დაჟინებით ჩასძახოდა, ალბათ, დატყვევებულ სარდალს მაცდური ხმა: ბედმა ზურგი გაქციათ ქართველებს, ახლა ჯალალედინს ანებივრებს და სანამ დროა, შენც გამარჯვებულთა მხარეზე გადადი, შენც იგემე შენი წილი სიამეო. მაგრამ ამაოდ ჩასძახოდა, რადგან შალვა ახალციხელი ტყვეობას არ დაუბრმავებია, კარგად არჩევდა მტერსა და მოყვარეს. თამარის ლოცვა-კურთხევით საქართველოსთვის გარჯილი და ნაომარი სარდალი როგორ გაიელვებდა გულში გადამთიელი სულტნის სამსახურს. საკუთარი ხმლით მოხვეჭილ სახელს როგორ გაცვლიდა

ᲛᲢᲠᲘᲡᲐᲕᲜ ᲜᲐᲬᲧᲐᲚᲝᲑᲔᲕ ᲞᲐᲢᲘᲕᲖᲔ. ᲓᲘᲐᲮ, ᲒᲐᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲓᲐ. ᲝᲠᲝᲜᲘᲛ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲐᲜᲑᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲓᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲫᲛᲔᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲡᲞᲝᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲗᲠᲒᲣᲜᲐᲓ ᲠᲝᲛᲚᲘ ᲓᲐᲒᲣᲚᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲢᲜᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲘᲠᲘᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲙᲐᲚᲐᲚᲣᲚᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ.

ᲛᲘᲣᲮᲔᲚᲐᲕᲐᲓ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲥᲣᲚᲘᲡᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ ᲓᲣᲛᲔᲡ ᲨᲐᲚᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐᲖᲔ. ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲕᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲓᲔᲡ ᲒᲐᲛᲔᲪᲘᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲑᲠᲫᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲡ, ᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲪᲘᲥᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲣᲤᲣᲨᲐᲙᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲦᲠᲛᲐᲓ ᲛᲝᲠᲬᲣᲛᲣᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲘᲛᲖᲘᲓᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ — ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲡᲐᲛᲨᲘᲠᲚᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲘ ᲙᲛᲘᲠᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲗᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗᲐᲪ! ᲗᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲕᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘᲡ ᲨᲐᲠᲐᲕᲐᲜᲓᲔᲓᲘᲗ, ᲕᲘᲚᲠᲔ ᲠᲯᲣᲚᲡ ᲞᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲛ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲠᲐᲪᲮᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ, ᲮᲐᲚᲡᲛᲐ — ᲒᲛᲘᲠᲐᲓ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲮᲛᲐ ᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲛᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ...



ლეგენდები და ილუზიები

1223 წელს საქართველოს მეფე რუსუდანი რომის პაპისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში აღნიშნავდა: მონღოლთა შემოსევისას ჩვენ არავითარი სიფრთხილე არ გამოგვიჩენია, რადგანაც ქრისტიანები გვეგონა ისინი და მხოლოდ შემდგომ დავრწმუნდით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენო.

რა იყო ეს, მოულოდნელი მარცხისათვის საპატიო მიზეზის ძიება თუ მართლაც არ იცოდნენ საქართველოში მონღოლთა ვინაობა და მიზნები?

უფრო საგულვებელია მეორე ვარაუდი. მაგრამ მარტო ქართველები როდი ყოფილან ესოდენ ავბედითი გაუგებრობის მსხვერპლი. ასევე ეგონათ მეზობელ სომხეთში, ასევე ეგონათ ჯვაროსანთა სირია-პალესტინის სამფლობელოებში, ასევე ეგონათ ევროპაში.

სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის ცნობით, მონღოლთა შესახებ გავრცელდა ყალბი ხმები, თითქოს ისინი ქრისტიანული სარწმუნოებისა არიან, მოდიან მაჰმადიანებზე შურის საძიებლად ქრისტიანთა ჩაგვრის გამო და აპირებენ ჯვაროსანთა მხარდამხარ „წმინდა მიწის“ გამოხსნას. იმასაც ამბობდნენ, რომ მათ აქვთ საველე ეკლესია და სასწაულთმოქმედი ჯვარი.

ვინმე ფილიპე. ერთ-ერთი კათოლიკური ორდენის წინამძღვარი პალესტინაში, აუწყებდა რომს, ქრისტიანობა გავრცელებულია მთელს მონღოლურ აღმოსავლეთშიო.

ყველა ამ მითქმა-მოთქმაში ნაწილობრივ სიმართლეც ერია. XII-XIII საუკუნეებში ცენტრალურ აზიაში, მონღოლეთსა და ჩინეთში ცხოვრობდა მრავალი ქრისტიანი ნესტორიანთა სექტისა. ისინი იყვნენ ბიზანტიიდან და ირანიდან გადასახლებულთა შთამომავალნი. ქრისტიანობა წარმოადგენდა ვაბატონებულ რელიგიას ორ მთავარ მონღოლურ ტომში (ნაიმანები და ქერაითები).

სწორედ ამ ფაქტმა შეასხა ფრთები ლეგენდას პრესვიტერ იოანეზე.

როგორ დაიბადა ეს ლეგენდა?

1145 წელს, ცნობილი ბავარიელი მემატიანე ოტონ ფრეიზინგელი, იმოწმებდა რა ჯაბალას (ქალაქია ჩრდილოეთ სირიაში) ეპისკოპოსის ჰუგოს ნაამბობს, წერდა, რომ რამდენიმე წლის წინათ ნესტორიანთა მეფე-პრესვიტერმა (ანუ ხუცესმა) იოანემ შორეული აღმოსავლური ქვეყნიდან გამოილაშქრა მაჰმადიანებზე. დაამარცხა ისინი, შემდეგ დაიძრა დასავლეთისაკენ, რათა დახმარებოდა ჯვაროსანთა იერუსალიმის სამეფოს, მაგრამ ვერ გადალახა მდინარე ტიგროსი და უკან გაბრუნდა.

რომელი ისტორიული მოვლენა დაედო საფუძვლად ამ ცნობას?

1141 წელს, ხატაელებმა ელიუ-დაშის წინამძღოლობით, ქალაქ სამარყანდის მახლობლად, სასტიკად დაამარცხეს შუააზიელი მაჰმადიანი ხელმწიფე, თურქ-სელჩუკთა სულტანი სანჯარი, რომლის დროშებქვეშ თავმოყრილი იყო მაჰმადიანური სამყაროს საუკეთესო ძალები (დაახლოებით ასი ათასი კაცი), გამოწრთობილნი ჯვაროსნებთან და ბერძნებთან ომებში, აღჭურვილნი იმდროინდელი საომარი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

აღმოსავლური წყაროები გვამცნობენ, რომ მაჰმადიან ხალხებს აქამდე არასოდეს ენახათ ასეთი გრანდიოზული და სისხლისმღვრელი ბრძოლა. სანჯარის ლაშქრიდან დაიღუპა ოცდაათი ათასი მეომარი. ტყვედ ჩავარდა მრავალი ამირა და თვით სანჯარის ცოლიც. სანჯარი რიგითი სულტანი არ ყოფილა, უზარმაზარ იყო მისი ავტორიტეტი მაჰმადიანურ სამყაროში. სანჯარს უწოდებდნენ უკანასკნელ „დიდ სელჩუკს“, მას ცხრამეტი ძლევამოსილი ომი ჰქონდა გადახდილი და ახლა პირველად ივეია მარცხი, რამაც ხალხს გაუქარწყლა სანჯარის შიშიო. სამეფო კარის მწერალმა ასეთი სტრიქონები შეთხზა: „ო, მეფეო, ორმოცი წელია, შენი ხმალი მტერზე შურისძიებისათვის იყო ამოწვდილი, და თავს თუ უბედურება დავატყდა, ესეც განგების ნებაა, რამეთუ მხოლოდ ალაჰია ერთადერთი უძლეველი და მარადიული არსება!“

აი სწორედ ეს ამბავი უნდა გამხდარიყო წყარო ლეგენდისა პრესვიტერ იოანეზე.

ოთხმა წელიწადმა და გზამ სამარყანდიდან სირიამდე ვაამახინჯა სინამდვილე, ელფერი შეუცვალა და აღაფრთოვანა ევროპელები.

მათზე შთაბეჭდილების მოსახდენად ჰუგომ ეგებ გააზვიადა კიდეც სირიაში მისული ხმები, რათა წაექეზებინა დასავლეთის მეფე-მთავრები მეორე ჯვაროსნული ლაშქრობისათვის, რომელიც უკვე მზადდებოდა და ასეთ ვითარებაში რაოდენ სასურველი იყო ძლიერი მოკავშირე აღმოსავლეთში!

რომელ რასას ეკუთვნოდა ელიუ-დაში, თურქულსა თუ მონღოლურს? აღიარებდა თუ არა იგი ქრისტიანობას? საიღან გაჩნდა ევროპულ წყაროში სახელი „იოანე?"

მიუხედავად ბეჯითი კვლევისა და სხვადასხვა მოსაზრებისა, ეს კითხვები უპასუხოდ რჩება (ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზემოხსენებული ლეგენდის გმირი უნდა იყოს დავით აღმაშენებელი).

ლეგენდა პრესვიტერ იოანეზე გამოაცოცხლა მონღოლების გამოჩენამ. ისევ აწრიალდა ქრისტიანული სამყარო. ისევ მიეცათ იმედი შევიწროებულ ჯვაროსნებს. დასავლეთ ევროპაში ათასნაირი ხმები დადიოდა. წერდნენ, რომ მონღოლთა ლაშქარს სათავეში ედგა „მეფე დავით, იოანე ხუცესად წოდებული". ზოგიც იოანეს შვილად თვლიდა ხსენებულ მეფე დავითს.

სინამდვილე და ფანტაზია უცნაურად გადაეხლართა ერთიმეორეს.

იმდროინდელი ევროპული წყაროს მიხედვით, კარდინალი პელაგიუსი „ხღვის გაღმიდან" აეცნობდა რომის პაპს, ერთი მხრივ, ქართველთა მზადყოფნას ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობისათვის და, მეორე მხრივ, იოანე ხუცესად წოდებული დავით მეფის მიერ „სპარსეთის" სულტნის დამარცხებას და მთელი „სპარსეთის" დაპორჩილებას (ოცდაოთხ დღეში!); კარდინალი არწმუნებდა რომის პაპს, ძლევამოსილი ქრისტიანი მეფე დავითი უკვე ათი დღის სავალზეა ბაღდადიდან და იერუსალიმისაკენ მოეშურებაო.

ამ ცნობაში მოხსენიებული „სპარსეთი" უნდა ნიშნავდეს ხვარაზმის სახელმწიფოს, რომლის დამხობამ მონღოლთა მიერ, ჩანს, ისეთივე რეზონანსი გამოიწვია დასავლეთში, როგორც ასიოდე წლით ადრე სანჯარის დამარცხებამ ხატაელთაგან.

საიდან მოეკვლინა მეფე დავითის სახელი ლეგენდას პრესვიტერ იოანეზე? შესაძლოა, ერთი საუკუნის შემდეგ დავით აღმაშენებელმაც ჰპოვა ადგილი ჯვაროსანთა ფანტაზიებში. მაგრამ ამის დამტკიცება არც ისე იოლია. სხვას რომ თავი დავანებოთ, უნგრეთის

მეფის წერილში რომის პაპისადმი მოთხრობილია „დავით მეფის“ შეკრა რუსთა მიწებზე 1223 წელს და რუს-ყივჩაღთა ჯარის ამოჟლეტა (ცხადია, იგულისხმება ცნობილი ბრძოლა მდინარე კალკასთან).

როგორც ვხედავთ, ეს „მეფე დავითი“ ჩინგიზ-ყაენს უფრო წააგავს!

ჩინგიზ-ყაენს გულშიც არ გაუვლია იერუსალიმის განთავისუფლება, მავრამ მონღოლთა შემოსევისას ერთხანს იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისინი ეაინცდამაინც მაჰმადიანებს ემტერებოდნენ. ანიტომაც ელანდებოდათ ევროპელებს შორი მანძილიდან ჩინგიზ-ყაენის ურდოთა სათავეში — პრესვიტერ იოანეს შთამომავალნი.

ამ მითიურ ვერსიას ასულდგმულებდა მხურვალე იმედები მონღოლთა და კათოლიკური ევროპის მომავალ კავშირზე მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ.

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი ხაზს უსვამს, რომ ამ მოკლე ხანში მაჰმადიანურ სამყაროს ორი ჭირი ეწია: აღმოსავლეთიდან — მონღოლთა შემოსევა და დასავლეთიდან — ჯვაროსნული ლაშქრობა. იბნ ალ-ასირი მძულვარე წყეული-კრულვას უთვლის მონღოლებსაც და ჯვაროსნებსაც. მწარედ მოთქვამს იგი: „ნეტამც სულ არ გავეჩინე დედას, ანდა მანამდე დამპატრონებოდა სიკვდილი, სანამ ვიხილავდი ყოველივე ამას, რაც მოხდა“. არაბ ისტორიკოსს მრავალი შემაძრწუნებელი ფაქტი მოაქვს მაჩვენებელი მონღოლთა ბარბაროსობისა, რომლის მსგავსი არავის სმენია ამქვეყნად.

იბნ ალ-ასირის მეგობარი, ცნობილი სწავლული იაკუთი, ძლივს რომ დაუსხლტა ხელიდან მონღოლებს, აღწერს აყვავებულ ხორასანს და უწოდებს მას სამოთხის ასლს. შემდეგ მოგვითხრობს, რომ მონღოლთა წყალობით სასახლეები წარიშალნენ პირისაგან მიწისა. როგორც ნაწერი სტრიქონი იშლება ქაღალდიდან. ნანგრევებში დასახლებული ჭოტები ერთმანეთს გასძახიან ღამღამობით, ხოლო უკაცრიელ დარბაზებში ქარის კვნესა უპასუხებს სამუმსო. იაკუთის სიტყვით, თვით იბლისიც (ანუ ეშმაკი) დაიტირებდა ამ საშინელ კატასტროფას.

1236 წელს დაიწყო მონღოლთა ახალი ლაშქრობა დასავლეთისაკენ. მაჰმადიანი ხელმწიფენი უბრძოლ შიშმა მოიცვა. რუმის სულტანმა ჯვაროსნებს შესთავაზა მოკავშირეობა.

მაჰმადიანური სამყარო ქრისტიანული ევროპისაგან ელოდა შველას.

1238 წელს ევროპაში ჩავიდა ასასინთა ორდენის ელჩობა. ორდენის მბრძანებელი, ვისი სახელიც შიშის ზარს სცემდა აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც, ამჯერად დახმარებას სთხოვდა საფრანგეთისა და ინგლისის მეფეებს. ამასთან ერთად აფრთხილებდა, რომ ისლამის ძალები ვერ შეაკავებდნენ კაციჭამია მონღოლთა ტალღახ და დასავლეთის ქვეყნებსაც არ ასცდებოდა აოხრება.

მათეო პარიზელის გადმოცემით, როდესაც ასასინთა ელჩები წარდგნენ ინგლისის მეფის წინაშე და ზემოთქმული მოახსენეს, ვინჩესტერის ეპისკოპოსმა ხელში ჯვარი აიღო და ხმამაღლა წარმოთქვა: „დაე, ამ ძაღლებმა დაჭამონ ერთმანეთი და ამგვარად ამოწყდნენ. როცა ჩვენ გაეემართებით ქრისტეს მტერთა წინააღმდეგ, გადარჩენილთ ამოვეუჟავთ და გავაუფთავებთ მიწის პირს, რათა ყველა ხალხი დაემორჩილოს ერთადერთ კათოლიკურ ეკლესიას და ჰყავდეს ერთადერთი მწყემსი!“

მონღოლებმა ევროპასაც მალე გააცნეს თავი და დიდი განგაში გამოიწვიეს. ღმერთმა უწყის, ტყუილია თუ მართალი, მაგრამ წერენ, რომ მათ პოლონეთში დახოცილთა ორასი ათასი ყური შეაგროვეს ტომრებში, როგორც ნაღდი საბუთი თავისი გმირობისა.

მონღოლთა შემოსევა ბუნების ბრმა ძალთა სასტიკ კატაკლიზმს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანთა ისტორიის მოვლენას.

საოცარი სისწრაფით გადაქელეს მონღოლებმა უზარმაზარი სივრცეები ჩინეთიდან გერმანიამდე და სადაც კი გაბატონდნენ, კარლ მარქსის სიტყვით, „სისტემატური ტერორის რეჟიმი“ დაამყარეს.

ხოლო ლეგენდებსა და ილუზიებს ევროპასა თუ აზიაში, რა თქმა უნდა, ნიადაგი გამოეცალა.



აბაღა-ყაენის ელჩები

„და იქმნა ძლიერი ბრძოლა, სადა-იგი მხნედ ბრძოლა უყვეს ქართველთა, რომელ თათარნი განკვირდეს“, — გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი.

ეს იყო 1277 წლის 16 აპრილს. ეგვიპტის სულტნისა და ირანის ილხანის ჯარებს შორის გამართულ შეტაკებაში თათართა (ე. ი. მონღოლთა) ასეულსე მონაწილეობდა სამი ათასი ქართველი. ეგვიპტის სულტანი მოულოდნელად დაეცა მტერს „ჟამსა განთიადისასა“. მონღოლები დამარცხდნენ. ქართველმა მხედრებმა თურმე იუკადრისეს გაქცევა ბრძოლის ველიდან და თითო-ოროლა თუ გადაურჩა სიკვდილს („არა არს ჩვეულება ქართველისა, რათა მტერი იხილოს და ზურგი შემოაქციოს“, — გვაუწყებს ქართული წყარო).

ქართველთა უანგარიშო მხნეობამ თვით მონღოლთა გაოცება გამოიწვია.

საკუთრივ მონღოლებმა დაკარგეს შვიდი ათასი კაცი. როდესაც ირანის ილხანმა (ანუ ყაენმა) აბაღამ მოინახულა ბრძოლის ველი, იგი ესოდენ ააღელვა სასტიკი მარცხის სურათმა, რომ ცრემლი მოადგა თვალებზე.

ამჯერად ქართველმა მხედრებმა გაიზიარეს მონღოლთა დამარცხება, ისევე როგორც ადრე იზიარებდნენ მათ ძლევამოსილ ტრიუმფს, ალამუთისა თუ ბაღდადის აღებისას.

საქართველოში მონღოლები ბატონობდნენ. გრძელდებოდა წინააღმდეგობა, გრძელდებოდა აჯანყებანი, მაგრამ მძიმე უღლის მოხსნა ჯერ შორს იყო. მუდმივი ომით გართულ მონღოლებს უკვე ძალა ჰყოფნიდათ საკუთარი შვომრები და დაპყრობილ ქვეყნებში აგროვებდნენ სამხედრო კონტინგენტებს. ძალა აღმართსა ხნავდა და ქართველებიც ავსებდნენ მონღოლთა ლაშქარს. ერთი რამ მაინც

ანუგეშებდათ, დღეს თუ ხვალ მონღოლთა დახმარებით დაიბრუნებდნენ ეგვიპტის სულტნის მიერ პალესტინაში მიტაცებულ ქართულ მონასტრებს.

სწორედ მაჰმადიანური ეგვიპტე იყო ირანის ილხანთა უპირველესი და უსასტიკესი მტერი. საქართველოსა და მონღოლთა ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, მონღოლები სხვაგანაც ეძებდნენ მოკავშირეს.

იმავე 1277 წელს, იტალიელი ისტორიკოსის ჯ. სორანცოს ცნობით, ევროპაში იმყოფებოდნენ აბაღა-ყაენის ელჩები, ძმები იოანე და იაკობი („ქვეშევრდომნი თათართა, წარმოშობით ქართველები და სარწმუნოებით ქრისტიანები", — ასეა აღნიშნული თანადროულ ლათინურ წყაროში მათი ვინაობა).

ამ ელჩობის მიზანი იყო სამხედრო კავშირის შეკვრა მონღოლებსა და დასავლეთ ევროპას შორის, მაჰმადიანური ეგვიპტის წინააღმდეგ ერთობლივი „ჯვაროსნული ლაშქრობის" ორგანიზაცია.

ორი სრულიად სხვადასხვა სამყარო საერთო ენას ეძებდა ერთიმეორესთან, ვინაიდან ჰყავდათ საერთო მტერი, რომელსაც ცალ-ცალკე ვერ უმკლავდებოდნენ.

მონღოლები არც მაჰმადიანები იყვნენ, არც ქრისტიანები, მაგრამ მათი პირველი გამოლაშქრების მარშრუტი ძირითადად მაჰმადიანურ ქვეყნებზე გადიოდა. ბუნებრივია მუსრს ავლებდნენ მაჰმადიანებს და ამან დიდი იმედები აღმოაცენა ქრისტიანულ სამყაროში, ახალი სული შთაბერა ლეგენდებსა და ილუზიებს. ხოლო მონღოლთა ხანმოკლე რეიდი დასავლეთ ევროპისაკენ პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა. ახლა ისინი შორს იყვნენ და უშუალოდ არ ემუქრებოდნენ ინგლისსა თუ საფრანგეთს. ასე რომ, დასავლეთ ევროპაში მათი აღარ ეშინოდათ.

სამაგიეროდ მაჰმადიანური ეგვიპტე უფრო და უფრო ავიწროებდა ჯვაროსანთა სამფლობელოებს სირია-პალესტინაში. ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები დაჟინებით მოითხოვენ რომის პაპისაგან დახმარებას. თავის მხრივ, პაპი მიმართავს დასავლეთ ევროპის ხელმწიფეთ. რათა დაიწყონ სამზადისი ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. ამავე დროს იგი ელჩს გზავნის მონღოლთა სატახტო ქალაქ ყარაყორუმში და მონღოლთა დიდ ყაენს მოუწოდებს... კათოლიკური სარწმუნოების მიღებას!

სირია-ეგვიპტის მაჰმადიანი მმართველები შეშფოთებით ადევ-

ნებენ თვალს მოვლენათა მსვლელობას. ისინი ეშუდარებიან რომის პაპს, რომ არაფრით არ ენდოს ანტიქრისტეს ნაშიერ მონღოლთ, რომლებიც შავი ჭირის მსგავსად აპარტახებენ მთელ ქვეყნიერებას. მათი განგაში ბუნებრივია. უკვე გამოიკვეთა ანტიმაჰმადიანური კოალიციის კონტურები.

1258 წელს ჰულაგუ-ყაენმა აიღო ბაღდადი. ბაღდადის აღებაში მონაწილეობდა ქართული მხედრობაც, რომელსაც წინ მიუძღოდნენ დავით მეფე (ძე ლაშა-გიორგისა) და „ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი". მაჰმადიანთა უზენაესი მბრძანებელი ბაღდადის ხალიფა ტომარაში ჩასვეს მონღოლებმა, თავისი კავალერიის ფლოქვებქვეშ მეაგდეს და ვადაქელეს. საშინელი სისხლის ღვრა გაიმართა ბაღდადში. „მოსრნეს მახვილითა ესოდენი სიმრავლე, რომელ არა იყო რიცხვი", — აღნიშნავს ყამთააღმწერელი. რაშიდ ად-დინის სიტყვით, მონღოლებმა ყველაფერი ცეცხლს მისცეს. ხმელიცა და ნედლიც. მაგრამ ბაღდადის ქრისტიანები არც დაუხოცავთ, არც გაუძარცვავთ. ქრისტიანებს მფარველობა გაუწია ჰულაგუს უფროსმა ცოლმა, რომელიც თავად ქრისტიანი იყო (ხესტორიანთა სექტისა).

აღივსნეს თათარნი და ქართველნი ნადავლითო, ვკითხულობთ ყამთააღმწერლის თხზულებაში. აი, კოლორიტული დეტალებიც: „ზოგთა ხრმალი ვადის პირსა მოსტეხდიან, და ქარქაში წითლითა ოქროთა განტენიან, და ზედა ნატეხნი ხრმლისა ჩააგნიან, ზოგთა მკვდარი კაცი ბაღდადელი გამოწლიან და წითლითა ოქროთა, თვალითა და მარგალიტითა გახტენიან, და ვითარ თვისი მკვდარი განიყვანიან გარეშე ქალაქსა".

1260 წლის დამდეგს მაჰმადიანთა წინააღმდეგ ერთად იბრძვიან ჰულაგუ-ყაენი, კილიკიის სომეხთა მეფე ჰეთუმი და მისი სიძე ბოემუნდი, მთავარი ანტიოქიისა. მოკავშირეებმა აიღეს ალეპო და დამასკო, განვლეს მთელი სირია-იორდანია და უკვე ეგვიპტის კარიბჭეს მიადგნენ. ბეწვზე ეკიდა ბედი ეგვიპტისა, მაგრამ ჰულაგუ-ყაენი ყარაყორუმში იხმეს და მამლუქთა ეგვიპტის სულტანმა ბეიბარსმა (წარმოშობით ყივჩაღმა) გაანადგურა მონღოლთა შეთხელებული ძალები, შემდეგ ხელთ იგდო ალეპოცა და დამასკოც. ხოლო 1268 წელს დაეუფლა ანტიოქიას, სადაც ძირიანად მოთხარა ეკლესიები, სისხლით მორწყო ქუჩები, მოსპო და დაატყვევა ასი ათასამდე ადამიანი. თითო მეომარს წილად ხვდა თითო ტყვე.

ფასები დაეცა მონათა ბაზარზე. ვაჟი თორმეტ დირჰემად იყიდებოდა, ქალი — ხუთ დირჰემად.

ჯვაროსანთა ერთ-ერთმა მთავარმა სამფლობელომ ანტიოქიის სამთავრომ დაასრულა თავისი არსებობა. ამ კატასტროფამ ერთნაირად შეაშფოთა რომის პაპიც და ირანის ილხანიც. მათ შორის ჩაღდება გულითადი მიმოწერა.

1271 წელს პალესტინაში მყოფი ედუარდი, ინგლისის ტახტის მემკვიდრე, ელჩს გზავნის აბაღა-ყაენთან და წინადადებას აძლევს. რომ კომპინირებული ლაშქრობა მოაწყონ მამლუქთა ეგვიპტის წინააღმდეგ. ამჯერად საკმარისი ჯარი არ გააჩნდათ მონღოლებს სართალია, მათ გადაჭრეს ევფრატი და შეუტიეს ალეპოს, მაგრამ ბეიბარსი მკისვე დაიძრა დამასკოდან და მონღოლებმა უკან დაიხიეს.

მერე რომის პაპმა გაგზავნა ელჩები აბაღა-ყაენთან. ევროპაში კარგად ხედავდნენ, რომ ირანის ილხანი იყო ერთადერთი მოკავშირე, რომელსაც შეეძლო ეფექტური დახმარების გაწევა მაჰმადიანურ ეგვიპტესთან ბრძოლაში, თუმცა მონღოლთა სამხედრო ძლიერება ისეთი აღარ იყო, როგორც ჰულაგუ-ყაენის დროს.

თავის მხრივ, ირანის ილხანები ლამობდნენ სირია-პალესტინის დაპყრობას, მაგრამ მამლუქი სულტნები ითვლებოდნენ ისლამის უკანასკნელ ქომაგებად და ომი ეგვიპტესთან ფრიად არაპოპულარული იყო ილხანის მაჰმადიან ქვეშევრდომებს შორის. ილხანები უნდა დაყრდნობოდნენ ქრისტიან მოკავშირეებს, კერძოდ — ჯვაროსნებს, კილიკიის სომხეთს და საქართველოს. ამით აიხსნება ქრისტიანთა მფარველობა ჰულაგუ-ყაენისა და მისი მემკვიდრეების დროს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჰულაგუს უფროსი ვაჟი აბაღა. არსებობს ცნობა, რომ აბაღა-ყაენი მოინათლა კიდეც ქრისტიანულ ეკლესიაში თავისი ცოლის დესპინას ჩაკონებით (დესპინა იყო ბიზანტიის კეისრის ასული).

ქართული წყარო ასე ახასიათებს აბაღა-ყაენს: „კაცი კეთილი. უხვი, მოწყალე, ტკბილი, მდაბალი, განმკითხველი, სამართლის მოქმედი, გლახაკთა მოწყალე და შემნდობელი...“

1276 წლის შემოდგომაზე ქართველმა ელჩებმა იოანემ და იაკობმა რომის პაპს ჩაუტანეს აბაღა-ყაენის პასუხი. გარდა ამისა ქართველ ელჩებს, როგორც სანდო პირთ, სიტყვიერად უნდა ეუწყებინათ პაპისათვის, რომ ყუბილაი, მონღოლთა დიდი ყაენი აცხა-

ღებდა სურვილს — რომის პაპს მისიონერები გამოეგზავნა მის სახელმწიფოში ქრისტიანობის პროპაგანდისათვის.

იოანესა და იაკობის არჩევა ელჩებად შემთხვევითი არ იყო. ცხადია, მათ მშვენივრად იცოდნენ ევროპული და აღმოსავლური ენები. შესაძლოა კათოლიკობაც ჰქონდათ მიღებული თბილისში დასახლებულ მისიონერთა საშუალებით და მით უფრო გამოდგებოდნენ ელჩებად კათოლიკურ ევროპაში.

1277 წლის გაზაფხულზე ქართველი ელჩები ეწვიკნენ საფრანგეთის მეფეს. ისინი პატივისცემით მიიღეს და დააყენეს სენ-დენის მონასტერში. იოანემ და იაკობმა რამდენიმე დღეს გაატარეს იქ და მონაწილეობა მიიღეს აღდგომის დღესასწაულში. მაშინდა დარწმუნდა ყველა, რომ ირანის ილხანის ელჩები ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ. სხვათა შორის, ფრანგი მემატიანე ეჭვს გამოთქვამს: „ნამდვილი ელჩები იყვნენ თუ მსტოვრები, უფალმა უწყის ეს!“

იოანე და იაკობი საფრანგეთიდან გაემგზავრნენ ინგლისს.

ძალზე რთულ პირობებში უხდებოდათ დიპლომატიური მოლაპარაკება აბაღა-ყაენის ქართველ ელჩებს. უკვე დამთავრებული იყო ეპოქა დიდი ჯვაროსნული ლაშქრობებისა, დასავლეთის მეფე-მთავრები რომ აწყობდნენ საუკუნე-ნახევრის მანძილზე. რომის პაპს ავტორიტეტი ჰქონდა დაკარგული. საფრანგეთისა და ინგლისის მეფეებს შინაც საკმარისად ეგულებოდათ თავის ასატკივარი საქმენი.

ამასთან ერთად, ფილიპე III-ს საფრანგეთის მეფეს მწარე მოგონებანი წამოჰყოლოდა უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობიდან. ტუნისში შავმა ჭირმა იმსხვერპლა მამამისი ლუი IX, თვითონ ფილიპემ ძლივს გადმოლახა ზამთრის შტორმებით შეპყრობილი ხმელთაშუა ზღვა, მისი ცოლი მშობიარობას გადაჰყვა და მკვდარი ბავშვი დაბადა. როგორც წერენ, საფრანგეთში დაბრუნებული ჯარი უფრო სამგლოვიარო პროცესიას წააგავდა, ვიდრე ძხედრობას. ფილიპემ სამშობლოში ჩამოიტანა ნეშტი მამისა, ძმისა, ცოლის და შვილისა.

ვერც ედუარდ I გაიხსენებდა მაინცდამაინც ტკბილად პალესტინას, სადაც თავისი მცირერიცხოვანი ძალებით რამდენიმე უნა-

ყოფო რეიდი ჩაატარა მაჰმადიანთა წინააღმდეგ (ეს იყო მერვე ჯვაროსნული ლაშქრობის უკანასკნელი ეპიზოდი) და ბოლოს მიხვედა, რომ დროს ტყუილად ჰკარგავდა. უკვე ინგლისისაკენ გასამგზავრებლად ემზადებოდა, როდესაც საკუთარ კარავში თავს დაესხა ეგვიპტის სულტნის მიერ დაქირავებული ასასინი და მძიმედ დაჭრა ინგლისის მომავალი მეფე. ხანჯალი მოწამლული იყო. ცოლმა, ელეონორამ, ამოსწოვა საწამლავი ჭრილობიდან და სიკვდილს გადაარჩინა ედუარდი.

მონღოლებს ყველაზე მეტად ინგლისის მეფის იმედი ჰქონდათ. აბაღა-ყაენი ქართველი ელჩების პირით ბოდიშს უხდიდა ედუარდ I-ს, რამდენიმე წლის წინათ პალესტინაში განზრახული სამხედრო ოპერაცია რომ ჩაიშალა მონღოლთა პასიურობის გამო, და ხელახლა სთავაზობდა გაერთიანებას იერუსალიმის ასაღებად.

ირანის ილხანის ელჩების მიერ ჩატანილმა მოწოდებამ ვერც ინგლისში ჰპოვა რეალური გამოძახილი. ედუარდი, ისევე როგორც ფილიპე, მხურვალედ ლაპარაკობდა იერუსალიმის განთავისუფლებაზე, მაგრამ სიტყვები რჩებოდა სიტყვებად და საქმეს პირი არ უჩანდა.

ქართველმა ელჩებმა დათვალიერეს პარიზი და ლონდონი, მერე რომში გამოიარეს და პაპის წერილები წაუღეს აბაღა-ყაენს.

ორიოდე წლის შემდეგ აბაღა მოულოდნელად გამოეთხოვა წუთისოფელს. თურმე ლხინის დროს შეუძლოდ იგრძნო თავი და სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად სასახლიდან ბაღში გავიდა. მერე უეცრად იყვირა, უზარმაზარი შავი ფრინველი თავს დამტრიალებსო. მაშინვე იხმო მსახურები და უბრძანა, ისრები დაეშინათ საზარელი ფრინველისათვის. გაოგნებული მსახურები მზად იყვნენ ბრძანების შესასრულებლად, მაგრამ ახლოახლო არავითარი ფრინველი არ ჩანდა. ისინი ჯერ კიდევ ამ ფრინველის ძებნით იყვნენ გართული, როდესაც აბაღა-ყაენს გული შეუწუხდა და ვეღარც მოაბრუნეს.

...1291 წელს დაეცა ჯვაროსნების უკანასკნელი ციხესიმაგრე „წმიდა მიწაზე" და ასე დასრულდა ჯვაროსნულ ლაშქრობათა თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორია. მალე ერთი ჯვაროსანიც აღარ დარჩენილა სირია-პალესტინაში.

მამლუქთა ეგვიპტე გაჭარჯვებას ზეიმობდა.

მონღოლთა დიპლომატიური ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან იმით დამთავრდა, რომ ედუარდ I-მა მიმინოები გაუგზავნა ძღვნად აბაღა-ყაენის ძესა და მემკვიდრეს არღუნ-ყაენს, ხოლო ამ უკანასკნელმა ლეოპარდი უფეშქაშა ინგლისის მეფეს.

იოანესა და იაკობის შემდგომი ბედი არ ვიცით.



უმანკო და მალემრწმენი

ქრისტიანულ სამყაროში მტკიცედ სწამდათ, რომ წმინდანებად შერაცხული პირნი მორწმუნეებს ერთგულ სამსახურს აწევდნენ არა მარტო თავიანთ სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც.

...XVII საუკუნის სომეხი მემატიანე ზაქარია სარკავაგი მოგვითხრობს:

კაპადოკიაში დაღუპული წმ. გიორგის ნეშტი ოდესღაც ჩამოესვენებიათ სომხეთში და ოვანავანქის მონასტერში მიუჩენიათ მისთვის სავანე. ჰოდა, დაუსრულებელ ნაკადად მოედინებოდნენ მონასტერში ხეიბარნი და კეთროვანნი, სნეულნი თუ მომაკვდავნი; შველას ევედრებოდნენ მოწყალე უფალს, გულმხურვალედ აღავლენდნენ ლოცვებს და მზად იყვნენ ყველაფერი გაეღოთ, რაც კი გააჩნდათ, ოღონდ წმ. გიორგის სასწაულთმოქმედ ნეშტს მიჰკარებოდნენ, თითქოსდა უკვდავების წყარო არისო.

ერთხელ ქართველი მეფის ვაჟს მძიმე სნეულება შეჰყრია. მკურნალებმა ვერაფერი გააწყეს და ბოლოს ვიღაცამ ურჩია მეფეს, გაგზავნე შენი შვილი ოვანავანქის მონასტერში ღა წმ. გიორგის ნეშტი აუცილებლად განკურნავსო. მეფეს ჭკუაში დაუჯდა რჩევა, მაგრამ დედოფალმა იუარა, ერთადერთი შვილი მყავს და მძიმე სნეული უცხო ქვეყანაში როგორ გავუშვაო. დაიპნა მეფე, აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. ბოლოს იფიქრა, სასწაულთმოქმედ ნეშტს საქართველოში ჩამოვიტან და შვილს გადავარჩენო. შეუთვალა თავისი თხოვნა ოვანავანქის მონასტრის მესვეურებს, მაგრამ ცივი უარი მიიღო. არც მუდარამ გასჭრა და არც მუქარამ. რაღა დარჩენოდა, შეარჩია თორმეტი ქართველი აზნაურის შვილი და მძევლებად ოვანავანქში გაგზავნა. მაშინღა აუხდა საწადელი. ჩამოასვენეს წმ. გიორგის ნეშტი საქართველოში, მაგ-

რამ ბატონიშვილმა მანამდე განუტევა სული და მიცვალებულის მკვდრეთით აღდგომა წმ. გიორგისაც აღარ ძალუძდა. მეფე თბილისიდან ყოფილა წასული და როდესაც დაბრუნებულა, შვილის სიკვდილით შეძრწუნებულმა უსაყვედურა ბერებს, თქვენ მომიკალით შვილიო. წმ. გიორგის ნეშტი უკან აღარ ვაატანა და ჩხარში სომეხთა მონასტერს შესწირა.

ოვანავანქში მძევლად წარგზავნილი ქართველი ყმაწვილები კი ღვთის ანაბარა დარჩნენ. გავიდა ორი წელი, ოვანავანქში ნეშტის დაბრუნების იმედი გადაეწურათ მონასტრის მესვეურებს, მაგრამ ქართველ ყმაწვილებს ნება დართეს, სადაც გინდათ, იქ წადითო. ერთი მათგანი ადრევე გაქცეულა, ერთი გარდაცვლილა, სამნი დაბრუნებულან საქართველოში, ხოლო შვიდი ქართველი ყმაწვილი სამუდამოდ დამკვიდრებულა ოვანავანქში. ასე უთქვამთ: სამშობლოში რომ დაკბრუნდეთ, ახლა ირანში გაგვამწესებენ მძევლებად და რჯულის შეცვლა არ აგვცდებაო. უმჯობესია აქ დავსახლდეთ, კარგი და საქებარი ქვეყანა არისო...

აი, ასეთ უჩვეულო ისტორიას გადმოგვცემს ზაქარია სარკავაგი და იქვე დასძენს, მამაჩემი ოვანავანქში დარჩენილი ერთ-ერთი ქართველის — გაბოს შთამომავალი გახლდათ. ოჯახში ერთი წიგნი გვქონდა და, სხვა ამბებს შორის, სომხეთში დამკვიდრებული ქართველების თავგადასავალიც ეწერა თაობიდან თაობამდე. ის წიგნი დიდი მიწისძვრის დროს დაიკარგაო.

ზაქარიას სიტყვით, ქართველი მძევლების ოვანავანქში ჩასვლისას შირაკის მხარე (სადაც ხსენებული მონასტერი მდებარეობდა) ქართველი მეფეების სამფლობელოს წარმოადგენდა, შემდგომში კი ოსმალებმა დაიპყრეს. მაშასადამე, ზაქარიას მიერ მოთხრობილი ამბავი უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს XIV საუკუნისა.

სომეხი ისტორიკოსი წერს, რომ ქართველ მეფეს სახელად ერქვა დათო (ე. ი. დავითი), ხოლო ბატონიშვილს — ბეჟო. ბაგრატიონთა საგვარეულოში დავითი საკმაოდ გავრცელებული სახელია, მაგრამ ბეჟო თუ ბეჟან ბატონიშვილი საქართველოს ისტორიამ თითქოს არ იცის. გამოჩენილმა ქართველოლოგმა მ. ბროსემ ზემოხსენებულ „დათოდ" მიიჩნია ქართლის მეფე დავით X (1505—1525) და ყურადღება არ მიაქცია სომეხი ისტორიკოსის მტკიცებას — იმ ხანებში შირაკის მხარე ქართველი მეფეების სამ-

ფლობელოს წარმოადგენდაო, რაც არ შეესაბამება XVI საუკუნის ვითარებას.

თუ ვადავიკითხავთ „ქართლის ცხოვრებას“, თვალში მოგვხვდება ერთი ეპიზოდი, რომელიც ზაქარია სარკავაგის ნაამბობს წააგავს.

XIII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს მეფე ულუ-დავითი (ძე ლაშა-გიორგისა) თითქმის ყოველწლიურად, შემოდგომიდან ზაფხულამდე, თავისი ჯარის თანხლებით „სიბასა ზედა“ იმყოფებოდა (სიბა მონღოლურად სანგრებს ნიშნავს). საქართველოსა და შირვანის საზღვარზე, ჰულაგუ-ყაენის ბრძანებით აგებული იყო ჯებირი, რომელსაც უნდა დაეცვა ირანის ილხანთა სახელმწიფოს ტერიტორია „ოქროს ურდოს“ თავდასხმებისაგან. ქართველთა ჯარი, მეფის წინამძღოლობით, მოთმინებით იხდიდა ამ შომაბეზრებელ ბეგარას. 1268 წელს სწორედ „სიბასა ზედა“ იყო წასული ულუ-დავითი, როდესაც თბილისში დასნეულდა „სალმობითა მუცლისათა“ მისი პირმშო — თვრამეტი წლის გიორგი და „მისვე სისხლისა მღინარებისაგან აღსრულდა“. მიცვალებული დაუსვენებიათ სიონის ტაძარში და მისი დაკრძალვა მეფის ჩამოსვლამდე გადაუდიათ. ულუ-დავითი სატახტო ქალაქში მაღე დაბრუნდა. მეფეს, მდაბიოთა გარდა, წინ არავინ შეგებებია. მიხვდა, რომ საშინელი ამბავი ელოდა და თავზარდაცემული გაეშურა სასახლისაკენ. როგორც კი აუწყეს გიორგი ბატონიშვილის სიკვდილი, მყისვე ცნობა დაკარგა. ხელში ატატებული შეიყვანეს სასახლეში და ძლივს მოასულიერეს. უხომო იყო მწუხარება მეფისა. ქამთაღმწერლის სიტყვით, „სალმობიერითა გოდებითა გოდებდა და სიკვდილსა აღირჩევდა თავისა თვისისასა“.

ულუ-დავითის ცხოვრებაში პირმშოს სიკვდილი პირველი უბედურება როდი იყო. ბედი ბავშვობიდანვე არ ანებივრებდა თამარის შვილიშვილსა და ლაშა-გიორგის ერთადერთ მემკვიდრეს. ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში წაართვეს დედა მცირეწლოვანს. უკანონო შვილი ერქვა დავითს და ქართული სახელმწიფო სამართლით მეფობა არ ეკუთვნოდა. ყრმობა უცხოეთში გაატარა, სა-

ხელდობრ, რუმის სასულტნოში, სადაც გათხოვილი იყო მისი მამიდაშვილი („გურჯი-ხათუნი“). მუხთალმა ბედმა სამშობლოდან გადახვეწა არ აკმარა ობლობაში გაზრდილ დავითს, რაღაც მიზეზით საპყრობილეში უკრეს თავი და სულსაც იქ დალევდა, მცირე აზიაში მონღოლები რომ არ გამოჩენილიყვნენ. მონღოლებმა დაამარცხეს რუმის სულტანი, ის ციხეც აიღეს და ქართველი ბატონიშვილი ბატიმრობიდან იხსნეს. მონღოლებმა გაამეფეს იგი, ვინაიდან მათში მრავალცოლიანობა იყო დაკანონებული, ერთმანეთისაგან არ არჩევდნენ „კანონიერსა“ და „უკანონო“ შვილებს.

შემდეგ — მონღოლთა სამსახური. მონაწილეობა ალამუთისა და ბაღდადის ლაშქრობებში; მარცხიანი აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ და ა. .შ.

მრავალფათერაკიანი იყო ცხოვრება ულუ-დავითისა.

მისდროინდელ საეკლესიო კრებას კიდევაც შეუხსენებია უკვე ხანშესული მეფისათვის: „საქართველოს არც ერთი მეფე თქვენთა ოდენთა ჭირთა, ღვაწლთა და განსაცდელთაგან არა ხსნილა, ვითა ღმერთსა, თქვენსა მსნელსა თქვენ უხსნიხართ“.

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ულუ-დავითს სხვებზე უფრო ღრმად და თავგამოდებით სწამდა ღმერთი, უსაზღვროდ სჯეროდა მისი ყოვლისშემძლე ძლიერებისა. ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ ძე ლაშა-გიორგისა იყო „უმანკო, წრფელი და მალემრწმენი“.

ერთხელ ავად შეიქნა ზემოხსენებული გიორგი ბატონიშვილი. უძრაკად და უხმოდ იწვა სარეცელზე, ძლივსღა სუნთქავდა ძილად მიგდებული. მწუხარებამ და უღონობამ შეიპყრო მეფე. მაშინ მოახსენეს, დმანისის ღვთისმშობლის ხატი მომაკვდავსაც კი კურნავსო. თბილისიდან დმანისში სასწრაფოდ წავიდა მეფე და საკუთარი ხელით მოასვენა ღვთისმშობლის ხატი ავადმყოფ შვილთან. ხატმა შეხებისთანავე განკურნა ბატონიშვილი, გვაუწყებს ჟამთააღმწერელი...

ზემოთქმული თვალნათლივ მიგვანიშნებს, რომ სომეხი ისტორიკოსის მიერ მოხსენიებული ქართველი მეფე ნამდვილად ულუ-დავითი უნდა იყოს. ემთხვევა მეფის სახელი, ემთხვევა ბატონიშვილის სნეულება, ემთხვევა მეფის არყოფნა თბილისში შვილის გარ-

ღაცვალების დროს და ემთხვევა ქართველი მეფის განსაკუთრებული რწმენა ღვთისა და ღვთაებრივი ატრიბუტებისა..

ულუ-დავითს ისიც სჯეროდა, როდესაც ეტყოდნენ, შენი ერთგული ყმა რომ გგონია, შენი მოსისხლე მტერი არისო და ისიც სჯეროდა, როდესაც მოახსენებდნენ, მომაკვდავ ბატონიშვილს ხატი თუ წმინდანის ნეშტიდა გადაარჩენსო; სჯეროდა, „რამეთუ იყო უმანკო და მალემრწმენი სიტყვათა კეთილთა და ბოროტთა“.

დემეტრე თბილელი, მოგზაური

ამ უცხო მხარეში ბუნებაც უჩვეულო იყო, ხალხიცა და მისი ადათებიც. გაოცებული შეჰყურებდა ქართველი კაცი დემეტრე თბილელი, თუ როგორი ზარ-ზეიმით წაასვენეს მიცვალებული ტრიალ მინდორში, მაგრამ საფლავი არ გაუთხრიათ მისთვის, პირდაპირ მიწაზე დააგდეს, მხეცთა და ფრინველთა საჯიჯგნად. დააგდეს და ვითომც არაფერიო, უკან გამობრუნდნენ.

მოგზაურებმა გაიარეს ირანი და უკვე ინდოეთში იმყოფებოდნენ. აქაური ხალხი თაყვანს სცემდა ცეცხლს, გველებსა და ხეებს. ქვეყანას კი რატომღაც მაჰმადიანები განაგებდნენ.

წინ კიდევ გრძელი გზა ელოდათ: ახალი ქვეყნები და ხალხები, ბუნების ათასნაირი სასწაულები. მოგზაურებს ინდოეთიდან ჩინეთამდე უნდა მიეღწიათ...

დემეტრე თბილელის ვინაობა სავსებით უცნობია ქართული წყაროებისათვის. საბაგიეროდ მასზე მოგვითხრობენ ცნობილი ევროპელი მოგზაურები ოდორიკო პორდენონე და ჟურდენ სევერაკი. მათი თხზულებანი უღრესად პოპულარული იყო შუა საუკუნეების ევროპაში. ვრცელდებოდა აუარებელი ნუსხები, ლათინურ ორიგინალთან ერთად — თარგმანები იტალიურსა და ფრანგულ ენაზე. ოდორიკოსა და ჟურდენის თხზულებებს ისევე ხარბად კითხულობდნენ, როგორც დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ და ბოკაჩოს „დეკამერონს“.

სხვათა შორის, ჟურდენი საქართველოშიც არის ნამყოფი. იგი შენიშნავს, გეორგია (ე. ი. საქართველო) ყველაფრით ჩვენს ქვეყანასა ჰგავს, ყველანი ქრისტიანები არიან და მამაცი ხალხიო.

1320 წელს ჟურდენთან ერთად ჩავიდნენ ჰორმუზში ფრანცისკანი მისიონერები: თომაზო ტოლენტინო, ჯაკომო პადუელი, პიეტრო სიენელი და დემეტრე თბილელი („ქართველი, ენების მცოდნე“, — როგორც აღნიშნავს თვით ჟურდენი).

ვინ იყვნენ ფრანცისკანი მისიონერები, რას ეძებდნენ შორეულ ინდოეთსა თუ ჩინეთში და საიდან მოხვდა მათ შორის ქართველი კაცი? ამ კითხვებს ორიოდე სიტყვით მაინც უნდა გავცეთ პასუხი.

ფრანცისკანთა ორდენი დაიბადა 1223 წელს. მისი ფუძემდებელი იყო ფრანჩესკო ასიზელი.

საერთო აღიარებით, ფრანჩესკო ყოფილა არაჩვეულებრივად მომხიბლავი პიროვნება, მგზნებარე მეოცნებე, უანგარო და ქეთილშობილი სულის პატრონი. იტალიური პოეზიის მშვენებად ითვლება ჩვენამდე მოღწეული მისი ერთადერთი ლექსი, სადაც ავტორი თავის და-ძმებად მოიხსენიებს მზეს და მთვარეს, ქარსა და ვარსკვლავებს, სიცოცხლესა და სიკვდილს.

ფრანჩესკო ქადაგებდა მიწიერ ცდუნებათა უარყოფას, მშვიდობას, ძმობასა და მეგობრობას. მას გულწრფელად სწამდა, რომ ადამიანის ტყავში გახვეული მგლები, ყურს თუ ათხოვებდნენ ღვთის სიტყვას, უმალვე გადაიქცეოდნენ უმანკო კრავებად და უარს იტყოდნენ ავი გზებით მოხვეჭილ სიმდიდრეზე. თვით ფრანჩესკო, შვილი მდიდარი ვაჭრისა, ცხოვრობდა საშინელ სიღატაკეში. მისთვის სიღატაკე წარმოადგენდა თავისუფლების სიმბოლოს. ფრანჩესკოს ეძახდნენ „მეორე ქრისტეს". ეს ასახულია დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" ფურცლებზე. გენიალური იტალიელი პოეტის სიტყვით, ფრანჩესკომ ცოლად შეირთო „ქალბატონი სიღატაკე", რომელსაც დიდი ხნის წინათ წაართვეს პირველი ქმარი (იგულისხმება იესო ქრისტე) და ფრანჩესკოს გამოჩენამდე ვეღარ ეღირსა სიყვარულსო. იქვე აღწერილია, როგორ უქადაგა ფრანჩესკომ ქრისტეს რჯული „ზვიად სულტანს" (ეს გახლავთ ისტორიული ფაქტი. 1219 წელს, როდესაც ჯვაროსნები უტევდნენ დამიეტას, ფრანჩესკო ასიზელი ეწვია ეგვიპტის სულტან ალქამილს. იგი ჯვაროსანთა ელჩი ეგონათ და თავაზიანად მიიღეს. მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ სტუმარი მაჰმადიანთა „შეცდომებს" ამხილებდა, კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს. ისევე „ზვიადმა სულტანმა" გამოიჩინა სიკეთე, მოთმინებით უსმინა ფრანჩესკოს ქადაგებას და უვნებლად გაისტუმრა ჯვაროსანთა ბანაკში).

რომის ეკლესიისათვის შავ ჭირზე უფრო სახიფათო იყო იდეები ფრანჩესკოსი. იგი ხომ უარყოფდა ყოველგვარ სიმდიდრეს და, რასაკვირველია, ეკლესიის სიმდიდრესაც. მიუხედავად ამისა, რო-

მის პაპმა ქადაგების ნება დართო ფრანჩესკოს, თან ფხიზლად ადევნებდა თვალს. მალე დაარსდა ფრანცისკანთა ორდენიც, რომელიც ფრანჩესკოს გარდაცვალების შემდეგ რომის ეკლესიის კონტროლის ქვეშ მოექცა. მავრამ კიდეე დიდხანს ცოცხლობდა მისიონერთა შორის ფრანჩესკოს ანდერძი — ჰყვარებოდათ მისი „მეუღლე". ფრანჩესკოს მიმდევრებს სიღატაკეთან ერთად თავისუფლებაც უყვარდათ და ხშირად იწვევდნენ რომის პაპის უკმაყოფილებას.

სწორედ ზეპოხსენებული თომაზო ტოლენტინო, ხანდაზმული თანამგზავრი დემეტრე თბილელისა, ეკუთვნოდა ე. წ. სპირიტუალთა მიმდინარეობას, რომელიც იცავდა აბსოლუტური სიღატაკის აღთქმას და მიმართული იყო ფრანცისკანთა ორდენის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. სპირიტუალები ძირს უთხრიდნენ რომის პაპის ავტორიტეტს. მეამბოხეთ თავს დაატყდათ სასტიკი რეპრესიები. მაშინ სპირიტუალთა უმრავლესობამ ცოდვები მოინანია. მხოლოდ ოთხი მათგანი არ შემდრკალა, მათ შორის — თომაზო ტოლენტინოც. ურჩ ბერებს მიუსაჯეს სამუდამო გადასახლება აპენინის მთების მიყრუებულ მონასტრებში. თორმეტი წლის შემდეგ გამოითხოვეს იქიდან და კილიკიაში უკრეს თავი. კილიკიის სომეხთა მეფემ გულთბილად მიიღო ისინი და თვითონაც შეუერთდა ფრანცისკანთა ორდენს. მაგრამ რომის ეკლესია განაგრძნობდა სპირიტუალთა დევნას. ტოლენტინოსა და მის თანამოაზრეთ წილად ერგოთ გაუთავებელი გამოძიება და დაკითხვები, ინკვიზიციის მიერ წამოყენებულ იქნა ახალი ბრალდება — ლომბარდიაში, მომხდარი სახალხო აჯანყების ბელადთან კავშირი. ბოლოს და ბოლოს, ტოლენტინო აღმოსავლეთისაკენ გაემგზავრა, მაგრამ იქაც იმყოფებოდა პაპისა და ორდენის აგენტთა ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ.

ფრანცისკანთა ორდენმა თავიდანვე მიიღო მონოპოლია ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებაზე აღმოსავლეთის ქვეყნებში. სირია-პალესტინის კათოლიკურ მონასტრებში გულმოდგინედ ამზადებდნენ მისიონერთა კადრებს; ასწავლიდნენ აღმოსავლურ ენებს, აცნობდნენ აღმოსავლეთის სხვადასხვა რელიგიურ კულტებს. წერთნიდნენ ცხენოსნობასა და იარაღის ხმარებაში. ისინი მიდიოდნენ ელჩებად მონღოლ ყაენებთან, ეგვიპტის სულტნებთან, ბაღდადის ხალიფებთან, მაჰმადიანური სირიის ამირებთან.

ფრანცისკანთა ორდენს ეკუთვნოდნენ პლანო კარპინი (რომის პაპის ელჩი მონღოლებთან) და გიიომ რუბრუკი (საფრანგეთის

მეფის ელჩი იმავე მონღოლებთან), რომელთა ჩანაწერები უდიდესი მნიშვნელობის წყაროებს წარმოადგენს. სწორედ ამით არის საინტერესო ჩვენთვის მისიონერთა თავგადასავალი. (სხვათა შორის, პლანო კარპინის წიგნი „ისტორია მონღოლთა" ქართულადაც ითარგმნა).

ზემოხსენებული ოდორიკოს ბიოგრაფები ამტკიცებენ, რომ მან ოცი ათასი სარკინოზი მონათლა აღმოსავლეთში. მკვლევართა აზრით, ეს მოცლილი ფანტაზიის ნაყოფია. ოდორიკოს თხზულებაში ამის მსგავსი არაფერი გვხვდება. მისი თხრობიდან აშკარად ჩანს, რომ მისიონერი მოგზაურობითა და უცხო ქვეყნების აღწერით უფრო იყო გატაცებული, ვიდრე ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებით (აღსანიშნავია, რომ ოდორიკომ იმოგზაურა ტიბეტში, სადაც მანამდე არც ერთ ევროპელს ფეხი არ დაედგა და სადაც XX საუკუნემდე ევროპელებს საერთოდ არ შეესვლებოდათ).

კათოლიკე მისიონერები საქართველოში გამოჩნდნენ XIII საუკუნის ოცდაათიან წლებში.

რუსუდან მეფე სამხედრო დახმარებას ითხოვდა რომის პაპისაგან, რათა მონღოლთა უღელი მოეხსნა ქვეყნისათვის. მაგრამ რომიდან მხედართა ნაცვლად ბერებს გზავნიდნენ, ხოლო მონღოლებში მოკავშირეს უფრო ხედავდნენ მაჰმადიანურ სამყაროსთან საბრძოლველად, ვიდრე მოსისხლე მტერს.

მისიონერებმა მალე მონასტერიც დააარსეს თბილისში. სწავლობდნენ ქართულ ენას, ეცნობოდნენ ქართულ კულტურას, ხელს უწყობდნენ საქართველოს კონტაქტებს დასავლეთ ევროპასთან.

დემეტრემ, ეტყობა, თბილისშივე მიიღო კათოლიკობა. შემდეგ თარჯიმნად გაჰყვა აღმოსავლეთისაკენ მიმავალ ფრანცისკანებს...

მოგზაურებმა ჰორმუზიდან ჩინეთისაკენ აიღეს გეზი, მაგრამ ქარიშხალმა მათი ხომალდი სხვა მხარეს მიაგდო და იძულებული გახდნენ ნაპირზე გადასულიყვნენ ინდოეთის ქალაქ თჰანაში. ოდორიკოს სიტყვით, ეს ქალაქი კარგ ადგილას იყო გაშენებული. უხვად იშოვებოდა პური და ღვინო.

ქალაქის მოსახლეობის მცირე ნაწილი ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა. მისიონერებმა ერთი ქრისტიანის სახლში ჰპოვეს დროებითი თავშესაფარი და გზის გასაგრძელებლად ემზადებოდნენ. ბრმა შემთხვევამ შეატრიალა მათი ბედი. ერთ მშვენიერ დღეს, სახლის პატრონმა ჩხუბი აუტეხა თავის ცოლს და მაგრადაც გა-

ლახა. მეორე დილითვე ქალი საჩივრით მიადგა ქალაქის ყადის (ანუ მსაჯულს), ყადიმ მომჩიკანს მოსთხოვა ინციდენტის მოწმე. ქალმა უყოყმანოდ დაასახელა თავისი მდგმურები. სასწრაფოდ იბმეს სასამართლოში დემეტრე და მისი იტალიელი თანამგზავრები.

ოდორიკოსა და ჟურდენის მიხედვით, მისიონერებსა და მაჰმადიან მსაჯულს შორის მალე რელიგიურმა დისპუტმა იფეთქა. მისიონერები თავგამოდებით იცავდნენ თავის სარწმუნოებას. ყადი აყვირდა: „მაჰმადზე რაღას იტყვით?!“ მისი ოპონენტები თავს იკავებდნენ, მაგრამ ყადი კატეგორიულად მოითხოვდა პასუხს და არა ცხრებოდა. მისიონერებსაც ხხვა გზა აღარ ჰქონდათ, თომაზო ტოლენტინომ დიპლომატობას თავი ანება და მოკლედ მოუჭრა მსაჯულს, რომ მაჰმადი შვილია ეშმაკისა და მისი ადგილი არის ჯოჯოხეთში ყველა მაჰმადიანთან ერთად.

დისპუტი ამით გათავდა. მისიონერები გათოკეს და დაყარეს ქალაქის მოედანზე, მცხუნვარე მზის ქვეშ. ისინი ლოცულობდნენ და მხნედ იტანდნენ სასჯელს. შემდეგ ყადის ბრძანებითა და ქალაქის მელიქის (ანუ გამგებლის) დასტურით კოცონი დაანთეს და საჯაროდ დაწვეს „ურჯულოები“. ეს მოხდა 1321 წლის 9 აპრილს. (ქალაქი თჰანა მისიონერთა ჩასვლამდე რამდენიმე წლით ადრე დაიპყრო დელის მაჰმადიანურმა სასულტნომ. სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული მომხდარი ტრაგედია, ვინაიდან მაჰმადიანი გამგებლები გაცილებით მკაცრად ეპყრობოდნენ ქრისტიანებს, ვიდრე ინდუისტი გამგებლები).

ოდორიკო და ჟურდენი, როგორც თავისი ეპოქის ღვიძლი შვილები, ვრცლად აღწერენ მისიონერთა მიერ ჩადენილ „სასწაულს“ (ცეცხლიდან უვნებლად გამოსვლა). მაგრამ ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ვერსიას ვენდობით: მოედანზე დანთებულ კოცონში ამოხადეს სული მისიონერებს თუ იმავე დაშეს დააჭრეს თავები ქალაქის გარეუბანში. ბოლო მაინც ერთი იყო. ოდორიკოსა დ ჟურდენის მოგონილ სასწაულსაც აღარ შეეძლო სასიკვდილოდ განწირულთა ხსნა. ცეცხლში დაწვას გადარჩენილნი ბასრ ხმალს ვეღარ გაექცეოდნენ. ავტორთა თხრობა გამიზნულია იქითკენ, რომ წმინდანებად შერაცხოს ეკლესიამ ქალაქ თჰანაში დაღუპული მისიონერები და ამიტომაც მიაწერენ წმინდანის შესაფერის სასწაულებს.

ამ ისტორიის დასასრული ცნობილი ქრისტიანული ლეგენდის

გადამღერებას წარმოადგენს: თურმე მელიქს ძილში გამოეცხადნენ წამებული მისიონერები, ხელში ეჭირათ მოკაშკაშე ხმლები და ისე იქნევდნენ, თითქოს უნდა აეკუწათ იგი. მელიქმა იღრიალა და გამოეღვიძა. მაგრამ ცხადში კიდევ უარესი განსაცდელი ელოდა. დელის სულტანმა დაიბარა მელიქი და ჰკითხა, ასე მკაცრად რატომ დასაჯე მისიონერებიო. მელიქმა მიუგო: „მე დავხოცე ისინი იმიტომ, რომ ცდილობდნენ ჩვენი სარწმუნოების დაჭხობას და ლანძღავდნენ ალაჰის მოციქულს". სულტანმა მრისხანედ მიმართა მელიქს: „უსასტიკესო ძაღლო, როდესაც იხილე, რომ უფალმა უვნებლად გამოიყვანა ისინი ცეცხლიდან, როგორღა გაბედე ამისი განაჩენის გაუქმება?" მელიქი, სულტნის ბრძანებით, ნაკუწ-ნაკუწ აჩეხეს. ყადიმ ეს ამბავი შეიტყო და გაქცევით უშველა თავს, სულ გადაიკარგა დელის სულტნის სამფლობელოებიდან.

აი, ასე გაუსწორდნენ თავის ნაწერებში ოდორიკო და ჟურდენი ქალაქ თჰანას მელიქსა და ყადის. შეთხზული ზღაპრით მოიკლეს შურისძიების წყურვილი.

როდესაც ჟურდენი ჩავიდა თჰანაში, იქ ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი ვნებათა ღელვა, გამოწვეული დემეტრე თბილელისა და მისი იტალიელი თანამგზავრების დასჯით. ასე რომ, ჟურდენიც ბეწვზე გადაურჩა დაღუპვას. „დავრჩი ამ ქალაქში მარტოდმარტო, — მოგვითხრობს იგი, — და ორნახევარი წელიწადი დავეხეტებოდი მეზობელ მხარეებში, მაგრამ მაინც ვერ ვეღირსე წამებულის გვირგვინს".

მისიონერი ჯერ მეკობრეებს დაუტყვევებიათ და დიდი ტანჯვა-წვალება გამოუვლია. მერე შაჰმადიანებს ჩაუგდიათ ხელეგში. „მთათხავდნენ, მწყევლიდნენ, შეურაცხმყოფდნენ და ვცხოვრობდი მთელი ამ ხნის მანძილზე, როგორც უკანასკნელი მაწანწალა და მეცვა ძონძები", — წერს ჟურდენი.

იმავე თჰანაში მალე ჩასულა ოდორიკოც. მას მიწიდან ამოუთხრია დაღუპულ თანამოძმეთა ძვლები, ლამაზ ქსოვილში გაუხვევია და თან წაუღია.

მრავალი თავგადასავლის შემდეგ ჟურდენი და ოდორიკო მშვიდობით დაბრუნდნენ სამშობლოში (ჟურდენი — 1329 წელს, ოდორიკო — 1330 წელს).

...XIV საუკუნის ქართველმა მოგზაურმა შორეული ინდოეთის ქალაქში ჰპოვა თავისი აღსასრული. „სად წაიყვან სადაურსა, სად

აღუფხვრი სადით ძირსა?! — ალბათ, ამ სიტყვებს იმეორებდა სიკვდილის წინ დემეტრე თბილელი. სიცოცხლე რომ დასცლოდა. ისიც მოივლიდა ინდოეთსა და ჩინეთს, ცეილონსა და სუმატრას. ჰერე დაბრუნდებოდა საქართველოში, გაიხსენებდა ზღაპრულ ქვეყნებში ნახულ-გაგონილს, ქაღალდზე გადაიტანდა აურაცხელ შთაბეჭდილებებს და დემეტრეს წიგნიც დაუმშვენებდა მხარს ოდორიკო პორდენონესა და ჟურდენ სევერაკის წიგნებს, რომლებიც დღესაც იწვევენ მკვლევართა თუ მკითხველთა შეუნელებელ ინტერესს.





ოთხი საქმე საკვირველი

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „ხოლო შიხი იგი იყო ჟამსა თემურისასა არდაველს და აუწყეს მანქანება მისი ლანგთემურს და თემურ მივიდა ხილვად მისა. მაშინ შიხმან უჩვენა საქმე ეშმაკისა ოთხნი საკვირველნი, განცვიფრდა თემურ და ეტყოდა: რა გნებავს, მთხოვე, რათა მოგანიჭო“.

ვინ არის ეს „ეშმაკის მსახური“ შეიხი (არაბულად შეიხი ეწოდება გვარის მეთაურს, აგრეთვე უმაღლეს სასულიერო პირს), ანდა ასეთი რა საკვირველი საქმენი უჩვენა თემურ-ლენგს, რომელიც იმდენად განცვიფრდა მისი ნამოქმედარით, რომ ქალაქი არდებილი უბოძა საშვილიშვილოდ?

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ადამ ოლეარიუსი თავის წიგნში „დაწვრილებითი აღწერა ჰოლშტინიის ელჩობის მოგზაურობისა მოსკოვიასა და სპარსეთში“ გადმოგვცემს:

როდესაც შეიხ სეფი თავისი მოძღვრებითა და წმინდა საქმეებით ცნობილი გახდა მთელს აღმოსავლეთში, მისი ნახვა მოისურვა თემურმა. მან საიდუმლოდ ჩაიფიქრა სამი გამოცდა, რითაც სურდა გაეგო, მართლა წმინდანია სეფი და ჭეშმარიტია თუ არა მისი მოძღვრება. აი ეს სამი გამოცდა: 1. სეფი არ უნდა გამოსულიყო თემურის შესაგებებლად; 2. ბრინჯი, რომელსაც მოართმევდნენ სტუმარს, მოხარშული უნდა ყოფილიყო ველური თხის რძეში და არა ცხვრისაში; 3. საწამლავს, რომელსაც თემური მიაწოდებდა სეფის, სრულიადაც არ უნდა ევნო მისთვის.

ასეთი სასტიკი შემოწმება გადაწყვიტა თემურმა და გზას გაუდგა. როცა მიუახლოვდა სეფის ადგილსამყოფელს, მასპინძელი არ გამოსულა სტუმრის დასახვედრად. თემურმა შეაღო სახლის კარი. სეფი წამოდგა და თქვა: „ხელმწიფის წინაშე ჯერ არს წამოდ-

გე. შემინდე, რომ არ შეგეგებე გარეთ. მაგრამ ეს შენ თვითონ ისურვე ჩემს გამოსაცდელად".

პირველი გამოცდა ჩაბარებულ იქნა. ამის შემდეგ სეფიმ დასვა თემური გაღებულ კართან, რათა მას კარგად დაენახა, როგორ მორბოდნენ უდაბნოდან ველური თხები და რაღაც ჯადოს ძალით მორჩილად დგებოდნენ მოსაწველად.

მეორე გამოცდაც ბრწყინვალედ ჩააბარა ტელეპათიის ნიჭით ღაჯილდოებულმა შეიხმა. რჩებოდა მესამე გამოცდა, ყველაზე რთული და, რაც მთავარია, სახიფათო.

სეფიმ უდარდელად შენიშნა, რომ ახლა საწამლავის დალევაღა დარჩენია. ჩაიცვა თეთრი პერანგი, შემდეგ შესვა საწამლავი და ღაიწყო როკვა, მაგრად რომ გაოფლიანებულიყო. ბოლოს, ცეკვა-ტკუნვით დაღლილმა, პერანგი გაიხადა, ჭიქაში გამოწურა საწამლავისაგან მთლად გამწვანებული ოფლი და თემურს მიმართა: „აჰა-შენი საწამლავი, არავითარი ზიანი არ მოუყენებია ჩემთვის".

ამის მნახველი, თემური კი არა, თვით ეშმაკიც განცვიფრდებოდა. თემურმა ირწმუნა სეფის მოძღვრება, უბოძა მას ქალაქი არდებილი და ირგვლივ მდებარე სოფლები, აგრეთვე ათასამდე ტყვე თურქი, რათა ისინი თავის რჯულზე მოექცია შეიხს.

ადამ ოლეარიუსს ეს ამბავი სპარსელ სწავლულთაგან გაუგონია და დაეჭვებით უყურებს, რადგანაც მისი აზრით. სეფისათვის ღვთაებრიობის მინიჭების სურვილით სპარსელები თხზავენ აუარებელ სასწაულს და ყველას მიაწერენ ისევ და ისევ შეიხ სეფის.

გერმანელი მეცნიერის სკეპტიციზმი საკმაოდ საფუძვლიანია. გულთმისნობაზე თუნდაც თვალი დავხუჭოთ, თავისთავად, თემურისა და სეფი ად-დინის შეხვედრა მაინც ლეგენდას წარმოადგენს, ვინაიდან ხსენებული შეიხი გარდაიცვალა 1334 წელს, ხოლო თემურ-ლენგი დაიბადა ორი წლის შემდეგ, 1336 წელს.

შესაძლოა, ვახუშტიმ მეოთხე საკვირველებად სწორედ სეფის მკვდრეთით აღდგომა და თემურთან შეხვედრა მიიჩნია.

მაგრამ სეფი ად-დინი მართლაც ღირსშესანიშნავი პიროვნება იყო. და ამას ადასტურებს არა ლეგენდები, არამედ მისი თანამედროვე, სახელგანთქმული სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი რაშიდ ად-დინი.

სეფისადმი გაგზავნილ წერილში რაშიდ ად-დინი სთავაზობს მას ყოველწლიურ ძღვენს (ხორბალი, ღვინო, ზეთი, შაქარი, თაფ-

ლი და სხვა), რათა შეიხი, როგორც წესი და რიგია, გაუმასპინძლდეს არდებილის წარჩინებულთ მოციქულის (ე. ი. მაჰმადის) დაბადების დღესასწაულზე და მხოლოდ ერთს მოითხოვს — ზეიმის დასასრულს ლოცვა აღავლინონ ქველმოქმედის სახელზე.

არსებობს მეორე წერილიც, რომელშიც რაშიდ ად-დინი თავის ვაჟს, არდებილის გამგებელს, ურჩევს პატივისცემა გამოიჩინოს არდებილის ყველა მცხოვრების მიმართ და განსაკუთრებით აფრთხილებს, რომ მადლიერი და ნასიამოვნები დატოვოს მისი უწმინდესობა შეიხ სეფი ად-დინი — „ჭეშმარიტების ზეცის სვეტი და ერთგულების ბაღის ვარდის ბუჩქი“.

ასეთი მაღალი რეპუტაცია მოუხვეჭია შეიხს თავის თანამედროვეთა შორის.

ახლა მის წინაპრებსაც გადავავლოთ თვალი. საინტერესოა, რომ შეიხ სეფის პაპა კინაღამ საიქიოს გაუსტუმრებია ქართულ ხმალს!

XIII საუკუნის დამდეგს არდებილის სულტანმა მძვინვარედ აალოხრა ქალაქი ანისი. თორმეტი ათასი კაცი „ეკლესიათა შინა, ვითარ ცხვარი, დაკლეს“. თამარ მეფის ბრძანებით სასწრაფოდ დაიძრა ლაშქარი არდებილისაკენ. მემატიანე გვაუწყებს, რომ საქართველოს ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი „შევიდა დიდსა სპარსეთს, გატეხა არდაველი. დალეწნა ციხე-ქალაქნი და აღავსო საშეფო ალაფითა“ (ცოტა ხნის შემდეგ ძლევამოსილმა ქართულმა ფხეკრობამ თავრიზი და ყაზვინი აიღო, ხორასნის გზას დაადგა და ომსიშორეზმდე მიაღწია, სადაც „არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა“).

შეიხ სეფის პაპა ყოთბ ად-დინი თავისი ოჯახითურთ გაქცევია მაჰმადიანთა მიწაზე შემოჭრილ „ურჯულოებს“ და თავი შეუფარებია ქალაქ არდებილში. მაგრამ მტრის ჯიხასაც იგივე მარშრუტი ჰქონდა.

ლტოლვილი სარდაფში იმალებოდა ცოლ-შვილთან ერთად. დღის ბოლოს სამალავიდან გამოსულა ამბის გასაგებად. თურმე ისევ არდებილში იმყოფებოდნენ ქართველები. ერთ მეომარს ხმალი დაუკრავს კისერში ყოთბ ად-დინისათვის. მძიმედ დაჭრილი ძლივს გადარჩენილა სიკვდილს.

შეიხ სეფი ხშირად ჰყვებოდა, როცა პაპა მხარზე შემისვამდა. ჩემს პაწია თითებს ჩავყოფდი ხოლმე პაპის კისერზე აღბეჭდილ ნაიარევშიო.

მომავალი შეიბი პატარაობისას ერთობ სერიოზული და გულ-ჩათხრობილი ყოფილა. სხვა ბავშვებივით ცელქობა-თამაშობას არ ელტვოდა. ახალგაზრდობიდანვე დაიგდო „წმინდანის“ სახელი. ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა, ცხვრის ტყაპუჭი ეცვა და ახლოსაც არ იკარებდა აბრეშუმის სამოსელს.

მისი მემკვიდრე გახდა სადრ ად-დინი. მასაც მრავალ სასწაულს მიაწერენ. სწორედ იგი იყო თემურ-ლენგის თანამედროვე და „ერთი საქმე საკვირველი“ მისთვის უფროა უპრიანი. მაგრამ ყველაზე სახელოვან სასწაულად იმას უთვლიან, რომ თავის ადგილზე დაუბრუნებია ქალაქ არდებილის მთავარი მეჩეთის კარიბჭე, რომელიც ქართველებს ჰქონიათ წაღებული ნადავლად.

ერთი სიტყვით, სასწაულების ჩადენა გვარში მოსდევდათ...

XV საუკუნის განმავლობაში არდებილის მცირე ფეოდალური სამთავრო თანდათან იზრდებოდა და ბოლოს სეფიანთა სახელმწიფოდ გადაიქცა. ამ სახელმწიფოს შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა შვიდი ყიზილბაშური ტომი, გამოსული მცირე აზიიდან და შუა აზიიდან. ყიზილბაში თურქულად „წითელთავიანს“ ნიშნავს. ისინი შიიტები იყვნენ და მათი წითელი თავსაბურავი შედგებოდა თორმეტი ნაკეცისაგან, რაც სიმბოლურად თორმეტ იმამს აღნიშნავდა (მეოთხე ხალიფას, სახელად ალის, და მის შთამომავლებს). თავდაპირველად ამ წითელ თავსაბურავს მხოლოდ სეფიანთა საასულიერო პირები ატარებდნენ, შემდგომში კი ყველა ყიზილბაში მეომრის გამოსარჩევი ნიშანი გახდა.

სეფიანთა ირანის პირველი ხელმწიფე იყო შაჰ-ისმაილი (1501—1524), რომელმაც შიიტობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

იტალიელი მოგზაურების აღწერით შაჰ-ისმაილი ქალივით ლამაზი და მიმზიდველი ყოფილა, მაგრამ მხარბეჭიანი და ღონიერი, მამაცი მებრძოლი და უბადლო მშვილდოსანი. მათივე სიტყვით, „ნერონის დროიდან დღემდე, ფრიად საეჭვოა თუ არსებობდა სადმე ასეთი სისხლისმსმელი ტირანი“.

შიიტური ირანი დაუპირისპირდა სუნიტურ ოსმალეთს. XVI საუკუნის დამდეგიდანვე ჩაღდება ირან-ოსმალეთის ომი და მიმდინარეობს თითქმის საუკუნე-ნახევრის მანძილზე, ხანმოკლე შეს-

ვენებებით. ამ ომის ერთ-ერთ მთავარ ასპარეზს წარმოადგენდა ამიერკავკასია.

ყველაფერი კი სამი- ოთხი საკვირველი საქმით დაიწყო და შეიხ-სეფის უვნებელმა როკვამ საფუძველი ჩაუყარა სეფიანთა დინასტიას, რომელმაც მრავალი ჭირი მოუტანა მეზობელ ქვეყნებს და მათ შორის — საქართველოსაც.



დაგვიანებული დიაგნოზი

ვახუშტის მიხედვით, კახთა მეფე ალექსანდრეს ოთხი ვაჟი ჰყავდა: დავით, გიორგი, ერეკლე და კონსტანტინე. ბედი მაინცდამაინც არა სწყალობდათ ბატონიშვილებს. ერეკლე ოსმალეთში გადაიკარგა, ხოლო ყრმა კონსტანტინე ირანის შაჰს გაუგზავნეს მძევლად. სეფიანთა სამეფო კარზე გაბარებულ ქართველ ბატონიშვილს გათათრება და გადაგვარება ელოდა. განსხვავებით ერეკლესაგან იგი დაბრუნდება სამშობლოში, მაგრამ ვაი ასეთ დაბრუნებას! სისხლის დასაღვრელად დაბრუნდება, კაენის დაღით შეისვრის შუბლს და ყველაზე ოდიოზურ პირთა რიგში დაიმკვიდრებს ადგილს საქართველოს ისტორიის ფურცლებზე.

კახეთში დავით და გიორგი ბატონიშვილები დარჩნენ. „ესე დავით იყო ამაყი, ლაღი, მრისხანე და სძულობდნენ კახნი, არამედ გიორგი იყო შვენიერ-ჰაეროვანი, უხვი, მშვიდი და ტკბილი ყმათათვის". — გვაუწყებს ვახუშტი (ოგივეს იმეორებს ბერი ეგნატაშვილი)..

ქართული ხალხური ზღაპრებისა არ იყოს, აქაც ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძმა; უფროსის მისამართით ერთი რიგიანი სიტყვაც ვერ გაუმეტებიათ ქართველ ისტორიკოსებს, ხოლო უმცროსს ყოველმხრივ ამკობენ და ადიდებენ. ქვეშევრდომებს დავითი სძულდათ და გიორგი უყვარდათო. რა თქმა უნდა, ასეც იქნებოდა, თუ ერთის სულში ეშმაკი იჯდა და მეორეს ანგელოზები დაჰფოფინებდნენ. კახეთის მეფესაც, ჩანს, უმცროსი ვაჟი უფრო ჰყვარებია და ყველა ადათ-წესის საწინააღმდეგოდ გიორგის ამზადებდა თავის მემკვიდრედ. ალბათ, შვილებიც ხვდებოდნენ მამის ხვაშიადს. გარდუვალი ხდებოდა შფოთი და ხელსაყრელი მომენტის დადგომას ელოდა, რათა აფეთქებულიყო.

ქართული წყაროების ცნობით, დავით და გიორგი ბატონიშვი-

ლები თბილისში ჩასულან სტუმრად ქართლის მეფესთან, რომელიც მათი მამიდაშვილი იყო. ბატონიშვილები მშვენივრად ატარებდნენ დროს, ნადირობდნენ, ასპარეზობდნენ და ლხინი ლხინზე იყო გადაბმული. ერთხელაც, მორიგ ნადიმში წასვლა იუარა გიორგი ბატონიშვილმა. მოიმიზეზა, წუხელის ღვინომ მაწყინა და უქეიფოდ ვარო. თურმე ძმის საწინააღმდეგო შეთქმულებას ამზადებდა. იფიქრა, ლხინში დათვრება და გულისნადებს უფრო იოლად ავისრულებო. კახეთის დიდებულთა ჯგუფმა ერთგულება შეჰფიცა გიორგი ბატონიშვილს, მაგრამ ერთგული ხალხი დავითსაც ჰყავდა. მათ სასწრაფოდ შეატყობინეს ტახტის კანონიერ მემკვიდრეს უმცროსი ძმის გეგმები და განსაცდელს გადაარჩინეს. დავით ბატონიშვილმა დაასწრო გიორგის, შეიპყრო თანამზრახველებთან ერთად და თორღას ციხეში უკრა თავი. შემდეგ მეფობა ჩამოართვა მამას და ალავერდის მონასტერში გაამოჭკეტა, მაგრამ სამეფო ტახტზე დიდხანს ვერ ინებივრა დავითმა. ბერი ეგნატაშვილის სიტყვით, „მოევლინა რისხვა ღმრთისა მამისა უსამართლობითა და მოკვდა". ქართული წყაროები არ აზუსტებენ, თუ როგორ დაასრულა თავისი სიცოცხლე „ეშმაკისაგან ძლეულმა" ბატონიშვილმა და სახელდობრ რა ერქვა ღვთისგან მოვლენილ სასჯელს.

რუსულ საარქივო საბუთებში შემონახული ინფორმაცია ავსებს ქართული წყაროების მონათხრობს დავით და გიორგი ბატონიშვილებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის შესახებ. 1604 წლის დამდეგს, საქართველოდან გაბრუნებულ რუს ელჩებს მოსკოვში ჩაჰყვა კახეთის მეფის ელჩი — ბერძენი ბერი, სახელად კირილე. „პოსოლსკი პრიკაზში" მისთვის გამოუკითხავთ საქართველოს ამბები და ჩაუწერიათ კიდეც.

აი, რას გვიამბობს კირილე ბერი:

ალექსანდრე მეფე კარგა ხანს ავად იყო ცხელებით და ბოლოს ძალზე დაჩაგრა სნეულებამ. მთელი სამი დღე ისე მისავათებელი იწვა ქვეშაგებში, კაცი იფიქრებდა, ამ ქვეყნისა აღარ არისო. და მხოლოდ მძიმე სუნთქვა მეტყველებდა იმას, რომ ჯერ ისევ ცდგა სული. მაგრამ მისი მობრუნების იმედი აღარავის ჰქონდა. და ბატონიშვილებს შორის ატყდა დავა მემკვიდრეობისათვის. ზოგიერთი დიდებული აღვივებდა შფოთს. დავითს უთხრეს, შენი ძმა მოკვლას გიპირებს და უფრთხილდიო; გიორგი ბატონიშვილსაც იგივე მოახსენეს. გიორგი განერიდა ხიფათს. დავითი თავისი ამა-

ლის თანხლებით დაედევნა გაქცეულ ძმას. დაეწია, მაგრამ სისხლის ღვრამდე არ მისულა საქმე. შუამავალთა მეოხებით ძმები მორიგდნენ და ჯვარზე დაიფიცეს, ერთმანეთს არაფერს დავუშავებთო. დავითმა უბოძა უმცროს ძმას საუფლისწულო მამული და თვითონ სამეფო ტახტზე დაჯდა. დიდებულებმა ისევ სცადეს შფოთის ჩაშოგდება. ისინი ეახლნენ გიორგი ბატონიშვილს და ახალი მეფის დამხობის გეგმები გაუზიარეს. დაემუქრნენ, თუ მხარს არ დაგვიჭერ, შენც გაგისწორდებითო. გიორგი უარობდა, ფიცის გატეხა არ ძალმიძსო. ამასობაში ალექსანდრე გამოკეთებულა. დავითი ეახლა მამას, ფეხქვეშ ჩაუვარდა და მორჩილად ითხოვა შენდობა: ბრალი მიძიძღვის, ცოცხალ მამას ტახტი წაგართვიო. მაგრამ ავისმზრახველმა დიდებულებმა გაკიცხეს დავითი და უთხრეს: „ჩიტი ჰაერში ფრინავს, თუ დაიჭერ, შენი იქნება. მაგრამ დაჭერილს რომ გაუშვებ, მეორედ აღარ ჩაგივარდება ხელში. ღმერთმა გიწყალობა საშეფო და შენ კი არ უწყი, როგორ დაეპატრონო და ხელიდან უშვებ“. ამ სიტყვებმა შეაგულიანა დავითი, თავი ანება მონანიებას და მამას შეუთვალა: სამეფო დროშა, გვირგვინი, ხმალი და სარტყელი გამომიგზავნეო. ალექსანდრე მიხვდა, რომ უარი ხეირს არ დააყრიდა, უყოყმანოდ დაუთმო ტახტი მემკვიდრეს და თავი ასე ინუგეშა: „თუ ცოცხალი დავრჩი, შეფობას უფალი დამიბრუნებსო“. გიორგი ბატონიშვილმა ქართლს შეაფარა თავი, მაგრამ დავითმა ქართლის მეფის დახმარებით შეიპყრო თავისი ძმა, შებორკა და საპყრობილეში ჩასვა. ახლა აღარავინ უშლიდა ხელს. მოხუცი ალექსანდრე ალავერდის მონასტერში იმყოფებოდა. როდესაც კახეთში მოსულმა რუსმა ელჩებმა მასთან მოლაპარაკება სცადეს (დავითი არაგვის ერისთავთან საომრად იყო წასული), მან განუცხადა ელჩებს: მეფობა ჩემს ვაჟს დავუთმე და სახელმწიფო საქმეები აღარ მეკითხებაო.

კირილე ბერის სიტყვით, დავითმა იმეფა თითქმის ერთი წელიწადი და კიდევ უფრო დაკარგა პოპულარობა ქვეშევრდომთა შორის. მან სასტიკი რეპრესიები დაატეხა თავს მამისა და ძმის ერთგულ პირთ. განსაკუთრებით დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ერთი დიდებულის მკვლელობამ, რომლის სახელი რუსულად ასეა აღბეჭ-

ლილი: „სტოროზანი“. ამ კაცმა შეიტყო, რომ ახალი მეფე მოკვლას უპირებდა და ღვთისმშობლის ეკლესიას შეაფარა თავი, ხელს არავინ მახლებსო. მაგრამ გაუცრუვდა იმედი. დავითი აღარც ხალხს უწევდა ანგარიშს და აღარც ღმერთს. ეკლესიაში სისხლის დაღვრამ შეაძრწუნა შემონაზვნებული ალექსანდრე. საშინაოდ ჩაცმულმა მიაშურა მკვლელობის ადგილს, ეკლესიასთან თავშეყრილი ხალხის თვალწინ ქუდი მიწაზე დაახეთქა და საშინელი წყევლით შეაჩვენა თავისი უფროსი ვაჟი.

სწორედ მამის წყევლით ხსნის კირილე ბერი დავითის უეცარ სიკვდილს. ჯერ კბილის ტკივილს შეუწუხებია მეფე, მერე გასიებულა. მეშვიდე დღეს მუცელი გაეხლიჩა (?) და შიგნეული გადმოუცვივდაო. ეს მომხდარა 1602 წლის 21 ოქტომბერს.

რამ მოკლა დავით მეფე, რა სნეულება იყო ასეთი, ერთ კვირაში რომ მოუღო ბოლო ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცს?

თანამედროვე მკვლევარნი ანალოგიურ შემთხვევებში კონსულტაციისათვის მედიკოსებს მიმართავენ ხოლმე. ზოგიერთი წყარო ამომწურავ ინფორმაციას იძლევა და დღევანდელი სპეციალისტი ერთობ იოლად ამოხსნის საუკუნეთა წინათ ამოუხსნელ საიდუმლოებას. ასე მაგალითად, ანა კომნენეს თხზულებაში, რომელიც გადმოგვცემს მისი მამის — ბიზანტიელი კეისრის ალექსი კომნენოსის ცხოვრებას, დაწვრილებით არის მოთხრობილი კეისრის ავადმყოფობის ისტორია და უკანასკნელი დღეები. რვა საუკუნის შემდეგ მოწვეულმა კონსილიუმმა, აღწერილი სიმპტომების საფუძველზე, დასვა დიაგნოზი, სახელდობრ — მიოკარდის ინფარქტი.

ქართველ მეფესაც დაგვიანებული დიაგნოზი ერგო წილად.

ინგლისელმა ისტორიკოსმა უ. ალენმა (სხვათა შორის, მის ჯალამს ეკუთვნის „ქართველი ხალხის ისტორია“, გამოცემული ლონდონში, 1932 წელს) კირილე ბერის მიერ ორიოდე სიტყვით მოცემული კლინიკური სურათი დავითის სასიკვდილო სნეულებისა წერილობით გააცნო პროფ. ჰ. ლემანს და ასეთი პასუხი მიიღო: „სნეულება, რომელსაც თქვენ აღწერთ, ძალზე წააგავს გაზოვან განგრენას, წარმოქმნილს პირის ღრუს დაზიანების შედეგად. გა-

დაჭრით ამაზე მეტის თქმა მიჭირს. საფიქრებელია, რომ მამის წყევლამ დაუქვეითა შვილს წინააღმდეგობის უნარი“.

...ასე მოულოდნელად დასრულდა ხანმოკლე ბატონობა დავითისა; მისი სიკვდილისთანავე ალექსანდრემ მიატოვა მონასტერი და გიორგი ბატონიშვილიც საპყრობილიდან გამოიყვანა.

დავითის შფოთიანი მეფობა თურმე პრელუდია იყო მომავალი სისხლის წვიმებისა.





გაცხადდა ლეჭსი ნიზამისა

„გაუწყრა ღმერთი კონსტანტინეს, სწავლა მამაშვილობა, მამაც მოკლა და ძმაცა“, — ასე იწყებს ფარსადან გორგიჯანიძე თავისი თხზულების იმ ეპიზოდს, სადაც აღწერილია კონსტანტინე ბატონიშვილის დანაშაული და სასჯელი, ერთ-ერთი ყველაზე შემაძრწუნებელი ფურცელი საქართველოს ისტორიისა.

ზემოხსენებულ ამბავს მოგვითხრობენ როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები, მაგრამ განსაკუთრებით ძვირფას მასალას წარმოადგენს კახეთში მყოფი რუსი ელჩების ტატიშჩევისა და ივანოვის ინფორმაცია.

1604 წლის მაისის დამდეგს გამოემგზავრნენ საქართველოსაკენ რუსეთის ხელმწიფის ბორის გოდუნოვის ელჩები.

ივნისის დამლევს უკვე ასტრახანში იყვნენ, სადაც მოსალოდნელი უბედურების პირველი ზარი შემოესმათ.

რუსი ელჩების სიტყვით, ასტრახანის ციხისთავს ამცნობდნენ დაღესტნიდან, რომ შაჰ-აბასმა კახეთში გამოგზავნა კონსტანტინე-მირზა და ალექსანდრე მეფის მოკვლა უბრძანა. თითქოსდა კონსტანტინემ ერთგულად შეასრულა შაჰის დანაბარები, საკუთარი ხელით მოკლა საკუთარი მამა და ყიზილბაშებმა იგი კახეთის მეფედ გამოაცხადესო.

1604 წელს არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა კახეთში. კონსტანტინე დიახაც მოკლავს საკუთარ მამას და თვითონ დაიჭერს კახეთის ტახტს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს 1605 წლის მარტში. თვით რუსი ელჩების თვალწინ. ჯერ კიდევ ცხრა თვე დარჩენილა საზარელ ტრაგედიამდე და მომავალში მოსახდენი ამბავი უკვე მომხდარ ამბად ვრცელდება საქართველოს საზღვრებს გარეთ. შესაძლოა, ჯერ არც შეუთხზავთ ისპაანში ალექსანდრე მეფის მკვლელობის სცენა, ჯერ მხოლოდ ჩანაფიქრი წარმოიქმნა უბორო-

ტესი დანაშაულისა და ეს ჩანაფიქრიც მტარვალის გონებას არ გასცდენია, მაგრამ ასტრახანში ჩასული ჭორი თითქმის ზედმიწევნით შეესიტყვება იმ ტრაგედიას, რომელიც ცხრა თვის შემდეგ უნდა გათამაშდეს.

რუსმა ელჩებმა მალე შეიტყვეს, რომ 1604 წლის აპრილში ალექსანდრე მეფე ექვსი ათასი მხედრის თანხლებით ეახლა შაჰ-აბასს, რომელსაც ერევნისათვის ალყა ჰქონდა შემორტყმული (მიმდინარეობდა ირან-ოსმალეთის ომი). სეფიანთა ხელმწიფემ კახეთის ლაშქრის უმეტესი ნაწილი გააბრუნა კახეთისაკენ და დარჩენა უბრძანა მხოლოდ ალექსანდრესა და მის თავად-აზნაურებს.

ასეთი იყო სინამდვილე, მაგრამ პირწავარდნილი ჭორი უფრო შეესაბამებოდა ირანის შაჰისა და კახეთის მეფის ურთიერთდამოკიდებულებას, რომლის ჭეშმარიტ შინაარსს წარმოადგენდა აბასის სიძულვილი და ალექსანდრეს უნდობლობა, შენიღბული მეგობრობითა და სიყვარულით.

რატომ მოიძულა შაჰ-აბასმა ალექსანდრე მეფე?

უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ კახთ ბატონს რუსეთის ორიენტაცია უფრო უჯდებოდა ჭკუაში, ვიდრე ირანისა. ჯერ კიდევ 1587 წელს ალექსანდრემ თავის შვილებთან და სამეფოს დიდებულებთან ერთად ერთგულება შეჰფიცა რუსეთის ხელმწიფეს. გარდა ამისა, წლების მანძილზე კახეთის მეფე ოსტატურად ახერხებდა ირან-ოსმალეთს შორის არსებულ კონფლიქტში არ ჩარეულიყო და განზე დაეჭირა თავი. იგი ოსმალეთს უცხადებდა მორჩილებას, მაგრამ მომავლის ფიქრიც ჰქონდა და კონსტანტინე ბატონიშვილი წარგზავნა მძევლად სეფიანთა სამეფო კარზე. სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში შენიშნავს, რომ ალექსანდრე მეფე „ეშმაკობის და მოხერხების მხრივ ბებერი მგელი იყო“.

განგაშს გაექცინთა ჰაერი. ხმები, რომლებიც არ გამართლდა 1604 წელს, საშინელი სიზუსტით გამართლდება ერთი წლის შემდეგ.

ეს არ ყოფილა წინასწარმეტყველება, ათასში ერთხელ რომ აღსრულდება და საყოველთაო გაოცებას იწვევს. არა, ეს მხოლოდ და მხოლოდ წინათგრძნობა იყო, უბრალო და არამისტიკური წინათგრძნობა, აღმოცენებული რეალობიდან.

1604 წლის შემოდგომაზე ტატიშჩევი და ივანოვი უკვე კახეთში იყვნენ და ელოდნენ ალექსანდრე მეფის დაბრუნებას.

კახეთს განაგებდა სამეფო ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი. მან სთხოვა ელჩებს, გამოეყოთ მცველთა რაზმიდან რუსი მეთოფენი ჰტრის დასაშინებლად. ელჩებმა მიაშველეს ორმოცი მეთოფე. 7 ოქტომბერს გიორგი ბატონიშვილი გაედევნა ოსმალთა ჯარის შენაერთს და ქალაქ ზაგემიდან ერთი დღის სავალზე ბრძოლა გაუმართა. რუს მეთოფეთა პირველმავე ზალპმა დააფრთხო ოსმალნი. ისინი გაიქცნენ. ქართველები ფეხდაფეხ გაჰყვნენ მტერს. მრავალი მათგანი დაატყვევეს და ქართველი ტყვეებიც დაიხსნეს ოსმალთა ხელიდან.

1605 წლის 1 იანვარს გიორგი ბატონიშვილმა მიიწვია რუსი ელჩები თავის რეზიდენციაში და დასდო რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი. ეს ცერემონიალი საიდუმლოდ ჩატარდა, რათა შაჰ-აბასთან მყოფი ალექსანდრე მეფის სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაეგდოთ.

გიორგი ბატონიშვილმა განუცხადა ელჩებს, კარგი იქნება, რომ რუსეთის მთავრობამ ერთი-ორი ციხე ააგოს საქართველოს ტერიტორიაზე და შიგ ჯარი ჩააყენოსო. მისი აზრით, მცირერიცხოვანი, რომ ყოფილიყო ჯარი, მაინც დააფრთხობდა ოსმალებსა და ყიზილბაშებს. გიორგი ბატონიშვილი ჰპირდებოდა ელჩებს, ჯარს ჩვენი ხარჯით შევინახავთო. პურ-ღვინო ბევრი გაგვაჩნია და აბრეშუმი გასაყიდად სხვა ქვეყნებში გაგვაქვსო, დიდძალი პირუტყვი გვყავს და ჩვენში ისეთი საუცხოო ბედაურები იცის, რომლის მსგავსს ვერსად წააწყდებითო. ბატონიშვილი უხსნიდა ელჩებს, რომ სწორედ ქვეყნის სიმდიდრე აქეზებდა ირან-ოსმალეთის ხელმწიფეებს საქართველოს დასაპყრობად და ქართველი მეფეები იძულებული ხდებოდნენ ან გაუთავებლად ეომათ ანდა ხარკის ვადახდას შეჰგუებოდნენ. გიორგი ბატონიშვილი სურვილს გამოთქვამდა, რომ ამიერიდან რუსეთის ხელმწიფეს აღარ დაეშვა ურჯულოთა მიერ საქართველოს აოხრება და ქრისტიანული ტაძრების ნგრევა.

ერთი სიტყვით, კახეთის ტახტის მემკვიდრე ისეთივე ერთგული ჩანდა ერთმორწმუნე რუსეთისა, როგორც ალექსანდრე მეფე. მაგრამ რაგინდ საიდუმლოდ ჩატარებულიყო მოლაპარაკება რუს ელჩებთან, ამდენი საიდუმლოს შენახვას მისი სასახლის კედლებიც ვერ გაუძლებდნენ. ვინ იცის, სადამდე მიუწვდებოდათ ყური შაჰ-აბასის მსტოვრებს. სეფიანთა ირანის ხელმწიფე იქვნეულად ად-

ევნებდა თვალყურს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას და, ალბათ, არ გამოეპარებოდა გიორგი ბატონიშვილის ფიცი.

შაჰ-აბასმა ბოლოს და ბოლოს მისცა ალექსანდრე მეფეს საშუალება დაბრუნების ნება და თან გამოაყოლა ოთხი ყიზილბაში ხანი სათანადო ლაშქრის თანხლებით, აგრეთვე კონსტანტინე-მირზა. ყიზილბაშ ხანებს უნდა მიეცილებინათ ალექსანდრე კახეთის საზღვრამდე და მერე გაელაშქრათ განჯაზე, რომელიც კვლავინდებურად ოსმალებს ეჭირათ. ხოლო კონსტანტინეს ევალებოდა კახეთის სამეფოში ჯარის შეგროვება და შემახის ასაღებად წასვლა (ასეთი იყო ოფიციალური ვერსია).

1605 წლის 8 მარტს ალექსანდრე მეფე ჩამოვიდა ზაგემში.

ყიზილბაშები დაბანაკდნენ კახეთის საზღვარზე, მდ. ივრის მახლობლად.

კახეთში მითქმა-მოთქმა ატყდა, შაჰ-აბასმა კონსტანტინეს გიორგი ბატონიშვილის ღალატით შეპყრობა და მოკვლა დაავალაო. ელჩებმა გაგონილი აუწყეს კახეთის ტახტის მემკვიდრეს და გაოცებულ, ფხიზლად იყავი, ყიზილბაშებს სათოფეზე არ ეკარებოო. მაგრამ გიორგი ბატონიშვილმა უგულოდ მოისმინა გაფრთხილება და თქვა, ყიზილბაშებს ძალზე კარგად ვიცნობ და მათი სულაც არ მეშინიაო. მან თავისი ჯარი დაითხოვა და თვითონ ზაგემს გაეშურა. მალე რუსეთის ელჩებიც გაუდგნენ ზაგემის გზას.

მოლაპარაკება უნდა დაწყებულიყო 12 მარტს, მაგრამ დანიშნული შეხვედრის წინ რუს ელჩებს ეახლნენ ალექსანდრე მეფის მოციქულნი და შემდეგი მოახსენეს: „კონსტანტინე ბატონიშვილი დილაადრიან მოვიდა მეფის კარზე და მასთან ერთად დაუპატიჟებლად მობრძანდნენ ყიზილბაში ხანები ჯარის თანხლებით. არ ვიცით, რას ფიქრობენ და გულში რა უძევთ. ისინი განლაგდნენ სწორედ იმ კარავში, სადაც თქვენი ელჩობა უნდა მიეღო მეფეს. ჩვენ არ ძალგვიძს და ვერც ვბედავთ გავაძევოთ დაუპატიჟებელი სტუმრები. თუ თქვენ ინებებთ წამოსვლას, რომ ორიოდე სიტყვა ბრძანოთ მათი თანდასწრებით და მერე ცოტა წაიხემსოთ მეფესთან ერთად, შეგიძლიათ ახლავე წამობრძანდეთ, ხოლო თუ არ ინებებთ წამოსვლას, მაშინ ხვალისთვის უნდა გადავდოთ შეხვედრა“.

ამასობაში თოფის სროლა მოესმათ და ქუჩაში ყვირილი ატყდა, ყიზილბაშები ქართველებს დაერივნენო.

ელჩებმა მყისვე აფრინეს თარჯიმანი კამენევი კონსტანტინეს-

თან და უბრძანეს, ჩვენი სახელით მოახსენე ბატონიშვილს, სისხლის ღვრა არ დაუშვასო.

მაგრამ უკვე გვიან იყო.

კონსტანტინემ ასე განუცხადა კამენევს: „ჩვენი ცოდვებისათვის დაგვსაჯა ზეცამ. მამაჩემი ალექსანდრე მეფე და ჩემი ძმა გიორგი აღარ არიან. მომხდარს ვერაფრით გამოვასწორებთ. ეტყობა, ასეთი ბედი ეწერათ“.

კამენევის სიტყვით, ვიღაც ყიზილბაში იდგა კონსტანტინეს წინ და ხელში ეჭირა მოკვეთილი თავი კახთა მეფისა. მამა-შვილთან ერთად დაიღუპნენ მარტყოფელი არქიეპისკოპოსი და მისი ძმაც. აგრეთვე რამდენიმე თავადი და აზნაური.

კამენევმა უამბო ელჩებს, რომ ძე გიორგი ბატონიშვილისა, ყრმა იესე, ფეხებში ჩაუვარდა კონსტანტინეს და ტირილით ეკედრებოდა, არ მომკლათო. კამენევმა დასძინა, ყიზილბაშებმა კონსტანტინე კახეთის მეფედ გამოაცხადესო.

რუსი ელჩების ნაამბობს ავსებს ისქანდერ მუნში. მისი სიტყვით, კონსტანტინე შირვანის ამირებთან ერთად კახეთისაკენ გაემართა, რათა იქაური ჯარით შირვანის დასაპყრობად წასულიყო. მაგრამ კონსტანტინე ამაოდ მოუწოდებდა მამამისს შირვანზე ლაშქრობას. კახეთის მეფე განზრახ აჭიანურებდა დროს და ფეხს ითრევდა. არც გიორგი ბატონიშვილს სურდა, რომ მისი მამამადიანი ძმა კახეთის მეზობელ პროვინციაში დამკვიდრებულიყო. ყიზილბაში ამირებისათვის ცხადი შეიქნა, რომ ალექსანდრე და გიორგი იმას ელოდნენ, თუ ვის მხარეზე იქნებოდა გამარჯვება ირან-ოსმალეთის ომში, რათა გამარჯვებულის მხარე დაეჭირათ.

სპარსელი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ ერთ დღეს კონსტანტინე ყიზილბაშ ამირებთან ერთად მამას ესტუმრა. მერე ძმაც იხმო და ორთაევს შირვანზე გალაშქრების შესახებ დაუწყო მკვახედ ლაპარაკი. ალექსანდრემ რაღაც მოიმიზეზა, კონსტანტინე მიატოვა და თავისი ოთახისაკენ გაეშურა. გიორგიც განერიდა ძმას. კონსტანტინემ ვერ აიტანა ასეთი შეურაცხყოფა, დაედევნა გიორგის და დაუწყო ქართულად ლანძღვა. გიორგი შეჩერდა და პასუხი გასცა. კონსტანტინე მას მიუახლოვდა, „სისხლისმღვრელი მახვილი იშიშვლა შურისძიების ქარქაშიდან“, დაჰკრა და თვალის დახამხამეში გაათავა. იქიდან გამობრუნდა და ყიზილბაშებთან ერთად ახლა მამას მიადგა. კონსტანტინე ქართულად გამოელაპარაკა მამას. ალექ-

ნაკრე მეფემ ლანძღვა დაუწყო და როცა შეიტყო გიორგის მოკ-ვლის ამბავი, ყვირილი ატეხა, ქართველ აზნაურებს იხმობდა საშ-ველად, მაგრამ ყიზილბაშებმა მასაც მოუღეს ბოლო...

ადამის მოდგმის პირველი ბოროტმოქმედი, პირველი კაცის-მკვლელი რა მოსატანი იყო კონსტანტინესთან! აკი შენიშნავს კი-დეც ერთი ქართული წყარო, კაენმა მხოლოდ ძმა მოკლა, კონსტან-ტინემ — ძმაც და მამაცო. ნეტავი სად იყო უფალი, რომ ეკითხა გათათრებული ბატონიშვილისათვის, ძმა შენი გიორგი სად არისო. ეამა შენი ალექსანდრე სად არისო.

საყოველთაო შეძრწუნებამ დაისადგურა კახეთში.

კონსტანტინეს ბრძანებით, ალექსანდრე მეფისა და გიორგი ბა-ტონიშვილის ცხედრები წაასვენეს ალავერდის ტაძარში, ხოლო მათი მოკვეთილი თავები მამისმკვლელმა თავის აღმზრდელსა და დამრიგებელს უსაჩუქრა (ცოტა ხნის შემდეგ იგი ამაყად განუცხა-დებს რუს ელჩებს: მე ვარ შაჰის მსახური და თავის წერილებში შაჰი შვილს მეძახისო).

სხვათა შორის რუს ელჩებთან საუბარში კონსტანტინე თავის მართლებას მოჰყვა, ჩემს მამა-პაპათა მსგავსად მეც ქრისტიანი ვი-ყავი, ქრისტიანული სარწმუნოება ჯერ კიდევ მახსოვსო, ჩემი ნება-სურვილით არ გავმაჰმადიანებულვარ, მამაჩემმა შვიდი წლისა გამ-გზავნა მძევლად ირანში და გამამაჰმადიანესო. მამაჩემს ამაზე პა-სუხს ღმერთი მოსთხოვსო.

ტატიშჩევი და ივანოვი დაჟინებით ცდილობდნენ გამოერკვიათ. ვრია თუ არა შაჰ-აბასის ხელი 12 მარტს დატრიალებულ სისხლიან ტრაგედიაში.

კონსტანტინე არწმუნებდა ელჩებს, გიორგი ბატონიშვილი შაჰ-საც და რუსეთის დიდ ხელმწიფესაც ღალატობდაო. ცოლად ოს-მალო ფაშას ასული ჰყავდა, ოსმალთა სარდალთან ფარული მიმო-წერა გააჩაღა და ოსმალეთისათვის საქართველოს გადაცემა სურ-დაო. ხოლო მამაჩემი ჯარს არ მაძლევდა შირვანის დასაპყრობად. ორივენი ჩემს მოკვლას გეგმავდნენ, დავასწარი და ვაჯობეო.

მამისმკვლელი მთელ დანაშაულს თვითონ იბრალებდა, რათა ეჭ-ვიც არავის მიეტანა შაჰ-აბასზე. თავგამოდებით უფრთხილდებოდა მამობილის სახელსა და ავტორიტეტს.

ასევე გულმოდგინედ ირჯება ისქანდერ მუნში, რომ ზნეობრივი

უმწიკვლოებისა და კეთილშობილების მოსასხამით შემოსოს თავისი მბრძანებელი.

სპარსელი ისტორიკოსის თქმანახმად, შაჰ-აბასი უკმაყოფილო იყო კონსტანტინეს საქციელით, „რადგანაც მოხუცი მამის მოკვლა, თუნდაც გამართლებული სარწმუნოების მიზნებით, მაინც მოსაწონი არ იყო არც ღვთისა და არც ხალხის მიერ“.

იქვე ვკითხულობთ, რომ შაჰმა კონსტანტინეს შირვანი უბრძანებია, მაგრამ კახეთი არ მიუცია, კახეთს იგი თვითნებურად იპყრობდაო.

ახლა ყური ვათხოვოთ ქართულ წყაროებს. აი, როგორი სიტყვებით ისტუმრებს კონსტანტინეს შაჰ-აბასი:

„წადი და მოკალ მამაშენი და ძმა შენი და კახეთიც შენ დაიჭირე“ (ბერი ეგნატაშვილი).

„წარვედ და მოჰკალ ორნივე და შენ დაიპყარ კახეთი და ჰყავ მაჰმადიან“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

„მე მამისა შენისა დიდი ჯავრი მაქვს. რა შირვანი დაიჭირო. მამაშენი მოკალ და კახეთიც შენთვის მაქვია“ (ფარსადან გორგიჯანიძე).

განსაკუთრებით საინტერესოა უკანასკნელი მოწმობა, ვინაიდან ამას წერს ქართველი ისტორიკოსი, რომელიც სეფიანთა სახელმწიფოს ერთგული მოხელე იყო.

სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის მიხედვით, შაჰ-აბასმა ასე უთხრა კონსტანტინეს: „წაიყვანე, რამდენიც დაგჭირდება ოდენი მეომარი ჩემი ჯარიდან და დაბრუნდი შენს სამშობლო ქვეყანაში, როგორც მოკალი მამაშენი ალექსანდრე და ძმა გიორგი. რათა მამაშენის ნაცვლად შენ გამეფდე და განაგო მამა-პაპათა საშეფო. მაგრამ ჯერჯერობით, როგორც ჩვენს ხალხში ისე ქართველებში, ნუ გაამეღავნებ შენი წასვლის მიზეზს. თქვი, ჩემს სამშობლოში მივდივარ და იქ უნდა დავრჩეთქო. მოიმიზეზე, შაჰმა შემახის დასაპყრობად გამგზავნათქო“.

როგორც ვხედავთ, ქართული და სომხური წყაროები ადასტურებენ, რომ 12 მარტის ტრაგედია შაჰ-აბასის მიერ იყო დადგმული. კონსტანტინე მხოლოდ და მხოლოდ ბრმა იარაღს წარმოადგენდა შაჰის ხელში. გათათრებულმა ბატონიშვილმა ჩინებულად შეასრულა მამისმკვლელისა და ძმისმკვლელის უმსგავსო როლი.

ტატიშჩევი და ივანოვი არ მოეშვნენ საქმის გამოძიებას და ბო-

ლოს მიაკვლიეს კიდეც ყველაზე ნაღდ და უტყუარ საბუთს, რომელსაც მართლაც რომ ოქროს ფასი ჰქონდა.

რუსმა ელჩებმა დაათვრეს კონსტანტინეს ყიზილბაში მხლებელი, ვინმე მაჰმად-ბეგი და დაწვრილებით გამოჰკითხეს, მოკლა თუ არა კონსტანტინემ თავისი მამა და ძმა შაჰის ნება-დასტურით. მაჰმად-ბეგმა განცვიფრებით წარმოთქვა: „როგორ შეიძლება შვილმა მოკლას მამა და ავიდეს მის ტახტზე შაჰის უცოდნელად? საიდან გაგონილა და ვის გაუგონია ასეთი ამბავი?!“

მთვრალმა ყიზილბაშმა ერე მთლიანად გამოამზეურა თავისი ბატონის საიდუმლო. მაჰმად-ბეგის სიტყვით, მკვლელობის წინა ღამეს დაბნეული და შეშფოთებული კონსტანტინე გაუთავებლად იცრემლებოდა. ბოთმინება

ალექსანდრე მეფე პატარა ქვეყნის პატრონი იყო და დღემუდამ იმას ფიქრობდა, მისი საბფლობელო ორ ვეშაპს შუა არ გასრესილიყო. შაჰ-აბასი კი დიდი ქვეყნის ხელმწიფე იყო, დიდი ძალა ჰქონდა და ნაბიჯიც დიდი იცოდა. მისი დიდი პოლიტიკა ყოველნაირ ავანტიურას გაუძლებდა.

შაჰ-აბასის აზრით, ალექსანდრე მეფე შირვანში ლაშქრობას შლიდა, აშკარად ღალატობდა ირანს და რუსეთი მოჰყავდა საქართველოში.

სეფიანთა ხელმწიფეს უკვე მობეზრდა „ბებერი მგლის“ ეშმაკობა და მოხერხება. დრო დადგა, რომ მახვილის ერთი დარტყმით გადაეკვეთა დახლართული დიპლომატიური კვანძი. და შაჰ-აბასიც არ შეყოყმანებულა. რუსთმოყვარე და ირანის ორგული ალექსანდრეს საცვლად, რა თქმა უნდა, შაჰისათვის ათასჯერ უკეთესი იქნებოდა კახეთის ტახტზე მაჰმადიანი და ირანის ერთგული კონსტანტინე, მის ხელში გაზრდილი და გაწვრთნილი, მისი ხელის შეჭეურე, მისი ყურმოჭრილი მონა.

მაგრამ საბოლოოდ შაჰ-აბასსაც გაუმტყუნდა იმედები.

კახეთი ვერ ეგუებოდა ახალ მეფეს. შირვანზე ლაშქრობისას შეთქმულნი თავს დაესხნენ კონსტანტინეს, მაგრამ მისი საწოლი ცარიელი დახვდათ. ქართველებმა ლაშქრობა მიატოვეს და ყარგად დაწყებული საქმე ჩაეფუშა მამისმკვლელს.

ისქანდერ მუნშის ცნობით, შაჰ-აბასს ქართველებისაგან არზა შოუვიდა. ისინი უჩიოდნენ კონსტანტინეს და ითხოვდნენ კახეთის ტახტზე თეიმურაზის აყვანას, რომელიც სეფიანთა სამეფო ყარზი იყოფებოდა. შაჰი მიხვდა, რომ კეთილი დამოკიდებულება გამაჰმადიანებულ კონსტანტინესა და ქრისტიან ქართველებს შორის წარმოუდგენელი იყო. კონსტანტინეს ბატონობას კახეთში მხოლოდ აჯანყება და შფოთი მოჰყვებოდა; ქართველების ღალატი შაჰ-აბასს ზელს არ აძლევდა. კონსტანტინეს საქმე წაგებული იყო და მისი მხარდაჭერა მხოლოდ ზიანს მოუტანდა სეფიანთა სახელმწიფოს. ისქანდერ მუნში აღნიშნავს, რომ კონსტანტინემ არდებილის ვაჭრებისაგან ნასესხები ფულით დაიქირავა ლაშქარი და შაჰის თანხმობა-ნებართვის გარეშე ქართველებზე შურის საძიებლად გაილაშქრაო.

საშობლოს წინააღმდეგ ლაშქრობა უკანასკნელი გამოდგა კონსტანტინეს ბიოგრაფიაში.

სპარსული და ქართული წყაროების გარდა ამ ლაშქრობის ამბავს მოგვითხრობს კიდევ ერთი, დღემდე უცნობი წყარო. ეს გახლავთ ჯულფელი ვაჭრის ნაამბობი, რომელიც 1628 წელს ჩაუწერიათ ვენეციაში (ხსენებულ მასალას მიაკვლია მ. თამარაშვილმა ვატიკანის არქივებში მუშაობის დროს).

ჯულფელი ვაჭრის სიტყვით, კონსტანტინემ თავისი ძმის, დავითის ქვრივის ქეთევან დედოფლის ცოლად შერთვა მოინდომა და დაემუქრა, თუ იუარებ, მოგკლავო. ქეთევანმა უარი შეუთვალა. კონსტანტინე დახმარებას შეევედრა შაჰ-აბასს და იშოვა ოცდაათი ათასი მეომარი იმ პირობით, რომ გაილაშქრებდა საქართველოზე. მოკლავდა ქეთევან დედოფალს და სეფიანთა ძალაუფლების ქვეშ მოაქცევდა კახეთის სამეფოს.

ქეთევანს აცნობეს მისი მაზლის გამოლაშქრება. დედოფალს მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა და ხერხი ამჯობინა ღონეს. ამოარჩია ორასი საუკეთესო მხედარი და გაატანა წერილი კონსტანტინესთან. ამ წერილში კახეთის დიდებულნი მიმართავდნენ ბატონიშვილს, ძალზე გვრცხვენია მბრძანებლად ქალი რომ გვყავს და მზად ვართ შენი ქვეშევრდომები გავხდეთ, ჩვენი კანონიერი მეფე და ბატონი შენა ხარო.

კონსტანტინე უკვე კახეთის საზღვარზე იმყოფებოდა. როდესაც ნიკრიკი შეეგება. კონსტანტინემ აღტაცებით წაიკითხა კახეთის დიდებულთა წერილი. გამხიარულდა, აღივსო უდიდესი იმედებით. აღარ დაუყოვნებია, საჩქაროდ გაიჭრა წინ, თავისი ლაშქარი უკან ჩამოიტოვა. მცირე ამალის თანხლებით მიუახლოვდა კახეთის სამეფოს რჩეულ მხედრებს, ხმამაღლა გამოელაპარაკა, თავისი სიხარული ამცნო, მადლობას უხდიდა ერთგულებისათვის და ემაყოფილი წარმოთქვამდა, ახლა მთელი კახეთი გამაჰნადიანდება და ყოველგვარ შფოთსა და არეულობას სამუდამოდ ბოლო მოეღებაო. ის-ის იყო, უნდა გადახვეოდა თავის მომავალ ქვეშევრდომებს, როდესაც ერთმა მათგანმა გრძელი შუბი აძგერა ყელში და მძიმედ დაჭრა. კონსტანტინემ გაქცევა დააპირა, მაგრამ მეორე მხედარმა ხმალი მოუქნია და შუაზე გაჩეხა თავისი ცხენითურთ.

ჯულფელი ვაჭრის რელაციას ერთგვარად წააგავს ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობი. ქართველი ისტორიკოსის აღტყვითკახეთის თავადებმა ასეთი რჩევა მისცეს კონსანტინეს: მცირე ამალით ლაშქარს წინ წაუდექი, კახნი გიცნობენ და სახვეწრად

კაცს გაახლებენო. იმანაც დაუჯერა და თავის ლაშქარს წამოსცილდაო. „უღალატეს და წინადამ და უკანიდამ წაუშინეს“, — აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე..

მამისმკვლელსა და სამშობლოს მოღალატეს ღალატითვე გაუსწორდნენ. უკეთესი სიკვდილის ღირსი ის არ ყოფილა.

მეორე ქართული წყაროს მიხედვით, კონტანტინე იცნეს დავით ჯანდიერმა, თამაზ და ბებურ ვაჩნაძეებმა. ჰკრეს შუბი და გადმოაგდეს ცხენიდან. მიწაზე გართხმულმა კონსტანტინემ იცნო ისინი და შეეკედრა: „ნუ მომკლავთ, დაგრჩომივართ, თქვენს სელთა ვარო“. მრავალ წყალობას შეჰპირდა, მაგრამ ყური არ მიუგდეს. დაჰკრეს მახვილი თავში და ორად გაუპეს.

ბოლოს და ბოლოს აღსრულდა ძრწოლით აღვსილი კაენის წინათგრძნობა: „ყოველმან მჰოვნელმან ჩემმან მომკლას მე“. კარგა ხანს სწყალობდა ბედი ავკაცს და ახლა, თავისი მწყალობელი შაჰ-აბასის მსგავსად, ბედმაც შეაქცია ზურგი.

კონსტანტინე მოკლეს 1605 წლის 12 ოქტომბერს.

ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს: „ეს ამბავი შაჰ-აბაზ ყაენს მისწერეს და ნამეტნავად ეწყინა, მაგრამ სოფლის საფერისათ ასრე ბრძანა: ხელიმც შერჩებისო, მამის მკვლელს უარესი უნდა დაემართოსო“.

ისქანდერ მუნში და ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავენ, მამის მოკვლის შემდეგ კონსტანტინემ მხოლოდ ექვსი თვე იცოცხლაო და იმოწმებენ სპარსულ ლექსს:

მამის მკვლელი ხელმწიფობას ვერა იქმს,
თუნდაც რომ ქნას, ექვს თვეზე მეტს ვერ გაძლებს.

სპარსელი ისტორიკოსი არ ასახელებს ამ სტრიქონების ავტორს. ფარსადანი კი შენიშნავს, ძველი ნათქვამი იყო და აქაც ნათქვამივით გაცხადდაო.

დამოწმებული ლექსი ეკუთვნის ნიზამი განჯელის კალამს.

...სპარსული წყაროები მოგვითხრობენ, რომ ცნობილი ასტრონომი და მათემატიკოსი, შვილიშვილი და მემკვიდრე თემურ-ლენგისა, ულუღ-ბეგი მოკლულ იქნა თავისი შვილის აბდულ-ლატიფის ძიერ (ამ უკანასკნელმა მანამდე საკუთარი ძმაც კამოასალმა წუთისოფელს).

დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ მოკლულ იქნა თვით მამის-

მკვლელიც. სიცოცხლის უკანასკნელ ღამეს ესიზმრა აბდულ-ლატიფს, რომ ლანგრით მოართვეს მოჭრილი თავი. შეხედა და რას ხედავს: ლანგარზე მისი საკუთარი თავი ძევს. ძილში იყვირა და შეძრწუნებულს გამოეღვიძა. განიზრახა მკითხაობა და თავისი ბედის განჭვრეტა, ხელი დააველო ნიზამის წიგნს და გადაშალა სწორედ იმ ფურცელზე, სადაც ეწერა: „მამის მკვლელი ხელმწიფობას ვერა იქს...“

აბდულ-ლატიფისა არ იყოს, კონსტანტინესაც აუხდა ბრძენი პოეტის განაჩენი, ექვს თვეზე მეტს ვერ გაძლებსო.

სამარყანდშიც და კახეთშიც ერთი და იგივე მსჯავრი ელოდა მამისმკვლელს.

გაცხადდა ლექსი ნიზამისა, კიდევ ერთხელ გაცხადდა.

ნიზამის მკაცრი სტრიქონები გამოხატავს არა ფატალიზმს ანდა მეშაზეციერის გარდუვალ ჩარევას მოკვდავთა საქმეების მოსაწესრიგებლად, არამედ სიკეთისა და სამართლიანობის საოცრად ოპტიმისტურ რწმენას.

არ შეიძლება მამისმკვლელი გახელმწიფდესო, ამტკიცებს ნიზამი. მაგრამ პოეტმა ისიც იცის, რომ ბევრი რამ ხდება ქვეყნად ისეთი, რაც არ უნდა ხდებოდეს და ამიტომ დასძენს, თუნდაც გახელმწიფდეს მამისმკვლელი, ექვს თვეზე მეტს ვერ იხელმწიფებსო. ურყევად სჯერა პოეტს, რომ გრძელი არსებობა არ უწერია ავკაცობას და უსამართლობას.





საქორწინო მისია

ის იყო შვილიშვილი სახელოვანი სიმონ მეფისა, ასული გიორგისა და ცოლი შაჰ-აბასისა.

ამ ქალს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ ქართული წყაროები.

ვახუშტი ბატონიშვილი და ბერი ეგნატაშვილი უწოდებენ თინათინს.

ანტონ კათალიკოსი და იოანე ბატონიშვილი — ელენეს (ამავე სახელით იცნობენ რუსი ელჩები).

ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, ქართლის მეფეს გიორგის ორი ქალი ჰყავდა. უფროსი, სახელად ლელა ცოლად შეირთო შაჰ-აბასმა; უმცროსი, სახელად ხორეშან — თეიმურაზ მეფემ.

ეტყობა, „ელენე“ იყო ნათლობის სახელი მეფის ასულისა, თუ შეიძლება ასე ითქვას — ბერძნული სახელი. ქართულად თინათინი ერქვა და მოფერებით ლელას ეძახდნენ.

ვახუშტი და ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავენ შაჰ-აბასის დაქორწინებას თინათინზე მისი ძმის ლუარსაბის ვაჰეფებისთანავე.

სამი სახელის პატრონს კიდევ ერთი სახელი შეარქვეს ისპაანში: ფათმა სულთან ბეგუმ. ალბათ, ასე „მონათლა“ იგი თვით შაჰ-აბასმა.

დაახლოებით თხუთმეტი წელიწადი გაატარა ქართველმა ბატონიშვილმა სეფიანთა ხელმწიფის ჰარამხანაში. ლუარსაბის მოკვლის შემდეგ შაჰ-აბასმა ისიც მოიშორა და ცოლად გაატანა კახეთის გამგებელს ფეიქარ-ხანს. ირანის შაჰის მეუღლე გადაიქცა კახეთის „დედოფლად“.

1624 წელს მოსკოვში საქართველოს ელჩად ჩასული ბერძენი ეპისკოპოსის სიტყვით, ფეიქარ-ხანის ცოლი იყო „ელენე“, ასული ქართლის მეფის გიორგისა და. როგორც შაჰ-აბასის ცოლყოფილი, სარგებლობდა დიდი გავლენით და ეფარველობდა ქრისტიანულ სარწმუნოებას.

ლელა ბატონიშვილს ცოლად შეგრთავო, ასე ჰპირდებოდა გიორგი საკაძე პატივმოყვარეობით შეპყრობილ ზურაბ არაგვის ერისთავს. დიახაც ეჭაშნიკებოდა ზურაბს სამეფო გვარის ქალზე დაქორწინება, მაგრამ ფეიქარ-ხანმა თავისი ჯალაბითურთ დროულად გაასწრო აჯანყებულ ქართველებს კახეთიდან და მშრალზე დატოვა ბაგრატიონთა სიძობის პრეტენდენტი.

ლელა ბატონიშვილის შემდგომი თავგადასავალი ბნელით არის მოცული. ალბათ, ფეიქარ-ხანის ჰარამხანაში დაასრულა თავისი სიცოცხლე.

ვინ იცის, როგორ შეტრიალდებოდა მისი ბედი, ზოგიერთი მოვლენა ისტორიისა სხვა გზით რომ წასულიყო...

შესაძლოა, ქართლის მეფის ასული ისპაანს კი არ გაესტუმრებინათ, არამედ — მოსკოვს. შესაძლოა, ივი გამხდარიყო არა ერთერთი ცოლთაგანი შაჰ-აბასისა, არამედ ერთადერთი მეუღლე ბორის გოდუნოვის კაჟიშვილისა, ხოლო შემდგომში — დედოფალი რუსეთისა.

1604 წლის მაისში რუსეთის ხელმწიფემ ბორის გოდუნოვმა საგანგებო მისია მიანდო საქართველოში ელჩებად მივლინებულ ტატიშჩევსა და ივანოვს. რუს ელჩებს კახეთსა და ქართლში უნდა ამოერჩიათ ბატონიშვილები (ქალ-ვაჟი) საქართველოს სამეფო გვარიდან, ბორისის ძისათვის — საცოლე და ასულისათვის — საქმრო.

ბორის გოდუნოვის მიერ ჩაფიქრებული საქორწინო პროექტი შემთხვევითი არ ყოფილა და პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. არადიდგვაროვანი გოდუნოვის ხელმწიფობა იმ დროს, როდესაც არსებობდნენ რიურიკთა დინასტიის უშუალო წარმომადგენლები, იწვევდა გაუთავებელ მითქმა-მოთქმასა და შურს.

გოდუნოვისათვის ჰაერივით აუცილებელი შეიქნა რომელიმე საყოველთაოდ ცნობილ სამეფო გვართან დამოყვრება, რათა მეფური სისხლი შერეოდა მის შთამომავლობას.

XVI საუკუნის დამლევს ჩაიშალა იტალიაში გადახვეწილი შვედი უფლისწულის გუსტავის ჩამოსაყვანების ცდა, ვინაიდან მან გადაჭრით იუარა ბერძნული წესის მართლმადიდებლობის მიღება. ბორის გოდუნოვის მოთხოვნა საქმრის მიერ რჯულის შეცვლაზე საგრძნობლად ავიწროებდა კანდიდატთა წრეს.

1602 წელს რუსეთში ჩამოიყვანეს დანიის მეფის ძმა, სახელად

იოანე. მას საზღვარზე შეეგება რუსეთის უპირველესი დიდებული მიხეილ სალტიკოვი, რომელიც საკმაოდ დაუახლოვდა დანიელ უფლისწულს. სალტიკოვი სწერდა ხელმწიფეს: „როდესაც ვეახლებით ხელმწიფე უფლისწულს, იგი უზომოდ გვწყალობს. მაშინვე ფეხზე წამოდგება და ქუდმოხდილი გვესალმება. ჩვენ ყმები ვართ თქვენი ხელმწიფური უდიდებულესობისა და არა ვართ ასეთი პატივის ღირსი. ვუთხარით კიდეც დანიელ ელჩებს, რომ უფლისწული მოგვეპყროს ისე, როგორც ჩვენ შეგვეფერება. ელჩებმა გვიპასუხეს. უფლისწული ჯერ ახალგაზრდაა და გამოუცდელი, არ იცის მოსკოვური ადათ-წესები, დამკვიდრდება მოსკოვში, თქვენებურ ქუდს დაიხურავს და თქვენებურად მოიქცევაო". დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს მოსკოვში დანიელი უფლისწული. ძალზე ალერსიანად შეხვდნენ მას თვით ბორის გოდუნოვი და ტახტის მემკვიდრე თეოდორე ბორისის ძე. თავისი საცოლე ქსენია ჯერ არ ენახა უფლისწულს.

საქორწინო სამხედისი უკვე გაჩაღებული იყო, როდესაც სასიძოს მოულოდნელად შეეყარა ცხელება, რომელმაც სიცოცხლე მოუსწრაფა ოცი წლის ახალგაზრდას.

როგორც გადმოგვცემენ ისტორიკოსები, ბორის გოდუნოვი ძალზე განიცდიდა დანიელი უფლისწულის სიკვდილს. ქსენია სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. ბოროტი ენები ავრცელებდნენ ხმას, დანიელი უფლისწული თვით ბორისის ბრძანებით მოწამლესო. ვითომდა რუსეთის ხელმწიფე შიშობდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ თეოდორეს ნაცვლად სამეფო ტახტზე არ დაესვათ დანიელი უფლისწული, რომელსაც სულ მოკლე ხანში მასპინძელთა სიყვარული მოეხვეჭა.

ალექსანდრე პუშკინი თავის „ბორის გოდუნოვში" რამდენიმე შტრიხით გვიხატავს ქსენია ბორისის ასულის სახეს და ზემოთქმული უბედურებით გამოწვეულ განცდებს.

ქსენია კოცნის დაღუპული უფლისწულის პორტრეტს და ამბობს: ვეღარასოდეს ვეღირსები ნუგეშს, მარად შენი დამტირებელი ვიქნებიო.

დედა ამშვიდებს: ქალის ცრემლი ნამივით არის, შვილო, მზე ამოვა და გააშრობს. მალე სხვა საქმრო გეყოლება, შეიყვარებ და დაგავიწყდება შენი უფლისწული.

ქსენია ჯიუტად უპასუხებს: არა, დედიკო, მე მკვდარსაც არ

ვულალტეგბო. პოეტს არ ავიწყდება ბორის გოდუნოვის წუხილი, რუსეთის ხელმწიფე ნაღვლიანად ეკითხება თავის ასულს: რაო, ქსენია, ისევ შენს მკვდარ საქმროს დასტირი?

თანამედროვენი ქებით მოიხსენიებენ ქსენია ბორისის ასულის გარეგნობას, ვოსიერებასა და განათლებას. მათი აღწერით იგი ყოფილა საშუალო სიმაღლისა, ვარდისფერი ლოყები და თეთრი კანი ჰქონია, ტალღებივით გადმოშლილი თმა შავი ფერისა და დიდრონი შავი თვალები.

არ იშურებენ ქებას აგრეთვე თედორე ბორისის ძის მისამართით. თუმცა ის სრულიად ახალგაზრდა იყო, მაგრამ თავისი ჭკუა-გონებითა და განსწავლულობით მრავალ მხცოვანს აღემატებოდაო. ბორისმა, პირველმა რუს ხელმწიფეთაგან, ფართო განათლება მისცა ტახტის მემკვიდრეს. სპეციალისტთა მაღალ შეფასებას იმსახურებს მოსკოვის სახელმწიფოს რუკა, დახაზული თედორეს ხელით.

ამბობენ, ბორის გოდუნოვს თავისი ვაჟიშვილი გაგიჟებით უყვარდაო.

ქსენიას ბედი ისევ გაურკვეველი რჩებოდა. 1604 წელს შეუდგნენ მოლაპარაკებას გერმანელ ჰერცოგთან, მერე ნიადაგი მოსინჯეს ავსტრიასა და ინგლისში, მერე ერთმორწმუნე საქართველოსაც მიაპყრეს თვალი.

მოსკოვში იმყოფებოდა ალექსანდრე კახთა მეფის ელჩი, ბერძენი ბერი კირილე. სწორედ მისგან შეიტყო ბორის გოდუნოვმა, რომ ალექსანდრე მეფეს ჰყავდა ორი შვილიშვილი: ჩვიდმეტი წლის თეიმურაზი და თორმეტი წლის ელენე, ხოლო გიორგი ქართლის მეფეს — ათიოდე წლის ასული. კირილეს სიტყვით, ქართლ-კახეთსა და იმერეთში იყვნენ სხვა ბატონიშვილებიც, რომელთაგან დიდ ხელმწიფეს შეეძლო შეერჩია შესაფერი სასიძო თუ სარძლო.

მაგრამ კახეთში შაჰ-აბასის ელჩმა დაასწრო რუს ელჩებს. ალექსანდრე მეფეს შემოეთვალა გიორგი ბატონიშვილისათვის, ჩემი შვილიშვილები გამოგზავნე შაჰთან, თორემ სამშობლოში დაბრუნების ნებას არ მომცემსო.

კახეთის მეფის მოთხოვნა შესრულებულ იქნა.

რუსი ელჩები იმედს არ კარგავდნენ. გავიდა შემოდგომა, გავიდა ზამთარი, დადგა 1605 წლის გაზაფხული და მოსკოველ სტუმართა თვალწინ გათამაშდა საშინელი ტრაგედია: კონსტანტინე-მირზას მიერ მამისა და ძმის მკვლელობა.

ტატიშჩევი და ივანოვი სთხოვენ კონსტანტინეს თეიმურაზის გაპარახსნას ირანიდან და მამისმკვლელი პირმოთნედ უპასუხებს. „ქვენი დიდი ხელმწიფის სურვილს ვაცნობებ შაჰ-აბასს და შევეცდები თეიმურაზის დათმობას თქვენთვის, თავის მეგობარ მბრძანებელს უარს არ აკადრებსო.

ბოლოს და ბოლოს ელჩებმა დაინახეს, რომ კახეთში ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა და ქართლისაკენ აიღეს გეზი. აპრილის დამლევს ჩავიდნენ მეჯვრისხევში, სადაც დაბანაკებული იყო ქართლის მეფე გიორგი X. ტატიშჩევსა და ივანოვს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. ბერე დააბინავეს იმავე სოფელში, მეფის სადგომის მახლობლად და მოამარაგეს საჭირო სურსათ-სანოვაგით.

ქართლში პირველად ხედავდნენ რუსეთის ელჩებს.

ტატიშჩევმა და ივანოვმა გადასცეს ქართლის მეფეს ბორის გოდუნოვის წერილი...

რუსეთის ხელმწიფეს დამოყვრება სურდა ბაგრატიონთა დინასტიასთან. ამაზე უკეთეს რას ინატრებდა კაცი, მაგრამ საქმე ცოტა არ იყოს, საჭოჭმანები იყო.

ქართლის მეფემ განუცხადა რუს ელჩებს:

„თქვენი დიდი ხელმწიფის სახელი განთქმულია მთელს დედამიწის ზურგზე, ყველა სამეფოსა თუ სამთავროში. დღემდე არც მას და არც წინარე რუს ხელმწიფეებს არ გამოუგზავნიათ ელჩობა არც პაპაჩემისა და არც მამაჩემისათვის. არც ჩვენი ელჩები ჩასულან თქვენი ქვეყნის ხელმწიფესთან. ახლა დიდმა ხელმწიფემ თავისი წყალობა მომფინა და თქვენ დაგავალათ საგანგებო ელჩობა. მას სურს დამოყვრება ჩემთან, მთხოვს ჩემს ასულს საცოლედ თავისი ძისათვის. მე მგონი, დიდ ხელმწიფეს გაგონილი ექნება, თუ როგორ იცავდნენ სამშობლოს და ქრისტიანულ სარწმუნოებას პაპაჩემი და მამაჩემი ოსმალთაგან თუ ყიზილბაშთაგან. მამაჩემმა თავი დასდო ამ ბრძოლაში. ამჟამად იგი ტყვედ ჰყავთ ოსმალებს და ჩემი შვილებიც მასთან არიან. ვრჩები ჩემი წინაპრების საფლავებიან ქრისტიანული სარწმუნოების დასაცავად და როგორც შემიძლია, ისე ვუმკლავდები მაჰმადიანებს. დღემდე ხან წინააღმდეგობას ვუწევდი, ხანაც ვემორჩილებოდი და ძღვენს ვუგზავნიდი. როდესაც გავხდები დიდი ხელმწიფის ხელდებული, ძალაუნებურად უნდა განვუდგე მათ და მტრად მოვეკიდო. ამას რომ გაიგებენ, მაშინვე შემოუტევენ ჩვენს ქვეყანას. რა უნდა ვიღონოთ მაშინ?“

ელჩებმა დაამშვიდეს ქართლის მეფე, რომ რუსეთის დიდი ხელმწიფე დაიცავს თავის ხელდებულსა და მოყვარეს, არ მიატოვებს მტრის ხელში. გარდა ამისა, ირანის შაჰი ჩვენი ხელმწიფის მეგობარია და მის საწინააღმდეგოს არაფერს მოიმოქმედებსო.

მაგრამ გიორგი მეფემ ეჭვის თვალით შეხედა ნათქვამს და ელჩების დაპირება უფრო კეთილ სურვილად მიიჩნია, ვიდრე საიმედო გარანტიად.

მან უთხრა ტატიშჩევსა და ივანოვს:

„ვაი რომ, ჩვენი სამეფო ძალზე შორს არის თქვენგან და დიდი ხელმწიფის დახმარება მალე ვერ მოაღწევს. ხოლო მაჰმადიანებმა თუნდაც მეგობრად მოგაჩვენონ თავი, მათი ნდობა არ შეიძლება. თქვენ თვითონ მოგეხსენებათ ჩემზე კარგად, თუ რა ბედი ეწიათ ალექსანდრე მეფეს და გიორგი ბატონიშვილს. ხუთასი მეთოფე მაინც უნდა დამიტოვოთ, რომ აღარა მქონდეს მტრების შიში“.

მოლაპარაკება თავიდანვე ჩიხში მოექცა. ამაში არავის მიუძღოდა ბრალი, არც რუს ელჩებს და არც ქართლის მეფეს. დიახაც დიდი პატივი იყო გიორგი მეფისათვის რუსეთის ხელმწიფესთან დამოყვრება, მაგრამ იგი ფხიზლად აფასებდა შექმნილ ვითარებას. როგორც ყოველთვის, საქართველო ორ მაჰმადიანურ იმპერიას შუა იყო მოქცეული. გიორგი მეფის მამა, სახელოვანი გმირი სიმონი ოსმალებს ჰყავდათ ტყვედ, ხოლო თვით ქართლის მეფემ ძლივს დაიძვრინა თავი ყიზილბაშთა ლაშქრობიდან. იგი ხვდებოდა, რომ რუსეთს იმხანად საკმარისი ძალ-ღონე არ მოსდევდა, რათა მეტოქეობა გაეწია ირან-ოსმალეთისათვის ამიერკავკასიაში, ამიტომაც ყოყმანობდა ქართლის მეფე. იგი ყაბულს იყო, რომ რუსეთის ტახტის მემკვიდრეს ცოლად შეერთო მისი ასული, ოღონდ უბოდიშებდა ელჩებს, უასაკობის გამო ჯერჯერობით ვერ გაგატანთო.

ამასობაში ამორჩეულ იქნა საქმრო ქსენია ბორისის ასულისათვის — ოცდასამი წლის ქაიხოსრო ბატონიშვილი, ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების შტოს წარმომადგენელი.

ელჩების აღწერით, იგი იყო მოხდენილი ტანისა და ჰქონდა მიმზიდველი შესახედაობა: შავგვრემანი და სუფთა პირისახე, თაფლისფერი თვალები, თხელი და ოდნავ კეხიანი ცხვირი, წაბლისფერი თმა; მოშვებული ჰქონდა საშუალო ზომის ულვაშები, ხოლო წვერს იპარსავდაო.

ქაიხოსრო ბატონიშვილი კარგი მოსაუბრე და გონებაგახსნილი

ახალგაზრდა ყოფილა. წერა-კითხვა სცოდნია ქართულ ენაზე, ხოლო ლაპარაკი — თურქულზეც.

მერე ტატიშჩევმა და ივანოვმა „გასინჯეს“ ბორის გოდუნოვის სარძლო.

ელენე (ანუ ლელა) ბატონიშვილს ეცვა ოქროჰკედით მოქარგული ხავერდის კაბა, თავზე ეხურა მეწაბული ფერის ხავერდის თავსაბურავი, მორთული მარგალიტებითა და სხვა ძვირფასი თვლებით. ბატონიშვილს ხელმარჯვნივ ეჯდა დიდედა (მეუღლე სიმონ მეფისა) და ხელმარცხნივ — დედა, ქართლის დედოფალი. მათ ეცვათ შავი ხავერდის კაბები. ელჩებს აუხსნეს, რომ ისინი გლოვობდნენ ალექსანდრე კახთა მეფეს, რომელიც ცოლის ძმა იყო სიმონისა.

ელჩებმა მიართვეს თითოეულ მათგანს ორმოც-ორმოცი სიასამურის ბეწვი, საჩუქრად განოგზავნილი რუსეთის ხელმწიფისაგან. მანდილოსნებმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრეს ელჩებს.

ტატიშჩევი და ივანოვი აღნიშნავენ, რომ ელენე ბატონიშვილი მშვენიერი ქალწული იყო. თხელი და თეთრი სახე ჰქონდა, შავი თვალები და წითლად შეღებილი თმა. ტანწერწეტა ყოფილა, ოღონდ ძალზე გამხდარი ეჩვენათ ელჩებს (ეტყობა, მართლაც უსაკო იყო მეფის ასული).

რუსმა ელჩებმა ისევ მოითხოვეს, ბატონიშვილი მოსკოვში გაგვატანეთო. მაგრამ ქართლის მეფემ კვლავ მოიმიზეზა, რომ კიდევ სამი წელიწადი უნდა გასულიყო, სანამ ბატონიშვილი მიაღწევდა საქორწინო ასაკს. შემდეგ მან დასძინა: „ჩვენში ასეთი ჩვეულებაა, რომ სასიძოს მოციქულნი ქალის მშობლებს ორჯერ და სამჯერ ეახლებიან ხოლმე. თქვენ მხოლოდ პირველი ელჩები ხართ დიდი ხელმწიფისა...“

საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ელჩებს რუსეთში გაჰყვებოდა ქაიხოსრო ბატონიშვილი და ქართლის მეფეს ორას რუს მეთოფეს უწილადებდნენ თერგის ჯარიდან.

11 მაისს ელჩებმა დატოვეს ქართლი. ივნისის დამდეგს არაგვის საერისთაოში იყვნენ და თერგიდან მხლებელთა რაზმის მოსვლას ელოდნენ. ამასობაში შეიტყვეს, რომ ყირიმის ხანი მოდიოდა შირვანისაკენ ოსმალთა საშველად, ხოლო ლეკები დაღესტანში რუსთა მიერ აგებული ციხეების ასაღებად ემზადებოდნენ.

ტატიშჩევმა და ივანოვმა ქაიხოსრო ბატონიშვილი და ქართლის მეფის ელჩები არაგვის საერისთაოში მიატოვეს და თვითონ

თერგისაკენ დაიძრნენ. თერგის ციხეში კიდევ უფრო საშიში ამბები დაუხვდათ; მოვიდა ცნობა, რომ ოსმალებმა და ლეკებმა დაამარცხეს ბუტურლინის ლაშქარი და შვიდი ათასი ჯარისკაცი დაიღუპა თავის სარდალთან ერთად.

საქორწინო პროექტი ვიღას ახსოვდა!

ქაიხოსრო ბატონიშვილი და ქართლის მეფის ელჩები ერთხანს ელოდნენ რუს მეთოფეებს, მაგრამ არვინ გამოჩენილა და ისინიც არაგვის საერისთაოდან ქართლისაკენ გამობრუნდნენ.

ეს წელიწადი ერთობ მარცხიანი გამოდგა საქორწინო პროექტის გმირებისათვის.

ჯერ იყო და ბორის გოდუნოვმა მოულოდნელად განუტევა სული 1605 წლის 13 აპრილს (მანამდე, სანამ ქართლში ჩამოვიდოდნენ რუსი ელჩები).

რუსეთის ხელმწიფედ გამოაცხადეს თვრამეტი წლის თედორე ბორისის ძე. ასე რომ, ტატიშჩევი და ივანოვი, ფაქტიურად, რუსეთის ხელმწიფის საცოლეს ეძებდნენ და არა სარძლოს, თუმცა მათ არაფერი იცოდნენ ამის შესახებ.

ბორის გოდუნოვის მემკვიდრეს დიდხანს არ უგემია მონომახის ქუდის სიმძიმე.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გავლენიანმა ბოიარებმა ამცნეს ჯარს, რომ სამეფო ტახტის პრეტენდენტი, ცნობილი ისტორიაში ცრუ-დიმიტრის სახელით, ნამდვილად შვილი იყო ივანე მრისხანისა.

10 ივნისს ბორისის მეუღლე და თედორე ბორისის ძე მოკლულ იქნენ.

18 ივნისს ცრუ-დიმიტრი შევიდა მოსკოვში და ხელმწიფის ტახტი დაიჭირა.

ძმისა და დედის დაღუპვის შემდეგ ოცდასამი წლის ქსენია ბორისის ასული ერთხანს ხარჭად ჰყავდა ცრუ-დიმიტრის (რა თქმა უნდა, ქალის ნება-სურვილის წინააღმდეგ); მერე კი მონაზვნად აღიკვეცა და გარდაიცვალა 1622 წელს.

პუშკინის ტრაგედიების უკანასკნელი სცენა წარმოადგენს ბორის გოდუნოვის სახლს, რომელსაც გუშაგები იცავენ. ფანჯარასთან გამოჩნდებიან თედორე და ქსენია. ვიღაც გამვლელი შეავლებს თვალს და გულისტკივილით შენიშნავს: საბრალო და-ძმა, გალიაში დამწყვდეული ჩიტებივით არიანო. მეორე გამვლელი კიცხავს:

შენც გებრალება-რაღა წყეული მოდგმა! პირველი უპასუხებს: მამა იყო ავკაცი, თორემ შვილებმა რა დააშავესო. მაგრამ მეორე გამვლელი ჯიუტად დგას თავისაზე: მამა ნახე, დედა ნახეო (ბორის გოდუნოვის მეუღლე იყო ასული ავად სახელგანთქმული მალიუტა სკურატოვისა). ცოტა ხნის შემდეგ ერთი ბოიარი აცხადებს: მარია გოდუნოვამ და თედორე ბორისის ძემ თავი მოიწამლესო (სინამდვილეში ისინი დაახრჩვეს), და მოუწოდებს ხალხს, ადიდონ ახალი ხელმწიფე (ე. ი. ცრუ-დიმიტრი), მაგრამ თავზარდაცემული ხალხი დუმს.

...მალე გამოეთხოვა წუთისოფელს ქართლის მეფეც. ტახტი ლუარსაბმა დაიჭირა და ბორის გოდუნოვის სარძლო ცოლად მოათხოვეს შაჰ-აბასს.

ქაიხოსრო ბატონიშვილი ოციოდე წლის შემდეგ გიორგი საააკაძესთან ერთად გადაიხვეწა ოსმალეთში და მასთან ერთად დაიღუპა.

ტატიშჩევი და ივანოვი ჩავიდნენ მოსკოვში 1605 წლის დამლევს, და წარუდგნენ ახალ ხელმწიფეს. ცრუ-დიმიტრის, რასაკვირველია, არაფრად არ აინტერესებდა ბორის გოდუნოვის საქორწინო მისიის შედეგები.

შფოთიანი ხანა დგებოდა რუსეთში.

სიყვარული და ომი

ვის არ გაუგონია ძველი ბერძნული თქმულება მშვენიერ ელენეზე. რომელიც შეიქნა მიზეზი თუ საბაბი ტროის ათწლიანი ომისა. ანალოგიური ლეგენდები სხვა ხალხთა ისტორიაშიც მოიძებნება...

არჩილ მეფის პოემაში „ვაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ვკითხულობთ: „ამას ნუ ბრძანებთ ნურავინ, მე მისთვის რამე მეწყინოს, უარი მეთქვას რისამე, ან წყენა მე დამეჩინოს; მაგრამ ესე სწადს, საკუთრად კახეთი მან დაირჩინოს, ბაგრატიონნი გაესწყვიტოს და არსად არ მოარჩინოს“.

დამოწმებული სიტყვები ეკუთვნის თეიმურაზ პირველს და არც ის გახლავთ საიდუმლოება, თუ ვის ეწადა ბაგრატიონთა გაწყვეტა და საქართველოს დამონება. ოცდახუთი წლის განმავლობაში ლამობდა შაჰ-აბასი, სეფიანთა ირანის ყველაზე სახელგანთქმული ხელმწიფე, ქართველი ხალხის გათათრებას და ამოგდებას. ლამობდა ხან ომით და ხანაც ტკბილი სიტყვით. იპყრობდა, აოხრებდა, სწვავდა, ძარცვავდა და მაინც ვერ იმორჩილებდა დაუმორჩილებელ ქვეყანას. შაჰის მიზანი და გეგმები ნათელი იყო ყველასთვის. ტკბილი სიტყვა ვერ შენიღბავდა ბნელ გულისწადილს. მაგრამ ზემოთ მოტანილი სტროფის წაკითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თეიმურაზი ვიღაცას ეკამათებოდეს და თავს იმართლებდეს, შაჰ-აბასს ჩემგან წყენა არ ახსოვს, არაფერზე მითქვამს უარი, არაფერი დამიშავებიაო. მას ჩვენი დაპყრობა ენატრება და ჩვენს გაწყვეტას ოცნებობსო. როგორც ჩანს, თეიმურაზს საყვედურობდნენ ყიზილბაშთა მიერ საქართველოს აოხრებას. ეგებ, მართლაც მიუძღოდა კახეთის მეფეს რაღაც „დანაშაული“ შაჰ-აბასის წინაშე?

ვახუშტი და ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობენ, რომ თეიმურაზმა ცოლად შეირთო ქართლის მეფის ლუარსაბის ღვიძლი და,

სახელად ხორეშანი, შაჰ-აბასის რჩევითა და დაჟინებით. ეს ქორწინება ქრისტიანულ რჯულს ეწინააღმდეგებოდა, ვინაიდან თეიმურაზის პაპა ალექსანდრე და ხორეშანის დიდედა ნესტან-დარეჯანი და-ძმანი იყვნენ.

ფარსადან გორგიჯანიძე არაფერს ამბობს შაჰ-აბასის ჩარევაზე. მისი ცნობით, ქართული ეკლესიის მესვეურთ კრება მოუწვევიათ და დაუდგენიათ, რომ „საქრისტიანოს გაძლიერებისა და გაერთებისათვის“ ნება-დასტური მიეცათ ქართლისა და კახეთის მეფეთა დამოყვრებაზე. ქართლ-კახეთის გაერთიანება ზოგიერთ დიდებულს ჭკუაში არ დაუჯდაო, გვაუწყებს ფარსადან გორგიჯანიძე და განაგრძობს: „ყაენთან ავგვარად შეაბეზღეს და ყაენმან იწყინა და გაავგულდა“. მისი დაჟინებით რომ შეერთო თეიმურაზს ხორეშანი, საწყენი რაღა ექნებოდა შაჰ-აბასს!

ამგვარად, ფარსადან გორგიჯანიძის ნაამბობი ეჰვქვეშ აყენებს სხვა ქართული წყაროების ცნობას. თავისთავად, საეჭვო და დაუჯერებელი არის შაჰ-აბასის სურვილი ლუარსაბ-თეიმურაზის დამოყვრებისა, მათ შორის არსებული შურის აღმოსაფხვრელად (როგორც ამტკიცებენ ვახუშტი და ბერი ეგნატაშვილი). ბუნებრივია, სეფიანთა ირანის ხელმწიფეს ძმათა შუღლი უფრო აძლევდა ხელს, ვიდრე მათი ერთობა.

შესაძლოა, ასეთი კითხვაც გაჩნდეს: ქართველი ისტორიკოსები ტყუილად ხომ არ მიაწერენ შაჰ-აბასს ამ საჭოჭმანო ქორწინების ინიციატივას? ვითომდა, ჩვენი რჯულით არ ეგებოდა, მაგრამ შაჰს ასეთმა ჟინმა მოუარა და ქართველი მეფეებიც იძულებული გახდნენ, დამორჩილებოდნენო.

ეჰვს ისიც აძლიერებს, რომ უცხოური წყაროები სხვაგვარად აშუქებენ ზემოხსენებულ ეპიზოდს.

ყველაზე ვრცელი ინფორმაცია დამოწმებულია იტალიელი ისტორიკოსის ბართოლომეო ფეროს თხზულებაში, რომელიც ეყრდნობა საქართველოსა და ირანში მყოფ კათოლიკე მისიონერთა რელაციებს.

ბ. ფეროს მიხედვით, შაჰ-აბასმა აუკრძალა თეიმურაზს ლუარსაბის დის შერთვა. ხორეშანი, სახელგანთქმული თავისი მშვენებით, თვითონ მას ჩავარდნოდა გულში და ცოლად ეწადა. გააფრთხილა თეიმურაზი, თუ არ შეისმენ ჩემს ნათქვამს, იცოდე, უბედური დღე გაგითენდებაო. მაგრამ თეიმურაზმა ყური არ ათხოვა

შაჰის მეუღლარას. ახლობელი კარისკაცებიც დღენიადაგ ჩასჩიჩინებდნენ: „ამ ქალს ვერავინ შეედრება, ვერც სილამაზით და ვერც გვარიშვილობით. ნუ შეგაშინებს მოჩვენებითი საფრთხე! შაჰს ჭრავალი ცოლი ჰყავს, ხორეშანზე უკეთესებიც მოეპოვება, გულმოწყალედ შეურიგდება მის დაკარგვას და წყენას არ შეიმჩნევს“... მაგრამ შაჰ-აბასი ვერ შეურიგდა ხორეშანის დაკარგვას და ქართველ მეფეებს შემოუთვალა: სასწრაფოდ გამომიგზავნეთ ხორეშანი „განრისხებული სულის დასამშვიდებლად“, თორემ ორივე სამეფოს ავაოხრებ და თავბედს გაწყევლინებთო.

იტალიელი ისტორიკოსის ცნობას ადასტურებენ სხვა უცხოური წყაროებიც.

ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის სიტყვით, ლუარსაბის დის, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ასულის, მშვენება მრავალგზის იყო შექებული მგოსანთა მიერ. მასზე გამოთქმულ სიმღერებს ირანში დღესაც მღერიანო (ე. ი. ნახევარი საუკუნის შემდეგ). ამ სიმღერებში ასახული ყოფილა სატრფიალო რომანი ხორეშანისა და აბასისა. შარდენი წერს, შაჰ-აბასმა აუკრძალა თეიმურაზ ხორეშანზე დაქორწინება, მაგრამ ვერაფერს გახდაო.

იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე აღნიშნავს, რომ თეიმურაზმა ცოლად შეირთო ხორეშანი შაჰის ნება-სურვილის წინააღმდეგ და ამ ქორწინების შემდეგაც შაჰ-აბასი ჯიუტად მოითხოვდა ხსენებულ ქალის წარგზავნის ისპაანში. მაგრამ თეიმურაზმა მოუბოდიშა, ქრისტიანული რჯული და პირადი ღირსება ნებას არ მაძლევს, საკუთარი ცოლი სხვას დავუთმოო.

შაჰ-აბასის პრეტენზიებს ხორეშანის მიმართ გადმოგვცემს აგრეთვე სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი.

უცხოური წყაროების მოწმობას ეთანხმება ერთი ქართული დოკუმენტური წყარო, სახელდობრ — იმერეთის მეფის წერილი რუსეთის ხელმწიფისადმი (1618 წ.), რომელშიც აღნიშნულია, რომ შაჰ-აბასი სთხოვდა თეიმურაზს ცოლის დათმობას და ემუქრებოდა, თუ იუარებ, საქართველოზე გამოვილაშქრებო.

...„წაიღო შენმა სიყვარულმა გული და სული“, — ეკითხულობთ შაჰ-აბასის ერთ სამეჯნურო ლექსში (დიახ, ლექსებსაც წერდა მრისხანე ხელმწიფე მოცალეობის ჟამს). ვინ იცის, ეგებ სწორედ ხორეშანს მიუძღვნა მგზნებარე სტრიქონები სეფიანთა ირანის მბრძანებელმა. ცოლები არ აკლდა, თვით ხორეშანის უფროსი დაც

ჰყავდა ჰარამხანაში, მაგრამ მისი ვნებიანი გული, ალბათ, ათას სიყვარულს დაიტევდა.

პიეტრო დელა ვალე, რომელიც პირადად იცნობდა შაჰ-აბასს, სკეპტიკურად უყურებს მის ტრფობას ხორეშანისადმი და თვალთმაქცობად მიაჩნია მისი უზომო აღშფოთება ხელმოცარული მიჯნურობის გამო. აბასი იმდენად ახალგაზრდა აღარ არის, რომ სიყვარულის ცეცხლი ასე მოეკიდოსო და არც ქალი უნდა იყოს ჭკუიდან ისე შერყეული, რომ ხანშესული და მრავალცოლიანი შაჰმადიანი ამჯობინოს ქრისტიან და ახალგაზრდა თეიმურაზს, ვის ხელშიც იქნება ერთადერთი ცოლი და ერთადერთი დედოფალიო. იტალიელ მოგზაურს ვერ დაუჯერებია, რომ შაჰს მართლაც ჰქონდა ხელთ ხორეშანის წერილები, როგორც საბუთი ორმხრივი სიყვარულისა. შაჰის შელახული თავმოყვარეობა მხოლოდ საბაბია იმისათვის, რომ ლუარსაბისა და თეიმურაზის სამფლობელოებს წაეპოტინოსო.

შარდენსაც ეუცხოება შაჰ-აბასი გახელებული მიჯნურის როლში. ფრანგი მოგზაურის სიტყვით, შაჰი ამტკიცებდა, ქალსაც ვუყვარვარ, წერილებს ვწერდი და პირობა ჰქონდა მოცემულიო. შარდენი მოგვითხრობს ყიზილბაშთა ლაშქრობას საქართველოზე და დასძენს: „ხელმწიფე ამ ომს უყურებდა როგორც სამიჯნურო ინტრიგას", მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ სიყვარულში გამარჯვებულ მეტოქესთან ანგარიშსწორება როდი იყო შაჰის მიზანი, არამედ — საქართველოს დაპყრობა. თავის სამიჯნურო მარცხს შაჰ-აბასი ომის საბაბად იყენებდაო.

დელა ვალეც ამბობს, სხვა საბაბი ომისა არა ყოფილა, რადგანაც თეიმურაზი შაჰ-აბასს გულწრფელად მეგობრობდა და პატივს სცემდაო. საჭირო შეიქნა საბაბის პოვნა და რა იქნებოდა იმაზე მზაკვრული, რომ ქრისტიანი მეფისაგან ცოლის დათმობა მოეთხოვაო. დელა ვალეს შეხედულებით, შაჰი დარწმუნებული იყო, რომ თეიმურაზი ზურგს შეაქცევდა შეუწყნარებელ ბრძანებას, თუნდაც თავისი სამეფოსა ან საკუთარი სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა ურჩობა.

ძნელი სათქმელია, მართლაც ასე ფიქრობდა თუ არა შაჰ-აბასი. რა თქმა უნდა, მას კარგად მოეხსენებოდა ქრისტიანული რჯულის წესები და კანონები, ცოლ-ქმრული კავშირის სიწმინდეს რომ ეხებოდა. მაგრამ მეორე მხრივ, თავისი განუსაზღვრელი ძალაუფლების შეგნება, ალბათ, ავიწყებდა ყველაფერს, რაც იცოდა. თავისი ღვთაებრივი სურვილის წინაშე უმწეო დაბრკოლებად მოეჩვენებოდა სხვისი წესი და ღირსება.

ერთობ საგულისხმო ამბავს გადმოგვცემს „კალმასობაში" იოანე ბატონიშვილი. შაჰ-აბასი ეკითხება ირანში გადახვეწილ ქართველ დიდებულს: „უკეთუ ვინმე თქვენგანმან მისტაცოს ვისმეს ცოლი, ვითარ დასჯის მას სჯული თქვენი?" და პასუხად ესმის, რომ ასეთი კაცი იმსახურებს სიკვდილს, ხოლო მიმული და საცხოვრებელი მისი უნდა აოხრდეს. პასუხით კმაყოფილი შაჰ-აბასი ხმამაღლა გაცხადებს თავის აღშფოთებას: აბა განსაჯეთ, თქვენივე რჯულის თანახმად იმსახურებს თუ არა სასჯელს თეიმურაზიო. იმას როდი ამბობს, თეიმურაზს ცოლის წართმევა დავუპირეო, არამედ გადაჭრით ამტკიცებს, თეიმურაზმა ცოლი წამგვარაო! როგორც ჩანს, შაჰ-აბასი თავის მორიგ ცოლად თვლიდა ქალს იმ წუთიდან, როდესაც ოვალს დაადგამდა. მისი მოწონებული ქალი დიახაც ხელშეუხებელი ხდებოდა მისი ქვეშევრდომებისათვის. ალაჰის გარდა ვიღას შეეძლო ხელმწიფის ლტოლვა ჩაეხშო. ხოლო ქართველი მეფეების საქციელი წარმოადგენდა გაუგონარსა და არნახულ ურჩობას. თავის ყურმოჭრილ ყმებად მიაჩნდა ისინი. მტკიცედ სჯეროდა, რომ შაჰის ბრძანებას უყოყმანოდ შეასრულებდნენ და ერთი ქალი რა სათქმელია, მთელი გურჯიატანის რჩეულ ქალებს მიჰგვრიდნენ ისპაანში ჰარამხანის დასამშვენებლად. ყველას შეელეოდნენ, ცოლი იქნებოდა თუ შვილი, ოღონდ მოელბოთ ხელმწიფის გული.

საუცხოო საბაბი იგდო ხელთ და მეტიც აღარ უნდოდა. სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, შაჰმა დაასკვნა, რომ ლუარსაბი და თეიმურაზი „უვიცობისა და სიამაყის ცხენზე შემჯდარან, ბედის სილის გარტყმა ჯერ არ უგემიათ, უბედურების მასწავლებელ: მათთვის დარიგების მომსმენი ყური დასჯის ხელით არ აუწევია ჭკუის სასწავლებლად".

1613 წლის 16 ოქტომბერს შაჰ-აბასი თავისი ლაშქრით დაიძრა ისპაანიდან საქართველოსაკენ. რა იცოდა სეფიანთა ირანის მბრძანებელმა, რომ თითქოს თორმეტი წელიწადი გასტანდა მისი ომი ქართველი ხალხის წინააღმდეგ და ტროის ომზე სისხლისმღვრელი გამოდგებოდა, მაგრამ მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, ვერც ჰშვენიერ ხორეშანს დაეპატრონებოდა და ვერც საქართველოს დაიმორჩილებდა.

მ ა რ ი უ ჩ ა

„მოსრნა, მოსტყვევნა, აჰყარნა და მოაოხრნა", — ასე ვადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი შაჰ-აბასის შემოსევას კახეთში (1616 წ.); რომაელთა აფორიზმივით ლაკონიურ ფრაზაში ჩატეულა უთვალავი ვაება და მოთქმა, სისხლისა და ცრემლის მდინარეები, ათასობით ადამიანთა ტკივილი და ტანჯვა, ქართველი ხალხის მეხსიერებაში საუკუნოდ აღბეჭდილი იარა.

თვით სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, ისლამის გაჩენის დღიდან არ გაგონილა ასეთი ხოცვა-რბევა და ძარცვა, ნგრევა ქვეყნისა და გავერანება სახლებისა, რაც თავს დაატყდათ კახეთის ქრისტიანებსო. ისქანდერ მუნში ამ ტრაგედიის ზუსტ ციფრებსაც გვაწვდის. მისი ანგარიშით, მოკლულთა რიცხვი სამოცდაათი ათასს სჭარბობდა, ხოლო ტყვე ქალ-ვაჟნი ასი ათასზე მეტი იქნა აღწერილი.

კარგი არაფერი ელოდათ ტყვედ წაყვანილ ქართველებს უცხო მხარეში. რჩეულნი და იღბლიანნი ავსებდნენ ყიზილბაშთა ჰარამხანებსა და ლაშქარს. კიდევ უფრო მწარე იყო დანარჩენთა ხვედრი.

მაგრამ ყველაზე უჩვეულო თავგადასავალი წილად ხვდა ერთ ქართველ ქალს, რომელიც ჩვენში თინათინ წიბას (ანუ ციბას) სახელით არის ცნობილი.

რომელი ქართული გვარის შემოკლებულ ფორმას წარმოადგენს გამოჩენილი იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს წიგნის ფურცლებზე დამოწმებული „Ziba"? იტალიელი მკითხველისათვის ეს მართლაც „ციბა" ანდა „ძიბა" უნდა იყოს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ წავიკითხოთ, როგორც „ზიბა", ვინაიდან ქართული სახელების გადმოცემისას (მაგალითად: ზურაბი, ზაქარია) იტალიელი ავტორები, და მათ შორის დელა ვალეც,

ყენებენ იმავე თანხმოვანს (Z), რომელიც იტალიურ ენაში მხოლოდ „ძ-ც“ ბგერათა გამომხატველია.

ერთი იქნება, მეორე თუ მესამე, შესაბამისი ქართული გვარი მაინც არა ჩანს; თუმცა საეარაუდო ვარიანტების წრე საკმაოდ შემოფარგლულია, თუკი ვენდობით ავტორს, რომელიც გვარწმუნებს (და როგორ არ ვირწმუნოთ!), რომ ეს ქართველი ქალი კახეთის სამეფოს ცნობილი და კეთილშობილი გვარისა იყო.

ნუთუ ასე გადაასხვაფერა პიეტრო დელა ვალემ ქართული გვარი, რომ ვეღარ დაგვიდგენია მისი ნამდვილი ეღერადობა? საერთოდ, იტალიელ მოგზაურს იშვიათი სიზუსტით გადააქვს ქართული საკუთარი სახელები თავის მშობლიურ ენაზე (განსხვავებით იტალიელი მისიონერებისაგან), რამდენიმე ქართულ სიტყვასაც იცნობს და, სხვათა შორის, ისიც კი იცის, რომ ქართველები ამბობდნენ „სამეფო კარს“ და არა „სამეფო ეზოს“, როგორც ევროპულ ენებშია მიღებული.

შესაძლოა თინათინ და ზიბა ნიშნავდეს თინათინ ზიბას ასულს, მაგრამ აქაც ბუნდოვანია პასუხი. ასე რომ, ამოცანა ჯერჯერობით ამოუხსნელი რჩება...

თინათინის ცხოვრების რამდენიმე საინტერესო ეპიზოდს მოგვითხრობს თვით პიეტრო დელა ვალე თავის ცნობილ წიგნში „მოგზაურობანი“.

1617 წლის დამდეგს იტალიელი მოგზაური ჩავიდა ისპაანში. თან ახლდა მეუღლე, სირიელი ქრისტიანი, სახელად მაანი. სეფიანთა ირანის სატახტო ქალაქში იმავე წლის გაზაფხულზე გაიცნეს სამი ქართველი ქალი (ალავერდელი მიტროპოლიტის დები) და ძლიერ დაუახლოვდნენ.

ამ ქალებმა სთხოვეს პიეტროს, მხურვალე ქრისტიანსა და ყველა ქრისტიანის კეთილისმყოფელს, თავშესაფარი მიეცა პატარა ქართველი გოგოსთვის, რომელსაც მამა დაეღუპა ყიზილბაშებთან ომში შაჰ-აბასის შემოსევისას, ხოლო დედა — ირანში გადმოსახლების შემდეგ. დარჩა პატარა თინათინი უდედმამოდ უცხო მხარეში, პატრონი და მშველელი აღარავინ ჰყავდა. მიტროპოლიტის დები მისი შორეული ნათესავები იყვნენ, მაგრამ უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილთ და ყოველგვარ უფლებას მოკლებულთ მისი დაცვა-შენახვა არ ძალუძდათ. ხოლო პიეტრო დელა ვალე, რომის ეკლესიის არაოფიციალური დესპანი, სტუმარი იყო შაჰ-

აბასისა და არა ქვეშევრდომი. ასე რომ მის ოჯახში დაბინავებულ გოგონას ხელს აღარ ახლებდნენ შაჰისა თუ რომელიმე წარჩინებული ყიზილბაშის ჰარამხანაში წასაყვანად.

პიეტრო და მისი მეუღლე სიამოვნებით დათანხმდნენ მიტროპოლიტის დების წინადადებაზე და გადაწყვიტეს აღეზარდათ თინათინი, რომელიც ამ დროს სულ შვიდი წლისა იყო. ქალბატონმა მაანიმ მას საალერსო სახელი შეარქვა — მარიუჩა (ეს იგივეა, რაც ქართულში „მარიკა“ ან უფრო უკეთ „მარიკელა“). „მარიუჩა, პატარა ქართველი ფანჩულა“, — ასე მოიხსენიებს თინათინს პიეტრო დელა ვალე იმდროინდელ თავის წერილებში („ფანჩულა“ იტალიურად ნიშნავს გოგონას შვიდიდან თორმეტ წლამდე).

იზრდებოდა მარიუჩა პიეტროსა და მაანის ოჯახში, როგორც მათი შვილობილი, არ აკლდა მოვლა-პატრონობა და სიყვარული.

ძიძა ქართველი ჰყავდა მარიუჩას. პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, ეს იყო მშვენიერი ქალიშვილი, სახელად მარინე, რომელსაც ეცვა ნამდვილი ქართული ტანსაცმელი, იცოდა წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე და აღზრდა-განათლება თავის სამშობლოში სამეფო კარზე ჰქონდა მიღებული.

ასევე ქართველი იყო პიეტროს ოჯახის დიასახლისი, სახელად მზისთანდარი — დაახლოებით ორმოცი წლის ქალი, მხნე, ცოცხალი, კარგი შესახედაობისა; მეტად ძვირფასი პიეტროსა და მისი მეუღლისათვის თავისი ხასიათითა და ქცევით; უძვირფასესი მარიუჩასთვის, ვინაიდან ამ ქალს დედამისის სახელი ერქვა და ალბათ უწევდა კიდეც დედობას დაობლებულ ქართველ გოგონას (თვით მაანი მხოლოდ თორმეტი წლით იყო უფროსი მარიუჩაზე და, ცხადია, დობილად უფრო შეეფერებოდა, ვიდრე დედობილად).

შემდგომში მზისთანდარს თავისი დაკარგული შვილების ადგილსამყოფელი შეუტყვია და წასულა მათთან, ხოლო მარინე ცოლად გაჰყოლია ირანში გადასახლებულ ქართველს.

1621 წლის დამლევს იტალიელ მოგზაურს დიდი უბედურება დაატყდა თავს.

ქალაქ მინაბში იმყოფებოდნენ. ჭაობებით გარშემორტყმული ეს ქალაქი მდებარეობდა სამხრეთ ირანში, ნავსადგურ ბენდერ-აბასის მახლობლად. ქალბატონ მაანის ავი ციება შეჰყრია და

ველარ გამოკეთებულა. ავად გამხდარა მისი ძმაც, სახელად აბდულა, ლოგინად ჩავარდნილა მარიუჩაც.

მარტოდმარტო იჯდა პიეტრო მომაკვდავ მეუღლესთან და ხედავდა, როგორ ქრებოდა მის თვალწინ უსაყვარლესი არსება. უმწეოდ უსმენდა მაანის უკანასკნელ სიტყვებსა და უკანასკნელ ამოსუნთქვას. მარტორობა უჭირდა, ვინმე უნდოდა ხმის გამცემი, ვინც გაიზიარებდა მის სასოწარკვეთას, ვის თვალებშიც იმავე წუხილს ამოიკითხავდა. დაუძახა აბდულას და მარიუჩას. სნეულებისაგან ღონეწართმეულმა აბდულამ ვერ შეძლო თავის დასთან გამოთხოვება. მარიუჩამ კი მაშინვე მოირბინა, თუმცა ძლიერ გაუჭირდა ლოგინიდან წამოდგომა ავადმყოფს. გულსაკლავად ქვითინებდა და ავი ციებით შეპყრობილი კანკალებდა. როგორც ლოგინში იწვა, ისე გამოქცეულიყო, სახელდახელოდ მარტო ზეწარი შემოეხვია ტანზე.

ანთებული სანთელი მარიუჩას ეჭირა ხელში, პიეტრო შესაფერის ლოცვებს კითხულობდა, ხოლო ქალბატონი მაანი შორდებოდა საწუთროს. ხუთშაბათი იყო, 30 დეკემბერი.

გათენებამდე ორი საათით ადრე, პიეტროსა და მარიუჩას მკლავებზე დალია სული ოცდასამი წლის მაანიმ.

უკვე აღარაფერი აკავებდა მწუხარებას და უხვად გადაუხადა პიეტრომ თავის მეუღლეს უკანასკნელი ხარკი — ცრემლი და გოდება. ადამიანური სისუსტე ასეთ დროს აღარ ძუნწობსო, მწარედ შენიშნავს იტალიელი მოგზაური იმ წერილში, სადაც აღწერილია მაანის უკანასკნელი ღამე.

ოცდასამი წლის სირიელმა ქალმა თერთმეტი წლის ქართველი შვილობილი საყვარელ მეუღლეს ჩააბარა. პიეტრომ შეჰფიცა, რომ ყოველთვის უპატრონებდა მარიუჩას, ჭირშიც და ლხინშიც მასთან იქნებოდა, პირნათლად შეასრულებდა მაანის ანდერძს...

ცოტა ხნის შემდეგ მარიუჩას ცხოვრება მიადგა გზაჯვარედინს და პატარა ქართველ გოგონას თვითონ უნდა აერჩია თავისი მომავალი.

პიეტრო დელა ვალე დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ამბავს.

1622 წლის ივნისი იდგა. უკვე ხუთი წელიწადი იყო გასულ, რაც ირანში იმყოფებოდა იტალიელი მოგზაური. მან კარგად იცოდა საქართველოს აოხრების ისტორია. იცოდა ისიც, რომ შირაზში მძეულად ჰყავდათ „დედა სახელგანთქმული ქართველი მეფის

თეიმურაზისა" — ქეთევან დედოფალი, რომელიც შეურყეველი სიმტკიცით ინარჩუნებდა თავის სარწმუნოებასა და ქართველობას.

შირაზში ჩასულ პიეტროს დიდი სურვილი ჰქონდა, გაეცნო მისი რომელიმე მხლებელი და ხმა მიეწვდინა ქართველი დედოფლისათვის, რამენაირად გაერღვია უხილავი ციხის კედლები, შაჰ-აბასის საპატიო ტყვეს რომ ჰქონდა გარშემორტყმული. საქართველოდან ესოდენ დაშორებულ შირაზის პროვინციაშიც კი მოკლებული იყო თავისუფლებას ქეთევან დედოფალი და ამიტომაც წერს იტალიელი მოგზაური, არ ვიცი რა ვუწოდო, გადმოსახლებული თუ ტუსაღიო.

ბედმა გაუღიმა პიეტროს. აუხდა: ეძიებდე და ჰპოვებდეო. ერთ მშვენიერ დღეს ქალაქ შირაზის ქუჩებში სეირნობდა. ბოლოს თერძის დუქანს ესტუმრა ტანსაცმლის შესაკვეთად და უცებ დაინახა, რომ იმავე დუქანში შემოვიდა ვიღაც დარბაისელი კაცი. თუმცა იგი თურქულად და სპარსულად ლაპარაკობდა, პიეტრომ მყისვე მიიჩნია ქართველად, რადგანაც უცნობს თავზე ეხურა წოწოლა ბუხრის-ქუდი და მოგრძო წვერი ჰქონდა მოშვებული, როგორც ქრისტიან სასულიერო პირთ. პიეტროს მოულოდნელად გაუელვა თავში, ეს დარბაისელი კაცი უნდა იყოს ის ერთადერთი ქართველი მღვდელი, რომელიც ქეთევან დედოფალთან იმყოფებაო. გამოჰკითხა თერძს უცნობის ვინაობა და ზედმიწევნით დაუდასტურდა ვარაუდი. შემდგომში ისიც შეიტყო, რომ მას ერქვა „ხუცესი გიორგი", თუმცა კარისკაცად უფრო ჩაითვლებოდა, ვიდრე ხუცესად, ვინაიდან იყო დედოფლის სუფრაჩი და მოურავი (სხვათა შორის, ხუცეს გიორგის იცნობენ ქართული წყაროებიც. იგი მოხსენიებულია თეიმურაზ პირველის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა" და ბერი ეგნატაშვილის საისტორიო თხზულებაში).

იტალიელმა მოგზაურმა ხელიდან არ გაუშვა მარჯვე შემთხვევა, მაშინვე დაეწია ქუჩაში გასულ უცნობს და შეაჩერა. მაგრამ ხალხმრავალ ადგილას ვეღარ გაბედა თავის გუნებაზე გამოსაუბრება; იცოდა, რომ მაჰმადიანები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ქეთევან დედოფლის მხლებლებს, მხოლოდ მიესალმა და მიახვედრა, ქრისტიანი ვარო. გამოთქვა სურვილი, რომ სხვა დროს შეხვედროდნენ ერთმანეთს, უფრო მოხერხებულ და მყუდრო გარემოში. თავაზიან უცხოელს ქართველმა ხუცესმა არანაკლებ გული-

თადი სიტყვებით უპასუხა, როდესაც მოისურვებთ და სადაც ინებებთო.

დათქმული შეხვედრა შედგა 27 ივნისს. ხუცესი გიორგი დილაადრიან ეწვია პიეტროს. მასპინძელმა სუფრასთან მიიპატიჟა სტუმარი, მაგრამ უარი მიიღო. ქართველებს უკვე დაწყებოდათ პეტრე-პავლობის მარხვა, თანაც დილის ლოცვები ვერ მოესწრო სტუმრად წამოსულ ხუცესს. ასე რომ, არც საჭმელს გაეკარა, არც სასმელს. სამაგიეროდ დიდხანს დარჩა ახალგაცნობილ მოყვასთან. ბევრი რამ უამბო მასპინძელს, რომელსაც ყველაფერი აინტერესებდა საქართველოსა და ქართველების შესახებ. დაუდასტურა, რაც უკვე ჰქონდა გაგონილი პიეტროს, სახელდობრ: ლუარსაბ მეფის სიკვდილით დასჯა და თეიმურაზის შვილების ლევანისა და ალექსანდრეს დასაჭურისება. პიეტრომ ისიც შეიტყო, რომ ეს საზარელი ამბავი ჯერ კიდევ არ იცოდა ქეთევან დედოფალმა, ამ ბიჭუნების დიდედამ. თურმე უმალავდნენ, უფრო მეტად რომ არ დაემწუხრებინათ ისედაც გაუბედურებული და დატანჯული ხანგრძლივი ტყვეობით.

ხუცეს გიორგის სიტყვით, ოცამდე კაცი და ქალი ახლდა დედოფალს შირაზში, ყველანი — ქრისტიანი ქართველები. სახლში ბევრი წიგნები ჰქონდათ, ჯვრები და ხატები. ამ ხატების ნაწილი თავის დროზე სამშობლოდან წაეღოთ, ნაწილიც ირანში შეეგროვებინათ — ზოგი ეყიდათ მაჰმადიანთაგან (საქართველოსა და ჰორმუზში ნაალაფევი), ცოტაოდენიც ნაჩუქარი იყო.

ხუცესმა გიორგიმ ამცნო პიეტროს, ტყვე დედოფალს ურიგოდ არ ეპყრობიანო. გამოირკვა, რომ არაფერი აკლდათ არც მას და არც მის მხლებლებს. აღარ იყვნენ ისე შევიწროებულნი, როგორც პირველ ხანებში. თურმე თავის ნებაზე დაიარებოდნენ ქალაქში და ზოგჯერ — ქალაქგარეთაც, ერთი-ორი დღის სავალზე.

თვით ხუცესი გიორგი, როგორც ხელოვანი მებაღე, რამდენჯერმე გაუგზავნია ისპაანში შირაზის ხანს (წარმოშობით ქართველს, იმამყული-ხან უნდილაძეს). პიეტრო დელა ვალე შენიშნავს, ბაღების მოვლა-გაშენებაში ქართველები უფრო გამოცდილნი არიან სპარსელებზეო.

საქართველოსა და თეიმურაზის შესახებ არაფერი ვიცით. იქიდან არც კაცი მოსულა ოდესმე და არც წერილი; რაც გაგვიგია,

ისევ მაჰმადიანთაგან გაგვიგიაო, არწმუნებდა იტალიელ მოგზაურს ქართველი ხუცესი.

პიეტრომ გაიფიქრა, მიმალავსო; არ უნდა, ახალგაცნობილს თავიანთი უდიდესი საიდუმლოებანი გაუმჟღავნოსო. მეტი ნდობა მოსახვეჭად ჩამოუთვალა თავისი ქართველი მეგობრები, ესპაანში, რომ ჰყავდა. აღმოჩნდა, რომ ხუცესი გიორგი ყველას იცნობდა, მათ შორის — ალავერდელი მიტროპოლიტის დებს: ნესტან-დარეჯანს, თინათინსა და მარიამს. უამბო პიეტროს, რომ ცოტა ხნით ადრე შირაზში ჩამოსულა ნესტან-დარეჯანის მეუღლე ზაქარია (პიეტრო მათი შვილების ნათლია იყო), რათა წაესვენებინა ჰორმუზის ომში დაღუპული ქვისლის ნაზარბეგ ჩერქეზის ცხედარი.

ხუცესი გიორგი იცნობდა ესპაანში მყოფ კათოლიკე მისიონერებსაც. თურმე ყოველთვის ეხმარებოდნენ ისინი გაჭირვების კლანჭებში მოქცეულ ქართველებს, რითაც დიდი ქება და სიყვარული დაუმსახურებიათ.

პიეტრომ აუხსნა სტუმარს თავისი ვინაობა; აუწყა, თუ რომელი ქვეყნიდან იყო, რა მიზნით მოგზაურობდა აღმოსავლეთში და ბოლოს სთხოვა, რომ მისი მოწიწებული მოკითხვა გადაეცა ხუცესს ქეთევან დედოფლისათვის. ძალიან კარგად ვიცი, ამბობდა პიეტრო, რამდენი ტანჯვა გადაიტანა მთელ ქართველ ხალხთან ერთად დედოფალმა მაჰმადიანთაგან, სულითა და გულით თანაუგრძნობ, მზად ვარ საშსახურად და როცა საჭირო გახდება, არ დავზოგავ არათუ ჩემი მცირეოდენი გაელენის ნაშთს, არამედ თვით სიცოცხლესაც, მისი ყოველი ბრძანების შესასრულებლადო.

პიეტრომ ხუცეს გიორგის დაბარა დედოფალთან, რომ იტალიაში დაბრუნებას აპირებდა კონსტანტინოპოლის გზით და ალბათ შეხვდებოდა მის შვილს თეიმურაზ მეფეს და ღირსეულ პატივს მიაგებდა (თეიმურაზი ამ დროს ოსმალეთში იმყოფებოდა). შემდეგ დასძინა, ძლიერ მსურს, ერთხელ მაინც შევავლო თვალი საქართველოს რომელიმე კუთხესო.

ეს განზრახვა პიეტრომ ვერ განახორციელა. მას მოუხდა თავისი მარშრუტის შეცვლა და ოსმალეთის მაგივრად ინდოეთისაკენ აიღო გეზი, იქიდან კი ზღვით დაბრუნდა ევროპაში. ასე რომ, საქართველოს მიწაზე ფეხი არ დაუდგამს გამოჩენილ იტალიელ მოგზაურს.

საუბრის დასასრულს პიეტრომ სთხოვა ხუცეს გიორგის, რომ

ეუწყებინა დედოფლისათვის შემდეგი: „ჩემთან იმყოფება თინა-თინ დი ზიბა, დედოფლის თვისტომი და ქვეშევრდომი, შვილი იმ მშობლებისა და ჩამომავალი იმ კეთილშობილი გვარისა, მისი უდიდებულესობა ჩემზე უკეთ რომ იცნობს".

ამასობაში მარიუჩაც დაბრუნდა შინ. იგი მაშინვე გამოელაპარაკა ქართველ ხუცესს მშობლიურ ენაზე და დიდი ცერემონიებით მოიკითხეს ერთმანეთი, შენიშნავს პიეტრო დელა ვალე.

მარიუჩამ მოუთხრო სტუმარს მთელი თავისი თავგადასავალი ირანში გადმოსახლების შემდეგ.

პიეტრო და ხუცესი გიორგი შეთანხმდნენ, რომ მარიუჩა უახლოეს ხანში ეახლებოდა ქეთევან დედოფალს.

თვეზე მეტი გავიდა და ხუცესი გიორგი, ოითქოს მიწამ ჩაყლაპაო, აღარსად ჩანდა. თურმე ქალაქგარეთ წაეყვანა შირაზის ხანს, თავის სამხედრო ბანაკში. დაბრუნებისთანავე მოვიდა პიეტროსთან და აცნობა, რომ დედოფალი მოუთმენლად ელოდება მარიუჩას ნახვას.

და მარიუჩაც იმავე დილით გაეშურა სტუმრად სახელოვან ქართველ დედოფალთან.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ მოეფერებოდა ქეთევანი დაობლებულ მარიუჩას. ცრემლი მოადგებოდა თვალებში იმის გაფიქრებაზე, რომ ირანი სავსე იყო ასეთი ობლებით. რასაკვირველია, თავისი შვილიშვილებიც წარმოუდგებოდა თვალწინ, დიდ ხნის უნახავი შვილიშვილები.

ქეთევან დედოფალს მშვენივრად ახსოვდა, ვისი შვილიც იყო ეს გოგონა და ისიც ახსოვდა, რომ არა მარტო მისი მამა, არამედ ყველა წინაპარი ქართველი მეფეების განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა.

დედოფალმა დაწვრილებით გამოკითხა მარიუჩას მისი აღმზრდელის ვინაობა. ისიც აინტერესებდა, თუ ვინ იყვნენ პიეტროს ქართველი მეგობრები ისპაანში. თვითონაც ბევრი რამ უამბო, მეტწილად თავისი უბედურებანი და ქართველი ხალხის ტრაგედია.

პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, დედოფალი ესოდენ სერიოზულ თემებზე ესაუბრებოდა მარიუჩას მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ თორმეტი წლისა იყო. ალბათ შენიშნა მისი თავმდაბლობა და მოსმენის უნარიო.

ერთხელ ასე ისაუბრეს და მერე დედოფალმა ბრძანება გასცა, ბაღში გაესეირნებინათ მარიუჩა, გაერთოთ და გაემხიარულებიხათ.

როდესაც სადილობის დრო დადგა, დედოფალმა თავის სუფრაზე მიიწვია პატარა სტუმარი. იქვე იყო დედოფლის ნათესავი, არცთუ ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ შენახული ქალი, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ ხელმეორედ გათხოვილა შაჰის სამსახურში დაწინაურებულ ერთ ქართველ დიდებულზე და მისდევდა ახალი სარწმუნოების წესსა და რიგს, მაგრამ ქეთევან დედოფალი თავს ისე აჩვენებდა, ვითომდა ვერაფერს ვამჩნევო. ამ ქალს ორი შვილი ჰყავდა პირველი ქმრისაგან. მისი ულამაზესი ასული, უკვე გასათხოვარი ასაკისა, შაჰის ბრძანებით დანიშნული იყო ვიღაც გამაჰმადიანებულ ქართველსა თუ ჩერქეზზე და მოურიდებლად აქებდა და ადიდებდა მაჰმადიანობას დედოფლის წინაშე. ხოლო მისი ძმა, ცოტათი უმცროსი მარიუჩაზე, მუდმივად იმყოფებოდა ქეთევან დედოფალთან, როგორც მისი აღზრდილი და სუფრაზე ემსახურებოდა ხოლმე.

სადილობისას და-ძმას შორის იფეთქა კამათმა სარწმუნოების შესახებ. პიეტროს ოჯახში ამ თემაზე თავისუფლად მსჯელობდნენ. მარიუჩაც მიჩვეული იყო დაუფარავ ლაპარაკს, ამიტომაც არ შემკრთალა, თამამად ჩაება კამათში, მაშინვე ვაჟის მხარე დაიჭირა, გაბედულად შეუტია გამაჰმადიანებულ ქალიშვილს და როგორც პიეტრო დელა ვალე წერს: „მასხრად აიგდო მაჰმადიანობა იმ სიტყვებითა და გამოთქმებით, რაც აქ არის გავრცელებული ქრისტიანთა შორის".

დედოფალმა ბევრი იცინა ამ პაექრობაზე და ძალიან კმაყოფილი დარჩა თავისი პატარა სტუმრის აღზრდა-განათლებით. მერე კი ცალკე გაიხმო მარიუჩა და გააფრთხილა, რომ ურჯულოთა ქვეყანაში საჭირო არ იყო ასეთი გულახდილობა. მან მაგალითად უჩვენა თავისი ქცევა: დედოფალი ვარ, ყველა ესენი ჩემი ქვეშევრდომებია და თუმცა ვხედავ, რომ ზოგიერთი გამაჰმადიანდა ღა ჩემს თვალწინ ურცხვად აღიარებს სარწმუნოების გამოცვლას, არათუ აღშფოთებას გამოვხატავ, ხმასაც არ ვიღებ და მოთმინებით ვიტან, რადგან უცხოეთის ტყვეობაში მყოფს სხვა გზა არა მაქვსო.

მთელი დღე დაჰყო მარიუჩამ დედოფალთან და გვიან საღამოს დაბრუნდა შინ.

კიდევ რამდენჯერმე განმეორდა მისი ვიზიტი და ქეთევან დედოფალი მუდამ სიყვარულითა და ალერსით ხვდებოდა დაობლებულ ქართველ გოგოხას.

მაანის სიკვდილის შემდეგ პიეტრო, როგორც ჩანს, აპირებდა მარიუჩას დატოვებას ქართველ დედოფალთან, მაგრამ თვით მარიუჩას სხვანაირად ჰქონდა გადაწყვეტილი გულში თავისი მომავალი.

პიეტრო დელა ვალე ინდოეთისაკენ მიემგზავრებოდა, იქიდან კი სამშობლოში უხდა დაბრუნებულიყო.

დედოფალმა ჰკითხა მარიუჩას, იტალიაში გაჰყვები შენს აღმზრდელს თუ ჩემთან გირჩევნია დარჩენაო.

პიეტრომ თვით მარიუჩას ნება-სურვილს მიანდო მისი არჩევანი.

მარიუჩამ დიდი მადლობა გადაუხადა ქეთევან დედოფალს და განუცხადა, ირანში დარჩენას რომ ვაპირებდე, თქვენთან ყოფნა ყველაზე უკეთესი ხვედრი იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ სანამ ქრისტიანები ვართ, გაგვიმწარდება სიცოცხლე ურჯულოთა ხელშიო. ისიც კარგად ვიცი, უცხო ქვეყანაში ცხოვრებას იოლად როდი შევეგუები, მაგრამ ქრისტიანული სარწმუნოებაა გაბატონებული იტალიაში და ეს ბანუგეშებსო.

დასასრულ მარიუჩამ მოკრძალებით მიმართა დედოფალს, თუ თქვენი წყალობა იქნება, მზადა ვარ წავიდე რომში ჩემს კეთილისმყოფელთან ერთადო.

ქეთევან დედოფალი აღტაცებული დარჩა მარიუჩას გონიერი სიტყვა-პასუხით. ცუდად არ მიუღია მისი უარი, პირიქით — მოუწონა და შეაქო. ალბათ გრძნობდა, რომ მართლაც უკეთესი იქნებოდა ობოლი ქართველი გოგონასთვის თავისუფლება შორეულ იტალიაში, ვიდრე ტყვეობა ირანში, თუნდაც თავისიანებთან ერთად და ყოველდღიური ლოდინი ვანსაცდელისა. ხოლო სამშობლოში დაბრუნების იმედი დედოფლის გულშიაც აღარ ბუუტავდა, თვითონ პატივაყრილს რა მფარველობა და პატრონობა უნდა გაეწია თავისი ქვეშევრდომებისათვის შირაზში?

„დიდად დავალებული დამტოვა მარიუჩამ, — აღნიშნავს პიეტ-

რო დელა ვალე, — ჩემთან ყოფნა რომ არჩია დედოფალთან დარჩენას“.

პიეტრომ შეუთვალა დედოფალს, თვალის ჩინივით მოვუელი მარიუჩას, რამეთუ თქვენგან ჩავიბარე თქვენი პატარა ქვეშევრდომის ბედიო.

შირაზიდან გამგზავრების წინა დღეს, პიეტრომ, მარიუჩას ხელით, საჩუქარი უძღვნა ქეთევან დედოფალს. ეს გახლდათ ოქროთი მოვარაყებული მედალიონი, რომლის ერთ მხარეზე გამოსახული იყო ღვთისმშობლის მიძინება, ხოლო მეორეზე — წმ. ჯიროლამო, ლომთან ერთად. წელზევით შიშველი წმინდანი ქვას ირტყამდა მკერდზე (ხორციელ ვნებათა დათრგუნვის ნიშნად).

დედოფალს ძალიან მოეწონა საჩუქარი და ხუცეს გიორგის დაავალა, ზუსტი ახსნა-განმარტება მიეღო იტალიელი მოგზაურისაგან კათოლიკური ეკლესიის ამ წმინდანის ვინაობაზე.

თავის მხრივ, ქეთევან დედოფალმა სახსოვრად გამოუგზავნა პიეტროს ორი ლათინური წიგნი (ყიზილბაშთა მიერ ჰორმუზის ომში პორტუგალიელთა დამარცხებისას მოხვეჭილი ნადავლიდან გამოსყიდული).

ლათინურ ლოცვანს არშიაზე ქართული მინაწერები ჰქონდა, თვით დედოფლის ხელით შესრულებული.

„მოსაგონრად ესოდენ ღირსეული და დიდებული მანდილოსნისა, ამ წიგნებს ვინახავ ჩემს ყველაზე ძვირფას ნივთებს შორის,“ — წერდა პიეტრო დელა ვალე.

დადგა განშორების ჟამი. ცხადია, არც პიეტრომ იცოდა და არც მარიუჩამ, რომ ზუსტად ორი წლის შემდეგ მრავალტანჯული ქეთევანის ტყვეობას სასტიკი სასჯელი დაუსვამდა წერტილს.

აღფრთოვანებით წარმოთქვამს თავის წერილში იტალიელი მოგზაური: დედოფლის სახე ღირსია დიდებული პოემისა, მაგრამ აქ არაა ასპარეზი, რომ საკადრისი ქება მივაგო მას და თანაც ეს ტვირთი ჩემი მხრებისათვის ერთობ მძიმე არისო.

1622 წლის სექტემბერში პიეტრომ და მარიუჩამ დატოვეს შირაზი, ნოემბერში უკვე გომბრუნში (ანუ ბენდერ-აბასი) იყვნენ და ზღვით უნდა ემგზავრათ ინდოეთამდე. მაგრამ გამოირკვა, რომ ქალს არ შეეძლო უნებართვოდ მიეტოვებინა სეფიანთა სახელმწიფო, თუნდაც მამასთან ან ქმართან ერთად!

პიეტრომ ხერხი იხმარა: ჩააცვა მარიუჩას მამაკაცის სამოსელი,

თავზე ყიზილბაშური დოლბანდი მოახვია და წელზე ხმალი შემოარტყა. უკვე ტანაყრილი გოგონა არ დაამახინჯა ასეთმა მასკარადმა. საღამოს ბინდბუნდში პიეტროს თანამგზავრ ყმაწვილკაცად მიიჩნიეს იგი და ნავსადგურის მოხელეთაგან არავინ დაეჭვებულა.

უხიფათოდ მიაღწიეს ინგლისურ გემს, რომელსაც ერქვა „ვეშაპი". გემის კაპიტანმა საუკეთესო კაიუტებში დააბინავა პიეტრო და მარიუჩა.

სამუდამოდ ემშვიდობებოდა ქართველი გოგონა ექვსი წლის წინათ დაკარგულ სამშობლოს, რომელიც აქვე ირანის მეზობლად მდებარეობდა და ძალზე შორს იყო იტალიიდან. ამიერიდან მხოლოდ სიზმარში მოუწევდა ნახვა საქართველოსი...

მოიარეს ინდოეთი და მერე იტალიისაკენ აიღეს გეზი.

1625 წელს ქალაქ ბასრაში შეიტყვეს ქეთევან დედოფლის წამების ამბავი...

1626 წლის მარტში ჩავიდნენ რომს.

გამოჩენილი იტალიელი მოგზაურის ბიოგრაფი პიეტრო ბელორი გადმოგვცემს:

პიეტრო დელა ვალემ თავის საგვარეულო აკლდამაში დაკრძალა შაანის ნეშტი, ოთხი წელიწადი რომ ატარებდა ხმელეთსა თუ ზღვაზე. შემდეგ ეახლა რომის პაპს, რომელმაც მიიღო იგი მწერლებისა და მხედრებისათვის საკადრისი პატივით. პიეტრომ უამბო პაპს მთელი თავისი თავგადასავალი და მიართვა „ინფორმაცია საქართველოს შესახებ", სადაც აღწერილი იყო პატარა ქრისტიანული ქვეყნის უბედურებანი (იტალიელი მოგზაურის ეს ნაშრომი ქართულადაც არის თარგმნილი).

პიეტრო დელა ვალემ მოახსენა რომის პაპს, ქართველები გამუდმებით ებრძვიან ქრისტიანობის უდიდეს და უძლიერეს მტრებს — ოსმალებსა და სპარსელებს, რომლებიც არაერთხელ დაუმარცხებიათ, ამიტომ რომის ეკლესია დიდად დავალებულია ქართველებისაგან და ისინი ღირსნი არიან გამხნევებისა და შეწყნარებისაო.

შესანიშნავ იტალიელ მოგზაურსა და მწერალს არასოდეს დავიწყებია ქვეყანა, რომელიც საკუთარი თვალით არც უნახავს, მაგრამ ამ ქვეყნის მკვიდრთა ახლოს გაცნობამ ირანში ყოფნისას სამუდამოდ შეაყვარა მას საქართველოცა და ქართველებიც.

1630 წელს პიეტრო დელა ვალემ იტალიელ მისიონერებს არქანჯელო ლამბერტის და ჯუზეპე ჯუდიჩეს საქართველოში გამოატანა საჩუქრად თეიმურაზ მეფისათვის — ოქროთი შემკული მშვენიერი ხატი (წმ. გიორგის გამოსახულებით) და მისი მეუღლისათვის — ძვირფასი კრიალოსანი. იგი არც თეიმურაზს იცნობდა პირადად და არც მის მეუღლეს.

...ძალზე განიცდიდა პიეტრო საყვარელი მაანის დაკარგვას. ბევრმა ცხოვრებამ თავისი გაიტანა, დრო მალამოდ დაედო ჭრილობას. თვალწარმტაცი მარიუჩაც უკვე აღარ იყო „ფანჩულა“ და მალე მოხდა მოსახდენი.

პიეტრო დელა ვალე და თინათინ დი ზიბა დაქორწინდნენ. მათი ოჯახური ბედნიერება დაამშვენა მრავალრიცხოვანმა შთამოშავლობამ. თურმე თოთხმეტი შვილი შესძენიათ.

1652 წელს სამოცდაექვსი წლის ასაკში პიეტრო დელა ვალე გარდაიცვალა.

ათი წლის შემდეგ ზემოხსენებული პიეტრო ბელორი სტუმრად ეწვია დელა ვალეს ქვრივს. იგი ორიოდე სიტყვით ეხება თინათინის წარმოშობას და აღნიშნავს: „ზიბა, მისი მამა, სახელგანთქმული კაცი მეფის მხედრობაში, გმირულად დაიღუპა ყიზილბაშთა შემოსევისას“.

თინათინს გადაუცია სტუმრისათვის თავისი ქმრის მიერ დახატული პორტრეტები. ერთზე გამოსახული ყოფილა ქალბატონი მაანი და მეორეზე — თვით თინათინი ანუ მარიუჩა ქართულ სამოსელში. ორი გრძელი ნაწნავი მის სახესა და ტანს იდუმალ მშვენიერებას ანიჭებდაო, წერს პიეტრო ბელორი (სხვათა შორის, მასვე ჩამოთვლილი აქვს პიეტრო დელა ვალეს ნაშრომები, რომელთა რიცხვშია 1644 წელს დაწერილი „თაყვანისცემა სინიორა ზარია თინათინ დი ზიბასი. დელა ვალეს მეორე მეუღლისა“).

...მრავალი უცხო ქვეყნის მნახველ იტალიელ მოგზაურს თანამედროვეებმა უწოდეს „რომაელი ულისე“ (ანუ ოდისევსი).

ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ედუარდ გიბონი, ავტორი წიგნისა „რომის იმპერიის დაქვეითებისა და დაცემის ისტორია“, კაცი, რომელიც აგრე იოლად არ იმეტებდა კომპლიმენტებს, სხვათა შორის, ამბობს პიეტრო დელა ვალეს შესახებ: „არც ერთ მოგზაურს არ შეუსწავლია და არ აღუწერია ირანი ისე კარგად, როგორც დელა ვალეს“.

„მოგზაურობანი“ ითარგმნა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და ჰოლანდიურ ენებზე. ევროპელი მკითხველი ინტერესით ეცნობოდა აღმოსავლეთის ქვეყნების პიეტროსეულ აღწერას; ეცნობოდა ირანში გადასახლებული ქართველების ბედს; ეცნობოდა მარიუჩას, ქეთევან დედოფალსა და ხუცეს გიორგის.

და ამ მკითხველთა სიმრავლეს ამშვენებს თვით გოეთე, რჩეულთა შორის რჩეული, რომელიც იმდენად მოხიბლა წაკითხულმა, რომ თავის ნაწერებში ადგილი დაუთმო ქართველი თინათინის უჩვეულო თავგადასავალს.





კაზაკები

ყველაფერი მობეზრდა სტეფანეს. მობეზრდა უცხო და „ურჯულო“ ქვეყანა, სადაც ხმის გამცემი არავინ ჰყავდა. მობეზრდა უსაქმურობა და ძოუთმენელი მოლოდინი. მართალია, კარგად მიიღეს სეფიანთა ირანში კაზაკთა ელჩი და შეძლებისდაგვარად ართობდნენ, მაგრამ სტეფანეს გართობისათვის არა სცხელოდა. დიპლომატიური დავალებით იყო გამოგზავნილი. ისიც აღელვებდა კაზაკს, ვაითუ იმერეთში დარჩენილმა თანამებრძოლებმა დაღუპულად ჩაეთვალონ, რადგანაც დავყოვნდი და შინისაკენ უჩემოდ გაბრუნდნენო. ერთი სიტყვით, მობეზრდა გაჭიანურებული სტუმრობა ყიზილბაშთა საბრძანებელში და გადაწყვიტა, სეფიანთა ხელმწიფეს თავი უნდა შევახსენოო. ერთ მშვენიერ დღეს გზაზე დაუხვდა შაჰ-აბასს და არზა მიართვა. ხელმწიფემ შეაჩერა ცხენი, აიღო ხელში არზა, მაგრამ ზედ არც დაუხედავს; ეტყობა, მიხვდა მის შინაარსს, მერე ახლოს მიიხმო თავისი კარისკაცები და ჩვეულებისამებრ ხმამაღლა წარმოთქვა: „თქვენ არ უწყით, ვინ არის ეს კაცი. თქვენ არ უწყით რაოდენ მამაცია მისი ხალხი! ესენი არიან, შავ ზღვაზე რომ ბატონობენ, მრავალი ქალაქი რომ დაარბიეს და აურაცხელი ზარალი მიაყენეს ოსმალეთს. მათ ძალუძთ გაგვიწიონ დიდი სამსახური, მე მსურს მათი სამსახური!“

შაჰმა ბრძანება გასცა, კაზაკთა ელჩს ღვინო არ მოაკლოთ და ჯიბის ფულიც უწყალობეთო.

1618 წლის გაზაფხული იდგა...

სტეფანეს თავგადასავალს გვამცნობს პიეტრო დელა ვალე, რომელიც იმავე ხანებში იმყოფებოდა სეფიანთა ირანში. მისი ვიზიტის უმთავრეს მიზანს შეადგენდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. იტალიელ მოგზაური სწორედ „ბრწყინვალე პორტას“ მიიჩნევდა მთელი საქრისტიანოს უპირველეს მტრად და განუწყ-

ვეტლივ ებადებოდა გონებაში მომხიბლავი პროექტები, რომელ-ოა ხორცშესხმა ღონეს წაართმევდა ოსმალეთის იმპერიას და შვებას მოუტანდა დასავლურ სამყაროს. ახლა დღის წესრიგში იდგა სეფიანთა ირანის შეკავშირება დნეპრის კაზაკებთან!

დელა ვალეს საგანგებოდ შეუსწავლია კაზაკთა ვინაობა, მათი ადათ-წესები და საბრძოლო საქმენი. ყოველივე ამას დაწვრილებით გადმოგვცემს თავისი თხზულების ფურცლებზე.

კაზაკთა ადგილსამყოფელი იყო მდინარე დნეპრის შესართავი. ისინი არ ემორჩილებოდნენ არც ერთ ხელმწიფეს. ცხოვრობდნენ ქალაქებიდან მოშორებით, მიუვალ ადგილებში და თავს ირჩენდნენ ბრძოლაში მოხვეჭილი ნადავლით, კაზაკები განუწყვეტლივ მეკობრეობდნენ ხმელეთსა თუ ზღვაზე და საგრძნობ ზიანს აყენებდნენ ოსმალებსა და ყირიმელ თათრებს. კაზაკებს გამოცდილი მეზღვაურნი ჰყავდათ და მათი ხომალდები თამამად მიაპობდნენ შავი ზღვის ტალღებს. ხადაც კი წააწყდებოდნენ ოსმალებს, ძარცვავდნენ და მუსრს ავლებდნენ. ნახევარი ევროპის მბრძანებელი ოსმალები. კაზაკთა შიშით, ვეღარ ბედავდნენ ზაფხულობით ზღვაოსნობას შავ ზღვაზე. კაზაკები ხშირად ხმელეთსაც მიადგებოდნენ ხოლმე და იქაურობას პირწმინდად აჩანაგებდნენ. შავ ზღვის სანაპიროზე თითქმის აღარ მოიპოვებოდა ოსმალთა თუ ყირიმელ თათართა სამფლობელო, აოხრებას რომ გადარჩენოდა. ერთხელაც გალაღებულმა კაზაკებმა გადაწვეს ორი ნავმისადგომი ოსმალეთის სატახტო ქალაქის მიდამოებში და ენით აუწერელი პანიკა გამოიწვიეს ხონთქრის კარზე. კაზაკები იმუქრებოდნენ, ცოტა გვაცალით და სტამბოლსაც ავიღებთ, ჩვენში ასეთი წინასწარმეტყველება გავრცელებულა და უნდა აღიასრულოთო. მალიმალ იგზავნებოდა სტამბოლიდან სამხედრო ხომალდები კაზაკთა წინააღმდეგ. მაგრამ ოსმალნი სამარცხვინოდ მარცხდებოდნენ საზღვაო ბრძოლაში. უკვე ოცდაათი წელიწადი გრძელდებოდა კაზაკთა თარეში შავ ზღვაზე და ოსმალთა გასაჭირს ბოლო არ უჩანდა.

დელა ვალე აღნიშნავს, რომ პოლონეთის მეფე, ბატონ-პატრონი იმ მიწებისა, სადაც კაზაკები ბინადრობდნენ, მიუხედავად ოსმალეთთან მშვიდობიანი ურთიერთობისა, მფარველობდა კაზაკებს და ფულად დახმარებასაც უწევდა. როდესაც ოსმალეთის მთავრობა საჩივარს წარუდგენდა კაზაკთა თარეშის გამო,

პოლონეთის მეფე თავაზიანად მოიბოდიშებდა და თავს იმართლებდა, კაზაკები არავის ემორჩილებიან და არ ძალმიძს მათი დასჯაო; თუ თქვენ გაუსწორდებით, ხმას არ ამოვიღებო.

ამრიგად, აღმოსავლეთში არსებობდა ორი ანგარიშგასაწევი ძალა, მუდმივად რომ ემუქრებოდა ოსმალეთის სამფლობელოებს. დელა ვალეს ვარაუდით, ირანს შაჰს, ცხადია, ხელს აძლევდა კაზაკთა მოკავშირეობა ოსმალეთთან ომში და კაზაკებისათვისაც ურიგო არ იქნებოდა მხარდაჭერა ესოდენ ძლიერი ხელმწიფისა, რომელიც თუმცა მაჰმადიანი იყო, მაგრამ ოსმალეთი თავისი ქვეყნის დაუძინებელ მტრად მიაჩნდა და ძალ-ღონეს არ იშურებდა მასთან საომრად.

დელა ვალეს გეგმის მიხედვით, კაზაკებსა და ირანს შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია საქართველოს ეკისრებოდა. კაზაკებს თავის პლაცდარმად უნდა გადაექციათ ოდიშისა და გურიის ზღვისპირა ტერიტორია, ხოლო შემდგომში ყიზილბაშთა დახმარებით დაეჭირათ ტრაპიზონი და მისი მიდამოები.

შაჰ-აბასს ჭკუაში დაუჯდა პიეტროს პროექტი და ისიც უკვე აპირებდა გამგზავრებას კაზაკებთან მოსალაპარაკებლად, როდესაც მოხდა უცნაური რამ. თითქოს მისი გულისნადები გამოიცნეს, კაზაკებმა დაასწრეს პირველი ნაბიჯის გადადგმა და იტალიელი მოგზაურის სათქმელი თვითონ თქვეს. ელჩად გამოგზავნილი სტეფანის პირით ისინი მოუწოდებდნენ შაჰ-აბასს ოსმალთა წინააღმდეკ ბრძოლაში შეკავშირებას.

ჰიზეზთა და მიზეზთა გამო მოლაპარაკება გაჭიანურდა და სანამ სტეფანე უქმად ატარებდა დროს სეფიანთა სამეფო კარზე, იმერეთში დარჩენილ მის თანამებრძოლთ საშინელი განსაცდელი დაატყდათ თავს. ოსმალთა კატეგორიული მოთხოვნით, იმერეთის მეფე იძულებული გახდა მათთვის გადაეცა ორმოცი კაზაკი (შემდგომში კაზაკებმა მოახერხეს ტყვეობიდან გაქცევა).

იტალიელი მოგზაური ნაღვლიანად შენიშნავს, რომ მართლაც ძნელია ყოფნა გრდემლსა და ურის შორის (გულისხმობს ოსმალეთსა და ირანს). მისი სიტყვით, იმერეთის მეფე ერთსაც და მეორესაც თავს აჩვენებდა მეგობრად, მაგრამ გულით არც ერთს არ ენდობოდა და ყოველთვის იმაზე ზრუნავდა, რომ მათი ჯარი არ შეეშვა თავის სამფლობელოში.

მოგვიანებით დელა ვალესათვის ცნობილი შეიქნა ერთი ამბავი,

რომელიც მას მიაჩნია კაზაკთა უიღბლობის მიზეზად. თურმე ჯერ კიდევ სტეფანეს გამოჩენამდე, იტალიელი მოგზაურის პროექტით მოხიბლულ შაჰ-აბასს წერილი გაუგზავნია პოლონეთის მეფის სახელზე, რომელშიც შემდეგი წინადადებანი წამოუყენებია: ირანი თავის ხარჯზე ააგებდა ერთ ციხე-სიმაგრეს შავი ზღვის რომელიმე ნავსადგურთან, ტრაპიზონის მეზობლად მდებარე გურიის საჰთავროში, შიგ ჩააყენებდა ყიზილბაშთა გარნიზონს, რომელიც პოლონეთის მეფის განკარგულებაში იქნებოდა, შემდგომში კი ეს ციხე-სიმაგრე გადაეცემოდა კაზაკებს. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები დაემორჩილებოდა პოლონეთს, ხოლო საქართველოსა თუ ირანში მცხოვრები ყველა ქრისტიანი ქართველი — კათოლიკურ ეკლესიას.

შაჰ-აბასმა ზეპოთქმული გააცნო ქართველ ელჩებსა და დიდებულებს დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთაკროებიდან. პიეტრო დელა ვალე წერს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების ქართველებისათვის ერთმორწმუნე პოლონეთის სამეფოს ფარგლებში მოქცევა დიახაც სასარგებლო იქნებოდა მაჰმადიანური აგრესიისაგან თავის დასაცავად და იქვე დასძენს: „მაგრამ ისინი დამოუკიდებელნი არიან და ჰყავთ თავიანთი კანონიერი მეფე-მთავრები, ამიტომაც არ ეშაშნიკებათ დაექვემდებარონ უცხოელებს (თუნდაც ერთმორწმუნეთ), რაც ყველა ხალხში აღშფოთებასა და ზიზღს იწვევს“.

თუმცა იტალიელი მოგზაური არაფერს ამბობს ამის შესახებ, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მომხდარ ამბავში თეიმურაზ პირველის ხელი არ ერიოს. სამშობლოდან გადახვეწილი კახეთის მეფე, ცხადია, მოწონებით ვერ შეეგებებოდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის გეგმებს, როდესაც მთელი მისი მოღვაწეობა იქ ხანებში ანტიყიზილბაშური კოალიციის შექმნას ემსახურებოდა.

დელა ვალეს ცნობით, კაზაკების ელჩი სტეფანე სეფიანთა სამეფო კარს ეწვია 1618 წლის მარტში. როგორც ჩანს, სტეფანეს თანამებრძოლთა დატყვევება უნდა მომხდარიყო ერთი-ორი თვის შემდეგ.

სწორედ 1618 წლის მაისში ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰალილ-ფაშას სარდლობით ირანისაკენ დაიძრა. ოსმალთა სარდალს ნაბრძანები ჰქონდა აგრეთვე თბილისის აღება და თეიმურაზის აღდგენა სამეფო ტახტზე. უცხოური წყაროების მი-

ხედვით, ამ ლაშქრობაში მონაწილეობდა სამი ათასი ქართველი მხედარი თვით თეიმურაზის წინამძღოლობით.

მაშასადამე, როდესაც სტეფანე შაჰის პასუხს ელოდება და პიეტრო გატაცებით აწყობს ანტიოსმალური კოალიციის შექმნის გეგმებს, თეიმურაზი ოსმალთა მხარდამხარ იბრძვის ყიზილბაშთა წინააღმდეგ.

ასე ჩაიფუშა პიეტრო დელა ვალეს პროექტი. კაზაკებსა და ირანს შორის დამაკავშირებელი რგოლი გაწყდა. ქართველები ვერ ამოუდგებოდნენ მხარში შაჰ-აბასს, რომელიც მოსპობით ემუქრებოდა საქართველოს.

რაც შეეხება კაზაკებს, მიუხედავად სამწუხარო ინციდენტისა, ისინი საშვილიშვილოდ როდი გადაჰკიდებიან ქართველებს. დელა ვალე 1621 წლით დათარიღებულ წერილში აღნიშნავს, რომ კაზაკები განაგრძობდნენ ნაოსნობას საქართველოს სანაპიროებთან, კვლავ მეგობრობდნენ და ემოყვრებოდნენ კიდევაც ქართველებს. მისივე ცნობით, პოლონეთის მეფემ საჩუქრებით დატვირთული ორი თუ სამი ხომალდი გამოუგზავნა თეიმურაზს, რომელიც ოსმალეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა გონიოში და ელოდა მარჯვე მომენტს, რომ ისევ აებრიალებინა აჯანყებისა და ბრძოლის ცეცხლი ყიზილბაშთა მიერ დაპყრობილ ქართლ-კახეთში.

სახელად დავარქვი „რომიბერა“

გამოჩენილი ქართველი მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი თავის თხზულებაში „იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრება“ მოგვითხრობს: „განიზრახა ნეტარმან მამამან ჩვენმან იოვანე, რათა აღიღოს ძე თვისი და რავდენიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიად... რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა-მცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ“.

ათონის მთაზე მყოფი ქართველი ბერების კინკლაობით თავმობეზრებული იოანე „უკეთესი ქართველების“ საძებნელად აპირებდა გადასახლებას ესპანეთში, სადაც მონათესავე ხალხი ეგულებოდა.

როგორც ცნობილია, ძველი ბერძენი და რომაელი გეოგრაფ-ისტორიკოსები იბერიის სახელით მოიხსენიებენ პირენეის ნახევარკუნძულს, რომელიც დასახლებული იყო იბერიელთა მრავალრიცხოვანი ტომებით, მაგრამ იმავე წყაროებში იბერია ეწოდება საქართველოსაც. ევროპის იბერია და აზიის იბერია — ასე განასხვავებდნენ ანტიკური ეპოქის ავტორები ამ ორ ქვეყანას და ერთი მოდგმის ხალხად მიაჩნდათ ევროპისა და აზიის იბერიელნი.

როდესაც რომაელებმა პირენეის ნახევარკუნძული დაიპყრეს და რომის პროვინციად გადააქციეს, მოხდა იბერიელთა აღრევა დამპყრობლებთან. მხოლოდ ბასკებმა შეინარჩუნეს თავისი ეროვნული მეობა და არ გაითქვიფნენ სხვა ხალხებში. ამიტომაც არის, რომ დღეს მეცნიერები გულმოდგინედ იკვლევენ ბასკთა ენასა და ეთნოგრაფიას იმის გასარკვევად, თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ძველ წყაროებში შემონახული გადმოცემა, რომელიც ცოცხლობდა საუკუნეთა მანძილზე, როგორც ამოუხსნელი ამოცანა, მიმზიდველი თავისი იდუმალებითა და ნახევრად ლეგენდარული შინაარსით.

...1673 წელს საქართველოს სტუმრად ეწვია ფრანგი ვაჭარი და მოგზაური ჟან შარდენი. იგი დაესწრო ქართლის მეფის სასახლეში გამართულ ნადიმს და მისი აღწერაც დაგვიტოვა თავის წიგნის ფურცლებზე. გამოქშვიდობებისას ქართლის მეფე ვახტანგ V თურმე შეეკითხა შარდენს, როგორ ბრძანდებაო ჩემი ნათესავი — ესპანეთის მეფე და შემდეგ ძვირფასი ქვებით მორთული თასით შესვა მისი სადღეგრძელო. ალბათ, ზეპირად ეცოდინებოდა შარდენს ევროპელ ხელმწიფეთა ნათესაობრივ-მოყვრული კავშირები და გაოგნებული დიდხანს ფიქრობდა, თუ საიდან ენათესავებოდა ქართლის მეფე ესპანეთის მეფეს. მაგრამ ხელმწიფეთა ნათესაობას როდი გულისხმობდა მისი ქართველი მასპინძელი, ხალხთა ნათესაობას გულისხმობდა. გვიანღა გაახსენდა (ანდა შეახსენეს) შარდენს ანტიკური წყაროების ცნობა. თბილისში დამკვიდრებულმა კათოლიკე მისიონერებმა აუხსნეს ფრანგ ვაჭარს, რომ პაპმა თეიმურაზ მეფისადმი მიწერილ წერილში იგი ესპანეთის მეფის ნათესავად მოიხსენია, ხოლო იბერიელები (ე. ი. ქართველები) და ესპანელები — ძმებადო.

ათიოდე წლის შემდეგ იტალიელი მისიონერი დიონიზო კარლი წერდა: ქართველი დიდებულები ამბობენ, წარმოშობით ესპანეთიდან ვართო და იქვე დასძენდა, საქართველოს, ისევე როგორც ესპანეთს, იბერია ჰქვიანო.

იმდროინდელ საქართველოში, ეტყობა, საფუძვლიანად ყოფილა გავრცელებული ქართველებისა და ესპანელთა ნათესაობის ამბავი, ნაკლებად რომ ახსოვდათ ევროპელებს, ვინაიდან შორეული ძმების ძიება მათი ოცნების საგანს არ წარმოადგენდა. სულ სხვა იყო ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა ხვაშიადი. ისინი გამუდმებით ეძებდნენ მფარველსა და მოკავშირეს ქრისტიანულ ქვეყნებს შორის და ძველთაძველი გადმოცემა ესპანელებთან ნათესაობაზე ფრთებს ასხამდა მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეული პატარა ქვეყნის იმედებს და ლტოლვას.

შარდენის ადგილას რომ ყოფილიყო დიდად განსწავლული იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე, სრულიადაც არ გაუკვირდებოდა ქართველი მეფის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო. დელა ვალე აღნიშნავს, რომ სტრაბონის ცნობით, აზიის იბერია წარმოქმნილია ევროპის იბერიიდან. მაგრამ ივოწმებს საწინა-

ალმდეგო მოსაზრებასაც — თითქოსდა აზ-იდან წამოსული იბერიელნი დასახლებულან პირენეის ნახევარკუნძულზე.

1621 წლით დათარიღებულ წერილში დელა ვალე მსჯელობს შაჰ-აბასის შესახებ და უკმაყოფილებას გამოთქვამს სეფიანთა ხელმწიფის მისამართით. იტალიელ მოგზაურს არ მიაჩნია იგი ჭეშმარიტად მამაც პიროვნებად. გარდა ამისა, ეჭვის თვალით უყურებს კათოლიკე მისიონერთა მტკიცებას, ვითომდა შაჰ-აბასი ქრისტიანთა ფარულად მოყვარული არისო და, რაც მთავარია, მის აღშფოთებას იწვევს შაჰ-აბასის ვერაგული პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

„ქართველები რატომღაც ძალიან მიყვარს, — წერდა პიეტრო დელა ვალე, — არ ვიცი, შესაძლოა იმიტომ, რომ იბერიული სისხლი მირევია და მათი წარმოშობისა ვარ“.

პიეტროს გვარი, როგორც ირკვევა, კანტაბრიული წამოშობისა ყოფილა. ხოლო კანტაბრია წარმოადგენდა ევროპული იბერიის ნაწილს. კანტაბრიელები ბინადრობდნენ ჩრდილოეთ ესპანეთში, დღევანდელი ბასკონიის მეზობლად. სწორედ კანტაბრიის მთებში იღებს სათავეს მდინარე ებრო, რომელსაც წინათ იბერი ერქვა. კანტაბრიელები გამოირჩეოდნენ მკაცრი ბუნებითა და დიდი სიმამაცით. ისინი შეუპოვრად ებრძოდნენ რომაელ დამპყრობლებს. სტრაბონის მიხედვით, რომაელებთან ომის დროს კანტაბრიელი დედები თავისი ხელით კლავდნენ შვილებს, ოღონდ ისინი მონობისაგან გადაერჩინათ. აღსანიშნავია, რომ პირენეის ნახევარკუნძულზე რომაელებმა კანტაბრია ყველაზე გვიან დაიმორჩილეს.

ამ სახელოვან კანტაბრიელთა შთამომავლად ითვლებოდა პიეტრო დელა ვალე.

აი, ვის უნდა მოესმინა ქართველი მეფის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო — მგზნებარე იტალიელ პილიგრიმს, ქრისტიან მოძმეთა დაუღალავ მაძიებელს, ანტიკური წყაროების მცოდნესა და მორწმუნეს, რომანტიკოსსა და მეოცნებეს, საოცარი გულდაჯერებით რომ ჰვრეტდა სათუო მომავალს, როდესაც აღმოსავლეთის ჩაგრულ ქრისტიანთა საშველად ევროპიდან უნდა აზვირთებულიყო ახალ ჯვაროსანთა ტალღა... საპატიო სტუმარი და მესაიდუმლე შაჰ-აბასისა გულწრფელად ესარჩლებოდა აოხრებულ საქართველოს და ქართველებისადმი თავისი მხურვალე სიმპათიის

ასახნელად აღნიშნავდა: მეც იბერიული სისხლი მირევია და მათი წარმოშობისა ვარო.

პიეტრო დელა ვალეს სახელი ორგანულად არის დაკავშირებული საქართველოსთან, თუმცა მას ფეხიც არ დაუდგამს ჩვენს მიწა-წყალზე. ირანში გაიცნო ქართველები, მათი ბედი გულთან ახლოს მიიტანა და უანგარო სამსახური გაუწია იმ ქვეყანას, რომელმაც შორიდან შეაყვარა თავი.

პიეტრო დელა ვალე დაიბადა 1586 წლის 11 აპრილს, პომპეო დელა ვალესა და ჯოვანა ალბერინის ოჯახში. დელა ვალეთა გვარი განეკუთვნებოდა ძალზე ძველ გვართა რიგს და განსაკუთრებით დაწინაურდა XV საუკუნიდან. ბუნებრივია, რომ პიეტრომ მიიღო შესანიშნავი განათლება, ჩინებულად დაეუფლა კლასიკურ ენებს, ზედმიწევნით შეისწავლა ისტორია, გეოგრაფია და ასტრონომია. ხარკი გადაუხადა სიტყვაკაზმულ მწერლობასაც. ახალგაზრდობაში წერდა ლექსებს, შემდგომში მუსიკამ გაიტაცა, გვარიანად უკრავდა სხვადასხვა ინსტრუმენტებზე, დაწერა ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი „საუბარი ჩვენი დროის მუსიკაზე". პიეტრო დაჯილდოებული იყო იშვიათი მეხსიერებითა და გამჭრიახი გონებით. მისი ბიოგრაფის სიტყვით, არაფერი აკლდა იმ სიკეთეთაგან, რომელთაც ბუნება იმეტებს ხოლმე, როდესაც სურს შექმნა ყოველმხრივ ღირსეული ადამიანისა. პოეზიის სიყვარულს ხელი არ შეუშლია მისთვის სამხედრო საქმეშიც გამოეჩინა თავი, მაგრამ მაჰმადიანებთან საზღვაო ბრძოლებში (ტუნისის ნაპირებთან) უვნებლად ვადარჩენილი პიეტრო „ამურის ისრით" დაიკოდა და მელანქოლიის კლანჭებში მოექცა. გადაწყვიტა მიეტოვებინა რომი, დღენიადაგ რომ აგონებდა მარცხიან სამიჯნურო რომანს. მისმა მეგობარმა მარიო სკიპანომ, მედიცინის პროფესორმა, შერყეული ჯანმრთელობის უებარ წამლად ხანგრძლივი მოგზაურობა ურჩია.

ნეაპოლის ერთ-ერთ ეკლესიაში ჩატარდა წირვა პიეტროს მოგზაურობის კეთილად მსვლელობისათვის. საზეიმოდ აკურთხეს მისი მოსასხამი და ყელზე ჩამოსაკიდი ოქროს პატარა კვერთხი. 1614 წლის ზაფხულში იტალიელმა პოლიგრიმმა გეზი აიღო „წმიდა მიწისაკენ".

პიეტრო დელა ვალემ მოინახულა მრავალი ქვეყანა, საბერძნეთიდან — ინდოეთამდე. თავისი შთაბეჭდილებანი მან აღწერა მარიო სკიპანოს სახელზე გაგზავნილ ორმოცდათოთხეტ წერილში,

რომლებიც გამოქვეყნდა უცვლელი სახით. სწორედ ამ წიგნმა („მოგზაურობა თურქეთში, სპარსეთსა და ინდოეთში") გაუთქვა სახელი იტალიელ მოგზაურს მთელს ევროპაში.

როგორც აღნიშნავენ, ერთობ იშვიათია მოგზაურის ჩანაწერები, ესოდენ მრავალ საკითხს რომ ეხებოდეს. მკითხველის თვალწინ იშლება აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, გეოგრაფია, პოლიტიკური მოვლენები, ხალხთა ზნე-ჩვეულებანი. წიგნში აღწერილია ზღვა და ხმელეთი, ქალაქები და სოფლები, მდინარეები და შთები, დღესასწაულები და გართობანი, სამეფო კარი და ბაზრები, ვაჭრობა და რელიგია, სამოქალაქო და სამხედრო კანონები, ჭორწილები და დაკრძალვანი, ომები და დიპლომატიური ურთიერთობანი.

პიეტრო დელა ვალეს თხრობა მეგზურად ემსახურებოდა მომდევნო საუკუნეთა მოგზაურებსა და არქეოლოგებს. მისი წერილები წარმოადგენს ინფორმაციის დაულეველ წყაროს.

თანამედროვე ინგლისელი ორიენტალისტი ლოურენს ლოკარტი დელა ვალეს თხზულებას მიიჩნევს „სპარსეთის ფასდაუდებელ აღწერილობად". მისი აზრით, XVII საუკუნის ირანის უამრავ აღწერილობათა შორის, უეჭველად, ყველაზე მნიშვნელოვანია ჟან შარდენისა და პიეტრო დელა ვალეს ნაშრომები.

მოგზაურობისას პიეტრომ შეიძინა მრავალი აღმოსავლური ხელნაწერი, რომლითაც შემდგომში გამდიდრდა ვატიკანის ბიბლიოთეკა. მასვე ეკუთვნის მნიშვნელოვანი ფილოლოგიური გამოკვლევანი. დელა ვალემ ლათინურად თარგმნა კოპტური და არაბული ენების გრამატიკა, შეადგინა ლექსიკონები (ამ შრომათა მეტი წილი ამჟამად დაკარგულია). ჩაიხატა პერსეპოლისის ლურსმნული წარწერები და გააცნო ევროპას პირველი ნიმუშები ძველი ირანული დამწერლობისა. პირველმა ევროპელთაგან გადათარგმნა სპარსული წიგნი, კერძოდ, იაჰია ყაზვინის (XVI ს.) საისტორიო თხზულება, რომელიც შემდეგ ითარგმნა იტალიურიდან ლათინურ ენაზე და ორჯერ გამოქვეყნდა.

იტალიიდან გამომგზავრებისას პიეტრო დელა ვალე, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, სულ მოკლე ხანში რაოდენ ნაცნობი და ახლობელი გახდებოდა მისთვის მანამდე თითქმის უცნობი საქართველო და რომ მისი წიგნის პერსონაჟებად გადაიქცეოდნენ ქეთევან დედოფალი, გიორგი საakაძე, ხუცესი გიორგი და ირანში ყოფ-

ნისას მის ოჯახში აღსაზრდელად მიბარებული ობოლი ქართველი გოგონა თინათინი, მოფერებით შარიუჩა რომ შეარქვეს, მომავალი მეუღლე პიეტროსი.

„...ქართველებს თავი გამოუჩენიათ, და კვლავაც იჩენენ, შამაც მეომრებად. მათი სამშობლო, როგორც იქ ნამყოფთაგან გამიგონია, ძალზე ლამაზი ქვეყანაა და, როგორც ამბობენ, ძლიერ წაგავს ჩვენი ლომბარდიის ყველაზე მშვენიერ ადგილებს", — აღნიშნავს დელა ვალე 1617 წლით დათარიღებულ თავის წერილში.

პიეტრო დელა ვალეს განსაკუთრებული სიმპათია საქართველოსა და ქართველების მიმართ, მისი წიგნის ფურცლებზე აშკარად რომ გამოსჭვივის, შესაძლოა, გადაჭარბებულად მოეჩვენოს მკითხველს და ტენდენციურობა მიაწეროს ავტორს. ასე მაგალითად, ამერიკელი მეცნიერი ვ. მორინი შენიშნავს: „იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე მრავალ გულითად სიტყვას ამბობს ქართველების შესახებ; აღფრთოვანებულია მათი ძლიერებით, ღრმა ქრისტიანული რწმენით, განათლებითა და სილამაზით. თუმცა ის, შესაძლოა, საკმაოდ მიკერძოებული მოამბე იყოს თავისი ცოლის ქართული წარმოშობის გამო, საფუძველი არ გაგვაჩნია, რომ დავეჭვდეთ მისი აღწერილობის საერთო სიზუსტეში".

ამერიკელი მეცნიერის კრიტიკული შენიშვნის გაბათილება საკმაოდ იოლია და არგუმენტთა დახვავებას არ მოითხოვს. საქმე ისაა, რომ დელა ვალე ვერ იქნებოდა მიკერძოებული მოამბე თავისი ცოლის ქართული წარმოშობის გამო, რადგანაც მისი წერილები, სადაც ლაპარაკია საქართველოსა და ქართველებზე, დაიწერა 1617—1622 წლებში, ირანში ყოფნისას, ხოლო ქართველი ქალი, რომელსაც წერილებში თინათინ დი ზიბას სახელით მოიხსენიებს, ცოლად შეირთო სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1629 წელს.

ამგვარად, პიეტროს მეუღლის ქართული წარმოშობა ძნელია დავუკავშიროთ მის დაკვირვებებსა და შეხედულებებს ქართველების შესახებ, მაგრამ თუკი დავუშვებთ, რომ ამერიკელი მეცნიერის შთაბეჭდილება შეიცავს ჭეშმარიტების რაღაც მარცვალს და დელა ვალეს წიგნში მართლაც შეინიშნება გარკვეული მიკერძოება, რასაც ჩვენ, მოხიბლულ-მოჯადოებულნი, ეგებ ნაკლებად ვამჩნევდეთ, ამგვარი მიკერძოება სრულიად სხვა ფაქტორებით უნდა იყოს განპირობებული.

უპირველეს ყოვლისა, მიკერძოებას გამოიწვევდა ქართველი ხალხის თავზე დატეხილი ის უბედურებანი, რომელთა მოწმე და, ზოგ შემთხვევაში, თვითმხილველიც, იყო იტალიელი მოგზაური და პილიგრიმი.

1621 წელს, როდესაც ძალზე ახლოს იყო საქართველოს „გათათრებისა" თუ ამოგდების შაჰ-აბასისეული პროექტის უკანასკნელი აკორდები, რის წარმოდგენასაც დიდი ფანტაზია არ სჭირდებოდა, ხოლო მარტყოფი და მარაბდა იმდენად შორს იყო, რომ თითო-ოროლა კაცი თუ დაიჯერებდა ამგვარ მომავალს, დელა ვალე, შთაგონებული ირანში გაცნობილ ქართველთაგან მოსმენილი ამბებით ყიზილბაშთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის შესახებ, ოპტიმისტური სინათლით აზავებდა შავბნელი ფერების მოძალებას თავის წერილებში: „რაც შეეხება საქართველოს, მე მახსენდება, რომ წინათაც იყო ბარბაროსთა მსგავსი შემოსევანი; მაგალითად, თემურ-ლენგისა, ჩვენ რომ ტამერლანს ვეძახით, და საქართველომ გადაიტანა არანაკლები ტანჯვა, შესაძლოა — უფრო მეტიც, ვიდრე დღეს, მაგრამ გადაუვლია მძვინვარე ქარიშხალს, ნამარი ქვეყანა ისევ აღმდგარა და არ დაუკარგავს ქრისტიანული სარწმუნოება".

პატარა ქრისტიანული ქვეყნის ტრაგიკული ხვედრით აღძრული თანაგრძნობა და იმავე ქვეყნის შესაშური ბრძოლით წარმოქმნილი აღტაცება, ალბათ, განაპირობებდა ზემოხსენებულ მიკერძოებას, რაც დელა ვალეს თხზულების გულდასმით ჩხრეკისას შეიძლება თვალში მოხვდეს მკითხველს.

იტალიელი მოგზაური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველებმა დღემდე დაიცვეს თავისი რჯული, თუმცა „ურჯულო" მტრებით გარშემორტყმულნი არიანო. ირანისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის მარტოდმარტო დარჩენილნი, თითქმის სასოწარკვეთამდე მისულნი, იცავდნენ თავს და არსაიდან არავითარი შემწეობა არ ჩანდა. დელა ვალეს ეშვიც კი არ ეპარება, რომ ზემოთქმულის გამო ქართველები იმსახურებენ ქებას, მაგრამ ის მეტსაც ამბობს: ქრისტიანული ეკლესია დავალებულია მათგან ამ მხნეობის გამო, რაც ქართველებს მაჰმადიან აგრესორებთან ბრძოლაში გამოუჩენიათო.

უნდა აღინიშნოს, რომ დელა ვალე ნაწილობრივ ემიჯნება თავისი კონკრეტული საქმიანობის ინტერესებს, როდესაც აღტაცებით აღწერს ქართველების ბრძოლას, ვინაიდან იმ ხანებში ეს

ბრძოლა მიმართული იყო სეფიანთა ირანის წინააღმდეგ, სწორედ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც იტალიელ მოგზაურს თავის ანტიოსმალური კოალიციის პროექტში გადამწყვეტ ძალად მიაჩნდა და მთელს დასავლეთ ევროპაშიც იმედის თვალით შეჰყურებდნენ შაჰ-აბასის მიერ XVII საუკუნის პირველ მეოთხედში აღზევებულ ირანს, რომელსაც უფრო ფართოდ უნდა გაეშალა აღმოსავლეთის ფრონტი (კაზაკებისა და ქართველების მოკავშირეობით) ოსმალთა წინააღმდეგ და დასავლეთის ქრისტიანთათვის შეემსუბუქებინა ხანგრძლივი და დაძაბული ომი „ბრწყინვალე პორტასთან“.

არც არის გასაკვირი, რომ იტალიელი პილიგრიმის ძვალ-რბილში გამჯდარი ქრისტიანული ზნეობისა და კაცთმოყვარეობის სული ხძლევდა გონებაში გაჩენილ ძალზე მაცდუნებელ, მაგრამ წარმავალ პოლიტიკურ ანგარიშებს.

დელა ვალეს წიგნში ქართველთა საქებარი სიტყვების სიმრავლე, ალბათ, იმითაც არის განპირობებული, რომ ავტორი შეესწრო საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ გმირულ პერიოდს, ბრწყინვალე ფურცელს ქართველი ხალხის სასახელო საქმეთა ვრცელ ნუსხაში, როდესაც საკუთარი ყოფნის შესანარჩუნებლად არყოფნასთან ჰიდილში, საკუთარი შეობის გადასარჩენად, გამოვლენილ იქნა იშვიათი სიმტკიცე და თავდადება. დიახ, მისდა და ჩვენდა საბედნიეროდ, დელა ვალე შეესწრო საქართველოს ცხოვრების, როგორც ცვაიგი იტყოდა, „ვარსკვლავიან ჟამს“.

მაგრამ დელა ვალეს თხზულებაში მრავლად გვხვდება არა მარტო „გულითადი სიტყვები“ ქართველების შესახებ, არამედ — გულსატკენიც, რადგან მისი სიყვარული საქართველოსა და ქართველებისადმი არ ყოფილა ბრმა სიყვარული, რომელიც ვერ ხედავს თუ თვალს ხუჭავს ნაკლზე და მხოლოდ მშვენიერების მზერით ტკბება.

თუ კარგად გადავიკითხავთ დელა ვალეს ნაწერებს და არაფერს გამოვტოვებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ იტალიელი მოგზაური ვარდისფერი სათვალით როდი იყო შეიარაღებული. კარგსაც კარგად ხედავდა და ავსაც. ქებას არ იშურებდა, როდესაც საქებარს ხედავდა, მაგრამ მწარე დაკვირვებანი არცთუ იშვიათი ხილია მის თხზულებაში.

ასე მაგალითად, დელა ვალემ მშვენივრად იცის, რომ დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა და სამშობლოს

დაცვის საერთო ინტერესები ვერ აქარწყლებდა საქართველოში არსებულ სოციალურ უთანასწორობას და კლასობრივ ანტაგონიზმს. იტალიელი მოგზაური, აღმოსავლეთის ქვეყნებში გაბატონებული ტირანიის შესახებ მსჯელობისას, აღნიშნავს, რომ ქართველთა შორისაც „ჩაგვრა ღარიბთა იმდენად უსაზღვროა, რომ ისინი აღარ არიან პატრონები აღარც თავისი ქონებისა, აღარც ღირსებისა, აღარც სიცოცხლისა. კეთილშობილნი და წარჩინებულნი, რომელთაც ქართველები უწოდებენ აზნაურებს, ართმევენ თავიანთ ხელქვეითებს, როცა კი მოესურვებათ, ქონებას, ცოლ-შვილს და ძალზე ხშირად სიცოცხლესაც“,

ანდა გავიხსენოთ, რას წერდა დელა ვალე, როდესაც გამოთქვამდა ვარაუდს სეფიანთა სახელმწიფოში, შაჰ-აბასის სიკვდილის შემდეგ, მოსალოდნელი არეულობის თაობაზე: ქართველთა ერთსულოვანი მოქმედება მეეჭვება, რადგანაც ვიცი მათი თავქარიანობაო.

როგორ მოგწონთ ესოდენ მკაცრი შეფასება? რა თქმა უნდა, შეგვიძლია კატეგორიულად უკუვაგდოთ იტალიელი მოგზაურის შეხედულება, ზერელე დასკვნად მივიჩნიოთ და თავგამოდებით ვამტკიცოთ საწინააღმდეგო, მაგრამ აქ სხვა კითხვაა დასმული და პასუხიც საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს. ვფიქრობ, უსამართლობა იქნებოდა, რომ ამგვარი დახასიათების ავტორს ქართველებისადმი მიკერძოება ვუკიჟინოთ.

ზოგიერთი სხვა მასალაც დელა ვალეს ნაწერებიდან ასევე მიგვანიშნებს ზემოთქმული ეჭვის უსაფუძვლობას. გავიხსენოთ თუნდაც, როგორ მოგვითხრობს იგი დიდი მოურავის მშფოთვარე თავგადასავალს საქართველოდან ირანში იძულებითი გადახვეწის შემდეგ (ამ ინფორმაციას ჩვენში, გასაგებ გარემოებათა გამო, მხოლოდ უნდობლობა და იგნორირება ხვდა წილად). ანდა გავიხსენოთ, რომ სწორედ დელა ვალე აშუქებს დაწვრილებით იმ ამბავს, თუ როგორ გასწირა სასიკვდილოდ კახეთის სამეფოს გამოჩენილი სარდალი (ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი) ახალგაზრდა და გამოუცდელმა თეიმურაზ პირველმა, შაჰ-აბასის მიერ შეთითხნილი ცილისწამების ნიადაგზე. გავიხსენოთ აღწერა იმავე შაჰ-აბასის პირველი გამოლაშქრებისა საქართველოზე, როდესაც ყიზილბაშთა ლაშქარს წინ მოუძღოდა ზოგიერთი ქართველი თავად-აზნაური, რომელიც ბევრ სიკეთეს მოელოდა „მწყალობელი“ შაჰისაგან, მაგრამ შეშ-

დგომში იმედი გაუცრუვდათ და სანანებელი გაუხდათ თავიანთი შეცდომა (თუკი ამას „შეცდომა“ ჰქვია) და ხმამაღლა აღიარებდნენ, მოტყუებულნი დავრჩითო.

დამოწმებული ცნობების ანალიზი ამჯერად არაა აუცილებელი, მათი დამოწმება ერთადერთ მიზანს ისახავს — კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ დელა ვალე არ იმსახურებს ქართველებისადმი მიკერძოებულ ავტორად მონათვლას.

იტალიელმა მოგზაურმა, სამშობლოში დაბრუნებისთანავე, ამოკრიბა თავის წერილებში გაბნეული მასალა საქართველოსა და ქართველების შესახებ. შეავსო იმ ცნობებით, რომლებიც ქაღალდზე არ გადაუტანია მოგზაურობის დროს, და 1626 წლის აპრილში რომის პაპს მიართვა თავისი ხელნაწერი ნაშრომი „ინფორმაცია საქართველოს შესახებ“.

იტალიელი მოგზაურის ნაწერებში მდიდარი და საინტერესო მასალა მოიპოვება XVII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ამბებზე. გაშუქებულია ირან-საქართველოს რთული და დაძაბული ურთიერთობის პერიპეტიები. მიუხედავად იმისა, რომ დელა ვალეს საკუთარი თვალით არ უნახავს საქართველო, მისი ცნობები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, ქვეყნის ისტორიასა და ეთნოგრაფიაზე, მიღებული ირანში გაცნობილი ქართველებისაგან, თავისი მნიშვნელობითა და ობიექტურობით არ ჩამოუვარდება უშუალოდ საქართველოში ნამყოფი ამა თუ იმ ევროპელი მოგზაურის ჩანაწერებს. ამასთან ერთად, მისი ცნობების ფასი იმითაც იზრდება, რომ ავტორი მოთხრობილი ამბების თანამედროვეა.

დელა ვალეს ამიტომაც უჭირავს თვალსაჩინო ადგილი ქართველი მკითხველის მეხსიერებაში. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ევროპელ ავტორთა ნაშრომებიდან ყველაზე ადრე, თუ არ ვცდები, ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა სწორედ „ინფორმაცია საქართველოს შესახებ“ (ჟურნალი „ივერია“, 1879, № 3). მას შემდეგ დელა ვალეს ცნობები ხშირად დაუმოწმებიათ XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობისას.

პიეტრო დელა ვალემ თავის თხზულებაში შეძლო მკაფიოდ და ხატოვნად დაეხასიათებინა მისი თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, მაჰმადიანური აგრესიის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის მთავარი მომენტები და სათანადო

ადგილი დაეთმო იმ ქართველი მოღვაწეებისათვის, რომლებიც სამაგალითოდ გამოხატავდნენ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქრისტიანი ხალხის სულიერ განწყობილებასა და მისწრაფებებს. ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია ის ცნობები, რომლებიც შემოგვინახა დელა ვალეს თხზულებამ ქალაქ შირაზში ტყვედ მყოფი ქეთევან დედოფლის შესახებ, სულით უძლეველი საქართველოს სიმბოლოდ რომ ესახებოდათ, და თავისი სიმტკიცით, ქრისტიანული სარწმუნოებისა და სამშობლოს ერთგულებით, ყველა თვისტომს ამხნევებდა და აიმედებდა.

ასევე საყურადღებოა დელა ვალეს თხზულებაში მოცემული პორტრეტი თეიმურაზ პირველისა, რომელიც წლების მანძილზე თავგანწირვით იბრძოდა სეფიანთა ირანის ბატონობის წინააღმდეგ. სწორედ ამ დაუღალავმა შემართებამ, რასაც ვერ აფერხებდა ვერც ყიზილბაშთა შემოსევები საქართველოში და ქვეყნის აოხრება, ვერც მისი ახლობლების ტრაგიკული ბედი და ვერც საკუთარი ფათერაკები, ათქმევინა იტალიელ მოგზაურს შემდეგი სიტყვები: „...თეიმურაზ-ხანი, ვის მიმართაც, გარდა სარწმუნოების ინტერესებისა, არ ვიცი — რომელი იდუმალი ძალით მოხიბლული, განვიცდი არაჩვეულებრივ კეთილგანწყობას, თუმცა პირადად არც ვიცნობ“.

გარდა ზემოთქმულისა, დელა ვალეს ნაწერებში გვხვდება ლაკონიური ცნობები ქართული ენის, დამწერლობის, ეროვნული ხასიათისა და სარწმუნოების შესახებ. ავტორი მკითხველს აცნობს ევროპაში გავრცელებული სახელწოდების (გეორგია) მართებულ ეტიმოლოგიას და იქვე იმოწმებს იმ სახელწოდებას, რომლითაც თვით ქართველები მოიხსენიებენ თავიანთ სამშობლოს (საქართველო). მოკლედ არის აღნიშნული საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ადრინდელი ვითარება და ქვეყნის გაყოფა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. ყურადღებას იქცევს ერთი საინტერესო შტრიხი იმდროინდელი საქართველოს სოციალური სინამდვილისა — ხელოსნობისა და ვაჭრობის სფეროში ძალზე ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი ქალაქებში მცხოვრები სომხები და ებრაელები. და კიდევ: შემაძრწუნებელი ფერებით არის დახატული შაჰ-აბასის მიერ ქართველთა ირანში გადასახლების სურათი... საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ავტორის ეთნოგრაფიული დაკვირვებანი.

ასე მაგალითად, დელა ვალე აღნიშნავს, რომ დიდგვაროვანთა დაკრძალვაზე მოტირალი ქალების დაპატიჟება საქართველოში წესად ყოფილა შეღებული. აი, როგორ აღწერს იტალიელი მოგზაური ამ სამგლოვიარო რიტუალს: „თმას გაიწეწავენ, სამოსელს შემოიხსრეწენ, მერე თმას მკერდამდე ჩამოიშლიან, მჯილს იცემენ გულში და პირისახეს იკაწრავენ. ამას თან სდევს სამგლოვიარო სიმღერა. ისინი არა მარტო თვითონ ქვითინებენ, არამედ ყველა დამსწრეს აატირებენ ხოლმე თავისი მოთქმა-გოდებით“.

მარიუჩას ქართველი გამდელი, მარინე რომ ერქვა სახელადფრიად დახელოვნებული მოტირალი ყოფილა. ამიტომაც ხშირად იწვევდნენ სატირალში და გულუხვად ასაჩუქრებდნენ გაწეული სამსახურისათვის. დელა ვალე შენიშნავს, რომ მოტირალი ქალების დაპატიჟება უძველესი ჩვეულებაა და იტალიის ზოგიერთ კუთხეში (სიცილია, კალაბრია) ჩვენს დრომდე შემორჩენილაო.

საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა იტალიელი მოგზაურის ფანტასტიკურ ოცნებებსა თუ არანაკლებ ფანტასტიკურ პროექტებში.

დელა ვალე გადმოგვცემს ყიზილბაშთა მიერ საქართველოს აოხრების ამბავს, აღნიშნავს ირანში დაწინაურებული ქართველების მზარდ უკმაყოფილებას შაჰ-აბასის პოლიტიკით საქართველოს მიმართ, დაჟინებით ცდილობს წარმოიდგინოს ახლო მომავალში მოსალოდნელი არეულობა და წერს: განა არ შეიძლება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქართველებმა, ქრისტიანებმა ბუნებით და მაშასადამე, განსხვავებულებმა სპარსელთაგან, მოიმოქმედონ ირანში ოინი, რომელიც ოდესღაც მაჰმადიანმა მამლუქებმა მოუწყეს ასევე მაჰმადიან კაიროს ძველ სულტნებს? (იგულისხმება მამლუქთა მიერ აიუბიანთა ცნობილი დინასტიის დამხობა ეგვიპტეში, XIII საუკუნის შუა წლებში).

იტალიელ მოგზაურს თავისი ნაფიქრალი არ ეჩვენებოდა უნიადაგო ფანტაზიად, რადგანაც კარგად ხედავდა, რომ მრისხანე შაჰ-აბასი სინამდვილეში არ უყვარდათ, თუმცა იძულებულნი იყვნენ უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ და მის ნება-სურვილზე ევლოთ. მაგრამ ერთხელაც იქნება, ხომ განუტევებს სულს სეფიანთა ირანის ხელმწიფე და მერე ვიღას ძალუძს შისი სისხლიანი რეჟიმის გახანგრძლივებაო? დელა ვალე გამოთქვამდა რწმენას, რომ თე-

იმურაზ შეფე და ირანში აღზეევებული ქართველები არ გაუშვებ-დნენ ხელსაყრელ შემთხვევას, მოახდენდნენ გადატრიალებას და იქნებ სეფიანთა ხელისუფლებასაც დაპატრონებოდნენ, თუკი შეძლებდნენ ერთმანეთში არსებულ უთანხმოებათა გადალახვას.

სეფიანთა ირანში მყოფი იტალიელი მოგზაური ხანდახან გაჭუბორციელებელ ოცნებასაც ეძლეოდა და „ახალი მოსე" ელანდებოდა, ვისაც „ეგვიპტის ტყვეობიდან" უნდა ეხსნა ჩაგრული ქართველი ხალხი, ანდა „ახალი გოტფრიდების" (იგულისხმება პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წინამძღოლი გოტფრიდ ბულონელი) გამოჩენას ელოდა — დასავლეთიდან დახმარების ხელის გასაწვდენად აღმოსავლეთის ქრისტიანებისათვის.

იტალიელ მოგზაურს ნამდვილ სასწაულად ეჩვენებოდა გმირული ბრძოლა და სიმტკიცე ქართველებისა, რომლებიც გარშემორტყმულნი იყვნენ უძლიერესი და უხარბესი აგრესორებით. იგი გაკვირვებას გამოთქვამდა იმაზე, რომ კათოლიკური ეკლესია უამრავ თანხას ხარჯავდა სხვადასხვა ქვეყნებში ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებისათვის და ცდილობდა ურჯულო ხელმწიფეთა ხელისუფლების ქვეშ ხანგრძლივად დაქვემდებარებულ ხალხთა შემომტკიცებას, მაგრამ მხედველობიდან გამორჩენოდა ქართველები, მებრძოლი ხალხი, რომელსაც ჰყავდა ქრისტიანი მეფე-მთავრები უძველესი გვარისა, ჰყავდა ჯარი და განუწყვეტლივ ებრძოდა მტერს.

ოცნებობდა იტალიელი მოგზაური და თვალწინ წარმოუდგებოდა საქართველო, როგორც კვანძი ევროპასა და აზიას შორის. მისი ფიქრით, ქართველების ხელშეწყობით ქრისტიანობა მოიხვეჭდა დიდ გავლენას მთელს აღმოსავლეთში და რომის პაპი, როგორც საერთო მეგობარი ირანისა და საქართველოსი, ითამაშებდა შუამავლისა და არბიტრის როლს ამ ორი ქვეყნის დაძაბულ ურთიერთობაში. დელა ვალეს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად მიაჩნდა გაგზავნა საქართველოში იეზუიტი მისიონერებისა, რომლებიც შეისწავლიდნენ ქართულ ენას და დააარსებდნენ კოლეჯებს ევროპული განათლების გასავრცელებლად.

ხანგრძლივი მოგზაურობიდან პიეტრო დაბრუნდა რომში 1626 წლის 28 მარტს და უკვე 19 აპრილს ეახლა რომის პაპს. 4 მაისს მიღებულ იქნა დადგენილება საქართველოში თეათინელთა

მისიის დაფუძნებაზე. 23 ივნისს თეათინელი მისიონერები გამოემგზავრნენ საქართველოსაკენ.

კათოლიკე მისიონერთა მრავალმხრივი მოღვაწეობა შუა საუკუნეების საქართველოში კარგად არის ცნობილი ქართველი მკითხველისათვის მ. თამარაშვილის წიგნიდან „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის". აღნიშნული საკითხის ირგვლივ ახალი მასალების მოძიება და გამოქვეყნება ჩვენში არც შემდგომ შეწყვეტილა და დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს.

რომის ეკლესიასთან საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის ისტორია უცხოელ მკვლევართა ინტერესსაც იწვევს. ამას მეტყველებს, კერძოდ, იტალიელი მეცნიერის ფრანჩესკო ანდრეუს ნაშრომი „პიეტრო დელა ვალეს გამოუქვეყნებელი მიმოწერა პადრე ავიტაბილესა და თეათინელ მისიონერებთან საქართველოში", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „რეგნუმ დეის" ფურცლებზე.

ფრ. ანდრეუ შენიშნავს: „გულწრფელი კათოლიკე დელა ვალე არ უგულებელყოფდა რელიგიური პრობლემების შესწავლას იმ ქვეყნებში, რომლებიც მოინახულა. იგი განსაკუთრებით ააღელვა ქართველთა უბედურმა ხვედრმა, რომელთაც მაშინ თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გადამწყვეტი ჟამი დასდგომოდათ".

საქართველოში თეათინელთა მისიონის დაფუძნებას დიდად შეუწყო ხელი პიეტრო დელა ვალეს შუამდგომლობამ რომის პაპის წინაშე — შორეული ქრისტიანული ქვეყნისათვის „სულიერი შემწეობის" გასაწევად.

იმ ინსტრუქციაში, რომელიც დელა ვალემ გადასცა საქართველოში გამგზავრებულ მისიონერებს, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ მათ უნდა ეზრუნათ არა მარტო თავისი მისიონის რელიგიურ წარმატებებზე, არამედ ბეჯითად შეესწავლათ ადგილობრივი ზნე-ჩვეულებანი, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ვითარების არსებითი ნიშნები, მმართველობის სისტემა, ურთიერთობა ირანსა და ოსმალეთთან. განსაკუთრებით საგულისხმოა ინტრუქციის ის ნაწილი, სადაც იგი აფრთხილებდა თეათინელ მისიონერებს, არ გაეღიზიანებინათ მართლმადიდებელი სარწმუნოების მლოდლები, არ გამოეთქვათ კრიტიკული შენიშვნები მათი რიტუალების

თაობაზე და ყოველთვის გამოეხატათ თავიანთი პატივისცემა და სურვილი მათთან თანამშრომლობისა.

ფრ. ანდრეუს პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ დელა ვალეს ახლო ურთიერთობა ჰქონია ნიკიფორე ირბახთან, რომელიც თეიმურაზ პირველის მიერ ელჩად იყო წარგზავნილი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მან ნაწილობრივ გამოასწორა ვატიკანში მყოფი ესპანეთის ელჩის დაუდევრობა, რომელმაც სუბიექტური მოტივების გამო საჭიროდ არ მიიჩნია, პირადად წარედგინა ქართველი მეფის ელჩი რომის პაპისათვის. დელა ვალეს სიტყვით, ნიკიფორე ირბახს საუკეთესო შთაბეჭდილება მოუხდენია რომის პაპსა და კარდინალებზე, აგრეთვე სხვებზე, ვისაც კი შეხვედრია.

1630 წელს, პიეტრო დელა ვალე რომიდან სწერდა პიეტრო ავიტაბილეს: „გარწმუნებთ, არა მქონია ურთიერთობა აღმოსავლელ პირთან, ვისაც ასე კარგად და სწრაფად შეეთვისებინოს ჩვენი ცხოვრების ყაიდა, შეჰგუებოდეს ევროპულ ზნე-ჩვეულებებს და უკეთესად გაეგოს მათი არსი".

დელა ვალემ სწორედ ნიკიფორე ირბახს გამოატანა თავისი წერილი თეიმურაზ მეფესთან და თავისი შეუღლის წერილი — დედოფალთან.

ზემოხსენებულ წერილში დელა ვალე აღნიშნავს ნიკიფორე ირბახის დახმარებით ქართული შრიფტის ჩამოსხმას რომის სტამბაში ქართული წიგნების დასაბეჭდად. იქვე ამცნობს პიეტრო ავიტაბილეს ქართულ-იტალიური ლექსიკონის გამოცემას რომში და ჰპირდება, ამ წიგნის ეგზემპლარების გამოგზავნას საქართველოში, მისი ავკარგიანობის შესამოწმებლად, შეძლებისამებრ შესასწორებლად და მოცულობის გასაზრდელად. ამავე წერილში მითითებულია ის მიზეზებიც, რამაც გამოიწვია ლექსიკონის არასრულყოფილი სახით გამოცემა.

პიეტრო დელა ვალე თავის წერილში ჯუზეპე ჯუდიჩესადმი (1630 წ. 10 ივნისი) შეახსენებდა თეათინელ მისიონერს, რომ დაწვრილებით და ზუსტად ეცნობებინა მისთვის ყველა ის ამბავი, რაც ხდებოდა საქართველოში. ამასთან ერთად, დაეზუსტებინა ყველა მეფე-მთავრისა და დიდებულთა სახელები; ყურადღება მიექცია ისეთი შედარებით უმნიშვნელო დეტალებისათვისაც, როგორიც იყო ზუსტი ტრანსკრიფცია რომელიმე პიროვნებისა თუ ტოპონიმის დასახელებისას.

საქართველოში მყოფი თეათინელი მისიონერები კეთილსინდისიერად ასრულებდნენ დელა ვალეს დავალებას და აწვდიდნენ ინფორმაციას შინ თუ გარეთ მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

სწორედ თეათინელმა მისიონერებმა დატოვეს თავიანთი მოღვაწეობით ყველაზე მკაფიო კვალი საქართველოში. ქართულ ენაზე თარგმნილია თეათინელთა (არქანჯელო ლამბერტი, ჯუზეპე ჯუდიჩე, პიეტრო ავიტაბილე) ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომები საქართველოზე. გამოცემულ იქნა ქრისტოფორო კასტელის ალბომი, რომელიც უნიკალურ განძს წარმოადგენს ქართველი მკითხველისათვის.

...„მსურს გაცნობოთ ახალი ამბავი და მჯერა, რომ გაგიხარდებათ. სინიორა მარია ამჟამად არის ჩემი მეუღლე. უკვე წელიწადზე მეტია, რაც დავქორწინდით“, — აღნიშნავს პიეტრო დელა ვალე 1630 წლის 18 მაისით დათარიღებულ წერილში, რომელიც გაუგზავნია რომიდან გორს, საქართველოში დაფუძნებული თეათინელთა მისიონის პრეფექტის პიეტრო ავიტაბილეს სახელზე.

ზემოთ დამოწმებულ ტექსტში მოხსენიებული „სინიორა მარია“ გახლავთ ქართველი ქალი, სახელად თინათინი, რომელიც ბავშვობიდანვე იზრდებოდა პიეტროს ოჯახში. პიეტროს პირველმა მეუღლემ, სირიელმა ქრისტიანმა მაანიმ, პატარა ქართველ გოგონას ახალი სახელი (მარიამი) შეარქვა, ალბათ, ღვთისმშობლისადმი თავისი მოწიწების ნიშნად და შინაურობაში კი, მოფერებით, „მარიუჩას“ ეძახდნენ.

პიეტრო დელა ვალე თავის გადაწყვეტილებას ორი გარემოებით ხსნის. ჯერ მიუთითებს, ჩემს საგვარეულოში ჩემს გარდა აღარავინ დარჩენილა და გვარს მემკვიდრე სჭირდებაო. მაგრამ რაღა მაინცდამაინც „სინიორა მარიას“ უნდა შეესრულებინა დელა ვალეთა უძველესი გვარისათვის მემკვიდრეთა გაჩენის საპატიო მისია?

ორმოცდაოთხი წლის პიეტროს თავისი გრძნობების გამჟღავნება წერილში, ეტყობა, ეუხერხულება და მაინც იძულებულია, სიტყვაძუნწად შეეხოს იმ დიდ სიყვარულს, ყველა ცრურწმენა და ჭოჭმანი რომ ჩაახშო. შესაძლოა, გვეჩოთიროს პიეტროს მიერ ცოლად შერთვა მარიუჩასი, რომელიც მის ოჯახშივე იზრდებოდა, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ

სწორედ მისმა პირველმა მეუღლემ, სიკვდილის წინ (1621 წ.) მარიუჩას მოვლა-პატრონობა უანდერძა პიეტროს და მიღებული გადაწყვეტილება, ალბათ, საუკეთესო გზა იყო ამ ანდერძის პირნათლად შესასრულებლად.

პიეტრო ერთგვარი სიამაყით წერს, რომ „სინიორა მარია" დათანხმდა ამ ქორწინებაზე, მიუხედავად იმისა, რომ თვით პიეტროს აღიარებით იგი საკმაოდ ხნიერი იყო მარიუჩაზე (დაახლ. ოცი წლით უფროსი იქნებოდა), და იქვე დასძენს: ამასთან ერთად ათასი სხვა ნაკლიც არ მაკლია.

უნდა ვიფიქროთ, რომ რომში გადახვეწილი ქართველი ქალისათვისაც ბუნებრივი იყო სურვილი — არასოდეს განშორებოდა პიეტროს, ვისთანაც აკავშირებდა აურაცხელი, ტკბილი თუ მწარე, მოგონებანი.

რამ აღმოაცენა ეს სიყვარული, რამ გადალახა ასაკობრივი ბარიერი? ქართველი გოგონა ბავშვობიდანვე პიეტროს თვალწინ იზრდებოდა. ჭირი და ლხინი საერთო ჰქონდათ. ერთად დასტიროდნენ მაანის ცხედარს, ერთად უხაროდათ შირაზის ტყვეობაში მყოფი ქართველების, კერძოდ, ენაწყლიანი ხუცესი გიორგისა და თავისი გულისხმიერებითა და სათნოებით სახელგანთქმული ქეთევან დედოფლის გაცნობა; ერთადვე ემშვიდობებოდნენ წამებისა და სიკვდილისათვის თავგადადებულს. მარიუჩას, რასაკვირველია, მადლიერების კანონზომიერი გრძნობა ჩაესახებოდა გულში იმ ადამიანისადმი, რომელმაც დაობლებულს, უცხოეთში მოხვედრილს, რომელიმე ყიზილბაშის ჰარამხანაში გამოსაკეტად განწირულს, თავშესაფარი მისცა და ტყვეობის მოსალოდნელი ფათერაკებისგან სამუდამოდ იხსნა.

ხოლო პიეტროს სიყვარულის წარმოქმნას, ალბათ, სიბრალულმაც შეუწყო ხელი. დაჩაგრული და აოხრებული ქვეყნის შვილი თავისი ბედით თითქოსდა გამოხატავდა საერთო სატკივარს. ირანში ყოფნისას დელა ვალემ დაწვრილებით შეიტყო ის ჭირვარამი, რაც საქართველოს გადახდა. ათასნაირ უბედურებათა ნიმუშად ესეც კმაროდა — უცხოსა და მტრულ ქვეყანაში თითქმის უპატრონოდ დარჩენილი ქართველი გოგონა, წარჩინებული კვარისა, რომლის შორეულმა ნათესავებმა, უზომო გაჭირვებაში ჩავარდნილმა ოდესღაც მდიდარმა ქართველმა ქალებმა ყველაზე გონივრულსა და ეფექტურ ხერხს მიაგნეს — ობლის მოვლა-პატ-

რონობა მიანდვეს რომაელ ერთმორწმუნეს, მგზნებარე ქრისტიანსა და ყველა ქრისტიანის კეთილისმყოფელს, თავისუფალსა და შეძლებულ პიროვნებას.

ზემოხსენებულ წერილში პიეტრო დელა ვალე საქართველოში მყოფ პიეტრო ავიტაბილეს ამცნობს თავისი პირმშოს დაბადებას და დასძენს: „რათა სამარადისოდ დარჩეს ჩემს საგვარეულოში ხსოვნა იმ სიყვარულისა, საქართველოსადმი რომ მაქვს, ჩვენს გოგონას სახელად დავარქვი რომიბერა, როგორც ორი სისხლის, რომაულისა და იბერიულის, შეერთებით გაჩენილ პირმშოს. ვისურვებდი აგრეთვე, რომ ამ ნათესაობრივ კავშირთან ერთად სამუდამოდ დარჩეს ჩვენი ხალხების მჭიდრო შეკავშირება ერთიანი სულისკვეთებითა და სარწმუნოების ურღვევი კვანძებით“.



მანდ რო ქალი დავიკარგე

არსებობს ერთი ქართული თქმულება, რომელიც ორიგინალური კუთხით აშუქებს სამშობლოს სიყვარულის დაუძლეველ გრძნობას...

თურმე შაჰ-აბასს მიჰგვარეს ერთი მშვენიერი ქალი სოფელ კარალეთიდან. ახალი საცოლე ძალზე მოეწონა სეფიანთა ხელმწიფეს. მაგრამ ქართველი გლეხის ქალი ვერ დააბრმავა მისი ჰარამხანის ბრწყინვალებამ და ფუფუნებამ. როდესაც ძვირფას ქვეშაგებში ჩააწვინეს, ცოტა არ იყოს, ეჩოთირა კიდეც და ინატრა: „სად ხარ ჩემო კარალელო ჩალაო!“

ჩვენი საუკუნის დამდეგს ანტონ ფურცელაძე წერდა: „კარალეთში დღესაც დაწვრილებით ლაპარაკობენ ამ ქალზედ და ასახელებენ. ყოფილა თიკა მაზანდარაშვილის ქალი. რაკი ვერ შეუწყნარებია ამ ქალს დიდება, ყაენს ისევ გამოუგზავნია სპარსეთიდან თავის სოფელში თავის დედ-მამასთან“.

რა თქმა უნდა, ამ თქმულებაში ის აზრი როდია გატარებული, რომ ადამიანს შეჩვეული სიღარიბე ურჩევნია დაუჩვეველ სიმდიდრესო. ასეთია პარადოქსის საათქმელად რაღა ისპაანში გაამგზავრებდნენ კარალელ ქალს, ახლოსაც მოიძებნებოდა სასახლე და ფუფუნება. ციციშვილები, ერისთავები, ამილახვრები... განა ცოტანი იყვნენ?!

იმ კარალელი ქალისათვის სამშობლო აბსტრაქტული ცნება კი არ იყო, არამედ — თავისი სოფელი, თავისი კარ-მიდამო და ფარჩა-აბრეშუმის ქვეშაგებზე ძვირფასი ლოგინი ჩალისა. უბრალო ქართველი ქალი ვერა და ვერ გაიზიარებდა ლათინურ სიბრძნეს: სადაც კარგია, სამშობლოც იქ არისო.

საიდან სადაო, მაგრამ ზემოხსენებულ თქმულებას თავისებუ-

რად ეხმიანება XVII საუკუნის ინგლისელი პოეტის უილიამ კოლინზის ერთი ლექსი, სადაც ასეთი ამბავია გადმოცემული:

ქართველი მწყემსი ქალი ნახირს აძოვებდა მინდორში, ყვავილების გვირგვინს წნავდა და თავისთვის ღიღინებდა. ნადირობისას გზააბნეულმა შაჰ-აბასმა ყური მოჰკრა მწყემსი ქალის სიმღერას და მიუახლოვდა. მისმა სილამაზემ მყისვე დაატყვევა ხელმწიფე, ხელი ჩასჭიდა ახალ სატრფოს და ცოლად წაიყვანა. მაგრამ სიმდიდრემ და უზრუნველობამ ვერ დაავიწყა მწყემს ქალს წინანდელი წყნარი ცხოვრება. ამიტომაც იყო, რომ მოახლეებს გაიყოლებდა მთაში და იხსენებდა სამშობლოს. ზოგჯერ თვით შაჰ-აბასიც გვერდზე გადასდებდა სახელმწიფო საქმეებს, მიჰყვებოდა ქართველ მწყემს ქალს და მასთან ერთად ტკბებოდა ბუნების მშვენიერებით.

რაც უნდა გულუბრყვილო და სასაცილო გვეჩვენოს ეს ნაწარმოები, უდავოა, რომ აქაც ნოსტალგია ანუ „სამშობლოს სევდა" არის წამოწეული წინა პლანზე და კოლინზის მწყემსი ქალი მაშინვე მოგვაგონებს კარალელ თიკა მაზანდარაშვილს.

ქართველი მკითხველისათვის შაჰ-აბასი, „კაცი ხვანჯიანი და დაუნდობარი", ფრიად ნაცნობი ფიგურაა, მრავალჯერ აღწერილი ქართულ მწერლობაში და ძალზე ძნელია, რომ თვალი შეეგუოს ბუნების წიაღში რომანტიკული განწყობილებით შეპყრობილი შაჰის პორტრეტს. მაგრამ უილიამ კოლინზის ფანტაზია მთლად უნიადაგო არ არის. შესაძლოა ინგლისელ პოეტს წაკითხული ჰქონდა პიეტრო დელა ვალესა თუ ჟან შარდენის თხზულებანი და თავისებურად გადაუხარშავს მათი ინფორმაცია.

საერთოდ, შაჰ-აბასი და ქართველი ქალები — იმდროინდელ ევროპელ ავტორთა ერთ-ერთ საყვარელ თემას წარმოადგენდა.

პიეტრო დელა ვალეს მიხედვით, შაჰ-აბასის ჰარამხანაში ყველაზე ხშირად ქართული სიტყვა-პასუხი ისმოდა და სეფიანთა უფლისწულებიც ქართულად იდგამდნენ ენას.

„სიმართლე რომ ითქვას, — სწერდა იტალიელი მოგზაური თავის მუდმივ ადრესატს რომში, მარიო სკიპანოს, — ქართველი ქალები ყველაზე ლამაზნი არიან მთელს აზიაში. შავგვრემანი სპარსელები ვერ შეედრებიან მათ. ქართველი ქალები არიან იმდენად ტანმაღალნი, რომ სიმაღლე ქალბატონ ფაუსტინა ალბერინისა, დეიდაჩემისა, ძალზე ჩვეულებრივია მათ შორის. თითქმის ყვე-

ლას შავი თმა აქვს და თვალებიც — შავი, დიდრონი და შომხიბ-
ლავი; პირისახე — თეთრი ფერისა, ხოლო ლოყები — ვარდისფერი,
ალბათ ბახუსის სითხის წყალობით, რომელსაც ისინი კარგად იც-
ნობენ და მათი საშშობლო ამ მხრივ არ ჩამოუვარდება გერმანე-
ლებს... მე ვთვლი ქართველებს ერთ-ერთ ულამაზეს ხალხად
მთელს მსოფლიოში".

ეი ასეთი ხოტბა შეასხა პიეტრო დელა ვალემ ქართველი ქალის
შშვენებას.

ცოტა მოგვიანებით, ფრანგი მოგზაური ჟან-ბატისტ ტავერნიე
აღნიშნავდა: ძლიერ იშვიათია სპარსელთა შორის შაჰიდან მის
უმდაბლეს ქვეშევრდომამდე ისეთი ადამიანი, რომ დედა ან მამა
ქართველი არ ჰყავდეს, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ქართული
სისხლი არ ერიოს ძარღვებშიო (ეს გაზვიადებული სურათიც, ცხა-
დია, სინამდვილის ანარეკლს წარმოადგენს).

პიეტრო დელა ვალემ 1617 წელს ისპაანში გაიცნო ალავერდე-
ლი მიტროპოლიტის დები: ნესტან-დარეჯანი, თინათინი და მარია-
მი. ისინი შორეული ნათესავები იყვნენ თეიმურაზ მეფისა, კახეთ-
ში ფლობდნენ მამულებსა და დიდძალ სიმდიდრეს. როდესაც შაჰ-
აბასი თავისი უზარმაზარი ლაშქრით 1614 წლის გაზაფხულზე მო-
ულოდნელად შეესია კახეთს, მიტროპოლიტის დებმა ვერ მოასწ-
რეს გაქცევა იმერეთისაკენ მეფესა და დიდებულებთან ერთად.
იქნებ არც უცდიათ, რადგან თვით ალავერდელი მიტროპოლიტი
ვიღაც მოღალატის შემწეობით დაატყვევეს ყიზილბაშებმა.

დატყვევებულ მიტროპოლიტს ისპაანში გაჰყვნენ მისი დებიც.
თავისი ფული და ქონება, რამდენიც კი შეძლეს, თან წაიღეს და
დიდი ამალით ჩავიდნენ სეფიანთა სატახტო ქალაქში.

მიტროპოლიტის დები თავდაპირველად ჯეროვან პატივში იყვ-
ნენ, ხშირად ტრიალებდნენ ირანის სამეფო კარზე და შაჰ-აბასის
ყურადღება არ აკლდათ. მაგრამ შემდგომში რამდენიმე მოვლენამ
შეატრიალა მათი ბედი.

ჯერ-ერთი, თეიმურაზს ომი არ შეუწყვეტია, ყიზილბაშებს და-
უნდობლად ავლებდნენ შუსრს საქართველოში; მერე, ალავერდელ-
მა მიტროპოლიტმა რაღაც მანქანებით მოახერხა გაქცევა ტყვეო-
ბიდან და ბოლოს შაჰმა სამივე დას მოსთხოვა გამაჰმადიანება, ამ
წინადადებაზე ცივი უარი მიიღო და განრისხდა. მაშინვე მოაკლ-
დათ პატივი და ყურადღება მიტროპოლიტის დებს, ისინი დააკავეს

თითქმის როგორც პატიმრები, აღარსად შეეძლოთ წასვლა. მოკლებულ იყვნენ ყოველგვარ შეშფოთებას სამშობლოდან, ვინაიდან კახეთში ომი გრძელდებოდა, ხან თეიმურაზი ეუფლებოდა იქაურობას, ხან შაჰ-აბასი. დახარჯეს რაც კი წამოეღოთ, გაყიდეს მთელი ქონება და შეთხელებული ამალითურთ ისეთ სიღატაკეში აღმოჩნდნენ, რომ ყოველდღიურ ლუკმა-პურზე უნდა ეზრუნათ. გაჭირვებაში ჩავარდნილ დებს კათოლიკე მისიონერებმა გაუწოდეს დახმარების ხელი.

პიეტრო დელა ვალემ მიიღო თავის სახლში ქართველი ქალები, როგორც მათ გვარიშვილობას ეკადრებოდა. მალე დამეგობრდნენ. პიეტრომ ორი ვაჟი მოუნათლა ნეტანელ-დარეჯანსა და მის მეუღლეს ზაქარიას. მერე გოგო გასჩენიათ; სახელად მართა დაარქვეს და ისიც იტალიელი მოგზაურის ნათლული გამხდარა.

შეძლებული ქალები ასე დაჩაგრა ბედმა და ღარიბებს რაღა უნდა ეღონათ!

ათასნაირი ნიღაბი ჰქონდა სიკვდილს უცხო მხარეში: შიმშილი, სნეულება, წამება...

1615 წელს წიწამურის მიდამოებში თეიმურაზმა სასტიკად დაამარცხა შაჰ-აბასის სარდალი ალიყული-ხანი. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე წერს: „ასრე ითქვა: რა ქვეყანა დაარსებულა, ქართველთ ამის უკეთესი გამარჯვება არ უქნიათო".

ძვირად დაუჯდათ ქართველებს ეს დიდებული გამარჯვება.

ასჯერ სასტიკი გამოდგა შაჰ-აბასის შურისძიება.

გერმანელი შოგზაური ადამ ოლეარიუსი გადმოგვცემს, რომ ბრძოლის ველიდან გაქცეულ ალიყული-ხანს შაჰმა სამარცხვინო სასჯელი გამოუტანა. დამარცხებულ სარდალს მთელი დღე დედაკაცის ტანსაცმლით უნდა ევლო სამხედრო ბანაკში. შემდეგ სეფიანთა ხელმწიფემ საჯაროდ დაიფიცა, საქართველოს ყველა მცხოვრებს მონებად გავყიდი, თითოს — თითო აბაზადო.

სპარსელი ისტორიკოსის გამოთქმით, შურისძიების ქარქაშიდან ბასრი ხმალი აღიმართა „ურჯულოთა" დასასჯელად.

დადგა შავზე შავი 1616 წელი.

ძალები უთანასწორო იყო.

ადამიანის ენა ვერ გამოთქვამს იმას, რაც საქართველოში ჩაიდინეს ყიზილბაშებმაო, ამბობს XVII საუკუნის სომეხი ისტორიკო-

სი არაქელ თავრიზელი და მკითხველს მიმართავს, შენ თვითონ წარმოიდგინე და მიხვდიო.

ყიზილბაშები ტყვეთა დათვლას ვერ აუდიოდნენ. ადამ ოლეარიუსის სიტყვით, ერთმა რიგითმა მეომარმა ორი აბაზი ჩაბლუჯა ხელში, მაღლა ასწია და ასე მიმართა თავის ხელმწიფეს: „ჰეი, შაჰ-აბას, მომყიდე ერთი წყვილი ქალი!“ შაჰს მაშინვე გაახსენდა საქართველოზე გამოლაშქრებისას დადებული ფიცი და ბრძანა, სასწრაფოდ აერჩიათ ორი საუკეთესო ქალწული და ორ აბაზად მიეცათ თამამი ყიზილბაშისათვის.

მტკივნეულია წარმოდგენა ამ საზარელი სურათისა, როდესაც პიეტრო დელა ვალეს მიერ მთელს აზიაში ულამაზეს ქალებად მიჩნეული ქართველი ქალები, მისივე მწარე შენიშვნით, პირუტყვზე უფრო იაფად იყიდებოდნენ.

და მერე მოდიოდა საქართველოში ლექსად ამონაკვნესი მოკითხვა:

> მანდ რო ქალი დავიკარგე,
> განჯას თათარსა ვყევარო,
> ქიშმიშით გასუქებული
> გაბადრულ მთვარეს ვგევარო.

ჰარამხანაში ჯამოკეტილი ევედრებოდა შველას ალვეთსა თუ ალაზანზე დაზრდილ ტალიკ-ტალიკ ვაჟკაცებს და პასუხად მგზნებარე მოწოდება იბადებოდა:

> ოარე ბიჭო, წავიდეთ,
> გზა შევკრათ ჩვენი მტრისაო,
> ტყვეები გავაყრეინოთ,
> მადლი გვეყოფა სხვისაო.

ლექსი და სიმღერა მხოლოდ სურვილად არ რჩებოდა. ავდარს უფრო და უფრო ხშირად სძლევდა დარი.

საქართველოში მყოფი იტალიელი მისიონერი ჯუსტო პრატო მოგვითხრობს შემდეგ ისტორიას:

1631 წელს თეიმურაზ მეფემ განიზრახა ერთი სპარსელი დიდებულის დასაჩუქრება გაწეული სამსახურის საზღაურად და ოთხი მშვენიერი მთიელი ქალი წარგზავნა ისპაანში. დასაჩუქრებულმა

ასე შემოუთვალა: შე ქართველები მსურდა, თორემ ესენი ისედაც ბლომად მყავს.

მრავლისმთქმელი ჩივილი ალმოხდა ქართველი ქალების მოყვარულს. ალბათ ბევრჯერ გაიხსენებდა გულისტკივილით წარსულ გალაღებას. მაგრამ სადღა იყო 1616 წელი!

ქართველი ხალხის გმირულმა ბრძოლამ გააცამტვერა ყიზილბაშთა ტკბილი იმედები.



მოგვითხრობს პორტუგალიელი ამბროზიო

ბერი ეგნატაშვილი თავის თხზულებაში „ახალი ქართლის ცხოვრება“ დაწვრილებით აღწერს ქეთევან დედოფლის წამებას ქალაქ შირაზში და ბოლოს დასძენს: „ხოლო მუნ დაესწრნენ ფრანგნი და აღიღეს წმიდანი ნაწილნი წმიდისა ქეთევანისნი ფრანგთა და წარიღეს თვისთა თანა“. მისივე სიტყვით, შემდგომში „ფრანგებს“ თეიმურაზ მეფისათვის გამოუგზავნიათ დედოფლის ნეშტი.

ვინ იყვნენ ქართველი ისტორიკოსის მიერ მოხსენიებული „ფრანგები“, რომლებმაც აუხდინეს ტანჯულ დედოფალს უკანასკნელი ნატვრა — ცოცხალი თუ ვერა, მკვდარი მაინც დაბრუნებოდა მშობელ მიწას.

ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ერთი ძეგლი, სადაც გადმოცემულია ქეთევანის ცხოვრება, აზუსტებს ხსენებულ „ფრანგთა“ სადაურობასა და ვინაობას. ირკვევა, რომ ისინი პორტუგალიელი მისიონერები ყოფილან („იყვნეს მას ქალაქსა შინა მღვდელნი ფრანგთანი ფურტუგეზელნი“). დამოწმებული წყაროს თანახმად, „ფურტუგეზელ ფრანგებს“ მოუპარავთ ნეშტი წამებული დედოფლისა და ჩამოუტანიათ საქართველოში.

როგორც ცნობილია, ქეთევან დედოფლის თავგადასავალს ირანში და მის ტრაგიკულ აღსასრულს მარტო ქართული წყაროები როდი აშუქებენ. ეს თემა საკმაოდ პოპულარული გამხდარა ევროპულ მწერლობაშიც. ვინ არ მოგვითხრობს ქეთევანის ცხოვრებას — იტალიელი მოგზაური და ესპანელი დიპლომატი, გერმანელი დრამატურგი და ფრანგი ვაჭარი, ინგლისელი პასტორი და ბერძენი ბერი.

თითქმის ყველა ევროპელი ავტორი, რომელიც შემდგომში შეეხება XVII საუკუნის საქართველოს ისტორიას, უსათუოდ მოიხსენიებს სახელგანთქმული ქართველი დედოფლის მშვენებას და გონიერებას, მისი ხასიათის სიმტკიცესა და გმირულ სიკვდილს.

მ. თამარაშვილის პირად არქივში ინახება პორტუგალიელი მისიონერის, სახელად ამბროზიოს რელაცია ასეთი სათაურით: „ქართველი მეფის დედის ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილი (ირანის შაჰის ბრძანებით)“.

რამდენიმე ცნობას ამ რელაციის მეორე ნაწილიდან იმოწმებს თვით მ. თამარაშვილი თავის წიგნში და იქვე შენიშნავს: „ცალკე წერილში ვაპირებთ, შოვიყვანოთ პატრი ამბროზიოს დანარჩენი მოხსენება ქეთევან დედოფლის წამებისათვის“.

მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელება, როგორც ჩანს, მკვლევარს არ დასცალდა.

რელაცია ჩაწერილია იტალიურ ენაზე ამბროზიოს ნაამბობის მიხედვით, მისივე კოლეგის, ვინმე პიეტროს მიერ ქალაქ გორში 1640 წელს.

აი, რას მოგვითხრობს ეს რელაცია:

ამბროზიო, წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერი, წარგზავნილ იყო კათოლიკური სარწმუნოების ქადაგებისათვის ირანში, სადაც გაატარა ცხრა წელიწადი (აქედან შვიდი — ისპაანში და ორიც — შირაზში). დაუღალავად ქადაგებდა და ეკლესიის წიაღში აბრუნებდა მათ, ვისაც წამების შიშით თუ სიღატაკის გამო ზურგი შეექცია თავისი რჯულისათვის. მრავალი მათგანი გაგზავნა ქრისტიანულ ქვეყნებში (ავგუსტინელთა მონასტრის ხარჯზე), ამის გამო დაკავებულიც იყო ირანის შაჰის განკარგულებით თითქმის მთელი წელიწადი და ყოველდღე მოელოდა სასჯელს.

როდესაც შაჰ-აბასმა სიკვდილი მიუსაჯა რამდენიმე თავის ქვეშევრდომს, რომლებსაც საიდუმლოდ მიეღოთ ქრისტიანობა, ამბროზიო სასწრაფოდ გაეშურა ქალაქ ისპაანის მთავარი მოედნისაკენ; იგი ამხნევებდა და ანუგეშებდა სიკვდილმისჯილებს, რომ შეემსუბუქებინა მათთვის სიცოცხლესთან განშორების მძიმე წუთები. სეირის საყურებლად მოედანზე თავშეყრილი ხალხი პორტუგალიელი მისიონერის დანახვაზე აჩოჩქოლდა, ფანატიკოსებმა მაშინვე ატეხეს ყვირილი და ლანძღვა-გინება დაუწყეს უცხოელს. გაჰყვიროდნენ, ეგეც ხელმწიფისა და ჩვენი სარწმუნოების მტერია, ეგეც სხვებსავით სიკვდილის ღირსი არისო.

ეტყობა, ამის შემდეგ გაუძევებიათ პორტუგალიელი მისიონერი ისპაანიდან შირაზში. მაგრამ ამბროზიოს იქაც არ შეუწყვეტია თავისი მოღვაწეობა.

შირაზში მრავლად იყვნენ ქრისტიანები პორტუგალიიდან და ინდოეთიდან, რომლებიც შირაზის ხანმა დაატყვევა ჰორმუზის აღებისას და გაამაჰმადიანა. ამბროზიო პატრონობდა მათ, გზავნიდა ქალაქ ბასრაში, რათა იქიდან დაბრუნებულიყვნენ ინდოეთს, ხოლო გარდაცვლილთ ასაფლავებდა თავის ეკლესიაში. მაჰმადიანებს არ ეკრძალებოდათ პორტუგალიელი მისიონერის საქმიანობა და სდევნიდნენ მას. ამბროზიომ გადაიტანა მრავალი ტანჯვა-წვალება და ხშირად საფრთხეში აგდებდა თავის სიცოცხლეს.

ამბროზიოს სიტყვით, იმავე ქალაქ შირაზში იმყოფებოდა ქართველი დედოფალი ქეთევანი, დედა თეიმურაზ მეფისა; იმყოფებოდა თითქმის როგორც ტუსაღი, ვინაიდან არსად არ დადიოდა, მხოლოდ შირაზის ქართველ ხანს თუ ეწესტუმრებოდა ხოლმე.

პორტუგალიელი მისიონერი მოგვითხრობს, თუ როგორ აღმოჩნდა შორეულ შირაზში ქართველი დედოფალი.

როდესაც შაჰ-აბასმა გაილაშქრა საქართველოს ასაოხრებლად (1613 წ.), თეიმურაზ მეფემ და მისმა დიდებულებმა დაინახეს, რომ დიდი ხიფათი ემუქრებოდა ქვეყანას და საუკეთესო გამოსავალად მიიჩნიეს ქეთევან დედოფლის შეხვედრა ირანის შაჰთან. დედოფალს უნდა ეთხოვა შაჰ-აბასისათვის, ნუ გამოილაშქრებ საქართველოზე, ჩვენ ხომ ყოველთვის შენ გემხრობით და გემორჩილებითო.

ქეთევან დედოფალი თავისი ქვეყნისა და ხალხის გადასარჩენად გაუდგა გზას, შეხვდა ირანის შაჰს საქართველოს საზღვარზე და მხურვალედ შეეეედრა, არ აეოხრებინათ ყიზილბაშებს საქართველო. მრავალი გონივრული საბუთით უმტკიცებდა და არწმუნებდა, რომ ასე იქნებოდა უმჯობესი თვით შაჰისთვისაც. მშვიდად უსმინა შაჰ-აბასმა და მიუგო დედოფალს, სულაც არ წამოვსულვარ ქართველებთან საომრად, აქეთკენ მხოლოდ გამოვისეირნე. ცოტას წავინადირებ და მაშინვე უკან გავბრუნდებიო.

ამბროზიოს რელაციის მიხედვით, შაჰ-აბასმა კარგად მიიღო ქეთევან დედოფალი, გულუხვად დაასაჩუქრა, ყველა სათხოვრის შესრულება აღუთქვა და საქართველოსაკენ გაისტუმრა. დედოფალი სამშობლოში ბრუნდებოდა, როდესაც გზაში დაეწივნენ შაჰის ბრძანებით და შეიპყრეს. შაჰ-აბასი მოულოდნელად შეიჭრა საქართველოში, ძარცვავდა და აოხრებდა ქვეყანას. თეიმურაზმა მთელი თავისი ოჯახითა და დიდებულებით თავს უშველა და იმერეთს შეე-

კედლა. სეფიანთა ირანის ხელმწიფემ ტყვედ წაიყვანა სამოცი ათასი ქართველი და დაპყრობილ ტერიტორიაზე შაჰმადიანი გამგებელი დატოვა.

ქეთევან დედოფალი საბოლოოდ შირაზში აღმოჩნდა. იმავე ქალაქში მყოფმა ამბროზიომ დაამყარა ურთიერთობა მისი ამალის წევრებთან, რომელთა რიცხვი ორმოცს აღწევდა. ისინი დადიოდნენ კათოლიკურ ეკლესიაში წირვის მოსასმენად და ამჟღავნებდნენ კეთილგანწყობას კათოლიკური სარწმუნოების მიმართ. დედოფალმა შეუთვალა ამბროზიოს, რომ დიდმარხვაზე მას აღსარებანი მიეღო ქართველებისაგან. როდესაც წმ. ავგუსტინეს დღესასწაული დადგა, ქეთევან დედოფალმა გაუგზავნა ამბროზიოს თავისი სამლოცველოდან ხატები, შანდლები და ხალიჩები ეკლესიის მოსართავად, აგრეთვე მიავლინა ერთი თავისი მხლებელი, რომელიც დაბელოვნებული იყო სანთლებისა და ჩირაღდნების დამზადებაში.

ამბროზიოს დიდი იმედები გაუღვივდა. იგი ფიქრობდა, რომ მოიმკიდა კეთილ ნაყოფს — კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოაქცევდა ქეთევან დედოფალსა და მის ახლობლებს, მაგრამ სწორედ ამ დროს შაჰ-აბასმა შირაზში გამოგზავნა საგანგებო დავალებით აღჭურვილი თავისი მოხელეები. მათ უნდა ეუწყებინათ ქართველი დედოფლისათვის, რომ გამაჰმადიანებულიყო, შაჰი მას ცოლად შეირთავდა და უწყალობებდა უთვალავ სიმდიდრეს. მაგრამ თუ არ ისურვებდა გამაჰმადიანებას, სასტიკი წამება და სიკვდილი ელოდა.

დედოფალმა უპასუხა შაჰის მოხელეებს, ვერავითარი ტანჯვა და წამება ვერ მაიძულებს დავთმო ქრისტიანული სარწმუნოება და შევბილწო ჩემი ზნეობა, რასაც მთელი ქვეყნის საუნჯეზე ძვირად ვაფასებო. შაჰის მოხელეებმა სთხოვეს დედოფალს, ნუ ინებებ ასეთ სატანჯველს, შენი ნაზი სხეული შეიბრალეო. მაგრამ დედოფალი წამითაც არ შეყოყმანებულა. მიხვდნენ შაჰის მოხელეები, რომ ამაოდ ცდილობდნენ მის დარწმუნებას და დაყოლიებას, მიხვდნენ და მკაცრად განუცხადეს, წამებისათვის მოემზადეო. დედოფალმა ითხოვა ნებართვა უკანასკნელი ლოცვისა. დართეს ნება. სიკვდილმისჯილმა მიაშურა თავის სამლოცველოს, მუხლმოდრეკილი ლოცულობდა და ევედრებოდა უფალს, მომანიჭე შენი წყალობა, განმამტკიცე, რომ გადავიტანო სატანჯველიო. დაამთავრა ლოცვა და განუცხადა შაჰის მოხელეებს, აღესრულებინათ ხელმწიფის ნაბრძანები. მათ ხელახლა სცადეს დედოფლის დარწმუნება, თავი

შეიბრალე, სუსტი ქალი ხარ, ასეთ სიკვდილს ნუ ინებებო. მაგრამ დედოფალმა კვლავინდებური სიმტკიცით უპასუხა, მოეშვით ჩემს დარწმუნებას, ტყუილად დროს კარგავთო.

ჯალათებმა დაანთეს დიდი ცეცხლი და რკინის მარწუხები გაახურეს. შემდეგ წელზევით გააშიშვლეს დედოფალი, ცეცხლში წითლად გავარვარებული მარწუხები მოიმარჯვეს და სასტიკი წამებით დაუსახიჩრეს სხეული. მანამდე აწამებდნენ, სანამ სულთმობრძავი დედოფალი ძირს არ დაეცა, თუმცა ბეჯითად ჩურჩულებდა ლოცვებს. ჯალათებმა იგი მოაშთვეს მშვილდის საბლით.

ეს მოხდა 1624 წლის 12 სექტემბერს.

რა იყო უშუალო მიზეზი ქეთევან დედოფლის სასტიკი წამებისა?

შაჰ-აბასმა მისი ცოლად შერთვა მოინდომა და დედოფალმა იუარაო?! ერთობ გულუბრყვილო ახსნაა! მაგრამ პორტუგალიელი მისიონერის გარდა ხსენებულ მოტივს აღნიშნავს ჟან შარდენიც. მისი სიტყვით, ქეთევან დედოფალი ხანდაზმული იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ოდინდელი სილამაზე კიდევ მოსდევდაო. შაჰ-აბასს შეუყვარდა დედოფალი, ამიტომაც გამაჰმადიანება და ცოლობა შესთავაზა. ხოლო ქეთევანმა უარი განუცხადა სეფიანთა ხელმწიფეს „ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი საოცრად ურყევი სიმტკიცითა და გამბედაობით".

ცხადია, შარდენი გადმოგვცემს წაკითხულს ან გაგონილს, გადმოგვცემს კეთილსინდისიერად, ოღონდ დასასრულს ფრთხილად შენიშნავს: „ფიქრობენ, რომ ქეთევანის შერთვა მას მხოლოდ და მხოლოდ თეიმურაზზე შურისძიებისათვის უნდოდა".

მართლაც სხვანაირად როგორ უნდა აეხსნა ანგარიშიანსა და ფხიზელ ფრანგ ვაჭარს ესოდენ უცნაური სურვილი შაჰ-აბასისა?

ნუ დავგიწყდებათ, რომ შაჰიცა და ქართველი დედოფალიც უკვე ნახევარ საუკუნეს იყვნენ გადაცილებული; და ოცდაოდე წლით ადრე შაჰ-აბასს შერთული ჰყავდა ასული ქეთევან დედოფლისა!

რას ისახავდა მიზნად სეფიანთა ირანის მბრძანებელი, როდესაც გამაჰმადიანებას მოითხოვდა დატყვევებული ქართველი დედოფლისაგან?

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ შაჰ-აბასი სრულიადაც არ ყოფილა ფანატიკოსი მაჰმადიანი. იგი მარჯვე საშულებად იყენებდა სარწმუნოებას თავისი მიზნების მისაღწევად. ასე

მაგალითად, დიდი ხნის მანძილზე წყალობის თვალით უყურებდა და შფარველობდა კათოლიკე მისიონერებს, ვინაიდან დღის წესრიგში იდგა ევროპის ქვეყნებთან ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. მაგრამ კათოლიკურმა ევროპამ თავი ვერ მოაბა დიდ საქმეს და შაჰს იმედი გაუცრუა. მან დევნა დაუწყო ირანში დამკვიდრებულ კათოლიკე მისიონერებს და განსაკუთრებული სიმკაცრით ავგუსტინელებს დაერია, რადგანაც ისინი კათოლიკური სამყაროს ლიდერის — ესპანეთის ინტერესებს ემსახურებოდნენ აღმოსავლეთში.

ერთი ევროპელი მისიონერი წერდა შაჰ-აბასზე: „არავინ იცის, რა სწამს ამ კაცს, ან თუ სწამს რამე; მაჰმადიანური სარწმუნოების წესებს ის უხალისოდ ასრულებს, მაგრამ არც ქრისტიანია“.

სარწმუნოება შაჰისათვის ბასრი იარაღი იყო და ქეთევან დედოფლის გამაჰმადიანებასაც გარკვეული ადგილი ეჭირა სეფიანთა ირანის ხელმწიფის პოლიტიკურ გეგმებში.

ამასთან დაკავშირებით საინტერესო ისტორიას გადმოგვცემს არაქელ თავრიზელი. იგი აღნიშნავს, რომ ქეთევან დედოფლის გარდა ირანში იმყოფებოდნენ სხვა დიდგვაროვანი ქართველი მანდილოსნებიც, ხოლო მათი გამაჰმადიანებული შვილები შაჰ-აბასს ემსახურებოდნენ ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე.

ერთ შშვენიერ დღეს სეფიანთა ხელმწიფე ჩააცივდა თავის ქართველ ხელქვეითებს, თუ რატომ მისდევდნენ მათი დედანი კვლავინდებურად ქრისტიანულ სარწმუნოებას, და ისინიც იძულებული გახდნენ გაეცათ მბრძანებლისათვის გულახდილი პასუხი: როდესაც ვეუბნებით ჩვენს დედებს გამაჰმადიანდითო, ისინი გვიპასუხებენ, თუ თეიმურაზის დედა ქრისტიანობს, ჩვენ რატომღა უნდა გავმაჰმადიანდეთო?

არაქელ თავრიზელის სიტყვით, შაჰმა აღარაფერი თქვა, მაგრამ გულში ჩაიმარხა ქართველების ნათქვამი და რამდენიმე დღის შემდეგ გამოტანილ იქნა სასტიკი განაჩენი.

შაჰ-აბასის თვალში ქეთევან დედოფალი თავისი სიმტკიცით სხვებსაც მოუწოდებდა შეენახათ მამაპაპური სარწმუნოება, ყიზილბაშები კი ჩქარობდნენ ქართველი მეფე-ბატონიშვილებისა და თავად-აზნაურთა გამაჰმადიანებას. საგრძნობი წარმატებაც იყო მიღწეული, მაგრამ შაჰ-აბასს სურდა გამაჰმადიანებული ეხილა მთელი საქართველო. ირანში ტყვედ მყოფი კახეთის დედოფლის

ქრისტიანობა, რა თქმა უნდა, აფერხებდა მისი გეგმების ხორცშესხმას.

შაჰ-აბასს კარგად ესმოდა ქართველების რუსებთან ერთმორწმუნეობის მნიშვნელობა. მისი ვარაუდით, ქართველების გამაჰმადიანება-გათათრება ერთხელ და სამუდამოდ მოუშლიდა რუსეთს ამიერკავკასიაში დასაყრდენს.

ერთხანს ფიქრობდნენ, რომ ქეთევან დედოფლის წამების უშუალო მიზეზი იყო შაჰის შურისძიება, გამოწვეული მარტყოფის აჯანყებითა და მარაბდის ომით. ვახუშტი ბატონიშვილის მცდარმა თარიღებმა წარმოქმნა ეს გაუგებრობა, მაგრამ ამჟამად უკვე გარკვეულია, რომ ქეთევანის წამება უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ზემოხსენებული მოვლენები.

შურისძიების საფუძველი მარტყოფ-მარაბდის გარეშეც არ აკლდა სეფიანთა ხელმწიფეს.

1615 წელი — აჯანყება კახეთში.

1618 წელი — ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ლაშქარი ირანში შეიჭრა. თეიმურაზის მეთაურობით სამი ათასი ქართველი მხედარი იმყოფებოდა ოსმალთა ლაშქრის ავანგარდში. ოსმალნი არდებილს მიუახლოვდნენ და კინალამ აიღეს ეს ქალაქი, სადაც სეფიანთა დინასტიის აკვანი იყო დარწეული.

1622 წელი — თეიმურაზის ჩასვლა ოსმალეთის სატახტო ქალაქში. კახეთის მეფე დახმარებას ეველდრება ხონთქარს ყიზილბაშთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქეთევანი არ უწამებიათ არც 1615 წელს, არც 1618 წელს და არც 1622 წელს. მაგრამ ერთმანეთს მიეჯარა ეს წლები და 1624 წელს ერთად იფეთქა სეფიანთა ხელმწიფის რისხვამ.

შურისძიების საფუძველს რა გამოულევდა! გუშინდელივით ახსოვდა ყველაზე მწვავე და მტკივნეული ჭრილობა იმ ჭრილობათაგან, რომლებიც კი ქართველებს მიუყენებიათ. თუმცა ოცი წლის წინანდელი ამბავი იყო, როგორ დაავიწყდებოდა შაჰს, თუ ვისი შთაგონებითა და ხელმძღვანელობით გაუსწორდნენ მის მიერ შვილივით გაზრდილ კონსტანტინეს.

და ულმობელი შურისძიება თავს დაატყდა შირაზის უმწეოტყვეს.

სეფიანთა ირანის ხელმწიფის ადგილობრივი თუ უცხოელი მეხოტბენიც დუმდებიან, როდესაც სიტყვა ჩამოვარდება ქეთევან

დედოფლის წამებაზე და ვერ გაუმართლებიათ ეს ბარბაროსული აქტი.

მაგრამ რაღას დააკლებდა მტარვალი ხანდაზმულ დედოფალს! უკვე წარსულში იყო ყველაფერი. წარსულში იყო სიხარული. წარსულში იყო გამარჯვების ტრიუმფი — მოსპობა ისპაანიდან გამოგზავნილი მამისმკვლელისა. აწმყო კი სასიკეთოს ვერაფერს უქადდა დედოფალს. ერთი ჭუჭრუტანაც არ ეგულებოდა, საიდანაც იმედის სხივი შემოაღწევდა მის ტყვეობაში. ვინ დაუბრუნებდა წამებულ შვილიშვილებს, ვინ შეახვედრებდა გადახვეწილ შვილს, ვინ მოალანდებდა აოხრებულ სამშობლოს! თავდებოდა მისი სიცოცხლე. და ღირსეული სიცოცხლე მოითხოვდა ღირსეულ დასასრულს. გამაჰმადიანება და სამშობლოს ღალატი არ ეწერა მისი ბედის წიგნში.

ვინ იცის, მძიმედ დაჭრილ საქართველოსაც წამალივით სჭირდებოდა ქეთევან დედოფლის წამება. სჭირდებოდა გამოსალვიძებლად, გამოსაფხიზლებლად. სჭირდებოდა სამარტყოფოდ, სამარაბდოდ და რაც მთავარია — სამერმისოდ ანუ სამარადისოდ.

და აჰა, დადგა ჟამი. დადგა ყველაზე დიდებული წუთი დედოფლის ლამაზი ცხოვრებისა. ამიერიდან საუკუნეებს გადაეცემა მისი სულისა და ხორცის ლეგენდარული სიმტკიცე. უღვთოდ აწამებენ დედოფალს, მაგრამ ვერ დაამცირებენ და ვერ გასტეხენ. მოკლავენ, მაგრამ ვერ დაამარცხებენ. თავისუფალი და ამაყი ადამიანის სიმბოლო გაუძლებს ყოველგვარ ტანჯვა-წამებას, რათა არ შებღალოს ადამიანის სახელი. კახეთის დედოფალი მსხვერპლად ეწირება სამშობლოს. თავისი წამებითა და სიკვდილით კიდევ ერთხელ გაუწევს ერთგულ სამსახურს მშობელ ქვეყანასა და ქართველ ხალხს...

პორტუგალიელი მისიონერის რელაციაში აღნიშნულია, რომ ქეთევან დედოფალი ძალზე გულითადად იყო განწყობილი კათოლიკეთა და საერთოდ ევროპელთა მიმართ, ეხმარებოდა მათ, რითაც შეეძლო.

ამბროზიომ იცოდა, სადაც იყო დამარხული ქეთევანის ცხედარი. ერთ ღამეს ორი ამხანაგი გაიყოლა და შეუდგნენ საფლავის ამოთხრას, მაგრამ მუშაობაში დაათენდათ, რადგან საფლავი ძალზე ღრმა იყო. მეორე დღეს მიიკითხ-მოიკითხეს, ქალაქში მითქმა-მოთქმა ხომ არ ატყდაო. გამოირკვა, რომ არავის არაფერი გაეგო და ღამით ისევ მიაშურეს შეწყვეტილ საქმეს. გააგრძელეს მუშა-

ობა და საფლავიდან ამოღებული ცხედარი დედოფლისა წაასვენეს თავიანთ ეკლესიაში.

როდესაც ეს ამბავი შეიტყო ისპაანის მისიონერთა წინამძღვარმა, მაშინვე გადაწყვიტა ესარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით. გაეგზავნა დედოფლის ნეშტი საქართველოში და დაეფუძნებინა იქ ავგუსტინელთა მისია.

ამბროზიოსთან ერთად საქართველოსაკენ გამოემგზავრნენ ისპაანს მყოფი იეზუიტი მისიონერი სებასტიანო და ავგუსტინელი პიეტრო. გზაში ხსენებული იეზუიტი ავად გახდა და სამივენი ისპაანში დაბრუნდნენ. ცოტა ხნის შემდეგ იგი გამოკეთდა და ხელმეორედ გაუდგნენ გზას. დიდთოვლობამ ძალზე გააწვალა ისინი, სებასტიანო ისევ დასნეულდა და აღარ შეეძლო გზის გაგრძელება, ამბროზიოსა და პიეტროს კიდევ მრავალი გაჭირვება შეემთხვათ, მაგრამ ბოლოს ჩააღწიეს დანიშნულების ადგილამდე.

1628 წლის ივნისის დამდეგს ავგუსტინელი მისიონერები უკვე საქართველოში იყვნენ.

სტუმრები გულთბილად მიიღო თეიმურაზ მეფემ. პირველსავე დღეს ისინი სადილად მიიპატიჟა. სადილობისას, თეიმურაზმა ჰკითხა ამბროზიოს, შემთხვევით ხომ არ იცით დედაჩემის ნეშტს რა დაემართაო (თურმე მისი ელჩებისათვის შაჰს განუცხადებია, ნეშტი „ფრანგებთან" ინახებაო). ამბროზიომ მიუგო, დედათქვენის ნეშტი ჩვენ ჩამოვიტანეთო. ამის გაგონებაზე მეფემ მყისვე მიატოვა სუფრა და თავის მეუღლეს შეატყობინა ამბროზიოს ნათქვამი, ხოლო სადილის დასასრულს გასცა ბრძანება, სტუმრები კარგად დააბინავეთ და ყველაფერი მიეცით, რაც კი დასჭირდებათო.

მეორე დღეს ამბროზიომ ეკლესიაში გამართა წირვა, რომელსაც მეფე მთელი თავისი დიდებულებით დაესწრო. წირვის შემდეგ მან სადილად მიიწვია პატრები. მომდევნო დღეს დედოფალიც მივიდა წირვის მოსასმენად და მასთან ერთად — სეფე-ქალები და დიდებულთა ცოლები. წირვა რომ დამთავრდა, დედოფალმა დიდი მადლობა უძღვნა პორტუგალიელ მისიონერს.

იმ დღეს, როდესაც ამბროზიოს თეიმურაზისათვის უნდა ჩაებარებინა დედოფლის ნეშტი, ეკლესიაში მეფე-დედოფალთან ერთად თავი მოიყარა სამეფო კარის ყველა დიდებულმა. ამბროზიომ ქადაგება წარმოთქვა სპარსულ ენაზე, რომელიც მეფესა და ზოგიერთ დიდებულს კარგად ესმოდათ და ვისაც არ ესმოდა, თვით მეფე

უთარგმნიდა ამბროზიოს სიტყვებს (კათოლიკე მისიონერთა მიხედვით, თეიმურაზმა ჩინებულად იცოდა სპარსული და თურქული ენები). დამთავრდა ქადაგება და ამბროზიომ ჩაბარა თეიმურაზს ქეთევან დედოფლის ნეშტი, რომელიც საზეიმო პროცესიის თანხლებით წაასვენეს სამიტროპოლიტო ტაძარში, სადაც დაკრძალულ იყვნენ საქართველოს მეფეები და მოათავსეს მდიდრულად შემკულ აკლდამაში (არაქელ თავრიზელის სიტყვით, „დედის ნეშტი თეიმურაზმა პატივით დაკრძალა თავის ეკლესიაში". გრიგოლ დოდორქელი და ანტონ კათალიკოსი აღნიშნავენ, რომ ქეთევან დედოფლის ნეშტი დაკრძალულ იქნა ალავერდის ტაძარში).

თეიმურაზმა განუცხადა პორტუგალიელ მისიონერს, რომელი ქალაქი თუ სოფელი გნებავს, აირჩიე და იქ დასახლდიო. ამბროზიომ არჩევანი შეაჩერა ქალაქ გორზე. მეფემ მოიწონა მისი გადაწყვეტილება და ამბროზიოს გააყოლა თავისი მოხელე, რომ მიეცათ მისთვის ის ადგილი, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონებოდა. ასე დასახლდა ამბროზიო ქალაქ გორში, სადაც მალე ააშენა პატარა ეკლესია.

ამბროზიოს ნაამბობს ადასტურებს თვით თეიმურაზ ძეფე რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში: „ერთი წელიწადია, რაც ისპაანიდან წმიდა ავგუსტინეს წესის ყოვლად პატივცემულმა მამა ამბროზიომ მოგვიტანა მისი (ე. ი. ქეთევან დედოფლის) გვამის ნაწილები. ამ სიკეთისათვის ჩვენც უხვად დავასაჩუქრეთ მამა იგი; მივეცით მამული, რათა საცხოვრებლად საკმაო შემოსავალი ჰქონდეს, აგრეთვე ვუბოძეთ ადგილი, რათა შესაფერი ეკლესია აიშენოს და როგორც სასუფეველის სავანეში, მუდამ ილოცოს ჩვენთვის".

სხვათა შორის, ამბროზიო მოხსენიებულია ადამ ოლეარიუსის ნაზულებში. გერმანელი მოგზაური მოგვითხრობს, რომ 1637 წლის 7 მარტს ვინმე ამბროზიო, წარმოშობით პორტუგალიელი და ქალაქ ლისაბონის მკვიდრი, სტუმრად ეწვია ჰოლშტინიის ელჩობას ქალაქ შემახაში. გაეგო, რომ ევროპელი ხელმწიფის ელჩობა შეემგზავრებოდა ირანს და თბილისიდან ჩასულიყო შემახას მათი ნახვა-გაცნობის მიზნით. ამბროზიომ თავისი სამსახური შესთავაზა გერმანელ ელჩებს, ცნობებს მოგაწვდით აღმოსავლეთის ამა თუ იმ ქვეყანასა და ხალხზე, რომელთა შორის უკვე ოცი წელია ვცხოვრობო. თავდაპირველად ეპვის თვალით შეხედეს პორტუგალიელ

მისიონერს, მაგრამ მალე გალღვა უნდობლობის ყინული. მთელი ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა გულახდილი საუბრები. ამბროზიომ მრავალი სარწმუნო ცნობა მიაწოდა ადამ ოლეარიუსსა და მის თანამგზავრებს. პორტუგალიელმა მისიონერმა მშობლიური და ლათინური ენების გარდა იცოდა ქართული, თურქული და სპარსული.

22 მარტს თვალცრემლიანი ამბროზიო გამოეთხოვა გერმანელთა ელჩობას და შემახიდან ისევ თბილისისაკენ გასწია.

ადამ ოლეარიუსის თხზულება, რომელიც ძვირფას წყაროდ ითვლება სეფიანთა ირანის ისტორიისათვის, დიდად უნდა იყოს დავალებული ამბროზიოს ინფორმაციისაგან. ოლეარიუსის წიგნი მარტო XVII საუკუნეში ოთხჯერ გამოიცა გერმანულ ენაზე. თარგმნილია ფრანგულად, ჰოლანდიურად, იტალიურად და რუსულად.



სინანული და სინამდვილე

მხოლოდ სულდიდ ქმნილებას შეჰფერის, მხოლოდ მისი ხვედრია — ასე დაუნდობლად შერისხოს თავი, საქვეყნოდ გამოამზეუროს მწარე ფიქრები საკუთარ უმწეობასა თუ დანაშაულზე, ჩადენილი ცოდვის წვეთი ზღვად წარმოესახოს გონებაში და მკაცრი განაჩენიც თვითონვე გამოიტანოს: „მე, ავაზაკი შემცოდე"...

რაოდენ თვალნათლივ ჩანს თეიმურაზ პირველის პოემაში უილაჯობა მეფისა, რომელმაც ქვეყნის გადასარჩენად საფრთხეში ჩაგდო მშობელი დედა და მერე ვეღარაფრით უშველა სასიკვდილოდ განწირულს. „სადა ჰყვა ხელმწიფე-შვილი, ანუ მხლებელთა ჯარია", — კვლავ ულმობელი თვითგვემა და ობიექტური განსჯა საკუთარი უმწეობისა, ქვეყნის უმწეობას რომ უდრიდა. ჰეშმარიტებასთან შემაძრწუნებელი მიახლოების ექსტაზი ბალასტივით იშორებს ადამიანთა სანუგეშებლად შეთხზულ ზიზილ-პიპილებს. შტკივნეული და შიშველი სიმართლე ღაღადებს თეიმურაზის პირით; შეუფერადებელი, შეულამაზებელი და შეუნიღბავი სიმართლე. ძლიერი სული თვალს უსწორებს სინდისის უზენაეს სამსჯავროს და არ მიელტვის დაშაქრულ-დათაფლულ სიცრუეს.

...„ვა მე იმ დღისა მხსენესა, დამვიწყდა დღენი წინანი, მკერდით ზურგამდინ გაავლეს გახურვებულნი რკინანი, მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი, მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამად ვარ ცრემლთა მდინანი".

ამ სტრიქონებში გამოხატულია უსაზღვრო მწუხარება ავაზაკისა, რომელმაც ვერ გაიზიარა ჯვარცმულის ხვედრი, თუნდაც იმ ავაზაკივით, მაცხოვართან ერთად ჯვარს რომ გააკრეს.

როგორც ცნობილია, ერთი ავაზაკთაგანი ჰგმობდა იესოს და დაცინვით მიმართავდა: შენ თუ მართლა ქრისტე ხარ, იხსენი თავი

შენი და ჩვენც დაგვიხსენიო. მაგრამ მეორე ავაზაკმა მყისვე უსაყვედურა მას და თქვა: ჩვენ სამართლიანად ვისჯებით, ამ კაცს კი არაფერი დაუშავებიაო. შემდეგ იგი ასე მიმართავს მაცხოვარს: მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითაო... და საოთხეში მოხვედრის დაპირებასაც მიიღებს (ხსენებულ პიროვნებას, სპეციალურ ლიტერატურაში, „ნეტარ ავაზაკს" უწოდებენ).

საფიქრებელია, რომ თეიმურაზი სწორედ მეორე ავაზაკს უნდა უდარებდეს თავს, იმ ავაზაკს, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი დანაშაული და უდანაშაულობა მაცხოვრისა. თეიმურაზის სიტყვები („მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი") შემთხვევითი არჩევანის შედეგი არ უნდა იყოს, ვინაიდან, აპოკრიფული ტრადიციის თანახმად, მაცხოვრისაგან სწორედ მარჯვენა მხარეს ჯვარცმულმა ავაზაკმა იწამა ქრისტე სიკვდილის წინა წუთებში.

ამას თვალნათლივ მეტყველებს იოანე საბანისძის „აბოს წამებაში" ავტორის მიერ აბოს მისამართით ნათქვამი სიტყვები: „შენ ჭეშმარიტად მარჯვენითსა მას ავაზაკსა ემსგავსე... შენ ავაზაკსა მას ესწორე სარწმუნოებითა და სამოთხესა განეწესე!" და როდესაც აბო მიჰყავთ საწამებლად, იგი იმეორებს „ნეტარი ავაზაკის" სიტყვებს: „მომიხსენე მე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა".

მეფე-პოეტი ნანობს, რომ ვერ გაიზიარა მაცხოვრისაგან მარჯვენა მხარეს ჯვარცმული ავაზაკის ხვედრი, იმ ავაზაკისა, რომელიც უდანაშაულოდ წამებულ კაცს მიიჩნევდა უზენაეს არსებად.

ზურაბ ავალიშვილი იმოწმებდა თეიმურაზ პირველის პოემის დასახელებულ სტროფს და წერდა: „ამ სახით გამოთქმული თეიმურაზის სინანული აქ ცოტა ნაძალადევია და ხელოვნური". შემდეგ კი აღნიშნავდა, რომ მისი შვილების დასაჭურისება და დედის წამება გამოწვეული იყო თეიმურაზის მიერ მფარველობის ძიებით ოსმალეთთან და რუსეთთან.

მერი გუგუშვილი თავის წიგნში „თეიმურაზ პირველი" ეხება ზ. ავალიშვილის მოსაზრებას და შენიშნავს: „სწორედ ამ ნაბიჯებმა — თეიმურაზის ოსმალეთთან და რუსეთთან კავშირმა გამოიწვია შაჰ-აბასის შურისძიება. თეიმურაზის მოქმედება მართლაც გახდა მისი დედისა და შვილების წამების მიზეზი. მაგრამ უცხოური აგრესიის წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლს, თავისი ქვეყნისა და ხალხის პატრონსა და მეფეს განა შეეძლო სხვაგვარად

მოქცეულიყო. მას უნდა ებრძოლა შაჰ-აბასის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში მოკავშირე და თანამდგომი ესაჭიროებოდა. რუსეთის ხელმწიფისაგან ის დიპლომატიურ დახმარებასთან ერთად დედისა და შვილების გათავისუფლებას ითხოვდა. ხოლო ქეთევანის წამების შემდეგ აყვედრიდა, დახმარება დაგვიანდა და შაჰმა დედაჩემი აწამაო. თეიმურაზის სულიერი განცდები, ტკივილები და წუხილი დედისა და შვილების განწირვის გამო გადმოცემულია, როგორც მის წერილებში, ისე პოეზიაში".

დამოწმებული ციტატა მ. გუგუშვილის ნაშრომიდან, უეჭველია, სრულ სიმართლეს შეიცავს. ძნელი დასაშვებია, რომ აქ მეიძლება არსებობდეს ორი აზრი, თუკი გონების თვალით შევხედავთ ისტორიულ მოვლენებს ქართლის ცხოვრების იმ ურთულეს და უმძიმეს პერიოდში, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ დრო „სისხლის წვიმებისა".

ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, რომ იმდროინდელ ირანში მძევლები თავიდანვე განწირულნი იყვნენ და ასკვნის: „მაშასადამე, ხომ თვითონაც მათი, თუნდაც უნებური, დამღუპველი ყოფილა! ამის შეგნებას მეფე-აგიოგრაფი არ ამყოლავნებს. მას ყველაფრის თქმა არ შეუძლია და არც უნდა. მაგრამ სხვა რა იქნებოდა მისი უაღრესი სინანულის მიზეზი — იმ მწარე სინანულისა აქ რომ მის მწუხარებას ასე აზვიადებს?"

ქართულ ისტორიოგრაფიაში ხშირად აღუნიშნავთ (არჩილ მეფის „გაბაასებაში" მოცემული ინფორმაციის მიხედვით), რომ თეიმურაზმა თავისი შვილები მძევლად გაგზავნა მხოლოდ და მხოლოდ კახეთის დიდებულთა დაყენებით. მაგრამ ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ქეთევან დედოფალი მძევლად არ გაუგზავნიათ.

პიეტრო დელა ვალე, ბართოლომეო ფერო, იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი და პორტუგალიელი მისიონერი ამბროზიო „მძევლად" როდი მოიხსენიებენ შაჰ-აბასთან შესახვედრად წასულ დედოფალს, არამედ გარკვევით უწოდებენ „ელჩს".

გარდა ამისა, აუცილებელია კიდევ ერთი საგულისხმო გარემოების გათვალისწინება. საქმე ის გახლავთ, რომ მხოლოდ თეიმურაზის „დანაშაულით" არ იყო გამოწვეული ქეთევან დედოფლის წამება. თვით დედოფალს არანაკლები „დანაშაული" მიუძღოდა იმავე შაჰ-აბასის წინაშე. 1605 წელს, სწორედ ქეთევანის თაოსნობი-

თა და ხელმძღვანელობით ჩაიფუშა სეფიანთა ირანის მბრძანებლის განზრახვა კახეთის ტახტზე გამაჰმადიანებული კონსტანტინე ბატონიშვილის აყვანისა. მამის მკვლელი მოკლულ იქნა და შაჰ-აბასმაც თვალთმაქცურად მოიწონა სამართლის აღსრულება. მაგრამ, რა თქმა უნდა, გულში ბოღმას ჩაიმარხავდა.

აღსანიშნავია, რომ ლევან გოთუა თავის ტეტრალოგიაში „გმირთა ვარამი" ძალზე მართებულად ამახვილებს ყურადღებას ზემოხსენებულ საკითხზე. ჯერ კიდევ თეიმურაზის გამეფებამდე, შაჰ-აბასი ასე მიმართავს ქეთევან დედოფალს: „შენ გეუბნები... ქართველო ქალო! უტეხო და შეუპოვარო! მე არ ვიცი, შენ რა გასულდგმულებს... ორჯერ მკაცრად შემეყარე და ორივეჯერ შენ დაგრჩა ლელო... არც ვფარავ — ჩემი სურვილის წინააღმდეგ დაგრჩა! სხვას არც ვეტყოდი, შენ გეუბნები... შენიანებთან გეუბნები! ერთსაც გეტყვით და მშვიდობით წადით... არიდე შენი შვილი „ჩრდილო ხურვებას"... და, ერიდე ჩემთან მესამე შეყრას — ყველაფერს ერთად გაზღვევინებ! მე არც ისეთი კაცი ვარ — განვიზრახო და ვერ შევასრულო!"

ამგვარი მონოლოგი შაჰ-აბასისა (თუნდაც მიახლოებითი) არც ერთ წყაროში არაა დამოწმებული. მაშასადამე, მწერლის მხატვრული ფანტაზიის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ, ოღონდ იმ ფანტაზიისა, რომელიც ეყრდნობა ისტორიულ სინამდვილეს და, არცთუ იშვიათად, საბედნიერო შემთხვევებში, მისგანვე გამომდინარე მხატვრული სინამდვილე უფრო მაღლა დგება, უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს, უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ერიდე ჩემთან მესამე შეხვედრასო — ზუსტად ამოიცნო მწერალმა შაჰ-აბასის გაფრთხილება. მაგრამ მესამე შეხვედრა გარდუვალი იყო...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ თეიმურაზის დადანაშაულება და შირაზის ტყვეობაში მყოფი დედოფლის გამოყვანა „უდანაშაულო მხსვერპლად" ერთგვარად აკნინებს დიდ გმირქალს, რომელიც გატანჯული იყო ტყვეობით, სამშობლოსა და შვილიშვილთა უბედურებით. და მაინც ვაუკაცურად შეძლო ავლა გოლგოთის აღმართისა.

მართალია, ქეთევან დედოფალი განასახიერებდა პასიურ ძალას, რომელსაც, განსხვავებით თეიმურაზისაგან, არც ჯარი ჰყავდა და რუსეთთან თუ ოსმალეთთან მფარველობის ძიების საშუალებაც არ გააჩნდა, მაგრამ ძნელი სათქმელია, ვინ უფრო აწუხებდა და აშინებდა ძლევამოსილ შაჰ-აბასს, ეს სუსტი და უმწეო ქალი, თუ მებრძოლი თეიმურაზი?

ძალზე მჭევრმეტყველი ფაქტია, რომ ქეთევან დედოფალი აწამეს 1624 წლის სექტემბერში, რამდენიმე თვით ადრე საქართველოზე გადამწყვეტ შეტევამდე. თავისუფლებისათვის მებრძოლი ქვეყნისათვის ტყვეობაში მყოფი ქეთევან დედოფლის სიმტკიცე და რწმენის ერთგულება გამოხატავდა მისაბაძ მაგალითს.

აბა წარმოიდგინეთ, რაოდენ შემზარავი ეფექტი ექნებოდა ქეთევან დედოფლის გამაჰმადიანებასა სხვას რომ თავი დავანებოთ, როგორ შეუბოჭავდა ხელ-ფეხს თუნდაც თეიმურაზს, რა პირით უნდა მოეწოდებინა ქართველი ხალხისათვის ბრძოლა ყიზილბაშებთან, თუკი მისი მშობელი დედა განუდგებოდა ქრისტიანულ რჯულსა და, მაშასადამე, საშშობლოსაც.

რამხელა საცდური გაუჩნდებოდათ იმ ფეოდალებს, ისედაც რომ რჩებოდათ თვალი ისპაანიდან ნაბოძებ ხალათებსა და ოქროვერცხლზე. ვინ იცის, ეგებ ზოგიერთ გადაგვარებულსაც კი გაუღვიძა სულის სიღრმეში შემორჩენილი სინდისი ქართველი დედოფლის სიმტკიცემ და თავგანწირვამ.

რა თქმა უნდა, შაჰ-აბასს გამაჰმადიანებული დედოფალი ერჩივნა წამებულ დედოფალს. მაგრამ ნაგულისხმევი იყო მისი სიკვდილიც (სასტიკი წამებით!), ნიშნად და გაფრთხილებად იმისა, რომ ყიზილბაშთა ბატონობასთან შეურიგებელ ქვეყანას იგივე ბედი ელოდა.

„გურჯისტანის საკითხის" გადასაჭრელად შაჰ-აბასისათვის აუცილებელი იყო ქეთევან დედოფლის გამაჰმადიანება ანდა მოსპობა, ვინაიდან ტყვე დედოფალი წარმოადგენდა საქართველოს სიმბოლოს, მან სიკვდილი არჩია გამაჰმადიანებას და მაღალი ზნეობის გაკვეთილად აქცია თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები.

არ შეეცდებით. თუ ვიტყვით, რომ მთავარი „დამნაშავე“ ქეთევან დედოფლის წამებისა თვით ქეთევან დედოფალი იყო. მთელი მისი ცხოვრება, მთელი მისი მოღვაწეობა (1605 წლიდან 1624 წლამდე) ნიშნავდა მიუტევებელ „დანაშაულს“ საქართველოს მტრების თვალში.





ნუ გათათრდები

სულხან-საბას ლექსიკონის ფურცლებზე, სხვათა შორის, გვხვდება ასეთი მინაწერი: „ნუ გათათრდები — ეგვიპტის მტრედი, მრმცრო ფრინველი, მსგავსი გვრიტისა; მისირსა და შირაზში ცხოვრობს. ესენი ოდეს მგზავრს კაცს ნახავენ, იწყებენ ძახილს ქართულის ენით: ნუ გათათრდები! და ამ მიზეზით თათარნი უწოდებენ გიაურ-ყუში, ვითომც უსჯულო ფრინველი".

ძნელი სათქმელია, მართლაც არსებობდა თუ არა ესოდენ უცნაური ფრინველი, ქართულად რომ ელაპარაკებოდა უცხოეთში გადახვეწილ ქართველებს, მაგრამ ამა თუ იმ ლეგენდის დაბადებას თავისი დიდი სიმართლე გააჩნია. ალბათ, რაღაცას გაიძახოდა ეს „გიაურ-ყუში" და ქართველ კაცს ყურში დაეინებით ჩაესმოდა მამა-პაპათა წმინდა ანდერძი: ნუ გათათრდები, ქართველი ხარ და ქართველად მოკვდიო.

ქართული წყაროების მიხედვით, „გათათრება" ნიშნავდა მაჰმადიანური სარწმუნოების მიღებას, გამაჰმადიანებას. მაგრამ ქრისტიანობასთან ერთად თავის ქართველობაზეც უნდა ეთქვა უარი რჯულშეცვლილს. ამას მოითხოვდა ალაჰი, ამას მოითხოვდა მისი მოციქული დედამიწაზე — მუჰამედი (ანუ მაჰმადი, როგორც ქართველები ეძახდნენ), ამას მოითხოვდა „ალაჰის ჩრდილიც", რომელსაც ხან შაჰ-თამაზი ერქვა, ხანაც — შაჰ-აბასი.

ისლამი მარტივად სჭრიდა ეროვნულ საკითხს. სხვადასხვა ხალხებით მოფენილ ქვეყნიერებას ორ ნაწილად ჰყოფდა: მუსლიმებად და გიაურებად, ანუ მორწმუნეებად და ურწმუნოებად.

...პიეტრო დელა ვალე თავის წიგნში „მოგზაურობანი" მოგვითხრობს:

1618 წელს, იგი ყაზვინისაკენ მიემგზავრებოდა შაჰის ბანაკთან ერთად. ღამით გზაზე შეხვედრია ქართველ დიდებულთა მოზრდი-

ლი ჯგუფი. მაანი, პიეტროს მეუღლე, ევროპული ყაიდის ტახტრევ-ნით მგზავრობდა და ქართველების ცნობისმოყვარეობა გამოუწვე-ვია.

ცაზე ანათებდა კაშკაშა მთვარე. ყველანი შემოეხვივნენ მაანის ტახტრევანს, არა მარტო მამაკაცები, არამედ მათი ცოლებიც, რომ-ლებიც თავისი ქვეყნის ჩვეულებისამებრ ცხენებზე ისხდნენ და არც პირისახე ჰქონდათ ჩადრით შენიღბული, თუმცა მაჰმადიანთა საბრ-ძანებელში იმყოფებოდნენ. ქართველი ქალები მიესალმნენ მაანის და ქართულად გამოელაპარაკნენ. პიეტროს მეუღლემ იცოდა მათი სადაურობა, ისიც გულთბილად მიესალმა და ძლივძლივობით გას-ცა პასუხი, მერე ჯვარი აჩვენა (მაანი სირიელი ქრისტიანი იყო). როდესაც ქართველმა ქალებმა ჯვარი დაინახეს, უზომო სიხარუ-ლით შეჰყვირეს: „ქართველი, ქართველი!" (ორიგინალში: „Cartu-eli...").

იტალიელი მკითხველისათვის პიეტრო დელა ვალე განმარტავს, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ქართველი" (იტალიურ ენაზე ქართველს ჰქვია „ჯორჯანო") და იქვე დასძენს, რომ თვით ქართველები ამავე სიტყვით აღნიშნავენ აგრეთვე ქრისტიანს. მათი შეხედულებით, ქართველი და კარგი ქრისტიანი — ეს ორი ცნება განუყოფელია ერთმანეთისგან. ავტორი განაგრძობს, რომ „თათარი" ქართულ ენაზე ეწოდება ყველა მაჰმადიანს, სადაურიც არ უნდა იყოს იგი და ქართველები განსაკუთრებული სიძულვილით რომ ამბობენ: „ძაღ-ლი თათარი", საერთოდ მაჰმადიანებს გულისხმობენო (ორიგი-ნალში წერია: „zaghli tatar" და ეს გამოთქმა იქვეა თარგმნილი იტალიურად).

პიეტრო დელა ვალეს დასკვნით, ქართველმა ქალებმა ჯვრის და-ნახვაზე აღტაცებით წამოიძახეს, რომ ქალბატონი მაანი არის სარწმუნოებით ქრისტიანი და ერთგვარად — ქართველი, ისევე როგორც თვით ისინი.

მაანის ტახტრევანთან შეყრილ ქართველებს ბოლოს პიეტროც მიუახლოვდა. ერთმანეთს მიესალმნენ უფრო მუნჯურად, ვიდრე სიტყვებით. ქართველი დიდებულნი არაჩვეულებრივი გულითადო-ბით შეხვდნენ იტალიელ მოგზაურს. პიეტრომ მიახვედრა, მეც ქრისტიანი ვარო და უკეთ რომ ენიშნებინა თავისი სადაურობა, ახ-სენა რომი და წმ. პეტრე.

ქართველები კმაყოფილნი უქნევდნენ თავს, გვესმისო. მათი

აღტაცება მართლაც უსაზღვრო იყო. სადღაც ყაზვინის გზაზე გადაეყარნენ რომაელ მოგზაურს, ერთმორწმუნე ქრისტიანს, სულიერ ნათესავსა და თითქოსდა თვისტომს.

მერე ერთად გაუდგნენ გზას. მხარდამხარ მიჰყვებოდა პიეტროს ახოვანი და მდიდრულად გამოწყობილი ქართველი დიდებული. მან იტალიელი მოგზაურის ხელი მიიკრა მკერდზე, მაღლა აღაპყრო თვალები და თითქმის ცრემლმორეული ესაუბრებოდა უცხოელს ქართულ ენაზე. პიეტროს არაფერი ესმოდა, მაგრამ ხედავდა მის მოსიყვარულე ჟესტებს და გული აუჩუყა უცნობი ქართველის კეთილგანწყობამ.

გზაში გაცნობილთა არც სახელები შეუტყვია პიეტრო დელა ვალეს და არც სეფიანთა სამეფო კარზე მათი ჩამოსვლის მიზანი. ეტყობა, ეს შეხვედრა პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა.

ირანში ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდნენ იტალიელ მოგზაურს ქართველები: კაცი თუ ქალი, ბავშვი თუ მოხუცი, თავადი და აზნაური, გლეხი და ხუცესი.

„ამჟამად ირანის ჯარის მთავარი ნერვი შედგება ქართველი მხედრებისაგან“, — წერდა პიეტრო დელა ვალე. მათი რიცხვი ოცდაათი ათასს აღწევდა. უმცირესობა ბავშვობიდანვე იყო აღზრდილი მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე, უმეტესობა კი მოწიფულ ასაკში გამაჰმადიანდა. ზოგმა ანგარებით შეიცვალა რჯული, ზოგმა — პატივმოყვარეობით, მაგრამ მეტწილად — გაჭირვების გამო, რათა შიმშილისაგან გადაერჩინათ ცოლ-შვილი და საკუთარი თავი. სეფიანთა ჯარში კარგ გასამრჯელოს აძლევდნენ ქართველ მხედრებს და დიდად აფასებდნენ, სამაგიეროდ ეკისრებოდათ უმძიმესი მოვალეობა მუდმივი სამსახურისა, თავს ველარ გაანებებდნენ ამ საქმეს და სიკვდილამდე უნდა ექნიათ ხმალი სეფიანთა სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, მათ დაკარგეს სამშობლო — ირანზე გაცილებით უკეთესი ქვეყანა, დაკარგეს მამაპაპური სარწმუნოება, დაკარგეს თავისი მიწა და ქონება, დაკარგეს ცოლ-შვილი, და-ძმა თუ სხვა ნათესავები, ან გაჭცეულნი საქართველოს უშიშარ კუთხეებში, ან დახოცილნი ომის დროს, ან ტყვედ წამოყვანილნი და მთელს ირანში მიმოფანტულნი. „ყველაფერი ეს ჩხვლეტს ყოველი კეთილგონიერი ადამიანის გულს“, — დაასკვნის იტალიელი მოგზაური.

პიეტრო დელა ვალეს დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარა, რომ ქართველთა ძალაუნებური გამაჰმადიანება მეტწილად ფორმალური ნაბიჯი იყო. თუმცა ისინი გარეგნულად გამაჰმადიანებულნი არიან და ირანის შაჰს ემსახურებიან, უფალმა უწყის გულში რას ფიქრობენ და ბევრზე ნამდვილად ეიცი, ქრისტიანულ სარწმუნოებას არ ღალატობსო.

ასე რომ, სრულ „გათათრებამდე" არ მიდიოდა საქმე. ყიზილბაშური ხალათის ჩაცმა მაინც არ იწვევდა ქართველობაზე ზელის აღებას. ასე იოლად ვერ ივიწყებდა ქართველი კაცი თავის დედაენას და მშობელ მიწას, სადაც ჩარჩენილი ჰქონდა ფესვები. გარეგნულად მაჰმადიანობდა და გულში ქრისტიანობდა ანუ ქართველობდა (საამისო მაგალითები საკმარისადაა XVII — XVIII საუკუნეთა საქართველოს ისტორიაში).

ირანში იმყოფებოდა ერთი გამოჩენილი ადამიანი, რომელზედაც ზედგამოჭრილი იყო პიეტრო დელა ვალეს დასკვნა გამაჰმადიანებულ ქართველთა ხვაშიადისა და იდუმალი ზრახვების შესახებ. შესაძლოა, სწორედ მასთან საუბარმა აუხილა თვალი იტალიელ მოგზაურს „გათათრების" ჭეშმარიტ ფასზე.

„ბატონი მეჰრაბ" ანუ იტალიურად „სინიორ მეჰრაბ", — ასე წერს პიეტრო დელა ვალე.

1620 წლის 20 სექტემბერს პიეტროს გაუცნია ისპაანის კარმელიტთა ეკლესიაში წირვის მოსასმენად მოსული „ბატონი მეჰრაბ" — დარბაისელი კაცი, უკვე ჭარმაგი. იტალიელი მოგზაურის სიტყვით, იგი ახალგაზრდობისას იმყოფებოდა სიმონ მეფის სამსახურში, შემდეგ კონსტანტინოპოლის ტყვეობაშიც ახლდა პატრონს და სიკვდილამდე უვლიდა, უფრო მოწიფულ ასაკში კი ემსახურებოდა ლუარსაბ მეფეს, სიმონის შვილიშვილსა და მემკვიდრეს.

პიეტრო დელა ვალეს ზემოხსენებულ ცნობას პირველად მ. თამარაშვილმა მიაქცია ყურადღება და ორიოდე სიტყვით დაიმოწმა თავის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის". შემდგომში, ანტონ ფურცელაძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ პიეტრო დელა ვალეს მიერ მოხსენიებული „ბატონი მეჰრაბ" უნდა იყოს. გიორგი საკაძე და ისიც აღნიშნა, რომ უცხოელი ავტორები დიდ მოურავს ეძახდნენ ხან „მორაოს", ხან „მურადს", და სხვ.

ჩანს, თანმხლები ქართველები გიორგი საკაძეს მიმართავდნენ,

როგორც „ბატონ მოურავს“. იტალიელმა მოგზაურმა ზუსტად თარგმნა პირველი სიტყვა (ბატონი — სინიორ), მაგრამ „მოურავი“, ალბათ, საკუთარ სახელად ჩათვალა და ნაცნობ ქართულ სახელს მიამსგავსა. სხვათა შორის, პიეტრო დელა ვალე გამონაკლისი არ გახლავთ. ევროპულ წყაროებში გიორგი სააკაძეს ასახელებენ „მოურავის“ დამახინჯებული ფორმებით: მორად (ინგლისელი თომას ჰერბერტი), მაურო (გერმანელი ადამ ოლეარიუსი), მორაო (იტალიელი ბართოლომეო ფერო), მეჰრუ (ფრანგი ჟან შარდენი), მევრაბ (ფრანგი ისტორიკოსი კლოდ მალენგრი და გერმანელი დრამატურგი ანდრეას გრიფიუსი). განსაკუთრებით შთამბეჭდავია ორი უკანასკნელი ფორმა, რომელიც თითქმის ზუსტად ემთხვევა დელა ვალეს თხზულებაში დამოწმებულ სახელს (მეჰრაბ).

პიეტრო დელა ვალე შენიშნავს, რომ ირანში დატყვევებული ლუარსაბის ყველა სამფლობელო შაჰის საბრძანებელი გამხდარა და ამ მიწებს განაგებს არა მეფე, არამედ ხანი, ხელქვეითი შაჰისა და მისი ნების აღმსრულებელი, სახელდობრ — ბიძაშვილი ლუარსაბისა, მაჰმადიანის შვილი და თვითონაც გამაჰმადიანებული (იგულისხმება სიმონ-ხანი, ძე ბაგრატისა, რომელიც 1619 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ, გახდა ქართლის ვალი, ე. ი. მოადგილე შაჰისა).

„ბატონი მეჰრაბ“ რომ ნამდვილად გიორგი სააკაძეა, ამას ადასტურებს თვით პიეტრო დელა ვალეს სიტყვებიც: თუმცა იგი ჯიუტად და მტკიცედ დგას ქრისტიანულ რჯულზე, შაჰ-აბასი მაინც კარგად ეპყრობა მას და წყალობას არ აკლებს, ამჟამად „ბატონ მეჰრაბს“ ემორჩილება ყველა ჯარი თბილისსა და გორში, რომელიც მისი მშობელი მხარე არისო.

მართლაც, 1619 წელს შაჰ-აბასმა დანიშნა გიორგი სააკაძე სიმონის „ვექილად და ხელმძღვანელად“.

ქართულ წყაროში ვკითხულობთ: „ხოლო იყო მოურავი მაშინ ყაენისაგან დიდად პატივცემულ და მორჩილებდენ სულად ყიზილბაშნი და გვერდს ახლდენ მრავალნი“.

ისქანდერ მუნშიც რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ მოურავ-ბეგი (ე. ი. გიორგი სააკაძე) ირანის ერთგულ და სანდო ადამიანად იყო მიჩნეული, თავისი მორჩილებითა და სამსახურით მოპოვებული ჰქონდა დიდი პატივისცემა სამეფო კარზე და შაჰის დაახლოებულ და ნდობით აღჭურვილ პირთა რიცხვს ეკუთვნოდა.

მაგრამ პიეტრო დელა ვალე ამტკიცებს, „ბატონო მეჰრაბ“ მტკიცედ დგას ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, ხოლო ისქანდერ მუნში 1624 წლის ამბების თხრობისას წერს, ათ წელიწადზე მეტია, რაც მაჰმადიანობა მიიღო მოურავ-ბეგმაო.

რა თქმა უნდა, სპარსელი ისტორიკოსის ცნობა უფრო წაგავს სინამდვილეს, ვინაიდან საწმუნოებით ქრისტიანი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდებოდა სეფიანთა ლაშქრის სარდალი. მიუხედავად ამისა, იტალიელი ავტორიც თავის მხრივ მართალი უნდა იყოს.

ცოტა ხნის შემდეგ ისქანდერ მუნში დაწერს, რომ ქართველი მოურავი მხოლოდ დროისა და გარემოების მიხედვით აღიარებდა ისლამს და ხელი არ აუღია ქრისტიანობის რჯულზე, მაჰმადიანად აცხადებდა თავს, მაგრამ ისევ ერთმორწმუნე ქართველებს დაუკავშირდაო.

სპარსელ ისტორიკოსს დიდი სიბრძნის გამოვლინებად ვერ ჩაეთვლით ამ დასკვნას, ვინაიდან მარტყოფის აჯანყებამ თვალნათლივ აჩვენა ყველას, შაჰ-აბასსაც და შაჰის ერთგულ მეხოტბეთაც, რომ დიდი მოურავი მხოლოდ მარჯვე მომენტს ელოდა, რათა ხმამაღლა გადაეხაზა თავისი იძულებითი სამსახური ქართველი ხალხის მოსისხლე მტრის დროშებქვეშ. სახელოვან ფმირს გულშიაც არ გაუვლია სამშობლოს მესაფლავედ გადაქცევა.

პიეტრო დელა ვალემ გაცილებით ადრე შენიშნა ის, რასაც ვერ ხედავდა შორსმჭვრეტელი შაჰ-აბასი. მეგობრის თვალი უფრო მახვილი აღმოჩნდა.

ალბათ, უპირველეს ყოვლისა დიდ მოურავს გულისხმობდა იტალიელი მოგზაური, როდესაც წერდა ირანში მყოფ ქართველებზე, უფალმა უწყის გულში რას ფიქრობენო.

XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი ამგვარად ახასიათებს გიორგი საკაძეს: „მოურავად დანიშნული ეს კაცი იყო ბრძენი სიტყვით, ძლიერი გონებით, გამოცდილი თავის საქმეში და აგრეთვე წარმოსადეგი, ძლიერ მამაცი, დიდი მებრძოლი და უძლეველი მეომარი. ის მხარე, რომელსაც იგი მიუდგებოდა, მეორე მოწინააღმდეგე მხარეს სძლეცდა და მტრის ჯარს, მსგავსად მოცელილი ბალახისა, მიმოფანტავდა ხოლმე მინდორველზე“.

მიუხედავად ზემოთქმულისა (ანდა, ეგებ იმიტომაც) დიდი მოურავის ცხოვრების გზა ია-ვარდით როდი ყოფილა მოფენილი.

ალმართს მოსდევდა დალმართი, ხანმოკლე შვებას — ხანგრძლივი ვაება, სიყვარულს — სიძულვილი, ხოტბას და ჯილდოს — განქიქება და დევნა. ის ერთი თავით მაღლა იდგა სხვებზე, სახელი ჰქონდა მოხვეჭილი არა წინაპართა წყალობით, არამედ თავისი ხმლით. დიდგვაროვანთა წრეს არაფრად ეპიტნავებოდა პირადი ნიჭითა და უნარით აღზევებული კაცი, რომელსაც თანაბრად უჭრიდა ხმალიცა და გონებაც, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა ქვეყნისა და მეფის ძლიერებას. მისი დაწინაურება მოასწავებდა მხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობას, მისი პირადი კარიერა მხოლოდ გამარჯვებას უქადდა ქვეყანას. მაგრამ მეფის გაძლიერება ნიშნავდა თავკერძა ფეოდალთა ძალაუფლების ალაგმვას და ამიტომაც ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი გიორგი სააკაძისა იწვევდა მეშურნეთა გაბოროტებას. ფარული შური გადაიზარდა გაცხადებულ მტრობაში, ამაგი არ დაუფასეს ქვეყნისა და მეფის ერთგულ მსახურს. ავი ენების გესლმა შობა დაუნდობლად მოქნეული ხმალი. უმადური და უნიათო მეფის მიერ სასიკვდილოდ განწირულს ტყე-ღრეში უნდა ეწანწალა დევნილი ნადირივით, რათა გადაერჩინა თავისი სიცოცხლე, თავისი ოჯახი.

გიორგი სააკაძეს წილად ხვდა უცხო მხარეში გადახვეწა და ქართველი ხალხის მოსისხლე მტრის დროშებქვეშ სამსახური. მას წილად ხვდა მწარე ლუკმა ლტოლვილისა, („თუ კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა უცხოს თემსა და მიწებსა, შარბათიც ჰქონდეს სასმელად, ნაღველად აღმოიწებსა“).

შურმა და მტრობამ განდევნა იგი სამშობლოდან, მაგრამ დიდ მოურავს ერთი წუთითაც არ განუდევნია თავისი გულიდან სამშობლოს სიყვარული. ითმენდა ყველა გასაჭირს და ცილისწამებას, მოთმინებით ელოდა იმ დღეს, როდესაც დაამტკიცებდა თავის სიმართლეს და სამშობლოს ერთგულებას, როდესაც გააქარწყლებდა ყველა მითქმა-მოთქმასა თუ ბრალდებას. არასოდეს ავიწყდებოდა თავისი ვალი და მოწოდება. არ შერყეულა მისი სულიერი მხნეობა და უსაზღვრო რწმენა მომავალი გამარჯვებისა.

1620 წლისათვის შექმნილი ვითარება სასიკეთოს ვერაფერს მეტყველებდა. ქართლის მეფე ირანის ტყვეობაში იმყოფებოდა და მოახლოებული იყო მისი აღსასრული. ხოლო ოსმალთა სამფლობელოებში გადახვეწილი კახეთის მეფე ხან ოსმალეთის ხონთქარს ევედრებოდა შველას, ხანაც — რუსეთის ხელმწიფეს.

თითქოსდა დაწყნარდა საქართველო. ჩაიარა აჯანყებათა ციკლმა. რამდენიმე წლის მანძილზე აჯანყება აჯანყებას მოსდევდა, მაგრამ ძალზე ძვირად უჯდებოდა ხალხს ეს თავგანწირული ბრძოლა ურჩცხვ მტერთან. ყოველი აჯანყება იწვევდა შაჰ-აბასის ათკეც შურისძიებას. ყოველ აჯანყებას მოჰყვებოდა ყიზილბაშთა ახალი თარეში და ქვეყნის გაპარტახება. ქართველი ხალხის ფიზიკურ თუ სულიერ პოტენციალს დაშრეტის საფრთხე ემუქრებოდა.

...დიდი მოურავი მოთმინებით ელოდება თავისი ცხოვრების მწვერვალს. რამხელა ბედნიერებაა, გააუქმოს ულმობელი განაჩენი მტრისა, რომელსაც სწადია საქართველოს სახსენებლის წაშლა და მისი გადაქცევა ყიზილბაშთა ტომების სადგომ-საძოვრად. დიდ მოურავს, მრავალი ვარამისა და განსაცდელის საზღაურად, ბედი უმზადებს მაღალ მწვერვალზე ასვლას და მშობელი ქვეყნის გადარჩენას. და თუ ჰქონია შეცდომა, ანდა შეცოდება წარსულში, ყველაფერი გაბათილდება, ყველაფერი დავიწყებას მიეცემა, როდესაც დადგება მისი ცხოვრების ყველაზე ნათელი დღე.





ესე საქმე მოურავმა...

მარტყოფის აჯანყებას საპატიო და გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიის ღირსსახსოვარ მოვლენებს შორის. 1625 წლის 25 მარტს, მარტყოფის ველზე კიდევ ერთხელ დამტკიცდა ქართველი ხალხის გმირული სული, მისი დაუცხომელი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, მისი ერთგულება წინაპართა წმინდა ანდერძის წინაშე — შეენარჩუნებინა თავისი მეობა, არ გადაგვარებულიყო, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა დამპყრობთა უღლის გადასაგდებად და მომავალი საუკუნეებისათვის გადაეცა გაკვეთილი ღირსეული არსებობისა.

მარტყოფის აჯანყება, თავისი მნიშვნელობითა და შედეგებით, თამამად შეიძლება ამოუდგეს მხარში ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი საბრძოლო მატიანის ყველაზე დაუვიწყარ გამარჯვებებს, იქნება ეს დიდგორისა თუ ბასიანის ომი. ის გრანდიოზული გამარჯვებანი, მოპოვებული თანასწორ მეტოქესთან ჭიდილში, კანონზომიერი და ლოგიკური. შედეგი იყო ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობისა. ხოლო მარტყოფის აჯანყება წარმოადგენს ყოფნა-არყოფნის მიჯნამდე მისული ქვეყნის თავგანწირულ გაბრძოლებას და მოგვაგონებს ბიბლიური დავითის შერკინებას უძლეველ და გოროზ გოლიათთან. ალბათ, ამიტომაც იმსახურებს სამართლიან განკეთებას და აღტაცებას, როგორც თანამედროვეთა, ისე შთამომავალთა შორის. ქართველი მემატიანის მიერ დიდგორის ომზე თქმული „ძლევაი საკვირველი“ — არანაკლები უფლებით შეგვიძლია ვუწოდოთ მარტყოფის ომს. ბევრმა წყალმა ჩაიარა დიდგორისა და ბასიანის დროიდან მარტყოფამდე; მონღოლთა ბატონობის შედეგად საქართველოს მიწა-წყალზე ჩამომდგარი „დიდი ღამე“ სადაცაა უსასრულო ღამედ გადაიქცეოდა. ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული და

მრავალგზის აოხრებული ქვეყანა სულს ღაფავდა და თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. XVI საუკუნიდან ორ მაჰმადიანურ იმპერიას შორის მოქცეული საქართველო თითქოსდა უკვე განწირული იყო საიმისოდ, რომ აღგვილიყო პირისაგან მიწისა და გათქვეფილიყო ორივე მხრიდან მოწოლილ მაჰმადიანურ ზღვაში.

მაგრამ მარტყოფის აჯანყებამ თვალნათლივ აჩვენა გალაღებულ დამპყრობელს, რომ კიდევ იზრდებოდნენ ალგეთის ლეკვები მგლისანი და მტრის ჯავრს არ შეეპამდნენ. ყველამ დაინახა და იგრძნო, მტერმაც და მოყვარემაც, რომ ქართველ ხალხს ალარ ეწერა „გათათრება“ თუ გადაშენება. იმედი, ნაღვერდალივით რომ ბეუტავდა მონობის წყვდიადში, თავისუფლების ჩირაღდნად აბრიალდა მარტყოფის ველზე 25 მარტს, ღვთისმშობლის ხარების დღეს. ცხადია, შემთხვევით არ აურჩევიათ აჯანყების დღედ ქრისტიანული დღესასწაულის დღე; სჯეროდათ, ხორცს შეასხამდნენ გამარჯვების რწმენას და მიულოცავდნენ დღესასწაულს იმ ქვეყანას, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად მიაჩნდათ. მიულოცავდნენ და ეტყოდნენ: „გიხაროდეს, მიმადლებულო, უფალია შენთან“.

სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შეუპოვარი და ქედუხრელი მესაჭე თეიმურაზ პირველი თავის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ მოიხსენიებს მარტყოფის გამარჯვებას, როგორც „სასწაულსა მეტისმეტსა“. მართლაც სასწაულს ჰგავდა ყიზილბაშთა მიერ თერთმეტი წლის მანძილზე „ნაპამი“ ქვეყნის წელში გამართვა და მხრების გაშლა. მართლაც სასწაული ერქვა ამდენი დამარცხებისა და დამცირების შემდეგ უბადლო გამარჯვების მოხვეჭას. და ამ სასწაულის მთავარი ავტორი იყო დიდი მოურავი გიორგი საკაძე.

„ესე საქმე მოურავმა უცხო ქნა და საკვირველი, ვით შემართა ამ საქმესა, არის თუცა გულად რვალი“, — ვკითხულობთ არჩილ მეფის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. მთელი ხალხი მონაწილეობდა ამ აჯანყებაში. საყოველთაო იყო საოცნებო გამარჯვების წყურვილიც და თავგანწირვისათვის მზადყოფნაც. არავის ენანებოდა, თავისი წილი სისხლი გაეღო საძულველ მტერთან ბრძოლაში. მაგრამ სულისჩამდგმელი და შემოქმედი ამ დიდი გამარჯვებისა იყო დიდი მოურავი. მისი სახელი ამიტომაც დაუკავშირდა სამარადისოდ მარტყოფის აჯანყებას.

სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში მოგვითხრობს, რომ

1624 წელს კახეთის გამგებელმა ფეიქარ-ხანმა აცნობა შაჰ-აბასს: კახეთის აზნაურებსა და თეიმურაზს შორის მოსვლა-მოსვლა და ფარული მიმოწერა მიმდინარეობსო. ფეიქარ-ხანის ვარაუდით, მოსალოდნელი იყო არეულობა.

თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა გვაუწყებს, რომ საგონებელში ჩავარდნილი ფეიქარ-ხანი სწერდა შაჰ-აბასს: „ქართველები ისევ მომრავლდნენ და ლაშქრობის შემთხვევაში ათი ათასი ხმლიანი ქართველი შეიძლება მოგროვდესო. ამაზე თქვენი ბრძანება როგორი იქნებაო?“

ჰორმუზის, ყანდაარისა და ბაღდადის გამარჯვებებით თავბრუდახვეულ შაჰ-აბასს ეგებ აღარც ახსოვდა საქართველო, რომელმაც თავად შეახსენა თავი და ამცნო სეფიანთა ირანის ძლევამოსილ ხელმწიფეს, რომ „გურჯისტანის საკითხი“ გადაუჭრელი რჩებოდა. დაუმორჩილებელი ქვეყანა, მიუხედავად ამდენი აოხრებისა და სისხლისღვრისა, განაგრძობდა ფიქრს წინააღმდეგობაზე.

ისქანდერ მუნში მოგვითხრობს: „შაჰმა გადაწყვიტა, რომ ერთი გამჭრიახი გონების მქონე და საზრიანი კაცი გაეგზავნა იმ მხარეს, რათა გამოეკვლია საქართველოს ნამდვილი მდგომარეობა, მოესპო შფოთის ამტეხნი და ისე მოეწესრიგებინა და მოეწყო საქმეები, როგორც ძლევამოსილი სახელმწიფოსათვის იქნებოდა სასარგებლო“.

შაჰ-აბასმა არჩევანი შეაჩერა თავის უძვირფასეს სარდალზე. ეს იყო ირანის სპასალარი ყარჩიღა-ხანი. ერთი წლის წინათ მისი წინამძღოლობით აიღეს ყიზილბაშებმა ბაღდადი და ამ ტრიუმფით ალტაცებულმა შაჰ-აბასმა ასე მიმართა სპასალარს: „ჩემო ძვირფასო ალა! შენ მომიხვეჭე ისეთი გამარჯვება, რომ ამაზე მეტს ალაჰსაც ვერ გამოვთხოვდი. წადი, ჩემს ცხენზე შეჯექ, მე თვითონ ვიქნები შენი მსახური!“

ყარჩიღა-ხანმა შორს დაიჭირა გაუგონარი პატივი: „მბრძანებელო, ეს არ შემეფერება, ნუ გავიწყდება, რომ შენი მონა ვარ და თავს ნუ იმცირებ!“

სპასალარს ყველამ მოუწონა ნათქვამი, მაგრამ შაჰი გაჯიუტდა: „მე ასე მსურს, მე ასე მესიამოვნება“.

სხვა გზა აღარ ჰქონდა ყარჩიღა-ხანს, შეჯდა შაჰ-აბასის ცხენზე და სეფიანთა ირანის ხელმწიფე ქვეითად გაჰყვა თავის სპასალარს.

ასე გაიარა შვიდი ნაბიჯი და მის მაგალითს მიჰბაძეს დიდებულებმაც.

„მეტად გულადი, ხალისიანი, შორსმჭვრეტელი, მართებულად მოაზროვნე და ომში შეუდრეკელი", — ასე ახასიათებს ყარჩილა-ხანს სპარსელი ისტორიკოსი.

შაჰ-აბასის ბრძანებით, ყარჩილა-ხანთან ერთად საქართველოში უნდა წასულიყო გიორგი საakაძე, ვინაიდან მან იცოდა ამ ქვეყნის აჯი და კარგი, ხოლო თავისი დიდი ერთგულებითა და მორჩილებით მოპოვებული ჰქონდა ხელმწიფის ნდობა, ამიტომაც შაჰის ღრმა რწმენით ყველაფერს გააკეთებდა, რასაც შესაფერისად მიიჩნევდა სეფიანთა სახელმწიფოსათვის.

ლაშქრობის ნამდვილი მიზანი ოსტატურად იყო შენიღბული. ქართლის გამგებელს გამაჰმადიანებულ სიმონ-ხანს ცოლად ატანდნენ შაჰ-აბასის შვილიშვილს და ქორწილი უნდა გადაეხადათ საქართველოში. ირანის წარჩინებული ხანები, თავიანთი ჯარით, საპატიო მაყრებად მიჰყვებოდნენ მას.

მაგრამ სინამდვილეში ყარჩილა-ხანს ეცალებოდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის აყრა-გადასახლება...

მუსტაფა ნაიმას სიტყვით, შაჰ-აბასმა სხვების გასაგონად უბრძანა ყარჩილა-ხანს, მოურავთან თათბირის გარეშე არც ერთი საქმე არ დაეწყო, მაგრამ მალულად გააფრთხილა, ელოდე საიდუმლო წერილს და ახალი ბრძანების შესაბამისად იმოქმედეო. ჩანს, შაჰ-აბასი ბოლომდე არ ენდობოდა გიორგი საakაძეს.

როდესაც ყარჩილა-ხანს კახეთის მოლაშქრეთა გაყლეტის მუხანათური გეგმა ჩაეშალა, ქართველი მოურავის მიმართ აღძრული ეჭვი შეატყობინა შაჰ-აბასს და ახალმა ბრძანებამაც არ დააყოვნა. შაჰ-აბასი სწერდა ყარჩილა-ხანს: „ეგმართებს, დათვალიერების მიზნით შეგროვილი ქართველები მთლიანად ამოხოცო. მოურავიც არ გაუშვა ცოცხალი. რაც არ უნდა დაგიჯდეს, უნდა მოკლა".

როგორც ცნობილია, ყარჩილა-ხანთან გამოგზავნილი შიკრიკი ლოჭინის მიდამოებში დადარაჯებულმა გიორგი საakაძემ შეიპყრო და შაჰ-აბასის საიდუმლო ბრძანებაში ეძიებინა განაჩენი ქართველ დიდებულებს ეგაცნო.

გადაწყდა აჯანყება. დიდი მოურავი, თავის ოთხ ერთგულ თანამებრძოლთან ერთად ყიზილბაშთა ბანაკში დარჩა, რათა ერთი დარტყმით მოეკვეთა თავი მტრის ლაშქრისათვის.

1625 წლის 25 მარტს, გარიყრაეზე, მარტყოფის ველზე დაბანაკებულ ყიზილბაშთა ჯარს მიუახლოვდა აჯანყებულთა მხედრობა ზურაბ არაგვის ერისთავის წინამძღოლობით.

მუსტაფა ნაიმას ცნობით, მოურავი ამხედრდა, აიღო შუბი და მიიჭრა ყარჩილა-ხანის კარავთან. „ხანო, რას გაჩერებულხარ, თეიმურაზი მოვიდა, თავს დაგვესხაო“ — ასე მიმართა მას და მერე ცხენზე ამხედრებულს თავისი შუბი იღლიის ქვეშ აძგერა ისე, რომ შუბი მეორე მხარეს გამოვიდა. „ჰე, შე გიაურო, არაში იყოს შენზე შაჰის პური!“ — ეს იყო უკანასკნელი სიტყვები ყარჩილა-ხანისა. სხვა ხანები ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა და სანამ ასე გაოგნებული იყვნენ, ქართველებმა მუსრი გაავლეს მტერს. თურქი ისტორიკოსის მტკიცებით, ოცდაათი ათასი ყიზილბაშიდან მხოლოდ სამი ათასმა მოაბერხა გაქცევა.

ისქანდერ მუნში გვაუწყებს: „დიდებულებიც და უბრალო ხალხიც საშინლად თავზარდაცემული იქით-აქეთ გარბოდა. ყიზილბაშების მთელი ბანაკი დარბეულ და გაძარცულ იქნა, ქართველებს ხელში აურაცხელი და განუზომელი ქონება და იარაღი ჩაუვარდათ“.

მოვუსმინოთ ქართველ პოეტსაც:

ხმალს ქვეშ დაავლეს, ლაშქარნი აივსნეს საშოვარითა.
უკან მისძახდეს მეოტთა: თუ აქეთ გაიარითა,
კიდევ უარეს დაგმართებთ სიცოცხლე გასამწარითა.
მიდით, შაბაზს შესჩივლეთ, მალ ყაზვინს ჩაუსწარითა.

ყიზილბაშებს ვერ წარმოედგინათ „ღალატი“ ქართველი მოურავისა, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა ხელმწიფის სამსახურში და თავისი შვილი ირანში ჰყავდა მძევლად. მხოლოდ მას, ყიზილბაშთაგან ერთგულ და სანდო პირად მიჩნეულს, შეეძლო ამ აჯანყების განხორციელება.

მ. თამარიშვილის პირად არქივში (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები) დაცულია 1628 წელს რომში შედგენილი რელაცია იტალიურ ენაზე, რომელიც შეიცავს თეიმურაზ მეფის მიერ ევროპაში წარგზავნილი ელჩის ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე) ნაამბობს. ეს ინფორმაცია განსაკუთრებული ღირებულებისაა, ვინაიდან ეკუთვნის თანადამხვდურსა და თვითმხილველს, თეიმურაზის ერთგულსა და სანდო პიროვნებას, და უშუალოდ მომხდარი მოვლენების კვალდაკვალ არის ჩაწერილი.

აი, რას მოგვითხრობს ნიკიფორე ირბახის რელაცია:

ძლევამოსილი ჯანყების შემდეგ ხალხს სურდა მოურავის გამოცხადება მეფედ, მაგრამ თვით მან არ ინება მეფობა. ამბობდა, რომ სამეფოს უნდა ჰყავდეს კანონიერი მეფე და საერთო კეთილდღეობისათვის მოუწოდა გადახვეწილ თეიმურაზს დაბრუნებულიყო სამშობლოში. ლაპარაკობდნენ, რომ თეიმურაზს მახეს უგებს და მისი მოკვლა სწადია, რათა დაეპატრონოს მეფობასო. უმორჩილესი თხოვნით გაგზავნილ ელჩთან ერთად ამ ხმებმაც ჩააღწია თეიმურაზამდე. მაგრამ ლტოლვილმა მეფემ განაცხადა: თუ ასე ნებავს უფალს, დაე აღსრულდეს მისი სურვილი. უკანასკნელად მაინც გავუღიმებ მშობლიურ ცას, რომლის ქვეშაც ამეხილა თვალიო.

მითქმა-მოთქმა ყალბი აღმოჩნდა. დიდი პატივითა და ზეიმით მიიღეს საქართველოში თეიმურაზი. ფრავალი დიდებულის, სამი არქიეპისკოპოსისა და მთელი ხალხის თანხლებით გაემართა იგი ტაძრისაკენ; ტახტზე აიყვანეს, ფვირგვინი დაადგეს და ერთგულების ფიცი მისცეს ქართლ-კახეთის მეფეს. თეიმურაზი კეთილად შეხვდა მოურავს, შეუნდო წარსული წყენა, მუდამ პატივს სცემდა და სამეფოში მეორე პირად მიიჩნევდა.

ნიკიფორე ირბახის სიტყვით, შაჰ-აბასსა და ყიზილბაშებს სხვა ალარავინ შეეძლოთ ეხსენებინათ უფრო დიდი სიძულვილით, ვიდრე გიორგი სააკაძე. აღშფოთებული და განრისხებული შაჰი საჯაროდ სდებდა ფიცს, ნახევარ სამეფოს ვაჩუქებ იმას, ვინც დატყვევებულ მოურავს მომგვრის ისპაანშიო. ალბათ, მანამდე გაუგონარ შურისძიებას მოიფიქრებდა სეფიანთა ხელმწიფის სადისტური ფანტაზია...

ისქანდერ მუნში, სეფიანთა სამეფო კარის მემატიანე, როგორც კი მოიხსენიებს გიორგი სააკაძის სახელს, თავს ვერ იკავებს და მაშინვე ამკობს ლანძღვითა და წყევლით: ბედკრული და უმადური მოურავიო, ცბიერი და შფოთის ამტეხიო, ბედდაბნელებული და ბოროტიო, ბედუკულმართი და არამზადა მოლალატეო.

თორმეტი წლის შემდეგ შაჰ-აბასის მემკვიდრე შაჰ-სეფი თავის ერთ ფირმანში სააკაძეს მოიხსენიებს, როგორც „წყეულ მოურავს“.

მშობელი ხალხის სიყვარული და გადამთიელი მტრის სიძულ-

ვილი იყო ღირსეული ჯილდო თავისი ცხოვრების მწვერვალზე ასული დიდი მოურავისა.

XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი ამბობს, თავის მეფობის ორმოცი წლის მანძილზე შაჰ-აბასს ასეთი მძიმე დანაკლისი არ განუცდიაო. „მოურავის მეოხებით და მოურავთანვე ბრძოლაში დაიღუპა და განშორდა წუთისოფელს შვიდი სახელოვანი ხანი, რომელთა ტოლები ყიზილბაშის ქვეყნებში არ მოიძებნებოდა“ (ამ სახელოვანი შვიდეულიდან იბრაჰიმ ფეჩევი ასახელებს ყარჩიღა-ხანს, იუსუფ-ხანსა და ამირგუნე-ხანს, ალბათ, როგორც ყველაზე სახელოვან სარდლებს).

არჩილ მეფის პოემაში ხაზგასმულია მარტყოფის აჯანყების ორგანიზატორის გიორგი საკაძის და მისი მარჯვენა ხელის — ზურაბ ერისთავის სამაგალითო გმირობა: „სახელისთვის მათ ცოლშვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ! ვინ არ მიჰყვეთ მათ საქმესა, არ იცით, რომ დიდად სცოდეთ? რჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნების, რასაც ჰყოფდეთ? აწც ეს ქენით, ქართველებო, ანდერძსავით შვილს ეტყოდეთ!“

მარტყოფის აჯანყების ამბავი, ცხადია, გასცდა საქართველოს ფარგლებს.

შირაზში მყოფი კათოლიკე მისიონერი, იმავე წლის 18 ივნისით დათარიღებულ წერილში, რომს ამცნობდა, რომ საქართველოში მოხდა „მოულოდნელი და დიდი აჯანყება“. ქართველი ელჩის ნიკიფორე ირბახისა და უცნობი ჯულფელი ვაჭრის რელაციები, ჩაწერილი ვატიკანში 1628 წელს, საინტერესო დეტალებით ავსებენ სხვა წყაროების ინფორმაციას ზემოხსენებულ მოვლენათა შესახებ.

მარტყოფის აჯანყების ამბავს მოგვითხრობენ ინგლისელი თომას ჰერბერტი, იტალიელი პიეტრო დელა ვალე და ფრანგი კლოდ მალენგრი. სწორედ ამ უკანასკნელის ნაშრომს ეყრდნობოდა ცნობილი გერმანელი დრამატურგი ანდრეას გრიფიუსი, რომლის ხუთმოქმედებიან ტრაგედიაში „ქეთევან ქართველი“ აღწერილია მარტყოფის აჯანყებაც და საკმაოდ დაწვრილებით არის გაშუქებული დიდი მოურავის სახე (გრიფიუსს, მხატვრული მიზნით, დარღვეული აქვს მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა. მის ნაწარმოებში მარტყოფის აჯანყება წინ უსწრებს ქეთევან დედოფლის წამებას და საქართველოდან ჩასული ელჩები უამბობენ ტყვე დედოფალს ქართველი ხალხის გამარჯვების ამბავს).

1625 წელს აყრა-გადასახლება ემუქრებოდა ქართლ-კახეთს. საქართველოს მიწაზე უცხო ტომი უნდა ჩამოთესლილიყო, მაგრამ ქართველმა ხალხმა, თავისი საამაყო შვილის მეთაურობით, ყირაზე დააყენა ისპაანში შეთხზული სცენარი, და მიუხედავად იმავე წლის ზაფხულში მომხდარი სისხლისმღვრელი მარაბდის ომისა, სულ სხვა გეზით წარმართა თავისი ბედი.



მარაბდა

ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს მარაბდის ველი ზაფხულში, ან თუნდაც სექტემბრის დამდეგს, უთუოდ გაუჭირდება წარმოიდგინოს, თუ როგორი პაპანაქება იცის ხოლმე ამ მიდამოებში, თითქოსდა მზეს მთელი თავისი მხურვალება მიწის ერთ ნაგლეჯზე გადმოუღვრია.

1625 წელს სწორედ მარაბდის ველზე იდგა ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქარი. კოჯორ-ტაბახმელას მაღლობებიდან სწორედ აქეთ დაეშვა ქართველთა მხედრობა, დაეშვა სიგრილიდან სიცხეში, სამოთხიდან — ჯოჯოხეთში. სიკვდილს თამამად გაუსწორეს თვალი და კიდევ ერთხელ შეებნენ მრისხანე მტერს სამშობლოს გადასარჩენად.

მარტყოფი და მარაბდა... ეს ორი სახელი განუყოფლად არის დაკავშირებული ერთიმეორესთან. საქართველოს ისტორია სასოებით ინახავს ორივე სახელს; ორივე მისი მშვენებაა — მარტყოფის ბრწყინვალე გამარჯვება და მარაბდის ბრწყინვალე დამარცხება.

მარაბდა არის სიმბოლო ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლისა თავისუფლებისათვის, მარაბდა — სამარე ცხრა ათასი ქართველი გმირისა, მარაბდა — უკანასკნელი და გადამწყვეტი ომი, რომელმაც სამუდამოდ დაასამარა ყიზილბაშთა ოცნება საქართველოს მოსპობაზე. მარტყოფი იყო იმედიანი პროლოგი მონობის უღლიდან თავის დახსნისა, ხოლო მარაბდა — მრავლისმთქმელი ეპილოგი. მარაბდა იმ დამარცხებას ჰქვია, რომელიც ზოგიერთი უმნიშვნელო ბრძოლის მოგებას ჩრდილავს; მარაბდა იმ გაკვეთილს ჰქვია, რომელიც კარგად ისწავლა მტერმა და გადაივიწყა ქართველი ხალხის „გათათრების“ ქიმერული წადილი.

სულ რაღაც სამი თვე აშორებს მარაბდას მარტყოფისგან — სამი თვე დაძაბული ლოდინისა, სამზადისისა.

მარტყოფში მოხვეჭილ გამარჯვებას არ მოუდუნებია ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა სიფხიზლე. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ სეფიანთა ირანის ვერაგსა და დაუნდობელ მბრძანებელს, რაღა თქმა უნდა, შეიპყრობდა ქართველებზე დაუოკებელი შურისძიების წყურვილი და არც დააყოვნებდა ახალი ლაშქრის გამოგზავნას.

მარტო ქართლ-კახეთი რას გახდებოდა სეფიანთა იმპერიასთან რომელიც ტოლს არ უდებდა ვეება ოსმალეთსა თუ ინდოეთს. საჭირო იყო ძლიერი მოკავშირე, თუნდაც ეშმაკეულის მოდგმისა. და გიორგი სააკაძემ ელჩები აფრინა ოსმალთა სარდალთან, რომელიც ამ დროს დიარბექირში იდგა და ბაღდადზე სალაშქროდ ემზადებოდა. ქართველმა ელჩებმა ერთი ვეშაპის დამარცხებული და გათელილი ბაირაღები მეორე ვეშაპს მიართვეს საჩუქრად, და არანაკლებ ძვირფასი ძღვენი დაუმატეს — მარტყოფში დახოცილ ყიზილბაშთა მოჭრილი თავები. მათ შორის ოსმალთათვის ყველაზე საძულველი ყარჩიღა-ხანისა, შაჰ-აბასის უსაყვარლესი სარდლისა, რომელმაც ორიოდე წლის წინათ ოსმალებს ხელიდან გამოჰგლიჯა ბაღდადი.

ქართველმა ელჩებმა ოსმალთა სარდალს ჰაფიზ-ფაშას შემდეგი მოახსენეს: ასეთი მოხერხებული შემთხვევა ოსმალთა სამეფო გვარეულობას არ მისცემია. ნულარ დააყოვნებთ და იჩქარეთ, რომ თქვენი ჯარი ირანს შეუსიოთ. ყარაბაღი, განჯა, შირვანი უომრად დაგმორჩილდებიან, იქ ხომ თქვენივე რჯულის სუნიტი მუსლიმები არიან, ამის შემდეგ არდებილსა და მეშჰედსაც იოლად აიღებთ და ყიზილბაშთა ქვეყანას ცეცხლს წაუკიდებთო. იმდენ სიმდიდრესა და ნადავლს ჩაიგდებთ ხელში, რომ ქვეყნიერების დასასრულამდე სალაპარაკო არაკად იქცევაო.

ასე გადმოგვცემს ქართველი მოურავის შემონათვალს თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი, თვითმხილველი ამ ელჩობისა. მისი სიტყვით, ჰაფიზ-ფაშას დიდხანს უწვალებია ელჩები, სანამ ხეირიან პასუხს აღირსებდა, და ბოლოს განუცხადებია: ჩვენ ბაღდადის დაპყრობა გვევალება და საქართველოსა და შირვანს გამგზავრება არავის უბრძანებიაო.

ასევე თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა აღნიშნავს: „საქართველოს მიმართულებით ეს ლაშქრობა რომ ჩატარებულიყო, მო-

სალოდნელი იყო დიდი გამარჯვება“ (რაც შეეხება ბაღდადს, ოსმალებს იქაც მოეცარათ ხელი).

ოსმალეთის სულთნის ყურამდეც მივიდა ქართველი ელჩების თხოვნა. სულთანი დახმარებას შეპპირდა „წყეულ“ ყიზილბაშებთან შეჭიდებულ ქრისტიანულ ქვეყანას, ჯერჯერობით კი ქართველი მოურავისადმი წყალობის ფირმანისა და საპატიო ხალათის გამოგზავნით დაკმაყოფილდა. ეს „ჯილდო“, ალბათ, მარაბდის ომის შემდეგ ჩაბოლწევდა საქართველოში.

ქართველები მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონის იმედზე რჩებოდნენ.

სარდლობის წინაშე მდგარი სიძნელვავით წამოიჭრა ალტერნატივა — ჩასულიყვნენ მარაბდის ველზე და იქ შებმოდნენ მტერს, თუ დარჩენილიყვნენ ჯოჯორ-ტაბახმელას მაღლობზე...

არჩილ მეფე თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ გადმოგვცემს სამხედრო თათბირზე გამოთქმულ მოსაზრებებს. მისი სიტყვით, გიორგი საკაძე წინააღმდეგი იყო მარაბდის ველზე ჩასვლისა, ქვეით ჯარს გაუჭირდება ბრძოლა სიცხეში და რომ დაგვიმარცხდეს, ერთპირად ამოწყდებაო. მას მხოლოდ ბაადურ ციციშვილმა დაუჭირა მხარი. მარაბდის ველზე ბრძოლას კი დაჟინებით მოითხოვდნენ დანარჩენები: ზურაბ არაგვის ერისთავი, ბარათა ბარათაშვილი, თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრანბატონები, იესე ჭსნის ერისთავი, მანუჩარ ათაბაგი, კახეთის დიდებულნი... თავიანთ მოთხოვნას ამტკიცებდნენ სხვადასხვა არგუმენტებით: ყიზილბაშებს ხანგრძლივად დგომა არ მოსწყინდებათო, ამასობაში ჩვენი ლაშქარი დაგვეფანტებაო, აქ უქმად ყოფნა რას გვარგებსო, დილითვე შევებათ სიგრილეშიო და სხვ.

„მინდვრადა სჯობს ომი ცხენზედ, სიმაგრეში რასა ჰქვიან?“ — მარტყოფის გამარჯვებით გალაღებულნი აღარ ეპუებოდნენ ყიზილბაშებს.

უმეტესობა ითხოვდა ბრძოლას და გადაწყდა ბრძოლა.

სხვათა შორის, XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე ერთგვარი განსხვავებით მოგვითხრობს სამხედრო თათბირის ამბავს: „ზოგთ ჯარე არჩიენეს, მცხეთამდინ აუშვათო და ზოგმან მაღლითა და ზოგმან გალმა-გამოლმიდან დაუშინოთო და სიმაგრე ჩვენ ფეიქნებისო და ხელთოფით ამოვსწყვეტთო და მოურავმა და აღათანგიმ ასრე თქვეს: თუ მაგას ვიქთო, ბარათი-

ანნი ჩვენ წაგვიყვანონ და იმათ მიუვლენონ და გზები კარგად ეცანონ, დიდგორის გზით ლაშქარს წამოუძღვებიანონ და წინ ეკანას გვიზმენონ და რადგან ბევრი ლაშქარი გვახლავსო, ესე სჯობსო, რომ მინდორში ჩავეგებნეთო და ისინი შუბის ომსაო ჩვენ ვერ გაგვიძლებენო, რა ერთხელ გატყდებიან, ვეღარ შემოგვბედვენო".

როგორც ვხედავთ, არჩილი და ფარსადანი სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ გიორგი სააკაძის მოსაზრებას. რომელს უფრო უნდა ვენდოთ, ამის გარკვევა ერთობ ძნელი გახლავთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფარსადანის მონათხრობში გიორგი სააკაძის მიერ წამოყენებულ არგუმენტს მარაბდის ველზე ბრძოლის სასარგებლოდ ვპოულობთ არჩილის პოემაშიც, სადაც თეიმურაზ პირველი ამბობს: „ამ რჩევაზედ ბარათიანთ წასვლის ეჭვი შეგვივიდა, არ ჭორად თქვეს ეს ამბავი, მედასტურე მოგვივიდა, თქვეს თუ: ღვთის მადლს ამ ჯარშიგა არამც ეს ხმა გაგვივიდა, ამად გვიჯობს ადრე შებმა თუ ესენი წაგვივიდა".

ზემოთ დამოწმებული ცნობები გვაფიქრებინებს, რომ რეალურად არსებობდა საფრთხე მეწინავე საფარეშოს — საბარათიანოს ლაშქრის განდგომისა, რაც საბედისწერო გახდებოდა საერთო საქმისათვის და, ალბათ, შეასუსტებდა მთელი ჯარის საბრძოლო სულისკვეთებას.

როგორც ჩანს, ამ მომენტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ნ. ბერძენიშვილი და წერდა: „ქართველთა ბანაკში თათბირი გაიმართა. ბჭობდნენ, თუ სად და როდის შებმოდნენ მტერს. სხვადასხვა აზრი გამოითქვა, მაგრამ ომის დაწყების ბედი ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციამ გადაწყვიტა. საბარათიანოს ლაშქარი ხვალისად შებმას ითხოვდა. თუ არა, ბრძოლის ველის მიტოვებას იმუქრებოდა. საბარათიანოს ფეოდალების საამისო „საბუთი" ის იყო, რომ მტერი მათ „მამულში" იდგა და მას აოხრებდა".

...არჩილ მეფე, ფარსადან გორგიჯანიძე და სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში დაწვრილებით მოგვითხრობენ ზარაბდის ომის პერიპეტიებს.

ქართველებმა გარიყრაჟზე შეუტიეს ყიზილბაშთა ლაშქარს. თავგამეტებულ იერიშზე დაძრულ შუბოსან ეხედრებს თორმეტი ათასი მეთოფის ზალპი შეეგება. თოფის წამლის კვამლს ჰაერი დაუბნელებია და მზიანი დღე ღამედ გადაუქცევია. კვამლი რომ გაიფანტა, ქართველები „გახურებული ხოცვიან" შეიჭრნენ მეთოფე-

თა რაზმებში და გააქციეს ისინი. ფარსადანის სიტყვით, „ქართველები ყიზილბაშის ლაშქარში გაერივნენ და შეიქნა შუბთა ძგერება, ხმალთა და ლახტთა მუზარადზედ ხეთქინება".

ყიზილბაშთა ავანგარდის სარდალი ამირგუნე-ხანი თეიმურაზ მეფეს შეერკინა ბრძოლის ველზე. „ბატონი დიაღ ფიცხელი იყო,— გვიამბობს ფარსადან გორგიჯანიძე, — და სწრაფად შუბი შესცა და იმან ფარი დააწვედრა, ფარი გაუტეხა და ხელნავიც გაუხეთქა და მკლავიც მოსტეხა, შუბიც შეამტვრია, ცხენიდამ გარდმოაგდო". ყაჯართა ტომის მეომრებს თავიანთი წინამძღოლი სასწრაფოდ გაუყვანიათ ბრძოლის ველიდან (მარაბდის ომში მიღებულმა ჭრილობამ სულ მალე მოუღო ბოლო ვაჟკაცობისათვის „ყვითელი ჯიქის" სატიტო მეტსახელით დაჯილდოებულ ხარდალს).

გიორგი სააკაძე უმუზარადოდ იბრძოდა, რათა მტერს ეცნო იგი და თავზარი დასცემოდა. ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს: „და იმდღინდელი მოურავის ნაქმარი ომი და საქმეები პირველთა გმირთაგანცა არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქმნა".

XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის სიტყვით, სასტიკი და საზარელი ბრძოლა ჰგავდა მჭედლის ურის დარტყმას რკინაზე. თოფების ბათქა-ბუთქი, ისრების ზუზუნი, მეომართა ყიჟინა და ცხენების ჭიხვინი ისეთი ძალისა იყო, რომ ყიზილბაშთა სატვირთო აქლემები დაფრთხნენ, მოკურცხლეს, იმავე ღამეს შირაზამდე (!) ჩააღწიეს და გზაში რაც შეხვდათ, გაცოფებულებმა ყველაფერი გადაქელესო.

ბრძოლის ბედი თითქოსდა უკვე გადაწყვეტილი იყო. ყიზილბაშთა ლაშქარი პანიკამ მოიცვა და თვით მთავარსარდლის ისა-ხან ყორჩიბაშის სიმშვიდე და სიმტკიცე ველარაფერს გააწყობდა, თავრიზის ბეგლარბეგის შაჰ-ბენდე-ხანის დასვენებული ჯარი რომ არ გამოჩენილიყო ბრძოლის ველზე.

ერთის მხრივ ამ გარემოებამ და მეორეს მხრივ — ქართველი მეომრების ალაფობით გატაცებამ და ძალების დაქსაქსვამ გამარჯვების სასწორი გადახარა ყიზილბაშთა მხარეს.

ქართული წყაროების ცნობით, მარაბდის ომში დაიღუპა ცხრა ათასი ქართველი და თოთხმეტი ათასი ყიზილბაში.

მტერს ალარ შესწევდა ძალ-ღონე ქვეყნის დაპყრობისა.

მარაბდის ომი გახდა მეევრმეტეველი სიგნალი შაჰ-აბასისათვის,

რათა საქართველოს დამონებაზე ხელი აეღო და მშვიდობა ჩამოეგ-
დო თორმეტწლიანი რბევა-თარეშისა და უნაყოფო სისხლისღვრის
შემდეგ.

ქართველები დამარცხდნენ მარაბდის ომში, მაგრამ არც ყიზილ-
ბაშებს ეთქმოდათ გამარჯვება. მუსტაფა ნაიმას სიტყვით, „ამ ბრძო-
ლაშიც ყიზილბაშის ჯარმა დიდი ზარალი განიცადა და მთავარსარ-
დალთან ერთად მხოლოდ ცოტამ თუ უშველა თავს".

თეიმურაზ შეფის ელჩად რომში ჩასული ნიკიფორე ირბახი მა-
რაბდის ომს ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებად მოიხსენიებდა.
მიუხედავად გაზვიადებისა, ასეთი შეფასება ჭეშმარიტების მარ-
ცვალსაც შეიცავს, თუნდაც პოლიტიკური შედეგების გათვალის-
წინებით.

მარაბდის ომი იყო უკანასკნელი ეპიზოდი შაჰ-აბასის მიერ სა
ქართველოს თავზე დატეხილი „სისხლის წვიმებისა". დიდი მსხვერ-
პლის ფასად მოპოვებულ იქნა ღირსეული არსებობის უფლება.

ნიკიფორე ირბახის მიხედვით, ოსმალეთთან და ინდოეთთან გა-
ნუწყვეტელი ომით დაქანცული შაჰ-აბასი მიისწრაფოდა, რამდენა-
დაც კი შეეძლო, მოერბილებინა ივერიის მეფე, ვინაიდან იცოდა
მისი ხალხის სიმამაცე. ბოლოს და ბოლოს მიაღწია დაზავებას სა-
ქართველოსთან და აღიარა თეიმურაზი ქართლ-კახეთის ქრისტიან
მეფედო.

1625 წელი სისხლიანი წელიწადი გამოდგა, მაგრამ ჩვენს ის-
ტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი, როგორც დიდი გმირო-
ბისა და თავდადების წელიწადი.

ქართველმა ხალხმა სამარადისოდ დაამტკიცა, რომ მას არ ეწე-
რა არც მოსპობა, არც გათათრება.

ორი მოურავი

ვაჟა-ფშაველას კალამს ეკუთვნის ერთი ლექსი, დათარიღებული 1910 წლით, რომელსაც ჰქვია „გიორგი სააკაძის სურათზე". მართალია, იგი თავისი მხატვრული ღირებულებით ვერ გაუტოლდება პოეტის საუკეთესო ქმნილებებს, მაგრამ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მისი შინაარსი.

დიდი ქართველი პოეტი დაჰყურებს დიდი ქართველი სარდლის სურათს და მწარე ფიქრები ეწვადება საქართველოს რჩეული შვილების ბედსა თუ უბედობაზე. ჯავრით შებორკილა, „ცრემლები აღრჩობს" და ხმის ამოღება უჭირს. კალამმა მხოლოდ სამ სტროფს გაუძლო და მერე დაუმძიმდა ხელში. ანდა რაღა გაეგრძელებინა, როდესაც მთელი სათქმელი თავისუფლად ჩაეტია იმ სამ სტროფში. პოეტის მუზა აუღელვებია გიორგი სააკაძის უნუგეშო ხვედრს, მაგრამ ვინ იცის, ეგებ სხვათა აჩრდილებიც დაუდგა თვალწინ, როდესაც ხსენებულ ლექსს წერდა. ეგებ მოელანდა აჩრდილები საქართველოს შვილთა, ურკვევად განწირულთა, უღვთოდ დაღუპულთა.

„თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება?" — წარმოთქვამს გიორგი სააკაძეზე ფიქრში გართული პოეტი და მერე უფრო მკაცრი სიტყვებიც აღმოხდება: კარგის დაღუპვა რად გვენატრებაო? გულწრფელმა ღაღადისმა უკანასკნელი საზღვარი გადალახა. რწმენის მაღალი მწვერვალიდან ჩაჩეხილა ფიქრი ეჭვის შავბნელ უფსკრულში, პოეტი შეძრწუნებით შეჰყურებს ნიღაბჩამოგლეჯილ, სამოსელშემოძარცულ სიმართლეს. სიტყვა უწყდება პირში. ველარას ვიტყვიო, ეთრთი, მეხათრებაო და მაინც ბოლომდე ცლის შხამიო სავსე ფიალას: „ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ ფეკადრება!".

საქართველოს ისტორიაში ძნელად მოიძებნება ესოდენ გაორებული სახე, როგორც გიორგი სააკაძისა. ქართველმა ხალხმა საუ-

ჟუნო ძეგლი აუგო თავის გულში დიდ მოურავს. მისი სახელი გადაიქცა გმირობისა და მამულიშვილობის უპირველეს სიმბოლოდ. მისი ტრაგიკული ცხოვრება არაერთხელ აისახა სამეცნიერო თუ მხატვრულ ლიტერატურაში. მისი მჭექარე ხმა ისმოდა სცენიდან და ეკრანზეც გამოჩნდა უბადლოდ ხორცშესხმული დიდი მოურავი. მაგრამ არც ის გახლავთ საიდუმლოება, რომ სხვას არავის მოუხვეჭია, თანამედროვეთა თუ შთამომავალთა თვალში, ესოდენ განსხვავებული შეფასება, როგორც გიორგი სააკაძეს. მატიანის ფურცლებზე გმირს ერქვა გმირი, მოღალატეს — მოღალატე. გმირს ალტაცებით ასხამდნენ ქებას, მოღალატეს ზიზღით ახსენებდნენ და წყევლა-კრულვას უთვლიდნენ. დიდ მოურავს წილად ხვდა გმირის შარავანდედიც და მოღალატის წარუხოცელი დალიც.

ქართული წყაროები ამაყად გადმოგვცემენ გიორგი სააკაძის დიდებულ საქმეებს, მაგრამ ამავე დროს არც უკადრის ეპითეტებს იშურებენ. ვახუშტი ბატონიშვილი უწოდებს „ცბიერსა“ და „უნდოს“. ანტონ კათოლიკოსი ასე ახასიათებს დიდ მოურავს: „შინაგანმცემელი უფლისა თვისისა და მამულისა... ორგული და გულარძნილი“. იოანე ბატონიშვილის სიტყვით, ის იყო „განმზრახი ბორტისა და ორგული მამულისა“.

ანტონ ფურცელაძემ საკმაოდ ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა დიდი მოურავის აპოლოგიას („გიორგი სააკაძე და მისი დრო“). მაგრამ არც ისე იოლი იყო სახელოვანი გმირის ცხოვრების ნათელ ფურცლებზე აქა-იქ დაწინწკლული ლაქების გათეთრება.

აკაკი წერეთელს თავისი ერთი წერილისათვის მრავალისმთქმელი სათაური დაურქმევია: „შავი ფიქრები (გიორგი სააკაძეზე)“. მგოსანი გულისყურით აკვირდება დიდი მოურავის გაორებულ სახეს და ამბობს: „დღეს ითვალისწინებ ამ უბედურ გმირს და აღარიცი, რა ქმნა: დალოცო თუ დაწყევლო? აკურთხო თუ შეაჩვენო? თაყვანი სცე თუ ზურგი უჩვენო?“

ასეთივე სიფრთხილით წერდა დიდი მოურავის შესახებ ილია ჭავჭავაძე: „მისი ავ-კარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდნი საქმენი... ელიან პირუთვნელს გამკითხველსა“.

მწერლისა თუ ისტორიკოსისათვის, რა თქმა უნდა, ძალზე მტკივნეულია ხალხის საყვარელი გმირის ცოდვათა გამომზეურება. თურმე თვით „ქართლის ცხოვრების“ მესაიდუმლესაც გასჭირვე-

ბია კატეგორიული დასკვნა (პროფ. ვ. გაბაშვილი იგონებს, რომ ერთხელ სემინარზე ასპირანტებმა სთხოვეს ივანე ჯავახიშვილს გაეშოეთქვა თავისი აზრი გიორგი საakაძის პიროვნებასა და მოღვაწეობაზე. დიდ ქართველ მეცნიერს მოკლედ მოუჭრია: „ვერც კარგს ვიტყვი, ვერც ავსაო". მოგონების ავტორი დასძენს: „მაგრამ ამ მოკლე ფრაზასაც, ალბათ დამეთანხმებით, კარგი გაკვეთილის მნიშვნელობა ჰქონდა").

...XVII საუკუნის მეორე ნახევარში იოსებ ტფილელმა დაწერა პოემა „დიდმოურავიანი", რომელიც გადმოგვცემს გიორგი საakაძის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებს. იოსებ ტფილელის თხზულება მიზნად ისახავდა დიდი მოურავის რეაბილიტაციას.

„ქრცხილვანს იდგა მეფე შვებით, მას გვერდს ახლდა მოურავი", — ასე იწყება ზემოხსენებული პოემა. პირველივე სტრიქონი ცხადლივ მიგვანიშნებს იმას, რომ ნაოხარი საქართველო უკვე სუნთქავდა ლაღად და ღონივრად. მართალია, აღთქმული თავისუფლება შორს იყო, რადგანაც სეფიანთა ტახტზე ისევ შაჰ-აბასი იჯდა და თბილისი ყიზილბაშებს ეჭირათ, მაგრამ მოხვეჭილი წარმატებაც საკმარისი იყო გულის მოსაოხებლად და სულის მოსათქმელად. მარაბდის ომში ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ ძალზე ძვირი დაუჯდათ ყიზილბაშებს გამარჯვება. ისინი იმდენად დაზარალდნენ სისხლისმღვრელ ომში, რომ ქვეყნის დასაპყრობად ძალა აღარ შესწევდათ.

თეიმურაზი დროებით იმერეთს გადავიდა, დიდი მოურავი — სამცხეს. ისა-ხან ყორჩიბაშს უნიადაგო ოცნებად ესახებოდა მათი ხელში ჩაგდება. იგი იმითაც დარჩა კმაყოფილი, რომ სეფიანთა ირანის ორი მთავარი მტერი გაეცალა ქართლ-კახეთს. ამასობაში ყიზილბაშთა ლაშქარიც იძულებული გახდა გუდა-ნაბადი აეკრა, ვინაიდან შაჰ-აბასს სხვა სადარდებელი გაუჩნდა. ისქანდერ მუნშის სიტყვით, „უგუნურმა და ცეტმა ხალხმა" საქართველოში მომხდარი ამბავი ირანის სახელმწიფოს სისუსტეს მიაწერა და მტრებმა, რომელნიც ხელსაყრელ ჟამს ელოდნენ, იფიქრეს, დრო დაგვიდგაო. ოსმალებმა მყისვე შეუტიეს ბაღდადს. ისინი ვარაუდობდნენ, სეფიანთა სახელმწიფო ბაღდადისათვის ვერ მოიცლის, ბაღდადში მყოფ ყიზილბაშებს იშედი გაუწყდებათ და როგორც კი გაიგებენ ოსმალთა უზარმაზარი ჯარის მოახლოებას, იქაურობას შიატოვებენ და ბაღდადს უომრად დავიპერთო. მაგრამ შაჰ-აბასი ასე იოლად

ვერ შეელეოდა ბაღდადს. მან საჩქაროდ გაიწვია ყორჩიბაში საქართველოდან, მისი ლაშქრის უმეტესი ნაწილი ბაღდადს მიაშველა და ყარაბაღში საზამთროდ დარჩენილ ყორჩიბაშს მცირე ძალები დაუტოვა ქართველთა შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად. 1626 წლის გაზაფხულზე თეიმურაზი და საკაძე დაბრუნდნენ ქართლ-კახეთში. ქართლის ვალი სიმონ-ხანი თბილისში იყო ჩაკეტილი ყიზილბაშთა გარნიზონთან ერთად.

„ქრცხილვანს იდგა მეფე შვებით, მას გვერდს ახლდა მოურავი“... სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გადაიხადეს, მოსისხლე მტრის ჯავრი არ შეუჭამიათ. თეიმურაზი და საკაძე იმედის თვალით შეჰყურებენ მომავალს. მაგრამ მოწმენდილი ცა უეცრად მოიქუფრება მოურავისათვის. ერთგული პირნი ამცნობენ, თეიმურაზი შოკვლას გიპირებსო. მოურავს გაოცება შეიპყრობს, რისთვის უნდა მომკლან, თეიმურაზსა თუ ქვეყანას ნეტავი რა დავუშავე, სიკეთის მეტი არაფერი დამიშავებიაო. უკვირს, რომ ერთგული სამსახურისა და თავდადების საზღაურად სიკვდილი გადაუწყვიტეს. ახლო მეგობრებს გააცნობს საქმის ვითარებას. ისინი არწმუნებენ, ნუ დაიჯერებ, ეს ამბავი მართალს არა ჰგავს, მოშურნეებსა აწადიათ თქვენი გადამტერება, რომ საქართველოში შფოთი და არეულობა ატყდესო. მოურავი თითქოს დამშვიდდება, მაგრამ სხვები ისევ ჩასჩიჩინებენ, არ მოტყუვდე, თეიმურაზი ნამდვილად მოკვლას გიპირებს და გაუფრთხილდიო. მოურავი დაეინებით ეკითხება ამბის მომტანთ, გამაგებინეთ, რას მერჩისო და ისინი პასუხობენ: ლუარსაბ მეფის სისხლს გადებს და შენს ურჩობა-განდიდებას ჩივისო. მოურავი კაცს მიუგზავნის თეიმურაზს, რათა პირადად მეფისაგან გაიგოს, თუ რატომ დაუპირებიათ მისი მოსპობა. თეიმურაზი უარობს, არაფერს გედავები და არც შენი მოკვლა გამივლია გულში, ჩემს ერთგულ სარდალს როგორ გაგწირავო. მაგრამ მოურავს ხელახლა არწმუნებენ თავისიანები, მეფე არ დაგინდობსო. მოურავი ისევ აახლებს მოციქულებს თეიმურაზს და შეუთვლის: შევიტყე, თურმე ლუარსაბის სიკვდილს მაბრალებთო. მაშინ თეიმურაზიც გულახდილად უპასუხებს: „ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია“. თუმცა იქვე დასძენს: ლუარსაბის სისხლს არ ვეძებ, დამშვიდდი, შენ მეგულები ჩემს იმედად ჭირში და ლხინშიო. მაგრამ მოურავს რაღა დაამშვიდებს. სული აუფორიაქა ბრალდებამ. სურს, ღირსეული პასუხი გასცეს მეფეს,

თავი გაიმართლოს ხალხის თვალში, გაფანტოს ყოველგვარი ეჭვი და ცილისწამება. იგი იწყებს თავისი თავგადასავლის თხრობას და ჩვენს თვალწინ იშლება დიდი მოურავის ცხოვრების ფურცლები.

პოემაში დაწვრილებით არის გადმოცემული ყირიმელი თათრების შემოსევა ქართლში და მათი სასტიკი დამარცხება გიორგი სააკაძის სარდლობით. ამას მოსდევს ნადიმი დიდი მოურავის ოჯახში, სადაც ლუარსაბი გაიცნობს მასპინძლის დას და გაუმიჯნურდება. ამას რომ შეიტყობს მოურავი, შოციქულის პირით დაუყოვნებლივ სთხოვს მეფეს, ჩემი ოჯახის შერცხვენას ნუ იკადრებო. მაგრამ ლუარსაბი ჰპირდება, შენს დას ცოლად შევირთავო. მოურავი ვეთაფერს გააწყობს ლუარსაბთან და მაშინ დედამისს შეეევედრება, შენს შვილს შეუფერებელი ქორწინება დაუშალეო. ქართლის დედოფალს დიახაც არ ეპიტნავება სააკაძეთა დამოყვრება, მაგრამ ვერ გაუტეხავს შვილის სიჯიუტე. ისევ ლუარსაბს მიმართავს მოურავი და სთხოვს, ფიცი მიბოძე, რომ ცოლ-ქმრულ კავშირს არ მოშლიო. ლუარსაბი შეჰფიცავს და ცოლად ირთავს გიორგი სააკაძის დას... ქართლის დიდებულნი გაუთავებლად საყვედურობენ მეფეს უგვარო ქალის გადედოფლებას. გაივლის თაფლობის თვე და მითქმა-მოთქმის მოწამლული ისრები თანდათანობით იმკიან ნაყოფს. ლუარსაბი გულს აიყრის ცოლზე. წარმატებით ფრთაშესხმული დიდებულნი ერთხმად მოუწოდებენ, მოურავი ცოცხალი არ გაუშვა, თორემ თავისი დის შერცხვენას ძვირად დაგისვამსო. ლუარსაბი ერთხანს ყოყმანობს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს სასიკვდილოდ გასწირავს ერთგულ ყმას. წავკისში იბარებს მოურავს, მაგრამ მეფის ფარეშთუხუცესი გასცემს შეთქმულთა ჩანაფიქრს და გიორგი სააკაძე სასწაულებრივ ახერხებს თავის დახსნას. პოემაში დაწვრილებით არის აღწერილი გაქცევის ამბავი, თავშესაფრის ძიება და საქართველოდან ირანში გადახვეწა. შაჰ-აბასს გულთბილად ეგებება ლტოლვილ მოურავს. „ესე მეც ვიცი, იქ წასვლა ვერა ვჰქენ კაის ცნებითა“, — სინანულით ამბობს გიორგი სააკაძე.

მოურავის ცხოვრების დიდი მონაკვეთი (ირანში ჩასვლიდან ვიდრე მარტყოფის აჯანყებამდე) ძალზე შეკუმშულად არის მოთხრობილი იოსებ ტფილელის პოემაში. ავტორი ორიოდე სიტყვით ეხება სააკაძის მონაწილეობას ყანდაარისა და ბაღდადის ლაშქრობებში. ასევე მცირე ადგილი ეთმობა შაჰ-აბასის შემოსევას საქართველოში. სააკაძე თავს იმართლებს, ლუარსაბი თავისი ნებით ჩა-

ბარდა შაჰს, მე არავითარი ბრალი არ მიმიძღვისო. „ბევრი რამ საქმე გამოჰხდა, ყველას აქ ვინ იქს წერასა?!“ — დაასკვნის იოსებ ტფილელი და შემდეგ მოგვითხრობს მარტყოფის აჯანყებისა და მარაბდის ომის ეპიზოდებს: „სად მოვსთვალო ჩემი ბრძოლა, ანუ ომთა ჭირნახული?! მე, მეფეო, შენთვის დავდე თავგანწირვით ტკბილი სული“.

ამ სიტყვებით მიმართავს გიორგი სააკაძე თეიმურაზს. ისიც კმაყოფილდება მოურავის ახსნა-განმარტებით. აცხადებს, ყველაფერი, რაც გითქვამს, სიმართლე არისო და ეფიცება: „არც არას სისხლსა გადევევ, არც რას ავს შენგან მოველი“. მაგრამ მოურავ უკვე ლიტონ სიტყვებად მიიჩნევს მეფის ფიცს. ეჭვის ქსელში გ ლართულა და ალარ იცის, რომელი ჩააგდოს სათვალავში — ბრალდება თუ იმავე ბრალდების უარყოფა. ბოლოს მწარე სიტყვებით გამოხატავს თავის გულისტკივილს: „ზოგთ ბაგრატოვანთ ასრე სჭირს, არ ახსოვს სამსახურია: რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია, მაბეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია!“.

და თითქოს პასუხად გაისმის თეიმურაზის ნათქვამი (არჩილ მეფის პოემაში): „ასრე სჭირს საქართველოსას, დიდებულთ, გინა მცირეთა, აზვავდებიან, იტყვიან: უჩემოთ ვინ იმღერეთა?“

ალბათ, ერთიც მართალია და მეორეც. ფეოდალური საზოგადოების მუდმივი სატკივარი მრავალჯერ აყენებდა ზიანს ქვეყნის ინტერესებს. ბაგრატიონებსაც ავიწყდებოდათ ერთგულ კაცთა სამსახური, მაგრამ თავის მხრივ ვასალებიც ყოველთვის როდი ერთგულობდნენ მეფეს. ორგულობაც ემარჯვებოდათ და „უჩემოთ ვინ იმღერეთა“ ხშირად ახშობდა პატრიოტულ ჰანგებს.

იოსებ ტფილელის პოემაში კარგად ჩანს დიდი მოურავი, მარტყოფის აჯანყების სულისჩამდგმელი და საქართველოს აღორძინების მეშოქმედი, სახელოვანი გმირი და თავდადებული მამულიშვილი, რომელმაც საკუთარი პირმშო ანაცვალა სამშობლოს. „ყველამ იცით, რომე ქართლი ჩემის ხმლითა დახსნილია“, — ამბობს გიორგი სააკაძე და ვერავინ დაეჭვდება მისი სიტყვების ჭეშმარიტებაში. ყველამ მშვენივრად ვიცით მისი ტრაგიკული ისტორიაც და „ოთქმასავით ჩაგვესმის მისი მწუხარე მონოლოგი: „თაო ჩემო, ვინ ვარ, ... ულო, სევდიანო, როგორ წყლულო, საქართველოს რჯულისა ... ათას ფერად წამებულო“.

მაგრამ თეიმურაზ მეფის წინაშე თავის მართლებისას გიორგი სააკაძე, ფაქტიურად, გვერდს უვლის წამოყენებულ ბრალდებას ლუარსაბთან დაკავშირებით („ჭკვეყანამ იცის, შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია"). მიუხედავად ამისა, ავტორის სიტყვით, თეიმურაზი მაინც კმაყოფილია მოურავის ახსნა-განმარტებით და უდასტურებს, რაც გითქვამს, ყველაფერი მართალი არისო. დიახაც რომ სიმართლეს შეიცავდა მოურავის ნაამბობი, მაგრამ მას მთელი სიმართლე არ უთქვამს. ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ლუარსაბის აღსასრულზე. იოსებ ტფილელის პოემაში ლუარსაბის ამბავი მთავრდება მისი გადმოსვლით იმერეთიდან ქართლში. ხელმწიფემ (შაჰ-აბასმა) თან წაიყვანაო, ამბობს მოურავი. მორჩა და გათავდა. აღარც მისი ტყვეობა არის ნახსენები, აღარც სიკვდილი. პოემის მიხედვით გაუგებარია, თუ სად წაიყვანეს, რამდენ ხანს ჰყავდათ ტყვედ, როდის და რატომ მოუღეს ბოლო.

დასმული კითხვა უპასუხოდ რჩება. შეესაბამებოდა თუ არა სინამდვილეს დიდი მოურავის მისამართით წამოყენებული ბრალდება? იოსებ ტფილელი დუმს ამის შესახებ და პასუხი სხვა წყაროებში უნდა ვეძიოთ...

არაქელ თავრიზელი ახასიათებს გიორგი სააკაძეს, როგორც ვამჭრიახსა და შეუვრმეტყველ ადამიანს, მამაცსა და უძლეველ მებრძოლს; რომელ მხარესაც შეუერთდებოდა, ის მხარე მეტოქეს ყოველთვის სძლევდაო. სომეხი ისტორიკოსი მოგვითხრობს ლუარსაბ მეფის ხანმოკლე სიყვარულის ამბავს, გიორგი სააკაძის დის აღზევებასა და დამცირებას, მოურავის დევნას და გადახვეწას ირანში და ბოლოს ასკვნის: „მოურავს სულში უამისოდაც ადრე ჰყავდა დემონი ჩასახლებული და ახლა ამ დემონმა კიდევ შვიდი დემონნი მიიერთა, უფრო უბოროტესნი".

არაქელ თავრიზელის მიხედვით, სულში ჩასახლებულმა დემონებმა მოურავი საშობლოზე გამოალაშქრეს ყიზილბაშთა დროშებქვეშ. იგივეს ამტკიცებენ ეან შარდენი, ბართოლომეო ფერო და ზოგიერთი ქართული წყაროც (ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი). მაგრამ ლუარსაბის სიკვდილს ისინი არ უკავშირებენ დიდი მოურავის სახელს. სომეხი ისტორიკოსი და ფრანგი მოგზაური, ეტყობა, ეყრდნობიან ერთსა და იმავე წყაროს თუ ზეპირ გადმოცემას და გვაუწყებენ, რომ ლუარსაბის დაღუპვა გამოიწვია რუსეთის ხელმწიფის შუამდგომლობამ. შაჰ-აბასს არც ლუარსაბის

ჯანთავისუფლება სურდა და არც უარის თქმა ჩრდილოეთის დიდი ხელმწიფისათვის. ამიტომაც შაჰის ბრძანებით ლუარსაბი სიცოცხლეს გამოასალმეს და რუსეთის ელჩს მოუბოდიშეს, ქართლის მეფე შემთხვევით რომ არ დალუპულიყო, თქვენი მბრძანებლის სურვილს უყოყმანოდ შეეასრულებდითო.

ამგვარად, არაქელ თავრიზელი და ჟან შარდენი მოურავს არ ადანაშაულებენ ლუარსაბის სიკვდილში, მაგრამ არსებობს სხვა წყაროები, სადაც ეს ბრალდება ხაზგასმით არის აღნიშნული.

ანტონ კათალიკოსი გვარწმუნებს, რომ ირანში მყოფი გიორგი საკაძე „არა დასცხრებოდა შაჰ-აბასის მიმართ შესმენითა ლუარსაბისათა და ყოვლითურთ მეცადინობდა მოკვლასა მისსა“. ერთხელაც უთქვამს შაჰისათვის, ხედავ, კახელებმა იმერეთიდან გადმოიყვანეს თეიმურაზი და შენი ნების საწინააღმდეგოდ კახეთში ისევ მეფობსო. ლუარსაბს თუ არ მოკლავ, შესაძლოა ზღვიდან მოადგნენ და „მოიპარონ ადვილად ლუარსაბ ციხით“.

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „მოურავი ყაენისა კარგი ყმა შეიქნა და ყაენს ესრე მოახსენა: მაგდენს პატივს რომ მეფეს ლუარსაბს ზდებო, მეფეს ბაგრატს აღარვინ მოუდგებისო, ამისივე იმედი აქვთო. ხელმწიფემ მტრის სიტყვა დაიჯერა. თავისის ყმებით ლუარსაბ მეფე ასტრაბათს გაგზავნეს და ერთი წელიწადი გამოიარა, კახელებმან ბატონი თეიმურაზ ჩამოიყვანეს, ისაბან გამოაგდეს. კიდევ მოურავს ყაენისათვის მოეხსენებინა: რადგან კახთ ბატონი თეიმურაზ ჩამოიყვანესო, ქართველნიც (ე. ი. ქართლელნი) ეცდებიანო, რომ რუსები მოიყენონო და ხომალდი გამოუძახონო და მეფე ლუარსაბ ზღვით წაიყვანონო. ამ სიტყვით ყმანი მოაშორვეს, დაუფანტეს და ბატონი ლუარსაბ გულაბის ციხეში ტყვეთ გაგზავნეს. ყაენი ისპაანს მივიდა და მეფის ბაგრატის ჩაფარი მოვიდა — იმერელთ ზემო ქართლი დაარბივესო და ჩვენც გვინდა იმერეთი დავარბივოთო, ხელმწიფის ბრძანება რა იქნებისო. ეს ანბავი ყაენს მოახსენეს. მოურავმან დრო დაიცადა და ყაენს ასრე მოახსენა: სიდამდისინ მეფე ლუარსაბ ცოცხალია, საქართველო არ დაწყნარდებისო. კაცი გაუძახეს, მეფე ლუარსაბ ციხეში დაარჩვეს“.

ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობს ემთხვევა პიეტრო დელა ვალეს ცნობა, დამოწმებული რომის პაპისადმი წარდგენილ მოხსენებაში („ინფორმაცია საქართველოს შესახებ“). იტალიელი მოგ-

ზაური აღნიშნავს, რომ „გამოჩენილი და ძლიერი ქართველი მოურავი", თავისი დის შეურაცხყოფის გამო, მტრად გადაეკიდა ქართლის მეფეს. დელა ვალეს სიტყვით, შაჰს ჩაგონებული ჰქონდა მოურავისაგან, რომ ლუარსაბის ქვეყანა არ იქნებოდა მის მფლობელობაში წყნარად და მოსვენებულად, სანამ თვითონ ლუარსაბი ცოცხალი იყო.

როგორც ვხედავთ, ორივე ავტორი თითქმის ერთნაირად გადმოგვცემს იმ სიტყვებს, რომლებიც მოუხსენებია შაჰისათვის საქართველოდან ლტოლვილ მოურავს: სანამ ლუარსაბი, ქრისტიანი მეფე ქართლისა, ცოცხალია, ქვეყანა არ მოისვენებს და ცამაჰმადიანებულ ბაგრატ მეფეს არავინ დაემორჩილებაო.

ფარსადან გორგიჯანიძისა და პიეტრო დელა ვალეს ცნობები, ანტონ კათალიკოსის მოწმობასთან ერთად, ეტყობა, შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს, ვინაიდან მათ მხარს უჭერს მოვლენათა ლოგიკაც.

ლუარსაბ მეფემ პირადი შეურაცხყოფა მიაყენა გიორგი სააკაძეს. მაგრამ შეურაცხყოფას ვინლა ჩივის, სასიკვდილოდაც განწირა იგი, რათა აეცდინა შესაძლებელი შურისძიება. ერთი დანაშაული მეორეთი დაამძიმა. მეფის ვნებათა ცვალებადობამ საფრთხეში ჩააგდო მოურავის სიცოცხლე და სამშობლოს ერთგულ მსახურს დაუკარგა სამშობლო. ოჯახის სიწმინდე შეუბილწეს, სახლკარი დაუნიავეს და გარეული ნადირივით დაუწყეს დევნა. ის კი უდანაშაულო და უცოდველი იყო ქვეყნისა და მეფის წინაშე. სავსებით ბუნებრივი იქნებოდა მოურავის სულში გაჩენილი შურისგების წყურვილი. ვინ გაამტყუნებს და ვინ დასძრახავს, ვინ მოსთხოვს ადამიანს, იმაზე მეტი იტვირთოს, ვიდრე მისი მხრები გაუძლებენ და გული აიტანს? გიორგი სააკაძე, მიუხედავად მთელი თავისი სიდიადისა და გმირთაგმირობისა, ჩვეულებრივი ადამიანი იყო, ჩვეულებრივად სტკიოდა გული, როდესაც უსამართლოდ ეპყრობოდნენ. არ ძალუძდა შეეყვარებინა მტრად გადაქცეული მოყვარე, ეკურთხებინა მწყევარი თვისი, ბოროტის წილ კეთილი მიეგო მოძულეთათვის და ლოცვანი აღევლინა თავის მძლევართა და მდევნელთა საკეთილდღეოდ. ქრისტიანული სათნოებით არც მოურავის ოპონენტები გამოირჩეოდნენ, გინდ ლუარსაბი და გინდაც თეიმურაზი. უხერხულია, რომ მაინცდამაინც გიორგი სააკაძეს ვუკიჟინოთ ქრისტიანულ მცნებათა დავიწყება.

...არანაკლებ სამართლიანი ჩანს თეიმურაზის მეორე ბრალდებაც.

თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა მოგვითხრობს, რომ მარტყოფის აჯანყების შემდეგ მოურავმა „დამოუკიდებლობისა" და საქართველოს შაჰობის პრეტენზია" გამოაცხადა და თითქოს ფულიც მოაჭრევინა თავის სახელზე ასეთი წარწერით: „მონა სიწმინდის მეფისა მოურავ-შაჰი". ოსმალეთის ხონთქარი მიიჩნევდა გიორგი სააკაძეს ქართლის მპყრობელად და თეიმურაზს — მხოლოდ კახეთის მეფედ (ხონთქრის მიერ ქურთი ფეოდალებისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნულია: „ზაგემის მმართველი თეიმურაზ-ხანი, ქართლის მმართველი მოურავ-ხანი").

ისქანდერ მუნში წერს, რომ „შფოთის ამტეხ მოურავს უნდოდა ქართლში მმართველი და მბრძანებელი ყოფილიყო. ქართლის დიდგვაროვან თავადებს სძაგდათ მოურავის ბატონობა და უფროსობა".

თეიმურაზ მეფეს მოურავი ქართლს ეცილებოდაო, ამბობს ფარსადან გორგიჯანიძე.

გიორგი სააკაძეს, ალბათ, ამხნევებდა ხალხის სიყვარული. აკინიკიფორე ირბახიც აღნიშნავს (ვატიკანში, იტალიურ ენაზე ჩაწერილი რელაციის თანახმად), რომ ძლევამოსილი მარტყოფის აჯანყების შემდეგ ხალხს მოურავის მეფედ გამოცხადება სურდაო, მაგრამ თვით მან არ ინებაო. რასაკვირველია, არ ინებებდა, ვინაიდან მშვენივრად იცოდა, რომ ქართველი ფეოდალები სიზმარშიც ვერ მოითმენდნენ ბაგრატიონთა ტახტზე სააკაძის ასვლას. მეორეს მხრივ, ეგებ ის აიმედებდა, რომ იმავე ფეოდალებს ქართლის ტახტის უზურპატორად მიაჩნდათ თეიმურაზი, კახეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი, და დღეს თუ ხვალ ზურგს შეაქცევდნენ. ასეც მოხდა. მოურავმა, ზურაბ არაგვის ერისთავის მხარდაჭერით, თავისი პროტეჟე — ქაიხოსრო მუხრან-ბატონი (ქართლის ბაგრატიონთა გვარისა) დასვა „გამგედ ქართლისად". მაგრამ მოურავი და მოუსვენარი არაგვის ერისთავიც ვეღარ მორიგდნენ ერთმანეთში. ზურაბმა ისევ თეიმურაზი ამჯობინა და ამას მოჰყვა საბედისწერო ბაზალეთის ომი, რომელმაც წერტილი დაუსვა გიორგი სააკაძის მოღვაწეობას საქართველოში.

გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ასეთია ისტორიული სინამდვილე და ვერსად გაგეექცევით მეორე მოურავს.

...პიეტრო დელა ვალეს წიგნში „მოგზაურობანი“ გარკვეული ადგილი უჭირავს „ბატონი მეჰრაბის“ მიერ მიწოდებულ მასალას. აქ განხილულია საქართველოს სამეფო-სამთავროების გეოგრაფიული მდებარეობა და პოლიტიკური მდგომარეობა. ზოგად სურათსა და ისტორიულ ექსკურსებს მოსდევს XVII საუკუნის ათიან წლებში მომხდარი ამბები... განსაკუთრებით შემზარავია ერთი ცნობა, რომელიც მოუსმენია იტალიელ მოგზაურს გიორგი სააკაძისაგან: თეიმურაზის შვილები („საბრალო ბიჭუნები“) თურმე ამბობდნენ, მამაჩვენს ცოდვა თუ მიუძღვის დიდებული შაჰის წინაშე, იმას მოჰკითხონ, ჩვენ რა დავაშავეთო. მაგრამ მათს ვედრებას ყური არ ათხოვეს და ულმობელი განაჩენი აღსრულებულ იქნა (შაჰ-აბასი ჯავრს მძევლებზე იყრიდა ხოლმე. გაივლის ხუთიოდე წელიწადი და მარტყოფის აჯანყების პასუხად პაატას მოკვეთილ თავს გამოუგზავნიან ისპაანიდან დიდ მოურავს).

თვით გიორგი სააკაძის შესახებ ერთი სიტყვაც არა გვხვდება „ბატონი მეჰრაბის“ ნაამბობში. ჩანს, არც კარგი უთქვამს საკუთარ თავზე მოურავს, არც ავი. პიეტრო დელა ვალე თავის თხზულებაში მოგვითხრობს ლუარსაბის პატიმრობისა და დაღუპვის ამბავსაც, მაგრამ არაფერს ამბობს მოურავზე. ხოლო რომის პაპისადმი წარდგენილ მოხსენებაში („ინფორმაცია საქართველოს შესახებ“) უკვე ნახსენებია ქართველი მოურავი („მოურა“) და მითითებულია მისი როლი ლუარსაბის ტრაგიკულ აღსასრულში.

დამატებითი ცნობები, რითაც განსხვავდება „ინფორმაცია“ დელა ვალეს წიგნში („მოგზაურობანი“) გაფანტული მასალისაგან, უნდა ეკუთვნოდეს ხუცეს გიორგის, რომელიც დატყვევებული ქეთევან დედოფლის ამალაში იმყოფებოდა (პიეტრო აღნიშნავს, რომ ხუცესმა ბევრი რამ უამბო საქართველოსა და ქართველებზე, მაგრამ მისი ნაამბობი არ არის დამოწმებული დელა ვალეს წიგნის ფურცლებზე).

იტალიელი მოგზაური უკვე სამშობლოში ბრუნდებოდა ინდოეთიდან, როდესაც ქალაქ ალეპოში შეიტყო მარტყოფის ჯანყების ამბავი. პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, თეიმურაზს მისი სამეფოს დაპატრონებისათვის გზა გაუხსნა „თვით ქართველმა მოურავმა, რომელიც იყო მიზეზი ამდენი უბედურებისა“. მოურავმა მოინანია

თავისი შეცდომები, სათავეში ჩაუდგა აჯანყებას და ქართველი ხალხი ყიზილბაშთა უღლიდან გამოიხსნაო.

ალბათ, არც იცოდა იტალიელმა მოგზაურმა, რომ ისპაანში გაცნობილი „ბატონი მეჰრაბი“ და წარსულ ცოდვათაგან აწ განწმენდილი „მოურა“ ერთი და იგივე პიროვნება იყო — დიდი მოურავი გიორგი საკაძე.

შირაზის ხანის ქებასა

თეიმურაზ პირველი თავის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ წერს:

> შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი,
> მდაბალი, ტკბილი, მოწყალე, აქებენ სულად ქვენანი,
> ღირსეულია ღვთისაგან, მითა სცავს ძალთა ზენანი...

ამ სტრიქონებში ხოტბაშესხმული შირაზის ხანი არის გამაჰმადიანებული ქართველი, იმამყული-ხან უნდილაძე, ბეგლარბეგი ფარსისა, ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა შაჰ-აბასის დროინდელი სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე, აღჭურვილი უდიდესი გავლენითა და ავტორიტეტით, ფაქტიურად — მეორე კაცი სახელმწიფოში.

თვით შაჰ-აბასი ასეა დახასიათებული თეიმურაზის პოემაში: „მძლავრი და უწყალო მეფე, ქრისტიანთა მტანჯველი, უბრალოს სისხლთა მჩქეფელი, ეროდიას წილ მჯდომელი“. აქ არაფერია გასაკვირი და მოულოდნელი. სხვაგვარად როგორ მოიხსენიებდა უბედური მეფე-პოეტი თავის მოსისხლე მტერს, ვერაგსა და დაუნდობელ მბრძანებელს, რომელმაც აუწიოკა სამშობლო და სასტიკი წამება არგუნა წილად მის ღვიძლ შვილებსა და დედას.

„შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი“...

ცოტა არ იყოს, უცნაურად გამოიყურება ამ შემაძრწუნებელი გულწრფელობით დაწერილ პოემაში ქება შირაზის ხანისა, რომელიც შაჰ-აბასის უახლოესი დიდმოხელე და სარდალი იყო და რომლის სამფლობელო ქალაქში აღასრულა თავისი სიცოცხლე ქეთევან დედოფალმა.

რა თქმა უნდა, შირაზის ხანის ქართველობა არ იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ მისი სახელი და ქება სამუდამოდ აღბეჭ-

დილიყო ქართული ლიტერატურის, შეიძლება ითქვას, ყველაზე ტრაგიკულ ძეგლში.

ზემოთ მოტანილ სტრიქონებს თავისი ისტორია აქვს...

იმამყული-ხან უნდილაძე ირანის პირველი ყულარაღასისა და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ალავერდი-ხანის ვაჟიშვილი იყო. ირაწში უნდილაძეთა გვარის აღზევებას სწორედ ალავერდი-ხანმა დაუდო სათავე. არსებობს გადმოცემა, რომ იგი ბავშვობისას გაუტაციათ საქართველოდან ყიზილბაშებს და ოცდაათ ცეხინად (ანუ სამ თუმნად) გაუყიდიათ. რამდენიმე პატრონის ხელში გამოიარა და ბოლოს შაჰ-თამაზთან მოხვდაო. ნიჭიერი ახალგაზრდა მალე დაწინაურდა სეფიანთა სამეფო კარზე და, სხვათა შორის, დიდი როლი ითამაშა ირანის ტახტზე შაჰ-აბასის განმტკიცებაში. შემდგომში იყო მისი უპირველესი მხედართმთავარი და მთელს ირანში ვერავინ შეედრებოდა ვერც სიმამაცით, ვერც გონიერებითა და ვერც სამხედრო ნიჭით. შაჰ-აბასი უდიდეს პატივს სცემდა ალავერდი-ხანს და თურმე მამას ეძახდა. მისი სიკვდილის შემდეგ შაჰმა ფარსის ბეგლარბეგობა იმამყული-ხანს უბოძა. ირანში ასეთი თანამდებობა მემკვიდრეობით როდი გადადიოდა და აშკარაა, რომ იმამყული-ხანმა თავისი პირადი ღირსებებით დაიმსახურა შაჰის წყალობა.

„შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი", — ამბობს ქართველი მეფე-პოეტი.

შირაზის ხანის ქება უცხოურ წყაროებსაც შემოუნახავს.

აი რას წერს ინგლისელი თომას ჰერბერტი: „ეს კაცი არის წარმოშობით ქართველი, სარწმუნოებით მაჰმადიანი, ერთ-ერთი ტეტრარქი, რომელიც განაგებს შაჰ-აბასის იმპერიას. მისი სამფლობელოები აღწევს თითქმის ,,ოხას მილს ყოველი მიმართულებით". შემდეგ თომას ჰერბერტი ,,ამოთვლის იმამყული-ხანის ტიტულებს და ასე ამთავრებს: „დიდი ბეგლარბეგი, მეთაური თორმეტი სულტნისა, ორმოცდაათი ათასი მხედრისა, მსახური შაჰ-აბასისა და ვარდი აღტაცებისა".

იტალიელი პიეტრო დელა ვალე აღნიშნავს, რომ იმამყული-ხანი არის ბეგლარბეგი ფარსისა, რომელიც წარმოადგენს ირანის ყველაზე მნიშვნელოვან პროვინციას და ტერიტორიით გაცილებით ვრცელია პორტუგალიაზე, ხოლო თავისი ძლიერებითა და მდგომარეობით არ ჩამოუვარდება ევროპის მრავალ სამეფოს. შირაზის ხა-

ნი კი უეჭველად ყველაზე დიდი პიროვნებაა მთელს ირანში შაჰ-აბასის შემდეგ, მას ძლიერ უყვარს ქრისტიანები და მეგობრობს ევროპელებთანო (სხვათა შორის, პიეტრო დელა ვალეც და თომას ჰერბერტიც პირადად იცნობდნენ იმამყული-ხან უნდილაძეს).

კათოლიკე მისიონერთა სიტყვით, შირაზის ქართველ ხანს დიდ პატივს სცემდნენ ქვეშევრდომნი. სეფიანთა სახელმწიფოში ვერ მოიძებნებოდა კეთილშობილი და გამოჩენილი პირი, რომელსაც არ გამოეცადა მისი უსაზღვრო გულუხვობა. ვის ასაჩუქრებდა თვალ-მარგალიტით, ვის — ძვირფასი ხალათებით, იარაღითა თუ ცხენებით. სადაც კი ნახავდა კაცი უძვირფასეს თვლებსა და სანაქებო ცხენებს, ყველანი ამბობდნენ, ეს იმამყული-ხანის ნაჩუქარიაო.

ფრანგი ჟან-ბატისტ ტავერნიე გადმოგვცემს, რომ იმამყული-ხანი იყო უაღრესად შეძლებული კაცი, სარგებლობდა მთელი ქვეყნის სიყვარულით და გარს ერტყა ირანის უმამაცეს მხედართა ელიტა. იგი გულუხვად აჯილდოებდა მხედრებსაც და სწავლულებსაც, უყვარდა უცხოელი სტუმრები, იცოდა ლამაზი ნივთების ყადრი, გულმოდგინედ ზრუნავდა მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავებაზე. იმამყული-ხანის თაოსნობით, შირაზში აშენდა მშვენიერი სასწავლებელი ახალგაზრდებისათვის და მრავალი ქარვასლა — მოგზაურთათვის, როგორც თვით ქალაქში, ისე პროვინციის მთავარ გზებზე. მისივე ბრძანებით, მანძილის შესამოკლებლად გაიჭრა მთები, ხოლო ზოგი მათგანი ერთიმეორეს შეუერთეს საოცრად გაბედული კონსტრუქციის ხიდებით, თაღებივით რომ აღიმართნენ უფსკრულებსა და მდინარეებზე. შირაზის ხანმა სამუდამოდ მოიგო ხალხის გულიო. იგი თავისი ხარჯებით თითქმის გაუტოლდა სეფიანთა ხელმწიფეს. ამ გარემოებამ აიძულა შაჰ-აბასი მეგობრულ საუბარში ეთქვა იმამყული-ხანისათვის, კარგი იქნება იმაზე ერთი შაურით ნაკლები დახარჯო დღეში, რასაც მე ვხარჯავ, მცირეოდენი განსხვავება მაინც იყოს შაჰისა და ხანის ხარჯებს შორისო.

გერმანელი ადამ ოლეარიუსი წერს, რომ იმამყული ხანს უზარმაზარი სიმდიდრე გააჩნდა და ამასთან ერთად ცნობილი იყო თავისი ქველმოქმედებით. იგი ყველა ლაშქრობაში იჩენდა თავს, როგორც უბადლო გმირი და რაინდიო.

განსაკუთრებით გაითქვა სახელი იმამყული-ხანმა 1622 წელს,

როდესაც მისი სარდლობითა და ინგლისის სამხედრო ხომალდების მხარდაჭერით დაპყრობილ იქნა პორტუგალიელთა ციხე ჰორმუზის კუნძულზე, სპარსეთის ყურეში. ამიერიდან ირანს შეეძლო საზღვაო გზით გაეტანა დასავლეთ ევროპაში თავისი აბრეშუმი და საბაჟო შემოსავალი მოესპო ოსმალეთისათვის.

...უკვე შვიდი წელიწადი იმყოფებოდა ქეთევან დედოფალი შირაზში შაჰ-აბასის ტყვედ. კათოლიკე მისიონერთა გადმოცემით, იგი იშვიათად ტოვებდა თავის სასახლეს და მხოლოდ იმამყული-ხანს თუ ეწვეოდა სტუმრად.

1624 წელს შაჰმა შემოუთვალა შირაზის ხანს: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენო, და თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოჰკალო“.

თეიმურაზი მოგვითხრობს:

> იმამყული-ხანს რა ესმა საქმენი საზარონია,
> მეტად გაკვირდა, ესე თქვა: მისი რა საკადრონია?
> ვიცი, რომ არ გათათრდების, თუცა არა აქვს დრონია,
> თეიმურაზის დედასა ვით ვკადრო უკადრონია?

შირაზის ხანს მოციქულის პირით მოუხსენებია შაჰისათვის: „ბერი დედაკაცი არისო და ახლა ეს არ გათათრდებისო, და რას აქნევთო ამის გათათრებასაო, დაეხსენითო, თქვენთვის სირცხვილი არისო ამისი სიკვდილი“.

ალბათ იმედის ნაპერწკალი უღვიოდა, რომ გადაათქმევინებდა სასტიკ ბრძანებას. ადრე ხომ შეძლო თითქოსდა შეუძლებელი: როდესაც შაჰ-აბასმა გადაწყვიტა თეიმურაზის შვილების დასჯა, შირაზის ხანმა გადაარჩინა ისინი, ტკბილი სიტყვით დაიყოლია შაჰი, რომ ხელი აეღო ამ საქმეზე. ერთხელ გადაარჩინა, მეორედ გადაარჩინა, მაგრამ ბოლოს ვეღარაფერი უშველა.

ამჯერად კი ერთხელაც ვერ ცაჭრა შირაზის ხანის ჩარევამ. ულმობელი განაჩენი გამოტანილი იყო.

სამი თვე საიდუმლოდ ინახავდა ქეთევანისგან შაჰის ბრძანებას იმამყული-ხანი, თუმცა კარგად იცოდა, რომ ასეთი მოქმედება სახიფათო იყო მისთვის. სასოწარკვეთამ შეიპყრო, გამოსავალს ვერ პოულობდა ორ ცეცხლშუა ჩავარდნილი.

> ვით უამბო, ვით შევკადრო ტყვესა ჩემსა ანაბარსა,
> მე მინდოდა სამსახური, არ უძახდი განაბარსა,
> არ ვისმინო. რაღა უყო ხელმწიფისგან დანაბარსა?

სამი თვე აყოვნებდა, მაგრამ სხვა გზა აღარ დარჩენოდა, უნდა. გამოეცხადებინა და ბოლოს გამოუცხადა კიდეც.

„ვიცი, რომ არ გათათრდების“, — ფიქრობდა შირაზის ხანი და. მაინც ეევდრებოდა ქეთევანს შეესრულებინა შაჰ-აბასის მოთხოვნა. არწმუნებდა, რომ მისი შვილის — თეიმურაზის ბედ-იღბალი მის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, რომ ასეთი მცირე დათმობით დედოფალს შეუძლია განკურნოს მშობელი ქვეყნის მრავალი სატკივარი. გამაჰმადიანდიო, მოთმინებით ურჩევდა თავისი სიტყვების უნაყოფობაში დარწმუნებული, ჩვენ თუ მაჰმადის რჯული გვიჭირავს, განა ქართველები აღარა ვართო? მოწიწებით სთხოვდა: „სატანჯველს ნურას იკადრებ, არ არის შენი წესია“.

მაგრამ დედოფალი მზად იყო წამებისა და სიკვდილისათვის.

„ფრიად მადრიელ ვარ და მაქებელ კაცობრიობითსა ლმობასა მაგას შენსა, ზედა გულმტკივნეულებასა ჩემთვის, მაგრამ შეუძლებელ არს ჩემ მიერ უარის ყოფა ქრისტე მეუფისა ჩემისა“, — ასე მიმართა ქეთევან დედოფალმა იმამყული-ხანს.

ამაოდ ლამობდა განგებისა გარდავლენას შირაზის ხანი.

„დაშვრა იგი მრავლისა ვედრებითა და არა ისმინა დედოფალმან“, — გვაუწყებს XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი თეიმურაზ ბატონიშვილი.

მოახლოვდა გარდუვალი და ქეთევან დედოფალმა უკანასკნელი ლოცვა აღავლინა ზეცას:

> შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა,
> ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა.

დედოფლის ნატვრა ექვსი თუ შვიდი თვის შემდეგ შეისხამს ფრთებს. ქართველი ხალხის გმირული აჯანყების შედეგად თეიმურაზი კვლავ დაეპატრონება თავის სამეფოს, ხოლო ქეთევანის სახელსა და ღვაწლს მთელს ევროპას მოაფენენ უცხოელი მწერლები.

დედოფლის წამებას აღწერს თვით თეიმურაზიც, ქაღალდზე გადაიტანს იმ საზარელ ტანჯვას, რაც მის მშობელს დაატყდა თავს და გულიდან მწარედ აღმოხდება:

> მე ავაზაკი, შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
> მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამად ვარ ცრემლთა მდინანი.

...1628 წლის თებერვლის დამლევს სპარსეთის ყურიდან ესპანეთს მიმავალი ინგლისის ელჩობა შირაზში ჩავიდა.

ელჩობის წევრი თომას ჰერბერტი აგვიწერს იმამყული-ხანის მიერ ინგლისის ელჩის პატივსაცემად გამართულ მეჯლისს. სუფრა გაშლილი იყო უზარმაზარ დარბაზში, რომელსაც ამშვენებდა ოცი მოოქროვილი სუეტი და ლამაზად მოხატული კედლები, სადაც გადმოსახული იყო ჰორმუზის აღების ეპიზოდები.

თვით შირაზის ხანი მხოლოდ ნადიმის დასასრულს გამოჩნდა დარბაზში. წინ მოუძღოდა მდიდრულად მოკაზმული და აღჭურვილი ოცდაათი ახალგაზრდა, მაჯაზე მიბმული მიმინოებით. მან საზეიმოდ შესვა ინგლისის მეფის სადღეგრძელო.

ყველაზე საინტერესო თომას ჰერბერტის მონათხრობში ისაა, რომ იმამყული-ხანის ხელმარჯვნივ იჯდა თეიმურაზი — „უბედური მეფე საქართველოსი, მამაცი პიროვნება, ომებში გამოცდილი და მტკიცე ქრისტიანი". (შდრ. ქართულ წყაროში მოცემული დახასიათება: „მეფე თეიმურაზ იყო ვითარცა ძლიერებითა და სამხედროს ზნითა და შამაცობითა აღმატებული, აგრეთვე მტკიცე სიყრმითგანვე თვისსა სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა").

საიდან გაჩნდა თეიმურაზი იმ ქალაქში, სადაც სამიოდე წლის წინათ აწამეს ქეთევან დედოფალი?

საბედისწერო განხეთქილებამ თეიმურაზსა და გიორგი სააკაძეს შორის შაჰ-აბასის წისქვილზე დაასხა წყალი. თეიმურაზმა ირანთან მორიგება არჩია. ამას კარგი თვალით უყურებდა თვით შაჰიც. ქართველი ხალხის შეუპოვარმა წინააღმდეგობამ იგი დაარწმუნა, რომ საქართველოს მოთხრა არ ძალუძდა.

1625 წლის ამბები ფრიად მტკივნეული დარტყმა აღმოჩნდა თავისი ძლიერების ზენიტში მყოფი სეფიანთა ირანისათვის. არაბეთიდან ინდოეთამდე ფრიალებდა შაჰ-აბასის ძლევამოსილი დროშები. მაგრამ ჰორმუზის, ყანდაჰარისა და ბაღდადის დაპყრობის ტრიუმფს უეცრად გადაეკრა მარტყოფის, მარაბდისა და ქსნის ჩრდილი. სხვას რომ თავი დავანებოთ, 1625 წელს საქართველოში დაიღუპნენ შაჰ-აბასის გამოჩენილი სარდლები: ირანის სპასალარი ყარჩიღა-ხანი, შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ-ხანი, თავრიზის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი და ერევნის ბეგლარბეგი ამირგუნე-ხანი.

თეიმურაზთან მოლაპარაკება დაევალა იმამყული-ხანის ძმას, დაუდ-ხან უნდილაძეს. მათ შორის მიწერ-მოწერა და მისვლა-მოსვლა გაიმართა. და ბოლოს დაუდ-ხანმა ამცნო ისპაანს, თეიმურაზი

„შორჩილების შარაგზას“ დაადგაო. იგი ქართლ-კახეთის ქრისტიან მეფედ ცნო შაჰმა.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო შაჰ-აბასისათვის თეიმურაზის შემორიგება, იქიდანაც ჩანს, რომ ფაწეული სამსახურისათვის დაუდ-ხანს ფანჯის ბეგლარბეგობა ებოძა.

შაჰ-აბასი კატეგორიულად მოითხოვდა თეიმურაზის ჩასვლას ირანში, მისი სრული მონანიების ნიშნად. თეიმურაზმა შეასრულა შაჰის მოთხოვნა, მაგრამ არასასურველი შეხვედრა მათ შორის არ შემდგარა. შაჰ-აბასი იმითაც დაკმაყოფილდა, რომ მისი სახელმწიფოს უპირველეს დიდმოხელეს ესტუმრა „მორჩილების შარაგზაზე“ დამდგარი ქართველი მეფე. ასეთი კომპრომისი შირაზის ხანის დამსახურება უნდა იყოს,

სხვათა შორის, პიეტრო დელა ვალე ასეთ ფაქტს გვაწვდის იმამ-ყული-ხანის ძალაუფლების საჩვენებლად: თუმცა შაჰ-აბასის საგანგებო ბრძანებით, ყველა მაჰმადიანს სასტიკად ეკრძალებოდა ღვინის სმა, შირაზის ხანის მიწებზე რამდენიც უნდოდათ, იმდენს მი-ირთმევდნენ სახელგანთქმულ შირაზულ ღვინოს. ამ მხარეში იშვი-ათად ხედავენ შაჰს და აღარც მის კანონებს უწევენ ანგარიშს, აფა-სებენ და აღიარებენ მხოლოდ იმამყული-ხანს, რომელსაც ქვეშევ-რდომთა უდიდესი სიყვარული აქვს მოხვეჭილიო.

ერთი სიტყვით, შირაზის ხანი მეორე მეფედ ითვლებოდა ირანში.

სანამ ცოცხალი იყო შაჰ-აბასი, ძმები უნდილაძეები დიდი გავ-ლენით სარგებლობდნენ და ქვეყნის ბედი ეკითხებოდათ, მაგრამ შაჰ-აბასის სიკვდილის შემდეგ საკუთარი ბედიც უკუღმა შეუტ-რიალდათ.

სომეხი ისტორიკოსი ზაქარია სარკავაგი გადმოგვცემს, რომ შაჰ-აბასმა ანდერძად დაუბარა თავის შვილიშვილს, რომელიც ირანის ტახტზე ასვლის შემდგომ შაჰ-სეფის სახელით გახდა ცნობილი, ჩა-მოეშორებინა სახელმწიფოში აღზევებული პირნი, რათა ახალგაზ-და ხელმწიფისათვის ზიანი არ მიეყენებინათ. შაჰ-სეფის, ჩანს, ჭკუ-აში დაუჯდა პაპის ანდერძი. ერთხელ, ბაღში სეირნობისას, მან ახედა ალვის ხეებს და თქვა: „ძალიან ფაზრდილან და გამსხვილე-ბულან ეს ხეები, უნდა მოვჭრათ და ახალი ნერგები ჩავყაროთ“. თანმხლები კარისკაცი უმალვე მიუხვდა ნათქვამს და დაუდასტურა: „დიახ, ხელმწიფეო, შენ კარგად ბრძანე; აჰა, ჰქმენ, რასაც ამბობ!“

დაეცა მუხლებზე და კისერი დაღუნა: „შენი მსახური ვარ, წამაცალე თავი!“ მაგრამ შაჰ-სეფიმ დაამშვიდა შეშინებული კარისკაცი: „შენ ის ხე არ ხარ, რომელიც უნდა მოიჭრას“.

ცხადია, ამაღლებულ ხეებად შაჰ-სეფის, უპირველეს ყოვლისა, უნდილაძეები მოეჩვენებოდა. მათი უზომო ძალაუფლება საფრთხეს უქმნიდა შაჰის გვირგვინს. ტახტზე ახლად ასული შვილიშვილი შაჰ-აბასისა ჯერ ოცი წლისაც არ იყო და შიშობდა, უნდილაძეთა ჩრდილქვეშ არ მოქცეულიყო. ამიტომაც ამოიღო ისინი მიზანში.

ქართული და უცხოური წყაროები გვამცნობენ, რომ შაჰ-სეფის ბრძანებით დაუდ-ხანი მეჯლისიდან გაუგდიათ და გაუჯოხავთ კიდეც „შეუფერებელი ქცევის“ გამო, შემდეგ შაჰის ამალიდან დაუთხოვიათ. შეურაცხყოფილი დაუდ-ხანი დაბრუნდა განჯაში და შურისძიებაზე ფიქრობდაო.

შაჰ-სეფიმ მეთვალყურენი მიუგზავნა დაუდ-ხანს, რათა ისინი გაერთიანებულიყვნენ უკმაყოფილო ხალხთან და ხელსაყრელ შემთხვევას თუ იპოვიდნენ, მოეკლათ იგი.

დაუდ-ხანს არ გამოჰპარვია შაჰ-სეფის მზაკვრობა, მაშინვე დაუკავშირდა „საყვარელ და ერთგულ“ თეიმურაზს და სასწრაფოდ გაეშურა კახეთისაკენ მთელი თავისი ქონებითა და ამალით. თეიმურაზმა და დაუდ-ხანმა ყაჯარნი იორზე ამოელიტეს და 1632 წლის ოქტომბერში განჯა-ყარაბაღი დაარბიეს.

როგორც ჩანს, ისინი ვარაუდობდნენ, რომ აჯანყდებოდა იმამყული-ხანიც. იტალიელი მისიონერის პიეტრო ავიტაბილეს სიტყვით, თბილისიდან აცნობეს შაჰ-სეფის, რომ თუ სურს დაეპატრონოს საქართველოს, აუცილებელია მოსპობა შირაზის ხანისა, რადგან ყველა ქართველის თვალი მისკენ არის მიპყრობილიო.

შაჰ-სეფიმ დაუყოვნებლივ მისწერა იმამყული-ხანს, ყაზვინში გამოცხადდიო.

შირაზის ხანმა უპასუხა, ჩემი პროვინცია მტრის საზღვრებთან არის და მიზანშეწონილი არ იქნება უპატრონოდ დავტოვო აქაურობა, ეს ზიანს მიაყენებს ირანსა და შაჰის გვირგვინსო.

მაშინ შაჰ-სეფიმ შეახსენა, სამეფოს მე ვმართავ და რაც უნდა უბედურება მოხდეს, ჩემს კისერზე იქნებაო. თუ არ მოხვალ, მე თვითონ ვეწვევი მთელი ლაშქრით და განანებ ასეთ გაუგონარ ურჩობასო.

შაჰ-სეფის მუქარას შირაზის ხანმა ქედმაღლური პასუხი გასცა, ჩემზე აღმდგარ ძალას ძალასვე დავახვედრებ და თავს დავიცავ, ირანის საუკეთესო ციხეები მიეჭირავსო.

სამოქალაქო ომის საფრთხემ შეაშფოთა შაჰ-სეფი. შირაზის ხანს შეეძლო დახმარება ეთხოვა პორტუგალიელთაგან და სამაგიეროდ ჰორმუზი ჩაებარებინა მათთვის. საქართველოშიც სახიფათო მდგომარეობა იყო შექმნილი. სულგანგაშო ვითარებამ ტაქტიკა შეაცვლევინა შაჰ-სეფის. მან უხვი დაპირებებითა და საჩუქრებით მოინადირა იმამყული-ხანის მეგობრები, რომლებმაც დაარწმუნეს იგი, ურჩობაზე ხელი აეღო და დამორჩილებოდა შაჰს.

ვინ იცის, რა მოჰყვებოდა შირაზის ხანის აჯანყებას. გამარჯვება? ერთობ საეჭვოა. დამარცხება? ალბათ, დამარცხება მოჰყვებოდა. მაგრამ უკანასკნელი ნაბიჯი ალარ გადადგა, უკანდახევა ამჯობინა და მაინც ვერ აიცდინა სასჯელი. ნუთუ ფიქრობდა, რომ წარსული დამსახურებანი და დიდება გადაარჩენდა? ნუთუ ფიქრობდა, რომ ურჩობას შეარჩენდნენ?

1633 წლის დამდეგს შირაზის ხანი ჩავიდა ყაზვინში მრავალრიცხოვანი ამალისა და ჯარის თანხლებით, რაც საკმარისად მიიჩნია თავისი უშიშროებისათვის. „და ვერ ხვდებოდა, რომ სადაც მეფობს ვერაგობა, ძალას იქ ფასი არა აქვს“, — შენიშნავს იტალიელი ისტორიკოსი ბართოლომეო ფერო.

ქალაქის ქუჩებში გამოფენილი ხალხი ისეთივე პატივისცემით ესალმებოდა შირაზის ხანს, როგორც თვით სეფიანთა ხელმწიფეს. შაჰ-სეფიმ გაიოცა: „ამას რას ვხედავ?! შენა ხარ ირანის შაჰი თუ მე? რატომ გეგებება ასეთი დიდი სიყვარულით ხალხი?“

იმამყული-ხანმა მიუგო: „ვინ იქნება, ჩემო ბატონო, ისეთი ბოროტადაკარგული და თავხედი, რომ თქვენთან გამატოლოს. მე რომ [illegible], ამიტ[illegible] ეჭვენ [illegible]ცეშენ თაყვანს, რადგან ყველასთვის ცნობილია თქვენი უამრავი წყალობანი ჩემდამი“.

„ალაჰის ჩრდილი“ ვითომდა დაკმაყოფილდა ამ პასუხით, მაგრამ გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა შირაზის ხანის ბედი.

იმავე ღღეს დაადგნენ თავზე იმამყული-ხანს, იგი თავის ჰარამ-ხანაში იყო. აცნობეს შაჰის განაჩენი. შირაზის ხანმა მშვიდად მოისმინა ეს საბედისწერო ცნობა. იხსნობა არ დაუკარგავს და წარბშეუხრელად მიმართა ჯალათებს: „აი, მზად ვარ დავემორჩილო

შაჰის ბრძანებას. მხოლოდ ერთსა გთხოვთ — ნუ მომკლავთ ამ საბ-
რალო ქალების თვალწინ, თავზარი არ დაეცეთ“.

შირაზის ხანის უკანასკნელი სურვილი დააკმაყოფილეს.

წუთისოფელს გამოასალმეს მისი შვილებიც.

დასჯილთა გვამები სამი დღე-ღამე ეყარა მოედანზე. იქვე ფეხ-
შოუცველელად იჯდა მოხუცი ქართველი ქალი, დედა იმამყული-ხა-
ნისა და მწარედ მოთქვამდა. ალბათ, ქართულად დასტიროდა თავის
„სპარსელ“ შვილსა და შვილიშვილებს.

ეს რომ შეიტყო შაჰ-სეფიმ, მაშინღა ბრძანა, მიწას მიაბარეთ
გვამებიო.

დაუდ-ხანი საქართველოდან ოსმალეთში გადაიხვეწა და იქ და-
ასრულა სიცოცხლე. თეიმურაზმა კიდევ ერთხელ დაკარგა თავისი
სამეფო.

ყოველივე ამას მოგვითხრობენ კათოლიკე მისიონერები. „შირა-
ზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი“...

იმამყული-ხან უნდილაძემ მრავალთა რჩეულთა ხვედრი გაიზი-
არა. აღმოსავლეთის (და არა მარტო აღმოსავლეთის) ისტორიაში
იგი არც პირველი ყოფილა, არც უკანასკნელი.

სიკვდილიც ღალატიანი

ქართულ ხალხურ პოეზიას შემოუნახავს ზურაბ არაგვის ერისთავის საინტერესო და მრავლისმთქმელი პორტრეტი. სხვა ვინ შეუმკიათ ამდენი მშვენიერი ლექსით, ყოველ მათგანს რამდენიმე ვარიანტი რომ მოეპოვება, ერთიმეორეზე უკეთესი.

ამ ლექსებში სიძულვილს გვერდით დაჰყვება სიყვარული და უხვად დალვრილი შავი -საღებავი მაინც ვერ აქრობს გაკიცხული და წყევლამითვლილი ზურაბის რაღაც იდუმალ მომხიბვლელობას. ისე ამაღელვებლად ცოცხლდება არყოფნის წყვდიადში ჩაკარგული ადამიანი, რომ ხაცაა თვალით დაინახავ და თითქოს ყურშიც ჩაჯესმის მისი ხმა.

მართლაც უბადლო სტრიქონებით არის გადმოცემული არაგვივით მშფოთვარე და დაუდეგარი არაგვის ერისთავის სიცოცხლისა და სიკვდილის ეპიზოდები.

> როშკას ატირდენ დედანი, ბლოს სახლნი ქვიტკირისანი:
> ზურაბ, ნუ დაგვლევ ღვთის მადლსა! ნარჩომ ვართ შენის ხმლისანი.

ვაგლახ, არა სჭრის ვედრება და ბიბლიურ წყევლაზე არანაკლებ მძაფრად აჟღერდება უცნობი ხევსურის ლექსი:

> სევდამც მაგხედების, ზურაბო, დაგლევდამც სისხლის წყალია!

ვინ იცის, ეგებ იმავე ავტორს ეკუთვნის საოცარი ლირიზმით გამთბარი ალტაცება:

> საფურცლეს ზურაბ მოვიდა, ლერწამი ზღვის პირისაო...

და თვალნათლივ ხედავთ, როგორ შეხარის და შეპფოფინებს მოლექსე სასიკვდილოდ განწირულ გმირს, ბაზალეთის ტბის პირას ტანაყრილი ლერწამივით ახოვანსა და მიმზიდველს. შესაძლოა,

სიკვდილის შარავანდედიც თამაშობს თავის როლს და უკანა პლანზე გადააქვს წყრომა.

ზურაბ ერისთავის უკანასკნელი წუთები დამდგარა. გათავდა, აღარავის აღარ უღალატებს, აღარავის აღარ დაარბევს.

„შთავარდა შური ბატონს თეიმურაზსა და ზურაბ ერისთავს შორის“, — გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი.

ამ ტრაგიკული კონფლიქტის პროლოგი ასეთია: ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის შედეგად წარსულს ჩაჰბარდა შაჰ-აბასის ფეგმები საქართველოს მოსპობაზე. ქართლ-კახეთის ტახტი ეჭირა ქრისტიან მეფე თეიმურაზს, ხოლო გამაჰმადიანებული სიმონ ბაგრატის ძე „თბილისს იჯდა, სომხითსა და საბარათაშვილოს პატრონობდა“. გიორგი სააკაძე ოსმალეთში გადაიხვეწა. თავადთა ძორის ახლა უპირველესი იყო ზურაბ ერისთავი, სიძე თეიმურაზისა. ზურაბს არაფრად ეჭაშნიკებოდა ორივე ტახტზე ერთი მეფის ბატონობა. მისი გულისწადილი იყო, თეიმურაზს კახეთი დარჩენოდა, სიმონს — ქართლი და მათი მრჩეველი თუ საქმის წარმმართველი თვითონ ყოფილიყო. გარდა ამისა, ზურაბი უკმაყოფილო შეიქნა იმით, რომ სააკაძესთან ერთად გადახვეწილი მუხრან-ბატონის სამფლობელო თეიმურაზმა მისცა თავის შვილს დათუნას, თუმცა ბაზალეთის ომში გამარჯვების შემდეგ თვით არაგვის ერისთავი ფიქრობდა მუხრანის დაპატრონებას.

ქართული წყაროების მიხედვით, კონფლიქტის წარმოქმნაში ზურაბს უფრო მიუძღოდა ბრალი, ვიდრე თეიმურაზს.

ბართოლომეო ფეროს ცნობით, უთანხმოება ზურაბსა და თეიმურაზს შორის ამ უკანასკნელის წყალობით ჩამოვარდნილა. ვითომდა, ქართლ-კახეთის ტახტზე დამკვიდრებულ მეფეს უკვე ეთაკილებოდა, თავისივე ქვეშევრდომი რომ ჰყავდა სიძედ და ალმაცერად დაუწყო ყურება ზურაბს, ბოლოს კი მისი მოშორებაც განიზრახა. ალბათ, ასეთი ხმების გავრცელებას გულისხმობს თეიმურაზი, როდესაც ამბობს არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“:

> რა წავლეთ ხანი, ზურაბთან დამიწყეს ჩხუბს ჩამოგდება,
> რად ვერ მოუხვდა, ეს მიკვირს, ცრუს კაცს თავისა აგდება?
> სიძე იყო და შვილად მჩნდა, მახსოვს ვალისა დადება,
> ადრე ამყოლი სიტყვისა შე აღარ მეიმედება.

ბართოლომეო ფეროს მიხედვით, ზურაბმა გადაწყვიტა დაესწრო თეიმურაზისათვის და ჩამოერთმია ქართლის მეფობა, რომელზედაც თეიმურაზის პრეტენზიებს მხოლოდ ის ანიჭებდა საფუძველს, რომ ცოლად ჰყავდა ხორეშანი, ქართლის მეფის ლუარსაბის და. მაგრამ კაცილებით მეტი უფლებანი გააჩნდა სიმონს, ქართლის ბაგრატიონთა ჩაშომავალს. ამიტომაც ერთობ იოლად მოიპოვა ზურაბმა ქართლის დიდებულთა მხარდაჭერა და როდესაც თეიმურაზი კახეთში იმყოფებოდა, ქართლის მეფედ გამოაცხადა სიმონი. ეს ამბავი რომ გაიგო თეიმურაზმა, შეშფოთდა, ბევრი დრო არ დაუკარგავს, მაშინვე ქართლისაკენ გაეშურა, რათა თავისი ჩასვლით ბოლო მოეღო არეულობისათვის. ქართლის დიდებულნი სიმონს ემხრობოდნენ და თეიმურაზი ისევ კახეთს გაბრუნდა ჯარის შესაკრებად. მაგრამ უკვე გვიანი იყო, ზურაბის მეოხებით სიმონს მტკიცედ ეჭირა სამეფო, თეიმურაზმა ხელი ჩაიქნია, უომრად დაანება ქართლი მეტოქეს, გაეცალა და კახეთში დარჩენილს „ჯავრი ღრღნიდაო", შენიშნავს ბართოლომეო ფერო.

აისრულა სურვილი ზურაბ ერისთავმა. მამას ეძახდა მადლიერი სიმონ მეფე; სამუხრანოც უბოძა, იყო მისი მორჩილი და მის დაუკითხავად ერთ ნაბიჯსაც არ დგამდა ბედნიერი და კმაყოფილი იმით, რომ წვეთი სისხლის დაუღვრელად აღიდგინა თავისი კანონიერი უფლებანი ქართლის ტახტზე.

ზურაბ ერისთავმა მოახერხა ის, რაც ვერ შეძლო თვით შაჰ-აბასმა.

საბედნიეროდ, ძმათა შორის ომამდე არ მისულა საქმე, მაგრამ თავის ჯარს მაინც დაუფასა ერთგულება ზურაბმა და უომრად აღებული ქალაქი გორი გააძარცვინა.

ბართოლომეო ფერო გადმოგვცემს შემდეგ ისტორიას:

დაზარალებულთა რიცხვში აღმოჩნდნენ ავგუსტინელი მისიონერები, რომლებიც ორიოდე წლის წინათ გორში დააბინავა თეიმურაზ მეფემ. მათ გადაწყვიტეს ეჩივლათ ზურაბთან და შუამავლობა სთხოვეს თეათინელ მისიონერს ჯაკომო დი სტეფანოს. ისიც დაუყოვნებლივ გაემგზავრა დუშეთს, არაგვის ერისთავის რეზიდენციაში. პირდაპირ მის სასახლეს მიადგა და აუდიენცია ითხოვა. ჯაკომოს კარგად იცნობდნენ და სასწრაფოდ აუსრულეს თხოვნა.

როგორც კი დაინახა ზურაბმა სტუმარი, მაშინვე წამოდგა და გაემართა შესაგებებლად. დიდი პატივისცემით მიიღო, ოღონდ

არაფერი უკითხავს და დაასწრო სათქმელი: „ძალიან კარგად ვიცი, რაზედაც გარჯილხარ. მოხვედი საშუამდგომლოდ შენი მეგობარი პატრებისათვის, ჩემმა მეომრებმა ქონება რომ წაართვეს; მაგრამ ამჯერად მაპატიე, არ შემიძლია დავაკმაყოფილო შენი სათხოვარი, რამეთუ უკვე გაიყვეს ნადავლი და აღარ ძალმიძს ჩამოვართვა. შენი რომ იყოს, დიდ ბოროტებად ჩაეთვლიდი ნება-დასტურს ღარიბი ზერის გაძარცვაზე, მაგრამ ქონება მდიდარი ხალხისაა, არ გაუძნელდებათ ხელახლა შოვნა. მოკლე ხანში უეჭველად მოუვათ ინდოეთიდან ფული“.

ასეთი მტკიცე უარის მიუხედავად, ჯაკომოს არ დაუკარგავს მხნეობა. მან უდიდესი მოკრძალებით გამოთქვა თავისი საყვედური: „მართალი ბრძანდებოთ, ბატონო რომ ამ საქმემ მომიყვანა შენს წინაშე. მადლობას მოგახსენებ კეთილგანწყობისათვის, ჩემს მიმართ რომ გამოიჩინე, როდესაც ბრძანე, არავის არ მივცემდი ნებას, წაერთმია შენთვის ქონება და თუ მაინც წაგართმევდნენ. უკან დაგიბრუნებდიო. მაგრამ შენ გამოგრჩა, რომ ეს ქონება ეკუთვნის ჩემზე გაცილებით უკეთეს არსებას, ვისთანაც მე მხოლოდ და მხოლოდ მატლი ვარ. განა ეკლესიაში ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ჭურჭელი ღმერთს არ ეკუთვნის? შენივე სიკეთისათვის ვთხოვ, ჩემს ქონებაზე მეტად სცე პატივი ქონებას იმისას, რომელმაც შექმნა სამყარო და სიცოცხლე მოგვანიჭა შენცა და მეც. ის, რაც არის ღვთისა, უნდა დაუბრუნო ღმერთს!“

შემდეგ ჯაკომომ შეახსენა ზურაბს, თუ როგორ სვამდა ღვინოს იერუსალიმის ტაძრიდან გატაცებული ოქრო-ვერცხლის ჭურჭლით მეფე ბალთასარი და ცეცხლოვანმა ხელმა. როგორ დაწერა კედელზე იდუმალი სიტყვები: „მენე, თეკელ, ფარეს“. ეს წარწერა მოასწავებდა მისი მეფობის აღსასრულს და იმავე ღამეს სიკვდილით დასჯა ზეცამ ბალთასარი, ღვთის ტაძრის გაძარცვის გამო.

ღმერთმა უწყის, ახსოვდა თუ არა ზურაბ ერისთავს ბავშვობაში ნასწავლი ბიბლიური ლეგენდა, თანაც სუსტი ნერვების პატრონი როდი იყო, ზღაპრით შეეშინებინათ. მაგრამ, ასეა თუ ისე, იტალიელი ისტორიკოსის მტკიცებით, ჯაკომოს მონოლოგმა იმდენად მოულბო გული, რომ მყისვე გასცა ბრძანება, მოეტანათ მისიონერთა ქონება. გადაარჩინეს ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ჭურჭელი და ზურაბმა უთხრა სტუმარს: „ხედავ, შენმა სიტყვებმა

დამარწმუნა და გიბრუნებ იმას, რაც არის ღვთისა. ღმერთმა კარგად მოგახმაროთ!"

ბართოლომეო ფერო აღწერს კიდევ ერთი ღვთისმსახურის ვიზიტს არაგვის ერისთავთან. ეს იყო ვინმე ზებედე, სამეგრელოდან იერუსალიმს მიმავალი ბერი, რომელსაც გზად ქართლში გამოეცლო და გულს უკლავდა ის ფაქტი, რომ მაჰმადიანი მეფე (ე. ი. სიმონი) ბატონობდა ქრისტიანულ ქვეყანაში.

„ზურაბ-ბეგ! კარგად განსაჯე, თუ რა ჩაიდინე და რასა სჩადიხარ! — ასე დაიწყო თავისი სიტყვა ზებედემ, — გამაჰმადიანებულ მეფეს მიჰბაძავენ მისი ქვეშევრდომებიც და უღვთო რჯული მოედება მთელს ქართლს. დროზე გამოასწორე შეცდომა, თორემ საცაა დაეშვება შენს თავზე ღვთის მახვილი და დაგსჯის, როგორც დასაჯა ბალთასარი" (ისევ იმ ცხონებული ბალთასარის მაგალითით აფრთხობდნენ არაგვის ერისთავს!)

ზებედეს სიტყვებმა ისე შეანჯღრია ზურაბის სულიო, რომ ცოდვა მოინანია, გადაწყვიტა ღალატით მოეკლა სიმონი და, ამგვარად, ერთი დანაშაული წაეშალა შეორეთი.

ასეთია იტალიელი ისტორიკოსის ვერსია.

ზებედეს ქადაგებაზე მეტად ზურაბ ერისთავს, ალბათ, თეიმურაზის წერილი ჩააფიქრებდა. ქართული წყაროების თანახმად, კახეთის მეფე ისპაანს გაემგზავრა საჩივლელად და უკვე საქართველოს საზღვარზე მისულმა, უფადარიდან მოსწერა ზურაბს: „შეუგვანებელ არს განწირვად სიძისაგან სიმამრისა.."

როგორც ბართოლომეო ფერო გვიამბობს, ზურაბ ერისთავმა თბილისში მყოფ სიმონს შეუთვალა, რომ აუცილებელი იყო მისი წამოსვლა ქართლში, რათა საკადრისად დაეჯილდოებინა ქართლის თავადები, რომლებმაც მიატოვეს თეიმურაზი და სიმონს მიემხრნენ. ამით უფრო განმტკიცდებოდა მისი გავლენა და ავტორიტეტი საკუთარ სამეფოში. გარდა ამისა, ზურაბის აზრით, სიმონს უეჭველად უნდა დაესაჯა ისინი, ვინც ჯიუტად უჭერდა მხარს თეიმურაზს და მათი მამულები თავის ერთგულ მომხრეთათვის გაენაწილებინა.

სიმონს ჭკუაში დაუჯდა ზურაბის რჩევა-დარიგება და გამოვიდა თბილისიდან, უმცირესი ამალის თანხლებით.

სხვა ყველაფერს დაიჯერებდა სიმონი, მაგრამ როგორ დაიჯერებდა ღალატს ზურაბისაგან, რომელმაც ესოდენი სიყვარული გამოამჟღავნა მის მიმართ. ამიტომაც უშიშრად გრძნობდა თავს იმ

კაცთან, ვინც იყო სულისჩამდგმელი და შემოქმედი მისი აღზევებისა. ჩანს, კარგად ვერ იცნობდა არაგვის ერისთავს და აღარც დააცალეს მიმხვდარიყო თავის საბედისწერო შეცდომას.

სტუმრობის პირველსავე ღამეს, ზურაბის დავალებით თავს დაესხნენ მძინარე სიმონს და სამარადისო ძილის ქვეყნისაკენ გაისტუმრეს (ეს მოხდა ცხვილოს ციხეში).

„ვერაგმა მოღალატემ მოკლული მეფის თავი, შიკრიკის ხელით, გაუგზავნა თეიმურაზს, რომელიც კახეთში იმყოფებოდა და მოუწოდა, რომ ხელახლა დაუფლებოდა წართმეულ სამეფოს“, — აღნიშნავს ბართოლომეო ფერო („თავი უფადარს მამწივა ყაენთან წასელის მნდომელსა“, — გვამცნობს თვით თეიმურაზი არჩილის პოემაში).

როდესაც თეიმურაზმა დაინახა ასე მოულოდნელად მოძღვნილი თავი სიმონისა, სიბრალული აღუძრა ქართლის ახალგაზრდა მეფის ულმობელმა მკვლელობამ და გულწრფელად დაიტირა თავისი მეტოქე: „საბრალო მეფევ, ცრემლი მახრჩობს და უდიდესი მწუხარება მიპყრობს, როცა ვფიქრობ შენს უბედურებაზე — ვინც გიყვარდა, იმან გიღალატა, და აღარც ის მანუგეშებს, რომ ქართლის მფლობელი ვხდები“ (სხვათა შორის, მოკლული მეფე ბიძაშვილი იყო თეიმურაზის მეუღლისა).

თეიმურაზმა მოუწოდა ქართლის დიდებულებს გამოცხადებულიყვნენ მის წინაშე და საერთო პატიებას შეჰპირდა. ბართოლომეო ფეროს გადმოცემით, საქართველოში ასეთი წესი არსებობდა: როდესაც მეფე მოიწვევდა ქვეშევრდომებს, უშიშროების გარანტიად უნდა გაეგზავნა რომელიმე თავისი ნივთი (ხმალი, ხანჯალი თუ ისრები). ეს იყო მეფური ფიცის სიმბოლო და ქვეშევრდომებიც თამამად ეახლებოდნენ მეფეს, დარწმუნებულნი იმაში, რომ იგი თავის ფიცს არ გასტეხდა და დიდსულოვნად შეუნდობდა ყველას დანაშაულსა თუ ურჩობას.

თეიმურაზმა ამ ჩვეულების თანახმად ქართლის თავადებს გაუგზავნა თითო ისარი თავისი კაპარჭიდან და პაემანი დაუნიშნა სვეტიცხოვლის ტაძარში.

დათქმულ დღეს ყველანი მოვიდნენ, ხელში მეფის ისრებით, და შეხვდნენ თეიმურაზს, რომელსაც თან ახლდა თავისი ერთგული ხალხი.

ქართლის თავადები სათითაოდ ცხადდებოდნენ ტახტზე მჯდომი

მეფის წინაშე, უბრუნებდნენ ისარს და ხატებქვეშ აძლევდნენ ერთგულების ფიცს. თეიმურაზი ყოველ მათგანს მაგრად ეხვეოდა და ამით არწმუნებდა, წარსული წყენა დავიწყებული მაქვსო.

ყველა მოუთმენლად ელოდა, თუ როგორ მიიღებდა იგი ზურაბ ერისთავს, ღალატის მთავარ ავტორს.

ზურაბის დანახვაზე თეიმურაზს სახე შეეჭმუხნა, ფერი ეცვალა, მაგრამ ისევე გულითადად გადაეხვია, როგორც სხვებს, თუმცა მაინც ანიშნა, რომ გულში ჩარჩენილი ჰქონდა აღშფოთება.

აი ასეთი საინტერესო ეპიზოდები არის დამოწმებული თეიმურაზ მეფისა და ზურაბ ერისთავის შესახებ იტალიელი ისტორიკოსის თხზულებაში.

...თეიმურაზი კვლავ ორივე ტახტის ბატონ-პატრონი იყო. სომხით-საბარათიანოც დაიპირა და მთელი ქართლ-კახეთი (თბილისს გარდა) მისი სამფლობელო შეიქნა.

ალარა მყვა მტერი მოღმა, მეომარი შემომბმოდა,
დამმორჩილდა ყოვლი ურჩი, ყელსაბმელი ვითა ბმოდა...

ზურაბ ერისთავი ისევ ერთგულობდა თავის სიმამრს. ქართლის დიდებულნიც შემოუერიგდნენ მეფეს. განამტკიცეს საზღვრები. გადაწყვიტეს დასჯა მეზობელი სულტნისა, რომელიც თავის დროზე აქტიურად ეხმარებოდა შაჰ-აბასს კახეთის აოხრებისას.

თეიმურაზმა ქართლ-კახეთის მხედრობას ზურაბი ჩაუყენა სათავეში. „შემოიქცეს გამარჯვებულნი და მოვიდეს ბატონს თეიმურაზს თანა. და იამა ბატონს თეიმურაზს და დიდად მხიარულ იქმნა“, — გადმოგვცემს ქართული წყარო. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო და ისევ ასისინდნენ ავი ენები.

ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, თეიმურაზს ყურში ჩააწვეთეს: „ზურაბ ერისთავმან თავისი მემკვიდრე ბატონი მოკლაო, უსაცილოთ თქვენც მოგკლავსო და ქართლსა და კახეთს თვითონ დაიჭერსო“.

არჩილის პოემაში რამდენიმე სტროფი ეთმობა თეიმურაზის თავის მართლებას:

თუ კარგგვარად გაგასინჯო, მგონივ ავად არ მახსენო,
ავმა ენამ საქმე მიყო, ავი, ღვთის მადლს, ჩამომხსენო...

ასე მიმართავს შოთა რუსთველის აჩრდილს თეიმურაზი და მერე განაგრძობს:

ენას აქვს გესლი ბოროტი, უმწარე ასპიტისაგან,
თვით დამიცდია აგრეთვე, ვითა მასშია სხვისაგან...

ზემოთქმულს მოსდევს დეტალური და მართლაც რომ შესანიშ-ნავი აღწერა იმისა, თუ როგორ წამლავს ადამიანის ბუნებას ავი ენების გესლი...

ყურსა ლახვრულად ეცემა, უმაგრეს ჭრდემლ ნაკრავისა,
თვალსა ააბღვრეეს წმინდასა, ხედვიდეს ავს არ ავისა,
თმათ აშლის, ხელ-ფეხთ ფრჩხილებსა გასწვავს ცეცხლ-
განაკრავისა,
შფოთს ააყოლებს, ვინც ისმენს, უმშვიდეს იყოს კრავისა.

ავი ენის მოტანილი სიტყვა კალთაზე დაცემული ნაკვერჩხალი-ვით არისო, მყისვე თუ არ გადააგდე, ნატისუსალს დაგიტოვებს და ავ ენასაც თუ უსმინე, გულში ჩაბუდებული დაგრჩებაო, დაასკვნის თეიმურაზი და გაოცებას გამოთქვამს:

რადგან ეს ვიცი, რად ავპყევ ენას ავისა მბობელსა,
ლბილისა გამსალებელსა, ფოლადის დამადნობელსა,
უცებთა შეუტყობარსა, ბრძენთაცა ძლივ საცნობელსა,
ყელშიგან წამპირებელსა, საბელსა დაძარჩობელსა?

ისიც უნდა ითქვას, რომ ავი ენების გესლი იოლად აღწევდა მიზანს, ვინაიდან თეიმურაზ მეფე თვითონაც უკმაყოფილო იყო ზურაბის უზომო განდიდებითა და მედიდურობით („მაგრამ ძნე-ლად გაეძლების ყმის პატრონზედ აზვავებას“).

ამგვარად, შხამიანმა თესლმა შესაფერ ნიადაგს მიაკვლია.

„დააჯერეს ბატონს თეიმურაზს და საფურცლეს დაჰპატიჯეს და უღალატეს და სუფრაზე ერისთავი ზურაბ მოკლეს“, — წერს ფარ-სადან გორგიჯანიძე.

„ტვერდს მიჯდა, ვბრძანე სიკვდილი, სისხლი მან ჩემს წინ გა-უშო“, — ასე გვაუწყებს თვით თეიმურაზი (არჩილის პოემაში).

იტალიელი ისტორიკოსის ცნობით, მეფის კარავში გაშლილ სუფრაზე სამეფო კარის ერთმა დიდებულმა ხმალი ამოიწვადა ქარ-ქაშიდან და საშინელი დარტყმით შუაზე გაუპო თავი ზურაბს. არა-გვის ერისთავი დაეცა და სულთმობრძავს ასე ჩასძახეს: „მოღალა-ტევ, არასოდეს სდომებია შენი სიკვდილი ჩემს ბატონს თეიმურაზს იმის გამო, რომ ურცხვად უღალატე. მაგრამ ახლა სიმონის ღალა-ტის ფასი უნდა გადაიხადო შენი საკუთარი სიკვდილით!“

ვინ იცის, ჩაესმა თუ არა ეს სიტყვები ზურაბს. დარიალიდან ისპაანამდე სახელგანთქმული ვაჟკაცი უმწეოდ ეგდო მიწაზე („დაჭრილი და დაკუწული, ზედ წამალდაუდებარი“).

ყველაზე მკაფიო და შთამბეჭდავი სახეებით არის ამეტყველებული ხალხური ლექსი:

საფურცლეს ზურაბ მოვიდა, ლერწამი ზღვის პირისაო.
გაუშალეს ხალიჩები, ზურაბ ზედ დაბრძანდისაო.
აუყვავებენ სუფრასა: „ზურაბ, შაექე ხილსაო!“
გიღალატებენ, ზურაბო, ელიან შენსა ძილსაო.
ხმლითა სცემს ბარამ ბატონი: „დაჭარით კახპის შვილსაო!“
ხანჯარი თუშთ მოურავმა მარცხვნა ძუძუს ძირსაო.

ზემოხსენებული ჯაკომო დი სტეფანოს მიხედვით, ზურაბ ერისთავის მკვლელობა მომხდარა 1630 წლის შემოდგომაზე.

1631 წლის 12 მაისს გორში ჩამოვიდნენ რომიდან მოვლინებული კათოლიკე მისიონერები არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე. ორიოდე დღის შემდეგ მათ ინახულეს თეიმურაზ მეფე, რომელიც საფურცლეში, გორიდან ერთი დღის სავალზე, მოელოდა იმერეთის მეფის ძეს ალექსანდრეს, რათა მიეთხოვებინა მისთვის თავისი დაქვრივებული ასული, ცოლყოფილი ზურაბ ერისთავისა.

სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში მოგვითხრობს: ზურაბმა უღალატა სიმონ-ხანს, მოკლა იგი და თეიმურაზს ეახლა, რათა ქართლის მეფობით ეცდუნებინა. როდესაც თეიმურაზმა კვლავ ვერაგობა და ღალატი იხილა, ვეღარ ენდო ზურაბს, მარჯვე დროიხელთა, მისი მოკვლა მოახერხა და სიმართლე მოახსენა შაჰ-სეფის, რადგანაც ზურაბმა სახელმწიფოს ურჩობა გამოიჩინა სიმონ-ხანის მოკვლით, სამაგიერო მივუზღეო. შაჰმა შეამოწმა მისი სიტყვები და მოუწონა საქციელი. მან ქართლის სამეფო, თბილისის ციხის გამოკლებით, უწყალობა თეიმურაზის ძეს გურგინ-მირზას (ანუ დათუნა ბატონიშვილს), რომელსაც დედის მხრიდან მემკვიდრეობის უფლება ჰქონდა ქართლის ტახტზე (დათუნას პაპა იყო ქართლის მეფე გიორგი X; ალბათ, მის პატივსაცემად უწოდეს ისპაანში დათუნას — გურგინ, ე. ი. გიორგი).

თეიმურაზის გამარჯვება სრული იყო. საბოლოოდ ჩამოიშორა ურჩი და ქვეგამხედველი არაგვის ერისთავი, დღენიადაგ ღალატსა და აღზევებაზე რომ ფიქრობდა.

საქართველოში მშვიდობა დამყარდაო, შენიშნავს ბართოლომეო

ფერო და თეიმურაზის ბრძნული პოლიტიკის წყალობით ქვეშევრდომები მამად მიიჩნევდნენ თავის მეფესო.

მაგრამ უკვალოდ არ ჩაუვლია თეიმურაზისათვის ტრაგიკულ კონფლიქტს. ძილში თუ ცხადში კიდევ ბევრჯერ მოელანდებოდა თავგაჩეხილი ზურაბი. ამიტომაც ათქმევინებს არჩილი მწარე სინანულით ალსავსე სიტყვებს:

ღვთისა მეშინის, კაცთაგან მრცხვენის ამისსა მყოფელსა,
გული გაშმაგდეს და ხელნი შემხმეს მის ლახვრის მყოფელსა!
ყახელმწიფონი ოხრად მიჩნს, რას ვაქნევ მე საყოფელსა?
იმ სოფელს ნუმც მეკითხება, გარდამხდეს ამავ სოფელსა!

ერთსულოვანი განაჩენი გამოუტანა ზურაბ ერისთავს როგორც ქართველმა, ისე იტალიელმა ისტორიკოსმა.

ბერი ეგნატაშვილი წერს: „და აღსრულდა ბრძანება უფლისა მის ზედა, ვითარმედ: რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითაცა წარწყმდეს“.

ბართოლომეო ფეროს სიტყვით, ასე დაიღუპა ის, ვინც აუჯანყდა თავის პატრონს და უღალატა მეგობარს. ღვთისმკრეხელი არ იყო ღირსი სიცოცხლისა და თუმცა უფალი ზოგჯერ აგვიანებს სასჯელს, გაუქმება არა სჩვევიაო.

ამ ავტორებს ვერ დავწამებთ მიკერძოებას, ვინაიდან ორივენი, ქართველიცა და იტალიელიც, არც თეიმურაზ მეფის ავს ივიწყებენ.

ღალატი და ვერაგობა დაჰყვებოდა ზურაბ ერისთავს სიცოცხლეში. ჯერ თეიმურაზს უღალატა, მერე სიმონი მოკლა ღალატით და, ალბათ, ისევ უღალატებდა თეიმურაზს, რომ დასცლოდა. მაგრამ ვინ დააცლიდა!

„ღალატი გიყვარს ზურაბო, ღალატი ჩემიც ნახეო!“ — ასე ემუქრება ხალხური ლექსის მიხედვით თეიმურაზი თავის სიძეს.

ღალატი და ვერაგობა დაჰყვებოდა ზურაბ ერისთავს სიცოცხლეში და სიკვდილიც ღალატიანი ერგო.

ეგებ, მართლაც დაიმსახურა ღალატიანი სიკვდილი იმ ადამიანმა, რომელმაც თვალები დათხარა საკუთარ ძმას, ლხინში მიწვეული სამოცი ხევსური უწყალოდ გამოასალმა წუთისოფელს და არაერთგზის ააწიოკა ფშავ-ხევსურეთი...

როგორი პირდაპირობით გვიხატავს სასტიკი ფეოდალის პორტრეტს ხალხური პოეზია:

ზურაბმ აიფრო ქვეყანა, ბევრს ვაჟს უტირა დედაო,
ბევრს ქალს გაუხსნა საკინძი, უკბინა ძუძუზედაო.

განა ამდენი ცოდვის ჩამდენი ერთი სიკვდილის, თუნდაც ღალატიანი სიკვდილის, ღირსი არ იყო? და თუ ეს ასეა, რალაზე ოხრავს ნეტავი მოლექსე:

ზურაბისთანა ბატონი ვინღა გამოვა ხმლიანი...

ეტყობა, სიძულვილს ჩრდილავს სიყვარული; მარტყოფისა და მარაბდის გმირს იოლად ვერ იმეტებს ხალხის მეხსიერება და მრავალჯერ დაწყეველილ ზურაბს დედამისის ხმით დასტირის:

ვინ მოგკლა, შვილო ზურაბო, ვინ შეგხსნა ხელნი გმირსაო?
ვინ ჩამოგყარა თაობა ქართლისა, არაგვისაო?
აღარვინ შეგულებოდა მამრევი ზურაბისაო...

ეს სტრიქონები იმავე მთებში დაიბადა, სადაც სამახარობლოდ აფრინეს ჩაფარი, რათა ეუწყებინა ყველასათვის სიკვდილი ზურაბ ერისთავისა.

ფშავ-ხევსურეთში ქალ-რძალმა ძილ დაიძინონ მაგარი:
საფურცლეს მოკლეს ზურაბი, აღარ მოგივათ ლაშქარი.

აღარ შეესევა თავისუფალ მთას ზურაბ არაგვის ერისთავი, რადგანაც საფურცლეში მოსული ნახეს, მაგრამ იქიდან წამოსული აღარავის უნახავს.

ობლად დატოვა დუშეთი და ანანური, თვითონ კი ისტორიის ფურცლებზე დაიდო ბინა. დაე ისტორიამ აწონ-დაწონოს მისი ცოდვა და მადლი.





არა ხმლითა მხოლოდ

ერთი ძველი ქართველი პოეტის პოემაში, რომელსაც გალექსილი მატიანე უფრო ეთქმის, უეჭველად გეცემათ თვალში შემდეგი სტრიქონი: „არ იცი, ქართველთ აქამდი ხმლით უჭამია პურია?“

ავტორი, უპირველეს ყოვლისა, იმას გულისხმობს, რომ ქართველ კაცს თავისი წილი ლუკმა პურის მოსაპოვებლად არა მარტო ოფლის, არამედ სისხლის დაღვრაც უწევდა, რათა შემოსეული მტრისაგან დაეცვა სამშობლოს ყანები და ვენახები.

მაგრამ დამოწმებულ სტრიქონში უთუოდ ის აზრიც არის ჩაქსოვილი, რომ ქვეყნის ბედუკეთმართობის გამო არცთუ იშვიათად ქართული ხმალი მოსისხლე მტრის სამსახურში ცვდებოდა. თბილისის ციხეში ყიზილბაშთა გარნიზონი იდგა, ხოლო ქართველი მხედრები სეფიანთა ირანის სასახელოდ იბრძოდნენ და სისხლს ღვრიდნენ ბაღდადისა თუ ყანდაარის უძლიერესი ციხე-სიმაგრეების აღებისას. ერთი სიტყვით, ხმლის კარგი ცოდნა პურს აჭმევდა სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს.

როდესაც ხაზს უსვამენ ამა თუ იმ ხალხის რაიმე გამოსარჩევ ნიშანს, იქნება ეს უჩვეულო სიმამაცე თუ განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა, ხაზგასმული თვისება რატომღაც ჩრდილავს ეროვნული ბუნების დანარჩენ, არანაკლებ მნიშვნელოვან თვისებებს, რომელთა ხვედრითი წონა ფრიად ანგარიშსაწევია და სათვალავიდან ვერ ამოაგდებ.

ქართველი პოეტის მტკიცება, ქართველებს დღემდე ხმლით უჭამიათ პურიო, მართალია, ლამაზი აფორიზმივით ეღერს, მაგრამ სინამდვილის მხოლოდ ერთ ნაწილს შეიცავს.

ვინ ხმლითა ჭამდა პურს პიეტრო დელა ვალეს წიგნში მოხსენიებული ხუცესი გიორგი? შირაზის სახელგანთქმული ბაღების

მოვლა-პატრონობას ანდობდა მას იმამყული-ხან უნდილაძე და ხანდახან ისპაანშიც კი გზავნიდა, რათა სეფიანთა ხელმწიფის ბაღებისათვის მიეხედა ცამოცდილ მებაღეს.

განა ხმლითა ჰამდა პურს შაჰ-თამაზის კარზე მოღვაწე ქართველი მხატვარი, რომელზედაც ისქანდერ მუნში შენიშნავს, სიაოშ-ბეგ ქართველმა დიდ წარმატებას მიაღწიაო.

განა ხმლითა ჰამდნენ პურს საქართველოდან შირაზის მიდამოებში გადასახლებული გლეხები? მათი ვენახები მოყვარეს გულს უნარებდა და მტერს თვალს უბრმავებდა.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისელი ჯონ ფ'� 'ი შირაზიდან ისპაანისაკენ მგზავრობისას შეხვედრია „ქრისტიან ქართველებს, მიწათმოქმედებსა და მევენახეებს". ინგლისელი მოგზაური აღნიშნავს ქართველთა მიერ ფერდობებზე გაშენებული ვაზის ნაყოფიერებას.

ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ თეთრი ყურძნის ჯიშის ერთი სახელი ცნობილია ევროპელთათვის, როგორც „შირაზული". მართალია, ეს ჯიში მიჩნეულია სპარსული ყურძნის ჯიშად, მაგრამ სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსი („ული") აშკარად ქართულია; ეტყობა, ევროპელებს შირაზში დასახლებული ქართველებისაგან შეუთვისებიათ ეს სახელწოდება.

ადამ ოლეარიუსის მიხედვით, შირაზული ყურძენი განთქმული იყო მთელს ირანში და ქართველ მევენახეთა ხელით დაყენებული ღვინო წარმოადგენდა შაჰისა და სამეფო კარის დიდებულთა საყვარელ სასმელს. პირადად ადამ ოლეარიუსი შირაზში არ ყოფილა, მაგრამ იმოწმებს თავისი მეგობრის ვინმე ფონ-მანდესლოს ცნობას, თვით შირაზშიც კი ეს ღვინო ძალიან ძვირი ღირსო.

შირაზის ღვინო საუკეთესო ღვინოდ ითვლებოდა და ირანის ყველა კუთხეში გაჰქონდათ ეს ძვირფასი სასმელი და, ცხადია, შირაზს გარეთ ჯიდევ უფრო ძვირად გაიყიდებოდა.

სეფიანები საკუთარ თავს როდი უკრძალავდნენ ღვინის სმას. მათი რწმენით, რჯულის მკაცრი წესები მხოლოდ უბრალო ადამიანებს უნდა დაეცვათ. ადამ ოლეარიუსის სიტყვით, შაჰ-სეფი თვითონაც ეტანებოდა ღვინოს და ის დიდებულებიც უფრო უყვარდა, სმაში რომ არ ჩამორჩებოდნენ.

არც ერთ წყაროში არაა მონათლული ლოთად შაჰ-აბასი, მაგრამ როგორც ირკვევა, დროდადრო ისიც ისველებდა ყელს, თუმცა

ყველა მაჰმადიან ქვეშევრდომს საგანგებო ბრძანებით აუკრძალა ღვინის სმა და სასტიკი სასჯელით დაემუქრა იმათ, ვისაც ალაჰის არ ეშინოდა.

ზოგიერთი დიდებული მალულად სვამდა, ზოგი სტუმარ-ასპინძლობის წესებს იმიზეზებდა და ზოგიც კანონიერ ნებართვას გამ[illegible] ითხოვდა ხოლმე შაჰ-აბასისგან, ვითომ ექიმმა ღვინო [illegible] ჭრილობის მოსარჩენადო.

...მებაღეობა-მევენახეობაში ქებულ ქართველებს ვაჭრობაშიც უცდიათ ბედი.

ადამ ოლეარიუსი გადმოგვცემს, რომ სეფიანთა სატახტო ქალაქ ისპაანში დამკვიდრებული იყვნენ სხვადასხვა ტომის ვაჭრები, სახელდობრ—ინგლისელები, ჰოლანდიელები, ფრანგები, იტალიელები, ესპანელები, სპარსელები, ინდოელები, თურქები, ებრაელები, სომხები და ქართველები.

მისივე სიტყვით, ქართველი ვაჭრები ცხოვრობდნენ ისპაანის ერთ გარეუბანში, რომელსაც ჰასანაბადი ერქვა. ადამ ოლეარიუსი იმასაც აღნიშნავს, რომ ქართველი ვაჭრები შორეულ ქვეყნებში მოგზაურობენ თავის სავაჭრო საქმეებზეო.

შაჰ-აბასის დროს განსაკუთრებით გამოუჩენია თავი ერთ ქართველ ვაჭარს. მისი არც სახელი ვიცით, არც გვარი და არც ასაკი. ამ კაცმა რამდენიმე ინდაური ჩამოიყვანა ვენეციიდან ისპაანში და მთელი ქალაქი შეაწრიალა. ინდაურს ხომ პირველად ხედავდნენ ირანში! (როგორც ცნობილია, ევროპაში ინდაური გავრცელდა ამერიკის აღმოჩენის შემდეგ. ინგლისში — 1524 წელს, გერმანიაში — 1534 წელს, ცოტა მოგვიანებით — საფრანგეთში. თავდაპირველად ეს უცხო ფრინველი იმდენად იშვიათი და ძვირი იყო, რომ ვენეციაში ქალაქის საბჭოს უნდა გადაეწყვიტა, თუ როდის შეიძლებოდა სუფრაზე მიტანა „ინდური მამლისა“).

ისპაანში ქართველ ვაჭარს თითო ინდაური თითო თუმნად გაუყიდია. ალბათ, ყველა ვერ იგემებდა ეგზოტიკური ფრინველის სანაქებო ხორცს. ვინც შირაზულ ღვინოს მიირთმევდა, მარტო იმას თუ შეხვდებოდა ქართველი ვაჭრის წყალობით ვენეციიდან ისპაანში მოვლინებული დელიკატესი.

მაგრამ ინდაური აქ რა მოსატანია, როდესაც ირკვევა, რომ ქართველებს უცდიათ ირანში ახალი სახეობის ტრანსპორტის დანერგვა.

პიეტრო დელა ვალე მოგვითხრობს:

1619 წლის 7 ივლისს, კვირა საღამოს, ისპაანის მთავარ მოედანზე შაჰ-აბასმა მიიღო დიდი ძღვენი, გამოგზავნილი შირაზიდან იმამყულის-ხანის მიერ. ამ ცერემონიალის სანახავად მოედანზე მოსულთა შორის იყვნენ ინდოეთისა და ოსმალეთის ელჩები.

შირაზის ხანს ისპაანში გამოუგზავნია ორმოცი საუკეთესო ჯიშის ცხენი; ექვსი თუ შვიდი აქლემი, დატვირთული ძვირფასი თვლებით სავსე საპალნეებით. ცხენებსა და აქლემებს მოჰყვა ცხენშებმული ოთხთვალა ფორნები (იმათი მსგავსი, ქალაქ რომში რომ დადიანო, შენიშნავს იტალიელი მოგზაური).

ყოველ ოთხთვალაში მოთავსებული ყოფილა ორი თავი შაქარი, იმდენად დიდი, რომ მეტი ვერაფერი დაეტეოდაო. ამით ინდოელ ელჩს ანიშნებდნენ, შაქარი მარტო ინდოეთში კი არა გაქვთ, ჩვენც უხვად მოგვეპოვებაო.

პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, ცხენშებმული ოთხთვალა ფორანი ქართველებს შემოუტანიათ ირანში.

საიდან?

საფიქრებელია, რომ იმამყული-ხან უნდილაძემ ევროპელთაგან შეითვისა ტრანსპორტის ახალი და მოხერხებული სახეობა. სწორედ ამ ხანებში მზადდებოდა ირან-ინგლისის სამხედრო კავშირი ჰორმუზში გაბატონებულ პორტუგალიელთა წინააღმდეგ. შირაზის ხანს, როგორც ამ კავშირის მესვეურსა და „მთავარ იარაღს" (ინგლისური წყაროს გამოთქმით), საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ინგლისელებთან. ალბათ, ამის შედეგი უნდა იყოს ოთხთვალა ფორნის ათვისება შირაზში მყოფი ქართველების მიერ.

ისპაანის მთავარ მოედანზე, რომლის სიგრძე იყო შვიდასი ნაბიჯი და სიგანე — ორას ორმოცდაათი, შაჰ-აბასის თვალწინ ამაყად ჩაიარა ახალი ტრანსპორტის გრძელმა ქარავანმა...

მაგრამ არხებით დასერილ ქვეყანაში ვერ მოუხვეჭია პოპულარობა ევროპიდან გადმოღებულ ტრანსპორტს. უკვე შაჰ-სეფის

შეფობისას ირანში ჩასული ადამ ოლეარიუსი აღნიშნავს, ოთხთვალა ფორნები აქ არ იციანო.

როგორც ზემოთ ითქვა, ადამ ოლეარიუსი შირაზში არ ყოფილა და თუნდაც ჩასულიყო, იქნებ ვერც იქ ენახა ოთხთვალა ფორანი; ვინაიდან 1637 წელს აღარც შირაზში და აღარც ამქვეყნად აღარ იყო სახელოვანი შირაზის ხანი; ალბათ, მისი ბედი ეწია ოთხთვალა ფორანსაც.





იყო უნდილაძე დავით

„ხოლო იყო უნდილაძე დავით განჯის ბეგლარბეგი,“ — გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი. დავით უნდილაძეს ანუ დაუდ-ხანს მოიხსენიებენ სხვა ქართველი ისტორიკოსებიც, მაგრამ გაცილებით ვრცელი ინფორმაცია მოიპოვება უცხოურ წყაროებში.

დაუდ-ხანი არის ძე სახელგანთქმული ალავერდი-ხანისა და უმცროსი ძმა არანაკლებ ცნობილი იმამყული-ხანისა. ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს დაუდ-ხანის ბიოგრაფია, ვინაიდან მას უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან, ვიდრე მამამისსა და უფროს ძმას. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ მაჰმადიან დაუდ-ხანს, განჯის ბეგლარბეგს, ქართული სახელითა და გვარით გვაცნობს ვახუშტი ბატონიშვილი.

მამისა და უფროსი ძმის პოპულარობას სრულიადაც არ დაუჩრდილავს დაუდ-ხანი. მისი პოლიტიკური კარიერაც კარგ გზაზე იდგა. ჯერ კიდევ 1614 წელს დაუდ-ხანის სარდლობით სეფიანთა ლაშქარმა დაამარცხა პორტუგალიელნი და სახელმწიფოს შესძინა ახალი ტერიტორია, სახელდობრ, გომბრუნი თავისი სანაპირო ზოლით. შაჰ-აბასმა მალე აქცია ირანის მთავარ ნავსადგურად გომბრუნი და უწოდა „ბენდერ-აბასი“ (ე. ი. აბასის ნავსადგური).

1618 წელს, როდესაც ოსმალეთის ლაშქარი ქალაქ არდებილს უახლოვდებოდა, შირაზის ხანის ჯარებს სათავეში ჩაუდგა დაუდ-ხანი, რომელიც, პიეტრო დელა ვალეს გამოთქმით, „უფრო იღბლიანი იყო ომებში, ვიდრე იმამყული-ხანი“.

განსაკუთრებით დიდი სამსახური გაუწია სეფიანთა ხელმწიფეს დაუდ-ხანმა 1626 წელს. ინგლისური წყაროს მიხედვით, შაჰ-აბასმა და შირაზის ხანმა დამხმარე ძალები გაგზავნეს ოსმალთა მიერ ალყაშემორტყმული ბაღდადისაკენ. ამასობაში ქურთები, ოსმალეთის მოკავშირენი, თავრიზის მიდამოებს არბევდნენ, რათა ყიზილ-

ბაშთა ლაშქრის ნაწილი გამოეწვიათ ბაღდადიდან და შეემსუბუქებინათ ოსმალთა მდგომარეობა. ეშკარაა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ასეთ ვითარებაში ირანისათვის საქართველოს ნეიტრალიტეტი, რაც უზრუნველყოფილ იქნა დაუდ-ხანის მცდელობით.

თეიმურაზ მეფე, ისქანდერ მუნშის სიტყვით, „უმეცრების ძილისაგან გამოფხიზლდა", თავისი წინანდელი საქმეები მოინანია და ირანთან მოსარიგებლად დაუკავშირდა დაუდ-ხანს, რომელიც ყორჩიბაშის განკარგულების თანახმად თავისი რაზმით თბილისში იდგა. (მეორე სპარსული წყაროს ცნობით, დაუდ-ხანი აღნიშნულ პერიოდში თბილისის ციხისთავი ყოფილა).

დაუდ-ხანმა იკისრა შუამავლობა თეიმურაზსა და შაჰ-აბასს შორის და წარმატებით გაართვა თავი ესოდენ რთულ საქმეს.

შაჰ-აბასი იძულებული გახდა ქართლ-კახეთის მეფედ ეცნო თავისი მთავარი მტერი. სამაგიეროდ თეიმურაზმა „ოსმალური სამოსელი გაიხადა და ყიზილბაშური სამოსელი ჩაიცვა" (ე. ი. ხელი აიღო ოსმალურ ორიენტაციაზე). ერთიცა და მეორეც ფრიად მადლიერნი დაურჩნენ დაუდ-ხანს.

აი რას წერს ისქანდერ მუნში: „ქართველი მოურავის ურჩობასა და ამბოხებასთან დაკავშირებული დანაშაულის საფუძველზე, მოჰამედ-ყული-ხან ზიად ოღლი მაღალი თანამდებობიდან გადააყენა შაჰმა და დაუდ-ხანი, უმცროსი ვაჟი ალავერდი-ხანისა, დანიშნა ყარაბაღის ბეგლარბეგად. ყაჯარის ტომს და ყარაბაღის ლაშქარს მის ამალაში ყოფნა უბრძანა, და ამ ოლქში დაუდ-ხანს სრული ძალაუფლება და დამოუკიდებლობა მიანიჭა".

იმავე ავტორის ცნობით, თეიმურაზსა და დაუდ-ხანს შორის ახლო ურთიერთობა და მეგობრობა დამყარდა. დროდადრო ერთმანეთს ხვდებოდნენ, რამდენიმე დღის განმავლობაში ივრისა და ალაზნის ნაპირებზე ნადირობდნენ და მერე საქართველო-ყარაბაღის საზღვარზე მეგობრულად იყრებოდნენ.

იტალიელი ისტორიკოსი ბართოლომეო ფერო აღნიშნავს, რომ ქართლ-კახეთის მეფემ და განჯის ქართველმა ბეგლარბეგმა ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს.

გარკვეული ხნის შემდეგ ბრწყინვალედ ჩაობარა გამოცდა ამ ფიცმა...

1629 წელს გარდაიცვალა შაჰ-აბასი და ტახტზე ავიდა მისი შვილიშვილი შაჰ-სეფი. ახალ ხელმწიფეს არ ახსოვდა პაპის სამსახურ-

ში აღზევებულ პირთა ერთგულება და დამსახურებანი. შაჰ-აბასის ჭკუა და ნიჭი არ გამოჰყვა შვილიშვილს, თუმცა არანაკლებ ვერაგი და დაუნდობელი გამოდგა.

ტახტზე ასვლის პირველი დღეებიდანვე შაჰ-სეფიმ რეპრესიებს მიჰყო ხელი, აღარ არჩევდა მართალსა და მტყუანს, აღარც მტერს ინდობდა, აღარც მოყვარეს. თვალები დათხარა უმცროს ძმას და შაჰ-აბასის მიერ თვალდათხრილ უფლისწულებთან ერთად ალამუთის ციხეში გამოკეტა. მერე ფრიალო კლდეზე გადმოაგდეს ისინი. მაინც ყოველგვარი სარგებლობის გარეშე ცხოვრობენო, განაცხადა შაჰ-სეფიმ. სიკვდილით დასჯილ იქნა შაჰ-აბასის სიძე ისა-ხან ყორჩიბაში.

წეფიანთა სამეფო კარის დიდებულებს ერთიმეორის მიყოლებით ატყდებოდათ თავს ახალგაზრდა ხელმწიფის რისხვა.

ხულ უმნიშვნელო წინდაუხედაობისათვის შაჰ-სეფიმ საკუთარი ხელით დაჭრა ხმალი მუცელში ირანის ეთიმადოვლეს (ანუ პირველ ვეზირს), შემდეგ უბრძანა ჯალათს აეჩეხათ მოკლულის თავი. ერთმა ახალგაზრდა მსახურმა ვერ გაუძლო შემზარავ სანახაობას და შეძრწუნებული სახით ფეერდზე მიბრუნდა. შაჰს არ გამოჰპარვია მისი საქციელი. დასცინა, რა სუსტი მხედველობა გქონიაო და მაშინვე ბრძანა თვალები დაეთხარათ გულჩვილი მსახურისათვის.

ვინმე ულურლუ-ხანს თავი მოჰკვეთეს და მიართვეს შაჰ-სეფის. იგი ჯოხით შეეხო მოჭრილ თავს და წარმოთქვა: „რა მამაცი იყავი და ძალიან მებრალები, ამ დღეში რომ გხედავ; ვაი, როგორ მებრალება შენი მშვენიერი ულვაშები!“

პოეტს, რომელმაც აღწერა უდანაშაულო დიდებულთა სიკვდილით დასჯა და თითქოსდა მღეროდა კიდევაც თავის ლექსს ქალაქის მოედანზე, შაჰის ბრძანებით იმავე მოედანზე აუგეს წესი. ჯერ ცხვირი მოაჭრეს, მერე — ხელები და ბოლოს — ფეხები.

შაჰ-სეფიმ დაიბარა დასჯილ დიდებულთა შვილები და უთხრა: „მე დავხოცე თქვენი მამები, რას იტყვით ამაზე?“ ერთმა თამამად მიუგო: „რის მამა, რომელი მამა, შაჰია ჩემი მამა!“ მან საჩუქრად მიიღო მამის ქონება. მეორე კი დაიბნა და კრიჭაშეკრულმა ვერაფერი თქვა. მამის ქონებაც ჩამოართვეს და დედისაც.

ბოლოს და ბოლოს საწამლავი შეურიეს სასმელში სეფიანთა მბრძანებელს. საწამლავმა სიკვდილის მაგივრად ორთვიანი ავადმყოფობა არგუნა. როდესაც გამოკეთდა, მაშინვე დაიწყო დამნა-

შავის ძებნა და ძვირფას საჩუქრებს დაჰპირდა ამბის მომტანს. ერთმა მხევალმა განუცხადა შაჰ-სეფის, რომ ამ საქმეში ბრალი მიუძღოდათ ჰარამხანის ქალებს. არც დაინტერესებულა, სიმართლე იყო თუ ცილისწამება, ისე ბრძანა ახალგაზრდა შაჰმა დიდი და ღრმა ორმო გაეთხარათ ბაღში, სადაც ცოცხლად ჩამარხეს ორმოცი ქალი ჰარამხანიდან.

ევროპელი ავტორები ამტკიცებენ, რომ ირანში არ ყოფილა უფრო სასტიკი და სისხლიანი მეფობა, ვიდრე შაჰ-სეფისა. იგი იშვიათად ერეოდა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეებში, ნადირობასა და ლოთობა-გარყვნილებას იყო გადაყოლილი, და ქვეშევრდომნი ვერც კი მიხვდებოდნენ, თუ ჰყავდათ ხელმწიფე, თავი რომ არ შეეხსენებინა საკუთარი ქვეყნისათვის ბარბაროსული აქციებით.

...უნდილაძეთა თავზე ნელ-ნელა გოოვდებოდა შავი ღრუბლები. ისქანდერ მუნში მოგვითხრობს:

1630 წლის შემოდგომაზე ოსმალთა ლაშქარმა ბაღდადს შეუტია. შაჰ-სეფი გაეშურა ბაღდადის მიმართულებით. დაუდ-ხანიც იმყოფებოდა მის ამალაში. ყაჯართა ტომის რამდენიმე წარჩინებულმა შაჰს მიართვა საჩივარი განჯის ბეგლარბეგის უსამართლო და უხეში საქციელის გამო. შაჰ-სეფიმ საყვედური არ დაუგვიანა დაუდ-ხანს, მაგრამ ეს უკანასკნელი „უკიდურეს უვიცობასა და ქედმაღლობას ინარჩუნებდა“. ერთ ღამეს „სამოთხისებურ მეჯლისში“ შაჰმა ისევ საყვედურითა და რჩევა-დარიგებით მიმართა დაუდ-ხანს. განჯის ბეგლარბეგი მოურიდებლად შეელაპარაკა მბრძანებელს. განრისხებული ხელმწიფის ბრძანებით დაუდ-ხანი მეჯლისიდან გაიყვანეს და დასაჯეს. მაგრამ თანამდებობიდან არ გადაუყენებიათ მისი უფროსი ძმის პატივისცემის გამო და მამის ერთგული სამსახურის საზღაურად. ცოტა ხნის შემდეგ დაუდ-ხანი უნებართვოდ გაუდგა ყარაბაღის გზას.

ინგლისური წყაროს ცნობით, შაჰის მეჯლისში ერთობ თამამი ლაპარაკისათვის დაუდ-ხანი გაჯოხილ იქნა.

მეჯლისიდან დაუდ-ხანის გაძევებას აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძეც, ოღონდ მისი სიტყვით, ამის მიზეზი ყოფილა ხოსრომირზა (ანუ როსტომ მეფე), უახლოესი მრჩეველი და „მამობილი“ ახალგაზრდა შაჰ-სეფისა.

როსტომისა და უნდილაძეთა დაპირისპირება, ალბათ, გამოიწ-

ვია სეფიანთა სამეფო კარზე გავლენისათვის ბრძოლამ. გარდა ამისა, როსტომს, როგორც ქართლის ტახტის პრეტენდენტს, ცხადია, არ ეჭაშნიკებოდა შშები უნდილაძეების ახლო ურთიერთობა ქართლ-კახეთის მეფესთან. როსტომი თავისი ძმისწულის სიმონის მკვლელობას თეიმურაზს აბრალებდა და შაჰ-სეფის შემწეობით ფიქრობდა შურისძიებას. შესაძლოა, დაუდ-ხანი გამოესარჩლა თეიმურაზს და ამან გამოიწვია კონფლიქტი როსტომთან.

მოვლენათა შემდგომ მსვლელობას დაწვრილებით გადმოგვცემენ იტალიური წყაროები (არქანჯელო ლამბერტი, პიეტრო ავიტაბილე, ჯუსტო პრატო, ბართოლომეო ფერო).

შაჰ-სეფი ვერ შეელია უნდილაძეთა აღგვის მაცდუნებელ აზრს. აშინებდა მათი ძლიერება, მაგრამ ამავე მიზეზით ფრთხილობდა. იგი გაჰყვა მზაკვარი პაპის კვალს და არათუ ჩამოართვა განჯა-ყარაბაღი დაუდ-ხანს, არამედ ახალი სამფლობელოც უბოძა, სახელდობრ — თბილისი. ამავე დროს უბრძანა თბილისის ციხისთავს, როგორც კი გამოჩნდებოდა იქ დაუდ-ხანი, მაშინვე დაეპატიმრებინათ და მოეშთოთ.

განჯის ბეგლარბეგმა ჭკუა იხმარა, თბილისში მოადგილე გაგზავნა, თვითონ კი ფეხი არ მოუცვლია განჯიდან.

შაჰ-სეფი მიხვდა, რომ ხრიკმა უქმად ჩაუარა და არც ისე იოლი იყო დაუდ-ხანის გახვევა ბადეში. ხელმწიფემ შეცვალა ჩანაფიქრი და განჯის ბეგლარბეგს განჯაშივე მიუგზავნა მკვლელი, რომელსაც თოფის ერთი გასროლით უნდა მოეღო ბოლო თავისი მსხვერპლისათვის.

დაუდ-ხანმა ესეც შეიტყო და გადაწყვიტა მიეტოვებინა სეფიანთა სახელმწიფო, ამასთან ერთად შური ეძია ყაჯართა ტომის წარჩინებულებზე. ორი ერთგული კაცი აფრინა თეიმურაზთან და შეუთვალა ძმადნაფიცს, შეიარაღებული ხალხი მოამზადე და როდესაც გესტუმრები, მთელ ჩემს ამალას მუსრი გაავლეო. აგრეთვე სთხოვდა, ჯარი შეეკრიბა განჯა-ყარაბაღზე სალაშქროდ.

დადგა ჟამი, როდესაც მარტო ლხინში კი არა, ჭირშიაც უნდა დადასტურებულიყო თეიმურაზისა და დავით უნდილაძის ძმობა-მეგობრობა.

1632 წლის სექტემბერში განჯის ბეგლარბეგი მთელი თავისი ქონებითა და ოჯახით აიყარა განჯიდან. ყაჯართა ტომის წარჩინებულნიც გაჰყვნენ, ყარაბაღის ლაშქრის თანხლებით. არავინ დაეჭ-

ვებულა, ვინაიდან წელიწადში რამდენჯერმე მიდიოდა ხოლმე საქართველოში სტუმრად დაუდ-ხანი და ახლაც ასე განაცხადა, ივრის ნაპირები უნდა მოვინადिროთო.

თეიმურაზი იორთან შეეგება სტუმრებს და ყაჯართა ტომის წარჩინებულთ თავისი კარვისაკენ წაუძღვა. შეიარაღებული ქართველები სასწრაფოდ გარს შემოერტყნენ ხალიჩაზე ჩამომსხდარ ყაჯარებს და ყველანი ამოხოცეს. ამ არეულობაში კინაღამ დაუდ-ხანიც არ შემოაკვდათ. ტომის წარჩინებულთა ბედი გაიზიარა ყარაბაღის ლაშქარმაც.

ისქანდერ მუნშის ცნობით, ვერავინ გაექცა ხიფათს, თვალის დახამხამებაში ყველამ „მოწამებრივი სიკვდილის შარბათი იგემა".

სპარსელი ისტორიკოსი იმოწმებს სასწაულებრივ გადარჩენილი მოლას ნაამბობს: „როდესაც ველზე ქართველების კრიალა ხმლები ალაპლაპდა, საჩქაროდ გავბრუნდი, რომ დაუდ-ხანისათვის მეუწყებინა, გიღალატეს, ხალხს ხოცავენ-მეთქი. ალელვებულმა ვუთხარი, საკუთარ თავზე მაინც ეზრუნა და თუ შეძლებდა, განრიდებოდა უბედურებას. დაუდ-ხანმა გაიცინა და მითხრა: მოლავ, ნუ ღელავ, უბედურება არ მომხდარა, მხოლოდ თამაშაა, ამის მსგავსს კიდევ ბევრს იხილავ!"

დაუდ-ხანის მუქარა მოკლე ხანში განხორციელდა. ზედიზედ ორჯერ დაარბია თეიმურაზის მხედრობამ განჯა-ყარაბაღი თვით დაუდ-ხანის წინამძღოლობით.

ეტყობა, იმდენად მოულოდნელი და საოცარი იყო განჯის ბეგლარბეგის აჯანყება შაჰ-სეფის წინააღმდეგ, რომ საქართველოდან წასული ამბავი საესებით გადასხვაფერდა. ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის აგენტი 1633 წლის 27 იანვრით დათარიღებულ წერილში აუწყებდა კომპანიის პრეზიდენტს: შირაზის ხანის ჯარები პირადად შაჰის ბრძანებით გაგზავნილია ქართველთა წინააღმდეგ, რომლებიც შემოიჭრნენ ირანის ტერიტორიაზე, ააოხრეს პროვინციები, დაამარცხეს სეფიანთა ლაშქარი და დაატყვევეს შირაზის ხანის ძმაო!

...საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერები კარგად იცნობდნენ დაუდ-ხან უნდილაძეს. ჯერ კიდევ აჯანყებამდე, 1632 წლის ზაფხულში განჯას გაემგზავრნენ პიეტრო ავიტაბილე და ჯაკომო დი სტეფანო. ისინი ეახლნენ დაუდ-ხანს რაღაც საჩივრით თბილისის ყიზილბაშებზე.

განჯის ბეგლარბეგმა გულთბილად მიიღო სტუმრები და ბრძანება დაწერა თბილისის ციხისთავის სახელზე გამოესწორებინათ დაშვებული უსამართლობა. თურმე დაუდ-ხანი დიდ კმაყოფილებას განიცდიდა მისიონერებთან საუბრით და რამდენჯერმე დაპატიჟა ისინი სადილად.

ჯაკომომ წაიღო ბეგლარბეგის ბრძანება თბილისში, ხოლო პიეტრო განჯაში დარჩა, ვინაიდან დაუდ-ხანს სურდა, რომ აქაც დაარსებულიყო კათოლიკური მისია. მან გამოუყო მისიონერებს ერთი მშვენიერი ადგილი ეკლესიისა და სახლის ასაშენებლად.

სანამ ჯაკომო თბილისს მიაღწევდა, ელვისებური სისწრაფით დატრიალდა ახალი ამბები: დაუდ-ხანის აჯანყება, გაქცევა კახეთში და უაჯართა ამოწყვეტა. ყიზილბაშებმა მაშინვე ჩაკეტეს ქალაქი იმის შიშით, რომ თეიმურაზი და დაუდ-ხანი არ დაპატრონებოდნენ თბილისის ციხეს. ჯაკომო გორს გაეშურა...

როდესაც განჯიდან ჩამოტანილ ალაფში მისიონერებმა ლათინური და იტალიური წიგნები აღმოაჩინეს, მაშინვე იფიქრეს პიეტრო დაღუპულაო. ამბის გასაგებად ჯაკომო ეახლა კახეთში დაუდ-ხანს. ამ უკანასკნელმა დაარწმუნა დამწუხრებული მისიონერი, ღვთისმსახურს ვინ მოკლავდა, ალბათ სადმე მთებში შეაფარა თავიო, და ასე ანუგეშა: „დამშვიდდი პადრე, ცოტა ხანში მთელი ჯარით ისევ უნდა გავილაშქრო განჯაზე და სიტყვას გაძლევ, რომ უეჭველად ვიპოვი თქვენს მეგობარს და დაგიბრუნებთ ცოცხალსა და საღსალამათს“.

განჯაზე ლაშქრობისას დაუდ-ხანს არ დავიწყებია თავისი დაპირება, მარდი შიკრიკები დაგზავნა მახლობლად მდებარე მთებში პიეტროს მოსაძებნად. მალე მიაკვლიეს დაკარგულ მისიონერს. თურმე ერთ პატარა სოფელში იმალებოდა სომეხ მღვდელთან.

დაუდ-ხანი უჩვეულო სიყვარულით შეხვდა პიეტროს და დააიმედა, მფარველობას არ მოგაკლებო.

განჯიდან გორისაკენ აიღეს გეზი. დაუდ-ხანი თავის სუფრაზე ასადილებდა და თავის კარავში აძინებდა პიეტრო ავიტაბილეს. უბოძა მდიდრულად შეკაზმული ცხენი.

მადლიერმა მისიონერებმა ალარ იცოდნენ, რით გადაეხადათ მადლობა კეთილშობილი დაუდ-ხანისათვის, რომელიც, ყველა სიკეთესთან ერთად, ფულითაც შეეწია მათ. თურმე ხშირად ესაუბ-

რებოდა ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ და გორში ხმა გავრცელდა, დაუდ-ხანი რჯულის გამოცვლას აპირებსო.

როდესაც დაუდ-ხანმა გაიგო, რომ ერთ მისიონერს, სახელად კაეტანოს, კერვა ეხერხებოდა, მაშინვე შეუკვეთა საწვიმარი იტალიურ ყაიდაზე. უარს ვინ ეტყოდა და სასწრაფოდ აუსრულეს სურვილი. იმდენად მოეწონა ეს საწვიმარი დაუდ-ხანს, რომ მუდმივად ატარებდა, ავდარშიც და დარშიც. ზოგიერთმა დიდებულმა დასცინა, შენი საწვიმარი ჩვენებურ წესსა და ადათს არ შეეფერებაო. დაუდ-ხანი ზრდილობიანად პასუხობდა, თქვენ თვითონ ბრძანდებით დასაცინი, კომფორტი რომ გეუცხოვებათო. შემდეგ ქუდი და ჩექმები შეუკვეთა იმავე კაეტანოს.

შობის დღესასწაულზე მისიონერებმა სტუმრად მიიწვიეს დაუდ-ხანი, ოღონდ ვერ გადაეწყვიტათ, როგორ გამასპინძლებოდნენ მაჰმადიან ქართველს: სპარსული წესით (ე. ი. ხალიჩაზე ფეხმორთხმით), თუ როგორც ევროპაში იყო მიღებული. ბევრი იფიქრეს და ბოლოს დაასკვნეს, დაე თვითონ აირჩიოს, რომელი წესიც ნებავსო. დაუდ-ხანმა განუცხადა მისიონერებს, მასპინძლებად იტალიელები ხართ და როგორც თქვენ სადილობთ, მეც ისე ვისადილებო.

დაუდ-ხანს ძალიან მოეწონა მათი ბინა, დიდხანს ათვალიერებდა კათოლიკურ ეკლესიას და გულუხვად დაასაჩუქრა მისიონერები.

გორში იმყოფებოდა არზრუმის ფაშას ელჩი, რომელიც ოსმალეთის ხონთქრის სახელით შეეპირდა დაუდ-ხანს, რომ თუ იგი მოისურვებდა განჯის გადაცემას ოსმალეთისათვის, ამ მიწა-წყლის ბატონ-პატრონად დაინიშნებოდა. ერთი სიტყვით, ყიზილბაშური ხალათის მაგივრად ოსმალურ ხალათს ჩაიცვამდა, განჯის ბეგლარბეგი განჯის ფაშად გადაიქცეოდა და სამშობლოში დავით უნდილაძედ წოდებულ დაუდ-ხანს დაუდ-ფაშას დაარქმევდნენ.

არ ვიცით, რა უპასუხა დაუდ-ხანმა ოსმალეთის ელჩს, ან კი რა უნდა ეპასუხა. თუმცა ორჯერ შეესია თავის ყოფილ სამფლობელოს, ფაქტიურად ხელი აღარ მიუწვდებოდა იქაურობაზე, შაჰ-სეფიმ უკვე სხვა დანიშნა განჯის ბეგლარბეგად. მხოლოდ იარაღით შეეძლო დაუდ-ხანს განჯა-ყარაბაღის დაბრუნება, მაგრამ მისი უფროსი ძმა, ძლევამოსილი შირაზის ხანი აჯანყებას აგვიანებდა...

არზრუმის ფაშას ელჩის გამოჩენა გორში, რასაკვირველია, შემთხვევითი არ ყოფილა. დაუდ-ხანისა და თეიმურაზის აჯანყების ამბავი რომ გაიგეს, მაშინვე ცქვიტეს ყურები ოსმალეთში. ყიზილ-

ბაშთა დაუძინებელ მტრებს თვალწინ ესახებოდათ მიმზიდველი პერსპექტივა. იმედი გაუღვივდათ, რომ ხელს მოითბობდნენ და, ვინ იცის, ეგებ უკეთესისაკენ წაეყვანათ ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობა.

დაუდ-ხანს ოსმალთა ელჩიც მიუყვანია მისიონერებთან, რათა ეჩვენებინა, თუ როგორ სუფთად და კოხტად ჰქონდათ გაწყობილი ეკლესია და ბინა იტალიელ ბერებს.

მეორე დღეს დაუდ-ხანმა უეცრად დატოვა გორი და ხსენებულ ელჩთან ერთად ოსმალეთის გზას გაუდგა.

პიეტრო ავიტაბილე წერს: „უბედური დაუდ-ხანი იძულებული გახდა გაქცეულიყო უცხო მხარეს და დაგვტოვა ყველანი დიდად დანალელიანებულნი“.

რა მოხდა, რამ გამოიწვია დავით უნდილაძის გადავარდნა ოსმალეთში? ამას თვით თეიმურაზი მოგვითხრობს არჩილ მეფის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“

ყაენმა მთხოვა ბევრითა წყალობა უსაზომითა:
„დასწყნარდი, მამეც დაუთხან, გაძეელ ჩემითა ომითა,
წყალობა გიყო მრავალი, არ ხერხად შემამდგომითა“,
ამად ვერა ვქენ, ვერ მივეც, რომ ხმალზედ მამენდო მითა.

ცხადია, თეიმურაზსაც დიდი დანაშაული მიუძღოდა შაჰ-სეფის წინაშე, ყაჯართა ამოწყვეტას და განჯა-ყარაბაღის დარბევას არავინ შეარჩენდა. მაგრამ, როგორც ჩანს, სეფიანთა ხელმწიფეს ჯერ დაუდ-ხანის სისხლი სწყუროდა. ყიზილბაშთა თვალში ეს უკანასკნელი უფრო გამოიყურებოდა მოღალატედ, ვიდრე ქართლ-კახეთის ქრისტიანი მეფე, რომელიც საცაა ოცი წელიწადი იქნებოდა, თავს არ უდებდა ისპაანის სამეფო კარს და ყოველ მარჯვე მომენტში მტკივნეულ დარტყმას აყენებდა სეფიანთა იმპერიას. დაუდ-ხანი კი სულ სხვა იყო — შვილი შაჰმადიანისა, აღზრდილი შაჰმადიანად, ხელქვეითი და მოხელე ირანის შაჰისა.

ვინ იცის, ეგებ მართლა დაეხუჭა თვალი თეიმურაზის „შეცოდებაზე“ შაჰ-სეფის (დროებით მაინც), თუკი დაუდ-ხანს ჩაიგდებდა ხელში, მაგრამ როგორ გასცემდა ერთგულ მეგობარს ხმალზედ ძმადშეფიცული თეიმურაზი, როგორ დაარღვევდა რაინდულ წესს, ეტყობა, ამაზე ფიქრით აღარ აუტკივებიათ თავი ისპაანში.

დაუდ-ხანმა ამჯობინა გასცლოდა საქართველოს. მისთვისაც ასე იყო უკეთესი და თეიმურაზისთვისაც.

ბრძოლა ყიზილბაშებთან უნდა გაგრძელებულიყო ოსმალეთიდან.

ყოფილი ბეგლარბეგი განჯისა ჩავიდა სტამბოლს, როგორც თეიმურაზ შეფის ელჩი...

შაჰ-სეფიმ დაუდ-ხანის ჯავრი მის უფროს ძმაზე იყარა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კარგი საბაბი მიეცა უზომოდ განდიდებული შირაზის ხანის დასამხობად.

ყაზვინში ჩასული იმამყული-ხანი 1633 წლის დამდეგს სიკვდილით დასაჯეს. ალბათ, ბოლომდე დაიკმაყოფილა თავისი სადისტური ვნებანი სეფიანთა ახალგაზრდა ხელმწიფემ, როდესაც განაჩენის აღსრულება მიანდო თვით შირაზის ხანის სიძეებს, წარმოშობით ქართველებს: დაუდ-ბეგსა და ალიყული-ბეგს (სპასალარ როსტომ-ხან საააკაძის ძმას, თანამდებობით ირანის დივანბეგს).

ინგლისურ წყაროში სიკვდილით დასჯა იმამყული-ხანისა ასეა ახსნილი: თუმცა შირაზის ხანმა ყველაფერი იღონა, რათა დაეყოლიებინა თავისი უმცროსი ძმა იმაზე, რომ უკან დაბრუნებულიყო და დამორჩილებოდა შაჰს, მაინც უნაყოფოდ ჩაუარა გარჯამ და განრისხებულმა ხელმწიფემ იგი სიკვდილით დასაჯაო.

შირაზის ხანის ვრცელი სამფლობელოები, ჰორმუზიდან თითქმის ისპაანამდე, ერთი თვის სავალზე რომ იყო გადაჭიმული, დააქუცმაცეს და სხვადასხვა პირთ გაუნაწილეს. მისი ქონებაც დატაცებულ იქნა. სამი ვაჟი მამის კვალს გააყოლეს, დანარჩენებს თვალები ამოსწვეს.

ფარსადან გორგიჯანიძე გვამცნობს, რომ შაჰ-სეფის ბრძანებით დაუსაჭურისებიათ შვილები დაუდ-ხანისა,

„ასე ამოწყდა ალავერდი-ხანის ბრწყინვალე გვარი, წყეული დაუდის გამო“, — შენიშნავს ისქანდერ მუნში და შაჰ-სეფის უმოწყალო შურისძიების თითქოსდა გასამართლებლად ლექსსაც იმოწმებს:

როდესაც გვარიდან ერთი უმეცრებას ჩაიდენს,
არც დიდს შერჩება ღირსება, არც პატარას.

მაგრამ უნდილაძეთა სახელი დავიწყების ზღვაში არ ჩაძირულა.

ქალაქ ისპაანში დღესაც დგას მდინარე ზენდერუდზე გადებული ქვის ხიდი (სიგრძით — სამას ორმოცდაათი ნაბიჯი), რომელიც თავისი სახსრებით ააგო ალავერდი-ხანმა.

ძმებმა უნდილაძეებმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს პიეტრო-დელა ვალეს და თომას ჰერბერტის, ადამ ოლეარიუსის და არქან-ჯელო ლამბერტის, ჟან-ბატისტ ტავერნიეს და ბართოლომეო ფე-როს, თეიმურაზისა და არჩილის ნაწერებში.

ჩვენამდე მოაღწია დავით უნდილაძის პორტრეტმაც, საქართვე-ლოში მყოფ იტალიელ მისიონერს ქრისტეფორე კასტელის რომ დაუხატავს. პორტრეტს ასეთი წარწერა აქვს: „დაუდ-ხანი, ძმა ში-რაზის ხანისა, კეთილისმყოფელი ჩვენი პატრებისა საქართვე-ლოს სამეფოში“.

არაკიცა და მართალიც

ზაქარია ქანაქერცი, XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, უფრო ცნობილი არის ზაქარია სარკავაგის სახელით („სარკავაგი" სომხურად დიაკვანს ნიშნავს). მის თხზულებაში გარკვეული ადგილი უჭირავს ცნობებს საქართველოზე. ისტორიკოსი მოგვითხრობს მარტყოფის აჯანყებისა და მარაბდის ომის ამბავს, აგრეთვე XVII ს. საქართველოს ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს. მისი ინფორმაცია ორიგინალური დეტალებით ავსებს ქართული წყაროების თხრობას. ზაქარიას თხზულების ფურცლებზე გვხვდებიან გიორგი სააკაძე და თეიმურაზ პირველი, ალათანგ ხერხეულიძე და დაუდ-ხან უნდილაძე, როსტომ მეფე და გიორგი XI, ბაინდურ თუმანიშვილი და შიოშ ბარათაშვილი.

მისი ინტერესი საქართველოსადმი, შესაძლოა, იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ ზაქარიას შორეული წინაპარი, როგორც თვითონ გვაუწყებს, ქართველი ყოფილა — სახელად გაბო. XIII საუკუნის მეორე ნახევარში, ქართველ მეფეს (ულუ-დავითს) ისიც გაუგზავნია სომხეთში, სხვა მძევლებთან ერთად, რათა ოვანავანქის მონასტრიდან წმ. გიორგის სასწაულთმოქმედი ნეშტი ჩამოესვენებინა საქართველოში სნეული ბატონიშვილის გადასარჩენად...

ზაქარია სარკავაგი დაბადებულა 1627 წელს, სოფელ ქანაქერში, ერევნის მახლობლად. ცამეტი წლისა მიუბარებიათ ოვანავანქის მონასტერში. თავდაპირველად მორჩილის მოვალეობას ასრულებდა, შემდეგ დიაკვანი გახდა. ფიზიკურ ნაკლს (კოჭლი ყოფილა) ხელი შეუშლია მისთვის სასულიერო კარიერაში და დიაკვნად დარჩენილა სიკვდილამდე. მთელი თავისი ნიჭი და ცოდნა ზაქარიამ გამოავლინა საისტორიო მწერლობაში. 1699 წელს დაუსრულებია „ქრონიკად" წოდებული თავისი თხზულება და... სიცოცხლეც.

ზაქარია სარკავაგის „ქრონიკა" გამოირჩევა თავისებური

სტრუქტურით. თანამიმდევრული, ქრონოლოგიურად დაწყობილი თხრობის ნაცვლად მოცემულია ჭრელ-ჭრელი ამბები ირანის შაჰებსა და ყიზილბაშ ხანებზე, თანასოფლელთა ყოფა-ცხოვრებაც და ათასგვარი სასწაულებიც. ლეგენდარულ წმინდანებთან ერთად მოქმედებენ ზღაპრული დევები და ვეშაპები.

„ქრონიკის“ გამომცემელთა აზრით, ზაქარია სარკავაგი ვერ გაუტოლდება გამოჩენილ სომეხ მემატიანეებს, რომელთაც ახასიათებდათ დიდი განსწავლულობა, კრიტიკული გამოყენება წყაროებისა, მხოლოდ სარწმუნო ფაქტების მოხმობა და უნარი მათი გადმოცემისა. მაგრამ პარადოქსიც ისაა, რომ სწორედ ჩაეთვლილ თვისებათა ნაკლულობა მიაჩნიათ ზაქარიას ერთგვარ ღირსებად. „ქრონიკა“ თავისი ფორმით, ენითა და გადმოცემული მასალებისადმი მიდგომით უფრო ლიტერატურულ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოსო, ვიდრე საისტორიო წყაროდ და ასკვნიან, რომ სახელდობრ ამის წყალობით ზაქარია სარკავაგის წიგნმა ხორცი შეასხა თავის ეპოქას. ავტორი ღრმად ჩასწვდა მშრომელი ხალხის სულსა და გულს, მისმა კალამმა სამზეოზე გამოიტანა ცხოვრების ის კუნჭულები, ჩვეულებრივ საისტორიო თხზულებათა ფურცლებზე ჩრდილში რომ რჩება ხოლმე. ზაქარიას შესანიშნავად აქვს ასახული უბრალო ადამიანების, უპირატესად — გლეხთა დუხჭირი არსებობა. ამიტომაც უწოდებენ მას ისტორიკოს-დემოკრატს („ქრონიკა“ თარგმნილია ფრანგულსა და რუსულ ენებზე).

ზაქარია სარკავაგი ამბობს: შაჰ-აბასის მოღვაწეობა სრულად აღწერა არაქელ თავრიზელმა და ვისაც სურს ჭეშმარიტება შეიტყოს, დაე, მისი თხზულება წაიკითხოსო, მე კი იმას ვწერ, რაც გამიგონიაო. როცა დამძრახავთ ანდა შემაქებთ, იცოდეთ, ძრახვაცა და ქებაც იმათ ეკუთვნის, ვინც გადმომცა ესა თუ ის ამბავიო. ზაქარიას თხზულების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ხალხში გავრცელებული მითქმა-მოთქმა. ავტორი არც ცდილობს იმის გარკვევას, თუ რა არის სარწმუნო და რა არის ჭორი. „მე გიამბეთ არაკიცა და მართალიც — ყველაფერი, რაც გამიგონია“, — გულახდილად აუწყებს იგი მკითხველს.

ზაქარია სარკავაგის მიხედვით, ირანის პირველი ყულარაღასისა და ფარსის ბეგლარბეგის ალავერდი-ხან უნდილაძის აღზევება სეფიანთა სამეფო კარზე ამდაგვარად მომხდარა:

თურმე შაჰ-აბასს ჩვეულებად ჰქონია, გადაცმულს ევლო თავის

საბრძანებელში. ჩაიცვამდა ხოლმე ჩარჩის სამოსელს და სოფელ-სოფელ დადიოდა. ეცნობოდა ღარიბსაც და შეძლებულსაც; კითხულობდა ქვეყნის ამბავს, ვის რა უჭირდა და ვის რა ულხინდა. ერთხელ, გულფეიგანის მიდამოებში ყოფნისას, კოკისპირულმა წვიმამ მოუსწრო და თავით ფეხამდე დაასველა. უკვე ბინდდებოდა, როდესაც მიადგა სოფელს და ერთ ეზოში შეაჭენა ცხენი. თვალი მოჰკრა აივნის სილრმეში მჯდომ მასპინძელს და სთხოვა: შაჰის სიყვარული და პატივისცემა თუ გაქვს, თავშესაფარი მომეცი, გათოშილი ვარო. მასპინძელმა მიუგო: რადგან შაჰის სახელითა მთხოვ, მობრძანდიო. შეიპატიჟა თავის სახლში და მსახურს უბრძანა, ცხენი დააბინავეო. გააძრო სტუმარს სველი სამოსელი, სიასამურის ქურქი მოახურა, მერე ცეცხლი გააჩაღა ბუხარში, მერე მწვადიც გაუმზადა და ღვინო მიართვა. დასხდნენ და ტკბილად ისაუბრეს შუაღამემდე. მასპინძელი სულ შაჰის ქებაში იყო. ბოლოს, სუფთა ქვეშაგები გაუშალა სტუმარს და ძილი ნებისა უსურვა. მეორე დღეს, ჩარჩად გადაცმულმა შაჰ-აბასმა საფასური შეაძლია მასპინძელს. მაგრამ მან იუარა, ფულს როგორ ავიღებ იმ სტუმრისაგან, რომელიც ღმერთმა გამომიგზავნა და შაჰის სახელით მოვიდაო. რაღა გაეწყობოდა და შაჰმა მსახურს ჰკითხა თავისი კეთილი მასპინძლის სახელი. ალავერდი ჰქვიაო, მიუგო მსახურმა... გამოხდა ხანი. ერთ მშვენიერ დღეს შაჰ-აბასმა შიკრიკები გაგზავნა გულფეიგანში და ხსენებული ალავერდი დაიბარა სამეფო კარზე. ალავერდი უსაზღვროდ გაოცდა, როდესაც შაჰის ბრძანება აუწყეს. დაბნეული კითხულობდა, ხელმწიფე საიდან მიცნობსო. შიკრიკებმა, მიღებული ინსტრუქციის თანახმად, მიუგეს: სიზმარში გნახა და იმიტომ გიხმობსო. ალავერდი მდიდრულად გამოეწყო, შეჯდა ცხენზე და გაუდგა გზას შაჰის შიკრიკებთან ერთად. სანამ ისპაანს ჩააღწევდნენ, ათასი სიკვდილი გამოიარა. დარწმუნებული იყო, ჩავალ და თავსაც მომკვეთენო. დანაშაულიც ახსოვდა თავისი — წინა დღეებში ვიღაც მეომარს უტიფარი საქციელი ჩაუდენია სოფელში და ალავერდის მაგრად მიუბეგვავს იგი. ნაცემსაც აუღია და შაჰთან უჩივლია. ჰოდა, ალავერდი ელოდა გარდუვალ სასჯელს. თავისი მეომრის გალახვას ხელმწიფე როგორ შემარჩენსო, ფიქრობდა დანაღვლიანებული და სასოწარკვეთილი. მაშინლა დამშვიდდა როდესაც შაჰ-აბასის წინაშე წარადგინეს. შეხედა და მყისვე იცნო თავისი სტუმარი, ჩარჩი რომ ეგონა. გაესაუბრნენ ერთ-

მანეთს და მაშინდელი მასპინძლობით მოხიბლულმა შაჰმა ალავერდის უბოძა შირაზის ხანობა!

აი, ასეთ თქმულებას გადმოგვცემს ზაქარია სარკავაგი და იქვე დასძენს, დედაჩემისგან მაქვს გაგონილიო (სინამდვილეში, ალავერდი-ხანი ჯერ კიდევ შაჰ-თამაზის დროს იყო დაწინაურებული სეფიანთა სამეფო კარზე და გარკვეული როლი ითამაშა თვით შაჰ-აბასის ტახტზე აყვანაში).

რა თქმა უნდა, ალავერდი-ხანის აღზევების ზაქარიასეული ვერსია სრულიადაც არ აყენებს ჩრდილს მთელ თხზულებას, სადაც მრავლად მოიპოვება ცნობები, რომლებიც ემთხვევა არაქელ თავრიზელისა თუ ადამ ოლეარიუსის, ფარსადან გორგიჯანიძისა თუ ვახუშტი ბატონიშვილის და სხვა წყაროთა სანდო ინფორმაციას (მაგალითად, მარტყოფ-მარაბდის ამბები; შაჰ-აბასის ბრძანებით, მისივე პირმშოს მკვლელობა; ირან-ოსმალეთის ომის ეპიზოდები; შაჰ-სეფის რეპრესიები; თეიმურაზ პირველისა და როსტომ მეფის უკანასკნელი ომი; ორი ქართველი ფეოდალის საჯარო დუელი, ანუ „სამართალი“ და, ყველაზე მეტად, თვით ის მოვლენები, სომხეთის ტერიტორიაზე რომ მიმდინარეობდა).

მაშასადამე, ზაქარია სარკავაგის წიგნის კითხვისას საგანგებოდ უნდა გვახსოვდეს, რომ ავტორი გვიამბობს ეჭვმიუტანელ სიმართლესაც, პირწმინდა არაკსაც და გვიამბობს იმასაც, რაც მოითხოვს დაზუსტებას, არაკია თუ მართალი.

ზაქარია სარკავაგის თხზულებიდან ხშირად იმოწმებენ ხოლმე ერთ ფრაგმენტს („ამბოხება დაუდ-ხანისა“), სადაც მოთხრობილია შემდეგი ისტორია:

როდესაც შაჰ-აბასმა აიღო განჯა, გამგებლად დანიშნა იქ დაუდ-ხანი (ე. ი. დავით უნდილაძე), კაცი ამაყი და მუხანათი, კადნიერი და მედიდური, ქედს რომ არავის უხრიდა. შემდგომში, შაჰმა მიაშველა იგი საქართველოს დასაპყრობად წარგზავნილ ყარჩიღა-ხანს და ასე დაარიგა: ყურად იღე, რასაც ყარჩიღა-ხანი გეტყვის და უსიტყვოდ დაემორჩილე!“ მაგრამ დაუდ-ხანი არ ეახლა ყარჩიღა-ხანს და ისიც არ იხმობდა. ამგვარად ექიშპებოდნენ ისინი ერთიმეორეს. ამასობაში დაუდ-ხანმა მოუხშირა სტუმრობას მოურავთან (გიორგი საკაძე) და მისი გულითადი თანამეინახე გახდა. დაუდხანი უდიერად იხსენიებდა ყარჩიღა-ხანს და ლანძღვას არ აკლებდა. „ხელი თუ შიმიწვდა, ხმლით განგმირავს არ ვაკმარებ, სულ

ნაკუწ-ნაკუწ ავჩეხავ", — გამუდმებით ამბობდა იგი. როდესაც მოურავმა შემთხვევით ხელთ იგდო შაჰის წერილი ყარჩიღა-ხანისადმი, სასწრაფოდ იხმო დაუდ-ხანი და აჩვენა შაჰის ბრძანება (როგორც ცნობილია, შაჰ-აბასი ყარჩიღა-ხანს ავალებდა გიორგი საააკაძის მოკვლას). მოითათბირეს და მოურავმა ზუსტად აღასრულა დაუდ-ხანის რჩევა (იგულისხმება მარტყოფის აჯანყება). ხოლო თვით დაუდ-ხანი განჯას გაეშურა. მერე შაჰმა მოურავის წინააღმდეგ წარგზავნა ყორჩიბაში და შიკრიკის პირით შეუთვალა დაუდ-ხანს: ყორჩიბაშის ლაშქარს შეუერთდიო. მაგრამ დაუდ-ხანმა უარი ათხოვა შაჰის ბრძანებას და განჯიდან ფეხი არ მოუცვლია; მოიმიზეზა, დაჭრილი ვარ და არ ძალმიძს საომრად წასვლაო. ომი რომ დამთავრდა და მოურავი ოსმალეთში გაიქცა, ამის გამგონე დაუდ-ხანი მიხვდა, რომ შაჰი არ აპატიებდა დანაშაულს და თვითონაც გაქცევით უშველა თავს. ჩავიდა ოსმალეთში, სადაც შეხვდა მოურავს, იქვე დარჩა და ცოტა ხნის შემდეგ დაიღუპა.

დამოწმებულ ფრაგმენტში ადვილი შესამჩნევია ზოგიერთი უზუსტობა. ასე მაგალითად, მცდარია ცნობა განჯის გამგებლად დაუდ-ხანის დანიშვნაზე, როდესაც შაჰ-აბასმა აიღო განჯა (ე. ი. 1606 წელს). სინამდვილეში როგორც გვაუწყებს ისქანდერ მუნში, განჯის ბეგლარბეგად მაშინ დანიშნულ იქნა მოჰამედ-ხან ზიად ოღლი, რომელიც დაიღუპა 1615 წელს თეიმურაზ მეფესთან ბრძოლაში (არაგვის პირას). შემდგომში, და კერძოდ — მარტყოფის აჯანყების დროს (1625 წ.), ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლი.

ასევე აშკარა გაუგებრობას წარმოადგენს ცნობის ბოლო მონაკვეთი, სადაც აღნიშნულია დაუდ-ხანის შეხვედრა მოურავთან ოსმალეთში. როგორც ცნობილია, დაუდ-ხანი ოსმალეთში ჩავიდა 1633 წელს, ხოლო გიორგი საააკაძე ოთხი წლით ადრე დაიღუპა. ისინი ვერანაირად ვერ შეხვდებოდნენ ერთმანეთს ოსმალეთში.

თვალში საცემ უზუსტობათა გარდა, მთელი შინაარსიც დაეჭვებას იწვევს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ არავითარი საბუთი არ არსებობს დაუდ-ხანის ყოფნაზე საქართველოში მარტყოფის აჯანყების წინარე ხანებში. ისქანდერ მუნშის სიტყვით, საქართველოსაკენ დაძრულ ყარჩიღა-ხანსა და გიორგი საააკაძეს, შაჰ-აბასის ბრძანებით, გზაში შეუერთდნენ შირვანისა და განჯის ამირები თავიანთი ჯარით, ბეგლარბეგთა წინამძღოლობით. მაგრამ

დაუდ-ხანი არსადაა ნახსენები და ვერც განჯის ბეგლარბეგთან გა-ვოიგივებთ.

ამგვარად, როდესაც დანამდვილებით ვიცით, რომ 1625 წელს საქართველოში ჩამოსული ბეგლარბეგი განჯისა არის მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლი, ხოლო თვით დაუდ-ხანის ყოფნა საქართველოში იმავე 1625 წელს არაა დადასტურებული, ძნელია ვერწმუნოთ ზაქარია სარკავაგს.

არსებობს უტყუარი ცნობა ისქანდერ მუნშისა იმაზე, რომ დაუდ-ხანი დანიშნულ იქნა განჯის ბეგლარბეგად 1626 წელს. იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა თეიმურაზ მეფესთან, რომელიც საბოლოოდ შეარიგა სეფიანთა სამეფო კარს და სწორედ გაწეული სამსახურის საზღაურად უწყალობეს განჯის ბეგლარბეგობა უნდილაძეს.

თუნდაც დავუშვათ, რომ დაუდ-ხანი მართლაც იმყოფებოდა საქართველოში მარტყოფის აჯანყებამდე, ექიშპებოდა ყარჩიღა-ხანს და შეგობრობდა გიორგი სააკაძეს, საკითხავია, როგორ გამოეპარებოდა ყოველივე ეს უკიდურესად ეჭვიანსა და მიუნდობელ შაჰ-აბასს. ვთქვათ, ვერ იმარჯვეს შაჰის მსტოვრებმა და გამოეპარათ, მაგრამ აშკარა ურჩობა (მარაბდის ომიდან თავის დაძვრენა) როგორღა გამოეპარებოდა. რატომ დახუჭავდა თვალს მბრძანებელი თავისი ყმის ესოდენ მიუტევებელ დანაშაულზე და ნაცვლად სასჯელისა — მაღალი თანამდებობის პატივს მიანიჭებდა?

თუმცა ზაქარია სარკავაგი ამას არც ამტკიცებს. მის თხზულებაში გამოყვანილი დაუდ-ხანი მიხვდა, რომ შაჰ-აბასი არ აპატიებდა დანაშაულს და მარაბდის ომის შემდეგ დაუყოვნებლივ გაიქცა ოსმალეთში. დაუდ-ხანის წარმატებითი მოლაპარაკება თეიმურაზთან და შემდგომი დაწინაურება, ბუნებრივია, არაა ასახული სომეხი ისტორიკოსის წიგნში. ასე რომ, ერთი შეხედვით, მისი ინფორმაცია თითქოსდა არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს. მაგრამ სპარსელი ისტორიკოსის ეჭვმიუტანელი ცნობების გათვალისწინებით აშკარა ხდება გადაულახავი შეუსაბამობა ზაქარიას მოხსენებასა და ისტორიულ სინამდვილეს შორის.

მართლაც, როგორ უნდა შეუთავსდეს ერთიმეორეს ზაქარია სარკავაგისა და ისქანდერ მუნშის თხზულებებში მოქმედი დაუდ-ხანი? პირველი დაუდ-ხანი მხარს უჭერს მარტყოფის აჯანყებას, ეურჩება შაჰ-აბასს, არ მონაწილეობს მარაბდის ომში და შაჰის

ხასჯელისაგან თავის გადასარჩენად ოსმალეთში გარბის, ხოლო მეორე დაუდ-ხანი შაჰ-აბასის დავალებით დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს თეიმურაზ მეფესთან (მარაბდის ომის შემდეგ), წარმატებით ასრულებს თავის მისიას და 1626 წელს ინიშნება განჯის ბეგლარბეგად. მისი ამბოხება სეფიანთა წინააღმდეგ და გაქცევა ოსმალეთში მიმდინარეობს 1632-1633 წლებში, უკვე შაჰ-სეფის მბრძანებლობის ხანაში, როდესაც ძმებმა უნდილაძეებმა დაკარგეს თავისი გავლენა სეფიანთა სამეფო კარზე.

ცხადია, რომ მარაბდის ომის შემდეგ ოსმალეთში გაქცეული დაუდ-ხანი ვერ გახდებოდა განჯის ბეგლარბეგი და ვეღარ აუჯანყდებოდა შაჰ-სეფის.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზაქარია სარკავაგის მონათხრობი ეხება არა დაუდ-ხან უნდილაძეს, არამედ სრულიად სხვა პიროვნებას.

რას უნდა გამოეწვია სომეხი ისტორიკოსის შეცდომა?

მარტყოფის აჯანყებამდე, ყარჩილა-ხანსა და გიორგი სააკაძესთან ერთად, საქართველოში მართლაც იმყოფებოდა განჯის ბეგლარბეგი მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლი. აჯანყების წინა დღეებში, გიორგი სააკაძის რჩევის თანახმად, დასახელებული პიროვნება და ფეიქარ-ხანი „ურჯულოთა სიღნაყებზე იყვნენ წასული". როდესაც ქართველთა აჯანყების ამბავი გაიგო, განჯის ბეგლარბეგმა გაქცევით უშველა თავს და აღჯაყალას ციხეში ჰპოვა თავშესაფარი.

ამასობაში გიორგი სააკაძე ყარაბალს შეესია და განჯა დაარბია. 1625 წლის ზაფხულში საქართველოსაკენ დაიძრა ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქარი ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით. მასთან იმყოფებოდნენ შირვანის, ერევნისა და აზერბაიჯანის ბეგლარბეგები, ე. ი. საქართველოს მეზობელი პროვინციების ბეგლარბეგები — განჯის ბეგლარბეგის გამოკლებით. სად იყო განჯის ბეგლარბეგი, რატომ არ მონაწილეობდა მარაბდის ომში? აი ვის უნდა ეხებოდეს ზაქარია სარკავაგის ცნობა: განჯის ბეგლარბეგმა ყორჩიბაშთან შეერთებაზე უარი თქვა, ავადმყოფობა მოიმიზეზა და განჯაში დარჩაო.

ამასთან ერთად, ისქანდერ მუნში წერს, რომ განჯის ბეგლარ-

ბეგი მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლი „ქართველი მოურავის საქმესთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისათვის“ გადაყენებულ იქნა თავისი თანამდებობიდან. „დანაშაულად“, ალბათ, ის იგულისხმება, რომ მარტყოფის აჯანყებისთანავე განჯის ბეგლარბეგი გაიქცა საქართველოდან, ვერც ყარაბაღის პროვინციას უპატრონა და არც ყორჩიბაშის ლაშქარს შეუერთდა მარაბდის ომში. ყოველივე ეს სავსებით საკმარისი იქნებოდა შაჰ-აბასისათვის განჯის ბეგლარბეგის გადასაყენებლად (არც ის არის გამორიცხული, რომ მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლი მართლაც ექიშპებოდა ირანის სპასალარ ყარჩიღა-ხანს და მეგობრობდა გიორგი სააკაძეს).

ასე რომ, ზაქარია სარკავაგის ცნობაში მოხსენიებული განჯის ბეგლარბეგი უფრო მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლის წააგავს, ვიდრე დაუდ-ხანს. საფიქრებელია, რომ სომეხი მემატიანის თხრობაში თავისებურად შერწყმულა ორი მოვლენა, რომელთა შორის ინტერვალი მხოლოდ შვიდ წელიწადს შეადგენს: პირველი—განჯის ბეგლარბეგის დანაშაული მარტყოფის აჯანყების (1625 წ.) დროს და მისი გადაყენება თანამდებობიდან; მეორე — განჯის ბეგლარბეგ დაუდ-ხან უნდილაძის აბბოხება შაჰ-სეფის წინააღმდეგ და გაქცევა ოსმალეთში (1632 — 1633 წ. წ.).

ცხადია, მეორე მოვლენა უფრო გახმაურდებოდა სეფიანთა ირანის სახელმწიფოში და განჯის ყველაზე პოპულარულ ბეგლარბეგად ხალხის ცნობიერებაში, ჩანს, დაუდ-ხანი იქცა. ადვილი დასაშვებია, რომ წარმოშობით ქართველი ბეგლარბეგის სახელი დაკავშირებოდა საქართველოში 1625 წელს მომხდარ ამბებს, როცა სწორედ განჯის ბეგლარბეგს დაუმსახურებია შაჰის სასჯელი. ამიტომაც, დაუდ-ხანს, განჯის ყველაზე ცნობილ ბეგლარბეგს, მიეწერა მისი წინამორბედის ცოდვებიც.

ასე გაჩნდა ზაქარია სარკავაგის თხზულებაში მომხიბლავი თხრობა დაუდ-ხან უნდილაძის და გიორგი სააკაძის მეგობრობის შესახებ, რასაც არც ერთი სხვა წყარო არ ადასტურებს და რაც ეწინააღმდეგება მოვლენათა ლოგიკას.

მარტყოფის აჯანყების დროს ზაქარია სარკავაგი დაბადებულიც კი არ იყო და ზემოთ მოთხრობილი ამბავი, უეჭველია, ზეპირი გადმოცემით ექნებოდა გაგონილი. აკი თვითონ გვეუბნება: მე გი-

ამბეთ ყველაფერი, რაც გამიგონია, არაკი და მართალი თქვენ გაარჩიეთო.

რა თქმა უნდა, დავით უნდილაძის ბიოგრაფიას ერთობ დაამშვენებდა ზაქარია სარკავაგის მიერ გადმოცემული ეპიზოდი, ჩვენდა სამწუხაროდ, ავტორისა თუ მისი ინფორმატორის ფანტაზიას რომ არ წარმოადგენდეს.



ერთი ლაშქრობის საიდუმლოება

1631 წელს გაცემულ სიგელში თეიმურაზ პირველი ამბობს: „ყოველთა მეფეთა უნარჩევესმან, არა საქმეთა შიერ კეთილთა, არამედ მოწყალებითა ღვთისათა გვირგვინოსანმან მეფემან ქართველთა (ე. ი. ქართლელთა) და კახთამან თეიმურაზ...“

საიდან გაჩნდა ამაყი ქართველი მეფის ავტოპორტრეტში ასეთი თავმდაბლობითა და დაკნინებით ალსავსე სიტყვები, რომელზედაც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა, ამგვარად თავისი პიროვნების დამცირება მეფეთა სიგელებში არა გვხვდება და მხოლოდ თეიმურაზს აქვს პირველად ნახმარი. საშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელ მებრძოლსა და თავდადებულ მეფე-მხედარს როგორ შეეპარა ბერ-მონაზვნის კილო და ენა?! („მე ყოველად უსრულმან ცნობითა, ქცევითა ყოვლად ნაკლულევანმან“,— ეკითხულობთ მეორე სიგელში).

ალბათ, ეს იყო წარუშლელი კვალი, წუთისოფლის უკუღმართობამ რომ დატოვა თეიმურაზის სულში. ჯერ კიდევ ოცდახუთი წლისას ცხოვრების მწვანე გაზაფხული მოუსწრაფა მხურვალე და გვალვიანი ზაფხულით, ვარდი დაუჭკნო და ეკალი აუყვავა. ბულბულთა გალობის ტრფიალს ყვავების ჩხავილით დაუხშო სმენა. „ყამი გარდახდა შვებისა, მოვიდა ბლოვა-წუხილი“ და წლების სიგრძეზე გადაიჭიმა უბედურებათა მძიმე ჯაჭვი.

> რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქმენ დასადაგე?!
> ბლახ, ლაჩუარი სასიკვდილნე ყველა მე მკარ, დასად აგე!

მართლაც, სხვამ ვინ გაბიცადა ესოდენი, სხვას ვის არგუნა ბედძა ამდენი ტკივილი და გასაჭირი? რომელი ერთი ჩამოვთვალოთ და რომელს დავარქვათ ყველაზე ბნელი დღე. თეიმურაზის ცხოვრებიდან: საშობლოს აოხრება მტარვალის მიერ, ღვიძლი შვილების დასა-

ჭურისება, ჭშობელი დედის ბარბაროსული წამება, საყვარელი ცოლისძმისა და მეგობრის — ლუარსაბ მეფის უდროო ალსასრული ჯალათის ხელით, ხანმოკლე გამარჯვებანი და ხანგრძლივი დამარცხებანი; გაუთავებელი ხეტიალი ლტოლვილი მეფისა სხვათა მამულში. კახეთი ვილაც გადამთიელ ფეიქარ-ხანს ეჭირა. ხოლო კახეთის კანონიერი მეფე ოსმალეთის ხონთქართან ეძებდა სამართალს! დიახ, ერთი ვეშაპისაგან თავის დახსნის მიზნით მეორე ვეშაპის კარზე გარბოდა და დაუინებით ევედრებოდა შველასა და შეშწეობას.

„საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლათ გაყოფილი და ერთმანეთის ურჩი და ქიშპნი ბატონნი, ერთმანეთისა მარბევნი და მაწყინარნი", — ბწარე და შეუნილბავი სიმართლე ღაღადებს ფარსადან ზორგიჯანიძის პირით.

ორ მაჰმადიანურ ზღვას შუა შოქცეულ საქართველოს გასაქცევი გზები მოჭრილი ჰქონდა. იქით ოსმალნი იდგნენ, აქეთ — ყიზილბაშნი. იმავე ფარსადანის თქმით, ხან იქით იქნევდნენ ხმალს ქართველები, ხან — აქეთ, მაგრამ ბოლო რიდი იყო მძლავრ იმპერიებთან ჭიდილი. ცარიელი ხმლით ვერავინ გავიდოდა ფრონს, ისევ ხერხი უნდა ეხმარათ. ირან-ოსმალეთის გაჭიანურებულ ომში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვის მხარეზე იომებდა საქართველო, და ქართული დიპლომატია დაუღალავად ეძებდა ყველაზე უკეთეს გამოსავალს მუდმივ ჩიხში მომწყვდეული ქვეყნისათვის...

სამშობლოდან გადახვეწილი თეიმურაზ მეფის ცხოვრებას მეფურს ვერანაგზით ვერ დაარქმევდი. სხვათა შორის, რომში ჩასული ქართველი ელჩი ნიკიფორე ირბახი აღნიშნავდა თავის რელაციაში, რომ თეიმურაზ მეფე ხშირად ჭადარა მარტო პურსა და წყალზე, და ზოგჯერ შიშველ ფიცარზე სძინებია.

„რაოდენნი ჭირნი და განსაცდელნი და დევნანი და ეჭაორიობანი მოიწვინეს მას ზედა ურწმუნოსა შაჰ-აბაზის მიერ?!" — ბწუხარედ შენიშნავს თეიმურაზის შესახებ ერთი ქართული წყარო.

...მაგრამ გადაიარა გვალვიანმა ზაფხულმაც და თეიმურაზის შეურიგებელმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო, ქართველმა ხალხმა ხმლით წაშალა საძულველი სიტყვა „გათათრება". ისევ სამშობლოში იყო თეიმურაზი, სვეტიცხოველში ქართლ-კახეთის მეფედ აკურთხეს.

შაჰ-აბასმა ვერ შეძლო საქართველოს მოსპობა და ასრულებულ ვითარებას შეურიგდა. ცოტა ხნის შემდეგ მოუსყიდველი სიკვდი-

ლის ანგელოზი [illegible]ოადგა თავზე და სამარადისო ბნელეთში გაისტუმრა ქართველ[illegible] ხალხის მძვინვარე მტერი, თეიმურაზის მიერ „ვეშაპად“ წოდებული ხელმწიფე.

აწ გარდიცვალა შაბაზ, ჯოჯოხეთს დაიმკვიდრებსა...

ოქროს შუბოდგომა დაუდგა თეიმურაზ მეფეს. ალაგმა უგვირგვინო მეფობის ყველა პრეტენდენტი, აღარავინ ერკინებოდა „ორისავ ტახტის მპყრობელ“. უკვე აღარ იყვნენ ამქვეყნად გიორგი სააკაძე, ზურაბ ერისთავი და სიმონ, შაჰმაღდიანი მეფე ქართლისა.

არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ამაყად წარმოთქვამს თეიმურაზი:

ორგული და ურჩი ჩემი, ვინც გამოჩნდა, დავაბივე...
ურჩსა მიეე არაფერი, ერთგულებსა შევრი მივე.

მართალია, ისპაანში დიდი გავლენით სარგებლობდა თეიმურაზის მთავარი მეტოქე ზოსიმო-მირზა, ირანის ყულარაღასი და ქართლის ბაგრატიონთა ჩამომავალი, რომელიც თავის უფლებებს ქართლის ტახტზე ადვილად როდი შეელეოდა, მიუხედავად ამისა სეფიანთა ხელმწიფესთან ცუდად არ ჰქონია საქმე თეიმურაზს.

იტალიელი მისიონერი პიეტრო ავიტაბილე გვარწმუნებს, რომ შაჰ-სეფის თავისი სახელგანთქმული პაპისაგან ანდერძად დარჩენია — კარგი ურთიერთობის დამყარება თეიმურაზ მეფესთან. შაჰ-სეფიმ არ უღალატა შაჰ-აბასის რჩევა-ანდერძს და თავისი კეთილგანწყობის ნიშნად სომხით-საბარათიანო თეიმურაზს უბოძაო (ეს ცნობა მცირე დაზუსტებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ ხსენებული ტერიტორია ზურაბ ერისთავის მიერ სიმონ მეფის მოკვლის შემდეგ ისედაც თეიმურაზის ხელთ იყო; მაგრამ, რა თქმა უნდა, სეფიანთა ხელმწიფის დასტურსაც გარკვეული ფასი და აზრი ჰქონდა).

იმავე პიეტრო ავიტაბილეს სიტყვით, შაჰ-სეფიმ, თეიმურაზთან კავშირის განსამტკიცებლად, მისი ასულის ცოლად შერთვა განიზრახა და ნიშნობისათვის უმდიდრესი საჩუქრები გამოგზავნა (თინათინი, ასული თეიმურაზისა, ჩანს, ჯერ მცირეწლოვანი იყო. ეს ქორწინება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შედგა).

მოკლედ რომ ვთქვათ, არსაიდან არაფერი ემუქრებოდა თეიმურაზს.

1631 წელს რომის პაპი მოკითხვას უთვლიდა „ივერიის მეფეს“ და ალტაცებულ ქათინაურებს არ იშურებდა: „თქვენი სახელგანთქ-

მულობა და თქვენი შესანიშნავი გამარჯვების ხმა თქვენი ქვეყნის საზღვრებს გამოსცდა, გამოიარა ევროპის ქვეყნები, ხმელთაშუა ზღვის მღელვარე ტალღები და შოაწია რომს“...

მომდევნო — 1632 წელი კიდევ ერთ მიჯნად იქცა თეიმურაზის ცხოვრებაში. შან საკუთარი ხელით გადაჭრა თავისი ბედ-ღიბლის ტოტი და ამდენი ბრძოლითა და ტანჯვით მოხვეჭილი ქართლ-კახეთის ტახტი ქარს გაატანა.

ყური ვათხოვოთ თვით თეიმურაზს (არჩილის მიხედვით):

> დაუთხან იჯდა განჯასა, უნდილაძე ბეგლარბეგად,
> წამოვიდა, მამივიდა, თვით ჩემთანვე იყო მდეგად;
> სრულ ყაჯარნი თან იახლა, იორზედა დადგეს ბეგად
> მერმე კახნი თავს დაასხა მოსასრველად, გარდაგებად.

დაუდ-ხან უნდილაძის გამოქცევა საქართველოში და ყაჯართა ამოწყვეტა იორზე — ეს იყო პირველი მოქმედება იმ დრამისა, რომელიც დაიწყო 1632 წლის სექტემბერში და დამთავრდა 1633 წლის თებერვალში, თეიმურაზისათვის საბედისწერო ფინალით.

ისქანდერ მუნშის ცნობით, დაუდ-ხანმა დაარწმუნა თეიმურაზი, რომ შაჰ-სეფის კეთილგანწყობა ქართველი მეფის მიმართ გულწრფელი არაა, მხოლოდ მისი სიფხიზლის მოსადუნებლად არის გამიზნული და როგორც კი შემთხვევა მიეცემათ ისპაანში, მაშინვე გადაყენებენ თეიმურაზს.

თეიმურაზი თვითონაც ეარაუდობდა, რომ ხოსრო-მირზას წყალობით ტახტზე ასული შაჰ-სეფი ადრე თუ გვიან დაუფასებდა ამაგს თავის ერთგულ „მამობილს“, რომელსაც უპირველეს ჯილდოდ, რასაკვირველია, ქართლის ტახტი ეუბანებოდა.

მეორე მოქმედება: განჯა-ყარაბაღის აოხრება თეიმურაზის მიერ (1632 წლის ოქტომბერ-ნოემბერი).

იტალიელი ისტორიკოსი ბართოლომეო ფერრო გვაუწყებს: განჯის მოსახლეობამ ვერც კი მოასწრო გახიზვნა მთებში, რადგანაც ცნობას მოახლოებულ საფრთხეზე კვალდაკვალ მოჰყვა ქართული მხედრობა ისეთივე სისწრაფით, როგორც ცაზე ელვის გამოჩენას მოსდევს ჭექა-ქუხილი.

ისქანდერ მუნში წერს: „გოდება მეშვიდე ცას ასწვდა, მოსახლეობას და ჯარს თავზარი დაეცათ“.

თეიმურაზის მხედრობამ მთელი პროვინცია ცეცხლსა და მახვილს მისცა. მოიხვეჭეს დიდი ალაფი (ცხვარ-ძროხა, აბრეშუმი და

სხვა მრავალი ქონება). ქართველები რამდენიმე დღით დაყოვნდნენ განჯაში. მერე უკან გაბრუნდა თეიმურაზი, რათა უფრო მრავალრიცხოვანი ჯარი წამოეყვანა და ყარაბაღის აოხრება დაემთავრებინა.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ განხორციელდა მეორე ლაშქრობა. ახლაც იმდენი ალაფი იგდეს ხელთ, რომ, არქანჯელო ლამბერტის ცნობით, ოცი ლავაშის ფასად იყიდებოდა თითო კამეჩი.

1632 წლის შემოდგომა თეიმურაზ მეფის სახელოვანი ცხოვრების მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს.

ვინ წარმოიდგენდა სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ, როდესაც ყიზილბაშები თითქმის განუკითხავად დათარეშობდნენ უწყალოდ აოხრებულ საქართველოს მიწაზე, რომ თეიმურაზი ზედიზედ ორჯერ დაარბევდა მრისხანე მტრის ერთ-ერთ მთავარ პროვინციას.

ეს იყო უმაგალითო ეპიზოდი სეფიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს ურთიერთობის არცთუ ხანმოკლე ისტორიაში.

ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, თეიმურაზი მარტო ქართლ-კახეთის ძალებით როდი შესევია ყარაბაღს. მას მხარდამხარ გაჰყვნენ ალექსანდრე ბატონიშვილი იმერეთის ლაშქრით, ლევან დადიანი ოდიშის ლაშქრით და თავად-აზნაურნი მესხეთიდან. ერთი სიტყვით, ფეხზე დამდგარა თითქმის მთელი საქართველო, როგორც დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს.

გალაღებულ ქართველ მეფეს ყარაბაღშივე ეახლა თავისი ჯარით განძასარის სომეხთა პატრიარქი და შემდეგი მოახსენა: „ხონთქარი და ყაენი აშლით არიანო, დრო ამის უკეთესი აღარ იქნებისო. შვიდის საქართველოს ლაშქარნი თან გახლავსო, ორმოცს ათასს მეთოფეს მე მოგისხამო, ამავე ფეხსზედ თავრიზს მიბძანდიო და შვიდს დღეს თავრიზი დაარბევინეთო და შვიდის წლის ჯამაგირში ლაშქართ უანგარიშეთო და სიდამდისინ ყაენი ლაშქარს შეყრიდესო, ადირბეჟანის ბატონები გამოსცვალეთო, ყველგან თქვენი ყმანი დასხითო და მე ხონთქართან გამგზავნეთო, იმისგან ლაშქარს მოგაშველებო. თუ ყაენი წამოდგესო, შეებათო და ესინი ქართველთ ომს ვერ შესძლებენო, ამისთვისაო, რომ ქართველთ გასაქცევი გზა შორ აქვთო, თუ გაიქცევიან, იციანო, რომ ვერ გაწევენო, გზაზედ დახოცენო. მაშ გაქცევის ფიქრი არვის ექნებისო. ძალმიცემით დაიწყებენ ომსა და ბრძოლასაო და გამარჯვება თქვენ დაგ-

რჩებისო და მთავარ ხემწიფეთ გაკურთხებთო და საქრისტიანო შენით დაიხსნებისო და გაძლიერდებიანო“.

მაგრამ თეიმურაზმა შორს დაიჭირა პატრიარქის მაცდუნებელი წინადადება და თავისი გეგმა გააცნო: „ამ ზამთარ ქართლს მივალო, ხონთქარს ფეშქაშს გაუგზავნიო, ჯარს შევასვენებო და გაზაფხულსაო უფრო დიდის ლაშქრით წამოვალო“. მაშინ პატრიარქს საყვედურით უთქვამს: „ძროხა-ცხვრისათვის დადიანი და იმერელი მეფე არ წამოგესხაო, ქართლსა და კახეთშიაც იშოვნიდიო და ერანის ხემწიფე მაგდენს როდის გაცლისო, რომ შენ მეორეთ კიდევ ამრიგი ლაშქარი შეიყარო. დღეს ხვალობით ლაშქარს მოგიხდუნებენო და ცხვრისა და ძროხის მაგიერად ტყვეს წაასხმენო“.

მაგრამ თეიმურაზმა არ იქნა და ბერს არ დაუჯერაო, შენიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე.

საინტერესოა, რომ თეიმურაზ მეფისა და სომხური ეკლესიის ურთიერთობაზე მიგვითითებს კიდევ ერთი წყარო; მ. თამარაშვილის პირად არქივში დაცულია ვატიკანის არქივებიდან ამოწერილი ტექსტი სომხეთიდან ვენეციაში გაგზავნილი კერძო ბარათისა (თარიღი — 1630 წლის 5 ოქტომბერი). ავტორი აღნიშნავს, რომ თეიმურაზს მზადა ჰყავს ოცი ათასი მხედარი, რათა გაათავისუფლოს საქართველოს მეზობელი მხარეები ყიზილბაშთაგან. იგი დაუკავშირდა ეჩმიაძინის პატრიარქს და სომეხი წარჩინებულნიც ემორჩილებიან ქართლ-კახეთის მეფეს. ისინი იმედოვნებენ, რომ აღდგება სომხეთის სამეფო და აკურთხებენ თეიმურაზს საქართველოსა და სომხეთის მეფედ.

როგორც ირკვევა, შემთხვევითი და მოუმზადებელი არ ყოფილა აჯანყება თეიმურაზისა...

რატომ არ ირწმუნა თეიმურაზმა სომეხი პატრიარქის გულწრფელი რჩევა? ალბათ, დაუჯერებელ ქიმერად მოეჩვენა ქართლ-კახეთის მეფეს თავრიზის აღება და სეფიანთა სახელმწიფოს სიღრმეში შეჭრა (ივანე ჯავახიშვილი წერდა: „განძასარის მღვდელმთავრის მეთოფეთა ვერც ზღაპრულ რიცხვს, ვერც პოლიტიკური მომავლის თვალწარმტაც სურათებს თეიმურაზ მეფე სიზმარეთის ტკბილს ბურანში ვერ გაუხვევია“).

მაშ რაღა საჭირო იყო განჯა-ყარაბაღის აოხრება? დარტყმა იქნებოდა თუ ჩხვლეტა, განა ერთნაირად არ გაღიზიანდებოდა სეფიანთა ხელმწიფე?!

იტალიელი ისტორიკოსის ბართოლომეო ფეროს სიტყვით, თეიმურაზს სწყუროდა განჯის დანგრევა ყიზილბაშებზე ჯავრის ამოსაყრელად, რომლებმაც, თავის დროზე, შაჰ-აბასის განკარგულებით მიწასთან გაასწორეს კახეთის სატახტო ქალაქი გრემი. ეს იყო მხედართმთავრის შურისძიება და არა კარგი პოლიტიკოსის ნაბიჯი, ასკვნის ხსენებული ავტორი.

მაშასადამე, მხოლოდ და მხოლოდ ავანტიურას წარმოადგენდა თეიმურაზის ლაშქრობა? რა თქმა უნდა, სავსებით გასაგებია კახეთის აოხრებისათვის შურისძიების წყურვილი, ანდა სურვილი მდიდრული ალაფის მოხვეჭისა, რათა ნაწილობრივ მაინც აენაზღაურებინათ ყიზილბაშთაგან საქართველოს ათწლიანი ძარცვა-გლეჯა. მაგრამ ღირდა ერთი ან მეორე ქართლ-კახეთის სამეფოდ? სომეხთა პატრიარქის წინასწარმეტყველება სიტყვასიტყვით გამართლდება უახლოეს ხანში...

ნუთუ თეიმურაზმაც ვერ განჭვრიტა, რომ გაზაფხულამდე, არ დააცლიდა შაჰ-სეფი და განჯა-ყარაბაღის დარბევას სასწრაფო ბასუხი მოჰყვებოდა ყიზილბაშთა მხრიდან? ნუთუ იმდენად იყო დაბრმავებული ამ ბრწყინვალე წარმატებით თეიმურაზი, რომ თავის სპათა იმედით ასე კაფდნიერად გამოეწვია ორთაბრძოლაში ირანის შაჰი? ეგებ ეგონა თეიმურაზს, რომ ჯოჯოხეთში დამკვიდრებულმა შაჰ-აბასმა თან წაიყოლა სეფიანთა იმპერიის ღონე?

მაგრამ არსებობს ერთი უცნაური ისტორია, რომელიც სრულიად ახალ შინაარსს აძლევს თეიმურაზის გალაშქრებას განჯა-ყარაბაღზე და უკვე თვალსაჩინო ხდება ქართველი მეფის ჩანაფიქრიცა და მოქმედებაც.

არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, შაჰ-აბასის სიკვდილის შემდეგ ირანში ხმა გავრცელდა, რომ უფროსი ვაჟი შირაზის ხანისა სიცოცხლეშია, იყო შაჰ-აბასის ღვიძლი შვილი. თურმე სეფიანთა მრისხანე ხელმწიფემ გადაწყვიტა მიეცა ერთი თავისი ცოლთაგანი იმამყული-ხან უნდილაძისათვის, რომელიც ძალიან უყვარდა მისი დიდი გონიერებისა და სიმამაცის გამო, და წაიყვანა სამეფო ჰარამხანაში, რათა თვით უპატრონელეს ფავორიტს ამოერჩია, ვინც ყველაზე მეტად მოუვიდოდა თვალში. შირაზის ხანმა, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ შეასრულა მბრძანებლის სურვილი. მისი მოწონებული ქალი, როგორც მალე გამოირკვა, ორსულად იყო, მაგრამ შაჰს არაფერი სცოდნია ამის შესახებ. გავიდა ხუთი თვე და შაჰ-აბასის ცო-

ლეოფილმა გააჩინა ვაჟი, რომელსაც შარაზის ხანმა თავისი შვილი უწოდა და ყოველთვის შვილად მიიჩნევდა.

არქანჯელო ლამბერტის ცნობას ადასტურებენ სხვა იტალიური წყაროებიც. ადასტურებს ისქანდერ მუნშიც. მისი სიტყვით, ეს მითქმა-მოთქმა პირზე ეკერა ყველას, უბრალო ხალხიდან სამეფო კარის დიდებულებამდე, თუმცა სინამდვილეს ეწინააღმდეგებოდაო (იტალიელ ავტორებს სჯერათ ეს უცნაური ისტორია).

ძნელი სათქმელია, ცრუ-უფლისწული იყო თუ ჭეშმარიტი, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდა. ვილას შეეძლო სიმართლის დადგენა?! ხალხის თვალში კი ტახტის ახალ პრეტენდენტს უპირატესობა ენიჭებოდა, როგორც შაჰ-აბასის უშუალო მემკვიდრეს (შაჰ-სეფი, შვილიშვილი შაჰ-აბასისა, მხოლოდ იმიტომ აიყვანეს ტახტზე, რომ სამი უფლისწულიდან თვით შაჰ-აბასის ბრძანებით ერთი მოკლული იყო და ორიც — თვალდათხრილი).

სპარსელი ისტორიკოსის ცნობით, დაუდ-ხანმა გაუმხილა თეიმურაზს, რომ მემკვიდრე შაჰ-აბასისა იმყოფება ფარსში იმამყული-ხანთან და შისი შვილი ჰყვია, მაგრამ უკვე დადგა ჟამი სიმართლის გამომჟღავნებისა და იმამყული-ხანი, მპყრობელი ფარსისა, ზაპრეინისა, ლარისა, ჰორმუზისა, ხუზისტანის და არაბისტანისა, გამოიყვანს ოცდაათი ათას მხედარს და მოკლე ხანში ახალი შაჰის სახელზე აღიარებენ „ხუტბას“ და ფულიც მისი სახელით მოიჭრება. თეიმურაზი, მიუხედავად თავისი გამჭრიახობისა, მოტყუვდაო. ავტორის გამოთქმით, მან „სახელმწიფოს ურჩობის წრეში შედგა ფეხი“.

დაუდ-ხანმა და თეიმურაზმა შირვანისა და ერევნის ამირებს მისწერეს: ტახტის კანონიერი მემკვიდრე ფარსშია, ჩვენი და იმამყული-ხანის ჯარები სულ მალე მის დროშას აღმართავენ ისპაანში!

მაგრამ არც შაჰ-სეფის ეძინა. მან სასწრაფოდ უბოძა ყარაბაღის პროვინცია მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლის, ხოლო ქართლი და კახეთი — ხოსრო-მირზას, აწ როსტომ მეფედ წოდებულს.

საქართველოსაკენ დაძრულ ყიზილბაშთა უზარმაზარ ლაშქარს სათავეში ჩაუყენეს როსტომ-ხან საკაძე, ბეგლარბეგი თავრიზისა და სპასალარი ირანისა.

1632 წლის 1 დეკემბერს შაჰ-სეფი ისპაანიდან გავიდა. სიცივე და წვიმა გაძლიერდა. მერე სულ გაფუჭდა ამინდი. რამდენიმე დღე გადაულებლად თოვდა. შაჰი თავისი ამალით ყაზვინში შეჩერდა.

სწორედ აქ შოართვეს დაუდ-ხანისა და თეიმურაზის წიგნები შირვანისა და ერევნის ამბრებისადმი.

შაჰ-სეფის მეტიც არ უნდოდა! იმამყული-ხანის სახელზე გამოვიდა ბრძანება, რომ დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო სამეფო კარზე თავისი უფროსი ვაჟიშვილი.

ახლა შირაზის ხანს ეკუთვნოდა სიტყვა. თუ იგი სამხრეთიდან შეუტევდა შაჰ-სეფის, ამით ორ ცეცხლშუა მოაქცევდა და აიძულებდა ისპაანისაკენ მობრუნებას. სწორედ ასეთ გაგრძელებას ვარაუდობდა თეიმურაზი. სეფიანთა ახალგაზრდა ხელმწიფე თუ არ დამარცხდებოდა შირაზის ხანთან ომში, დასუსტებით მაინც დასუსტდებოდა, გაზაფხულზე ისევ შეუტევდა თეიმურაზი, ოსმალეთიც წამოეშველებოდა და ოცდამეერთე გაზაფხული შესაძლოა უკანასკნელი გაზაფხული გამზდარიყო შაჰ-სეფისათვის.

არქანჯელო ლამბერტიმ ჯერ არ იცის გათამაშებული დრამის ფინალი და 1632 წლის დამლევს მარჩიელობს, ან ბოლოს მოუღებენ შაჰ-სეფის, ტახტზე ავა ვაჟი განსვენებული შაჰ-აბასისა და, ამგვარად, ძმები უნდილაძეები დაეპატრონებიან მთელს ირანს, ანდა გაიმარჯვებს შაჰ-სეფი, მოსპობს ორივეს, მერე — თეიმურაზსაც და ჩვენც იძულებული ვიქნებით გავექცეთ ყიზილბაშთა გამძვინვარებასო...

გაცრუება ეწერა იტალიელი მისიონერის იმედს ირანში უნდილაძეთა გაბატონებაზე.

უფროსმა ძმამ მხარი ვერ აუბა დაუდ-ხანს და თეიმურაზ მეფის თამამი წამოწყებაც გაუმართლებელ ავანტიურად გადაიქცა შომავალი თაობების თვალში.

რატომ არ განხორციელდა მოსალოდნელი შეტევა შირაზის ხანის მხრიდან? რამ გამოიწვია დაგეგმილი აჯანყების ჩაშლა?

არქანჯელო ლამბერტი იმოწმებს ისპაანში მყოფ ავგუსტინელ მისიონერთა ინფორმაციას. თურმე შირაზის ხანს ელჩები გაუგზავნია ინდოეთში პორტუგალიელებთან, ჰპირდებოდა ათი წლის წინათ წართმეული ჰორმუზის დაბრუნებას, თუ ისინი დაეხმარებოდნენ ირანის შაჰის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეტყობა, ეს მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა და მარტო თავის ძალებს აღარ ენდო შირაზის ხანი. ამაზე დამაჯერებელი მოტივი არ ჩანს.

ასეა თუ ისე, იმამყული-ხან უნდილაძე მობრუნდა აჯანყების

სახიფათო ბილიკიდან და გაუყვა მორჩილების საიმედო შარაგზას. მაგრამ თითქოსდა საიმედო შარაგზამ ვერაგულად გადაჩეხა იგი შაჰის შურისძიების უფსკრულში.

სახელგანთქმული შირაზის ხანი ეახლა სეფიანთა ირანის მბრძანებელს ყაზვინში და ჰიკვდილით იქნა დასჯილი თავის შვილებთან ერთად.

საქართველოში კი მოუთმენლად ელოდნენ უფროსი უნდილაძის აჯანყებას და არ იცოდნენ, რომ დაწყებული იყო დრამის მესამე ძოქმედება: ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქარი უკვე მოდიოდა საქართველოზე...

არქანჯელო ლამბერტი აღწერს თეიმურაზის მიერ გადახდილ ნადიმს (ქალაქ გორში). კედლები ულამაზესი ხალიჩებით ყოფილა მორთული და ძირსაც ძვირფასი ხალიჩები ეფინა. ქართლ-კახეთის მეფეს მარცხნივ დაუდ-ხანი ეჯდა, მარჯვნივ — თავისი სიძე ალექსანდრე ბატონიშვილი. შემდეგ ისხდნენ: დათუნა ბატონიშვილი (თეიმურაზის ვაჟი), სარდალი იოთამ ამილახორი, სომეხთა პატრიარქი, კათოლიკე მისიონერები და ორმოცდაათამდე დიდებული ქართლ-კახეთისა და იმერეთისა (საინტერესო შტრიხია: ოთხი სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენელთ ვხედავთ ამ მეგობრულ სუფრაზე). შუადღიდან შუაღამემდე გაგრძელებულა ლხინი. ულხვად იყო ათასნაირი ხორაგი, ხოლო ღვინო — ისეთი რაოდენობით, რომ დაუჯერებელიაო, შენიშნავს იტალიელი მისიონერი.

პიეტრო ავიტაბილეს მიხედვით, საქართველოში ფიქრობდნენ, რომ შაჰ-სეფის არ ძალუძს ჯარის გამოგზავნა, რადგანაც, ერთი მხრივ, ოზბეგებს ეომება და, მეორე მხრივ, ყოველ წუთს მოსალოდნელია ბაღდადზე ოსმალთა თავდასხმაო. ზოგი იმასაც ამტკიცებდა, იმამყული-ხანი აჯანყდა და საცაა ისპაანს აიღებსო.

მაგრამ 1633 წლის იანვრის დამდეგს უკვე ცნობილი გახდა ყიზილბაშთა ლაშქრის მოახლოება.

პიეტრო ავიტაბილე მოგვითხრობს: თეიმურაზი, უმამაცესი პიროვნება, სულით არ დაცემულა და მაშინვე ბრძანა ჯარის შეყრა. იმედი ჰქონდა ციხესიმაგრეებისა და ქართველთა სიმამაცის. არც ყიზილბაშთა მრავალრიცხოვნებას აუღელვებია იგი, ვინაიდან

კარგად იცოდა, რომ ძალზე ხშირად ოცი ათას ქართველს გაუქცევია ბრძოლის ველიდან სამოცი ათასი ყიზილბაში.

ჯუსტო პრატო წერს, რომ არ გამოვიდნენ საომრად არც ქსნისა და არაგვის ერისთავები, არც სარდალი ამილახორი და არც ფარსადან ციციშვილი, რომელიც თავისი ძალაუფლებით ერისთავთა ტოლი არისო (ქართული წყაროების თანახმად, თეიმურაზს ეახლა მხოლოდ სარდალი იოთამ ამილახორი). თავადებმა იმით იმართლეს თავი, რომ განჯა-ყარაბაღის ლაშქრობა, ყიზილბაშთა საქართველოში შემოსევის მიზეზი, ჩატარდა უნებართვოდ დივანისა (ასე უწოდებენ ქართველები თავის პარლამენტსო, განმარტავს იტალიელი მისიონერი).

საგულისხმო ცნობას გვაწვდის ფარსადან გორგიჯანიძე: „ჯახნი ქართველთზედ (ე. ი. ქართლელებზე) ამაყობდეს და ხმლით დაჭირულს ეძახდეს, უპატიოთაც ეპყრობოდეს. ქართველთ გული გააგებოდა და ბატონის თეიმურაზის ბატონობა არ უნდოდათ“.

აუცილებელია სხვა მომენტების გათვალისწინებაც.

ჯუსტო პრატოს სიტყვით, სეფიანთა ირანის ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს ქართველობა შეადგენდა (საქართველოდან გადასახლებულნი თუ მათი გამაჰმადიანებული შთამომავლები), ამიტომაც აღარავინ ფიქრობდა წინააღმდეგობის გაწევას, ვინაიდან თითქმის ყოველ ქართველს ვიღაც თავისიანი ეგულებოდა როსტომ მეფის ლაშქარში. ზოგი შვილს ელოდა, ზოგი — შამას, ზოგიც — ძმასა და ბიძაშვილს.

თეიმურაზი დარჩა სამი ათასი კაცის ანაბარა. მოვიდა სარწმუნო ცნობა, როსტომ მეფე უკვე თბილისში არისო. თეიმურაზს სხვა გზა აღარ ჰქონდა გარდა გაქცევისა. მან ასე მიმართა თავის შეთხელებულ მხედრობას: „ძმებო, უნდა გავეცალოთ აქაურობას, რამეთუ არ ძალგვიძს ესოდენ ურიცხვი მტრის გამკლავება“ (იტალიელ მისიონერთა ერთობლივი მოწმობით, სეფიანთა ირანის ლაშქარი ას ოცი ათასი კაცისაგან შედგებოდა. რაც უნდა გაზვიადებული იყოს ეს ციფრი, იგი მაინც მეტყველებს შემოსეულთა სიმრავლეზე).

ჯუსტო პრატო ასკვნის, ქართველთა ჯარი რომ შეკრებილიყო, უეჭველია, ყიზილბაშები ვერ გაბედავდნენ ომს, ისინი თეიმურაზის სახელის გაგონებაზეც კი კანკალებენო.

უბრძოლველად ძლეული მეფე მთელი თავისი ამალით დაიძრა იმერეთისაკენ. ნაცნობი 'მარშრუტი მეხსიერებაში აცოცხლებდა შუხარე მოგონებებს ოცი წლის წინანდელ გაქცევაზე. გულსაკლავად ქვითინებდა ხორეშან დედოფალი და წყევლიდა მუხთალ ბედს, რომელმაც ერთი დაკვრით წაართვა მის მეუღლეს მეფობა და სამეფო.

იწყებოდა თეიმურაზის ცხოვრების ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთარი.



ამბავი ხოსრო ბატონიშვილისა

1629 წლის იანვარში მოულოდნელად გარდაიცვალა სეფიანთა ირანის გამოჩენილი ხელმწიფე შაჰ-აბასი. მისი სიკვდილის შემდეგ, როგორც გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი, „ყიზილბაშ ამირებს შფოთი აუტეხიათ. „მაშინ ხოსრო-მირზამ შემოიკრიბნა ყულნი, გამოიყვანა შაჰ-სეფი და დასვა ყეენად და მოსრნა წინააღმდგომნი“.

ვახუშტის ამ ცნობას ერთხმად ადასტურებენ სხვა წყაროები ქართულიცა და უცხოურიც.

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ადამ ოლეარიუსი მოგვითხრობს:

„ზანდარანში ყოფნისას შაჰ-აბასი ავად გამხდარა. მკურნალობამ ველარ უშველა სასიკვდილოდ განწირულს და ძლევამოსილი ხელმწიფე მიხვდა, რომ მართლაც უძლეველი მტერი შემოპარვოდა სასახლეში. მომაკვდავმა ანდერძი დატოვა — ტახტზე უნდა ასულიყო მისი შვილიშვილი საამ-მირზა.

ვარსკვლავთმრიცხველმა განაცხადა, ვარსკვლავები იმას მეტყველებენ, რომ საამ-მირზა მხოლოდ თვრამეტ თვეს იმეფებსო. შაჰ-აბასი ძლიერ შეწუხდა, მაგრამ ჯიუტად იდგა თავისაზე — რამდენსაც შეძლებს, იმდენი იმეფოს, თუნდაც სამი დღე იმეფოს, ოღონდ კი დაიდგას თავზე გვირგვინი, შამამისს რომ ეკუთვნოდაო.

შაჰ-აბასი, ეტყობა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც განიცდიდა თავის ყველაზე შემაძრწუნებელ ბოროტმოქმედებას — ღვიძლი შვილის მკვლელობას...

თხუთმეტიოდე წლის წინათ სამეფო კარის დიდებულთა ჯგუფმა საიდუმლოდ მისწერა შაჰ-აბასის უფროს ვაჟს სეფი-მირზას, შამაშენის გადმოგდება გვინდა, შენ უნდა აგიყვანოთ ტახტზეო. სეფიმ დაუყოვნებლივ მიართვა წერილი მამას. შაჰ-აბასი კმაყო-

ფილი დარჩა შვილის ერთგულებით, მაგრამ გულში ეჭვი ჩაებუდა და აღარ მოასვენა. ღამღამობით რამდენჯერმე იცვლიდა საწოლს ღალატის მოლოდინში. ბოლოს დაასკვნა, რომ მხოლოდ უფლისწულის სიკვდილი გაუქრობდა ეჭვსა და შიშს. შაჰის სულში გაჩენილ ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალიღა აკლდა, როდესაც ენა მიუტანეს, სეფი-მირზა ხანებთან ერთად შეთქმულებას ამზადებს ტახტის ხელში ჩასაგდებადო.

შაჰ-აბასმა სასწრაფოდ დაიბარა თავისი სახელგანთქმული სარდალი ყარჩიღა-ხანი და უფლისწულის მოკვლა დაავალა. ყარჩიღა-ხანმა ხმალი შემოიხსნა, ფეხქვეშ ჩაუვარდა მბრძანებელს და მოახსენა, მირჩევნია თავი წავაგო, ვიდრე შაჰის ვაჟზე აღვმართო ხელიო. მაშინ შაჰ-აბასმა იხმო ვინმე ბებუთ-ბეგი, რომელიც უყოყმანოდ დაემორჩილა „ალაჰის ჩრდილის“ გაუგონარ ბრძანებას და განგშირა მისი პირმშო.

ვერაგულად მოკლულ სეფი-მირზას დედა ქართველი ჰყოლია. იგი თავისი გონიერების გამო შაჰ-აბასის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდაო. შვილის სიკვდილი რომ შეიტყო, თმაგაშლილი და აკივლებული მივარდა შაჰს. აღარაფერი ახსოვდა გაოგნებულს, აღარაფრისა ეშინოდა, თურმე გაარტყა კიდეც მრისხანე მეუღლეს და ასე მიმართა: „სისხლისმსმელო, რატომ მოჰკალი საკუთარი სისხლხორცი, ახლა ვიღა იმეფებს შენს შემდეგ, რატომ განწირე შენი ქვეყანა, რა დაგიშავა ჩემმა შვილმა, რომელსაც ასე ძალიან უყვარდი?!“

თავისი ავკაცობით თავზარდაცემული შაჰ-აბასი ერთხანს ხმას ვერ იღებდა, უმწეოდ უსმენდა შვილის დაკარგვით გამძვინვარებულ დედას და ბოლოს ცრემლმორეულმა თქვა: „რა ვქნა, მითხრეს, ღალატი განიზრახაო. ახლა აღარაფერი ეშველება ამ საქმეს. რაც მოსახდენი იყო, მოხდა“.

ძწუხარებამ და სინანულმა შეიპყრო შვილისმკვლელი. თურმე ათი დღე ბნელში იჯდა, საჭმელ-სასმელს ვერ ეკარებოდა და ცრემლი არ შეშრობია თვალზე.

იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს ცნობით, შაჰ-აბასმა ბრძანება გასცა, რომ სეფი-მირზას შესახებ არავის არასოდეს არც ელაპარაკა, არც დაეწერა, არც ემღერა და არც ლექსები შეეთხზა, რათა არ განახლებულიყო მისი მწუხარება.

უბედური უფლისწულის სახელის ხსენებაც კი დანაშაულად ითვლებოდა.

გამოხდა ხანი და თავის ბრმა იარაღზე იყარა ჯავრი სეფიანთა ხელმწიფემ. ახლა შენი შვილი მოჰკალო, უბრძანა ბებუთ-ბეგს. ისიც კვლავ უყოყმანოდ დაემორჩილა ბრძანებას. შაჰ-აბასმა ნიშნის მოგებით განუცხადა: „უკვე გეცოდინება, რა განიცადა ჩემმა გულმა, როდესაც მომიკალ შვილი. თავი ინუგეშე იმით, რომ ერთ ბედქვეშა ვართ!“

ჩირის ფასი ჰქონდა ადამიანის სიცოცხლეს სეფიანთა საბრძანებელში. სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის სიტყვით, თუ შაჰ-აბასი უბრძანებდა ვინმეს საკუთარი შვილის მოკვლას, განაჩენი-მაშინვე უნდა აესრულებულიყო მსგავსად განგების ნებისა. თუ მამა მშობლიური გრძნობების გამო დააყოვნებდა, ახლა შვილს უბრძანებდნენ მამის მოკვლას და თუ შვილიც შეყოყმანდებოდა, სხვა აუგებდა წესს მამასაც და შვილსაც. ასეთი თავზარდამცემი სისასტიკის (თუ სადიზმის?) შედეგად ვეღარავინ ბედავდა თუნდაც ერთი წამით შეეფერხებინა შაჰ-აბასის განაჩენი, ისევე გარდუვალი, როგორც ბედისწერა.

ხელმწიფის უზენაესი ეპვიანობის კიდევ ორი უფლისწული შეეწირა. მათ თვალები დათხარეს. სამაგიეროდ თავს ევლებოდა ტრაგიკულად დაღუპული უფლისწულის ვაჟს, საამ-მირზას.

შაჰ-აბასის სიკვდილამდე ათი წლით ადრე პიეტრო დელა ვალე წერდა: შაჰს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ მისი მემკვიდრე იქნება საამ-მირზა. ასე ლამობდა ჩადენილი ცოდვის გამოსყიდვას და თანაც იმედოვნებდა, ჯერ ხომ ვერ შემეცილება მეფობასო. საამ-მირზა შვიდი წლის ბავშვი იყო მაშინ...

მაგრამ მომაკვდავმა შაჰ-აბასმა იცოდა, რომ გვირგვინს სხვა პრეტენდენტიც ჰყავდა, ასევე მისი შვილიშვილი, ვაჟი ისა-ხან ყორჩიბაშისა. ისიც იცოდა, რომ მარტო ანდერძი ვერ გაჭრიდა. გარდაცვლილი ხელმწიფე ვეღარ დააშინებდა ყიზილბაშებს. ანდერძს ხმალი უნდა ამოსდგომოდა მხარში. არქანჯელო ლამბერტის ცნობით შაჰ-აბასმა თავისი ანდერძის განხორციელება მიანდო ხოსრო-მირზას, ირანის ქართველ ყულარაღასს.

ხოსროს პაპა იყო ქართლის სახელოვანი მეფე ლუარსაბ პირველი, მამა — დავითი, ავტორი ქართულ სააქიმო წიგნისა („იადიგარ-დაუდი“), დედა — წავკისელი გლეხის ქალი. ირანში აღზრდი-

ლი ქართველი ბატონიშვილის დაწინაურებას სეფიანთა სამეფო კარზე ხელი შეუწყო გიორგი საკაძენ. ხოსრო-მირზა დანიშნულ იქნა ისპაანის ტარუღად. წლების მანძილზე უნარიანად უძღვებოდა უზარმაზარი ქალაქის მმართველობას, ომებშიც გამოიჩინა თავი და ბოლოს ყულარაღასობა უბოძეს.

ახლა მას ემორჩილებოდა სეფიანთა სამხედრო ძალების საუკეთესო ნაწილი — ყულის ჯარი ანუ შაჰის გვარდია, შედგენილი ძირითადად ქართველი მხედრებისაგან. მათი თანხლებით ქართველმა ბატონიშვილმა სასახლეში შეიყვანა ჩვიდმეტი წლის საამ-მირზა და დიდებულთა წინაშე წაიკითხა განსვენებულთ ხელმწიფის ანდერძი. საამ-მირზას თავისი მამის კუთვნილ გვირგვინთან ერთად მამისავე სახელი (სეფი) უნდა მიეღო. ასე რომ, ტახტზე ავიდა შაჰ-სეფი.

პიეტრო ავიტაბილეს სიტყვით, ხოსრო სათავეში ედგა ქართულ ფრაქციას, ყველაზე ძლიერს ირანში და მან იოლად დასძლია მეორე პრეტენდენტის მომხრე ყიზილბაშთა გარკვეული წინააღმდეგობა. ისპაანის ერთ ციხეში გამაგრებულმა ისა-ხან ყორჩიბაშმა მოასწრო კიდეც თავისი ვაჟის დალოცვა შაჰად, მაგრამ ციხე უკვე ალყაშემორტყმული იყო და ყორჩიბაში მიხვდა, რომ ვერ გაუმკლავდებოდა ყულარაღასს. სისხლისმღვრელ შეტაკებას მოერიდა და უზენაეს მბრძანებლად აღიარა შაჰ-სეფი.

სეფიანთა დინასტიის ახალი შაჰი ტახტზე აიყვანა ქართლის ბაგრატიონთა ნაშიერმა და ქართლის შომავალმა მეფემ, ქართველი მხედრების მხარდაჭერით. ეტყობა, უყვარს ისტორიას ასეთი პარადოქსები!

შაჰ-სეფის არ დავიწყებია არც ხოსრო-მირზას ერთგულება და არც ისა-ხან ყორჩიბაშის პატივმოყვარე წადილი.

იტალიელი ისტორიკოსის ბართოლომეო ფეროს მიხედვით, იმავე წლის ზაფხულში ისა-ხანმა ბრწყინვალე ნადიმი გამართა ქალაქგარეთ. თითქმის მთელი სამეფო კარი იყო მიწვეული სტუმრად. ბევრი ღვინის სმამ ენა გაუხსნა ერთ კარისკაცს. მან ხოტბა შეასხა ყორჩიბაშს ასეთი ლხინის გადახდისათვის, მერე მისი ვაჟის (ტახტის ყოფილი პრეტენდენტის) მეფური შესახედაობა შეაქო და ხმამაღლა წარმოთქვა: „ვაი ჩვენ, რომ ირანის ხელმწიფედ გამოვაცხადეთ ნამდვილი არარაობა. აი, ვინ იმსახურებს გვირგვინს!“ და თითი გაიშვირა ყორჩიბაშის ვაჟისაკენ.

ყველაფერი მაშინვე მოახსენეს შაჰ-სეფის. მან მეორე დილით იხმო ენამჭევრი კარისკაცი და ალერსიანი საუბარი გაუბა. ჯერ ჰკითხა, იყავი თუ არა წუხანდელ ნადიმზეო. მერე ათქმევინა, თუ რამდენი სტუმარი ესწრებოდა; რა და რა საჭმელი იყო სუფრაზე, რამდენი ღვინო შეისვა. სეფიანთა ახალგაზრდა ხელმწიფე ნელ-ნელა უახლოვდებოდა მთავარს. რაზე საუბრობდითო, დაინტერესდა. ყურადღებით უსმენდა. ისევ და ისევ ეკითხებოდა დაჟინებით: „და კიდევ რა ითქვა სხვა?“

ბოლოს ხელები გაშალა კარისკაცმა, მეტი არაფერი მახსოვსო. მაშინ შაჰ-სეფიმ ხმას აუწია; „თუ სხვა აღარაფერი გახსოვს, მე შეგახსენებ იმას, რაც შენ თქვი წუხელ და ახლა თავს იკატუნებ. ვითომდა არ მახსოვსო. თურმე ნანობ ჩემთვის გაწეულ სამსახურს. ღლეს კი მართლა განანებ იმას, რაც ჩემს წინააღმდეგ წამოროშე!“

შაჰის სასჯელი სასტიკი იყო. ვინ დაუშლიდა ანდა ხელს ვინ შეუშლიდა...

სიკვდილით დასაჯეს ტახტის უიღბლო პრეტენდენტიც თავის ემცროს ძმასთან ერთად. შაჰ-სეფიმ მოკვეთილი თავები გაუგზავნა ყორჩიბაშის ცოლს (ანუ თავის მამიდას). შაჰ-აბასის ასულმა წარბიც არ შეხარა და ცივად წარმოთქვა: ასე დაემართება ყველას, ვინც ჩვენი მბრძანებლის ღალატს გაივლებს გულშიო.

მეუღლეზე მეტად თავი გამოიდო ყორჩიბაშმა. მან უმორჩილესად განუცხადა შაჰ-სეფის: რომ გებრძანებინა, მე თვითონ მოვკვეთდი თავს ორივე შვილსო!

ამას ამბობდა ის კაცი, რომელიც ყიზილბაშთა ლაშქრის მთავარსარდალი იყო მარაბდის ომში. მართლაც რომ ძაღლურმა „ერთგულებამ“ ვერ გადაარჩინა სიკვდილით დასჯას ისა-ხან ყორჩიბაში. ცოტა ხნის შემდეგ ისიც ვააყოლეს შვილების კვალს.

ახალი შაჰისათვის გაწეულმა სამსახურმა „დაცვის სიგელი“ მოუხვეჭა ხოსრო-მირზას. მისი ბედის ვარსკვლავი თამამად ჭახჭახებდა სეფიანთა ირანის პირქუშ ცაზე.

ხოსრო-მირზამ თავისი გავლენით დაჩრდილა თვით იმამყული-ხან უნდილაძე, უპირველესი ფავორიტი შაჰ-აბასისა.

ვახუშტის სიტყვით, მადლიერი შაჰ-სეფი მამას უწოდებდა ქართველ ყულარაღასს. ფარსადან გორგიჯანიძე მეტსაც ამბობს: „ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხოდა“.

1632 წლის დამლევს შაჰ-სეფიმ თავის მამობილს ქართლის მე-

ფობა უწყალობა. ხოსრო-მირზა წარსულს ჩაჰბარდა. ასპარეზზე გამოვიდა როსტომ მეფე.

ქართლის ახალ მეფეს ლაშქარი გააყოლეს ირანის სპასალარ როსტომ-ხან საყაძის სარდლობით. 1633 წლის დამდეგს როსტომ მეფე უკვე თბილისში იყო.

თანადამხვდური და თვითმხილველი ავტორი, იტალიელი მისიონერი ჯუსტო პრატო მოგვითხრობს:

19 თებერვალს, შუადამისას გორში მოვიდა მაცნე და ყვირილი მორთო, ხალხო, თავს უშველეთ, თეიმურაზ მეფე იმერეთს გაიქცა და ირანის ლაშქარი ქართლში შემოვიდაო. ახალმა ამბავმა შიშის ზარი დასცა ყველას. მთელი ქალაქი ფეხზე დადგა, დაიწყეს გახიზვნა ულრან ტყეებსა და მთებში. მისიონერებს კი მაინცდამაინც არ შეშინებიათ, რადგან იცოდნენ, რომ ქართლის ახალ მეფეს მრავალი ღვაწლი მიუძღოდა ისპაანის მისიონერთა წინაშე, ყოველთვის მფარველობდა და პატივს სცემდა.

გორში დასახლებული მისიონერები დილით ცხენზე შესხდნენ და საჩუქრებით ხელში გაემართნენ ახალი მეფის შესახვედრად. მაგრამ გამოირკვა, რომ იგი ჯერ სამი დღის სავალზე იყო გორიდან და მისიონერები საღამოსვე უკან დაბრუნდნენ, ქალაქგარეთ ხიფათს არ გადავეყაროთო.

როდესაც გორს მიუახლოვდა როსტომი, ქალაქის წარმომადგენლები შეეგებნენ. მან გულუხვად დაასაჩუქრა ისინი, ფარჩის ხალათები უბოძა და მათი თავკაცი გორის მამასახლისად დანიშნა. შემდეგ შიკრიკი გაუგზავნა მისიონერებს, ნურაფრის შეგეშინდებათ. ძალზე მოხარული ვარ, რომ „ფრანგები" (ე. ი. ევროპელნი) ჩემს სამეფოშიც მოიპოვებიანო. ისევე როგორც თეიმურაზის დროს. მისიონერები ახლაც გაათავისუფლეს გადასახადისაგან. როსტომ ძეფემ განუცხადა მათ: წყლის, ქარისა და მზის გარდა, ვერავინ გაბედავს დაუკითხავად შემოსვლას თქვენს სახლშიო.

ლაშქრის ავანგარდი განლაგდა ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, რომ არ გაეპარტახებინათ ბაღები და ნათესები.

31 მაისს გორთან მოიყარა თავი მთელმა ლაშქარმა. ქალაქიდან გასასვლელი გზები გაჭედილი იყო მეომრებით, ცხენებით, აქლემებით, ხარებითა და კარვებით.

ლაშქარი გორში იმყოფებოდა 12 ივლისამდე. კირითა და გაუთ-

ლელი ქვით ააშენეს ციხე ქალაქის შუაგულში მდებარე მთაზე-თურმე მუშაობდნენ „სასწაულებრივი სისწრაფით“ და ოცდახუთ დღეში ციხე მზად იყო. სხვაგანაც გაამაგრეს ციხეები (ქართული და სპარსული წყაროების მიხედვით — სურამში და ალავერდის ტაძართან).

გორის ციხეში ჩააყენეს ხუთასი ყიზილბაში მეთოფე და გააწყვეს თხუთმეტი ზარბაზანი.

როსტომ-ხან სააკაძის მეომრები იქცეოდნენ დიდი ზრდილობითა და თავმდაბლობით, არაფერს აშავებდნენ და ნაყიდი საქონლის ფასს კეთილსინდისიერად იხდიდნენ. ჯუსტო პრატო ასკვნის. ქართველებს არავითარი საფუძველი არა აქვთ პროტესტისათვის. ხოლო თეიმურაზის საქმე წასული არისო.

როსტომ მეფე მთელი თავისი ამალით სტუმრად ეწვია მისიონერთა ეკლესიას და ინტერესით დაათვალიერა იქაურობა. ლარის ხანმა ოცდათექვსმეტი სკუდო აჩუქა მისიონერებს ერთ პატარა ნაჭატში. ეს იყო არქანჯელო ლამბერტის ნამუშევარი — ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი. მისიონერებმა როსტომ მეფეს უძღვნეს სურათი ქალაქ გორისა, ახლად აშენებული ციხითურთ. როსტომს ძალიან მოსწონებია საჩუქარი.

როდესაც ირანის ლაშქარი აიყარა გორიდან, მეფემ მოსვენება დაკარგა. თავის მცველთა რაზმს სამასი კაცი დაუმატა და ესეც ეცოტავებოდა. ქართველებმა არ მიღალატოხო, ფიქრობდა და ღამეებს თეთრად ათენებდა ერთგულ მხლებლებთან ერთად. ყოველ ღამით იმართებოდა საზეიმო ლხინი, განუწყვეტლივ ისმოდა დოლ-საყვირისა და ჰაერში სროლის ხმები. მხოლოდ მზის ამოსვლისას წვებოდა დასაძინებლად მეფე. ასე გააატარა ივლისი და აგვისტო.

ჯუსტო პრატოს რელაციაში დასასრულს აღნიშნულია, რომ ოქტომბრის დამდეგს გორში ქარავანი ჩამოსულა თავრიზიდან და ტყვია-წამლის მარაგი ჩამოუტანია შეციხოვნეთათვის.

...ქართლის თავადებმა მორჩილება გამოუცხადეს თავიანთ კანონიერ მეფეს, ქართლის ბაგრატიონთა ჩამომავალს. მარტო ფარსადან ციციშვილი არ ეახლა როსტომ მეფეს, ისიც — სპასალარ როსტომ-ხან სააკაძის შიშით („იმისთვის ვერ მოვიდა, — გვამცნობს ქართული წყარო, — რომ სარდლის სახლზედა ძალი და უსამართლო მოუძღოდა“).

სააკაძის შურისძიებას უფრთხოდა ციციშვილი და მაინც ვერ

აიცდინა. ირანის სპასალარმა მაშინვე ისარგებლა შემთხვევით, ხელზე დაიხვია მისი ურჩობა და ლაშქარი შეუსია საციციანოს.

ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს: „ეს როსტომ მეფემ იწყინა და სარდალს კაცი მიუგზავნა: თავად საქართველო აოხრებული არის, რაც დარჩომილა, იმასაც თქვენ ამიოხრებთო, მაშ მე რისიღა ბატონი ვიქნებიო“.

როსტომ-ხან სააკაძეს არ ეჭაშნიკა როსტომ მეფის საყვედური და გაწყრა. ორივემ არზა მისწერა შაჰ-სეფის. ირანის მბრძანებელმა ქართლის მეფეს დაუჭირა მხარი და საქართველოდან გაიწვია სპასალარი. „რა სარდალი საქართველოს გაეცალა, ფარსადან ციციშვილი და ან სხვანი საცა დახიზნულიყვნენ, ყველანი მოვიდნენ. დაიწყეს აშენება, ხვნა, თესვა“, — აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე.

ქართველი ხალხის გმირულმა ბრძოლამ დღის წესრიგიდან მოხსნა საქართველოს გაყიზილბაშების ეხერგიული პოლიტიკა. რომლის სულისჩამდგმელი იყო შაჰ-აბასი. ირანის ძლევამოსილი ხელმწიფე ისე ჩავიდა საფლავში, რომ თავის ნებაზე მაინც ვერ გადაჭრა „გურჯისტანის საკითხი“. მარაბდაში დაღვრილ სისხლს უქმად არ ჩაუვლია. სეფიანთა სახელმწიფომ ვერ შთანთქა საქართველო, თუმცა წელში გატეხა და დაასუსტა. სამაგიეროდ ყიზილბაშებიც დასტა-დასტად ჩაწვდნენ მიწაში, მარაბდის ველზე თუ ბარტყოფთან, ქსნის ხეობაში თუ წიწამურთან, და ვინ მოთვლის კიდევ რამდენ ადგილას გაეთხარათ სამარე.

თავის საბოლოო მიზანს ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. ორივე იძულებული გახდა, რომ ხმალი ქარქაშში ჩაეგო და დათმობაზე წასულიყო. არც ყიზილბაშებს ეთქმოდათ გამარჯვება და არც ქართველებს — დამარცხება. ქართველი ხალხი რჩებოდა თავის მიწაზე, მას აღარ ემუქრებოდა აყრა-გადასახლება. სამეფო ტახტზე იჯდა არა ყიზილბაში ხანი, არამედ ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი.

ამდენი ომით ღონეგამოლეულ ქვეყანას მოსვენება სჭირდებოდა, ფიზიკური მოსპობის პირას რომ არ მისულიყო ქართველი ერი. თეიმურაზთან ბრძოლაში თვით ცხოვრებამ გადაწონა გამარ-

ჯვების სასწორი როსტომ მეფის მხარეზე. კიდევ ერთხელ დადასტურდა ძველად ნათქვამი სიბრძნე, რომ ყველაფერს თავისი ჟამი აქვს ამქვეყნად; რომ არსებობს ჟამი წყლულებისა და ჟამი კურნებისა, ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა, ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა, ჟამი გოდებისა და ჟამი განცხრომისა, ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა.

როსტომ მეფემ, „შორსმჭვრეტელმა სახელმწიფო მოღვაწემ" (როგორც ახასიათებს მას ინგლისელი ქართველოლოგი დ. ლენგი), მთელი თავისი ნიჭი და ენერგია იქითკენ მიმართა, რომ მოეშუშებინა მრავალგზის დარბეული მიწა-წყლის ჭრილობები. შეწყდა ყიზილბაშთა თარეში, ირანიდან სამშობლოში დააბრუნეს ტყვედ წაყვანილი ქართველები. გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა, შეუდგნენ გზებისა და ხიდების მშენებლობას. „როსტომმა ყველგან აღადგინა მშვიდობა და წესრიგი, მართავდა ქვეყანას დიდი მოწყალებითა და სამართლიანობით", — წერდა ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი.

ქართლის მეფემ ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავარის ლევან დადიანის და მარიამი („მზე შავის ზღვით ამოსული", როგორც ამბობს ფარსადან გორგიჯანიძე).

როსტომის სახელოვანმა თანამეცხედრემ დიდი ამაგი დაუდო ქართულ კულტურას. გადაწერილ იქნა „ქართლის ცხოვრება". დღეს რომ მარიამ დედოფლისეულს ვუწოდებთ. მისივე კეთილისმყოფელი გავლენით, ქართლის მაჰმადიანი მეფე ქრისტიანობაზე ზრუნავდა. ბერი ეგნატაშვილის სიტყვით, როსტომმა ქართული სამღვდელოება იმით დაიერთგულა, რომ „ყოველთავე ჯამაგირი განუწესა, თავდაბლად და ტკბილად ექცეოდა... აღაშენა წმინდა კათოლიკე ეკლესია, მცხეთის გუმბათი და სხვანიცა რომელნიმე მოოხრებულნი ეკლესიანი აღაშენნა".

ცხადია, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ როსტომ მეფემ „ქართველობის" შენარჩუნებასთან ერთად გზა გაუხსნა „ყიზილბაშურ" გავლენას საქართველოს ყოფა-ცხოვრებაში. ერთდროულად მფარველობდა ქრისტიანებსაც და მაჰმადიანებსაც. ამის გამო ცხარე საყვედურებს გამოთქვამენ მისი მისამართით იგივე ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი.

როსტომის მოღვაწეობის ორმხრივი ხასიათი სათანადოდ არის ხაზგასმული და შეფასებული ქართულ ისტორიოგრაფიაში (ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. გაბაშვილი): არც ავია მიჩქმალული, არც კარგი.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ქართველმა ხალხმა სული მოითქვა, საქართველო „აღდგომისა და გამოხსნისათვის" ძალას იკრებდა, სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ემზადებოდა.

წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა...

ქართული ხალხური საისტორიო პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს შორის ერთი-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ლექსს, რომელსაც ჰქვია „დათუნა ბატონიშვილი“.

ლექსის პირველივე სტრიქონები ხიბლავს მკითხველს ორიგინალური სახეებითა და იდუმალების ბურუსით. წარსულის უკაცრიელ მდუმარებაში თითქოსდა რეკავს სამგლოვიარო ზარი, ყრუდ აღწევს მისი ხმა ჩვენამდე და თუმცა ჯერ არაფერი თქმულა კონკრეტული, გუმანით გრძნობ, რომ ასეთი დასაწყისი შემთხვევითი როდია, რომ მძიმე და დაძაბულ მოლოდინში სადაცაა შემოიჭრება ტრაგიკული ამბავი, რომელმაც ბიძგი მისცა ამ ლექსის დაბადებას. „იმერეთის მთას გადადის აქლემთა ნატოტარიო, წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა, დამდგარა ნაგუბარიო, ვარდის ჩაყრილა ფურცელი. დაღბერნეს, დასძრავს ქარიო...“ (დამოწმებულია პ. უმიკაშვილის შიხედვით).

ჩაიკითხავ ლექსს ბოლომდე და თანდათან იფანტება ნისლი.

ყველაფერი გასაგები და ნათელი ხდება. ლექსის გმირი გმირულად დაღუპულა ომში და პირველი სტრიქონები მისი დატირების პროლოგი ყოფილა.

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების გამოცემებში ზემოხსენებულ ლექსს მიაკუთვნებენ XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ვითარების ამსახველ ნაწარმოებთა რიცხვს და იგი შეტანილია ერეკლე მეორის ციკლში.

მართებულია თუ არა ასეთი კვალიფიკაცია?

ლექსის მთავარი მოქმედი პირი გახლავთ დათუნა ბატონიშვილი. „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ამ სახელით ცნობილი ერის ერთადერთი პიროვნება, კერძოდ — დავითი, ძე თეიმურაზ პირველისა.

რა თქმა უნდა, მარტო სახელის დამთხვევა არ კმარა საკითხის გადასაჭრელად. ადვილი დასაშვებია, რომ ხალხურ ლექსში უეცრად ამოტივტივდეს სრულიად სხვა ეპოქის რომელიმე პოპულარული გმირის სახელი და დაუკავშირდეს მის შემდგომ მომხდარ მოვლენებს. მსგავსი ანაქრონიზმები არცთუ იშვიათია ქართულ ხალხურ საისტორიო პოეზიაში. ხალხის ყველაზე საყვარელი გმირები თამამად გადმოაბიჯებენ ხოლმე თავისი დროიდან მომდევნო საუკუნეებში და როდესაც ქვეყანას უჭირს, წარსულიდან გამოხმობილი აჩრდილები ამხნევებენ შთამომავლობას და თითქოსდა ჩკვდრეთით აღმდგარნი აქტიურად ერევიან ხალხის გმირულ ბრძოლასა და ცხოვრებაში. ასე, მაგალითად, ხალხურ გადმოცემებში აღწერილია თამარ მეფის ომი შაჰ-აბასთან! თამარის მიერ ყიზილბაშთა თუ ოსმალთა დამარცხება ად ა. შ. გულთან ერთხელ და სამარადისოდ შესისხლხორცებული სახეები და სახელები აღარ შორდება ხალხის მეხსიერებას. სასოწარკვეთა ებღაუჭება ოპტიმიზმის ხავსს, ხალხის დაუშრეტელი ფანტაზია ჯიუტად ლამობს იმედის ცეცხლის გაღვივებას და არად დაგიდევს ქამთა გარდუვალ სრბოლას. წარსული ცოცხლდება აწმყოში და ადუღაბებს მზიანი მერმისის რწმენას...

შაშასადამე, საჭიროა ლექსის მთელი შინაარსის გათვალისწინება, უველა დეტალის მაქსიმალური სიზუსტით გარკვევა და შეფარდება ისტორიულ სინამდვილესთან, რათა ექვმიუტანელი გახდეს ის ფაქტი, რომ ლექსის სათაური და შინაარსი ერთსა და იმავე პიროვნებას გულისხმობს. საამისოდ აუცილებელია თვალი გადავავლოთ საისტორიო წყაროებს და სათანადო ინფორმაციის დახმარებით ვცადოთ ჭეშმარიტების დადგენა. საბედნიეროდ, ხალხურ ლექსში ასახულ ამბავს საკმაოდ ნათლად აშუქებენ ქართული და უცხოური წყაროები.

„ქვენით მოვიდა ამბავი, დაიძრა ჯაბალ-ხანიო“, — გადმოგვცემს ხალხური ლექსი.

ქართული წყაროებიც ასახელებენ ლექსში მოხსენიებულ ჯაბალ-ხანს სწორედ იმ ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელშიც დაიღუპა დათუნა ბატონიშვილი. მოქმედება მიმდინარეობს 1648 წელს. აღწერილია თეიმურაზის კიდევ ერთი (და უკანასკნელი) შებრძოლება ქართლის გამაჰმადიანებულ მეფე როსტომთან, რომელსაც ზურგს უმაგრებს სეფიანთა სამეფო კარი და ყიზილბაშთა ლაშქარი.

ე. წ. „პარიზის ქრონიკა“ შოგვითხრობს: „აქათ მეფე როსტომ შეიყარა და იქით კახი ბატონი, ქისიყისაკენ თათრები და ყაზახის ხანი ჯამალ-ხან უჩინა“.

ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, როდესაც როსტომ მეფემ შეიტყო დათუნა ბატონიშვილის დაღუპვა, „ჯამალ-ხანს ასე მისწერეს: რომელიც მოგეკლაო, მაგათი თავები ქალაქს სიონის სალდარში მიიტანონო“.

აღნიშნული წყაროები გვაცნობენ ჯამალ-ხანს შემდგომი მოვლენების აღწერაშიც. ირკვევა, რომ როსტომ მეფის ავადმყოფობისას არაგვისა და ჭსნის ერისთავებმა სწორედ ჯამალ-ხანის პირით შეუთვალეს მომაკვდავ ქართლის მეფეს თავისი პოლიტიკური ხვაშიადი და გეგმები. იგივე ჯამალ-ხანი თბილისში იმყოფება როსტომის გარდაცვალებისას და დაქვრივებულ მარიამ დედოფალს შეუგზავნის ირანის შაჰის რაყამს.

სპარსელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი წერს, რომ როსტომმა და ჯამალ-ხანმა აცნობეს სეფიანთა სამეფო კარს, თეიმურაზმა „აჯანყების მტვერი ააყენაო“. იმავე წყაროს მიხედვით, დათუნა ბატონიშვილი იღუპება ჯამალ-ხანის ჯართან ბრძოლაში.

ამგვარად, დათუნა ბატონიშვილი და ჯამალ-ხანი თანამედროვენი ყოფილან, რაც ხაზს უსვამს ხალხურ ლექსში მოთხრობილი ამბის ისტორიულობას. ჯერჯერობით, ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ჯამალ-ფხანი ქართულ ხალხურ ლექსში ჯაბალ-ხანად გადაქცეულა (მოლექსეს მხოლოდ ერთი თანხმოვანი დაუმახინჯებია ყიზილბაში ხანის სახელში, იქნებ „ჯაბანის“ ასოციაციით? ხალხი ზოგჯერ ამ გზითაც ცდილობდა საძულველი მტრის დამცირებას და გაპამპულებას).

ბრძოლის ადგილის დასახელებაც ადასტურებს, რომ ხალხური ლექსი და საისტორიო წყაროები ერთსა და იმავე ამბავს გადმოგვცემენ. ლექსის მიხედვით, ჯაბალ-ხანს ალგეთი გადმოუვლია. ბთები გადმოულახავს და კახეთამდე მოულწევია (ყაზახის ხანი. ცხადია, ალგეთის მიდამოებიდან წამოვიდოდა. სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის მიხედვით, ყაზაყლარის ტომი ქართლის შეზობლად სახლობდა. სწორედ ამ ტომის წინამძღოლი იყო ჯამალ-ხანი).

„კახეთს ბოლოს ჩავიდაო“, — გვამცნობს საომრად წასული დათუნა ბატონიშვილის შესახებ ხალხური ლექსი.

როსტომ მეფე თავის გუჯარში (1648 წ.) აღნიშნავს: „იქით ბატონის თეიმურაზის შვილი დავით და ჩვენგან გაგზავნილი თათრები შეყრილიყვნენ, შებმულიყვნენ ქისიყის ბოლოსა და თათრებს გამარჯვებოდა და ბატონიშვილი დავით მოეკლათ“ (თავად როსტომისა და თეიმურაზის ჯარების შეტაკება მოხდა თიანეთის მიდამოებში).

ამასვე იმეორებს „პარიზის ქრონიკა“ და უფრო ზუსტად მიუთითებს ბრძოლის ადგილს — სოფ. ძველი ანაგა, რომელიც მართლაც ქიზიყის ბოლოში მდებარეობდა (ვახუშტის ცნობით, ბრძოლა გამართულა სოფელ მაღაროსთან).

„გამეერია ლაშქარსა, გაანახევრა ჯარიო“, — ჰიპერბოლურ თქმას იშველიებს დათუნა ბატონიშვილის გმირობით აღტაცებული მოლექსე.

ეს გარემოებაც ხაზგასმით არის აღნიშნული წყაროებში. სომეხი ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის თხზულებაში ვკითხულობთ, რომ ბრძოლის დაწყებისას დავითი უდიდესი გამბედაობით შეიჭრა ყიზილბაშთა რიგებში. ხოლო მოჰამედ თაჰერი წერს: „...დავუდგირეს, რომელიც განთქმული იყო თავის სიმამაცით და გამბედაობით და რომელზედაც ამყარებდნენ იმედს თეიმურაზ-ხანი და ურწმუნონი“.

ხალხური ლექსის მიხედვით დათუნა ბატონიშვილი მოუკლავს ყიზილბაშ მეთოფეს („ერთმა ურჯულო თათარმა თოფსა დახვია ალიო, ცხენ ზეით გადმოიტანეს დათუნა ალვის ტანიო“). იგივე ფაქტი დამოწმებულია არჩილ მეფის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, სადაც თვით თეიმურაზი მოგვითხრობს დათუნა ბატონიშვილის დაღუპვას: „ჩემი შვილი ხევს ასლოდა, სხვას მეთოფეს შემოჰყროდა, შუბი ეკრა ამას მისთვის, იმას თოფი დაესწრო და, ეკრა გულსა, ჩამოეგდო, ვაი, რას დროსა შეესწრო და! თვით მოკლეს და ყმანი კარგნი იმ დღეს მასთან მოესროდა“.

მაშასადამე, არავითარ ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ხალხური ლექსის ზუსტი შეფარდება ისტორიულ სინამდვილესთან. ემთხვევა ერთმანეთს მოქმედ პირთა სახელები, ბრძოლის ადგილი, დათუნა ბატონიშვილის მამაცობის აღწერა და მისი დაღუპვის მიზეზიც.

ლექსის ფინალში ვკითხულობთ: „თმა-გლეჯით ჩამაატარეს სიასამურის ქალიო: „ჩემი მიჩვეხეთ დათუნა, ცოცხალია თუ მკვდა-

რიო". — დათუნას ვინლა გიჩვენებს, წითლის ღვინით არს მთვრალიო".

სხვათა შორის, სპარსელი ისტორიკოსიც ანალოგიური მეტაფორით გვიხატავს ქართველი ბატონიშვილის აღსასრულს („სიკვდილის მწარე ღვინით დათვრაო").

მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „სიასამურის ქალი"?

საფიქრებელია, რომ დათუნა ბატონიშვილს დასტირის თავისი შეუღლე, ოღონდ გაუგებარია მისი სახელი (იქნებ ამიტომაც გაჩენილა თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ვარიანტში „ბაგრატიონთა ქალიო" — გაუგებრობის თავიდან ასაცდენად). არსებობს ხსენებული ლექსის კიდევ ერთი ვარიანტი, ჩაწერილი ალ. ოჩიაურის მიერ. „თმაგლეჯით ჩამაავლიეს ბიასლამიანთ ქალიო", — აღნიშნულია ამ ვარიანტში.

დამოწმებული სიტყვების გაშიფრვა გაგვიადვილდება, თუ გავიხსენებთ, რომ ქართველი ისტორიკოსების ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტის მიხედვით, დათუნა ბატონიშვილის ცოლად ჰყავდა კათალიკოს ევდემოზ დიასამიძის ძმისწული, მაშასადამე — დიასამიძის ქალი. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „სიასამურის ქალის" ადგილას თავდაპირველად იქნებოდა „დიასამურის ქალიო". ხოლო „ბიასლამიანთ ქალი" უნდა წარმოადგენდეს „დიასამიანთ ქალის" ტრანსფორმაციას.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს შემდეგი გარემოებაც: ხალხური ლექსი, როდესაც გადმოგვცემს დათუნა ბატონიშვილის გმირობას ყიზილბაშებთან ბრძოლაში, იქვე დასძენს: „ცოლი ძმამ ჩამოურბინა, გვერდს ჩამეეგოდ ხმალიო", ხოლო არჩილის პოემაში იმავე ბრძოლის აღწერისას აღნიშნულია: „ბიძინა დიასამიძე მიუძღვა მეწინავესა..."

განხილული ლექსი არ არის დაზღვეული ანაქრონიზმისაგან. ჯაბალ-ხანი თხოულობს კახთ-ბატონისაგან რუსუდან დედოფალს! ეს მოტივი ნასესხებია XIII საუკუნის ამსახველი ლექსებიდან და XVII საუკუნეში უკვე ირონიულად ეღერს გაჯავრებული რუსუდანის წამოძახილი: „არვინ გაზრდილა სათათრე ბაგრატიონთა გვარიო" (სხვებს რომ თავი დავანებოთ, თვით დათუნა ბატონიშვილის მამიდა იყო ცოლი შაჰ-აბასისა, ხოლო ღვიძლი და, სახელად თინათინი, ცოლად ჰყავდა შაჰ-სეფის). ალ. ოჩიაურის მიერ ჩაწერილ ვარიანტში კიდევ უფრო ამღვრეულია ისტორიული სი-

ნამდვილე: ჯაბალ-ხანსა და დათუნა ბატონიშვილთან ერთად შოქ-შედებენ ერეკლე მეორე და რუსუდან დედოფალი...

ლექსის პირველი სტრიქონი („იმერეთის მთას გადადის აქლემთა ნატოტარიო") მიგვანიშნებს, რომ შესავალში დახატული სურათი მარტო დათუნა ბატონიშვილის დაღუპვით არ უნდა იყოს გამოწვეული. ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ საიდან გაჩნდა ამ ლექსში „იმერეთის მთა" და ისევ საისტორიო წყაროები გვაწვდიან გასაღებს ამოცანის ამოსახსნელად.

ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს: „ბატონს თეიმურაზს ყველგნით ღონე მოეღო. აღარც სითმე მშველი და აღარც სახიზარა ალაგი, აღარც წასაძვლელი გზა, არც ასაყრელათ ცხენი და ჯორი. აღარც მოხელე და მოსამსახურენი. კახნიც ქართველთ (ე. ი. ქართლელებს) მისვლოდეს და მეფეს როსტომს ბატონის თეიმურაზის დაჭირვას ეპატიჯებოდნენ. ეს მეფემ უწყინა და ავად ჩამოართვა და ასე უბრძანა — იმის დაზდილნი ხართო, იმას რა კარგი უყავითო, რომ ჩვენ გვიყოთო. დაჭირვა შორს დაიჭირა და კახნი უფროსი ერთ მეჯლისში ისხდენ. მეფემ წამოთქვა და ბრძანა: რა ქვეყანა დაარსებულაო, ამრიგი მუხანათობა კახთ თავის ბატონზედ არ უქნიათო, რომ ახლა ბატონს თეიმურაზსზედ ქნესო".

როსტომის სიტყვები მოახსენეს თეიმურაზს და კიდევ ერთხელ ძლეული მეფე შეევედრა თავის მეუღლეს, როსტომ მეფე შენი ბიძაშვილი არისო, შეეხვეწე, შვილი არ მოგვიკლასო, ჩვენი შენაცოდები თქვენ გაპატიოს და იმერეთს გასახიზნად ცხენ-ჯორი გვათხოვოსო. სათხოვრად მისულ ხორეშან დედოფალს, როსტომ მეფის ბრძანებით, არ გაუმეღავნეს დათუნა ბატონიშვილის სიკვდილი. დიდი პატივით შეხვდნენ და ტკბილი სიტყვით ანუგეშეს („თქვენს შვილს სიკეთის მეტი არა დააკლდების რაო"). როსტომმა ხუთასი თუმანი უფეშქაშა და ხუთასი ცხენ-ჯორი ათხოვა იმერეთს გადასასვლელად (აი, საიდან გაჩენილა ხალხურ ლექსში „იმერეთის მთის" ხსენება).

ჩავიდნენ იმერეთს. თეიმურაზის სიძემ, იმერეთის მეფე ალექსანდრემ, ხალხი შეჰყარა სატირალში და დათუნა ბატონიშვილის სიკვდილი აცნობა ლტოლვილ სიმამრ-სიდედრს. ერთობ შთამბეჭ-

დავი შტრიხებით აღწერს სამგლოვიარო ცერემონიალს ფარსადან ვორგიჯანიძე და [illegible]ლის დაასკვნის: „აბა თუ ამ გამეღვიძების დღის ანბავი [illegible] [illegible] დაგვიწერა, ტირილისაგან კაცი ვეღარ წაიკითხავდა“.

გამაჰმადიანებული ქართველი ისტორიკოსი, როსტომ მეფის ერთგული ყმა და მსახური, ღვთისგან მოვლენილ სასჯელად მიიჩნევს თეიმურაზის თავზე დატრიალებულ ტრაგედიას, მაგრამ კაცთმოყვარეობითა და სიბრალულით გადმოგვცემს თავისი ბატონის მოსისხლე მტრის გასაჭირს.

არანაკლებ საგულისხმოა თვით როსტომ მეფის დიდსულოვნება. დაამარცხა თავისი მთავარი მტერი, მთელი თხეთმეტი წელიწადი რომ არ ასვენებდა ქართლის ბატონს და სამეფო რახტს აცდევებოდა, გაუთავებელ შფოთს ტეხდა, შეთქმულებს აწყობდა და ფიმოსოდ შეთქმულნიც ხომ ისევ თეიმურაზს იწყევდნენ ქართლში. ჰოდა, როგორც იქნა, საბოლოოდ დაამარცხა და [illegible] [illegible] ბილებას იჩენს ძლეული მეტოქის მიმართ (რა თქმა უნდა, [illegible] ნის ბიძაშვილობა არა კმაროდა საამისოდ).

მაგრამ ხალხური პოეზია არ ასებივრებს თავისი სიყვარულით მაჰმადიან მეფეს და მისი კეთილი საქმენი მხოლოდ ისტორიკოსებს შემოუნახავთ ჩვენთვის.

ზ. ავალიშვილი, ახასიათებდა რა ქართველი მეფეების საგარეო პოლიტიკური კურსის ცვალებადობას, ორჭოფულად შენიშნავდა: „ძნელი სათქმელია, რომელი იყო უფრო გონიერული ამ ორი პოლიტიკიდან. ოპორტუნისტმა მეფეებმა არაერთხელ გადაარჩინეს ქვეყანა აოხრებისაგან, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ ეროვნული თავმოყვარეობისა და ქრისტიანობისათვის; „ჯვარისასმა“ მეფეებმა არაერთხელ მოუტანეს ჭირ-ვარამი თავის უბედურ სამშობლოს. მაგრამ ისინი უყვარდათ და მათს ხსოვნას გულში ინახავდნენ“

ზემოთქმულის შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს ქართული ხალხური საისტორიო პოეზია და, კერძოდ, დათუნა ბატონიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი, სადაც მოცემულია ყიზილბაშებთან ომში დაღუპული გბირის ნათელი სახე. მაგრამ ხალხური პოეზია დავიწყების დუმილით აჯილდოებს როსტომ მეფეს, რომელსაც

გარკვეული დამსახურება მიუძღვის ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის წინაშე.

როგორც ჩანს, ხალხის მეხსიერებაში უფრო მეტად რჩება თავგანწირული გმირობითა და ვაჟკაცობით გამორჩეულ პირთა სახელები, ვიდრე იმათი, ვინც სხვაგვარად გამოიჩინა თავი ისტორიის ასპარეზზე.

უკანასკნელი დამარცხება

უცნაური და უჩვეულო სურათია — გამაჰმადიანებული ქართველის შვილი, ირანში დაბადებული და გაზრდილი, ბავშვობიდანვე მაჰმადიანურ რჯულსა და ყიზილბაშთა ადათ-წესებს შეჩვეული „ტიპიური რენეგატი“ და „ყაენის ფეხთა მტვერი“, სიბერეში ქართლის მმართველად დანიშნული როსტომი მცხეთას ჩასულა, ქრისტიანულ ტაძარში მიბრძანებულა და უფალს შევედრებია შემწეობა-მფარველობას მომავალ ომში, თითქოსდა ყიზილბაშთა ლაშქარი ეცოტავებოდა გამარჯვების მოსაპოვებლად.

„შემოგიარეთ სვეტო ცხოველო ღვთივ აღმართებულო, მოვედით კარსა თქვენსა და ღაღადებით შენგან შეწევნა ვითხოეთ“ — ეს სიტყვები დამოწმებულია როსტომ მეფის ერთი გუჯრიდან, რომელიც თარიღდება 1648 წლით და მოგვითხრობს სწორედ იმ წელს მომხდარ ამბებს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართლის ცხოვრების შემდგომ მსვლელობაში.

იდგა 1648 წელი. სეფიანთა ირანის ტახტზე იჯდა შაჰ-აბას II. ქართლში მეფობდა მაჰმადიანი როსტომი (ყოფილი ხოსრო-მირზა). კახეთში — ქრისტიანი თეიმურაზ პირველი.

უკვე თხუთმეტი წელი იქნებოდა, რაც თეიმურაზი თითქმის განუწყვეტლივ ექიშპებოდა და ებრძოდა ქართლის მეფეს, რომელსაც ყიზილბაშთა სამხედრო ძალა უმაგრებდა ზურგს. მაგრამ თეიმურაზი არა ცხრებოდა, მომხრეებს პოულობდა ქართლის თავადთა შორის. შეთქმულებას შეთქმულებაზე უწყობდა და მოსვენებას არ აძლევდა მშვიდობისა და განცხრომის მოყვარულ როსტომს. ქართლის მეფე ამაოდ უთვლიდა მოუსვენარ კახეთის მეფეს: დაწყნარდი, ჩვენც მოვისვენოთო და ჩვენი ქვეყნებიც მოვასვენოთო.

მცირე საბაბმა კიდევ ერთი ომი გამოიწვია მრავალგზის აოხრებულ საქართველოში. სეფიანთა სამეფო კარი ისედაც აგულიანებდა

როსტომს თეიმურაზის წინააღმდეგ საბრძოლველად და აჰა, დადგა ჟამი საბოლოო ანგარიშსწორებისა.

როსტომ მეფეს კახეთში გალაშქრებამდე ულოცია მცხეთის სვეტიცხოველში. ალბათ, ჯერ თბილისის მეჩეთში შეიარა, ალაჰისაგან ითხოვა გამარჯვება და მერე ქრისტიანულ ტაძარსაც მიადგა.

შეუმცდარია ათას განსაცდელსა და ინტრიგებში გამობრძმედილი შაჰმადიანი მეფის ჭკუა-გონება. ბეჯითად დაუზეპირებია შაჰაბას პირველის გაკვეთილები. სეფიანთა სამეფო კარზე გაწვრთნილს კარგად მოეხსენებოდა დაწინაურებული კაცის ბედ-იღბლის ცვალებადობაც და საწუთროს უკუღმართობასთან შეგუების ხელოვნებაც. თვალთმაქცობისა და ორპირობის უმაღლესი სკოლაც ჰქონდა გავლილი, მშვენივრად იცოდა ფასი ღიმილისა თუ რისხვისა, ძლიერნი ამა ქვეყნისანი რომ აფრქვევენ ხან მიზეზითა და ხან უმიზეზოდ. მეგობრის თვალში ჩამარხული შურის ამოკითხვაშიც დაოსტატებულა, არც ღალატი გაუკვირდება მოკავშირისა და არც ძაღლური ერთგულება დამორჩილებული მტრისა. ოცი წლის წინათ მაჰმადიანურ სამოთხეში წაბრძანებული თავისი აღმზრდელი მბრძანებლისა არ იყოს, მოწყალეც არის და დაუნდობელიც. ერთ ხელში ხაჭაპური უჭირავს, მეორეში — მათრახი. ყოველთვის ზუსტად აქვს ნაანგარიშევი, როდის წარმოთქვას ტკბილი სიტყვა და როდის — სასტიკი განაჩენი.

ქართველი მემატიანენი არ იშურებენ თავისებურ ქებას მისი მისამართით: „ესე როსტომ მეფე იყო კაცი ხერხიანი და ილათიანი და მცდელი საქმისა“, ანდა: „საქმით ხვანჯიანი, სოფლის ფრიად ჭკვიანი, მორჭმულ-მდიდარი“.

ძველადვე თქმულა: „ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად“, მაგრამ, როგორც ჩანს, როსტომისთანა ხვანჯიან-ილათიანები წარმატებით ახერხებენ ამ ქრისტიანული შეგონების გაქარწყლებას და საქმით ამტკიცებენ, რომ გონიერსა და გაქნილ კაცს ამქვეყნად ყველაფერი ხელეწიფება.

როსტომ მეფის დროს საქართველოში მეჩეთებიც შენდებოდა და დანგრეული ეკლესიების აღდგენაც მიმდინარეობდა.

როსტომ მეფის პოლიტიკა მშვიდობას ჰპირდებოდა მრავალ ომსა და აჯანყებებში სისხლდაცლილ საქართველოს, წყლულებს უშუშებდა და ფეხზე აყენებდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხის აღტაცებას არ იწვევდა ეს კაცი, რომელიც ისპაანიდან

გამოგზავნეს ქართლში საბატონოდ, მონა-მორჩილი იყო ირანის შაჰისა, მის დაუკითხავად ერთ ნაბიჯსაც არ დგამდა და გულმოდგინედ ნერგავდა ყიზილბაშურ ზნე-ჩვეულებებს საქართველოში.

ქართლის ბაგრატიონთა ნაშიერს, სახელოვანი ლუარსაბ მეფის შვილიშვილს, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი უფლებანი ჰქონდა ქართლის ტახტზე, ვიდრე თეიმურაზს, მაგრამ მარტო უფლებანი ვერ უხვეჭდა ხალხის სიმპათიებს, აკი ფარსადან გორგიჯანიძეც შენიშნავს: „ზოგს კაცს ქრისტიანობის რჯულისათვის ბატონი თეიმურაზ ერჩივნათო“.

დიახ, როსტომმა მშვიდობა მოუტანა თეიმურაზის „მოუსვენრობით“ აოხრებულ ქვეყანას. თეიმურაზის პოლიტიკას ომი ერქვა და როსტომისას — მშვიდობა, მაგრამ მშვიდობის ნიღაბს ამოფარებული პოლიტიკა ისპაანისა ამჯერად ხმლით კი არა, ტკბილი სიტყვითა და ოქროთი ლაშობდა საქართველოს „გათათრებას“.

„ახალი ქართლის ცხოვრება“ ასე გადმოგვცემს როსტომის დროინდელ ვითარებას ქართლში: „და განმრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და არაწმინდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა... განძლიერდენ თათარნი და კადნიერებდნენ ქართველთა ზედა. და რომელნიცა იყვნენ ქართველნი, მოყვარენი წესისა მათისა, მეძავნი და ბილწების მოქმედნი, დიდად პატივსცემდა მეფე როსტომ და ჰკითხვედა და უსმენდა მათსა, და რომელნიცა იყვნენ ჭეშმარიტისმოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, მათ არას პატივსცემდა და ცუდს კაცს ეძახდენ და შეუძლებელსა. და იყვნენ დღითი-დღე სმასა და განცხრომასა შინა, ხოლო სულისათვის არარას ზრუნვიდენ“.

დროებასა და განგებას როსტომ მეფის მხარე ეჭირა.

ჩვენ არ ვიცით, რომელ ეკლესიაში ილოცა თეიმურაზმა ომში წასვლამდე. ისტორიას შემოუნახავს მხოლოდ მაჰმადიანი მეფის ლოცვის ტექსტი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, იმერეთს გახიზნული თეიმურაზი დაწერს ყოველგვარ ლოცვაზე უფრო სულისშემძვრელ სტრიქონებს, აღსავსეს სასოწარკვეთითა და ბედისადმი უზომო საყვედურით: „რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქმენ დასადაგე?! გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასადაგე! დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე? სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?“

ეს სტრიქონები, ალბათ, არც მოითხოვენ კომენტარს, თუკი

გვახსოვს თეიმურაზის ბიოგრაფია. როგორ არ შეიპყროს მეფე-პოეტის გული აღშფოთების მწვავე ტკივილმა, როდესაც წუთისოფელი უღირსად უმასპინძლდება ღირსეულს.

მაგრამ 1648 წელს კიდევ ბეუტავს იმედის ნაღვერდალი. საბოლოოდ წელს მიღწეულ მეფეს ბრძოლებში დაღლილი მკლავის იმედი თუ აღარა აქვს, სამაგიეროდ სიმამაცით განთქმული ვაჟიშვილი ეგულება საიმედო მემკვიდრედ — დათუნა ბატონიშვილი, რომელმაც ყიზილბაშებთან ომში უნდა გააცოცხლოს თეიმურაზის ძველი სახელი.

თეიმურაზმა ორად გაყო ჯარი. თვითონ თიანეთს დადგა, ხოლო დათუნა ბატონიშვილი ქიზიყს გაგზავნა. როსტომი თავს დაესხა თეიმურაზს ქართლის სპით, რომელსაც სარდლობდნენ ვახტანგ მუხრანის ბატონი (მომავალი მეფე ქართლისა) და ზაალ ერისთავი. ბრძოლა გაიმართა სოფელ უღლისთან და დამთავრდა თეიმურაზის დამარცხებით. მძიმედ დაჭრილი რევაზ ჩოლოყაშვილი ასე გამოეთხოვა თეიმურაზს: მე მოვმკვდარვარ შენის სამსახურისა და ერთგულებისათვის, ჩემი თავი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოსო. სარდლის დაღუპვამ აშალა კახნიო, გვაუწყებს მემატიანე, და გამარჯვების სასწორი როსტომის მხარეზე გადახრილა.

XVII ს. ხომეხი ისტორიკოსი ზაქარია ქანაქერცი გადმოგვცემს: დათუნა ბატონიშვილმა დაინდო მამის სიბერე და ბრძოლის ველზე გაქცევის ნება არ მისცა. ყიზილბაშთა ლაშქარი (ჯამალ-ხანის სარდლობით) თურმე იმყოფებოდა ალავერდში, ერთი ნაწილი კი გაუყვანიათ „მილანელის მხარეს, ჩასაფრებლად". რას უნდა ნიშნავდეს ეს „მილანელის" მხარე? (მ. ბროსე, რომელმაც ფრანგულად თარგმნა ზაქარია ქანაქერცის თხზულება, შენიშნავდა, რომ სახელწოდება „მილანელ" არ გვხვდება არც ერთ წყაროში. მ. დარბინიან-შელიქიანის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანში ზემოხსენებული ტოპონიმი საერთოდ გამოტოვებულია).

თუ გავითვალისწინებთ ქართულ წყაროებში დაცულ ცნობებს მეორე ბრძოლის ადგილის შესახებ, „მილანელის" ამოცნობაც აღარ გაგვიჭირდება. ე. წ. „პარიზის ქრონიკის" მიხედვით, ბრძოლა მომხდარა „ქისიყის ბოლოსა, ძველ ანაგს", ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით — სოფელ მაღაროსთან. როგორც ცნობილია, ეს სოფლები ერთიმეორის მეზობლად მდებარეობენ. თუ ვენდობით ამ ინფორმაციას, უნდა ვიფიქროთ, რომ ზაქარია ქანაქერცის

„ბილანელ“ უნდა ნიშნავდეს სოფ. მელაანს, რომელიც იმავე რეგიონს მიეკუთვნება. მაშასადამე, ყიზილბაშთა ლაშქრის ნაწილი მელაანის მიდამოებში ყოფილა ჩასაფრებული. როდესაც ბრძოლა დაიწყო, დათუნა ბატონიშვილი მამაცურად შეჭრილა ყიზილბაშთა რიგებში. საომარი ნაღარის ხმის გაგონებაზე მელაანთან ჩასაფრებული ყიზილბაშნი ზურგიდან დაესხნენ თავს კახთა ჯარს. ბრძოლაში დაღუპულა დათუნა ბატონიშვილი და მისი ჯარიც დამარცხებულა.

უკანასკნელი ძე თეიმურაზისა შეეწირა მამის უკანასკნელ ომს. და ეს დამარცხება უკანასკნელი აღმოჩნდა მრავალ ომგადახდილ მეფისთვის. მას აღარც გამარჯვებანი ეწერა მომავალში, აღარც — დამარცხებანი. მაგრამ თეიმურაზმა ჯერ არ იცის, რომ უკანასკნელი დამარცხება განიცადა; ჯერ არც ის იცის, რომ მისი უკანასკნელი ძე დათუნა ბატონიშვილი აღარ არის ცოცხალთა შორის. ჯერჯერობით მხოლოდ ის იცის, რომ თავი უნდა დაიმციროს და გამარჯვებულ როსტომს დაემორჩილოს.

კმაყოფილი როსტომ მეფე მადლობას უხდის უფალს: „კურთხეულხარ ძლიერო და უძლეველო ყოვლისა მპყრობელო ღმერთო. რომე სიდიდე და სამართალი შენი ყოველსა კაცს დაანახვე. შევიბენით და გავიმარჯვეთ“ (ეს ტექსტიც ზემოხსენებული გუჯრიდან გახლავთ).

გაჭრა მაჰმადიანი მეფის ლოცვა-ვედრებამ. განგებამ კეთილი თვალით გადმოხედა რენეგატს და კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, ზურგი შეაქცია ქრისტიან თეიმურაზს, რომელიც ოცდაათ წელზე მეტი იქნება, რაც დაუღალავად იბრძვის სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

ფარსადან გორგიჯანიძე კვერს უკრავს თავის ბატონს: „ღმერთი უტყუარია და ამ საქმეზედან მოჩანს, რომ ბატონს თეიმურაზს მრავალი უბრალო სახლი მოეთხაროს და მისის საქმით მრავალნი ტყვეთ წაესხას, მრავალნი უბრალოთ დახოცილიყვნენ, მრავალნი დედანი აეტირებინოს და იესოს ნაბძანები სიტყვანი აქ გათავდება, რომ უბძანებია — რომლისაც საწყაოთ მიუწყავო, იმავეთი მოგეწყვისო“.

ტყვეთა წასხმა, უდანაშაულოთა ჟლეტა და მრავალთა დედათა ატირება გულისხმობს იმ ხანგრძლივი ბრძოლის მწარე შედე-

ვებს, რომელსაც ეწეოდა თეიმურაზი საქართველოში ყიზილბაშთა-
გაბატონებისა და ქართველი ხალხის „გათათრების“ წინააღმდეგ.

გამარჯვებული და ბედისგან განებივრებული როსტომ მეფე-
იშვიათ დიდსულოვნებას იჩენს, ძვირად არც უღირს სიკეთე და-
მარცხებული და შეილმოკლული თეიმურაზის მიმართ. ცხადია,
უტყუარი გუმანით ხვდება, რომ თეიმურაზი უკვე ვეღარაფერს
დააკლებს, რომ ეს იყო უკანასკნელი ომი თეიმურაზისა.

ხანდაზმულმა თეიმურაზმა ხმალი განზე გადადო. მისი ჯანგატე-
ხილი მკლავი ახლა კალამსღა მოერეოდა. იმერეთის მეფე ალექ-
სანდრე, სიძე თეიმურაზისა, სარჩოდ მიუჩენს რაჭას და შვიდი
წლის მანძილზე „მოწყენით ცუდად გდებაში“ იწერება უბედური
მეფე-პოეტის უკანასკნელი თხზულებანი.

თეიმურაზი ჯერ ბერად შედგება, მერე ისევ ჩაითრევს ამქვეყ-
ნიური ცხოვრება და სამოცდაათ წელს გადაცილებული კახეთის
ყოფილი მეფე საძულველი ესპაანის გზას დაადგება, რათა თავის
შვილიშვილს ერეკლეს მაინც მოუპოვოს კახეთის ტახტი.

ნ. ბერძენიშვილი წერს: „ეს ირანის დიდი გამარჯვება იყო.
ბტერს დამორჩილდა სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორ-
მოცდაათწლოვანი ბრძოლის მესაჭე“.

სეფიანთა სამეფო კარზე სახვეწრად ჩასულ თეიმურაზს შე-
ურაცხყოფას მიაყენებენ და მერე ასტრაბადის ციხეში გამოამწყვ-
დევენ, საიდანაც ცოცხალს აღარ ეღირსება გამოსვლა.

როსტომ მეფემ ხუთი წლით დაასწრო სიკვდილი თავის მეტო-
ქეს. ქართველი მემატიანის სიტყვით, მან „განვლო სოფელი ესე
დიდი შვებითა და განცხრომითა“.

თეიმურაზი ჯერ კიდევ რაჭაში ყოფნისას ნატრობდა სიკვდილს,
რომელიც ბოლოს მოუღებდა მის უბედურებათა და გასაჭირთა
სიმრავლეს. იგი წერდა: „ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს — სიკ-
ვდილი თქვა შოთამ ტკბილად“.

სიტკბოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ სიკვდილი უფრო სამართლი-
ანი გამოდგა, ვიდრე სიცოცხლე. საქართველოში გარდაცვლილი
როსტომი ირანს წაასვენეს და ქ. ყუმში მაჰმადიან წმინდანთა და
მბრძანებელთა გვერდით მიუჩინეს სამარე, როგორც ეკადრებოდა
სულითა და ხორცით მაჰმადიან ქართველ მეფეს, ესპაანის ტარუ-
ღას და ირანის ყულარაღასს. ხოლო ირანში აღსრულებულ თეი-

მურაზს ანდერძი არ გაუწბილეს და საქართველოში ჩამოასვენეს. მუდმივი ლტოლვილი და ხიზანი ძლივსლა დამკვიდრდა სამშობლოში; მთელი სიცოცხლე იბრძოდა მისი მიწისათვის და ერთი პაწია ნაგლეჯი მაინც დაისაკუთრა სამარადისოდ. აღარავინ შეეცილება, აღარავინ წაართმევს...



პოეზიისა და მშვენიერების ნაზი უვავილი

იმ მხატვრული თუ ისტორიული ლიტერატურის კითხვისას, სადაც აღწერილია ჯვაროსანთა თავგადასავალი, უნებურად მახსენდება ხოლმე ერთი კოლორიტული სურათი კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგიიდან „დავით აღმაშენებელი“. XI საუკუნის დამლევს, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, იერუსალიმს პილიგრამად გამგზავრებულ საქართველოს დედოფლის მცველთა რაზმი თურქ-სელჩუკებს გადაეყრება და ჯონდი ერისთავი ხელშუბით განგმირავს სახელგანთქმულ მაჰმადიან ამირას. შემდეგ ვკითხულობთ: „როცა ჯონდი ერისთავმა ანტიოქიის ციხეში მიართვა ბოჰემუნდს იაგი სიანის თავი, ნორმანელმა რაინდმა გადაჰკოცნა ქრისტიანი „ბერძენი“, ნორმანური ხმალი უბოძა მას თავისი, რომელზედაც ეხატა მგლის თათი. მერმე გაულიმა უცნობ რაინდს და ეს უთხრა: „დეუს ლე ვოლტ“ (ქართულად: „ღმერთს აგრე სწადია“).

ჯონდი ერისთავი მწერლის მიერ შეთხზული პერსონაჟია და ზემოთქმული ამბავიც, რასაკვირველია, მონაგონს წარმოადგენს. მაგრამ როგორ ცოცხლად ეხმიანება და ეთანხმება მწერლის ფანტაზია ისტორიულ სინამდვილეს! მატიანეთა ფურცლებზე შემონახული ძუნწი ცნობები საქართველოსა და ჯვაროსანთა სამყაროს შორის მეკობრული ურთიერთობის შესახებ მშვენივრად არის კონდენსირებული ამ პაწია ეპიზოდში. ჯვაროსნის მიერ წარმოთქმული ფრაზა უთარგმნელადაც გასაგები იქნებოდა ქართველი რაინდისათვის. „დეუს ლე ვოლტ“ — ამ დევიზითა და საომარი ყიჟინით მოდიოდა ჯვაროსანთა უზარმაზარი ტალღა „წმიდა მიწისაკენ“.

„დიდთურქობისაგან“ ღონემიხდილი საქართველო იმედით ადევნებდა თვალს დასავლეთის მოახლოებას. ევროპიდან დაძრული ქრისტიანი მოძმენი ზედიზედ ამარცხებდნენ მაჰმადიანებს სირია-

პალესტინაში და უმსუბუქებდნენ მძიმე ხვედრს მათთვის შედარებით უცნობ ქრისტიანულ ქვეყანას, რომელსაც სულ მალე შეარქვეენ ჯვაროსანთა „წინა ბურჯს“ აღმოსავლეთში.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის სწორედ პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას, ამას მკაფიოდ მეტყველებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ლაკონიური ცნობა. რომელიც მრავალგზის დაუმოწმებიათ ჩვენში: „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“.

ქართულსა თუ უცხოურ საისტორიო წყაროებში ჯერჯერობით არავითარი პირდაპირი საბუთი არ აღმოჩენილა ჯვაროსნულ ლაშქრობებში ქართველთა უშუალო მონაწილეობის შესახებ, მაგრამ თავისთავად ქართველი ხალხის ბრძოლა თურქ-სელჩუკ დამპყრობელთა წინააღმდეგ წარმოადგენდა ჯვაროსნული მოძრაობის ერთერთ შემადგენელ ნაწილსა და ცხოველმყოფელ ძალას. თუ XI საუკუნის დამლევს ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებამ მტკივნეული დარტყმა მიაყენა თურქ-სელჩუკთა იმპერიას და სული მოათქმევინა დავით აღმაშენებლის საქართველოს, შემდგომში უკვე საქართველო თამაშობდა ხოლმე ჯვაროსანთა აქტიური მოკავშირის როლს და ზოგჯერ საგრძნობ შვებასაც აძლევდა მაჰმადიანთა მიერ შევიწროებულ ჯვაროსნებს — აღმოსავლეთში „მეორე ფრონტის“ რეალური არსებობით.

საქართველო ელტვოდა დასავლეთს და მთელი სულითა და გულით ეგებებოდა მის გამოჩენას აღმოსავლეთში. ამიტომაც დახვდნენ გულთბილად ქართლში „იდუმალ“ ჩამოსულ ბალდუინ II-ს, იერუსალიმის მეფეს და სათხოვარი აღუსრულეს. ამიტომაც გამოიწვია დავით აღმაშენებელმა „დუელში“ ჯვაროსანთა მთავარი და მრისხანე მტერი ილ-ღაზი, აიძულა დიდგორში ჩამობრძანებულიყო და თავლაფდასხმული გაუშვა, დაჭრილი და ლაშქარგაქცეული. ამიტომაც გაჩნდა პათეტიკური აღწერა დიდგორის ომისა ანტიოქიის კანცლერ გოტიეს თხზულებაში. ამიტომაც ელანდებოდა ფრანგ რაინდს და ბუას ქართველთა ურიცხვი მხედრობის მოახლოება „დედოფლის უძლიერესის“ თამარის ძის („ალექსანდრეს

ბადალის") წინამძღოლობით მაჰმადიანთაგან ხელახლა დაპყრობილი იერუსალიმის გასანთავისუფლებლად.

საქართველოს სამეფოს ბრძოლას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, როგორც დიდ წვლილს ჯვაროსანთა მოძრაობაში, ხაზგასმით აღნიშნავენ ჯვაროსნულ ლაშქრობათა ისტორიის უცხოელი სპეციალისტები: რენე გრუსე, სტივენ რენსიმენი, ანა ფონ ბრინკენი... კერძოდ, ეს უკანასკნელი წერს: „ერთმანეთს რომ შევუდაროთ ლათინთა მიერ ბერძნებისა და ქართველების შეფასება, განსხვავება გასაოცარია, დასავლეთისთვის ორიენი ქალკედონიტი ერეტიკოსები იყვნენ, მაგრამ ყოველი ლათინი კარგად აფასებს ქართველებს. უკვე ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის დროიდან გამოჩნდნენ ისინი ღვთისმოსაობის იდეალად... სრულიად აშკარად ქართველები შეესაბამებიან ქრისტიანულ რაინდულ იდეალს. ისინი არიან მებრძოლნი, მამაცნი და შეურიგებელნი მაჰმადიანთა მიმართ. მათ ჰქონდათ იგივე საბრძოლო მორალი, როგორც დასავლეთს".

XIII საუკუნის ოციანი წლებიდან „დიდი ღამე" ჩამოდგა საქართველოს ცხოვრებაში... შეხვედრა დასავლეთთან გადაიქცა აუხდენელ ოცნებად. გარს შემოგვერტყა აღმოსავლეთი და თუ XI—XII საუკუნეებში საქართველო, როგორც ტოლი ტოლს, ებრძოდა მეზობელ მაჰმადიანურ სამფლობელოებს და ხშირადაც ჯაბნიდა, ახლა როლები შეიცვალა და ობლად დარჩენილი ქრისტიანული ქვეყანა ძლიერძლიერობით უძლებდა მრისხანე აგრესორთა შემოტევას, სასოწარკვეთილი ეევედრებოდა შველას ქრისტიანულ დასავლეთსა თუ ასევე ქრისტიანულ ჩრდილოეთს და სანამ შეწევნა ეღირსებოდა, თვითონაც მხნედ იგერიებდა მტერს, ჯიუტად ლამობდა თავისი მეობის, თავისი სულის შენარჩუნებას.

გურამ ასათიანი თავის წიგნში „სათავეებთან" აღნიშნავს, რომ ბევრი რამ დავკარგეთ მაშრიყელთა წყალობით და აღმოსავლეთიდან მემკვიდრეობით მივიღეთ ე. წ. „აზიატური" ყოფისა და ხასიათის მრავალი უბადრუკი თვისება.

აღნიშნული მოსაზრება, ცხადია, სპეციალურ დაკვირვებას და უამრავი მასალის განხილვას მოითხოვს. აქ მხოლოდ იმით დავკმაყოფილდები, რომ გავიხსენებ ორიოდე საინტერესო ეპიზოდს XII ს. არაბი ავტორის უსამა იბნ მუნკიზის წიგნიდან, რომელიც ერთობ ორიგინალურ ნაწარმოებად ითვლება არაბულ მწერლობა-

ში. ფაქტიურად, ეს გახლავთ სირიელი ამირას დღიური ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მემუარები.

მინდა შევახსენო მკითხველს, რომ ჯვაროსანთა და მაჰმადიანთა ურთიერთობა განუწყვეტელი მტრობითა და ბრძოლით როდი ხასიათდებოდა. იყო ხანგრძლივი დაზავებანი და მშვიდობიანი ცხოვ- ... ჯვაროსანთა მიერ სირია-პალესტინის მიწაზე დაარსებულ საფეოდალო-სამთავროებში ერთიმეორის გვერდით ნორმალურ არსებობას განაგრძობდნენ მკვიდრი მაჰმადიანები და ქრისტიანი კოლონისტები. მიმდინარეობდა ვაჭრობა, სამედიცინო ცოდნა-გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ზოგჯერ საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებასაც არ ერიდებოდნენ. ავადსახსენებელი ასასინები თანაბრად აწუხებდნენ მაჰმადიანებსაც და ქრისტიანებსაც.

უსამა იბნ მუნკიზი, ჩანს, დაკვირვებული კაცი ყოფილა. იგი უურადღებას აქცევს მაჰმადიანურ სამყაროში შემოჭრილ ევროპელთა ცხოვრების წვრილმან მხარეებსაც და ბეჯითად აღნუსხავს თავისი თხზულების ფურცლებზე. ერთ ადგილას იგი ამბობს: ფრანკებს (ე. ი. ევროპელებს) არ გააჩნიათ არავითარი თავმოყვარეობა და ეპვის გრძნობა. ხდება ხოლმე, რომ ფრანკი მისეირნობს ქუჩაში თავის ცოლთან ერთად, შეხვდება ნაცნობს, რომელიც ხელს მოჰკიდებს ქალბატონს, განზე გაიყვანს და ესაუბრებაო. ქმარი თავისთვის დგას და მოთმინებით ელოდება, როდის დაამთავრებენ ისინი საუბარს. თუკი საუბარი გაჭიანურდა, ქმარი მიატოვებს ცოლს ნაცნობ მამაკაცთან და თავის გზას გაუდგებაო.

უსამა სხვა ამბავსაც გადმოგვცემს: ფრანკს აბანოში მიჰყავს თავისი ცოლი და მაჰმადიან დალაქს სთხოვს, იგივე სამსახური გაუწიე ქალბატონს, როგორც გუშინ მე გამიწიეო. დალაქი ამბობს, ჩემს ხელმეს შევუდექიო (დეტალებს ნუ დავიმოწმებთ!), ქმარი კი მშვიდად იჯდა და გულგრილად შემომყურებდაო. მერე მადლობა გადაიხადა და გასამრჯელოც მომცაო. დაბნეული უსამა წარმოთქვამს: ცხადია, ფრანკებს არ გააჩნიათ თავმოყვარეობა და ეპვის გრძნობა. მაგრამ ბრძოლაში ძალზე მამაცნი არიანო, და განა სიმამაცე სწორედ თავმოყვარეობისა და შერცხვენის შიშისგან არ წარმოიქმნებაო?

მაგრამ ევროპელებიც ხშირად სახტად რჩებოდნენ მაჰმადიანთა შოქმედების წინაშე. როდესაც ჯვაროსნებმა ქ. ტრიპოლი აიღეს, ორი ბეზობელი მაჰმადიანი ამირა სასწრაფოდ დაუკავშირდა ქალა-

ქის დამპყრობლებს, რათა გამოესყიდათ... როგორ ფიქრობთ, რა უნდა გამოესყიდათ? არა, არც ქალები, არც ძვირფასეულობა, არც სარწმუნოების ატრიბუტები. მხოლოდ და მხოლოდ ორი ადამიანის გამოსყიდვა სურდათ. ერთი სწავლული იყო და მეორე ... ვრაფი.

ადვილი წარმოსადგენია ჯვაროსანთა განცვიფრება!

აღმოსავლეთი გაკვირვებული თვალებით შეჰყურებდა მისთვის უცხო დასავლეთს და, რასაკვირველია, დასავლეთიც ვერ მალავდა თავის გაოცებას აღმოსავლეთის წინაშე. ბრძოლის ველზე უფრო ესმოდათ ერთმანეთისა. იქ არც გაკვირვებას ჰქონდა ადგილი, არც ვულისწყრომას. ბრძოლის ველი მარტივ ასპარეზს წარმოადგენდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესახვედრად. მშვიდობიანი ცხოვრება გაცილებით რთული და გაუგებარი იყო.

უსამა იბნ მუნკიზის წიგნის წინასიტყვაობაში გამოჩენილი საბჭოთა არაბისტი ი. კრაჩკოვსკი შენიშნავს: „უსამას მოგონებათა ღირებება ისიც არის, რომ მასში ნაჩვენებია, თუ როგორ ისახება ინდივიდუალური სიმპათია მაჰმადიანთა და ქრისტიანთა ცალკეულ წარმომადგენლებს შორის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. თავისთავად, ასეთი სიმპათიის შესაძლებლობა, იმ დროსა და იმ ვითარებაში, წარმოადგენს მთელ ხალხებსა და მთელ კულტურებს შორის მისი შესაძლებლობის საუკეთესო დასაბუთებას“.

როდესაც იმოწმებენ ხოლმე რენიერად კიპლინგის ცნობილ სტრიქონებს აღმოსავლეთსა და დასავლეთზე, რატომღაც ავიწყდებათ სტროფის მეორე ნაწილი, რომელიც ეშვეშ აყენებს დასაწყისში გამოთქმულ დებულებას. მოვიტანოთ კიპლინგის სახელგანთქმული ბალადის მთელი პირველი სტროფის შეძლებისდაგვარად ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანი: „ო, აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი და დასავლეთი არის დასავლეთი, და ისინი ერთმანეთს ვერასოდეს შეხვდებიან, ვიდრე ხმელეთი და ზეცა არ შეიყრებიან უფლის დიდ სამსჯავროზე; მაგრამ აღარც აღმოსავლეთია და აღარც დასავლეთი, აღარც საზღვარი, აღარც მოდგმა და აღარც ჯიში, როდესაც ორი ძლიერი ერთმეორის პირისპირ დგება, თუნდაც ისინი წარმოშობით დედამიწის ორი პოლოდან იყვნენ!“

კიპლინგის ბალადის მთელი შინაარსიც კვერს უკრავს პირველი სტროფის მეორე ნაწილს, რომელსაც, ვიმეორებ, ნაკლებად იმოწმებენ ხოლმე.

საუკუნეთა მანძილზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებულ ალმოსავლეთსა და დასავლეთს ზოგჯერ ავიწყდებოდა თავისი წარმომავლობა სწორედ ბრძოლის ველზე, როდესაც, კიპლინგისა არ იყოს, ორი ძლიერი დგებოდა ერთიმეორის პირისპირ.

ალბათ, გახსოვთ ილია ჭავჭავაძის პატარა და მშვენიერი მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი". მაგრამ შესაძლოა ყველამ არ იცოდეს, რომ ამ მოთხრობის წყაროს წარმოადგენს ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრებაში" სიტყვაძუნწად დამოწმებული ეპიზოდი. XVII ს. მიწურულში, სეფიანთა ირანის ჯართან ქართველთა ბრძოლის აღწერისას ვახუშტი მოგვითხრობს შემდეგს: „კვალად მხნედ გამოსჩნდა სპარსი ერთი, რამეთუ ჩამოჰყარნა ხუთნი მხედარნი, მხნე ჭაბუკნი. შემდგომად შეიპყრა იგიცა გოსტაშაბისშვილმან ნიკოლაოზ და განუტევა მშვიდობით სიმხნისა მისისათვის".

მართლაც რომ დაუჯერებელი ამბავია. ხუთი ქართველი მხედარი ჩამოჰყარაო. ვთქვათ, არც ერთი მათგანი არ დაღუპულა, მხოლოდ დაიჭრნენ თუ დაშავდნენ. დავუშვათ, ფრჩხილიც არ სტკენიათ. და მაინც მოულოდნელი და გასაოცარია ქართველი რაინდის უჩვეულო კეთილშობილება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველივე ეს ხდება ბრძოლის ველზე, თავდაუზოგავი შერკინებისას, როდესაც ადამიანი ემსგავსება მხეცს და გულჩვილობა უადგილო ფუფუნების საგნად გადაქცეულა.

ახლა მოვუსმინოთ ფარსადან გორგიჯანიძეს. მის საისტორიო თხზულებაში აღწერილია თემურ-ლენგის ლაშქრობა საქართველოში, კერძოდ — ბირთვისის ციხის ალყა, რომელიც ერთი კვირა გრძელდებოდა და სახელგანთქმულმა „მსოფლიო დამპყრობელმა" ვერაფერი გააწყო აუღებელი ციხის წინააღმდეგ. ბოლოს ხერხს მიმართეს, ღონემ რომ ვერ გაუმართლათ. ერთ ბნელ ღამეს აბრეშუმის თოკები დაგრიხეს, კიბე გააკეთეს და ორმოცდაათი კაცი გადაძვრა თავისი მიუვალობით გულდაიმედებულ ციხეში. „ნახეს". რომ ქართველთ სძინავთ და ციხის გაფრთხილებას უკან არ არიან. ერთმან ხორასანელმან ვაჟმან კაცმან შებრალებით ქართველთა შესატყობლათ მაღალის ხმით ალაჰ ალაჰ დაიძახა. მაჰმუდა მექანარეემ წაფრი დააყვირა". ხმაურს გამოუღვიძებია ქართველები და იარაღისათვის ხელი უტაციათ.

დამოწმებული ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან მჭევრ-

პეტყველი დადასტურებაა რედიარდ კიპლინგის ზემოთქმული სტროფისა. ადამიანს ზოგჯერ ავიწყდებოდა თავისი მოდგმა და რჯული, ავიწყდებოდა მტრობა, ბოღმა და სისხლისღვრის ჟინი და უეცრად მის სულში გამოკრთებოდა ხოლმე კაცთმოყვარეობის პაწია ციცინათელა.

მაგრამ აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთს ხვდებოდა არა მარტო ბრძოლის ველზე. მათი დაახლოებისა და ურთიერთშეცნობის სარბიელს პოეზიაც წარმოადგენდა.

...1622 წლის ივლისი. ქალაქი შირაზი. შაჰ-აბასის საპატიო სტუმარი, იტალიელი პილიგრიმი პიეტრო დელა ვალე მიეშურება გამოჩენილი სპარსელი პოეტის ჰაფეზის საფლავის სანახავად! ევროპაში ბევრს არც სმენია ჰაფეზისა თუ მისი წინამორბედების სახელი. ჯერ არ დაბადებულა არც გოეთე, რომელიც გაუგონარ ხოტბას შეასხამს დიდ სპარსელ პოეტებს და არც — ფიცჯერალდი, რომელიც ისე აამეტყველებს ომარ ხაიამს ინგლისურ ენაზე, რომ თითქმის გადააქცევს ინგლისური ლიტერატურის ღვიძლ შვილად. მაგრამ პიეტრო დელა ვალე თავისი ეპოქის უგანათლებულესი პიროვნებაა, მგზნებარე ქრისტიანს და მაჰმადიანური აგრესიის წინააღმდეგ ნახევრადფანტასტიკური პროექტების ავტორს, აოხრებული საქართველოს გულშემატკივარსა და ქომაგს, სრულიადაც არ ეუცხოება აღმოსავლური კულტურა.

და აი, შირაზში ჩასული იტალიელი მოგზაური მიდის ჰაფეზის საფლავზე. პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, ჰაფეზი ბრწყინვალე სპარსელი პოეტია, ვისი ლექსებიც შეიძლება შეადარო ტოსკანურ სონეტებს, მას დიდად აფასებენ ირანში, ჰაფეზის წიგნი ხელიდან ხელში გადადის და ისეთივე გატაცებით კითხულობენო, როგორც იტალიაში პეტრარკას. დელა ვალე აღწერს ერთ დიდ ბაღში პატარა ტაძრის მსგავს გუმბათიან ნაგებობას, სადაც მოთავსებული ყოფილა აკლდამა ჰაფეზისა. პიეტროს, როგორც პოეზიის მოყვარულსა და მცოდნეს, ხმამაღლა წაუკითხავს ოთხი იტალიური ლექსი (ეპიტაფიის ხასიათისა) ჰაფეზის საფლავთან. მაგრამ თავი შეუკავებია, თვითონაც წაეწერა რამდენიმე სტრიქონი ეპიტათიებით აჭრელებულ მარმარილოს თაღზე, მაჰმადიანებს საწყენად რომ არ დარჩენოდათ ქრისტიანის მიერ მათი პოეტის აკლდამის შებღალვა. მერე ლექსიც შეუთხზავს ექსპრომტად: ჰაფეზის ნეშტი განისვენებს ამ აკლდამაში, ალბათ, მტვრად იქცა ძვლები, მაგრამ

სული მისი ცოცხლობს ათასობით ლექსში, რომელიც მან დაუტოვა ადამიანებს.

განა საოცარი სურათი არ არის? იტალიელი პილიგრიმი, ვიმიორებ, მგზნებარე ქრისტიანი და ყველა ქრისტიანის მოსარჩლე, დგას მაჰმადიანი პოეტის საფლავთან და ლექსებს თხზავს მისი უკვდავების შესამკობად.

ახლა ისევ საქართველოს დავუბრუნდეთ.

XVI საუკუნის დამლევს, კახეთის მეფის კარზე სტუმრად ჩამოსულა სპარსელი პოეტი ფაღფურ ლაჰიჯანი, წარმოშობით — გილანის პროვინციიდან. მის პოეტურ მემკვიდრეობაში ვეხვდება საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსებიც. როგორც ირკვევა, ფაღფურ ლაჰიჯანი ყოფილა საკმაოდ სახელმოხვეჭილი პოეტი და განსწავლული პიროვნება მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

სპარსელ პოეტს აქვე შეუქია საქართველოს მიწა-წყალი: „მისი ციწის წინაშე სიტურფის მხრივ ღირსება დაუკარგავს თვით ირამის წალკოტს" (აქ „ირანი" არ წაიკითხოთ, „ირამი" ერქვა ზღაპრული სილამაზის ბაღს იემენში).

ფაღფურ ლაჰიჯანის შეუქია ავრეთვე კახეთის მეფე ალექსანდრე: „საწუთრო აღესილია ალექსანდრეს დიდებით, საქართველო მისი წყალობით ისკანდერის (ე. ი. ალექსანდრე მაკედონელის) შესაფერისი ასპარეზია. მის კეთილშობილ ხელისგულს გამარჯვების ხანჯალი უპყრია, მისი სამეფო გამარჯვებულია, ქვეყანა — აყვავებული".

გ. ბერაძე შენიშნავს, რომ ასეთი შესხმა, რასაკვირველია, ალექსანდრე მეფისადმი პოეტის პირადი სიმპათიითაც არის გამოწვეული, მაგრამ არაა მოკლებული რეალურ საფუძველს, და თვით შაჰაბას I-ის კარის მემატიანე და მეხოტბე ისკანდერ მუნშიც კი, რომელსაც, გილანელი პოეტისაგან განსხვავებით, კახეთის მეფისადმი არავითარი სიმპათიები არ ამოძრავებდა, ალექსანდრეს ახასიათებდა როგორც „გამჭრიახობით უგამოჩინებულეს ადამიანს ახალგაზრდათა და მოხუცთა შორის" (ალექსანდრე მეფის მოღვაწეობა დადებით შეფასებას იმსახურებს ივ. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის შრომებში).

სიტყვამ მოიტანა და აქვე დავძენდი, რომ ზოგიერთი ავტორი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვახუშტის ერთ ცნობას ალექსანდრე მეფის შესახებ. ნადირობის ტრფიალ მეფეს თითქოსდა

უთქვამს: „ახ ნეტარძი ოხერ მეკმნეს კახეთი, რათა მაქვნდეს სანადირონი მრავლადი“. ამ სიტყვებს იმოწმებენ ხოლმე ალექსანდრე მეფის გულქვაობისა თუ უგუნურების დასამტკიცებლად. დახეთ, ხადირობის ეშხით შეპყრობილი თავისი სამეფოს დაქცევას ნატრობდაო! ჯერ ერთი, ღმერთმა უწყის, მართლა წარმოთქვა თუ არა ესოდენ ტლანქი ხუმრობა კახთა მეფემ და თუნდაც წარმოეთქვა. მხოლოდ და მხოლოდ იუმორის ნიჭი შეიძლება დავუწუნოთ.

დავუბრუნდეთ ისევ სპარსელ პოეტს, რომელსაც, სხვათა შორის, ალაჰის მოციქულ მუჰამედის პირდაპირ შთამომაველად მოჰქონდა თავი, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი მოუხიბლავს არა მარტო საქართველოს ბუნებასა და ალექსანდრე მეფის პიროვნებას, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ, ქრისტიანულ ეკლესიასაც. ფალფურ ლაჰიჯანი წერს: „შედი მონასტერში. ძალზე მომხიბვლელი რამ არის, სიყვარულის ბრაჰმანი ხარ და შენი მონასტერი მშვენიერია. ისმინე ეკლესიის ზარის რეკვა, იესო ქრისტეს დიდება ისმინე“.

ამ სტრიქონებს, ვფიქრობ, კომენტარი არ სჭირდება.

ჩვენში ბევრი რამ დაწერილა ქართული კულტურის ურთიერთობაზე აღმოსავლურთან. ბოლო ხანებში, კიდევ ერთხელ შეგვახსენა ეს საკითხი გ. ასათიანმა: „არსებობს აზრი, რომ ყოველივე აღმოსავლური საფუძველშივე უცხოა ჩვენთვის, ძალითაა თავმოხვეული და ეს ნაძალადევი ზემოქმედება მხოლოდ ამახინჯებდა და ამახინჯებს ქართული კულტურის არსს... და მაინც აღმოსავლეთმავე ჩვენ ბევრი რამ მოგვცა, რა დასამალია, ზოგიერთი საძრახი თვისებაც შევიძინეთ, მაგრამ გაცილებით მეტი ნამდვილად ღირებული, გამამდიდრებელი. და, რაც მთავარია, ქართულმა მხატვრულმა გენიამ შეძლო გაეთავისებინა შეძენილი, თავისებურად მიეღო და გადაედნო, ისე რომ უკანასკნელს მისი პირველქმნილი არსი არ დაეჩაგრა“.

გ. ასათიანის მიერ მკაფიოდ ჩამოყალიბებული დებულების დამამტკიცებელ მაგალითებს აღარ მოვიტან. მათი რიცხვი აურაცხელია და, დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ მკითხველს კარგად ახსოვს ისინი.

...ახლა წარმოიდგინეთ XVII საუკუნის საქართველო — მრავალგზის აოხრებული და დარბეული ქვეყანა, დანგრეული სასახლეები და პირისაგან მიწისა აღგვილი სოფლები, ირანში ტყვედ წაყვანილთა გრძელი ქარავნები, სისხლისმღვრელი ომები და თავგანწი-

რული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ბრწყინვალე გამარჯვება შარტყოფში და ბრწყინვალე დამარცხება მარაბდაში. და ბოლოს, ჟამი მშვიდობისა, როდესაც უკვე ტკბილი სიტყვითა და ქრთამით ინერგება საქართველოში ყიზილბაშთა ზნე-ჩვეულებანი.

თუ გავიხსენებთ ყოველივე ამას, მართლაც მოულოდნელი და აღმაშფოთებელი მოგვეჩვენება თეიმურაზ პირველის „ლეილ-მაჯნუნიანში" ამოკითხული სიტყვები: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი"... რამ ათქმევინა, რამ დააწერინა ეს უცნაური ქება უცხო სპარსული ენისა მეფე-პოეტს, რომელსაც ივ. ჯავახიშვილმა უწოდა „სპარსეთის დიდი მტარვალის დაუღალავი მოწინააღმდეგე", ხოლო ნ. ბერძენიშვილმა „სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი ბრძოლის მესაქე".

როგორ შევუთავსოთ ერთიმეორეს თავდადებული ბრძოლა საქართველოში სეფიანთა ირანის ბატონობის წინააღმდეგ და... ქება სპარსული ენისა?

უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სპარსული ენა არა ყოფილა ჩვენი მტრისა და დამპყრობლის ენა, ის არ ყოფილა იმათი ენა, ვინაც XVII საუკუნეში ენით აუწერელი ნგრევა და აოხრება მოუტანა საქართველოს მიწა-წყალს.

საამისო საბუთები მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ხასიათის წყაროებსა და გამოკვლევებში. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს დავიმოწმებ სანიმუშოდ. ჯერ გადავხედოთ XVII ს. ირანში სამოგზაუროდ თუ სხვა მიზნით ჩასულ ევროპელთა ნაწერებს. აი, რას ამბობენ ისინი:

ჟან შარდენი: სეფიანთა ირანში გავრცელებულია სამი ენა. არაბული — ღვთისმეტყველთა და სწავლულთა ენა, სპარსული — სიტყვაკაზმული მწერლობისა და უბრალო ხალხის (ე. ი. სპარსელთა) ენა, თურქული — სამეფო კარისა და სამხედრო ხალხის (ე. ი. ყიზილბაშთა) ენა.

ადამ ოლეარიუსი: სეფიანთა სამეფო კარზე საყოველთაოდ მიღებულია თურქული ენა და იშვიათად თუ გაიგონებს კაცი სპარსულ სიტყვას.

კარმელიტთა ორდენის მისიონერი: ირანის შაჰი, დიდკაცები და მეომრები, ჩვეულებრივ, ლაპარაკობენ თურქულ ენაზე. სპარსული მხოლოდ უბრალო ხალხისა და სახელმწიფო საბუთების ენაა.

პიეტრო დელა ვალე: სეფიანთა სამეფო კარზე, სამხედრო წრე-

ებსა და ცივილიზებულ საზოგადოებაში უფრო მიღებულია თურქული ენა... ქვეყნის კეთილშობილნი, განსაკუთრებით სამხედრონი. მეტწილად, თურქული მოდგმისა არიან. შაჰი და წარჩინებულნი სიამაყით ლაპარაკობენ თურქულად.

ეან თევენო: სეფიანთა სამეფო კარზე მხოლოდ და მხოლოდ თურქულად ლაპარაკობენ, ოღონდ იქაური თურქული ენა იმდენად განსხვავდება კონსტანტინოპოლში გავრცელებული თურქულისაგან, რომ შეიძლება ითქვას, სავსებით სხვა ენაა.

დასავლეთ ევროპაში მოგზაურობისას სულხან-საბა ორბელიანი ამბობდა, ყიზილბაშური თათრული ვიცი. საქართველოში „თათრული" იხმარებოდა თურქული ენის მნიშვნელობით, ხოლო საბასეული „ყიზილბაშური თათრული" საკმაოდ ზუსტი სახელწოდებაა სეფიანთა სამეფო კარზე მიღებული ენისა, რომელიც თურქულის ერთ-ერთ დიალექტს წარმოადგენდა („ისლამის ენციკლოპედიაში" აღნიშნულია, რომ ადგილობრივი წყაროები „ყიზილბაშურ თურქულს" ეძახიან სეფიანთა ირანში გავრცელებულ თურქული ენის დიალექტს, რათა განასხვავონ ოსმალთა თურქულისაგან).

აღძრული საკითხის ირგვლივ საინტერესო მინიშნებანი გვხვდება ქართულსა და სომხურ საისტორიო წყაროებში.

ფარსადან გორგიჯანიძე წიწამურთან გამართული ბრძოლის აღწერისას აღნიშნავს: „ქართველნი ყიზილბაშთ ლაშქარში გამოერიენ და შეიქნა ძახილი დაჰკარ დაჰკარისა და ურუზბეგ გიდილარი" (ამ უკანასკნელ სიტყვებს, ცხადია, ყიზილბაშები იძახდნენ. ქართული თარგმანი: „კახპებო, წაეთრიეთ"). დასახელებული ავტორი, როგორც ცნობილია, მოგვითხრობს მარაბდის ომის ამბავსაც. როდესაც ყიზილბაშთა მაშველი ლაშქარი მოადგა ბრძოლის ველს. თურმე „მაღალის ხმით იძახდენ, რომ შაჰ გელდი, შაჰ გელდიო" (ე. ი. შაჰი მოვიდაო). „შაჰ გელდი", ისევე როგორც „ურუზბეგ გიდილარი", ყიზილბაშური თათრული გახლავთ, დიახ, „ყიზილბაშური თათრული" ისმოდა ხოლმე ბრძოლის ველზე და არა — „სპარსთა ენისა სიტკბო".

XVII ს. სომეხი ისტორიკოსი ზაქარია ქანაქერცი გადმოგვცემს. რომ მეწვრილმანე ვაჭრად გადაცმული შაჰ-აბასი ერთხელ ესტუმრა სომხურ სოფელს და მიადგა ერთი დიაკვნის სახლს: დიაკვანი გართული იყო წიგნის გადაწერით. შაჰმა ჰკითხა დიაკვანს: ეგ რა

წიგნიაო? დიაკვანმა მიუგო: ჩვენს ენაზე აისმავურქ ჰქვია, ხოლო თქვენს ენაზე შეით ქეთაბის ეძახიანო.

რას ნიშნავს სომეხი დიაკვნის მიერ შაჰ-აბასის მისამართით წარმოთქმული „თქვენი ენა“? ისევ და ისევ სულხან-საბას მიერ „ყიზილბაშურ თათრულად“ მონათლულ თურქული ენის დიალექტს, საიდანაც „შეით ქეთაბი“ ითარგმნება, როგორც „წმინდანთა წიგნი“ (უფრო ზუსტად: „რჯულისათვის წამებულთა წიგნი“).

ზაქარია ქანაქერცი შემდეგ აღნიშნავს, რომ დიაკვანმა, შაჰის თხოვნით, უამბო მას წმ. აკოფის ცხოვრება. თურქულ ენაზე უამბოო (ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ „ყიზილბაშური თათრული“).

ამავე თხზულებაში ამირგუნე-ხანის ვაჟიშვილი ქურთებთან ბრძოლისას ასე მოუწოდებს თავის მეომრებს: „ხავთურ, ყიზილბაშ, ხავთურ!“ (წინ, ყიზილბაშებო, წინ!); ისევ „ყიზილბაშური თათრული“ გახლავთ. ერევნის ხანად ნიშნავენ ვინმე ზაალ-ხანს, წარმოშობით ქართველს, ქუჩაში გამოსული მაცხე ხმამაღლა აუწყებს მოსახლეობას ამ ამბავს და საზეიმოდ გაჰყვირის: „უმრი ჩოხ ოლსუნ!“ („დღეგრძელი იყოს იგი“); ისევ და ისევ „ყიზილბაშური თათრული“...

როგორც ვხედავთ, ქართული და სომხური წყაროები ცოცხალი მაგალითებით ადასტურებენ ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებში დამოწმებულ ინფორმაციას.

ინგლისელი ორიენტალისტი ე. ბრაუნი აღნიშნავს ერთობ უცნაურ ფაქტს. თურმე, სეფიანთა დინასტიის ფუძემდებელი შაჰ-ისმაილ I წერდა ლექსებს, მეტწილად, თურქულ ენაზე (მკვლევარის განმარტებით, ეს გახლავთ თურქული ენის თურქმანული დიალექტი); ხოლო სეფიანთა ირანის ხელმწიფის დიდი მეტოქე — ოსმალეთის სულთანი სელიმ I წერდა ლექსებს სპარსულად! პროფ. ვ. მინორსკის მიხედვით, ეს პარადოქსი გამოწვეული იყო მათი მიზნების განსხვავებით — ოსმალეთის სულთანი წერდა ლექსებს თავისი სიამოვნებისათვის, გასართობად და ამიტომაც „ტკბილი სპარსული“ უფრო ეჭაშნიკებოდა, ვიდრე მშობლიური თურქული, რომელიც, იმდროინდელი მოარული გამოთქმის თანახმად, მხოლოდ ომში გამოდგებოდა. რაც შეეხება შაჰ-ისმაილს, მისი ლექსები გამიზნული იყო ყიზილბაშთა ტომების მხარდაჭერის მოსაპოვებლად და ამიტომაც იწერებოდა თურქული ენის იმ დიალექტზე, რომელიც მათ დედაენას წარმოადგენდა.

თანამედროვე სპარსელი ისტორიკოსი ნასრულა ფალსაფი, ავტორი მრავალტომიანი ნაშრომისა შაჰ-აბასის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, წერს: „იმ ეპოქაში, როდესაც ტკბილი სპარსული ენა ოსმალეთის იმპერიასა და ინდოეთში იყო პოლიტიკისა და თავაზიანობის ენა, შაჰ-ისმაილმა თურქული ენა გადაქცია ირანის სამეფო კარის ოფიციალურ ენად. თვითონაც ლექსებს თხზავდა მხოლოდ და მხოლოდ თურქულ ენაზე, და ამ ენამ ისეთი გავრცელება ჰპოვა სეფიანთა კარზე, რომ ხსენებული დინასტიის მმართველობის დასასრულამდე, და შემდგომშიც კი, თურქული ენა რჩებოდა სამეფო კარის ოფიციალურ ენად". სპარსელი ისტორიკოსი დასძენს, რომ, მართალია, სეფიანთა ხელმწიფეს ეძახდნენ ირანის შაჰინშაჰს, თავად ქვეყანას ყიზილბაშთა სახელმწიფო ერქვაო.

ასე რომ, „სპარსთა ენა" არ ყოფილა იმათი ენა, ვინც ცეცხლითა და მახვილით მოდიოდა XVII ს. საქართველოში.

„სპარსთა ენისა სიტკბო"... რომ აღარაფერი ვთქვათ სპარსული ლიტერატურის ბრწყინვალე ვარსკვლავებზე, რომელთაც მსოფლიო აღიარება მოიხვეჭეს, თავად ენის ამგვარი დახასიათება მარტო თეიმურაზ პირველის ახირებული აზრი არ ყოფილა. სხვა ქართველ მწერლებსაც წამოცდენიათ იგივე „მკრეხელობა". ასე მაგალითად, ვახტანგ VI ამბობს: „ეს ქილილა და დამანა, ბრძენთაგან გამოთქმულები, სპარსთა ენისა სიტკბოთი დაშაქრულ-დაამბრულები". იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში" ვკითხულობთ: „სპარსული ლექსებშიაც ქებულია და ტკბილი სასმენლად".

საგულისხმო გარემოებაა, რომ „სპარსთა ენისა სიტკბოს" აღნიშნავს იტალიელიც კი! კერძოდ, პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, სპარსული ენა არის ძალზე ტკბილი და ნაზი, და ზედგამოჭრილია ქალებისა და პოეზიისათვის. იტალიელს რომ „ტკბილ ენად" მოიჩვენებოდა მისთვის სავსებით უცხო სპარსული, რაღა უნდა ეთქვა იმ ქვეყნის შვილს, სადაც ჯერ კიდევ XII საუკუნეში დიდად აფასებდნენ სპარსულ ლიტერატურას, დედანში კითხულობდნენ და მერე აქართულებდნენ.

ჯორჯ ბაირონმა თვით პიეტრო დელა ვალეს დედაენა — იტალიური თავისი სინაზითა და ალერსიანობით (ქალის ამბორივით რომ დნებაო), რბილი და ნარნარი ბგერების შრიალით, დაუპირისპირა მშობლიურ ინგლისურს, რომელზეც იძულებული ვართ ვისისინოთ, ვიფრუტუნოთ და ვიდუდუნოთო.

დაე, ინგლისური ენის სპეციალისტებმა განსაჯონ ამ სიტყვიერი სამართლიანობა, მაგრამ ჩვეულებრივ მკითხველს, ალბათ, დაუშვებელ მკრეხელობად და სამშობლოს სიძულვილად უნდა მოეჩვენოს დიდი ინგლისელი პოეტის მიერ თავისი დედაენის ასე აბუჩად აგდება:

...ყველა დროისა და ყველა ჯურის დამპყრობელმა ყოველთვის მშვენივრად იცოდა, რომ მთავარი ამოცანა სხვა ხალხის დასაშორჩილებლად და დასათრგუნად მისი მიწა-წყლისა და სულის ფესვიანად ამოგდება იყო. სხვათა შორის, ადამ მიცკევიჩის პოემის ერთი გმირი სულის შემბოჭველ ბორკილებს უფრო უფრთხის, ვიდრე ხელფეხზე დადებულ ბორკილებს.

ქართული ენა ყოველთვის იყო დიდი საზრუნავი და საფიქრალი ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთათვის, მაგრამ მათ ძალზე კარგად ესმოდათ, რომ, უპირველეს ყოვლისა, დასაცავი და შესანარჩუნებელი იყო ქართული მიწა და ქართული სული. უცხო ტომი ვერ უნდა ჩამოთესლილიყო საქართველოს ტერიტორიაზე და უცხო ზნე-ჩვეულებანი არ უნდა გამჯდარიყო ქართულ სულში. უცხო ტომთან აღრევა მოასწავებდა კატასტროფას, თორემ სიტყვები რა სათქმელია, ქართული ენა უხსოვარი დროიდან ითვისებდა უცხოურ ლექსიკას და ამით არაფერი აკლდებოდა. უცხო სიტყვები „ქართველდებოდნენ“ და ერთგულად ემსახურებოდნენ ახალ პატრონს. დღეს ვიღას ახსოვს, რომ ჩვენი მშობლიური სიტყვებია: ფიქრი, სევდა, ეშხი, სურათი, ხასიათი, ღალატი და სხვ. ოდესღაც „არაბები“ იყვნენ; ჭაბუკი და ჭარმაგი, ხანჯალი და ფანჯარა — „სპარსელები“; ოჯახი, იატაკი და ოთახი — „თურქები“... მხოლოდ სპეციალისტებს ახსოვთ მათი წარმომავლობა.

თეიმურაზ მეფეს „სპარსთა ენისა სიტკბო“ სახელმწიფო კანონად არ გამოუცხადებია! და არც არავის უცდია მისი გატოლება ქართველი ხალხის მეხსიერებაში სამარადისოდ აღბეჭდილ უკვდავ აფორიზმებთან. ეს „მწვალებლური“ ფრაზა რაღაც მეორეხარისხოვანი დეტალია თეიმურაზ პირველის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. მისი ზუსტი შინაარსის გარკვევა მეფე-პოეტის „რეაბილიტაციის“ წყურვილით როდია გამოწვეული, არამედ ჭეშმარიტების დადგენას ისახავს მიზნად.

გერონტი ქიქოძე შენიშნავდა: „თუ ჩვენთვის ასე თუ ისე სპარსელების მწერლობა და ხელოვნება კიდევ ახლობელი იყო, სამაგი-

ეროდ სრულიად მიუღებელი იყო მათი ეთიკა და სარწმუნოება“.

სამართლიანი და ზუსტი დაკვირვებაა.

გავიხსენოთ, როგორი დაუფარავი სარკაზმით აღწერდა ქართველი მეფე-პოეტი ყოველი მაჰმადიანისათვის სპოცნებო მაჰმადიანურ სამოთხეს (იმავე „ლეილ-მაჯნუნიანში“, სადაც არის ნათქვამი „სპარსთა ენისა სიტკბო“):

ეს [illegible] მათი სამოთხე, მაჰმად ამგვარად უწესა:
ქალნი და ვაჟნი ტურფანი მენ მყოფთა გვერდსა უწევსა,
იგ ლაფარულნი ასონი — უთქვამს — სამ წყრთამდი უწევსა,
მთქმელსა და დამჯერებელსა ამა ამბავსა — ფუ წვერსა!

ანდა როგორი სიძულვილით მოიხსენიებდა მაჰმადიანთა წმიდათაწმიდა, საპილიგრიმო ქალაქებს: „წყეულმც არს ნაჯაფ, ქალბალა, მექა, მედინა, მოლამდი“... ანდა როგორ ამაყად წარმოთქვამდა: „ქრისტეს მონა ვარ, მითა მძულს მეჩიტი, მინარანი და“...

დამოწმებული სტრიქონები სპარსულიდან თარგმნილ პოემებში არის შეტანილი. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად გამორიცხულია მათი არსებობა დედანში.

თეიმურაზ პირველის პორტრეტისათვის მთავარი და არსებითი „სპარსთა ენისა სიტკბოს“ აღნიშვნა კი არ გახლავთ, არამედ მისი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. სხვათა შორის, როდესაც თეიმურაზმა ოსმალეთის ხონთქარს სთხოვა შემწეობა ყიზილბაშთა წინააღმდეგ, თვალთმაქცური პასუხი მიიღო: შენ ქრისტიანი ხარ და მაჰმადიანებთან საბრძოლველად ლაშქარი როგორ მოგცეთ, მერჯულენი დაგვიშლიანო (თითქოსდა ირანი და ოსმალეთი ერთიმეორის დაუძინებელი მტრები არ იყვნენ!), გამაჰმადიანდი და ლაშქარსაც შყისვე მოგაშველებთო. მაშინ თეიმურაზს საკმაოდ ირონიული პასუხი გაუცია მაჰმადიანი მბრძანებლისათვის: ამდენს იმისთვის ვირჯები, რომ რჯული არ დავაგდო და თუ ყიზილბაშთა რჯული არ დავიჭირე, თქვენსას რატომ დავიჭერო.

ვგონებ, განმარტებას არ უნდა მოითხოვდეს ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ქრისტიანობის შენარჩუნება ფიზიკურად „ქართველობის“ შენარჩუნებას და სწორედ ამ მიზანს შეალია თეიმურაზმა მთელი სიცოცხლე და ფიზიკურ-სულიერი ძალები („სრულ განსაცდელში დავლიე ჩემნი ჟამნი და დღენია“, — ამბობს მეფე-პოეტი ერთ თავის პოემაში). ქართველად დაბადებული თე-

იმურაზი ქართველადვე მოკვდა. ერთხელაც არ უფიქრია, მიეღო მაჰმადიანური რჯული და თავისი ტანჯვა-გასაჭირი, დევნილება დახიზნობა გაეცვალა განცხრომასა და ფუფუნებაზე.

ვერაგიც იყო ხოლმე და დაუნდობელიც (გავიხსენოთ თუნდაც ზურაბ ერისთავის მკვლელობა), მაგრამ მრავალ ადამიანურ სისუსტესა და ნაკლთან ერთად გააჩნდა უდიდესი ღირსება — არასოდეს გაუყიდია თავისი სამშობლო, თავისი ხალხი და თავისი სული.

თეიმურაზ პირველი ომიანობის დროს როდი წერდა ლექსებს. ომი რომ დაატყდებოდა ქვეყანას, მისი მუზაც დუმდებოდა და მეფე-პოეტს, ალბათ, აღარც ახსოვდა პოეზიის არსებობა.

თვალი გადაავლეთ თეიმურაზის ნაწარმოებთა დათარიღებას. შეუდარეთ საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიას და თვალნათლივ დარწმუნდებით ზემოთქმულში. მისი პოემების ერთი ნაწილი („ლეილ-მაჯნუნიანი", „იოსებ-ზილიხანიანი", „წამება ქეთევან დედოფლისა") ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული მოსაზრების თანახმად, დაწერილია XVII საუკუნის ოციან-ოცდაათიანი წლების მიჯნაზე, როდესაც ქართველი ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო, როდესაც ქართლ-კახეთში უკვე აღიკვეთა ყიზილბაშთა თარეში და „ორსავ ტახტის მპყრობელ" თეიმურაზს სეფიანთა სამეფო კარზეც უწევდნენ ანგარიშს. ხოლო „ვარდ-ბულბულიანი", „შამი-ფარვანიანი" და „შადარება გაზაფხულისა და შემოდგომისა" შექმნილია 1649—1656 წლებს შორის, როდესაც მაჰმადიან როსტომ მეფესთან ხანგრძლივ ჭიდილში საბოლოოდ დამარცხებული თეიმურაზი იმერეთს გადაიხვეწა და შვიდი წლის მანძილზე იმყოფებოდა თავის სიძის, იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ „სარჩოდ" მიჩენილ რაჭაში. ხმალი დაუჟანგდა და მკლავიც აღარ ერჩოდა ძველებურად. ლექსების შეთხზვით ირთობდა თავს. აკი ამბობს: „ველარ გაუძელ შვიდ ზაფხულ მოწყენით ცუდად გდებასა".

XVII ს. საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას ივანე ჯავახიშვილი წერდა: „როგორ შეიძლება, რომ ხარობდეს პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი იქ, სადაც ირგვლივ მტრისაგან აოხრებული ქვეყანა იყო და ომისა და სიკვდილის შემზარავი აჩრდილი დაძრწოდა. სწორედ რომ გასაოცარი და სათაყვანებელია ის მამაცური გულგაუტეხლობა და სიცოცხლისა და მშვენიერების დაუშრეტელი წყურვილი, რომელიც თეიმურაზ მეფეს

და მის ქართველ თანამედროვეებს და მომდევნო თაობას ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებშიაც ეროვნული ხელოვნებისადმი უანგარო სამსახურის ხალისს არ უხშავდა“.

ალბათ, შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო თეიმურაზ პირველის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ მოტანილი მოთქმა უპირველეს წმინდანად შერაცხული ქართველი ქალისა:

სულო, გაუშვი ალაგნი, თვალნო დააგდენ ბუდენი,
გულო, საძირკვლით აღმოხე, მოიღოვენ გარენ ზღუდენი,
ტანო, ზე ნუღარ მართიხარ, გიდის ქვე ზღვანი უდენი,
ქარო, სად მისწვდე, მიიღე ანბავნი არ სამრუდენი.

იმქვეყნად მიმავალ დედოფალს ამქვეყნიური ცხოვრებაც არ ავიწყდება და სასიკვდილოდ განწირული მაინც იმედიანად წარმოთქვამს უკანასკნელ ლოცვასა თუ ნატვრას:

რადგან მომკლა უწყალომან, დრო იპოვა ჩემსა ზედა,
სისწაული მოავლინე ქრისტიანეთ ტყვეთა ზედა,
შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა,
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა.

ზემოთ დამოწმებული სტრიქონები თამამად შეიძლება შევიტანოთ ქართული პოეზიის „ოქროს ფონდში“...

„პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი“ ჯიუტად ხარობდა საქართველოში მტრების გულის გასახეთქად. იგი მხოლოდ ლექსებში როდი ბინადრობს, ცხოვრებაშიც ხშირად გვხვდება ხოლმე. როდესაც საყოველთაო განუკითხაობისა და ძალმომრეობის, სისხლისღვრისა და სიძულვილის აუტანელ პირობებში ადამიანი მაინც ამტკიცებს თავის ადამიანობას, ესეც „პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი“ გახლავთ. როდესაც ხუთი ქართველის დამჯაბნელ სპარსელს ქართველი რაინდი დაამარცხებს და სიცოცხლეს აჩუქებს მისი ვაჟკაცობის საზღაურად, ესეც „პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილია“. როდესაც მაჰმადიან მეომარს ეუცხოება მძინარე ქართველების გაქცევა, ესეც იმავე „ყვავილად“ უნდა ჩავთვალოთ. როდესაც სპარსელი პოეტი, თვით მუჰამედის შთამომავლად მიჩნეული კაცი, ეკლესიის ზარების რეკვას და იესო ქრისტეს დიდებას აღნიშნავს თავის ლექსში, ანდა იტალიელი პილიგრიმი აღტაცებით თხზავს ეპიტაფიას დიდი სპარსელი პოეტის საფლავთან, ესეც „პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილებია“.

განსხვავებული სარწმუნოება თუ მოდგმა, ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი თიძავდა ხალხებს და ცალკეულ ადამიანებს. ამ პროცესს აძლიერებდა აღზევებულ ჰტარვალთა უკიდეგანო პატივმოყვარეობა და წყურვილი სისხლისღვრით მოხვეჭილი სახელისა. დაუოკებელი ჟინი მეზობელი ქვეყნების დაპყრობისა, სადისტური თვითკმაყოფილება ადამიანთა აბუჩად აგდებითა და ფეხქვეშ გაგელვით. საერთაშორისო მასშტაბის მანიაკებს წვრილფეხა ავანტიურისტებიც აპყვებოდნენ ხოლმე. უცხო ძალით ზურგგამაგრებულ ზოგიერთ რენეგატს არ ეთაკილებოდა ბოროტებისა და უსამართლობის დაკანონება; აღარაფერს ეპუებოდა, რადგანაც გადამთიელთა ხმლები იცავდნენ მას. ხოლო ჩივილი ჩაგრულისა ვერ წვდებოდა ვერც ზეცას და ვერც ზეცასავით შორეულ მეტროპოლიას.

მაგრამ „პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი“ ჯიუტად ხარობდა უბრალო მოკვდავთა გულებშიც და ზოგჯერ მაინც ახერხებდა დღის სინათლეზე ამოსვლას. კლდე-ღრეში, ბნელ ხევ-ხუვში, გახრწნილების ჭაობშიც კი აყვავდებოდა ხოლმე და აღვივებდა დაუსრულებელ ოცნებასა და დაუშრეტელ იმედს უკეთესი მერმისის მოახლოებაზე.



სათნოება და სევდა

ქართველი ქალის მშვენებას ოდითგანვე ასხამდნენ ხოტ-ბას ევროპელი მოგზაურები და მწერლები. როგორც ამბობენ, იშვ-ათია ისეთი ნაშრომი, სადაც მოხსენიებულ იყოს საქართველო და იქვე არა გვხვდებოდეს ქება-დიდება ქართველი ქალებისა. არ აღ-ნიშნებოდეს მათი სილამაზე თუ სხვა ღირსებანი, რაც საგანგებო ყურადღებას იქცევდა.

XVIII საუკუნის ფრანგი ავტორის წიგნში, რომელიც მოგ-ითხრობს ნადირ-შაჰის ისტორიას, ქართველებთან დაკავშირებ-ით ვკითხულობთ: „რაც შეეხება ქალებს, ვის არ სმენია ქართველ ქალთა სილამაზის ქება. უკვე დიდი ხანია მათ ანიჭებენ უპირატეს-ობას მთელი აზიის ქალების წინაშე“.

რომანტიკული სულისკვეთებით შეპყრობილი ევროპელი ავტო-რები ჩვენი ქვეყნის თავზე დატეხილ უბედურებათა მიზეზად ზოგ-ჯერ ქართველი ქალების სილამაზესაც მიიჩნევდნენ. ასე მაგალით-ად, შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრება თითქოსდა გამოწვეული იყო სეფიანთა ხელმწიფის უიმედო სიყვარულით თეიმურაზ პირ-ველის მეუღლისადმი, სახელად ხორეშანი რომ ერქვა და ირანში კი „ფერიას“ ეძახდნენ. ჩნდებოდა მომხიბლავი პარალელი მშვე-ნიერ ელენესთან, ვის გამოც გაჩაღებულა ტროის ათწლიანი ომი.

გერმანელი მწერლის ანდრეას გრიფიუსის ტრაგედიაში „ქე-თევან ქართველი“ კვლავ მიჯნურის როლში გვევლინება სეფიანთა ირანის ბრძენი და მუხანათი მბრძანებელი, ოღონდ ამჯერად პინ-ტრფობის ობიექტს წარმოადგენს დატყვევებული ქეთევან დედო-ფალი. აქაც შაჰის უიმედო სიყვარული იწვევს შურისძიების წყურ-ვილს, რომელიც ულმობელი განაჩენით მთავრდება — ვარდებისა და პოეტთა ქალაქ შირაზში აწამებენ წმინდანად ამაღლებულ ქარ-თველ დედოფალს.

XVI—XVIII ს. ს. ირანსა და ოსმალეთში მრავლად იყვნენ სამშობლოდან მოტაცებული, გაყიდული თუ ძღვნად წარგზავნილი ქართველი ქალები. ისინი ამშვენებდნენ შაჰებისა და სულთნების, ხანებისა და ფაშების ჰარამხანებს. ხოლო ერთი მათგანი ზოაპრული ინდოეთის დედოფალიც კი გამხდარა!

ქართველ ქალთა ბედი და უბედობა განსაკუთრებით ასახდოებდა ეგზოტიკური აღმოსავლეთით „დასნეულებული" ფრანგი მწერლების ფანტაზიას. ნ. ორლოვსკაია თავის წიგნში „საქართველო XVII—XVIII საუკუნეების დასაველეთ ევროპის ლიტერატურაში" აღნიშნავს, რომ 1735 წელს პარიზში გამოუქვეყნებიათ მარმონ დიუ ოშანის რომანი (ორ ტომად) „რეტიმა ანუ მშვენიერი ქართველი ქალი", სადაც მოთხრობილია თავგადასავალი ქართველი მზეთუნახავისა, რომელიც სიყმაწვილეში მოუტაციათ საქართველოდან ოსმალეთის სულთნის ჰარამხანისათვის, მაგრამ რეტიშას მოუხერხებია გაქცევა ოსმალეთიდან ევროპაში, მრავალი ფაღერაკის შემდეგ დასახლებულა ინგლისში, გამდიდრებულა და ბოლოს ცოლად გაჰყოლია ინგლისელ კაპიტანს. ფრანგი მწერლია მიერ რეტიმა დახატულია არა მარტო როგორც ზღაპრული სილამაზის განსახიერება, არამედ — ნიმუშიც ყოველგვარი სათნოებისა.

აქვე უნდა ითქვას, რომ უცხოელებს ავი სიტყვაც არაერთხელ დასცდენიათ ქართველი ქალების მისამართით. მაგრამ შარდენისა და მის მიმდევარ-მიმბაძველთა შეხედულებანი, თუნდაც ნაწილობრივ მართალი იყოს, აშკარად იჩრდილება დითირამბებისა თუ გულწრფელი აღტაცების ფონზე.

ქართველი ქალის სათნოება საკმაოდ უჩვეულოდ არის ხაზგასმული XVII საუკუნის თურქი პოეტის ერთ ლექსშიც. მაგრამ ვიდრე ამ სტრიქონებს დავიმოწმებდეთ, ორიოდე სიტყვით შევეხოთ ხსენებული ლექსის თემას; სახელდობრ — მამის რჩევა-დარიგებას შვილისადმი.

დიდაქტიკური ჟანრის თხზულებანი ყოველთვის პოპულარული იყო როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში.

ამ ჟანრის ერთ-ერთ საინტერესო ძეგლს წარმოადგენს XII საუკუნის სპარსელი ავტორის ქეი-ქაუსის „ყაბუს-ნამე", რომელსაც იცნობდნენ თამარისდროინდელ საქართველოში, ხოლო XVIII საუკუნეში მისი ფრაგმენტები ქართულად უთარგმნია ვახტანგ VI-ს (რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა „ყაბუს-ნამეს"

სრული ქართული თარგმანი, შესრულებული ამირან ლომთაძის მიერ).

თავისი სიცოცხლის დასასრულს, მოხუცებულ ქეი-ქაუსს შვილისათვის დაუტოვებია მრავალი რჩევა-დარიგება, ადამიანის ცხოვრების თითქმის ყოველ მხარეს რომ მოიცავს: ცოდნის შეძენა თუ საუბრის ავ-კარგი, მეგობართა შერჩევა თუ მტერ-მოყვარის გარჩევა, სტუმარ-მასპინძლობა და გართობა, ჭამა-სმა, ნადირობა და სპორტი, ვაჭრობა და ექიმობა, ლექსი და ლხინი, დასჯა და შენდობა, მეფეთა სამსახური და... ცოლის შერთვაც. ქეი-ქაუსი ასე მიმართავს შვილს: „როცა ცოლის მოყვანას დააპირებ, მის ქონებას ნუ გამოეკიდები. ქალი საქმეში ნახე და მისი ლამაზი სახის მონა ნუ გახდები. ლამაზი ქალი მხოლოდ საყვარლად გამოდგება. კარგი ქალი ღვთის მოშიში, გამრჯე, დიასახლისი, ქმრის მოყვარული, მორიდებული, კდემამოსილი, ჩუმი, მომჭირნე და ქონების ყურისმგდებელი უნდა იყოს“.

შეგონების ავტორს მხოლოდ სათნოება მიაჩნია ქალის უპირველეს ღირსებად და ამიტომაც მოუწოდებს თავის შვილს, რომ ქალის სილამაზე და ქონება არაფრად ჩააგდოს, მხოლოდ სათნოება ეძებოს და თუკი განგება უწყალობებს ცოლად სათნო ქალს, მისი ბედნიერება უსაზღვრო იქნება.

XIII საუკუნის სპარსელი პოეტი საადი თავის დიდაქტიკურ პოემაში „ბუსთანი“ ასევე ამახვილებს ყურადღებას ცოლის ავკარგიანობაზე და სათნოებას მიიჩნევს ყველაზე ძვირფას თვისებად ქალის ბუნებაში: „ცოლი კეთილი და გამგონე თუ მოეძევა, ქმარი ფლანაკი ფადიშაჰად გადაიქცევა... თუ მორჩილია, მხიარული და ღვთისნიერი, მის სილამაზეს და სიგონჯეს ნულარ უცქერი... ციხეში ჯდომა სასჯელისთვის სჯობია ბევრად, ვიდრე ნახო შინ ცოლის წარბი შეკრული ტევრად. ჯობს რომ გაიჭრე და ეთრიო მთასა და ბარში, ვიდრე ავი ზნის ცოლთან იჯდე მუდამ სახლ-კარში“ (თარგმანი ამბაკო ჭელიძისა).

დავით გურამიშვილმაც გადაუხადა ხარკი ამ თემას. პოემაში „ქაცვია-მწყემსი“ ვკითხულობთ მამის რჩევა-დარიგებას შვილისადმი, სადაც მომავალ ცოლზეც არის საუბარი. „ერიდე კახპას, ურცხვს, ლოთს და კაპასს, თორემ გიგინებს დედ-მამას, პაპას... გაქვს თუ არა გაქვს, არ გაგიკითხავს; ვეტყვის: არ მაცმევ ზეიდიშთ ნიფხავს“. მამა აფრთხილებს თავის შვილს, ანჩხდა და

ურცხვი ქალის შერცხვენა ერიდეო და იმოწმებს ბიბლიური სიბრძნეს: „უმჯობეს არსო ლომთ-ვეშაპთანა, ვიდრე ბოროტის დედაკაცთანა". ამ ფრაზის წყაროს წარმოადგენს „წიგნი ისოზირაქისა", სადაც ძაძასავით პირდაბნელებულ და სულმდაბალ დედაკაცს უპირისპირდება დედაკაცი კეთილი. ქმრისთვის სანატრელი, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე, მისი მშვიდობიანი ცხოვრების საწინდარი.

მატრიმონიალური პრობლემა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფართო ასპექტში აქვს განხილული ზემოხსენებულ თურქ პოეტს — ნიაზი მისრის (1618—1694). თურქული ლიტერატურის ისტორიაში მას ახასიათებენ, როგორც მისტიკოს შემოქმედს. ახალგაზრდობაში შეუსწავლია მისტიციზმის საფუძვლები ბაღდადისა და კაიროს ცნობილ შეიხებთან. ნიაზი მისრი პოეზიის გარდა პოლიტიკითაც ყოფილა გატაცებული (ოსმალეთის ხელისუფალთ, ცხადია, არც ის გარემოება ეპაშნიკებოდათ, რომ სუნიტურ გალიაში გაზრდილი ბულბული დროდადრო შიიტურ ჰანგებზე გალობდა ანუ ხოტბით ამკობდა ხოლმე თავის ნაწარმოებებში ალის, ჰასანსა თუ ჰუსეინს). და ვინაიდან „მისი სიტყვები ეწინააღმდეგებოდა მისი ეპოქის თვალსაზრისს", ნიაზი მისრი ორჯერ გადაუსახლებიათ, პირველად — როდოსის კუნძულზე, ხოლო მეორედ — ლემნოსზე, საიდანაც ვეღარ დაბრუნებულა.

„წამალი ვეძებე ჩემი დარდისთვის, ჩემი დარდი ჩემთვის წამალი ყოფილა, მტკიცება ვეძებე ჩემი არსისთვის, ჩემი არსი ჩემთვის მტკიცება ყოფილა", — წერდა მისრი. სუფი პოეტი აგრძელებდა იმ ტრადიციას, რომელიც შუა საუკუნეების აღმოსავლეთში იქცა აზროვნების მამოძრავებელ ღერძად. ეს ტრადიცია გულისხმობდა საკუთარი არსის შემეცნების გზით — სამყაროს მრავალგვარ და მრავალფეროვან მოვლენებში გარკვევის შესაძლებლობას.

1853 წელს, ჟენევაში, ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა თურქული პოეზიის ანთოლოგია („ოსმალური მუზა"), სადაც მოთავსებულია ნიაზი მისრის დიდაქტიკური ლექსიც, რომელიც ქართულად ვთარგმნე და აქვე გავაცნობ მკითხველს:

ცოლს როცა ირთავ, შვილო ჩემო, აწონ-დაწონე,
კარგად დაფიქრდი, არჩევანი არ შეგეშალოს.
დაფიქრდი, რადგან ბედ-იღბალმა თუკი გიმტყუნა,
ენით უთქმელი მწუხარებით შეიბორკები.

ლამაზი სატრფო დათაფლული რომ გიცინოდა,
ცოლად ქცეული მწარე ცრემლებს დაგაღვრეინებს.
მაშ აირჩიე, შვილო ჩემო, სათნო ქალწული,
კეთილი გულით რომ მოგხიბლოს და დაგატკბეინოს,
ჭირსა და ლხინში განუყრელად შენთან იქნება,
მუდამ დაგატკბობს, გაგახარებს უბიწო ტრფობით.
მაგრამ საცოლეს სად მონახავ ესოდენ სრულქმნილს?
აკ, არ წახვიდე საძებნელად ჩრდილო ქვეყნებში,
იქ ქალსაც, კაცსაც და ყმაწვილსაც ღალატი უყვარს.
თვალთმაქცობენ და მიილტვიან — ფეხქვეშ გაგთელონ,
სამარადისოდ დააქცევენ ტახტი ოსმალთა.
არც ფრანგ ქალს გირჩევ, არც გერმანელს და არც მადიარს,
ცბიერთა მოდგმამ სულ არ იცის ჩვენი ადათი,
პატივს არ სცემენ ჩვენს მოციქულს — ჩვენს წმინდა
მაჰმადს,
მათი გონება არ ნათდება სარწმუნოებით.
მშვენიერ ჩერქეზს, დამიჯერე, ნუ ამოირჩევ,
ხმალ-ხანჯალს უფრო ეფერება, ვიდრე მეუღლეს,
სწყურია ცხენის ჭენება და ბრძოლის ყიჟინა,
დაიქანცები, მოგბეზრდება ალერსი მისი.
არაბს რა უშავს, მზად იქნება, რომ გემსახუროს,
ოღონდ გაგტანჯავს თავნება და თავქარიანი.
მოგაჯადოებს ზანგი ქალი მხურვალე ენებით,
ჩაგეკონება უჩვეულო, ცხელსისხლიანი,
მაგრამ ვაითუ ვერ გაუძლო საშინელ სახეს,
რომელსაც თითქოს აურეკლავს ღამის წყვდიადი.
ბოლოს რაღა ვთქვა, რა გირჩიო, ვინ აგირჩიო...
ხომ გსურს იცხოვრო, შვილო ჩემო, მშვიდად და
ტკბილად?
მაშ უყოყმანოდ აირჩიე სათნო ქართველი!
მთელს დუნიაზე ჭეშმარიტად ერთადერთია —
ცოლად, მეგობრად, მიჯნურად რომ გამოგადგება.
ნუ დაიწუნებ უხეირო სამოსლის გამო,
სამაგიეროდ გულწრფელია, ნაზი, ხალასი,
მაშ, შვილო, ჩემო აირჩიე ქალი ქართველი,
მასთან ცხოვრებით შენ იხილავ ყველაფერს იმას,
რასაც ალაჰი უწყალობებს უბრალო მოკვდავთ —
ამქვეყნიური ნეტარების მოსაპოვებლად...

ამერიკელი მეცნიერი ი. დენგლერი თავის წიგნში „ქალები მუსლიმურ სამყაროში“ (1978) ორიოდე სიტყვით გადმოგვცემს ნიაზი მისრის ამ ლექსის შინაარსს, და შენიშნავს, რომ თურქი პოეტის

მსჯელობა ცოლის არჩევის თაობაზე უნდა წარმოადგენდეს ოსმალეთის „მაღალი საზოგადოების“ წრეებში გავრცელებულ შეხედულებას მდაბიო წარმოშობის ქალთა შესახებ და დასძენს: „მისრის ლექსში მხოლოდ ქართველ ქალს დაუმსახურებია კეთილგანწყობილი შეფასება. პოეტის დახასიათებით, ის არის მომხიბვლელი, პატიოსანი, გულღია და თავდაჭერილი, მაშასადამე — იდეალი მყუდრო ოჯახური ცხოვრებისათვის“.

„აირჩიე სათნო ქართველი“ — ნიაზი მისრის მიერ შვილის მისამართით თქმული ეს შეგონება თუ მოწოდება, უთუოდ, მოხდენილი სათაური იქნებოდა ზემოთ დამოწმებული ლექსისათვის. მაგრამ ავტორს კატეგორიულად გამოტანილი „მსჯავრისაკენ“ შემპარავად მიჰყავს მკითხველი, რათა გააღვივოს მისი ცნობისმოყვარეობა. ნიაზი მისრი საქმიანად განიხილავს ევროპელ თუ აზიაფრიკელ ქალთა ღირსებებსა და ნაკლს, ნელ-ნელა ამზადებს ნიადაგს თავისი ლექსის მთავარი სათქმელის გასამყღავნებლად. მკითხველისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ნს. ცხადია, შეეძლო გაეგრძელებინა სხვადასხვა ტომის ქალთა დახასიათება თავის „სამაჭანკლო ტესტამენტში“. მაგრამ ანგარიში გაუწია იმას, რომ მკითხველი მოუთმენლად ელოდა პოეტის მიერ მოწყობილ „საცოლეთა კონკურსში“ გამარჯვებულის გამოვლენას. ნიაზი მისრიმ დასახელებულ კანდიდატურათა მკაცრი კრიტიკული შეფასება, როგორც ჩანს, სავსებით საკმარისად მიიჩნია თავისი არჩევანის გასამართლებლად. ყველაზე ძვირფასი ადამიანური ღირსებით, რომელსაც სათნოება ჰქვია, უხვად დაჯილდოებული ქალი ჩათვალა ყველაზე სასურველ არსებად თავის შვილის მომავალი ოჯახური ბედნიერებისათვის. ამიტომაც თავი აარიდა დანარჩენთა კვალიფიცირებას, თორემ ჩამოსათვლელ ქალებს რა გამოლევდა!

დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობითა და ძარცვა-გლეჯით გალაღებულ ოსმალებს მართლაც დიდი არჩევანი ჰქონდათ. სტამბოლის ბაზრებზე ყველა მოდგმისა და ჯურის ქალებს უყრიდნენ თავს და, ჩვენდა საუბედუროდ, ქართველ ქალებსაც; სათნო ქართველ ქალებს — იანიჩრებად განწირულ ქართველ ჭაბუკებთან ერთად.

„შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?“ — ილია ჭავჭავაძის მიერ გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები, წარმოშობით ქართველ იანიჩარს რომ ეძღვნება, თამამად შეიძლება გავავრცელოთ სამშობლოდან გადაკარგულ ქართველ ქალებზეც, რომელთა სათნოებას ლანდივით თან დაჰყვებოდა განუკურნავი სევდა.



ხოშკარუს ქარვასლა

ალბათ ნანობდა და თავბედს იწყევლიდა. უკვე მოხუცებული იყო, სამოცდაათ წელს გადააბიჯა, მრავალი განსაცდელი ენახა თავის ცხოვრებაში, მრავალჯერ გადარჩენოდა ომებში სიკვდილს. სიბერემ დაუკაკუნა კარზე, დაისვენეო და ნაცვლად იმისა, რომ წყნარად და მოსვენებით დაელია სიცოცხლის უკანასკნელი წლები, იძულებული შეიქნა ისპაანის გზას გასდგომოდა. სეფიანთა სამეფო კარზე იხმობდნენ ქართლის მეფეს ვახტანგ V-ს ანუ, როგორც ყიზილბაშები უწოდებდნენ, შაჰნავაზ-ხანს.

ქართული წყაროების მიხედვით, ქართლის მეფე გზაში ავად გახდა და სიკვდილმა აღარ დააცალა ისპაანს ჩასვლა.

ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს: „ყაზვინით ავადმყოფი წავიდა და ხოშკარუს ქარვასლაში ძლივას ჩააწივა და იქ მიიცვალა“.

ამასვე გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი: „შთავიდა ხოშკარს, მუნ სალმობიერ იქმნა და მოკვდა“.

სეხნია ჩხეიძე კრინტს არა ძრავს მეფის ავადმყოფობაზე და წერს: „მუხანათმა და მიუნდობელმა სოფელმან მოაბრუნა უკუღმა ბორბალი, რა ხოშკაროს ქარვასლაში მიბძანდა, ამა სოფლისაგან მიიცვალა“.

მაგრამ ზოგიერთი უცხოური წყაროს ცნობით, ქართლის მეფის სიკვდილი დაუჩქარებია არა მარტო მუხანათსა და მიუნდობელ სოფელს, არამედ არანაკლებ მუხანათსა და დაუნდობელ სეფიანთა სამეფო კარსაც.

საქართველოში მყოფი იტალიელი მისიონერი, სახელად ჯუზეპე. 1677 წლის 1 აპრილს რომში გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, ყიზილბაშთაგან მოწამლული ქართველი მეფის სიკვდილს.

სომეხი ვაჭრის ზაქარია აქულისელის დღიურში დაწვრილებით

არის აღწერილი ვახტანგ მეფის ანუ შაჰნავაზ-ხანის ჩასვლა ძველ ჯულაში (1676 წლის 14 აგვისტოს) ათასკაციანი ამალისა თუ ჯარის თანხლებით. ქართლის მეფემ პიაღწია ხოშკარუდ წოდებულ ადგილს და იქ გარდაიცვალაო (იმავე წლის სექტემბერში). ავტორი ეუბნება: „ზოგნი ამბობენ, თავისით მოკვდა; ზოგნიც ამბობენ, საწამლავმა მოკლაო. სიმართლე ღმერთმა იცის".

ხსენებულ ამბავს მოგვითხრობს აგრეთვე სომეხი მემატიანე ზაქარია სარკავაგი. მისი სიტყვით მეფეს ცილი დასწამეს ირანის შაჰთან. ვახტანგი ნებაყოფლობით გაემგზავრა სეფიანთა სამეფო კარზე, რათა დაემტკიცებინა თავისი ერთგულება. ისპაანს რომ უახლოვდებოდა, მეფეს ყურში ჩაჩურჩეთეს მუქარა, როგორც კი ჩასვალ ისპაანში, შაჰი წენს თავს დამშეულ ლომებს მიუგდებსო. ზაქარია სარკავაგი ამტკიცებს, ამის გაგონებაზე მეფემ საწამლავი შესვა და სული განუტევაო.

ეტყობა, ხალხში გაჩნდა მითქმა-მოთქმა ქართლის მეფის მოწამვლის შესახებ, ვინაიდან მისი უეცარი სიკვდილი ირანის ტერიტორიაზე ძალაუნებურად ეჭვს იწვევდა.

რომელი ცნობა არის უფრო სარწმუნო, რომელ ვერსიას უნდა ვენდოთ? სნეულებამ მოუღო ბოლო ქართლის მეფეს თუ საწამლავმა?

ამის გარკვევა ძალზე ძნელია და ისღა დაგვრჩენია, რომ გავიმეოროთ ზაქარია აქულისელის სიტყვები, სიმართლე ღმერთმა უწყიოს.

...როგორც ცნობილია, 1639 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომელიც 1723 წლამდე არ დარღვეულა. ასეთმა ხანგრძლივმა მშვიდობიანმა პერიოდმა განაპირობა საქართველოს პოლიტიკური წარმატება, ეკონომიკური მოღონიერება და კულტურული აღორძინება.

თუმცა ქართველები შეურიგდნენ ირანის პოლიტიკურ ბატონობას ვასალური დამოკიდებულების საფუძველზე, საკუთრივ ირანის მხრივ უფრო დიდ დათმობას ჰქონდა ადგილი, რადგანაც ხელუხლებელი რჩებოდა ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება. მაშასადამე, ირანის პოლიტიკური ბატონობა არ ნიშნავდა ირანის მფლობელობას.

ჟან შარდენის სიტყვით, სეფიანთა დინასტიის გამოჩენილი ხელმწიფემ შაჰ-აბასმა ასეთი შეთანხმება დასდო ქართველებთან:

„მათ ქვეყანას სრულებით არ უნდა დაკისრებოდა გადასახადი; არ უნდა შეცვლილიყო სარწმუნოება; ეკლესიები არ უნდა ღანგრეულიყო და მეჩეთები არ უნდა აშენებულიყო; მათი მეფისნაცვალი მუდამ ქართველი იქნებოდა მათივე სამეფო გვარიდან, მცვრად სარწმუნოებით მაჰმადიანი“.

მთელი ოცდახუთი წელიწადი იმეფა როსტომმა, გვარით ბაგრატიონმა და სარწმუნოებით მაჰმადიანმა.

მაგრამ როსტომ მეფის უშვილობა გაურკვეველ ვითარებას ქმნიდა ქართლში და არევ-დარევის მიზეზად გადაქცეულიყო.

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ როსტომის ერთგულმა თავადებმა მოციქულის პირით მოახსენეს თავიანთ მეფეს: ქვეყანა იმიტომ არა წყნარდება, რომ შვილი, ძმა და ახლო ნათესავი არა გყავს და შენს მემკვიდრეს ვერა ხედავენო.

როსტომი ენერგიულად შეუდგა ტახტის მემკვიდრის ძებნას. სამეფოს დიდებულთა რჩევით მან ქართლში ჩამოიყვანა ახალციხეს გახიზნული მამუკა ბატონიშვილი, ძმა იმერეთის მეფის ალექსანდრესი. ჩამოიყვანა და შვებით ამოისუნთქა. ახლა კი მოისვენებენ შფოთის ამტეხნი და ქვეყანაც დაწყნარდებაო. მაგრამ მწარედ ცდებოდა ქართლის მეფე.

ფეოდალებს ახალგაზრდა და გამოუცდელი მამუკა ბატონიშვილის მეფობა ეჩქარებოდათ. იფიქრეს, ვინ იცის როსტომ მეფე თავისით როდის მოკვდებაო და მკვლელები მიუგზავნეს. მკვლელებს შეეშალათ და მეფის მაგივრად მისი ყმა დაჭრეს. როსტომ მეფემ არ გაახმაურა ეს ამბავი. ოღონდ მამუკა ბატონიშვილი უკან გაისტუმრა ახალციხეში. მერე ირანის შაჰს მისწერა: ქართველნი იმისათვის ურჩობენ და ავკაცობენ, რომ ჩემს მემკვიდრეს ვერა ხედავენო; ჩემს ბიძაშვილს, თეიმურაზ-მირზას, სამი შვილი ჰყავს და რომელსაც პაპაჩემის ლუარსაბის სახელი ჰქვია, ის გამოგზავნე, ჩემს შემდეგ სამეფო ტახტი დაიჭიროსო.

შაჰმა შეუსრულა სათხოვარი და ლუარსაბი ჩამოვიდა საქართველოში. სჯობდა, არ ჩამოსულიყო. იგი ნადირობისას იმსხვერპლა ბრმა ტყვიამ. ვერ დაადგინეს, უბედური შემთხვევა მოხდა თუ წინასწარ განზრახული მკვლელობა.

როსტომი არ მოეშვა დაწყებულ საქმეს და ირანიდან დაღუპული ლუარსაბის ძმა გამოითხოვა, მაგრამ ბატონიშვილის დედამ შეიცხადა, ერთი შვილი მომიკლეს და ახლა მეორეს მართმევენო;

ეს როსტომმა იწყინა და ამასობაში ხსენებულმა ბატონიშვილმაც უეცრად განუტევა სული.

ლოგინად ჩავარდნილ როსტომს ქართლის ფეოდალებმა შეუთვალეს: სანამ თქვენ ცოცხალი ბრძანდებით, მეტი პატრონი ჩვენ არ გვინდა და თქვენს უკან სხვა არავის გავიბატონებთ, ჩვენი ბატონი ბედნიერი ყაენი არისო.

„ბედნიერ ყაენსაც", რასაკვირველია, ხელს აძლევდა ქართლის ფეოდალთა ასეთი სულისკვეთება. დამპყრობლებს ყოველთვის ახსოვდათ ძველისძველი სიბრძნე — დაქსაქსე და იბატონეო. ქართლი კი თვითონ იქსაქსებოდა. ირანის შაჰს გარჯას უმცირებდნენ და აამებდნენ, ჩვენ სხვა ბატონი არ გვინდა, შენა ხარ ჩვენი ერთადერთი ბატონიო.

ცოტა ხნის შემდეგ, უკვე ვახტანგის მეფობაში, ირანის ყულარაღასი მანსურ-ხან ბარათაშვილი ქართლის მეფესა და არაგვის ერისთავს შორის წარმოქმნილ კონფლიქტში მეფეს დაუჭერს მხარს და სეფიანთა ხელმწიფეს მოახსენებს: თავის დღეში საქართველო იმათგან აშლილი და აოსრებული არისო, მაგათ თუ სადაც დაანებეთ, დღეში ერთხელ ქართლსა და კახეთს ბატონი უნდა გამოუცვალოთო.

როსტომის მიერ ტახტის მემკვიდრის ძებნა წარმატებით დაგვირგვინდა. 1658 წელს როსტომის გარდაცვალების შემდეგ ქართლში ვამეფდა ვახტანგ მუხრან-ბატონი, ძე მარაბდის ომში დაღუპული თეიმურაზისა. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს: „ვახტანგ მეხუთით ანუ შაჰნაზაზით იწყება ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების შტოს მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართლის სამეფო ტახტზე".

ქართული წყაროები მაღალ შეფასებას აძლევენ ვახტანგის მეფობის თითქმის ოცწლიან პერიოდს. ვახუშტი მოკლედ და მკაფიოდ გვიხასიათებს ვახტანგის მოღვაწეობას („აღაშენა და განავრცო ქართლი").

სწორედ ვახტანგის დროს ჩამოვიდნენ რომიდან საქართველოში კაპუცინთა ორდენის მისიონერები. ერთი მათგანის წერილში ეკითხულობთ: „თუმცა ეს ქართველი მეფე გამაჰმადიანებულია, მაგრამ მაინც ძლიერ კარგად მიგვიღო. ორი სახლი მოგვცა, რათა ერთში ჩვენ დავდგეთ და მეორეში პატარა ეკლესია მოვათავსოთ. ეკლესიაში უკვე ეწირავთ და მთელი ქალაქი ესწრება".

ვახტანგ მეფე თურმე ხშირად იწვევდა სტუმრად იტალიელ მისიონერებს.

ქართლის მეფის პოლიტიკის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება, რაც ეწინააღმდეგებოდა ყიზილბაშთა და ოსმალთა ინტერესებს. 1639 წლის ზავის თანახმად, ირანი ცნობდა ოსმალეთის უფლებას დასავლეთ საქართველოზე, ხოლო ოსმალეთი — ირანის უფლებას აღმოსავლეთ საქართველოზე.

ოსმალეთი გართული იყო ომით ევროპაში და ირანისათვის არ ეცალა. რაც შეეხება ირანს, აღარც მას მოსდევდა ძველებური ძალ-ღონე ოსმალეთთან ჭიდილისა. ისპაანში ჩასული ევროპელ ხელმწიფეთა ელჩები მოუწოდებდნენ სეფიანთა მბრძანებელს, გამხდარიყო მათი მოკავშირე, ეომა ოსმალეთთან და დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორიები (ბაღდადი და სხვა ქალაქები). მაგრამ შაჰ-სულეიმანი ცივ წყალს გადაასხამდა ხოლმე საომარი პროექტებით აღფურვილ ევროპელ ელჩებს, ხონთქართან ზავის დაცვა და ქვეყნის შშვიდობა ათას ბაღდადს მირჩევნიაო.

მრჩევლებმა განუცხადეს, თუ რაოდენ დიდი ხიფათი იყო მოსალოდნელი ოსმალთაგან, როდესაც ისინი ქრისტიანულ ქვეყნებს დაეზავებოდნენ, შემოუტევდნენ ირანს და წაჰგლეჯდნენ საუკეთესო პროვინციებს; შაჰ-სულეიმანმა გულგრილად უპასუხა, ჩემთვის სულერთია, რაც უნდათ ის წაიღონ, ისპაანს მაინც არ დამიტოვებენო?

ასე რომ, ცხადია, საქართველოს გასაერთიანებლად სეფიანთა სახელმწიფოს მბრძანებელი თავს არ აიტკივებდა.

ქართლის მეფემ „ბედნიერი ყაენის" უნებართვოდ მოჰკიდა ხელი საქმეს. მან ისარგებლა იმერეთში მიმდინარე არეულობით და თავისი უფროსი ვაჟი არჩილი დასვა იმერეთის ტახტზე. ამ ამბავმა დაუყოვნებლივ გამოიწვია ოსმალთა შეშფოთება. ოსმალეთის მთავრობამ ელჩი მიავლინა ისპაანს და ზავის დარღვევის გამო პროტესტი განუცხადა ირანის შაჰს. ამ უკანასკნელმა უბრძანა შაჰნავაზ-ხანს ხელი აეღო იმერეთზე.

ვახტანგს დააცლევინეს იმერეთი, ხოლო არჩილს კახეთის საამეფო უბოძეს და გაამაჰმადიანეს.

სამოცდაათიან წლებში სეფიანთა ხელმწიფისათვის ნათელი შეიქნა, რომ ქართლის მეფის ზრახვები ირანის ინტერესებს არ ემთხვეოდა, ვახტანგი დიდი გავლენით სარგებლობდა საქართველოს

სხვა სამეფო-სამთავროებში და ირანის ბატონობას ძლივსღა ითმენდა. ისპაანში არც ის ეპიტნაეებოდათ, რომ ქართლ-კახეთი ფაქტიურად გაერთიანებული იყო. ქართლს მამა ვანაგებდა და კახეთს — შვილი.

სეფიანთა სამეფო კარზე ქართლის მეფის დამხობის გეგმა მოამწიფდა. ვახტანგზე გადამტერებულმა ეთიმადოულემ შეიხ ალიხანმა ურჩია ხელმწიფეს, რომ კახეთის მეფედ დაენიშნათ ერეკლე ბატონიშვილი, შვილიშვილი თეიმურაზ მეფისა, საქართველოში სამოქალაქო ომი ატყდებოდა და ხელს მოითბობდნენ მხოლოდ ყიზილბაშები, რომელთა მიზანს, შარდენის სიტყვით, წარმოადგენდა „საქართველო საბოლოოდ დაეპყროთ და სავსებით დაემორჩილებინათ ეს ამაყი და ურჩი ხალხი, რომელიც ესოდენ მტკიცედ იცავდა ჯერ კიდევ შემორჩენილ მცირეოდენ თავისუფლებას“.

ერეკლე ბატონიშვილს დიდი პატივით დახვდნენ ირანში და შაჰმა დააიმედა, ნურაფრის დარდი გექნება, წინაპართა ტახტს უეჭველად დაგიბრუნებ, თუკი გამაჰმადიანდებიო.

კახეთის დიდებულნი არჩილს ჩააცივდნენ, შენს მოყვარეს მისცეე სამკვიდრო დაუბრუნეო (ერეკლე იყო ცოლისძმა არჩილისა); აქეზებდნენ, იმერეთში გადადი და გაბატონდიო.

არჩილი ახალციხის ფაშას ესტუმრა, ჭრაველი ფეშქაში მიართვა და კიდევ მრავალს დაპირდა, ოღონდაც ფაშას შუამდგომლობა გაეწია ოსმალეთის ხონთქართან და იმერეთის მეფობა ეშოვა არჩილისათვის. ფაშამ ურჩია არჩილს, ქრთამი დიდვეზირსაც გაუგზავნეო.

ახალციხეში გაქცეულ პირმშოს ვახტანგ მეფემ კათალიკოსი დაადევნა, სიკვდილი მაცალე და მერე რაც გინდა, ისა ჰქენიო. მაგრამ არჩილმა არ ისმინა მამის ვედრება.

შეწუხებულმა ვახტანგმა ირანის შაჰთან შიკრიკი აფრინა და შეუთვალა, ჩემმა ვაჟმა მიღალატა, მე კი თქვენი ერთგული მონა ვარ და მთელი სიცოცხლე ასეთად დავრჩებიო. ხელმწიფის კარზე ჩამოვალ და თავს ეიმართლებო (შარდენის მიხედვით, არჩილის ახალციხეში გაქცევა თვით ვახტანგის მიერ იყო მოწყობილი. ამასვე ამტკიცებს ერთი იტალიელი მისიონერი).

„ბებერი მელა“, როგორც უწოდებდნენ შაჰნავაზ-ხანს სეფიანთა სამეფო კარზე, შაჰ-სულეიმანმა ისპაანში იხმო.

ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, ვახტანგმა „შეპატიჯება ინა-

ნა და სხვებს დაიბრალა, მაგრამ წასვლის მეტი ღონე აღარ იყო". ქართლის მეფემ გიორგი და ლევან ბატონიშვილებს დაუბარა, მე რომ ყაენთან წავალ, თქვენ იქნე ქსნის ერისთავს შეესიეთო და რაც ავი იყოს, ის უყავითო. შვილებმა შეასრულეს მამის დანაბარები ესენმ არც აცივა, არც აცხელა და ისპაანს გაეშურა საჩივლელად.

ვახტანგს ყაზვინში მოახსენეს, ქსნის ერისთავს ჩაუვლია და ყაენთან წასულაო. „თავად ავად იყო და მერმე ეს ამბავი დიაღ ეწყინა", — გვაუწყებს ფარსადან გორგიჯანიძე.

საჩივარიღა აკლდა თავის გასამართლებლად სახლიდან აყრილ მეფეს. ისპაანში ელოდა შეხვედრა შაჰ-სულეიმანთან.

ჩსენებული ხელმწიფე უფრო ლოთობა-გარყვნილებას ეტანებოდა, ვიდრე სახელმწიფო საქმეებს. სიმთვრალეში იგი სასტიკად სჯიდა სასახლის მოხელეებსა თუ ამირებს. შაჰ-სულეიმანს განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰვვრიდა, როდესაც „დამნაშავეებს" მის თვალწინ ასახიჩრებდნენ (მაგალითად, ხელ-ფეხსა ჰკვეთდნენ, ყურებსა და ცხვირს აჭრიდნენ, აბრმავებდნენ და ა. შ.)..

ისპაანამდე აღარ ჩაუღწევია ქართლის მეფეს. ხოშკარუს ქარვასლაში ჩაუსაფრდა სიკვდილი და შეაწყვეტინა მგზავრობა. თურმე ხოშკარუ იყო უკანასკნელი სადგური მისი ცხოვრების გრძელ გზაზე.

ხოშკარუს ქარვასლას აღწერს თავის თხზულებაში ადამ ოლეარიუსი. გერმანელი მოგზაურის სიტყვით, ხოშკარუს ქარვასლა მდებარეობდა ყაზვინიდან ორი-სამი დღის სავალზე (ისპაანის მიმართულებით). საკმაოდ დიდი შენობა ყოფილა, ძალზე კარგად ნაგები ოთხკუთხა ქვებით. ქარვასლა შეიცავდა მრავალ ოთახსა და საჯინიბოს. შუაგულში იყო დიდი ეზო და რამდენიმე წყლის ჭა. ოლეარიუსი წერს, რომ ხოშკარუს ქარვასლა აუშენებია ვილაც მდიდარ ხანს (შაჰ-აბასის დროს), რათა ამით გამოესყიდა რაღაც ძძიმე დანაშაული და საკუთარი ტყავი გადაერჩინა.

...ვახტანგის მამა მარაბდის ომში დაიღუპა, თვითონ კი ყაზვინსა და ისპაანს შორის მდებარე ხოშკარუს ქარვასლაში კვდებოდა, ვინ იცის, სნეულებისაგან თუ საწამლავისაგან.

ეტყობა, დაებედათ მის შთამომავლებს უცხოეთში სიკვდილი.

ვახტანგის შვილებიდან არც ერთს არ დაუსრულებია თავისი სიცოცხლე საშობლოში! ყველამ უცხო ცის ქვეშ დახუჭა თვალი.

არჩილი გარდაიცვალა მოსკოვში, გიორგი — ყანდაარში, ალექსანდრე, ლევანი, ლუარსაბი — ისპაანში.

მათი შვილებიც უიღბლო ვარსკვლავზე დაიბადნენ. ალექსანდრე, ძე არჩილისა, გარდაიცვალა რიგაში; ბაგრატ, ძე გიორგისა — ჯერათში; ალექსანდრე, ძე ლუარსაბისა — ყანდაარში. ლევანის ძეთაგან: ქაიხოსრო — ყანდაარში, ვახტანგი — ასტრახანში, სიმონი — მოსკოვში, როსტომი — გულნაბადში.

ზოგი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა, ზოგიც ბრძოლის ველზე დაიღუპა. ზოგი ქრისტიანულად დამარხეს, ზოგი — მაჰმადიანურად, ზოგს კი საფლავის გათხრაც არ ეღირსა.

ხოლო საქართველოს ისტორიის ფურცლებზე ყველასთვის ნაცნობ და ძვირფას სახელებს სამუდამოდ დაუმეზობლდნენ უცხოური სახელები: ხოშკარუ, ყანდაარი, გულნაბადი...



წარიყვანეს სთოკოლმას

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „შემდგომად ალექსანდრე შეიპყრეს შვეითა და წარიყვანეს პატიმრად სთოკოლმას“.

ჩვენი მკითხველისათვის საკმაოდ ნაცნობია რუსეთის პირველი ფელდცეიხმეისტერის (ანუ არტილერიის მთავარსარდლის) ალექსანდრე არჩილის ძის სახელი. მის ბიოგრაფიას მოკლედ გადმოგცემს თვით ვახუშტი, მაგ მოიხსენიებენ პეტრე პირველის ისტორიკოსები. არც ქართველ მკვლევართა ყურადღება მოჰკლებია. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ალექსანდრეს შესახებ მოგვითხრობს გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი ვოლტერი თავის წიგნში „კარლოს XII-ის ისტორია“.

ვოლტერის სიტყვით, ნარვის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილთა შორის იყო ქართველი მეფის უფროსი ვაჟი და საქართველოს გვირგვინის უდავო მემკვიდრე ალექსანდრე არჩილის ძე — შესანიშნავი მაგალითი ბედის უკუღმართობისა. მისი მამა, ბატონი ყველაზე მშვენიერი ქვეყნისა, რომელიც მოთავსებულია არარატის მთებსა და შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირს შორის, მტრებმა საკუთარი სამეფოდან გამოაძევეს... მან არჩია მიემართა მოსკოვის იმპერატორის წყალობისათვის, ვიდრე თავშესაფარი ეპოვნა ოსმალეთის ხონთქართან. მისი ვაჟი დატყვევებულ იქნა ნარვაში ერთ-ერთი შეტაკების დროს ფინელი ჯარისკაცების მიერ, რომლებმაც მას ტანისამოსი შემოაძარცვეს და ის-ის იყო მოკვლას უპირებდნენ, როდესაც გრაფმა რენშილდმა, ხელიდან გამოსტაცა ტყვე, მისცა ჩასაცმელი და წარუდგინა თავის ბატონს. კარლოსმა გაგზავნა იგი სტოკჰოლმში. ეს უბედური პრინცი რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა. როდესაც იგი მიჰყავდათ, კარლოსმა თავი ვერ შეიკავა და შვედი ოფიცრების წინაშე ხმამაღლა გამოხატა გაოცება კავკასიის მთების ძირას დაბადებული აზიელი პრინცის უცნაური

ხვედრის გამო, როძელსაც ახლა ტყვეობაში უნდა ეცხოვრა, ყინულოვანი შვედეთის მიწაზე. „ეს იმასავით არის, — თქვა მან, — ერთ მშვენიერ დღეს მე რომ ტყვედ აღმოვჩნდე ყირიმელ თათრებთან“. ამ სიტყვებს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია იმჟამად, მაგრამ შემდგომში ძალიან კარგად გაახსენდათ კარლოსის ნათქვამი, როდესაც მოვლენათა მსვლელობამ მეფის ხუმრობა წინასწარმეტყველებად აქცია (ვოლტერი გულისხმობს იმას, რომ პოლტავის ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი კარლოს XII ოსმალეთს გაიქცა და რამდენიმე წელიწადი იძულებით იყო დაბინავებული მაჰმადიანთა სამფლობელოში).

საინტერესოა, რომ ნარვის ბრძოლაში სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა თვით კარლოსი. იგი თავის კამერჰერთან ერთად კინაღამ ჩაყლაპა გაუვალმა ჭაობმა. ორი ფინელი ჯარისკაცის დახმარებით მან ძლივს დააღწია თავი ჭაობის ტყვეობას, მაგრამ დაკარგა დაშნა, ფეხიდან გაძვრა ბოტფორტი; შიშნაჭამი მეფე მაშინვე სხვა ცხენზე გადაჯდა და ცალი ბოტფორტის ამარა, ჯარისკაცის ხმლით ხელში, სასწრაფოდ გაეშურა თავისი ჯარებისკენ. მოგებული ბრძოლა, უეჭველია, დაავიწყებდა ჭაობში განცდილ ფათერაკს.

ეს მოხდა 1700 წლის 19 ნოემბერს.

მაგრამ კარლოს XII-ის წარმატება მხოლოდ დროებითი ტაქტიკური გამარჯვება იყო. სხვათა შორის აღნიშნავენ, რომ „ნარვა იყო პირველი სერიოზული დამარცხება აღმავლობის გზაზე დამდგარი ერისა, რომლის მედგარი სული დამარცხებითაც კი სწავლობდა გამარჯვებას“.

მალე, სულ მალე კარლოს XII გაიცნობს პოლტავას და სიკვდილამდე აღარ დაავიწყდება.

ალექსანდრე არჩილის ძე კი უკვე ჩრდილოეთშია. 1701 წლის 28 მაისს ტყვეები სტოკჰოლმს ჩაიყვანეს და ტრიუმფის ნიშნად გაატარეს სტოკჰოლმის ქუჩებში. ამ დრამატულ მსვლელობას წინ მიუძღოდა ყველაზე ეგზოტიკური ტყვე — ქართველი პრინცი, რუსეთის ფელდცეიხმეისტერი.

საშინელი პირობები შეუქმნეს ტყვეებს სტოკჰოლმში. თურქებთან ტყვეობა სჯობს შვედებთან ტყვეობასო, იწერებოდა ერთი მათგანი. მხოლოდ ალექსანდრეს მისცეს სეირნობის ნება, ოღონდ ყარაულთან ერთად. თავისიანებს ატყობინებდა, რომ პური არსობისა არ გააჩნია და ითხოვდა დახმარებას, შიმშილით რომ არ

მომკვდარიყო. პეტრე პირველის ბრძანებით არაერთგზის გაუგზავნეს ფული.

ალექსანდრეს რამდენიმე ქართველი მსახური ახლდა ტყვეობაში. ალბათ, გულს გადააყოლებდნენ მშობლიურ ენაზე საუბარს ალბათ იხსენებდნენ საქართველოს. რომელიც ყველაზე ნაკლებად ალექსანდრეს ახსოვდა. ის ხომ ათი წლისა იყო, როდესაც მოსკოვს ჩაიყვანეს. იზრდებოდა სამეფო კარზე პეტრესთან ერთად. რუსეთის მომავალი იმპერატორი და საქართველოს გვირგვინის უდავო მემკვიდრე თითქმის თანატოლები იყვნენ. გაირბინა წლებმა. „დიდი ელჩობა" დასავლეთ ევროპაში. ამსტერდამი, ჰააგა, უტრეხტი. ორი წლის განმავლობაში ალექსანდრე სწავლობს არტილერიის საქმეს, არტილერიის კაპიტან იან გოშკასთან. შემდეგ ლონდონში იმყოფება პეტრესთან ერთად და, ბოლოს ისევ რუსეთი. 1700 წლის 19 მაისს გამოდის უმაღლესი ბრძანებულება — ალექსანდრე არჩილის ძე ინიშნება „პუშკარსკი პრიკაზის" უფროსად. მაგრამ ნარვის ბრძოლამდე რაღაც თვეებია დარჩენილი და ახალგაზრდა გენერალმა, რა თქმა უნდა, ვერ მოასწრო ასეთ ხანმოკლე დროში შეესრულებინა თავისი მისია — ევროპულ ყაიდაზე გაეწყო რუსული არტილერია. და ახლა, სტოკჰოლმის ტყვეობაში წუხდა, რომ უიმისოდ გაგრძელდებოდა სამზადისი მომავალი გამარჯვებისათვის.

1704 წელს სერიოზულად დასნეულდა. მოსკოვიდან მოხელე გაგზავნეს, რათა მოლაპარაკება ეწარმოებინა ტყვეობიდან ალექსანდრეს დასახსნელად. კარლოს XII-მ ვაჭრობა დაიწყო. ჯერ ათი კასრი ოქრო მოითხოვა. შემდეგ გამოაცხადა, რომ გაცვლიდა ალექსანდრეს სამოც შვედ ოფიცერში.

ასე ძვირად შეფასებული ალექსანდრე იწერებოდა სტოკჰოლმიდან: „სათქმელად კი არა, ფიქრადაც არ მოგსვლია, რომ რაიმე დეტრიმენტი (გერმანულად ნიშნავს ზარალს, ზიანს) შეემთხვეს სახელმწიფოს ჩვენი გულისათვის, თუნდაც ათასჯერ უკეთესები ვიყოთ ვიდრე ვართ. დავბადებულვართ, რომ ყველაფერი მოვითმინოთ და მოვკვდეთ ხელმწიფისა და სახელმწიფოსათვის".

მაგრამ არჩილი ასე იოლად ვერ შეელეოდა თავის პირმშოს. უკვე ნახევარ საუკუნეს გადააბიჯა, წლები ემატებოდა და იმედები აკლდებოდა. დაკარგა მეფობა, დაკარგა სამშობლო, დაკარგა ძმები და ახლა კარგავდა შვილს.

ინგლისელი კაპიტანი, გემებისა და არხების მშენებელი ჯონ პერი, რომელიც 1698 წლიდან რუსეთის სამსახურში იმყოფებოდა, ახასიათებს არჩილ მეფეს, როგორც „ახოვან, კარგი შესახედაობის ჯენტლმენს“ და აღნიშნავს, რომ მოსკოვში ჩასული მეფე დიდი სიყვარულით მიიღო პეტრე პირველმა. სწორედ ჯონ პერის წიგნშია ცნობები იმასე, რომ XVII საუკუნის დამლევს რუსეთის იმპერატორი აპირებდა საექსპედიციო ძალების გაგზავნას საქართველოში იმერეთის ტახტზე არჩილის აღსადგენად. მაგრამ ჯერ ნარვის ბრძოლამ და შემდეგ დონის კაზაკთა ამბოხებამ ჩაშალა ეს გეგმები. არჩილს უკანასკნელი იმედიც გაუცრუვდა. მაგრამ იმერეთის ტახტს აღარ ჩიოდა მეფე-პოეტი. მთელი მისი წუხილი და ზრუნვა სტოკჰოლმზე იყო გადატანილი.

არჩილმა ავსტრიის იმპერატორს სთხოვა შუამდგომლობა შვედებთან, მაგრამ ამაოდ დაშვრა. 1706 წელს წერილი მისწერა პირადად კარლოს XII-ს (ქართველმა ბერმა, სახელად ბაგრატმა, წაიღო ეს წერილი სტოკჰოლმს).

არჩილი უხსნის შვედეთის მეფეს თავის ვინაობას, ამცნობს საქართველოს გაპარტახებას ორი ურჯულო ხელმწიფის მიერ, შემდეგ შესჩივის, რომ მის ვაჟს ნაადრევი სიკვდილი ემუქრება და სიბერეში შვილის დაკარგვა ჰასაც სამარის კარამდე მიიყვანს. სთხოვს, რუსების მიერ დატყვევებულ შვედ ოფიცრებში გაუცვალოს შვილი — მისი უკანასკნელი ნუგეში.

„მე და მთელი საქართველოს სამეფო, — მიმართავს არჩილი კარლოს XII-ს, — სამარადისოდ მადლიერნი დავრჩებით თქვენი უდიდებულესობისა და განეადიდებთ თქვენს სახელგანთქმულ სახელს“.

ასეთმა ვედრებამაც კი ვერ მოალბო კარლოსის გული. არჩილს პასუხი არ მიუღია.

მოვიდა 1709 წელიც. პოლტავას არ ელოდნენ შვედეთში, პირველად ვერც დაიჯერეს და როდესაც დარწმუნდნენ, რომ სასტიკი ზარცხი პოლტავაში სიმართლე იყო, თავისი მხნეობის დასამტკიცებლად უფრო მკაცრად ექცეოდნენ ტყვეებს, ვიდრე მანამდე. აუკრძალეს ნათესავებთან მიმოწერა.

და მაინც დადგა ნანატრი წუთი. შვედეთის სენატი დათანხმდა ტყვეების გაცვლაზე (სხვათა შორის, პოლტავაში ტყვედ ჩავარდა

ფელდმარშალი რენშილდი, რომელმაც სიკვდილს ვადაარჩინა ნარვაში ალექსანდრე არჩილის ძე).

ათი წელიწადი ელოდა ამ დღეს ქართველი ბატონიშვილი და აჰა, თავიდუფლებამ გზა გაუხსნა მოსკოვისაკენ, სადაც ასევე მოუთმენლად ელოდნენ მამა და ცოლი, ახლობლები და შვილობრები...

მაგრამ ხანგრძლივ ტყვეობას თავისი ვაეტანა და 1711 წლის დამდეგს „მოსრული რიგას მოკვდა ალექსანდრე შირიმის სენითა", როგორც გვაუწყებს ვახუშტი. რიგიდან ჩამოასვენეს და დაკრძალეს მოსკოვში.

იმავე წლის შემოდგომაზე, ავღანეთში, ყანდაარის მისადგომებთან დაიღუპა მისი მკვიდრი ბიძაშვილი და სეხნია — ალექსანდრე ლუარსაბის ძე (ალბათ, არც რიგაში სმენოდათ ყანდაარი და არც ყანდაარში — რიგა!); ბიძაშვილები ერთმანეთს არ იცნობდნენ და, რაც მთავარია, ალექსანდრე ლუარსაბის ძეს, ისპაანში დაბადებულსა და გაზრდილს, ერთხელაც არ უნახავს საქართველო. აი, მართლაც უკუღმართობა და დაცინვა ბედისა.

ეს ამბავიც რომ გაეგო ვოლტერს, ვინ იცის, მაშინ რაღას იტყოდა!



ლოცვიდან ზიმზილის მორჩენისათვის

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი ავბედითი გამოდგა სეფიანთა ირანისათვის. დაქვეითების პროცესი, რომელიც შაჰ-აბას პირველის სიკვდილის შემდეგ დაიწყო, თანდათან ღრმავდებოდა და უფსკრულისაკენ მიაქანებდა ოდესღაც ძლევამოსილ იმპერიას.

ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება, ადგილობრივ მმართველთა თვითნებობა, საჰეფო კარზე გაბატონებული მეკრთამეობა და ინტრიგები, ამა ქვეყნის ძლიერთა წრესგადასული ფუფუნება, ქოფლისა და ქალაქის მოსახლეობის განუკითხავი ყვლეფა, ვაჭრობის დაცემა და გზებზე ყაჩაღობა — აი, ასეთი უნუგეშო სურათი ისახებოდა შინაურისა თუ გარეულის თვალწინ.

აღნიშნული პერიოდის თანადროული სპარსული წყაროები ითქმის არ მოგვეპოვება. ინგლისელი ისტორიკოსის ჯ. მალკოლმის სიტყვით, ავღანთა მიერ ირანის დაპყრობამ (1722 წ.) ისეთი წარუშლელი სირცხვილი მოუტანა ქვეყანას, რომ აღარაა გასაკვირი, თუ სპარსელი ისტორიკოსები თავს არიდებდნენ მტკივნეულსა და თავის ღამამცირებელ თხრობას.

ამიტომაც ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველი ისტორიკოსების სეხნია ჩხეიძისა და იოსებ ქართველის თხზულებებს. ერთიცა და მეორეც მრავალი საინტერესო მოვლენის თვითმხილველი და თანადამხვდურია.

იოსებ ქართველს დაწვრილებით აქვს აღწერილი 1722 წლის კატასტროფა: ავღანთა მიერ ირანის ლაშქრის დამარცხება გულნაბადის ბრძოლაში, ისპაანის ალყა და ბოლოს — სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი შაჰის კაპიტულაცია.

არანაკლებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სეხნია ჩხეიძე. იგი უშუალოდ მონაწილეობდა იმ ბრძოლებში, ქართველთა მცი-

რერიცხოვანმა რაზმებმა რომ გადაიხადეს ირანის ტერიტორიაზე შემოჭრილი ტომების ყაჩაღური თარეშის ასალაგმავად XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე.

განათლებული ქართველი ისტორიკოსი, მხედარი და კარისკაცი სეხნია ჩხეიძე დაწვრილებით გადმოგვცემს უდაბნოში გადატანილ ტანჯვა-წვალებას. ამავე დროს არც იუმორის გრძნობა ღალატობს, არც „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები ავიწყდება და არც პროფესიული აღტაცება თავის თანამებრძოლთა უბადლო ვაჟკაცობით.

გადმოგვცემს იმასაც, თუ როგორ ლოცავდა ქალაქ ქირმანის მადლიერი მოსახლეობა უდაბნოდან გამარჯვებით დაბრუნებულ ქართველ მხედართმთავარსა და მხედრებს: „კურთხეულ არს ღმერთი, რომ ჩვენად მეშველად გამოგაჩინაო და დაგვიხსენ მტერთა ხელთაგანო... კურთხეულ არს ღმერთი, თქვენ მაგისთანა კაცნი დაუბადებიხართ და ჩვენთვის გამოგარჩივათო“.

განსაკუთრებით საინტერესოა სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრებაში“ ერთი ეპიზოდი, რომელიც არც ერთ სხვა წყაროში არა გვხვდება. აი, რას გვიამბობს ავტორი:

1707 წლის 9 ივნისს ქალაქ მაშათში (ანუ მეშჰედი) ისპაანიდან მოვიდა ჩაფარი და „წმინდა ქალაქში“ უზარმაზარი ამალითა და მთელი თავისი ჰარამხანით სალოცავად წამოსულ შაჰ-ჰუსეინს საგანგაშო ამბავი ამცნო: „ისპაანის ხალხის უკუდგომა და შიმშილით შეწუხება, ხელმწიფის ალაყაფის კარის ქვით ჩაქოლვა.“

მაგრამ ეს კიდევ არაფერი, სეფიანთა ირანის მბრძანებელს ისიც მოახსენეს, რომ სატახტო ქალაქში ამბოხებული ხალხი მოითხოვდა შისი ძმის ტახტზე აყვანას.

ხსენებული უფლისწული, სახელად აბას-მირზა, შინაპატიმრობაში იმყოფებოდა შაჰ-ჰუსეინის გამეფების დღიდანვე. ასეთი ლმობიერი სასჯელი უცხო ხილი იყო სეფიანთა სახელმწიფოში. ჩვეულებრივად, ტახტზე ასული შაჰი დაუყოვნებლივ ულეტდა გვირგვინის სხვა პრეტენდენტებს, ძმა იქნებოდა თუ ბიძა, ანდა უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ აბრმავებდა და მხედველობასთან ერთად მეტოქეობის ყოველგვარ შანსს ართმევდა.

შაჰ-ჰუსეინი არ გაჰყვა თავისი წინაპრების გზას, ძმის სისხლით ხელი არ გაისვარა და შინაპატიმრობა აკმარა აბას-მირზას, რომელიც მუდმივ საფრთხედ გადაიქცა, მით უმეტეს, რომ საყოველ-

თან ლიარებით მას უფრო შეეფერებოდა სამეფო გვირგვინი, ვიდრე შაჰ-ჰუსეინს, ყველაზე სუსტს მათ შორის, ვინც კი ოდესმე მართავდა ირანს (როგორც გვაუწყებს პოლონელი მისიონერი თადეუშ კრუშინსკი).

„რა ეს აბბავი მოვიდა. — წერს სეხნია ჩხეიძე, — შექნეს ჭმუნვა და მისცეს ბატონიშვილს ქაიხოსროს ნაიბობა ყაენისა და ტარუღობა“.

„ნაიბი“ ნიშნავს მოადგილეს, ნაცვალს; ხოლო „ტარუღა“ ქალაქის გამგებელს ერქვა. ტარუღა ინიშნებოდა პირადად შაჰის მიერ და მხოლოდ მას ემორჩილებოდა.

ტარუღას მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა წესრიგისა და სიმშვიდის დაცვა ქალაქსა და მის სანახებში. მაგრამ რაც ახლა ისპაანში ხდებოდა, უწესრიგობაზე მეტი იყო და საგანგებო უფლებებით აღჭურვილი ქაიხოსრო თავის მოღვაწეობას ახალ თანამდებობაზე იწყებდა ერთობ კრიტიკულ სიტუაციაში. ისპაანის ამბოხება კარგს არაფერს უქადდა სეფიანთა სახელმწიფოს და გადამჭრელი ზომები თუ უშველიდა საქმეს.

ქაიხოსრო ლევანის ძე, ძმისწული სახელოვანი ქართველი მეფის გიორგი XI-ისა, უფროსი ძმა ვახტანგ VI-ისა, უკვე ათი წელიწადი იყო, რაც ირანში ცხოვრობდა, ქართლიდან გადმოხვეწილ მაჰმადიანებთან ერთად. 1703 წელს, როდესაც ლევან ბატონიშვილი ჯანიშინად გაგზავნეს ქართლში, მან თავისი მაღალი თანამდებობა უფროს ვაჟს დაუტოვა. „დააგდო ძე მისი ქაიხოსრო ნაიბად მდივანბეგისა კარსა ხელმწიფისასა. თვით ყმაწვილი იყო, მაგრამ ცოდნის იადგარი, ასე გაუღლვა ერანის მდივანბეგობას, რომე დიდი და მცირე გააკვირვა“, — ამბობს სეხნია ჩხეიძე.

ომებში გამოცდილი ქაიხოსრო მართლმსაჯულების საქმეშიც გაიწაფა.

...შიმშილი ისპაანში პურის ნაკლებობამ კი არ გამოიწვია, არამედ იმ ვაჭართა თუ სამეფო კარის დიდებულთა სიხარბემ, ვინც მალავდა მას და კეტავდა გზებს, საიდანაც შემოჰქონდათ ქალაქში ხორბალი.

აღსანიშნავია, რომ იმ ხანებში პურის გაყიდვის მონოპოლია ეკუთვნოდა სეფიანთა ირანის პირველ ვეზირს ანუ ეთიმადოულეს (ეს ტიტული სიტყვასიტყვით ნიშნავს „სახელმწიფოს ბურჯს, სახელმწიფოს ნდობას“), რომელიც თავის ძალაუფლებას ბოროტად

ეყენებდა. ქალაქში შემოტანილი ხორბალი უკლებლივ ჰბარდებოდა მის აგენტებს. ისინიც საიმედოდ ინახავდნენ. ამასობაში ფასები მაღლა იწევდა და უკვე მიუწვდომელი ხდებოდა ღარიბ-ღატაკთათვის; აუარებელი ხორბალი იყო ქალაქში და მაინც შიმშილობდა ხალხი.

ამრიგად, უპირველესი თანამდებობის პირი, რომელსაც ოფიციალურად ერქვა „სახელმწიფოს ბურჯი", თვითონვე ძირს უთხრიდა სახელმწიფოს, თვითონვე ქელავდა თავისივე ქვეყნის ინტერესებს პირადი გამორჩენის მიზნით (საინტერესოა, რომ მსგავსი მოვლენა დამოწმებულია ოცდაოთხ წლის შემდეგ ოსმალეთში, სადაც დიდვეზირს ხორბლით სპეკულაციამ უზარმაზარი ქონება მოუხვეჭა).

ისპაანის ამბოხება გამოიწვია ხელოვნურად შექმნილმა შიმშილმა და ქაიხოსროს მშვენივრად ესმოდა, რომ ამბოხების ჩასაქრობად საჭირო იყო შიმშილის მოსპობა, რომ სასჯელის ღირსნი იყვნენ გაიძვერა ვაჭრუკანები და დიდმოხელეთა აგენტები, და არა ამბოხებული მოსახლეობა.

ქაიხოსრო ქართველ მხედართა თანხლებით სწრაფად მიეშურებოდა ირანის სატახტო ქალაქისაკენ. დრო არ ითმენდა. გზა კი ძალიან გრძელი იყო. ხუმრობა საქმეა, მანძილი მაშათიდან ისპაანამდე თითქმის ათასი კილომეტრია!

„ვიარეთ ორმოცისა დღისა სავალი თორმეტს დღეს, — მოგვითხრობს სეხნია ჩხეიძე, — რა შევიდა ქალაქსა შინა, შეიქნა სიხარული დიდი".

ისპაანში კარგად იცნობდნენ ქაიხოსროს და მაშინვე იმედი მიეცათ, რამე გვეშველებაო.

ქართველი ისტორიკოსი ულმობელი ნატურალიზმით აღწერს ტარუღას ბრძანებით ჩატარებულ რეპრესიებს.

როგორც ჩანს, ქართველ ბატონიშვილს გუმანმა არ უმტყუნა.

„მეორეს დღეს გენახათ ქუჩა-და-ქუჩა ხვარბლით აივსო, — განაგრძობს სეხნია ჩხეიძე, — შეიქნა ისპაანში სიმშვიდე და იეფობა".

ასე გონივრულად ჩააქრო ამბოხება ქაიხოსრომ და ისპაანის ღარიბ-ღატაკნი „ლოცვიდენ შიმშილის მორჩენისათვის". ქალაქის ქართველმა ტარუღამ ხალხის მადლობასთან ერთად შაჰის ჯილდოც დაიმსახურა — ათასი თუმანი.

ქაიხოსროს, როგორც მხედართმთავარს, ძალზე კარგად იცნობენ ევროპული წყაროები, მაგრამ ისპაანის ტარუღად მისი მოღვაწეობის ფაქტები გამორჩენიათ. ამ მნიშვნელოვან ხარვეზს შესანიშნავად ავსებს სეხნია ჩხეიძის თხრობა.

სხვათა შორის, ანალოგიურ ეპიზოდს გადმოგვცემს ჟან შარდენი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მოქმედება მიმდინარეობს ორმოციოდე წლით ადრე (შაჰ-სულეიმანის დროს), ხოლო ქაიხოსროს მაგივრად ვხედავთ სამეფო კარის ერთ „ჭკვიან და ენერგიულ პიროვნებას", რომელსაც ასევე დაუსჯია შიმშილის გამომწვევი პოროტმოქმედნი და ასევე მეორე დღეს შესამჩნევად შემცირებულა პურის ფასი და სიმშვიდე აღდგენილა ისპაანში.

ჟან შარდენი შენიშნავს, რომ ხსენებული დიდებულის მოქმედება მიბაძვის ღირსია ევროპელთათვის, იქაურ ქალაქებში მსგავსი ვითარებისას. ფრანგი მოგზაურისა და ვაჭრის ეს კომპლიმენტი თამამად შეგვიძლია მივუძღვნათ ქართველ ბატონიშვილსაც.

ესე სულთანი უარშიოგს

„ძლიერებითა ღვთისათა, ვიწყოთ ცხოვრება მეფეთა, მსმენელთათვის არა უნდომი ამბითა უცხოთა ქვეყანისათა, არა მარტივად ქართლისა, ჩემის თვალთნახული, ზოგიერთი მნახველთაგან სმენითა," — ვკითხულობთ სეხნია ჩხეიძის თხზულების შესავალში.

ქართულ საისტორიო მწერლობაში ყოველთვის საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მონათხრობისათვის, როდესაც ის თვით აღმწერლის თვალით ხილული იყო. ქართველი ისტორიკოსები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, ესა და ეს ამბავი საკუთარი თვალით მინახავს ანდა სანდო თვითმხილველის ცნობას ვეყრდნობიო. არც სეხნია ჩხეიძეს ავიწყდება ვეუწყოს, რომ იგი თავის თხზულებაში აღწერილი ეპიზოდების თვითმხილველია და ზოგიც თვითმხილველთაგან აქვს მოსმენილი.

ავტორს ნაშრომისათვის სათაურად დაურქმევია „მეფეთა ცხოვრება". ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, სეხნია ჩხეიძის თხზულება ძართლაც ქართლის მეფეთა ცხოვრება უფრო არის, ვიდრე ქართლის ისტორია და რაკი ბედის უკულმართობის წყალობით ქართლის მეფეები იძულებულნი იყვნენ თავისი მეფობის უმეტესი ნაწილი საქართველოს გარეთ გაეტარებინათ და სეფიანთა საჯელმწიფოს სპასალართა თუ ბეგლარბეგთა თანამდებობით დატვირთულებს ირანის ურჩ ქვეშევრდომთათვის შეელიათ ძალ-ღონე და დღენი, ისტორიკოსსაც მათი ცხოვრება უნდა დაეწერა „ამბითა უცხოთა ქვეყანისათა, არა მარტივად ქართლისა".

მწარე ხვედრი ერგოთ წილად სეხნია ჩხეიძის თანამედროვე ქართველ მეფე-ბატონიშვილებს და ქართველი ისტორიკოსიც ბშირად იზიარებდა თავის პატრონთა უბედობასა და ბედს. მათთან ერთად იყო ჭირშიც და ლხინშიც, მათი ტკივილი სტკიოდა და მა-

თი სიხარულით ხარობდა. ხან ბრძოლის ველზე ახლდა მათ, ხანაც გაშლილ სუფრასთან უმშვენებდა მხარს.

სეხნია ჩხეიძე დაწვრილებით და ამაღელვებლად მოგვითხრობს ქართველ მხედართა თავგადასავალს ქირმან-ბელუჯისტანსა და ყანდაარში. იშლება ჩვენს თვალწინ ქართველი ისტორიკოსის დაკვირვებული თვალით დანახული და მადლიანი კალმით აღწერილი „მეფეთა ცხოვრება“, რომელიც უცხოეთში გადახვეწილ ქართველ მხედართა ცხოვრებაც არის.

მაგრამ რა უნდა ჰქონდეს საერთო შორეულ მხარეში გადახდილ ბრძოლებს, თუნდაც დამაჯერებლად და მიმზიდველად იყოს მოთხრობილი, საქართველოს ისტორიასთან? სეფიანთა ირანის სამხედრო რახმი, შედგენილი ქართველ მხედართაგან, ებრძვის ქირმანში შემოსეულ ბელუჯებს. მერედა საქართველო რა შუაში არის, შესაძლოა გაჩნდეს არცთუ უსაფუძვლო დაეჭვება. მაგრამ აღნიშნულ ხანაში ისე გადაჭდობილა ისტორია ამ ორი ქვეყნისა — ირანისა და საქართველოსი, რომ ზოგჯერ ძნელდება ზუსტი გამიჯვნა, თუ რომელი ამბავი ეკუთვნის საქართველოს ისტორიას და რომელი — ირანის ისტორიას. ეს არის ყველაზე მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის პერიოდი ორი ქვეყნის ისტორიაში. ქართველი მეფე-ბატონიშვილები სეფიანთა ლაშქარს სარდლობენ, სეფიანთა პროვინციებს განაგებენ და უდიდეს სამსახურს უწევენ ირანს, მაგრამ მათი მოღვაწეობა საშშობლოს კეთილდღეობასაც ემსახურება. ქართლში მშვიდობა დამკვიდრდა, ქვეყანა წელში გაიმართა და მოღონიერდა. გაჰყავთ არხები, შენდება განუწყვეტელ აოხრებათა შედეგად გაპარტახებული სოფლები. თბილისში ფეხს იდგამს პირველი ქართული სტამბა.

ქირმანის უდაბნოებში დაღვრილ „მცირე სისხლს“ არანაკლები სარგებლობა მოაქვს საშშობლოსათვის, ვიდრე იმ სისხლის მდინარეებს, ზოგიერთ სასტიკ ომში რომ წაულეკავთ საქართველოს ველ-მინდვრები.

ამგვარად, სეხნია ჩხეიძის თხზულებაში აღწერილი ბრძოლები უშუალოდ და ორგანულად უკავშირდება ქართლის მაჯისცემას და „მეფეთა ცხოვრება“ თამამად შეიძლება ჩაითვალოს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაწილად.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში სეფიანთა ირანის საშხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე ქართველი მეფე-ბატონიშვილების

დაწინაურების შედეგად ირანის ისტორიის ამ მონაკვეთისათვის ყველაზე უხვ ცნობებს გვაწვდიან ქართველი ისტორიკოსები და, უპირველეს ყოვლისა, სეხნია ჩხეიძე. იგი აღწერს იმდროინდელ ირანში მომხდარ მოვლენებს როგორც თანადამსწრეული, ხშირად — როგორც თვითმხილველი და ზოგჯერ — როგორც მონაწილე. მართლაც რომ ფასდაუდებელია მისი თხზულების მნიშვნელობა სეფიანთა ირანის დაცემის ისტორიისათვის. ამ პერიოდის ვერც ერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს სეხნია ჩხეიძის ცნობებს.

გასულ საუკუნეში გამოჩენილმა ქართველოლოგმა მ. ბროსემ, სხვა ქართულ წყაროებთან ერთად, ფრანგულ ენაზე თარგმნა სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრება" და ეს ძვირფასი წყარო ხელმისაწვდომი გახდა ევროპელ მეცნიერთათვის.

თავის ვრცელსა და უაღრესად საინტერესო გამოკვლევაში სეფიანთა დინასტიის დაცემის შესახებ ინგლისელი ორიენტალისტი ლ. ლოკარტი ხშირად იმოწმებს სეხნია ჩხეიძეს, როდესაც ეხება ბელუჯთა შემოსევებს ქირმანის ტერიტორიაზე, გიორგი XI-სა და ლევან ბატონიშვილის მოღვაწეობას სეფიანთა ირანში, ქართველ მხედართა ბრძოლებს ბელუჯებთან, ისპაანის ამბოხებას და ქაიხოსრო ბატონიშვილის ტარუღობას.

„მეფეთა ცხოვრების" ფურცლებზე ინგლისელი მკვლევარის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ყანდაარის ეპიზოდები.

სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს გიორგი XI-ის ყოფნას ავღანეთში, ყანდაარის ბეგლარბეგად და შემდეგ წერს: „იყო სულთანი ყანდაარისა მირვეისი, გაუსია სულთანსა აზარისასა, გაემარჯვა და მოეყვანა მხარშეკრული. იამა მეფესა და უბოძა საბოძვარი და შემოსა სამოსლითა კარგითა. გამოხდა ხანი და შეექნა ამავ სულთანმა უარშიობა, გაგზავნა ჩაფრად ყაენთანა და მისწერა სხვის ჩაფრით არზა და მოახსენა: ესე სულთანი უარშიობს, უნდა არევა ამა ქვეყანისა, ნუღარ გამოუშვებთ, თვარამ ერთს რასმე მოახდენს".

მოტანილი ცნობის საფუძველზე ლ. ლოკარტი ამტკიცებს, რომ მიზეზი ყანდაარიდან მირ-ვეისის განდევნისა იყო ღილზაების ამ ბოხება, რომელსაც იგი მეთაურობდა და რომელმაც მარცხი განიცადა. ლ. ლოკარტის სიტყვით, გიორგის ეშველები საკუთარი გამართლდა. როდესაც ღილზაების წინამძღოლი სათავეში ჩაუდგა მეამბოხეებს. თუმცა ღილზაები კარგი მებრძოლნი იყვნენ, გიორგი მეფემ და ქართველ ვეტერანთა ძლიერმა გარნიზონმა გაუჭირ-

ებლად შეძლეს ამბოხების ჩახშობაო. შემდგომში კიდევ ერთხელ უბრუნდება ამ საკითხს ლ. ლოკარტი. იგი ახასიათებს მირ-ვეისს, როგორც შესანიშნავ პოლიტიკურ ჭოლეწესა და პიროვნებას, და დასძენს, რომ ავღანთა წინააღმდეგ ერთადერთი შეცდომა იყო ნაადრევი ამბოხება 1706 წელს და ისიც — თეოლოგთა იძულებით.

ლ. ლოკარტი მიუთითებს, რომ მეორე ქართველი ისტორიკოსის ვახუშტის მიხედვით ამ ხანებში ღილზაებს არავითარ ამბოხებაზე არა ჰქონია ადგილი, მაგრამ მიიჩნევს, სეხნია ჩხეიძე უფრო მართალი უნდა იყოსო.

ინგლისელი მკვლევარი იცნობს სეხნია ჩხეიძის თხზულებას მ. ბროსეს მიერ შესრულებული ფრანგული თარგმანის მიხედვით.

ზემოთქმულ ფრაგმენტში ორჯერ გხვდება სიტყვა „უარშიობა“ პირველად თვით ავტორი აღნიშნავს: „კამოხდა ხანი და შექნა ამავ სულთანმა უარშიობა“, მეორედ კი დაბოწქებულია ფრაზა ირ არზიდან, ირანის შაჰისათვის რომ გაუგზავნია გიორგი XI-ს: „...ესე სულთანი უარშიობს“.

თუ ჩავხედავთ მ. ბროსეს ფრანგულ თარგმანს, ირკვევა, რომ მას ორნაირად უთარგმნია „უარშიობა“, პირველ შემთხვევაში — ურჩობად, მეორეში კი — ამბოხებად.

რომელი თარგმანია უფრო ზუსტი? რას ნიშნავს უარშიობა — ამბოხებას თუ ურჩობას?

სულხან-საბას ლექსიკონში სიტყვა „უარშიო“ ასეა განმარტებული 1) კაცის გაუწყობელი, 2) გაუწყობელი კაცი.

დიდი ქართველი მწერალი თავის თხზულებებში რამდენჯერმე სარგებლობს ზემოხსენებული სიტყვით. იტალიაში მოგზაურობისას იგი აღწერს იქაურ ქსენონს: „...ორმოციოდ გიჟი იყო და დედ-მამის უარშიო. თვითოს ფეხში ბორკილი ეყარა, დაბმულნი იყვნენ“. იმავე დღიურში აღნიშნულია: „ქალთას პირდაპირ რომ ბარბაროზთ თემია, სამი დიდი ხელმწიფე ზის, რომ ხვანთქარს ან ემორჩილებიან. აქათ თავს თუნის ხელმწიფეა, ხვანთქრის მესაზღვრე და უარშიო“.

ორივე მაგალითი თვალნათლივ ადასტურებს, რომ „უარშიო“ უფრო ურჩს ნიშნავს, ვიდრე მეამბოხეს. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, თუ გადავიკითხავთ საბას იგავ-არაკს „მხვნელი, ფეიქარი და მკერვალი“, სადაც მეაქლემე დაკარგულ აქლემს ეძებს და მხვნელს ეკითხება, ხომ არ გინახავსო. აქლემის მოპარვაში გ-

რეული მხვნელი კი სიტყვას ბანზე უგდებს: „ზანკელა ხარი უარშიობსო“.

აშკარაა, რომ უარშიო მხოლოდ და მხოლოდ „ურჩს“ უნდა ნიშნავდეს, ვინაიდან შეამბოხე ხარი, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს.

მაშასადამე, სულხან-საბას მიხედვით, სიტყვა „უარშიობა“ წარმოადგენს „ურჩობის“ სინონიმს. ასევეა თანადროულ ქართულ ხაისტორიო წყაროებში. მაგალითად, ბერი ეგნატაშვილი ამგვარად ახასიათებს სახელგანთქმული ზურაბ არაგვის ერისთავის ძმას: „ესე გიორგი იყო კაცი ამაყი და უარშიო და არა მორჩილებდა ძმასა თვისსა“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გასული საუკუნის ბასალების საფუძველზე მოცემულია შემდეგი განმარტებანი: „უარშიობს“ — არ იგუებს, არ ემორჩილება, ურჩობს; „უარშიო“ — გაუგონარი, ჯიუტი, ურჩი კაცი: „უარშიობა“ — გაუგონრობა, შეუგუებლობა, ურჩობა, სიჯიუტე.

ცხადია, ამავე მნიშვნელობით უნდა ხმარობდეს ხსენებულ სიტყვას სეხნია ჩხეიძეც. და როდესაც წავიკითხავთ: „შექნა ამაკ სულთანმა უარშიობა“, ეს იმას ნიშნავს, რომ სულთანს ურჩობა დაუწყია. და გიორგი XI ამცნობს სეფიანთა სამეფო კარს: „ესე სულთანი უარშიობს“ ანუ — ეს სულთანი ურჩობსო.

რაც შეეხება „ამბოხებას“, ამ მოვლენის აღსანიშნავად ქართველი ისტორიკოსი სრულიად სხვა გამოთქმას ვვაწვდის („უკუდგომა“, „უკუმდგარი“). აი, სათანადო მაგალითებიც: „იყო ავღანთა ქვეყანა უკუმდგარი“, ანდა „ისპაანის ხალხის უკუდგომა“...

ამრიგად, სეხნია ჩხეიძის თხზულებაში ნათქვამი „უარშიობა“ ნამდვილად არ ნიშნავს „ამბოხებას“, როგორც უთარგმნია მ. ბროსეს და მაშინ ლ. ლოკარტის მსჯელობას ღილზაების ამბოხებაზე (1706 წ.) ნიადაგი ეცლება, რადგანაც იგი ეყრდნობა სეხნია ჩხეიძის ზემოხსენებულ ცნობას („ესე სულთანი უარშიობს“) და მით უფრო უსაფუძვლოდ გამოიყურება ინგლისელი მკვლევარის დასკვნა, რომ არც სხვა წყაროები ადასტურებენ ასეთ ვარაუდს.

სეხნია ჩხეიძის ცნობას საკმაოდ წააგავს ვახუშტი ბატონიშვილის ინფორმაცია. მისი სიტყვით, როდესაც ყანდაარი დაამშვიდა მეფემ, აჯანყდა აზარის სულთანი. სახელად დაქეზ. გიორგიმ უბრძანა მირ-ვეისს მისი მოკვლა ან შეპყრობა. მირ-ვეისმა ღალატით

ᲭᲝᲙᲚᲐ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲤᲔᲡ. „ᲓᲐ ᲓᲐᲘᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐ ᲐᲖᲐᲠᲐ ᲛᲔᲤᲔᲛᲐᲜ“. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲛ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲗᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲐᲢᲐᲜᲐ ᲛᲘᲠ-ᲕᲔᲘᲡᲘᲡ ᲘᲡᲞᲐᲐᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲔᲤᲘᲐᲜᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲒᲐᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐ: „ᲠᲐᲗᲐ ᲐᲠᲦᲐᲠᲐ ᲒᲐᲜᲣᲢᲔᲝᲡ ᲛᲘᲠᲕᲔᲘᲡᲘ ᲛᲣᲜ, ᲕᲘᲜᲐᲓᲒᲐᲜ ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ“.

ᲗᲐᲓᲔᲣᲨ ᲙᲠᲣᲨᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ XI ᲓᲐᲔᲭᲕᲓᲐ ᲛᲘᲠ-ᲕᲔᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲘᲒᲘ ᲘᲡᲞᲐᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲐᲰᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲐᲜᲓᲐᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ — ᲐᲠ ᲓᲐᲔᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲛᲘᲠ-ᲕᲔᲘᲡᲘ ᲧᲐᲜᲓᲐᲐᲠᲨᲘ.

„ᲙᲐᲠᲛᲔᲚᲘᲢᲗᲐ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲘ“ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲔᲭᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲛ XI-Მ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲐ ᲛᲘᲠ-ᲕᲔᲘᲡᲘᲡ ᲧᲐᲜᲓᲐᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲞᲐ-ᲐᲜᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ.

1722 Წ. ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲚᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲬᲐᲠᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲘᲡᲛᲐᲘᲚ-ᲑᲔᲒᲘᲡ ᲠᲔᲚᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ XI ᲙᲐᲠᲒᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲐᲠ ᲣᲧᲣ-ᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲠ-ᲕᲔᲘᲡᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲣᲠᲩᲝᲑᲐ ᲨᲔᲐᲢᲧᲝ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲧᲔᲜᲐ ᲗᲐᲜᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲐᲰᲡ ᲣᲠᲩᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲝᲣᲡᲕᲔᲜᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲔᲙᲐᲕᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲘᲡᲞᲐᲐᲜᲨᲘ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲛᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲧᲐᲜ-ᲓᲐᲐᲠᲨᲘ ᲪᲣᲓᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲕᲘᲜᲛᲔ ᲛᲐᲰᲛᲣᲓ-ᲑᲔᲒᲘᲡ ᲠᲔᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ XI ᲡᲔᲤᲘᲐᲜ-ᲗᲐ ᲙᲐᲠᲡ ᲣᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲠ-ᲕᲔᲘᲡᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲤᲐᲠᲣᲚ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲝᲮᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲐᲪᲔᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲓᲐᲢᲣᲡᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲜᲓᲐ ᲛᲝᲡᲞᲝᲑᲐᲡ.

ᲬᲧᲐᲠᲝᲗᲐ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲮᲠᲝᲑᲐ: „...ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲛᲘᲠ-ᲕᲔᲘᲡᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲐᲛᲑᲝᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲘ, ᲒᲣᲠᲒᲘᲜ-ᲮᲐᲜᲘ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲐ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲨᲔᲑᲝᲠᲙᲘᲚᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲘᲡᲞᲐᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲬᲔᲠᲐ ᲨᲐᲰᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲔᲨᲝᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲔᲡ ᲐᲕᲘᲡᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲛᲝᲣᲡᲕᲔᲜᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲤᲝᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲣᲚᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲔᲠᲗ ᲨᲔᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ ᲔᲒᲔᲛᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“.

ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲨᲣᲥᲔᲑᲡ ᲡᲔᲮᲜᲘᲐ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ. ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ (ᲛᲘᲠ-ᲕᲔᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲕᲚᲐ „ᲐᲛᲑᲝᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲐᲓ“) ᲗᲕᲘᲗ ᲘᲝ-ᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲛᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲝᲡᲔᲑᲛᲐ ᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲛᲧᲝᲤ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲠᲝᲪᲐ ᲖᲔᲛᲝᲗᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛ-ᲑᲐᲕᲘ ᲨᲔᲘᲢᲧᲝ, ᲛᲘᲠ-ᲕᲔᲘᲡᲘᲡ ᲐᲛᲑᲝᲮᲔᲑᲐ (ᲘᲡᲞᲐᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲝᲑᲠ, 1709 ᲬᲔᲚᲡ) ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲛ ᲤᲐᲥ-

ტთან დაკავშირებული დახასიათება ავღანთა წინამძღოლისა აღ-
რეულ პერიოდზეც გადაუტანია ავტორს.

ამასთან ერთად, თუ ვენდობით იოსებ ქართველის მტკიცებას, რომ მირ-ვეისი 1706 წ. ამბოხების მთავარი წინამძღოლი იყო, გა-
უგებარი ხდება გიორგი XI-ის მიერ მის მიმართ მიღებული რბილი ზომები (შეპყრობა და ისპაანს გაძევება), მაშინ როდესაც იმავე იოსების მიხედვით, გიორგი XI-მ სიკვდილით დასაჯა მთავარი დამნაშავენი.

კიდევ უფრო გაუგებარი იქნებოდა ფრანგი ისტორიკოსის მა-
მი-კლერაკის სიტყვები, რომ გიორგი XI-ის მოქმედება წარმოად-
გენს მისი შორსმჭვრეტელობის შესანიშნავ მაგალითს. ამბოხების მთავარი წინამძღოლის დაპატიმრება ხელისუფალთა მიერ, რა თქმა ულდა, არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება შორსმჭვრეტელობის ნიმუშად. შორსმჭვრეტელობა სწორედ ის იყო, რომ ქართველმა მე-
ფემ აღიარა მირ-ვეისის ნამდვილი ბუნება და მისი იდუმალი
გეგმები. იგი ვერ მოატყუა ავღანთა წინამძღოლის მოჩვენებითმა
ერთგულებამ და უსაზღვრო პირმოთნეობამ. დიახაც, დიდი სამ-
სახური გაუწია მირ-ვეისმა გიორგი XI-ს, მაგრამ, უპირველეს
ყოვლისა, თავის საქმეს აკვარახჭინებდა ღილზაების ცბიერი თაგ-
კაცი.

მირ ვეისის ურჩობაში გიორგი XI-მ მომავალი ამბოხების ცე-
ცხლი ამოიკითხა და ბრძნულად განჭვრიტა, რომ ამ გავლენიანი,
მდიდარი და გონიერი კაცის გაჩერება ყანდაარში კარგს არაფერს
მოუტანდა სეფიანთა სახელმწიფოს.

შედარებით გამართული ჩანს იოსებ ქართველის ინფორმაცია
თვით მამი-კლერაკის თხზულებაში. ფრანგი ისტორიკოსი იმოწ-
მებს იოსების მიერ იტალიურ ენაზე შედგენილ რელაციას და აღ-
ნიშნავს, რომ მირ-ვეისის ერთგულებაში დაეჭვებულმა გიორგი
XI-მ შეიპყრო იგი და გაგზავნა ისპაანს. ამავე დროს ამცნო სე-
ფიანთა სამეფო კარს, რომ მირ-ვეისი არის მეამბოხე და განზრა-
ხული აქვს ახალი შფოთის გაღვივება, რაც მომავალში ხიფათს
შეუქმნიდა სახელმწიფოს.

ინგლისელ ჯ. ჰანვეის კრიტიკულად გაუაზრებია მამი-კლერაკის
ტექსტი და მთელი შინაარსის გათვალისწინებით მცირე კორექ-
ტივი შეუტანია. ის ფრანგული სიტყვა, „მეამბოხეს“ რომ ნიშნავს,

ჯ. ჰანვეის უთარგმნია ინგლისურად როგორც „ურჩი, დაუმორჩილებელი“, ანუ ქართველი ისტორიკოსის გამოთქმით — „უარშრომ.

ასეა თუ ისე, ყველაზე სანდო ავტორად უნდა მივიჩნიოთ სეხნია ჩხეიძე, რომელიც აღწერილი ეპიზოდის თვითმხილველი იყო ყანდაარში. სხვა წყაროებში დაცული ცნობები მეტ-ნაკლებად ეთხვევა სეხნია ჩხეიძის თხრობას და აქარწყლებს ინგლისელი მკვლევარის მტკიცებას 1706 წ. ღილზაების ამბოხებაზე.

ლ. ლოკარტის აზრით, მიზეზი ამ ამბოხებისა იყო გიორგი XI-ის სისასტიკე ღილზაების მიმართ, რის აღწერასაც ქართველი ისტორიკოსები, სეხნია ჩხეიძე და ვახუშტი ბატონიშვილი, გაურბიანო.

ყური ვათხოვოთ სეხნია ჩხეიძეს. აი, როგორ გადმოგვცემს იგი გიორგი XI-ის რეპრესიებს ყანდაარში: „საითკენაც ურჩნი იყო, გაუსევდის ჯარსა და უყვის ყათლამი. ზოგი კლდესა გარდაყარის, ზოგი ცოცხალი დამარხის, ზოგთ კბილები დააძრის და თავზე დაარჭვის. შეშინდა ყანდაარის ქვეყანა“.

ამგვარად ქართველი ისტორიკოსი სრულიადაც არ გაურბის გიორგი XI-ის სისასტიკის აღწერას, მაგრამ მისი თხზულებიდან გაურკვეველი რჩება, მაინცდამაინც ღილზაების ტომი იყო რეპრესიების მსხვერპლი, როგორც ჰგონია ლ. ლოკარტს, თუ სხვა რომელიმე ტომი.

ავღანური წყაროს მიხედვით, გურგინ-ხანმა (ე. ი. გიორგი XI-ე) ისარგებლა ძველისძველი მტრობით, ორ მთავარ ავღანურ ტომს — ღილზაებსა და აბდალებს შორის რომ სუფევდა, და შეძლო ჯერ დაესუსტებინა, მერე კი მთლიანად გაენადგურებინა აბდალები. ირანის ჯარის მოულოდნელი თავდასხმის დროს დაიღუპნენ აბდალთა ტომის წინამძღოლები. რამდენიმე ათასი ოჯახი გადასახლეს ჰერათსა და ქირმანში, ხოლო მათი მიწები და საძოვრები გაუნაწილეს ღილზაებს, რომლებმაც აბდალთა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად დაუჭირეს მხარი გიორგი XI-ს. დასუსტებული და სისხლდაცლილი აბდალები აღარ წარმოადგენდნენ საშიშროებას სეფიანთა სახელმწიფოსათვის, მაგრამ აბდალთა ხარჯზე გაძლიერდნენ ღილზაები და პირველობა დაისაკუთრეს ავღანურ ტომებს შორის.

ეტყობა, იმავე აბდალთა ტომს დაატყდა თავს სეხნია ჩხეიძის მიერ აღწერილი რეპრესიები და იმავე აბდალებთან მომხდარი

ბრძოლა იგულისხმება ქვემორე ფრაგმენტში: „გამოხდა ხანი, იყო ქვეყანა ავღანთა უკუმდგარი, არა ინებეს სამსახური მეფისა. გაუსია ძმისწული თვისი იესე და აახლო ქართველთ ჯარი. მიუხდეს ორად, ქვეით თათრის ჯარი და ზეით ქართველნი, შეიქნა ომი ფიცხელი", — გადმოგვცემს თვითმხილველი ისტორიკოსი და ვეფხისტყაოსნის ოდნავ სახეშეცვლილი სტრიქონით ამთავრებს თავის ნაამბობს: „გაიმარჯვეს, ამოსწყვიტეს, ცათა ღმერთი შეარისხეს".

მაშასადამე, ლ. ლოკარტის საყვედური ქართველი ისტორიკოსის მისამართით სიმართლის მიჩქმალვის თაობაზე მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

სეხნია ჩხეიძის თხზულებაში აბდალებთან კონფლიქტის შემდეგ აღნიშნულია მირ-ვეისის თანამშრომლობა გიორგი XI-თან, აზარას ტომის დამორჩილება, მირ-ვეისის უარშიობა და ბოლოს — მისი დატუსაღება და წარგზავნა ისპაანს.

რაში გამოიხატებოდა მირ-ვეისის „უარშიობა?"

სეხნია ჩხეიძე არაფერს ამბობს ამის შესახებ. მაგრამ სხვა მასალების საფუძველზე ხერხდება მიახლოებითი ამოხსნა.

ყანდაარის ლაშქრობა, უპირველეს ყოვლისა, ბელუჯთა დამორჩილებლად იყო გამიზნული. სწორედ ბელუჯები აობრებდნენ განუწყვეტლივ ქირმანსა და ყანდაარს. სხვათა შორის, დაშინებულმა ავღანებმა ბელუჯებს „ადამ-ხურ" (კაციჭამია) შეარქვეს.

გიორგი XI-მ წარმატებით გაართვა თავი ბელუჯთა დაშოშმინება-დამორჩილებას. მათი წინამძღოლი მირ-სამანდარი ქედმოხრილი ეახლა ყანდაარის ბეგლარბეგს და დანაშაულის შენდობას შეევედრა. ამრიგად, განიმუხტა მთავარი საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა ყანდაარს. მაგრამ სეფიანთა ლაშქარს შენახვა უნდოდა (ავღანური წყაროს ცნობით, მოლაშქრეთა რიცხვი ოცი ათასს აღწევდა).

როგორც სახელგანთქმული რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი ამბობს, ხალხთა მშვიდობა არ იქნება ჯარის გარეშე, ჯარი — ჯამაგირის გარეშე და ჯამაგირი — გადასახადთა გარეშე.

მაგრამ ჯამაგირს ვინ ჩივის, თურმე სასმელ-საჭმელი უჭირდა ჯარს. ავღანური წყაროს თანახმად, გიორგი XI ვერ ეგუებოდა შექმნილ ვითარებას, როდესაც იგი, ყანდაარის ბეგლარბეგი და ირანის სპასალარი, დამოკიდებული იყო ავღანთა წინამძღოლებზე ჯარისათვის საჭირო სურსათისა და ფურაჟის შესყიდვის საქმეში.

ავღანები ჯიუტად არიდებდნენ თავს სეფიანთა სახელმწიფოში, დაწესებული გადასახადების გადახდას. გადასახადთა აკრეფა შესაძლებელი იყო მხოლოდ ყანდაარის მიდამოებში, შეიარაღებული ძალის დახმარებით.

სწორედ გადასახადთა აკრეფის ცდებს უნდა გამოეწვია აბდალთა თუ აზარათა ტომის წინააღმდეგობა და „უკუდგომა“.

მერე დადგა ღილზაების ჯერიც.

გადასახადების აკრეფა ევალებოდა ტომის წინამძღოლს. ეტყობა, მირ-ვეისმა გაწეული სამსახურის სანაცვლოდ გარკვეული პრივილეგიები მოითხოვა თავისი ტომისათვის, უარი მიიღო ყანდაარის ქართველი ბეგლარბეგისაგან და ზურგი აქცია ერთგულ სამსახურს.

მირ-ვეისის უარშიობამ გიორგი XI-ის უკმაყოფილება გამოიწვია. ავღანთა წინამძღოლი დაატუსაღეს და ისპაანისაკენ უკრეს თავი. ქართლის მეფემ მალე დაითხოვა ყანდაარიდან ყიზილბაშთა ჯარი. ყანდაარის გარნიზონს შეადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ათასი ქართველი მხედარი.

ყანდაარის ბეგლარბეგს ეგონა, საშუალოდ მოვიშორე ღილზაების უარშიო სულთანი და ყანდააოში წყალს აღარავინ აამღვრევსო.

ვაგლახ, ამჯერად ცდებოდა შორსმჭვრეტელი მეფე.





ქართული ლექსიკონი ყანდაარში

1707 წელს სულხან-საბამ წერილი მიიღო შორეული ყანდაარიდან. მისი მკვიდრი მამიდაშვილი გიორგი XI, მეფე ქართლისა, სპასალარი ირანისა და ბეგლარბეგი ყანდაარისა, გამაჰმადიანებისას წოდებული შაჰნავაზად, მაგრამ უფრო ცნობილი მთელს ირანში გურგინ-ხანის (ე. ი. გიორგი-ხანი) სახელით, სამძიმარს უთვლიდა ძმის გარდაცვალებაზე და ბოლოს სწერდა:

„ლექსიკონი გამოგეგზავნა და ნეტამც იმას მოსწრებოდა, ვისთვისაც გამოგეგზავნა! მე ის მიამებოდა. შენმა ბზემა, ასრევ მიამ და გავეწყევ, რომე თათრულს წიგნზედ მივდგარვარ და კიდეც ვისწავლე. ლამის ის გამაშობინოს ამისმა კითხვამ. ბევრი შენდობა მითქვამს და კიდევ გეტყვი შენდობასა. დიაღ კარგი წიგნია და კარგადაც გავეწყევ“.

ქართული ლექსიკონი ანუ „სიტყვის კონა“ საბას გაუგზავნია თავისი ძმისათვის, რომელიც ყანდაარში ახლდა გიორგი XI-ს, მაგრამ საჩუქარმა ვერარ ჩაუსწრო ადრესატს; ვახუშტი ყაფლანიშვილი, ქართლიდან ყანდაარს წასული ათასკაციანი მხედრობის მეთაური, მოულოდნელად გარდაცვლილიყო და ახლა ქართლის მეფე კითხულობდა იმ ნაშრომს, მისივე რჩევითა და დავალებით რომ მოჰკიდა ხელი სულხანმა ჯერ კიდევ სიჭაბუკეში (თვით ავტორი აღნიშნავს ლექსიკონის წინასიტყვაობაში: „ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ, მიბრძანა ამისი ხელყოფა“).

დაუცხრომელი ძიებისა და შრომის წლები შეალია დიდმა ქართველმა მწერალმა „სიტყვის კონას“ და ბრწყინვალედ შეასრულა მეფის დავალება, ფაქტიურად, მთელი ქართველი ხალხის დავალება რომ ეთქმოდა (ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ეს შესანიშნავი ნაშარმოები დღესაც ძვირფას განძად ითვლება მეცნიერებისათვის და ბაშინ ხომ ცის მანანასავით უნდა მოვლენოდა ქართველებს).

1707 წელი... ქართლის მეფე კითხულობს საბას ლექსიკონს ყანდაარში და გულს უსარებს ქართული კულტურის კიდევ ერთი გამარჯვება, დიდი ომის მოგებას რომ უდრის და, ვინ იცის, ეკენ აღემატება კიდეც. ქართული სიტყვები ერთად დარაზმულნი, წელში გაჭმართულნი და თავაწეულნი, რათა განდევნონ ქართულ ენაში ჩამოთესლილი უცხო სიტყვები, სხვადასხვა დროს მოტანილი სხვადასხვა ჯურის დამპყრობლების მიერ, თავის ზნე-ჩვეულებათა და წესთა ასამეტყველებლად, დასანერგავად. ქართველი ლექსიკოგრაფი მოთმინებით განმარტავს, ესა და ეს სიტყვა სხვათა ენაა, ქართულად ესა და ეს ჰქვიაო.

„დიაღ კარგი წიგნია" — გულწრფელი აღტაცებით წარმოთქვამს შშობლიური მწერლობის ტრფიალი მეფე. მრავალგზის გაიმეორებენ მომავალი თაობანი ამ პირუთვნელ განაჩენს, ბეჭედივით რომ დაუსვა საბას უკვდავ ქმნილებას მისი შექმნის ინიციატორმა, ერთ-ერთმა პირველმა მკითხველმა და შემფასებელმა.

„ჩემო სანახავად სანატრელო ძმაო, ბატონო სულხან!" — ისევ კითხულობს საბა ყანდაარიდან მოსულ წერილს და გული ტკივილით ეკუმშება. სიჭაბუკისა ყვავილნი დაუჭკნია ომთა დენას. როგორ გარბიან წლები და ულმობელია მათი სრბოლა. განუმეორებელ წარსულში იკარგება ფრთაშეკვეცილ ოცნებათა წყება. სად არიან, სულხან, შენი საყვარელი მამიდაშვილები? კიდევ გეღირსება მათი ნახვა, თუ ისინიც, ვახუშტის დარად, უცხო მხარეში დალევენ სულს. სად არიან შენი საყვარელი მამიდაშვილები, შენი სიჭაბუკის განუყრელი მეგობრები, შენი ჭირისა და ლხინის მოზიარენი? ძალზე კარგად იცის საბამ ქცეულმა სულხანმა, სადაც არიან ისინი, მაგრამ ამის ცოდნა როდი ანუგეშებს. არჩილი მოსკოვშია, გიორგი — ყანდაარში, ლევანი — ისპაანში. არცა შიათ, არცა სწყურიათ და მაინც მწარეა მათი ხვედრი.

„ჩემო ორისავე თვალის სინათლევ და გულის სიმხიარულევ, ჩემო დაჭირებელო ბატონო გიორგი და ბატონო ლევან!" — უმცროს ძმებს ეროსკოვიდან ეხმიანება მეფე-პოეტი არჩილი და არ იცის, რომ თვითონ მოუწევს ორივე ძმის დატირება, სამშობლოდან გადახვეწილს — სამშობლოდან გადახვეწილთა.

საქართველოში კი ყველაზე მეტად გიორგისათვის შესტკივათ გული, და სასოებით ლოცულობენ: „ბეფის გიორგის ყანდაარს ბრძოლის გასამარჯვებლად და მშვიდობით მოსასვლელად... გიორ-

გი მეფის სულისა და ცოცხლივ გამოხსნისათვის". თითქოს წინათგრძნობა აწუხებთ, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია მას.

კითხულობს ქართლის მეფე ქართულ ლექსიკონს და აგონდება ვშობლიური მთა-გორები.

რანაირად გადაისროლა ბედმა საქართველოდან სამი თვის სავალზე, ცხრა მთას იქით გადაკარგულ ყანდაარში გიორგი XI, სამშობლოს დამოუკიდებლობის ერთგული მედროშე და მკლავმოუღლელი რაინდი, რანაირად აქცია ბედმა ქართლის მეფე ირანის სპასალარად და ყანდაარის ბეგლარბეგად, ქრისტიანი გიორგი მეფე მაჰმადიან გურგინ-ხანად, ზოგს რომ გურჯი-ხანი (ე. ი. ქართველი ხანი) ჰგონებია და საკუთარი სახელიც წაურთმევია სახელოვანი ქართველი მეფისათვის. ზღაპრული ინდოეთის საზღვრებთან, უცხო მიწაზე, უცხო ცის ქვეშ რა ესაქმებოდა საქართველოში დაბადებულს, საქართველოში დავაჟკაცებულს და საქართველოსათვის მრავალჯერ ომგადახდილს.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „სპარსეთის შაჰები ხშირად თავიანთ სარდლებს არ ენდობოდნენ ხოლმე, ქართველთა პირიანობა და ფიცგაუტეხელობა კი გამოცდილებით იცოდნენ, ამის გამო ისინი თავიანთი დახლართული სამხედრო საქმეების მოწესრიგებას ქართველ მეფეებს ანდობდნენ ხოლმე. ამის წყალობით ისეთს ნიჭიერ სამხედრო პიროვნებებს, როგორც მაგ., მეფე გიორგი XI იყო, უნებლიეთ სპარსეთის აჯანყებული ქვეშევრდომების დამორჩილება უნდა ეკისრა და ხან ავღანისტანში ყოფილიყო, ხან ბელუჯისტანში, ხან სხვაგან, სადაც კი ამბოხება იფეთქებდა".

გიორგი XI-ის ეპოპეას დაწვრილებით მოგვითხრობენ როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები (კრუშინსკი, მამი-კლერაკი, ჰანვეი). სხვათა შორის, ევროპელი მკითხველისათვის გიორგი XI წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და პოპულარულ ფიგურას ქართველ მეფეთაგან.

გიორგი და მისი უფროსი ძმა არჩილი წლების მანძილზე თავგამოდებით ცდილობდნენ საქართველოს გაერთიანებას და სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას, მაგრამ წააწყდნენ ქართველ ფეოდალთა გარკვეული ნაწილის წინააღმდეგობას, რომელთაც ზურგს ომაგრებდა სეფიანთა სამეფო კარის დახვეწილი დიპლომატია.

1688 წელს შაჰ-სულეიმანმა ჩამოართვა ქართლის მეფობა გი-

ორგის და უწყალობა თეიმურაზ პირველის შვილიშვილს ერეკლეს (ანუ ნაზარალი-ხანს), ვისი სამკვიდრო კახეთი ყიზილბაშ გამგებელს ეჭირა. წყალობით კი უწყალობეს კახეთის ბაგრატიონთა ერთადერთ ნაშიერს ქართლი, მაგრამ ნაწყალობევის დაპატრონება უხმლოდ არ იქნებოდა. გაჩაღდა საშოქალაქო ომი. რეაქციონერი თავადები გაერთიანდნენ ნაზარალი-ხანის გარშემო და დაუპირისპირდნენ გიორგი XI-ს. ასე დაიწყო ე. წ. „ორიანობა“ ქართლის ტახტზე.

ყიზილბაშებთან ბრძოლაში გიორგის ღალატობენ ახლო ნათესავებიც კი — დედის ძმა თამაზ ყაფლანიშვილი და თავისი სიძე დათუნა, ქსნის ერისთავი.

თადეუშ კრუშინსკის სიტყვით, ირანის მთავრობა ვერაფერს გააწყობდა, მხოლოდ სამხედრო ძალით რომ შებმოდა ქართველ მეფეს, რომელიც დიდი მხედართმთავარი იყო, მაგრამ ყიზილბაშთა მიერ მოწყიდულმა თავადებმა გადამწყვეტ მომენტში უკან დაიხიეს თავიანთი ჯარითურთ და მიტოვებულ მეფეს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, გარდა დათმობისა და შერიგებისა.

საეჭვალო ფაქტია, მაგრამ სიმართლეს ვერსად გაექცევი: ისევ ისპაანში უნდა მოეპოვებინა ქართლის მეფობა ისპაანთან მტრად გადაკიდებულ გიორგი XI-ს და მოღალატე ფეოდალები უნდა მოეთოკა მათივე იარაღით — ირანის შაჰის მფარველობითა და მხარდაჭერით.

ამასობაში სეფიანთა ტახტზე ახალი ხელმწიფე ასულიყო. იგი მშვიდობას უფრო ეტრფოდა, ვიდრე ომსა და სისხლის ღვრას.

..სპარსული და ევროპული წყაროების ერთობლივი მოწმობით, მომაკვდავმა შაჰ-სულეიმანმა ასე მიმართა თავის ვეზირებს: „თუ თქვენ გსურთ მშვიდობა და მოსვენება, აირჩიეთ თქვენს ხელმწიფედ ჰუსეინ-მირზა, ხოლო თუ გსურთ განამტკიცოთ საჯელმწიფოს ძლიერება და განავრცოთ მისი საზღვრები, მაშინ აირჩიეთ აბას-მირზა!“

ორი პრეტენდენტიდან უფრო სუსტსა და ლმობიერ უფლისწულს მიანიჭეს უპირატესობა ცბიერმა ვეზირებმა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მარტოობისა და ლოცვების მოყვარული ჰუსეინ-მირზა გადაიქცეოდა სათამაშო ტიკინად თავის მრჩეველთა ხელში. მალე მთლიანად გამართლდა მათი ვარაუდი.

1694 წლის 6 აგვისტოს ირანის ტახტზე ავიდა ოცდაექვსი

წლის შაჰ-ჰუსეინი, მეცხრე და, ფაქტიურად, უკანასკნელი ხელმწიფე სეფიანთა დინასტიიდან.

გიორგი XI-ს არ გასჭირვებია დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა სეფიანთა სამეფო კართან. იგი 1697 წლის 5 მარტს ჩავიდა ისპაანში, სადაც ზარ-ზეიმითა და ძვირფასი საჩუქრებით შეეგებნენ. „დღესა მეოთხესა ნახა ყაენმან, — წერს სეხნია ჩხეიძე, — დახვდა ტკბილად და საყვარლად, ვითარცა მამასა, და დასდო პატივი მისად შესაფერად, მოეწონა სიკეთე მეფის გიორგისა“.

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ დაიწყო გიორგი XI-ის ხანგრძლივი ყარიბობა და ქართლის მეფეს აღარასოდეს აღარ ეღირსებოდა სამშობლოში დაბრუნება.

1697 წლის 7 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში იეზუიტი მისიონერი რიკარი, რომელიც მკურნალობდა გიორგის და ახლოს იყო მასთან, აღნიშნავს, რომ შაჰმა ქართლის მეფეს აღუდგინა წყალობა და პატივი, მაგრამ სამეფო ტახტზე არ აღუდგენიაო.

1698 წელს იტალიელი მისიონერი ამადეო ბრეშელი ატყობინებდა რომს: „გიორგი მეფე ისპაანს არის და იმედით ცხოვრობს“.

ქართლის საქმეები კი ვერ იყო რიგზე.

თბილისის, გორისა და სურაბის ციხეში ჩაყენებულ ირანის გარნიზონებს ფხიზლად ეჭირათ თვალი, რომ ნაზარალი-ხანის ტახტი არ შერყეულიყო. სამაგიეროდ, ეს უკანასკნელი თვალს ხუჭავდა ყიზილბაშთა თავაშვებულობაზე, და ისინიც ისე იქცეოდნენ, როგორც მოეპრიანებოდათ.

ამასობაში სეფიანთა სახელმწიფოს მართლაც რომ ჰაერივით დასჭირდა ქართველი მხედრების სამსახური. ირანის აღმოსავლეთ პროვინციებს ბელუჯთა ტომის მეკობრენი არბევდნენ. რამდენჯერაც შეებრძოლნენ ბელუჯებს ყიზილბაშები, იმდენჯერვე დამარცხდნენ. მაშინ შაჰ-ჰუსეინმა ისპაანში მყოფ გიორგი XI-ს მიაპყრო თვალი, ქირმანის ბეგლარბეგობა უბოძა ლტოლვილ მეფეს და იმასაც შეჰპირდა, რომ ქირმანის პროვინციაში თუ წესრიგს დამყარებდა და აღკვეთდა ბელუჯთა თარეშს, ქართლის ტახტს დაუბრუნებდნენ.

სეხნია ჩხეიძე,, აღწერილ მოვლენათა თვითმხილველი, მოგვითხრობს: „არად ინება მეფემ გიორგიმ ქირმანი, რომ საქართვე-

ლოს პატრონი იყო და ქირმანი იუკადრისა, მოახსენა უარი, მაგრამ არ მოეშვა ხელმწიფე...“

ბოლოს ქართველმა დიდებულებმა დაიყოლიეს გიორგი XI, ქართლის ტახტის მოსახვეჭად ქირმანის გზას დასდგომოდა.

სეხნია ჩხეიძე იქაც გაჰყვა პატრონს და, ამგვარად, შემოგვინახა უდაბნოში გადახდილი ბრძოლების უტყუარი სურათი.

კითხულობ ქართველი ისტორიკოსის ჩანაწერებს და თვალწინ წარმოგიდგება გადამწვარ-გადახრუკული უდაბნო, სადაც არც წყალია, პირი რომ გაისველო, არც ხის ჩრდილი, ცოტა ხნით მაინც რომ დაემალო გავარვარებული მზის მცხუნვარებას. ირგვლივ, უთვალავ კილომეტრებზე, გადაშლილა თვალუწვდენელი უდაბნო, ბირქუში და იდუმალი. შეიძლება ერთი თვე იარო და კაციშვილს ვერ გადაეყარო. ამ უგემურ ქვეყანაში მიდიან საომრად ქართველი მხედრები და, ეტყობა, მაინც არ დაუკარგავთ ხალისი და მხნეობა. სეხნია ჩხეიძეს ეღიმება: „ასე სიხარულით მივდიოდით, ვითარცა ქორწილსა შინა წვეულ ვყოფილიყავით, მაგრამ ჩვენის ჯარის სიმცრო გვიმძიმდა“.

სულ ექვსასი ყიზილბაშია და ორმოცი ქართველი. ხოლო ბელუჯთა შესახებ მზვერავებმა ცნობა მოიტანეს, ორი ათასამდე არიანო. უდაბნოში თავს ისე გრძნობენ ბელუჯები, როგორც თევზი — წყალში.

ლევან ბატონიშვილი, უმცროსი ძმა გიორგი XI-ისა, უცებ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსით შეაგულიანებს უდაბნოში საომრად გამზადებულ ქართველებს:

> უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებნენ ხმელთა სპანი;
> განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი;
> ვერ დამხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი,
> ვინცა იცის ესე ასრე, ჩემებრივეა გულოვანი.

რუსთველის უკვდავი პოემის ერთი ეპიზოდი თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება ხუთი საუკუნის შემდეგ. ვის არ ახსოვს, მაჰმადიან ვაჭართა ქარავანს რომ გამოესარჩლება და შავ დღეს დააყრის მეკობრეთ — რუსთველის მიერ „არაბად“ წოდებული ავთანდილი, ხორცშესხმული სიმბოლო ქართველი რაინდისა.

ახლა კი ქირმანის მოსახლეობის ამწიოკებელ მეკობრეებს უნდა გაუსწორდეს ქართველი ბატონიშვილი (სხვათა შორის, ქირმანის

პროვინციაში მეტწილად ცხოვრობდნენ ლებრები ანუ ურწმუნოები — ის სპარსელები, რომლებიც არ გამაჰმადიანებულან ირანში ისლამის გაბატონებისას და შეინარჩუნეს თავიანთი ოდინდელი საერწმუნოება, ცეცხლთაყვანისმცემლობა).

შებინდებისას ლევანის რაზმი შეჩერდა კლდესთან დაბანაკებულ ბელუჯთა მახლობლად. ბელუჯებმა ყურიც არ შეიბერტყეს. ჯერ ერთი, მტრის რიცხვი ეცოტავათ, და მეორეც, ყიზილბაშები იშდენჯერ დაემარცხებინათ, რომ აინუნში აღარ აგდებდნენ.

გარიჟრაჟზე გუშაგები შეეხმიანენ ერთმანეთს, ბელუჯთა მხრიდან დამცინავი მუქარა ისმოდა, ვის შეუცდენიხართ, თქვე საცოდავებო. რამდენჯერ ჯარი ამოგიწყვიტეთ, რამდენჯერ კუდით ქვა გასროლინეთ, ახლა უარეს დღეს გაგითენებთო.

ამჯერად ასეთი პასუხი მიიღეს: „ვოვიდა რისხვა ღვთისა თქვენზედაო, ვობრძანდა საქართველოს ვალი ლევან, ახლავს ქართველნი ჯარნი კაცის მჭამელნიო“.,

ქართველთა ხსენებაზე კი შეფიქრიანდნენ ბელუჯები. „ეს კი არ იცოდნენ, — ველარ იკავებს სიცილს სეხნია ჩხეიძე, — არც ოციოდ ქართველი გვახლდა, თითოს ქათმის შეჭმაც არ შეგვეძლო“.

ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ ქართულმა ხმალმა, ჩანს, ყიზილბაშებსაც გაუმაგრა გული და ორი ათასი ბელუჯიდან მხოლოდ ხუთასი გაექცა სიკვდილს...

ასე დაჰყვებოდა ქართული ლექსი და ქართული ოხუნჯობა უდაბნოში ბრძოლით გატანჯულ ქართველ მხედრებს, მალამოსავით კურნავდა ჭრილობას, უნარჩუნებდა მხნეობას და კიდევ ერთხელ შეახსენებდა, რომ ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსაო.

ლექსი ყველგან გაჰყვებათ, არასოდეს დაავიწყდებათ და არსად დაეკარგებათ. მაგრამ ლექსით წყურვილის მოკვლა ვინა თქვა? ქართული წყაროს წყალი კი საქართველოში დარჩა, ერთი პეშვიც აუხდენელი ოცნებაა, საიდან გააჩენენ ამ წყეულ უდაბნოში უკვდავების წყალივით მიუწვდომელ ქართულ წყაროს?!

ისევ ვათხოვოთ ყური სეხნია ჩხეიძეს:

„გარდავხედით ნაომარსა ადგილსა, მაგრამ დამაშვრალი უწყლობითა, მას ადგილსა წყალი არა იყო. შევსხედით ცხენსა იმავე საღამოსა, ხანი სისტანისა ბელადი იყო და ადგილი მისი გვითხ-

რა: წყარო არის ალაჯსა ორსაო, იქ უნდა დავდგეთო. გვიამა და შეგვექნა სიხარული წყარო მისთვის, გვეგონა ქართლის წყაროს მსგავსი იქნებისო. ვიარეთ ალაჯი ორი და დაეცა ბინდი. მივედით ადგილსა მას, სადაცა წყარო გვითხრეს. შევქენით ძებნა წყაროსი. ვეაჩვენეს, ვნახეთ, ღმერთმა თქვენს მტერს მისცეს ის წყარო, ასეთი მარილი ედვა ნადინარსა მის წყლისასა, თავმან თქვენმან, კურდღელი მოიკლვოდა, წყალი იყო მწარე მარილისაგან. შეგვექნა ზოგთა სიცილი, და ზოგთა მის ბანისა გმობა. მაგრამ რა ღონე იყო, დავდექით მას ღამეს იქ".

ისეთი ადგილები გამოიარეს უდაბნოში გიორგიმ და მისმა თანამებრძოლებმა, რომ გზითაც არავის გაევლო, თორემ საომრად ვინ წავიდოდა!

...მალე ყანდაარის პროვინციაში თავი იჩინა არეულობამ და გაჭირვების ტალკვესად ისევ ქართველები თუ გამოდგებოდნენ.

1703 წელს გიორგი XI-ს უბოძეს მეფობა ქართლისა, სპასალარობა ირანისა და ბეგლარბეგობა ყანდაარისა.

„რა გაეწყობოდა, — აღნიშნავს სეხნია ჩხეიძე, — შეგვექნა სიხარული ქართლის შოვნისათვის, მაგრამ ყანდაარს წასვლის მოწყენა".

ქართლში მეფის ჯანიშინად (ანუ მოადგილედ) უნდა ყოფილიყო ვახტანგ, ძე ლევანისა. ხოლო ქართლის მეფე თავისი რჩეული რაზმით 1704 წლის მაისში ყანდაარისაკენ გაუძღვა ირანის ლაშქარს. თითქმის ორი თვე წაიღო გზამ. ისევ — ჯოჯოხეთად ქცეული უდაბნოები! ჩავიდნენ ყანდაარში და ვერც იქ იპოვეს შვება ქართველმა მხედრებმა.

აი როგორ აღწერს ყანდაარს სეხნია ჩხეიძე:

„...ქალაქი ცხელი, საღამო ჟამს ასეთი ქარი მოვიდის ცხელი, რომ პირს ვერ შეაქცევდენ, ეს მინახავს აქაურის სიცხისაგან კვერცხი სპილენძის თეფშზე გათქვეფილი და დასხმული მზისაგან შეშწვარიყოს და ციხის სალს კლდეზედ პური მიეკრაჯ და გამამცვარ იყოს".

გიორგი XI-მ ყანდაარის პროვინციაც დაამშვიდა, შემდეგ ავღანთა ტომის უარშიო (ანუ ურჩი) წინამძღოლი მირ-ვეისი შებორკილი გაგზავნა ისპაანს და ირანის შაჰს მისწერა: „ესე სულთანი უარშიობს, უნდა არევა ამა ქვეყანისა, ნულარ გამოუშვებთ, თვარამ ერთს რასმე მოახლენს".

ევროპელი ავტორები ერთხმად აღნიშნავენ, ისპაანში რომ ყურად ეღოთ გიორგი XI-ის ბრძნული გაფრთხილება, შესაძლოა უკუღმა არ შეტრიალებულიყო სეფიანთა სახელმწიფოს ბედი.

...XVIII საუკუნის დამდეგს ირანში ჩასულ ჰოლანდიელ მხატვარს კორნელიუს დე ბრეინს დაუხატავს შაჰ-ჰუსეინის პორტრეტი. სათნო და სასიამოვნო გამომეტყველებით გვიმზერს სეფიანთა ხელმწიფე ამ პორტრეტიდან. უსაზღვრო სიმშვიდეს დაუსადგურებია მის თვალებში. სხვა ვერაფერს ამოიკითხავ. გაცილებით მრავლისმთქმელია ის პორტრეტი, რომელიც ჰოლანდიელ მხატვარს ტილოზე კი არა, არამედ თავისი დღიურის ფურცლებზე დაუტოვებია. დიახ, სიტყვები მეტს მეტყველებენ, ვიდრე საღებავი.

კორნელიუს დე ბრეინი წერს: „ეს ხელმწიფე ისეა გადაყოლილი ქალებს, რომ თავისი გარყვნილი ცხოვრების ზღვარი არ იცის და სრულიად აღარ ზრუნავს სახელმწიფოს კეთილდღეობაზე. მისი ავი მაგალითი მიზეზია იმისა, რომ მართლმსაჯულება დაეცა სეფიანთა დიდ იმპერიაში, სადაც ახლა მეფობს აღვირახსნილობა და არ ისჯება ბოროტება“.

ჰოლანდიელ მხატვარს კვერს უკრავს პოლონელი მისიონერი თადეუშ კრუშინსკი და შემდეგს გვაუწყებს: შაჰ-ჰუსეინი თავის ჰარამხანას თვლიდა ცალკე სამეფოდ და ზრუნვის ერთადერთ ღირსეულ საგნად. თურმე ვერც ერთი მისი წინაპარი ვერ გაუტოლდებოდა სეფიანთა დინასტიის უკანასკნელ ხელმწიფეს ვერც ცოლების სიმრავლით და ვერც მათ შესანახად გაწეული უზომო ხარჯებით.

ძალაუფლება ჰარამხანის საჭურისთა ხელში მოექცა. რა ხეირი უნდა ენახა ქვეყანას, რომლის კეთილდღეობა მხოლოდ მონარქის პიროვნებაზე იყო დამოკიდებული! ძლიერი ხელმწიფის ხელში სახელმწიფოც ძლიერი იყო, სუსტი ხელმწიფის ხელში კი სისუსტეს ვიღა ჩივის, უკვე დაღუპვა ემუქრებოდა.

და რაც ერთი საუკუნის წინათ ცეცხლითა და მახვილით შეაკოწიწა მრისხანე შაჰ-აბასმა, ახლა უიმედოდ ინგრეოდა კეთილი და უმწეო შაჰ-ჰუსეინის წყალობით.

ისპაანში ჩასულმა მირ-ვეისმა იოლად მოისყიდა სამეფო კარის დიდებულნი და გავლენიანი საჭურისები, რომელთაც შურდათ გიორგისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა აღზევება სეფიანთა ირანში. უნებისყოფო და მცონარა შაჰიც დაითანხმეს და ცოტა ხნის

შემდეგ ავღანთა ცბიერი წინამძღოლი უვნებლად დაბრუნდა ყანდაარში.

მირ-ვეისმა პირფერობითა და მოჩვენებითი ერთგულებით მოახერხა მოედუნებინა გიორგის სიფხიზლე. მეტიც აღარ იყო საჭირო. როდესაც ქართველ მხედართა დიდი ნაწილი მთებში გაეშურა რომელიღაც ამბოხებული ტომის დასაწყნარებლად, მირ-ვეისის მიერ ლხინში მიწვეული ქართლის მეფე და მთელი მისი ამალა მუხანათურად ამოჟლიტეს ავღანებმა.

ეს მოხდა 1709 წლის 21 აპრილს.

იოსებ ქართველი აგვიწერს გიორგი XI-ის უკანასკნელ წუთებს. მისი სიტყვით, გურგინ-ხანი ხმაურის გაგონებისთანავე გაშოფხიზლდა, ზეზე წამოიჭრა და ხმალს დაავლო ხელი, რათა ვაჟკაცურად დაეცვა თავისი სიცოცხლე. იგი ჯიქურ შეეგება მირ-ვეისის მეთაურობით კარავში შემოჭრილ ორმოცდაათ ავღანს და რვა მომხდური მიწაზე გააგორა. მაგრამ ღონე აღარ ეყო, რომ ყველას გამკლავებოდა და ავღანებმა შუბებით განგმირეს ქართველი მეფე.

„აჰყარნა ხატნი და ჯვარნი მეფესა მირვეიზ და ფსალმუნი, რომელსა იკითხვიდა ჟამსა მას, და წარმოუელინა ყელსა მეტყველმან: ესრეთ გაცდუნებდა მეფე", — მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი.

ორიოდე წლის შემდეგ იმავე ყანდაარის ციდამოებში ყიზილბაშთა ღალატის წყალობით ჰპოვა აღსასრული გიორგის ძმისწულმა ქაიხოსრო მეფემ. თადეუშ კრუშინსკის ცნობით, ავღანებმა, მიუხედავად დიდი გამარჯვებისა, სიმართლეს თვალი გაუსწორეს და დამარცხებული მტრის სიმამაცე ასე უცნაურად შეამკეს: ყიზილბაშები. დიაცნი არიან ავღანებთან შედარებით, ხოლო ავღანები დიაცნი არიან ქართველებთან შედარებითო!

...უცხო მხარეში დაღვრილმა სისხლმა მაინც გაუწია საჰსახური საშშობლოს. გიორგი XI-მ თავისი მოღვაწეობით ირანის საშხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე ეშიშროება მოუხვეჭა ქართლს და დაასვენა ქვეყანა ომებისაგან.

ათი წლის მანძილზე ენერგიულად იღვწოდა ქართლში მეფის მოადგილედ დანიშნული ვახტანგი. მისი თაოსნობითა და გარჯით იმ დროისათვის არნახული გაქანება მიიღო ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურმა აღმავლობამ.

რომელი ერთი ვახსენოთ და ჩამოვთვალოთ მაშინდელი მიღწევებიდან!

მარტო ის რად ღირს, რომ თბილისში სტამბა გაიმართა და ქართველმა კაცმა ხელში აიღო დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“.

ინგლისელი ქართველოლოგი დ. ლენგი აღნიშნავს: „სიმართლე რომ ითქვას, გამოღვიძების ეს პერიოდი ვერ შეედრება დაეითისა და თამარის ოქროს ხანის მიღწევებს, მაგრამ ეს იყო ნამდვილი რენესანსი, ვერცხლის ხანა საქართველოს ცივილიზაციისა“.

ქართლის მშვიდობა და ქართული კულტურის წინსვლა ქართველ მხედართა სისხლით იქნა შედუღაბებული. ულმობელი ეპოქა თავის ხარკს ითხოვდა.

ვიორგი XI, მთავარი სულისჩამდგმელი და შემოქმედი ქართლის ბედის ხანმოკლე აღორძინებისა, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, პირნათლად წარუდგა წინაპართა აჩრდილებს, და თითქოს გვეუბნება შორეთიდან: უღელი ჩემი ტკბილი იყო და ტვირთი ჩემი — მსუბუქი.



ის იქნება მეფე

„ისრაელა ელჩი მიიცვალა ასტრახანსა“, — გვაუწყებს ერთი ქართული ქრონოლოგიური წყარო, „ფურცელაანთეული ქრონიკა“ რომ ეძახიან. იქვე მითითებულია ხსენებული პირის გარდაცვალების ზუსტი თარიღიც, სახელდობრ 1711 წლის 18 სექტემბერი.

ვისი ელჩი იყო, სად და რომელ მხარეს მოღვაწეობდა, როგორ აღმოჩნდა ასტრახანში და, რაც მთავარია, რატომ მოხვდა მისი გარდაცვალების ცნობა სიტყვაძუნწი ქართული ქრონიკის ფურცლებზე, სადაც გამოტოვებულია იმდროინდელი ქართლის ცხოვრების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტი (მაგალითად, გიორგი XI-ის დაღუპვა ყანდაარში 1709 წელს).

ასეთი კითხვები ბუნებრივია. ერთადერთი, რაც ექვს არ იწვევს, ის გახლავთ, რომ „ისრაელა ელჩს“ გარკვეული ურთიერთობა ექნებოდა ქართველებთან, ჩვენში კარგად ეცოდინებოდათ მისი აპავალ-დასავალი, თორემ უცნობი კაცის გარდაცვალების ზუსტი თარიღი რაში ენაღვლებოდათ?

„ისრაელა ელჩის“ ვინაობის დადგენა არ წარმოადგენს სიძნელეს. უცხოურ წყაროებს უხვად შემოუნახავთ მასალა სომეხი ხალხის გამოჩენილი შვილის — ისრაელ ორის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

სეფიანთა ირანში დამკვიდრებული კათოლიკე მისიონერი თადეუშ კრუშინსკი მოგვითხრობს:

1708 წლის ზაფხულში შემახის ხანმა ამცნო სეფიანთა სამეფო კარს, რომ შემახაში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორის ელჩი ისრაელ ორი, წარმოშობით სომეხი, რომელსაც მოჰქონდა რომის პაპის ეპისტოლე შაჰ-ჰუსეინისადმი და ახლდა ჩვეულებრივზე მრავალრიცხოვანი ამალა. ამავე დროს შეიტყვეს ხსენებული ელჩის მოულოდნელი და უცნაური განცხადება: სომხეთის უძველეს მე-

ფეთა შთამომავალი ვარ და ჩემს კანონიერ უფლებათა დათმობას არ ვაპირებო. შეშფოთდნენ შაჰ-ჰუსეინიცა დ მისი ვეზირებიც. უსაზღვრო იყო მათი გულუბრყვილო შიში და განგაში. სეფიანთა სამეფო კარზე დაასკვნეს, რომ ირანის ქვეშევრდომი სომეხი, რომელიც ასე თამამად და გამომწვევად იქცევა, მხოლოდ ელჩად არ იქნება გამოგზავნილი, ეტყობა, საიდუმლო დავალებებით არის აღჭურვილიო. აბრიალებულ განგაშს ცეცხლი შეუნთეს ისპაანში დამკვიდრებულმა ევროპელმა ვაჭრებმა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ისრაელ ორის მისიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო რუსეთ-ირანის ვაჭრობის გაცხოველება და ევროპელთა შევიწროება. ამიტომაც განიზრახეს საფრთხის გაზვიადება. განსაკუთრებით აქტიურობდა საფრანგეთის ელჩი, გვარად მიშელი. ამტკიცებდნენ, ქრისტიან ხელმწიფეთა წერილები ნაყალბევი არისო. იმოწმებდნენ სომხურ არქივებში ვითომდა დაცულ წინასწარმეტყველებას სომხეთის სამეფოს აღდგენაზე რუსეთის მფარველობის ქვეშ. და ბოლოს, ცრუმორწმუნე შაჰ-ჰუსეინის შესაძრწუნებლად გაბოცხადეს, რომ ფრანგულ ენაზე ელჩის სახელიდან (ისრაელ ორი) შედგენილი ანაგრამა შეიცავდა ასეთ გამოთქმას: „ილ სერა როი“ (ქართულად „ის იქნება მეფე“). დახეთ, თვით ელჩის სახელიც მისი პრეტენზიების დადასტურებას წარმოადგენსო! ასეთ ვითარებაში შაჰ-ჰუსეინი ორჭოფობდა, მაგრამ რუსეთის იმპერატორის შიშითა და პატივისცემით ელჩობას ისპაანში ჩამოსვლის ნება დართო.

...ისრაელ ორი წარმოშობით ყარაბაღიდან იყო და ბროშიანთა ცნობილ გვარს ეკუთვნოდა. სოფლებში ცხოვრობდნენ მისი მშობლები და უახლოესი ნათესავები. ერთხანს მიმოწერა ჰქონდათ, შემდეგ შეწყვიტეს ყიზილბაშთა შიშით და აღარც იცოდნენ, ცოცხალი იყო თუ არა ევროპაში გადაკარგული ისრაელ ორი.

დიუსელდორფში დაქორწინდა და ორი შვილი შეეძინა.

მრავალი ენა იცოდა: ლათინური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, რუსული, თურქული, სპარსული.

ექვს წელიწადს იმსახურა საფრანგეთის ჯარში ოფიცრად. შემდეგ ინგლისელთა ტყვეობაში აღმოჩნდა. კიდევ ოთხი წელი ბავარიაში გაატარა. მოახსენა ბავარიის მთავარს სომეხი ხალხის მისწრაფებანი. მერე ქენაში ჩავიდა, იქაც ითხოვა დახმარება, მერე — კრაკოვი, ბუქარესტი, კონსტანტინოპოლი; ბოლოს სამშობ-

ლოში დაბრუნდა და სომეხ მელიქებს აუწყა, ბავარიის მთავარი შემწეობას გვპირდებაო. 1699 წელს სომეხმა მელიქებმა ისრაელ ორის მიანდვეს მაჰმადიანური უღლიდან სომხეთის გამოხსნის საქმე და ყოველგვარი მხარდაჭერა აღუთქვეს.

ახლა რუსეთისკენ აიღო გეზი. 1701 წელს მოსკოვში ჩავიდა და რუსეთის იმპერატორს სომეხ მელიქთა წერილები მიართვა. 1704 წელს ისევ ევროპას გაემგზავრა. ორი წლის შემდეგ მოსკოვს დაბრუნდა.

პეტრე პირველის პიროვნებამ დიდად მოხიბლა ისრაელ ორი. „მზად ვარ, მსხვერპლად შეეწირო თქვენს სიცოცხლესა და დიდებას", — ასე მიმართავდა იგი სახელოვან ხელმწიფეს, აცნობდა სომხეთის დიდებულ წარსულს, შემდგომში მაჰმადიანთა უღელქვეშ მოქცევას და დასძენდა: „არსებობს ჩვენში წინასწარმეტყველება, რომ ბოლოს და ბოლოს ურჯულონი გამძვინვარდებიან და თავს მოახვევენ ქრისტიანებს თავის ბილწ რჯულსა და კანონს. მაშინ მოვა მოსკოვიდან დიდი ხელმწიფე, ალექსანდრე მაკედონელზე უმამაცესი. ის აღადგენს სომეხთა სამეფოს და გამოიხსნის ქრისტიანებს. ჩვენ გვწამს, რომ ამ წინასწარმეტყველების აღსრულება კარზეა მომდგარი."

რუსული საარქივო დოკუმენტები ახასიათებენ ისრაელ ორის, როგორც კეთილშობილსა და ენერგიულ ადამიანს. იგი სწრაფად იხვეჭდა ახალგაცნობილთა ნდობას და პატივისცემას. სხვათა შორის, რომის პაპის ეპისტოლეში შაჰ-ჰუსეინისადმი ვკითხულობთ: „უბრწყინვალესო და უძლიერესო ხელმწიფევ... ვინაიდან ჩვენი სანუკვარი შვილი ისრაელ ორი შემკულია კეთილზნეობით, პატიოსნებით, სიბრძნითა და მაღალი რწმენით, ამისათვის დაიმსახურა ჩვენი საგანგებო სიყვარული" (კათოლიკური სამყაროს მეუფე მოუწოდებდა შაჰმადიან მბრძანებელს, არ დაეჩაგრა ირანში დამკვიდრებული კათოლიკენი და სომეხი მოსახლეობა).

პეტრე პირველმა მაშინვე მიაპყრო წყალობის თვალი სომეხ მოღვაწეს, პოლკოვნიკობა უბოძა და ირანს მიმავალ ელჩობას სათავეში ჩაუყენა. ისრაელ ორი საფუძვლიანად ასაბუთებდა, თუ რატომ იქნებოდა მიზანშეწონილი მისი ყოფნა ელჩობის მეთაურად. სომხები და ქართველები კარგად მიცნობენ, ხოლო სხვა ვინმეს, ციდან ჩამოფრენილი ანგელოზიც რომ იყოს, ყიზილბაშთა შიშით არ ენდობიანო.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ისრაელ ორი თავისი ხარჯით აწყობდა ელჩობას. იგი იძულებული გახდა, მსხვილი ხესხიც აეღო.

ირანში გავრცელებული მითქმა-მოთქმა ისრაელ ორის მიიჩნევდა რუსეთის იმპერატორის მიერ საიდუმლო დავალებებით აღჭურვილ ელჩად, რომელიც შენიღბული იყო რომის პაპის სიგელით. ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერებოდა სინამდვილეს ეს მითქმა-მოთქმა, მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ პეტრე პირველის ელჩს გაცილებით დიდი გეგმები ჰქონდა, ვიდრე ამას მისი ელჩობა ითვალისწინებდა.

ჯერ კიდევ მაშინ, სანამ დღის წესრიგში ელჩობის საკითხი დადგებოდა, დაუღალავმა სომეხმა მოღვაწემ რუსეთის მთავრობას ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლების ვრცელი პროექტი წარუდგინა.

ისრაელ ორი ოცდასუთი ათას ჯარისკაცს, ექვს ზარბაზანსა და ას დროშას ითხოვდა. მისი პროექტის თანახმად, ჯარის ერთი ნაწილი (ხუთი ათასი ცხენოსანი და ამდენივე ქვეითი) ასტრახანიდან ხომალდებით უნდა ჩასულიყო ნიზაბადს, გაეგრძელებინა გზა ხმელეთზე და ქალაქი შემახა („გასაღები სომხეთისა") აეღო, ხოლო ჯარის მეორე ნაწილი თერგის გზით შევიდოდა საქართველოში, სადაც შეიერთებდა ქართულ მხედრობას და ერევნისკენ დაიძრებოდა (ისრაელ ორის პროექტში უაღრესად ზუსტად იყო ნაანგარიშევი ყოველგვარი წვრილმანიც კი).

სომეხი მოღვაწე განსაკუთრებულ იმედს ქართველებზე ამყარებდა და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქართველების გარეშე სეფიანთა ირანის საბჭედრო ძალა მნიშვნელოვნად შესუსტდებოდა.

ისრაელ ორიმ ახლო ურთიერთობა დაამყარა მოსკოვში გადახვეწილ არჩილ მეფესთან. გაანდო თავისი მიზნები და გეგმები. მათ საერთო ენა ადვილად გამონახეს, რადგან სატკივარიც და საწადელიც საერთო ჰქონდათ.

ისრაელ ორის აზრით, წარმატების უპირველესი საწინდარი იქნებოდა მისი ჩასვლა სომხეთში, ხოლო არჩილისა — საქართველოში. ეტყობა, გიორგი მეფის მხარდაჭერასაც ვარაუდობდა, ვინაიდან პეტრე პირველისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნულია: „თუმცა გეორგიანთა პრინცის ძმა ირანში ვიცე-კოროლი და ფელ-

დმარშალია, შაჰი ბოლომდე არ ენდობა მას და იხდოეთის საზღ-ვარზე ჰყავს გამწესებული“ (გეორგიანთა პრინცად ნაგულისხმევია არჩილ მეფე, ხოლო ირანის „ვიცე-კოროლი და ფელდმარშალი“ გახლავთ გიორგი XI, მეფე ქართლისა, სპასალარი ირანისა და ბეგლარბეგი ქირმან-ყანდაარისა).

ისრაელ ორის პროექტი პროექტად დარჩა, რადგან პეტრე პირ-ველი შვედებთან ომობდა და ამიერკავკასიის ხალხებისათვის არ ეცალა.

ისრაელ ორის ვიზიტმა ირანში სარგებლობა მოუტანა მხოლოდ მირ-ვეისს, ავღანთა ტომის მეამბოხე წინამძღოლს, ყანდაარიდან ისპაანში პატიმრად რომ იყო წარგზავნილი. ისრაელ ორის ელჩო-ბის გამო ატეხილი პანიკის შედეგად სამეფო კარზე პოტენციურ მოღალატედ მონათლეს გიორგი XI, ხოლო მირ-ვეისი პატივი და აბრუნეს ყანდაარში ნდობადაკარგული ქართველი ბეგლარბე-გის მეთვალყურედ.

სეფიანთა ირანმა ამით ყანდაარიც გაწირა და უბადლო სპასა-ლარიც.

ომში წასული ძმისაო...

ქართლში გლოვის ზარი იდგა. აღარ ჰყავდათ მეფე. 1709 წელს, შორეულ ყანდაარში დაიღუპა გიორგი XI, ქვეყნის დიდი მოჭირნახულე. უკანასკნელი თორმეტი წელიწადი უცხოეთში უთენდებოდა და უღამდებოდა. საქართველოს უბედობამ წაიყვანა ქართლის მეფე ქართლიდან — ისპაანს, ისპაანიდან — ქირმანს, ქირმანიდან — ყანდაარს და ყანდაარიდან კიდევ უფრო შორს, ძალზე შორს, საიდანაც აღარასოდეს ეწერა დაბრუნება, უცხო ცის ქვეშ დახუჭა თვალი მაგულისათვის მრავალტანჯულმა გმირმა.

ქართლი გლოვობდა თავის მეფეს. გლოვობდა ქართლის გამგებელი ვახტანგი, ძმისწული გიორგისა. გლოვობდნენ დარბაისელნი და ეპისკოპოსნი, გლოვობდა დიდი და მცირე. „არა მწუხარეჰა ამას არ შეედარებოდა, ორმოც დღემდე ტირილი გაუწყვეტელი“, — ამბობს სეხნია ჩხეიძე და დაწვრილებით გადმოგვცემს თბილისში გამართული გლოვის ცერემონიალს.

ისპაანში მყოფი ქართველებიც გლოვობდნენ ქართლის მეფეს. ნეტავი რას ფიქრობდა ირანის დივანბეგი ლევან ბატონიშვილი, უმცროსი ძმა გიორგისა? ალბათ, ჯავრი და სინანული უკლავდა გულს. როგორ მოტყუვდა, რამ დაუბრმავა თვალები და რამ დაუხშო სმენა? რამ დაუბინდა გამჭრიახი გონება, რამ მოუსპო განსჯის უნარი, რამ დაავიწყა ძველისძველი სიბრძნე: შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო...

თადეუშ კრუშინსკი მოგვითხრობს, რომ გიორგი მეფის მიერ ისპაანში პატიმრად წარგზავნილმა მირ-ვეისმა მოხიბლა არა მარტო სეფიანთა სამეფო კარის მექრთამე ვეზირები, მუხანათი საჯურისები და გულუბრყვილო შაჰ-ჰუსეინი, არამედ თვით გიორგის უმცროსი ძმა ლევანი, დივანბეგი ირანისა. შაჰის ბრძანებით ყანდა-

არში გაბრუნებულ მირ-ვეისს ლევანმა წერილი გაატანა ყანდაარის ბატონ-პატრონთან. თავის უფროს ძმას უთხრიდა: ნეტავი ვიცოდე, ამ კაცმა ისეთი რა დაგიშავა, ულვთოდ რომ გასწირავ. შენი ერთგული არის, ისპაანში შენი ქების მეტი არაფერი დაუცდენია...

როგორ მოტყუვდა, რამ დააბრმავა, რამ დაუბნია გზა-კვალი? რომ არ გამოჰქომაგებოდა მირ-ვეისს, ახლა ცოცხალი ეყოლებოდა უფროსი ძმა. მწარე ფიქრებით იყო შეპყრობილი ირანის დივანბეგი და ნანობდა გამოუსწორებელ შეცდომას.

გადაჭრით ვერაფერს იტყვი, მაგრამ საეარაუდოა, რომ ლევანის წერილმა, მირ-ვეისის ტკბილსიტყვაობასთან ერთად, მართლაც აცდუნა ყანდაარის ბეგლარბეგი და შავი თეთრად მოაჩვენა.

სეხნია ჩხეიძის ცნობით, გიორგის სიკვდილიდან მეორმოცე დღეს ისპაანში სული განუტევა ლევან ბატონიშვილმა. არაა ცნობილი, ძველმა ჭრილობებმა მოუღეს ბოლო თუ სნეულებამ. ვინ იცის, ეგებ დარდსაც გადაჰყვა. ხანდაზმული კაცის ჯანი ვეღარ მოერეოდა ჭტკიანეულ ფიქრს, გამუდმებით რომ აგონებდა გამოუსწორებელ შეცდომას.

„ამბავი ჩამომიტანე ომში წასული ძმისაო"... მწარე და საზარელი ამბავი ჩამოუტანეს და სიკვდილი თუ ინატრა.

ომში წასული მეფის ამბავი საქართველოშიც ჩამოიტანეს.

რა თქმა უნდა, ყველას ეწადა ამბის გაგება. მეფის სიკვდილის ცნობა როდი იყო საკმარისი. დაიღუპა, მაგრამ როგორ დაიღუპა? ბრძოლაში აჯობეს თუ ვერაგობით სძლიეს?

გიორგი XI-ის საქმეთა ერთგული მემატიანე და თვითმხილველი სეხნია ჩხეიძე 1707 წლიდან აღარ იმყოფება ყანდაარში და მხოლოდ სხვისი ნაამბობი შეუძლია გაიმეოროს.

სეხნია ჩხეიძის სიტყვით, გიორგიმ „ძმისწული ალექსანდრე და ქართველთ ჯარი გაუსია უკუმდგარსა ავღანსა". ყანდაარიდან მცირე ამალის თანხლებით გასულს მირ-ვეისი თავს დაესხა განთიადისას. მეფე დევივით იბრძოდა, ერთი ისარიც არ დაუცდენია, მეორე ხმალს გაიკრა ხელი, მაგრამ თოფი დაახალეს და მოკლესო.

დაახლოებით ასევე გადმოგვცემს ამ ამბავს ვახუშტი ბატონიშვილი.

მაშ რაღა არის საეჭვო? ქართველთა ჯარი მთებში იყო წასული. ქართლის მეფე დარჩა მცირე ამალის იმარა და მირ-ვეისმა ისარ-

გებლა ხელსაყრელი შემთხვევით. ძალები უთანასწორო იყო და გამარჯვების სასწორი ავღანთა მხარეს გადაიხარა.

მაგრამ ქართულ წყაროებს ვარდა უცხოურ წყაროებშიც მოიპოვება ცნობები გურგინ-ხანის დაღუპვის შესახებ.

ყანდაარის ქართველი ბეგლარბეგის მოულოდნელ და ტრაგიკულ აღსასრულს აღწერენ სხვადასხვა ეროვნებისა და რჯულის ავტორები: ოსმალეთის დიდვეზირის მდივანი, ვინმე მუსტაფა-ეფენდი (გამაჰმადიანებული ბავარიელი); უცნობი თურქი, მონაწილე ოსმალეთის ელჩობისა ირანში (1720 წ.); იოსებ აბესალამაშვილი, თბილისიდან ევროპაში გადახვეწილი ქართველი; თადეუშ კრუშინსკი. ირანში ბოღვაწე ბოლონელი მისიონერი; იტალიელი ჯუზეპე ფრესკურატი, ექიმად რომ ახლდა ავღანეთში გიორგი მეფის ძმისწულ ქაიხოსროს. ზემოთ ჩამოთვლილ მასალებს კონსტანტინოპოლში გაეცნობა ფრანგი სამხედრო ინჟინერი მამი-კლერაკი, ამაღელვებელი სიუჟეტის კითხვისას ისტორიკოსის მუზა ბოევლინება და პარიზში გამოცემული მისი წიგნის ფურცლებზე ამეტყველდება გურგინ-ხანის ცხოვრებისა და სიკვდილის ამბავი. სამოდე წლის შემდეგ ლონდონში გამოქვეყნდება ჰანვეის წიგნი და იქაც გაშუქდება თავგადასავალი ქართველი მეფისა (მამი-კლერაკის მიხედვით). XVIII საუკუნის ოციან წლებში ირანის ელჩი ისმაილ-ბეგი და ვინმე მაჰმუდ-ბეგი („სპარსელი ოფიცერი") რუსეთში ჩაიტანენ ყანდაარის ამბებს. მათი ინფორმაცია გარკვეულ ადგილს დაიჭერს რუსი ზღვაოსნის თ. სოიმონოვის წიგნში („კასპიის ზღვისა და მისი მიმდებარე ოლქების აღწერა"). ასე რომ, იმავე საუკუნეში ინგლისელები, ფრანგები, რუსები და სხვანი წაიკითხავენ სადღაც, მთებსა და ზღვებს გადაღმა გადაკარგულ ყანდაარში დატრიალებული ტრაგედიის ეპიზოდებს.

ზოგიერთი უცხოური წყარო (მაგალითად, ისმაილ-ბეგის რელაცია და ჯუზეპე ფრესკურატის წერილი) ძალზე წაგავს სეხნია ჩხეიძისა და ვახუშტის მონათხრობს. მაგრამ არსებობს განსხვავებული ვერსიაც; სანიმუშოდ გამოდგება მამი-კლერაკის თხზულებაში მოცემული სურათი. ფრანგი ისტორიკოსი ეყრდნობა მუსტაფა-ეფენდის, იოსებ ქართველისა და თურქი ანონიმის რელაციებს (ანალოგიურად აშუქებენ ამ ამბავს თადეუშ კრუშინსკი და მაჰმუდ-ბეგი).

აი, როგორ არის აღწერილი უკანასკნელი დღე ქართლის მეფისა:

გურგინ-ხანი გავიდა ყანდაარიდან დილის რვა საათზე და ეს-ტუმრა თავისი აგარაკის მახლობლად დაბანაკებულ ავღანებს. ძალიან ძლიერ ბრძოლებმა შესაფერი პატივით მიიღეს ყანდაარის ბეგლარბეგი. ცალზე ჰდიდრული სუფრა გაიშალა. ღვინომ და სიცხემ მოთენთა საპატიო სტუმარი და ჩაეძინა იმ კარავში, სადაც წვეულება იყო გამართული. ავღანებმა თავიანთ კარვებში მიიპატიჟეს მისი ამალის დიდებულნი და მსახურნი, ლხინით დაღლილნი — მოსასვენებლად. როგორც კი ძილმა შეიპყრო ისინი, მირ-ვეისმა ნიშანი მისცა და ავღანებმა დაუნდობლად ამოჟლიტეს სტუმრები.

ორ ვერსიას შორის ძირითადი განსხვავება ის გახლავთ, რომ სეხნია ჩხეიძისა და სხვათა თხრობაში არ არის აღნიშნული მირ-ვეისის მიერ გამართული ლხინი.

რომელ ვერსიას უნდა მიენიჭოს უპირატესობა?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლოა გაგვიადვილოს მამი-კლერაკის ერთმა, ფრიად საყურადღებო, დაკვირვებამ. ფრანგი ისტორიკოსი, სხვა წყაროებთან ერთად, იმოწმებს იტალიელი ქირურგის ჯუზეპე ფრესკურატის ცნობას, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: გურგინ-ხანმა უმეტესი ნაწილი ქართველებისა წარგზავნა მეამბოხეთა დასამორჩილებლად და ელოდა მათ დაბრუნებას ყანდაარიდან სამი დღის სავალზე. მაგრამ რამდენიმე ათასი ახალი მეამბოხე, მირ-ვეისის წინამძღოლობით, უეცრად თავს დაესხა და ყანდაარის ბეგლარბეგი დაიღუპა უთანასწორო შეტაკებაში.

მამი-კლერაკი შენიშნავს, რომ ასეთი მტკიცება იტალიელი ქირურგისა უთუოდ ანგარიშგასაწევია, ვინაიდან იგი ახლდა გიორგის ძმისწულ ქაიხოსროს ყანდაარის ლაშქრობაში და, რასაკვირველია, ქართველების ნაამბობს გადმოგვცემსო (ჯუზეპე ფრესკურატის წერილი გაგზავნილია კონსტანტინოპოლში სწორედ ამ ლაშქრობიდან).

ამრიგად, ფრანგი ისტორიკოსი სათვალავში აგდებს იტალიელი ქირურგის ცნობას, მაგრამ მას აეჭვებს ის ფაქტი, რომ ფრესკურატს არ ეთანხმება სამი სანდო ავტორი, ე. ი. მუსტაფა-ეფენდი, იოსებ ქართველი და თურქი ანონიმი. ამიტომაც მამი-კლერაკი ვარაუდობს, რომ ჯუზეპე ფრესკურატი შეგნებულად ნიღბავს ჭეშმარიტებას, რათა მიაფუჩეჩოს გაუფრთხილებლობა, რაც მისი

პატრონის (ე. ი. ქაიხოსროს) ბიძამ გამოიჩინა და შეიქნა მათი მსხვერპლი, ვის ერთგულებაშიც უნდა დაეჭვებულიყო.

ეტყობა, ყანდაარიდან დაბრუნებულმა ქართველებმა გაავრცელეს ის ვერსია, რომელიც დამოწმებული აქვთ ქართველ ისტორიკოსებს (აგრეთვე ისმაილ-ბეგსა და ჯუზეპე ფრესკურატის). მაგრამ მამი-კლერაკის თხზულებაში მოცემულ ინფორმაციას თითქოს მხარს უნდა უჭერდეს ერთი ქართული წყაროც, სახელდობრ — ყანჩაეთის ჟამნ-გულანის კინკლოსის მინაწერი, სადაც ვკითხულობთ: „მეფეს გიორგის უღალატა ავღანმა ღამით ქვეშაგებში და მოკლეს“.

ღამისა და ქვეშაგების მოხსენიება არ ესადაგება ქართული წყაროების ძირითად ვერსიას და უფრო წააგავს უცხოელი ავტორების აღწერილ სურათს (ლხინის შემდეგ კარვებში მძინარე ქართველების ამოჟლეტა).

მაშასადამე, ერთი და იგივე ამბავი არ ჩამოუტანიათ ყანდაარიდან დაბრუნებულ ქართველებს. ზოგი იმას ამბობდა, რაც უნდა მომხდარიყო, სიკვდილს რომ სამართალი უყვარდეს და ზოგიც იმას ამბობდა, რაც სინამდვილეში მოხდა — თვითმკვლელობის მსგავსი სიკვდილი, რომელიც არ ეკადრებოდა ცხარე ომებისა და შფოთიანი მშვიდობის ლაბირინთებში გამობრძმედილ ქართლის მეფეს.





‘ფიცი

„მეფე ვახტანგ წაბძანდა ისპაანს ყეენთან. ვნახოთ, ღმერთი რას მოწყალებას მოუვლენს საქართველოს“, — ეს სიტყვები 1712 წლის აპრილში ერთი საეკლესიო წიგნის თავფურცელზე მიუწერია ვინმე გერმანეს („ცოდვილ მღვდელ-მონაზონსო“, მისივე გამოთქმით).

ქართლის გამგებელი მიემგზავრებოდა ისპაანს, რათა სეფიანთა ხელმწიფეს დაემტკიცებინა იგი ქართლის მეფედ, ყანდაართან დაღუპული ქაიხოსროს ადგილზე.

ვინ იცის, რას ფიქრობდა ვახტანგი, როგორ ესახებოდა თავისი მომავალი, ელოდა თუ არა რაიმე სასიკეთოს ამ იძულებითი მოგზაურობიდან, გრძნობდა თუ არა, რომ გაუტანელი წუთ-სოფელი უკვე უმზადებდა ათას ჭირ-ვარამს, ის წუთისოფელი, რომელსაც თვით მეფე-პოეტი შემდგომში გაჰკილავს ლინილნარევი ბნელნელი:

სულ დამიქცია სამყოფი, სახლი, სარეული, ბანა
მეფობის ნაცვლად სოფელმან მიბოძა ლეკსობანა.

კიდევ ოცდახუთი წელიწადი დარჩენია ამქვეყნად ვახტანგს. ეს არც ისე ცოტაა ოცდაჩვიდმეტი წლის კაცისათვის. მაგრამ ე

სულ რაღაც ათიოდე წელი დაჰყო ვახტანგმა ქვეყნის სათავეში ჯანიშინად (ანუ მეფის მოადგილედ), მაგრამ ეს ათწლეული გაუტოლდება ზოგიერთ ასწლეულს. საყოველთაო აღიარებით, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო ფურცელს შეადგენს ვახტანგის მრავალმხრივი და დაუღალავი მოღვაწეობა მშობელი ქვეყნის საკეთილდღეოდ. არ დარჩენილა ქართლის საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი მხარე, რომელსაც არ შეხებოდეს მისი მადლიანი მარჯვენა.

ქართლის გამგებელმა ხელახლა დაასახლა ულეხები დიდი ხნის წინათ დაცლილ და გავერანებულ სოფლებში, ააგო სასახლეები და ქარვასლები, გულმოდგინედ ზრუნავდა გზებისა და ხიდების ხოვლა-შენახვაზე, განაახლა მოშლილი სარწყავი არხები. ერთხანს შეფერხებული სამეურნეო ცხოვრება ქართლისა კვლავ ჯდებოდა თავის კალაპოტში. თბილისი გახდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი.

უჩვეულო წარმატებებს მიაღწია ქართულმა კულტურამ.

„ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული მეფის არჩილისა“ და დიდად სახელოვანის მეფისა გიორგისა და ძე პატრონისა ლევანისა და ძმა მეფისა ქაიხოსროსი, განათლებული ვახტანგ, ფრიადისა ჭირითა და მრავალთა საფასეთა წარვებითა მოიღო სტამბა, რომელი არაოდეს ყოფილიყო საქართველოსა შინა“, — ვკითხულობთ თბილისში გამოცემული ლოცვანის ბოლოსიტყვაობაში.

რომსა და მოსკოვში დაბეჭდილ ქართულ წიგნებს მხარში ამოუდგნენ საკუთრივ თბილისში დაბეჭდილი წიგნები. სტამბამ უფრო ხელმისაწვდომი გახადა ხალხისათვის ფსალმუნიცა და „ევეფსტყაოსანიც“.

ვახტანგმა სასტიკად აკრძალა ქართლში ტყვის სყიდვა, რაც ნაზარალი-ხანის დროიდან ყიზილბაშ მეციხოვნეთა შემოსავლის მთავარ წყაროდ ქცეულიყო. მაშინ თბილისის ციხის გარნიზონი აჯანყდა. „განდგნენ და დახშნეს კარნი ციხისა და იწყეს სროლა თოფ-ზარბაზანთა“, — ამბობს ვახუშტი ბატონიშვილი.

ქართლის გამგებელმა აცნობა მომხდარი ამბავი ირანის შაჰს. მან კი უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ვახტანგს და ამბოხების მოთავე ყიზილბაშნი საპყრობილედ გადაქცეულ ალამუთის ციხეში გამოამწყვდია.

სეფიანთა სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე აღზევებული ქარ-

ოველი მეფე-ბატონიშვილების წყალობით ქართველის [illegible] ოფ-
ტიურად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზმს [illegible]
ირანის შაჰი არ ერეოდა ქართლის საშინაო საქმეებში [illegible]
ერეოდა, ისევ — ქართლის გამგებლის სასარგებლოდ.

1712 წლის აპრილში ვახტანგი მიეგზავრება ისპაჰანს. „[illegible]
ღმერთი რას მოწყალებას მოუვლენს საქართველოს", — [illegible]
ლმომსკდარი ეს სიტყვები, გერმანე მღვდლის [illegible]
ნოუნახავს ჩვენთვის, მთელი ქვეყნის საფიქრალი [illegible].

უკვე აღარ არიან ცოცხალთა შორის ვახტანგის [illegible]
ქმაგნი: გიორგი XI, ლევან და ქაიხოსრო. ქართლი [illegible]
პირისპირ რჩება სეფიანთა სამეფო კართან.

„აწ გავათავე ლხინი და ვთქვა ჭირი შეუწონარი", — [illegible]
ლობთ ვახტანგის ერთ ლექსში. ამ სტრიქონში [illegible]
1712 წლის აპრილი.

ქართლის გამგებელს გამაჰმადიანება მოსთხოვეს ისპაჰანში. ვახ-
ტანგმა მტკიცე უარი განაცხადა.

1712 წლის 28 აგვისტოს ფრანგი მისიონერი პიერ ისუდენი ქა-
ლაქ ისპაჰანიდან ატყობინებდა საფრანგეთის ელჩს კონსტანტინო-
პოლში, ირანის შაჰმა რამდენჯერმე მიიტანა იერიში ვახტანგის
სიმტკიცეზეო. ვახტანგს გაუმხელია ხსენებული მისიონერისათვის,
თუნდაც ამკუწონ, რჯულს არ ვუღალატებო. მაგრამ წერილის
ავტორი ეჭვის თვალით უყურებს ალთქმულს და შიშს გამოთქ-
ვამს, რაკი დაინახავს ვახტანგი, რომ ქრისტიან მეფეს არ აწამე-
ცებენ, წინააღმდეგობას შეწყვეტს და გამაჰმადიანდება თავისი ბა-
პის, ძმის, ბიძისა და ორი ძმის მსგავსადო (იგულისხმებიან: ვახ-
ტანგ V ანუ შაჰნავაზ I, ლევანი ანუ შაჰყული-ხანი, გიორგი XI
ანუ შაჰნავაზ II, ქაიხოსრო ანუ ხოსრო-ხანი და იესე ანუ ალაყუ-
ლი-ხანი).

წერილის დასასრულს, პიერ ისუდენი მაინც იმედიანად დამ-
ძენს, ჯერჯერობით ისე ჩანს, თითქოს გადაწყვეტილი უნდა ჰქონ-
დეს ვახტანგს უარი თქვას თავის საბფლობელობაზე. ვიდრე საბწ-
მონოებაზეო.

რა ელოდა გამაჰმადიანებულ ქართლის მეფეს? ქართლში მაინ
ძმათაგანი დაჯდებოდა ჯანიშინად, როგორც მანამდე იჯდა ვახტან-
გი, ხოლო ახალ მეფეს დანიშნავდნენ ირანის სპასალარად და აკან-

ყებულ ავღანთა წინააღმდეგ საომრად გაამწესებდნენ. როგორც მანამდე — გიორგი XI-სა და ქაიხოსროს.

ბრძოლისა, რა თქმა უნდა, არ ეშინოდა ვახტანგს. მზად იყო ერთგული სამსახური გაეწია ირანისათვის, რაკი სამშობლოსაც ეთემსახურებოდა ამით. რატომაც არ მიბაძავდა თავის ბიძასა და უფროს ძმას, რომლებმაც ხმლით მოუტანეს ათწლიანი მშვიდობა ქართლის სამეფოს. მაგრამ მათივე ტრაგიკული აღსასრული, რასაც ისპაანში შთაბერეს სული, სამართლიანი ყოყმანისაკენ უბიძგებდა ვახტანგს.

დიახ, გიორგი XI-სა და ქაიხოსროს ავღანთა ამბოხების ჩახშობას ავალებდნენ და ამავე დროს ათასნაირი ხრიკებით უშლიდნენ ხელს. ერთგული სამსახურის საზღაურად — შურითა და სიძულვილით, ვერაგობითა და ღალატით აჯილდოებდნენ სეფიანთა სამეფო კარზე თავმოყრილი ინტრიგანები და იმას როდიდა ფიქრობდნენ, რომ გიორგისა და ქაიხოსროს დაღუპვით ირანს არაფერი მოუგია, პირიქით, ნელ-ნელა ეთხრებოდა სამარე სეფიანთა დინასტიას (სხვას რომ თავი დავანებოთ, 1711 წელს ქაიხოსროსთან ერთად ყიზილბაში უფრო მეტი გაწყდა, ვიდრე ქართველი, რაღგანაც ყიზილბაშები შეადგენდნენ ყანდაარს წასული ლაშქრის უმეტეს ნაწილს).

საქართველოს საუკეთესო შვილების დაღვრილ სისხლს ჯეროვნად არ აფასებდნენ ისპაანში. ეს ჩრდილს აყენებდა ქართლის ათწლიანი წინსვლის სიხარულს. ვახტანგმა მედლის მეორე მხარესაც შეხედა და უარი თქვა გამაჰმადიანებაზე.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „მაშინ ინება ყეენმან წარმოვლინება ვახტანგისა სჯულითავე თვისითა. არამედ არა აუფლნეს ომარათა განმზრახთა თვისთა“.

მიუხედავად თავისი უკიდურესი მორწმუნეობისა, სეფიანთა ხელმწიფე (წოდებული „მოლა-ჰუსეინად“) ფანატიკოსი მაჰმადიანი არ ყოფილა. თადეუშ კრუშინსკის სიტყვით, შაჰ-ჰუსეინმა ერთხელ ყენეველი ოსტატის ნახელავი მაჯის საათი აჩვენა თავის ახლობელ საჭურისს და ასე უთხრა: როგორც ვამჩნევ, ფრანგებს (ე. ი. ევროპელებს) უკეთესი ხელოსნები ჰყავთ, ვიდრე ჩვენ და ვშიშობ, რომ მათი სარწმუნოებაც უკეთესი უნდა იყოს ჩვენსაზეო.

ასეთი უცნაური ხელმწიფისაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, მაგრამ ირანის შაჰის მრჩეველებს ქართლის გამაჰმადიანე-

ჩული მეფეებიც კი არ ეშაშნიკებოდათ და ქრისტიან მეფეს რო-
გორ მოითმენდნენ! ამასობაში ახალი პრეტენდენტი გამოუჩნდა
უპატრონოდ დარჩენილ ქართლის ტახტს. ეს გახლდათ დომენტი
კათალიკოსი.

აი რას მოგვითხრობს თადეუშ კრუშინსკი:

ქაიხოსროს სიკვდილის შემდეგ ვახტანგს, ყველაზე უფროსს
ცოცხალ უფლისწულთა შორის, უნდა დაეჭირა მისი ადგილი და
ეინაიდან მას არ შეეძლო გამეფება რჯულის გამოუცვლელად, სა-
ერეფო ტახტზე უარის თქმა არჩია. მაშინ მისმა მომდევნო ძმამ,
რომელიც საქართველოს პატრიარქი იყო, გამოთქვა სურვილი,
რომ გამაჰმადიანდებოდა, ცოლს შეირთავდა და მიატოვებდა პატ-
რიარქობას — მეფობისათვის. მაგრამ მამამისმა, ისპაანის დიდებ-
ულმა, არ მოუწონა პატრიარქს ეს გადახვევა და იპოვა უებარი
წამალი ამ ცდუნებიდან მისი განკურნებისა, მიუსაჯა რა ჯოხის
ურიცხვი დარტყმა ფეხისგულებზე (ეს იყო ჩვეულებრივი სასჯელი
სეფიანთა ირანში და თუმცა სასიკვდილო არ ერქვა, ხშირად სა-
ქიოსაკენ ისტუმრებდა კაცს, ანდა უკეთეს შემთხვევაში კარგა
ხნით გადაჩვევდა სიარულს).

თადეუშ კრუშინსკის ცნობაში დაშვებულია ერთი აშკარა შეც-
დომა. საქმე ისაა, რომ 1712 წელს, როდესაც ვახტანგი ჩადის ის-
პაანში და უარს ამბობს გამაჰმადიანებაზე, ვახტანგისა და დო-
მენტის მამა ლევანი, დიეანზეგი ანუ უზენაესი მსაჯული ირანისა,
აღარ არის ცოცხალი. იგი გარდაიცვალა 1709 წლის ზაფხულში და
მაშასადამე სამი წლის შემდეგ ვერაფრით ვერ დასჯიდა თაკის ძე
ცდომილს (სხვათა შორის, თადეუშ კრუშინსკი პირადად იცნობდა
ვახტანგ VI-ს და სწორედ მისგან უნდა მოესმინა ზემოთ მოტანილი
ისტორია. შესაძლოა, ვახტანგმა მხოლოდ ისა თქვა, მამაჩვენი ცო-
ცხალი რომ ყოფილიყო, ასეთი საქციელისათვის შვილს გაჯოხავ-
დაო, ხოლო პოლონელმა მისიონერმა ალბათ კარგად ვერ გაიგო
მისი ნათქვამი ანდა შეგნებულად გადაასხვაფერა).

მეტი არაფერია საეჭვო თადეუშ კრუშინსკის ნაამბობში, რად-
გან საქართველოს პატრიარქის უჩვეულო განზრახვას ადასტურებ-
ენ სხვა წყაროებიც.

ზემოხსენებული პიერ ისუდენი თავრიზიდან კონსტანტინო-
პოლს გაგზავნილ წერილში (1714 წლის 8 ივნისი) აღნიშნავს რომ
საქართველოს მეფე მკაცრ პატიმრობაშია სარწმუნოებისადმი კრ-

თგულების გამო და ეს ვახდა მიზეზი საქართველოში ახლახანს ბომბდარი დიდი არეულობისა. ფრანგი მისიონერის სიტყვით, ვახტანგის ძმამ, საქართველოს პატრიარქმა, ირანის შაჰს მიმართა თხოვნით, რათა მისცეს მას საქართველოს მეფობა და ცოლად შერთოს კახეთის მეფის ასული. დაჰპირდა, რომ გამაჰმადიანდებოდა და შაჰს გაუგზავნიდა ჩვეულ ხარკს — დიდი რაოდენობით მონებს, აგრეთვე ვახტანგის ცოლ-შვილს საქართველოს სხვა დიდებულებთან ერთად. ირანის შაჰი სიამოვნებით შეეგება ახალ ამბავს და ბაშინვე წარგზავნა შიკრიკები პატრიარქისათვის საჩუქრების გადასაცემად. მათვე გაატანა წერილი, რომელშიც აიმეორებდა პატრიარქს, ყველა სურვილს შეგისრულებ, როგორც კი გამაჰმადიანდებიო. მაგრამ საქართველოს დიდებულებმა შეიპყრეს პატრიარქი და ძლიერი დაცვა მიუჩინეს ოსეთში, სადაც მისი წამოყვანა შაჰს გაუჭირდებაო.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, დომენტი კათალიკოსი შეუპყრია მისსავე ძმას, ვახტანგის ადგილზე ქართლის გამგებლად ბყოფ სიმონს და დასჯა მიუნდვია ვახტანგის ძისათვის („წარმოუვლინა ბაქარს, რათა აღმოხადოს თვალნი"). მაგრამ საქართველოს პატრიარქი უწყალო სასჯელისაგან გადაურჩენია რუსუდანს, ვახტანგის მეუღლეს.

ამავე ისტორიას უნდა გულისხმობდეს ვახტანგ VI-ც:

ერთა ღმერთი არ იწამეს, ბერთა რჯული შეურაცხყვეს,
არას კერპსა არ უქნია, ჩემ საქმეზე იმათ რაც ყვეს.
მოლა ღმერთსა მახვეწებდა, ჩემთა მკვლელთა ბერნი დაყვეს,
ჩემს ცოლშვილთა ტყვედ ეძებდენ, საქონელი იავარყვეს.

და ბოლოს, იესე ტლაშაძის ისტორიულ პოემაში („კათალიკოზ-ბაქარიანი") თვით დომენტი კათალიკოსი წარმოთქვამს მწარე მონოლოგს:

მე მამიგონეს ტყუილი, კაცის ყურს სმოდეს არიდეს,
აწ ჩემნი ყმანი შეითქვნეს, ჩემს დაჭერასა ჩქაროდეს,
ვიზედაც კარგი რამ შექნა, ჩემს წახდენასა ხაროდეს,
ღვთის მეტი მშველი არა მყავს, ანდა მიშველის ძმა როდეს.

ამ თავის მართლებაზე ერთადერთი ის შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კათალიკოსს ტყუილუბრალოდ არავინ შეიპყრობდა და ტყუილუბრალოდ არავინ დაუპირებდა თვალების დათხრას.

დომენტის კოვზი ჩაუვარდა ნაცარში, ქართლის მეფობა მის მომდევნო ძმას — გამაჰმადიანებულ იესეს უბოძეს, ხოლო ვახტანგი ქირმანში გადაასახლეს.

ქირმანის პატიმრობაში მყოფი ქართულ ენაზე თარგმნის „ქილილა და დამანას“ და მოკრძალებით შენიშნავს: „თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ. ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა“.

1716 წელს იესეს მმართველობით იმედგაცრუებულმა შაჰმა ისევ ვახტანგს მიაპყრო თვალი და ქირმანიდან ისპაანს გაიწვია. ვახტანგი იძულებული იყო გვერდზე გადაედო კალამი, ვინაიდან ხმალს აჩეჩებდნენ ხელში, მაინცდამაინც ქართველი მეფე ეწადათ ირანის სპასალარად.

კვლავ მიხმეს ისევ ისპაანს, დამრჩა ეს შეუსრულები.
მამცეს პატივი მრავალი, ვა, თუ დავაბი სულები!

სულხან-საბას დიპლომატიურმა მისიამ დასავლეთ ევროპაში კერაფერი სანუგეშო მოუტანა საქართველოს. პარიზიდან თუ რომიდან დახმარების უკანასკნელი იმედიც დაკარგა ვახტანგმა, ქირმანში ხომ არ უნდა ამოხდომოდა სული! ქედი მოიხარა და გამაჰმადიანდა. დაუბრუნეს ქართლის მეფობა, რჯულთან ერთად სახელიც შეუცვალეს, ჰუსეინ-ყული-ხან დაარქვეს და კიდევ ორი თანამდებობა მისცეს: ირანის სპასალარობა და თავრიზის ბეგლარბეგობა. ქართლში ვახტანგის ჯანიშინად დანიშნულ იქნა ბაქარი.

ქართველ დიდებულთა სახელზე გაგზავნილ წერილში ვახტანგი წერდა: „მანდ თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ მე საქართველოსა და საქართველოს კაცზედ სიკეთის მეტი არა დამშავებია-რა. ცოტას ხანს, მტრის ტყუილის საქმით საქმე ასე მამიხდა. მაგრამ ჩემ ისევ წყალობის გუნება მაქვს“.

სარწმუნოების გამოცვლას, რასაც ცხადია, ფორმალური ხასიათი ჰქონდა, მაინც მწვავედ განიცდიდა ქართლის მეფე და ლექსში თავს იმართლებდა: მოუძლურდა ხორცი სუსტიო. 1716 წელს ეგი ესაუბრება ზემოხსენებულ თადეუშ კრუშინსკის და არწმუნებს, ქრისტიანი ვარ გულით და მაჰმადიანი — მხოლოდ და მხოლოდ გვამითო.

...საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს მოწინავე სახელმწიფო მოღვაწეთა მისწრაფება ერთმორწმუნე რუსეთისაკენ. მათი

ლრმა რწმენით, მხოლოდ რუსეთის მფარველობას შეეძლო დაეცა საქართველო მაჰმადიანური ირანისა და ოსმალეთის მუდმივი აგრესიისაგან. ქართველ პატრიოტებს ორივე შეურიგებელ მტრად მიაჩნდათ და ამბობდნენ: ერთი ფოცხვერია, მეორე — ჯიქიო.

1717 წელს ისპაანში ჩავიდა რუსეთის ელჩობა არტემ ვოლინსკის მეთაურობით. პეტრე პირველმა თავის ელჩს დაავალა სავაჭრო ურთიერთობის დამყარება რუსეთსა და ირანს შორის. გარდა ამისა, ვოლინსკის მიზანს შეადგენდა სეფიანთა სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლა და ამიერკავკასიის ქრისტიანებთან დაკავშირება...

ისპაანიდან მობრუნებული ვოლინსკი ერთხანს ქალაქ შემახაში შეჩერდა. აქ ინახულა ივი ვახტანგის დავალებით ვინმე ფარსადანბეგმა, რომელიც ისპაანშივე გაუცნია ვოლინსკის. ფარსადანმა აუწყა რუსეთის ელჩს ვახტანგის დანაბარები.

ქართლის მეფე, უპირველეს ყოვლისა, მადლობას უხდიდა პეტრე პირველს მისი უანგარო ზრუნვისათვის ვახტანგის ნათესავებზე (იგულისხმებიან არჩილ მეფე და მისი შვილები). შემდეგ სთხოვდა, გამაჰმადიანების გამო ნუ შემაჩვენებს მართლმადიდებლური ეკლესია, თუმცა მივიღე „ბილწი მაჰმადიანური რჯული", გულში მაინც ქრისტიანად ვრჩები და ვიმედოვნებ, ისევ დავუბრუნდე ქრისტიანობას თვით თქვენი მეფური უდიდებულესობის შემწეობითო.

ფარსადანმა განუცხადა ვოლინსკის, დროა სახელმწიფო საქმეებსაც მივხედოთ, წერილი გამატანე ვახტანგთან, გვითხარი, როგორ მოვიქცეთ და როდისთვის მოვემზადოთო.

ვოლინსკიმ აუხსნა ვახტანგის წარმომადგენელს: „მე საომრად კი არა ვარ გამოგზავნილი, არამედ — მშვიდობისათვის. ჭკუაზე შეშლილი უნდა ვიყო, რომ ომი გავაჩაღო, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ამალა მახლავს".

ფარსადანმა მიუგო, ირანში ეგრე არ ფიქრობენ, ჰგონიათ, რომ შემახაში ციხე-სიმაგრის ასაგებად დაყოვნდიო.

რუსეთის ელჩი, რასაკვირველია, საომრად არ გამოუგზავნიათ ირანში, მაგრამ იგი მშვენივრად ხედავდა, რომ სეფიანთა სახელმწიფო უკვე უფსკრულის პირას იყო მისული.

ვოლინსკის ჩანაწერებში მრავალი საინტერესო ცნობაა, ამსახველი იმდროინდელი ირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური რღვევისა.

რუსეთის ელჩი აღნიშნავს, რომ შაჰ-ჰუსეინი კი არ მბრძანებლობს ქვეშევრდომებზე, არამედ თვითონ არის თავის ქვეშევრდომთა ქვეშევრდომი, და ესოდენ ყეყეჩი პიროვნება, გვირგვინოსანთა შორის რა სათქმელია, ჩვეულებრივ მოკვლევებშიც იშვიათად მოიძებნება. იგი ყველაფერს ანდობს თავის ეთიმადოვლეს, რომელმაც გონიერი მოღვაწენი ჩამოაშორა სახელმწიფო საქმეებსო.

ვოლინსკი ეხება სეფიანთა სამეფო კარის დიდებულთა „საქმიანობას" და სარკასტულად დასძენს, თავიანთი უსაქმურობითა და უმეცრებით ისე გააჩანაგეს სახელმწიფო, ალექსანდრე მაკედონელი ომითაც ვერ მოახერხებდაო (სპარსელი ისტორიკოსი მუჰამედ ბუჰსინი ამავე პერიოდის აღწერისას ამბობს, რომ შაჰის ვეზირებს საკუთარი სიამოვნებაღა ახსოვდათ და გართული იყვნენ თანამდებობათა გაყიდვით და ქრთამების აღებით).

ვოლინსკის აზრით, სეფიანთა დინასტია თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

რუსეთის ელჩი უსაზღვრო გაოცებას გამოთქვამდა იმაზე, თუ რატომ ჰქონდა შემორჩენილი ირანს ასეთი სახელი და დიდება სხვა ქვეყნების თვალში.

ყიზილბაშები გულმოდგინედ ცდილობდნენ, რამენაირად დაერწმუნებინათ პეტრე პირველის ელჩი — სეფიანთა სახელმწიფოს ძლიერებასა და საომარ მზადყოფნაში. საამისოდ რანაირ ოინებს არ მიმართავდნენ!

ისპაანში ვოლინსკის ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე შაჰ-ჰუსეინმა ბრძანა, რომ მოედანზე უპატრონოდ მიყრილ-მოყრილი ზარბაზნები ოქრო-ვერცხლით შეეფერათ (ვოლინსკი წერს, ზოგიერთი ზარბაზნიდან ასი წელი იქნება არ გაუსვრიათო).

როდესაც სიტყვა ჩამოვარდა რუსეთ-შვედეთის გაჭიანურებულ ომზე, ირანის ეთიმადოვლემ მაშინვე შესთავაზა ვოლინსკის, ორასი ათასი მეომრით დაგეხმარებითო! მაგრამ რუსეთის ელჩს ამით თვალს ვერ აუხვევდნენ, ვინაიდან მან იცოდა, რომ ავღანებთან საბრძოლველად თითქმის მთელი წელიწადი აგროვებდნენ ჯარს ირანის ყველა პროვინციიდან და ოცი ათას კაცს ძლივს მოუყარეს თავი.

ვოლინსკი ასკვნიდა, თუმცა შვედებთან მიმდინარე ომი ხელს გვიშლის, მაგრამ აქაურ სისუსტეს რომ ვხედავ, ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე შეგვიძლია არათუ არმიით, არამედ ერთი მცირე

კორპუსითაც კი მივაღწიოთ მიზანს, ამაზე ხელსაყრელი მომენტი სხვა აღარ იქნებაო.

ხოლო ქართლის მეფე ამცნობდა რუსეთის ელჩს, თუ პეტრე პირველი ომს გამოუცხადებს სეფიანთა შაჰს, ორმოცი ათას მხედარს გამოვიყვან და ჩავალ ისპაანამდე, რამეთუ ყიზილბაშები ნამდვილი დიაცნი არიანო...

1719 წელს ვახტანგი დაბრუნდა სამშობლოში.

დაბრუნდა და ენერგიულად მოჰკიდა ხელი ქართლის საშინაო თუ საგარეო საქმეების მოწესრიგებას. გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ჭარ-ბელაქნის ლეკთა გაუთავებელი თარეშის აღკვეთა საქართველოს ტერიტორიაზე. ირანის შაჰმაც მოუწოდა ქართლის მეფეს, დაესაჯა ისინი შირვანის პროვინციის აოხრების გამო.

1720 წლის შემოდგომაზე ვახტანგი სათავეში ჩაუდგა სამოცი ათასი კაცისაგან შემდგარ ჯარს, რათა სამუდამოდ გაექარწყლებინა ჭარ-ბელაქნელთა საფრთხე.

ისევე აფორიაქდა სეფიანთა სამეფო კარი. მრჩევლებმა მოახსენეს ხელმწიფეს, ვახტანგი გაიმარჯვებს ლეკებზე, ამით წახალისებული გამოითხოვს რუსეთიდან დახმარებას და ირანს შემოუტევსო, ანუ როგორც სეხნია ჩხეიძე წერს: „თუ მეფემ ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანასაც (ე. ი. ირანს) ის დაიჭერსო“. ქართველი ისტორიკოსი ირონიულად შენიშნავს, დმერთი რომ კაცს გაუწყრება, ჭკუაც დაეფანტებაო.

უგუნურ მრჩეველთა დაჟინებულ თხოვნითა თუ მოთხოვნით, შაჰ-ჰუსეინმა სასწრაფოდ გაუგზავნა ქართლის მეფეს კატეგორიული ბრძანება, ახლავე ომი შეწყვიტე და თბილისში დაბრუნდიო.

ბრძანებამ სწორედ მაშინ მიუსწრო ვახტანგს, როდესაც უკვე იწყებდა გადამწყვეტ შეტევას.

ბუნებრივი იყო ქართლის მეფის ადშფოთება, მაგრამ ურჩობა მაინც ვერ გაბედა, ვაითუ ისევე მიმატოვონ დიდებულებმა, როგორც თავის დროზე ბიძაჩემი გიორგი მიატოვეს.

ვახტანგმა იხმო შაჰ-ჰუსეინის მაცნე და დაიბარა ხელმწიფესთან, რომ ემორჩილებოდა მიღებულ ბრძანებას. მერე მისივე თანხასწრებით ხმალი ამოიღო ქარქაშიდან და საზეიმოდ დაიფიცა,

ალარასოდეს ალარ გავაშიშვლებ ხმალს სეფიანთა დასაცავად (ამას გვაუწყებს თადეუშ კრუშინსკი).

არავის უფიქრია მაშინ, არც თვით ვახტანგსა და არც სხვა ვინმეს, თუ რაოდენ მალე დასჭირდებოდა შაჰ-ჰუსეინს ქართველთა დახმარება და რაოდენ საბედისწერო იქნებოდა სეფიანთა დინასტიისათვის ვახტანგის უარი.

ახლოვდება ჭარიშვალი

ხანგრძლივი ყარიბობის შემდეგ, 1719 წლიდან, ისევ სამშობლოში იმყოფებოდნენ ქართლის მეფე ვახტანგ VI. მისი ერთგული თავად-აზნაურნი და მათ შორის — მეფის მოლარეთუხუცესი სეხნია ჩხეიძე, ავტორი „მეფეთა ცხოვრებისა". ირანიდან ქართლში დაბრუნდნენ, მაგრამ ირანის არსებობა არ დავიწყებიათ; ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებს, რადგანაც ქართლის ბედ-იღბალი ხშირად წყდებოდა მტერ-მოყვარე მეზობლის ბუნაგში და მისი ავკარგი უსათუოდ უნდა სცოდნოდათ. ქართველი ისტორიკოსიც თავის თხზულებაში დროდადრო ისევ გამოურევს ხოლმე ირანის ამბებს, ოღონდ საკუთარი თვალით ნანახს სანდო პირთაგან გაგონილი ენაცვლება.

სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „ამა ჟამსა იდგა ყეენი შაჰსულთანი უსეინ თეირანსა და შეაჩნდა ყეენის ღალატი ეთიმადოვლეს ფათალიხანს. ესე იყო გვარად ლეკი, შამხლისა სახლის კაცთაგან. მაგრამ ხელმწიფისაგან ვაზრდილი დიდისა პატივითა, უნდოდა თვით გახელმწიფება. მაგრამ ბრძანებითა ღვთისათა მოევლინა რისხვა მისი და დაიჭირა და დასთხარა თვალები და იავარჰყო ქონება მისი".

ამ ცნობის შემდეგ გადმოცემულია ვახტანგის გაღაშქრება ლეკებზე, შაჰის მოულოდნელი ბრძანება და ქართველთა ლაშქრობის მოშლა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ისტორიკოსს ამჯერად დაურღვევია მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა. სინამდვილეში, ვახტანგის ლაშქრობა ჩაიშალა 1720 წლის შემოდგომაზე, ხოლო სეფიანთა ირანის ეთიმადოვლეს (ანუ პირველი ვეზირის) დასჯა იმავე წლის დეკემბერში მოხდა.

ფათალი-ხანის დამხობა ასახულია აგრეთვე დავით გურამიშვილის პოემაში. როგორც ცნობილია, დიდი ქართველი პოეტი მრავალ საგულისხმო მასალას გვაწვდის XVIII საუკუნის ოციანი წლე-

ბის საქართველოს ისტორიისათვის და, ამ მხრივ, მისი „დაკითხვანი“ არაფრით ჩამოუვარდება საისტორიო წყაროებს.

დავით გურამიშვილის მიხედვით, სეფიანთა სამეფო კარზე თავ-ჩოყრილმა ვახტანგის მტრებმა მოახსენეს ირანის შაჰს ქართლის მეფის შესახებ: „პირი მისცა საღალატოდ ეთმანდოლეს — თქვენს ვეზირსა“. შემდეგ პოეტი გვაუწყებს ფათალი-ხანის გასამართლებას და თვალების დათხრას, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ არ დაისაჯა მოღალატე ვეზირის დამქაშად მიჩნეული ქართველი მეფე. გაუგებარი რჩება ისიც, სიმართლეს შეიცავდა სეფიანთა სამეფო კარზე გამოთქმული ბრალდება თუ მორიგი ცილისწამება იქნა შეთითხნილი ვახტანგის მტრების მიერ.

თუნდაც დავუშვათ, რომ დავით გურამიშვილი გადაჭრით ამტკიცებდეს ქართლის მეფის მონაწილეობას ეთიმადოვლეს შეთქმულებაში, მაინც საჭვეშმარო იქნებოდა მისი ცნობა, ვინაიდან არც ერთი სხვა წყარო არ მოიხსენიებს ვახტანგის სახელს ამ მოკლვასთან დაკავშირებით. და რაც მთავარია, ყველაზე სარწმუნო წყაროების (მუჰამედ მუჰსინი, კრუშინსკი, მამი-კლერაკი) მიხედვით, არავითარ ღალატს არ ჰქონია ადგილი და სეფიანთა სახელმწიფოს ეთიმადოვლე ცილისწამების მსხვერპლი შეიქნა.

ამგვარად, თვით ფათალი-ხანის წინააღმდეგ მოაწყვეს შეთქმულება მისმა მეტოქეებმა. დაუნდობლად გესლავდნენ ერთმანეთს სეფიანთა სამეფო კარის დიდკაცები და ამიუნში არ აგდებდნენ იმას, რომ ახლოვდებოდა მძვინვარე ქარიშხალი და ნგრევას უქადდა სეფიანთა სახელმწიფოს.

...1715 წელს გარდაიცვალა ღილსაების ტომის ძლევამოსილი წინამძღოლი მირ-ვეისი, რომელმაც თავისუფლება მოუტანა თავის სამშობლოს და პირველი მტკივნეული დარტყმა აგემა სეფიანთა დინასტიას. ყანდაარს დაეპატრონა მისი ძმა მირ-აბდულა. იგი მშვიდობისმოყვარე კაცი იყო, არც პატივმოყვარეობა აწუხებდა და არც ომის წყურვილი. სეფიანებთან ბრძოლას მორიგება არჩია. საკუთარი ნება-სურვილით დამორჩილება გვიჯობს, სანამ დაგვიპყრობენ და დაგვიმონებენო. სხვა თავკაცები ტომისა არ იზიარებდნენ მირ-აბდულას მისწრაფებას და სასწრაფოდ შეაგულიანეს მირ-ვეისის უფროსი ვაჟი, თვრამეტი წლის მაჰმუდი, რომ ბიძა მოეკლა, მის ადგილზე დამჯდარიყო და ხმლით დაეცვა მამის მიერ მოხვეჭილი თავისუფლება. ახალგაზრდა მაჰმუდი წუთითაც არ შე-

ყოყმანებულა, წარბშეუხრელად განახორციელა ტომის თავკაცთა მოწოდება, ბრძა საიქიოს გაისტუმრა და ყანდაარის ბატონ-პატრონი გახდა.

სანამ მირ-აბდულა აწესრიგებდა ურთიერთობას სეფიანთა სამეფო კართან, ყიზილბაშებს გული საგულეს ჰქონდათ, დაკარგულ ყანდაარს უსისხლოდ დავიბრუნებთო. მაგრამ ამასობაში, ყანდაარს ვიღა ჩივის და, ჰერათიც გამოეცალათ ხელიდან. აჯანყდა ავღანთა სხვა ტომიც, სახელდობრ, აბდალთა ტომი და ყიზილბაშებმა ვერაფერი გააწყვეს ჰერათში, განმეორდა ყანდაარის მარცხიან ლაშქრობათა ისტორია (ამჯერად ქართველების მონაწილეობის გარეშე). აბდალებმა მოიხსნეს სეფიანთა უღელი. მაგრამ მადა გაეღვიძათ და, თავისდა სავალალოდ, ყანდაარსაც წაეპოტინენ. მირ-მაჰმუდმა სასტიკად დაამარცხა მეზობლები. ბრძოლაში დაიღუპა აბდალთა ტომის წინამძღოლის ვაჟი, სახელად ასადულა. მირ-მაჰმუდს, როგორც ჩანს, მამის ცბიერება გამოჰყოლოდა; მან ასადულას მოკვეთილი თავი ისპაანს წარგზავნა და შაჰს შეუთვალა, გემორჩილები და შენი მონა ვარო. მიამიტმა შაჰ-ჰუსეინმა ირწმუნა მირ-მაჰმუდის სიტყვები, დიდად განიხარა მისი შემორიგებით და საპატიო ხალათი უწყალობა ღილჯაების ახალგაზრდა წინამძღოლს, უწოდა ჰუსეინ ყული-ხანი და ყანდაარის ბეგლარბეგად დანიშნა.

ყიზილბაშებმა კვლავ თავიანთ საბატონოდ მიიჩნიეს ყანდაარი და ის კი არ იცოდნენ, რომ შაჰის მიერ შეწყალებული მირ-მაჰმუდი უკვე ირანის დაპყრობაზე ოცნებობდა. ასეთი იყო მირ-ვეისის ანდერძი და ტომის თავკაცებიც ამას მოუწოდებდნენ მის მემკვიდრეს.

1719 წლის ზაფხულის მიწურულს მაჰმუდი ყანდაარიდან დაიძრა. ყიზილბაშთათვის თვალის ასახვევად გამოაცხადა, აბდალთა წინააღმდეგ ვლაშქრობთო, მაგრამ როდესაც სისტანის პროვინციას მიაღწია, ჩრდილოეთით მდებარე ჰერათის მაგივრად სამხრეთ-დასავლეთისკენ აიღო გეზი და დეშთე-ლუთის უდაბნოს მიადგა.

მაჰმუდს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა დიდი ლაშქრობა ირანზე, ამჯერად რეპეტიციას ატარებდა და თავისი ჯარის გამოცდა სურდა. მან გადალახა უდაბნო, უომრად აიღო ქალაქი ქირმანი, სადაც მთელი ცხრა თვე გაატარა, მოსახლეობის ძარცვა-გლეჯით

გული იჯერა და ისევ ყანდაარს გაბრუნდა. მაჰმუდის მიერ ქიო-ძანის აღებას არავითარი განგაში არ გამოუწვევია სეფიანთა სამეფო კარზე. ვეზირებს შორის კინკლაობა იყო გაჩაღებული, ერთმეორის შური ამოძრავებდათ და სახელმწიფოს ბედ-იღბალზე ფიქრით არავინ იტკივებდა თავს. ხოლო შაჰ-ჰუსეინი მშვიდად შეჰყურებდა თავისი ვეზირების უთანხმოებას და აუღელვებლად იმეორებდა: „იახში დირ“, ე. ი. კეთილი და პატიოსანია. მისი დეიდა, ოთხმოცი წლის მარიამ-ბეგუმი დღენიადაგ ჩასჩიჩინებდა შაჰს, თვალი გაახილე და ქვეყნის ბედზე იზრუნეო, მაგრამ ხელმწიფე ყურსაც არ იბერტყავდა.

ისევ ფათალი-ხანმა სცადა, მოეგვარებინა ავღანთა საკითხი. 1720 წლის ზაფხულში მან წამოაყენა შემდეგი გეგმა: მთელი სამეფო კარი, შაჰის მეთაურობით და საომრად გამზადებული ლაშქრით, უნდა წასულიყო ხორასანს, სადაც მათ შეუერთდებოდა სამხრეთ ირანიდან გამოწვეული ლაშქარი, რომელსაც ეთიმადოვლეს ძმისწული ლუთფალი-ხანი სარდლობდა.

ამ გეგმამ ვეზირთა წინააღმდეგობა გამოიწვია. მუჰამედ ჰუსეინი (მოლა-ბაში) და რაჰიმ-ხანი (ჰაქიმ-ბაში), ეთიმადოვლეს მთავარი მტრები, ხმას ავრცელებდნენ: ფათალი-ხანი, წარმოშობით ლეკი, დაკავშირებულია თავისი ტომის მეამბოხეებთან და ჯარის ვატყუებას აპირებს ყანდაარისკენ, რათა ირანის საზღვრისპირა მხარეებში ლეკები თავისუფლად აპარპაშოსო.

ვეზირები შიშობდნენ, რომ ფათალი-ხანი დაიყოლიებდა შაჰს ხორასანში წასვლაზე, ლუთფალი-ხანი დაამარცხებდა ავღანებს, პრესტიჟს მოიხვეჭდა სეფიანთა სამეფო კარზე და საძულველი ბიძა-ძმისწული უზომოდ გაძლიერდებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ეთიმადოვლე ითვლებოდა უმდიდრეს კაცად მთელ ირანში. გავრცელებული მითქმა-მოთქმის თანახმად, თავის მაღალ თანამდებობას იგი ბოროტად იყენებდა, ქრთამებს იღებდა და დაგროვილი ჰქონდა აურაცხელი ქონება, რომელიც შვიდჯერ აღემატებოდა თვით ხელმწიფის დოვლათს. შეთქმულებს ამ სიმდიდრის ხელში ჩაგდებაც სწყუროდათ.

ვახტანგის ლაშქრობის მოშლაც ამ ორი გავლენიანი ვეზირის დამსახურება გახლავთ. ისინი უკვე გეგმავდნენ ფათალი-ხანის დამხობას და იფიქრეს, ვაითუ ქართლის მეფე ეთიმადოვლეს გამოესარჩლოსო (ვახტანგის ძმას — როსტომ ყულარაღასს ცოლად ჰყავ-

და ფათალი-ხანის ასული). ისინი შეეედრნენ შაჰს, სასწრაფოდ დაზავებოდა ლეკებს და ვახტანგის ლაშქრობა გაეუქმებინა. ვეზირთა ხრიკებმა გასჭრა. შაჰმა ქედმაღლური ბრძანება გაუგზავნა ქართლის მეფეს: „თუ უკვე შეგიდგამს ფეხი უზანგში, დაუყოვნებლივ ჩამოქვეითდი; თუ უკვე გაგიშიშვლებია ხმალი, ახლავე ჩააგე ქარქაშში; თუ უკვე დასდევნებიხარ ლეკებს, მყისვე შეჩერდი, როგორც კი მიიღებ ჩვენს ბრძანებას. ერთი სიტყვით, ეცადე, რომ არ დაარღვიო ზავი, რომელიც დაიდო მისი წყალობით, ვისაც ემორჩილება მთელი სამყარო“.

სწორედ ამ ბრძანებას მოჰყვა ვახტანგის ცნობილი ფიცი — სეფიანთა ირანის დასაცავად ხმალს აღარასოდეს გავაშიშვლებო.

...1720 წლის 8 დეკემბერს, ღამით, მოლა-ბაში და ჰაქიმ-ბაში დაუპატიჟებლად შეცვივდნენ ხელმწიფის საწოლ ოთახში და ტკბილი ძილი დაუფრთხეს შაჰ-ჰუსეინს (გაუგონარი რამ იყო); მოახსენეს, ეთიმადოვლეს განუზრახავს გვირგვინის ხელში ჩაგდება და თქვენი სიცოცხლე საფრთხეშია, მოღალატე დროზე უნდა ჰოვსპოთო. მათ აჩვენეს შაჰს წერილი, რომელსაც ეთიმადოვლეს ბეჭედი ესვა (ფათალი-ხანი სთხოვდა ქურთების ტომის წინამძღოლს, გამოეგზავნა თეირანისკენ სამი ათასი მხედარი — სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად). შეთქმულებმა დასძინეს, ლუთფალი-ხანი მზარს უჭერს თავის ბიძას და მთელი სამეფო გვარის ამოსაჟლეტად ისპაანისკენ ჰოემართებაო.

შაჰ-ჰუსეინმა იოლად ირწმუნა თავისი უერთგულესი ვეზირის ღალატი და სასწრაფოდ მოიწვია სახელმწიფო საბჭო. განაჩენი ერთსულოვანი იყო — მოღალატის სიკვდილით დასჯა!

მაგრამ ფათალი-ხანს თვალების დათხრა აკმარეს, რადგანაც შეთქმულებს სურდათ, როგორმე გაეგოთ, თუ სად ჰქონდა გადაბარული თავისი აურაცხელი ქონება.

შაჰ-ჰუსეინის გადარჩენის აღსანიშნავად მთელი ქალაქი საზეიმოდ იყო გაჩირაღდნებული და დიდ-პატარა ლოცვებს ღავლენდა ხელმწიფის საკეთილდღეოდ.

შეთქმულთა შემდეგი საზრუნავი იყო ლუთფალი-ხანის მოსპობა. იგი სასწრაფოდ იხმეს თეირანში, ვითომდა გადაუდებელ საქმეზე მოსათათბირებლად. სარდალმა ჯერ არ იცოდა ბიძის უბედურება და არც დაეჭვებულა. გამოეშურა თეირანისკენ, მაგრამ ისპაანის მახლობლად შეიპყრეს და შებორკილი ჩაიყვანეს ირანის

სატახტო ქალაქში. სარდალს ჩააცვეს დედაკაცის სამოსელი, უკ-
უღმა შესვეს ძროხაზე და ხალხის გასართობად მოატარეს ისპა-
ანის ქუჩები. მერე ისიც ჩააყუდეს საპყრობილეში, ოღონდ არ
დაუბრუნებიათ. შაჰ-ჰუსეინი უკვე ხვდებოდა, რომ მისი საყვა-
რელი ვეზირი უდანაშაულო იყო. მალე ხელმეორედ დაკითხეს
ფათალი-ხანი. მან დამაჯერებლად გაიმართლა თავი და დაამტკიცა,
რომ ქურთების ტომის წინამძღოლისადმი გაგზავნილი წერილი წარ-
მოადგენდა პირწავარდნილ სიყალბეს. თავი გაიმართლა უბედურმა
ვეზირმა, მაგრამ თვალის ჩინს ვიღა დაუბრუნებდა!

...უახლოეს მომავალში დიდი საფრთხე ელოდა სეფიანთა სა-
ხელმწიფოს. ოსმალეთისა ეშინოდათ და აკვანებს თავს არ უყად-
რებდნენ. ვერ წარმოედგინათ, რომ გუშინდელი ქვეშევრდომნი
ესოდენ გათამამდებოდნენ. მაგრამ ყანდაარში უკვე ილესებოდა
ხმალი სეფიანთა დინასტიის დასამხობად.



გულნაბადი, 1722 წელი

ხეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „ქორონიკონს უი (=1722 წ.) მოუხდა ისპაანს შვილი მირვეისისა ყანდაარიდამ, მამუდ. მირ-ვეისი მამკვდარ იყო; რა მოუვიდა ამბავი ყაენსა მოსვლა მათი, ალაგება ჯარი ისპაანისა აღაჯსა სამსა, შეიბნენ, დაუმარცხდა ყი-ზილბაშთა, მოკლეს ყულარაღასი როსტომ, ძმა მეფის ვახტანგისა“

როსტომი, ყველაზე უმცროსი ლევან ბატონიშვილის ვაჟებს შო-რის, დაბადებული უნდა იყოს დაახლოებით 1690 წელს. უცხო ქვეყანაში გაახილა თვალი, უცხო ქვეყანაში აღიზარდა და უცხო ქვეყანაში დალია სული ჯერ ისევ ახალგაზრდამ. თუმცა მთლად უცხო ქვეყანა არ ეთქმოდა იმდროინდელ ირანს, სადაც იმყოფე-ბოდნენ როსტომის მამა, ბიძები, ძმები, ბიძაშვილები თავიანთი ერთგული თავად-აზნაურებითა და ამალით. ასე რომ, გაჩენის დღი-

ანვე სამშობლოს მოწყვეტილმა ქართველმა ბატონიშვილმა ქართ-თული ენაც მშვენივრად იცოდა, ქართული ზნეცა და ხმალიც. როსტომი კარგა ხანს იყო ისპაანის ტარუღად, 1718 წელს კი ირანის ყულარაღასობა უბოძეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში შემონახულია ორიოდე საბუთი, რომელიც მცირეოდენ შუქსა ჰფენს როსტომის ურთი-ერთობას თავის სახელოვან ძმასთან.

აი, რასა სწერს როსტომ-ხან ყულარაღასი ვახტანგ VI-ს: „ეს ზაალ თარხნიშვილი დიაღ კარგათა და ერთგულად გვემსახურა და გვაამა. ამას წინათ ხეხნია მოლარეთ უხუცის ხელითაც გაახელით ამისი შეამავლობის წიგნი და ამას მოველით თქვენის აურაცხე-ლის მოწყალებისგან, რომ ამ ზაალს, რაც მაქულები წართმეოდეს და მოშლოდეს, ისევ უბოძეთ“.

მეორე წერილი თვით ვახტანგს ეკუთვნის. ირანის სპასალარად დანიშნული ქართლის მეფე მიმართავს თავის ძესა და ჯანიშინს

ზაქარს, რომ ზაალ თარხნიშვილის თხოვნა დააკმაყოფილონ და დასძენს: „ამისი დანაშაული ჩვენ გვაპატიეთ“.

...სეფიანთა სამეფო კარზე არსებობდა ძლიერი ანტიქართული ფრაქცია; დიდმოხელეთა ინტრიგებმა და ვერაგობამ ბოლო მოუღო გიორგი XI-სა და ქაიხოსროს. ისინი გზიდან ჩამოიშორეს და ზერე ერთმანეთს დაერივნენ. ანტიქართული ფრაქციის ერთ-ერთი შეთაური სეფიანთა სახელმწიფოს ეთიმადოულე ფათალი-ხანი (წარმოშობით ლეკი) თავისი ყოფილი პარტნიორების მსხვერპლი შეიქნა.

სახელმწიფოს საქმეები ვერ იყო რიგზე. ახლოვდებოდა კატასტროფა. ამას ერთხმად აღნიშნავენ თავიანთ ნაწერებში რუსეთის ელჩი არტემ ვოლინსკი და ოსმალეთის ელჩი დური-ეფენდი, ევროპელი მოგზაურები და კათოლიკე მისიონერები, სპარსელი და ქართველი ისტორიკოსები. ცრუმორწმუნე შაჰის ასტროლოგებმა კი ვარსკვლავებზე ამოიკითხეს სეფიანთა დინასტიის დამხობა.

1721 წლის ზაფხულში ისპაანის მოსახლეობა შეაძრწუნა უცნაურმა მოვლენამ. მთელი ათი დღის განმავლობაში მზე აღარ გამოჩენილა ცაზე, ჰორიზონტი დაიფარა მეწამული ღრუბლებით; სინათლე ოდნავ მეტი იყო, ვიდრე მზის სრული დაბნელების დროს. ასტროლოგთა აზრით, ყოველივე ეს მოასწავებდა დიდ უბედურებას. ზოგმა იწინასწარმეტყველა მიწისძვრა, ზოგმა — ცეცხლი ზეციდან და უზარმაზარი ხანძარი.

ღვთისმოშიშმა შაჰ-ჰუსეინმა დაიჯერა, რომ ზეცა აღდგა მის წინააღმდეგ. მან დაუყოვნებლივ მიატოვა სასახლე და კარავში დაიდო ბინა. სამეფო კარმაც მიჰბაძა ხელმწიფეს და ბაღები გაივსო ხალხით, სახლები დაცარიელდა. აკრძალულ იქნა ყოველგვარი გართობა, მეძავები გაძევეს ქალაქიდან, ყველას ებრძანა მარხვა და ლოცვა. ქადაგად დავარდნილი მოლები მოუწოდებდნენ დიდსა და პატარას ცოდვათა გულწრფელი მონანიებით აეცდინათ მოახლოებული განსაცდელი.

ისპაანში ჯერ არც იცოდნენ, რომ ვანსაცდელი უკვე დაიძრა ყანდაარიდან. განსაცდელს სახელად ერქვა მირ-მაჰმუდი. მამამისმა, ღილანთა ტომის ცნობილმა წინამძღოლმა მირ-ვეისმა ასეთი ანდერძი დაუტოვა თვისტომთ: თუ ყიზილბაშები შემოესევიან ყანდაარს, ყოველგვარ პირობაზე დათანხმდით და დაეზავეთ, მაგრამ

თუ გადადეს ომი, მაშინ თქვენ თვითონ შეუტიეთ თვით ისპაანის კარიბჭემდეო.

შაჰ-ჰუსეინი შეუერიგდა ყანდაარის დაკარგვას და მაჰმუდმა მამის ანდერძის თანახმად ფეხზე დააყენა თავისი ლაშქარი. ავღანები შეიჭრნენ ირანში.

1722 წელი დგებოდა. 10 იანვრით დათარიღებულ წერილში ისპაანიდან ერთი კათოლიკე მისიონერი აღნიშნავდა: „დღითი დღე უარესდება მდგომარეობა ამ სახელმწიფოსი, ვინაიდან ყოველი მხრიდან აწუხებენ მტრები, მეამბოხენი და მოღალატენი. რაღაც საშიში სიურპრიზი მოგველის. უფალი იყოს ჩვენი შემწე!“

თადეუშ კრუშინსკი გადმოგვცემს, რომ ავღანთა მოახლოებისას სეფიანთა სამეფო კარის ზოგიერთმა დიდებულმა სცადა მცონარა და უდარდელი შაჰის გამოფხიზლება. გააფრთხილეს, საქმე ბალზე ცუდადაა, ხუმრობის დრო აღარ არისო. მაგრამ შაჰ-ჰუსეინმა ციკი წყალი გადაასხა მრჩეველებს: მაგაზე ფიქრი თქვენი საქმეა, მე კი მხოლოდ ჩემი სასახლე რომ დამიტოვონ ფერაბადში, იმითაც კმაყოფილი დავრჩებიო.

მირ-მაჰმუდი უკვე ოთხი დღის სავალზე იყო ისპაანიდან. როდესაც სამეფო კარის ელჩები გამოეცხადნენ და თხუთმეტი ათასი თუმანი შესთავაზეს, ოღონდ კი უკან გაბრუნებულიყო. ავღანთა წინამძღოლმა ივრძნო მტრის სისუსტე და შიში. უარი სტკიცა ელჩებს, გზა განაგრძო და დაბანაკდა. ისპაანის მახლობლად, სოფელ გულნაბადთან.

შაჰმა თათბირი გამართა. ახალი ეთიმადოვლე ამტკიცებდა, ქალაქი უნდა გავამაგროთ და თავი დავიცვათ, სანამ პროვინციებიდან შემოგვიერთდება ჯარიო. არაბისტანის ვალი და როსტომ ყულარაღასი ბრძოლას მოითხოვდნენ. შაჰ-ჰუსეინმა ყველასთვის მოულოდნელად ამ უკანასკნელთ დაუჭირა მხარი.

დაიწყეს ხალხის შეგროვება ისპაანის ირგვლივ მდებარე სოფლებში. საჯაროდ გამოაცხადეს, რომ ვინც კი იარაღს აიხმანდა, ექვსი თვით თავისუფლდებოდა ბეგარისაგან. ამან კარგი შედეგი გამოიღო, მაგრამ რად გინდა, მოხალისეთა უმეტესობა გლეხებისა და ხელოსნებისაგან შედგებოდა, ისინი თავიანთ სიცოცხლეში პირველად იღებდნენ ხელში იარაღს. ბევრ მათგანს კი იარაღიც არ ერგო, კეტებით და წერაქვებით უნდა გასულიყვნენ ბრძოლის ველზე.

აი ასე შეავსეს ლაშქარი, მაგრამ საკმაო რაოდენობით იყო კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი ნაწილებიც.

ლაშქარს გულნაბადისაკენ წასვლა უბრძანეს. სულ იქნებოდა ორმოცი ათასი მეომარი. ყიზილბაშებს ოცდაოთხი ზარბაზანი მიჰქონდათ ბრძოლის ველზე.

არტილერიის კორპუსი ნომინალურად ემორჩილებოდა თოფჩიბაშს, სახელად აჰმედ-ხანს, მაგრამ ფაქტიურად — ვინმე ფილიპ კოლომბს. იგი წარმოშობით ფრანგი იყო, რამდენიმე წელი იმსახურა რუსეთის არმიაში და ბოლოს ირანში ამოყო თავი.

სეფიანთა თოფჩიბაშის (ანუ არტილერიის სარდლის) შესახებ ერთობ კურიოზულ ცნობას გვაწვდის თადეუშ კრუშინსკი. თურმე ეს აჰმედ-ხანი ისპაანში მყოფ ინგლისელებს ეკითხებოდა, გულსაბადამდე თუ მიაღწევსო ისპაანიდან გასროლილი ყუმბარა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მანძილი ამ ორ პუნქტს შორის თითქმის ოცი კილომეტრი იყო!

სეფიანთა ლაშქარმა გაიარა გულნაბადი და გადაკვეთა იქვე მდებარე არხი. ყიზილბაშები განლაგდნენ აეღანთა პირისპირ, მაგრამ ბრძოლა ორიოდე დღით გადაიდო, ვინაიდან შაჰის ასტროლოგებმა განაცხადეს, ვარსკვლავთა კეთილგანწყობა 8 მარტამდე არ არის მოსალოდნელიო.

ცრუმორწმუნე შაჰი როდი დაკმაყოფილდა ასტროლოგთა კონსულტაციით. მან გასცა ბრძანება, რათა ბრძოლის წინა ღამეს მთელი ლაშქრისათვის დაერიგებინათ „ჯადოსნური“ წვნიანი, რომელიც ერთმა მისმა სარდალმა გამოიგონა. შაჰ-ჰუსეინი დაარწმუნეს, რომ მეომრები თუ იკემებდნენ ამ წვნიანს, უჩინარნი შეექნებოდნენ მტრისათვის. წვნიანი ასეთი რეცეპტით მოამზადეს: ქვაბებში ჩაასხეს წყალი, თითოეულ მათგანში ჩააგდეს ორ-ორი ფეხი ვაცისა და მოხარშეს სამას ოცდახუთ ცერცვს მარცვალთან ერთად. სრული ეფექტისათვის თითო ქვაბთან თითო ქალწული უნდა მისულიყო და სამას ოცდახუთჯერ წარმოეთქვა მაჰმადიანური ლოცვის ფორმულა...

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ საომრად გაწყობილ სეფიანთა ლაშქარს ჰყავდა ორი მთავარსარდალი, სახელდობრ — ეთიშადოვლე და არაბისტანის ვალი. თავისთავად ხომ კანცელარიებს იწვევს ორი მთავარსარდლის არსებობა ბრძოლის ველზე, მაგრამ კიდევ უარესი ის იყო, რომ მთავარსარდლებს ერთმანეთისა

ურდათ, ერთმანეთს მტრობდნენ და რაც ყველაზე საოცარია, სხვადასხვანაირად ჰქონდათ ჩაფიქრებული მომავალი ბრძოლის წარმართვა! ეთიმადოვლე თავდაცვას აპირებდა, არაბისტანის ვალი — შეტევას.

გათენდა საბედისწერო 1722 წლის 8 მარტიც. ორივე მხარე ყურადღებით უთვალთვალებდა ერთიმეორეს. სეფიანთა ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი ბრწყინვალედ იყო შემოსილი და აღჭურვილი. მათ წინააღმდეგ იდგა ავღანთა ერთფეროვანი მასა — რიცხობრივად სამჯერ ნაკლები.

ჯარების განლაგება ასეთი გახლდათ: სეფიანთა ლაშქრის ცენტრში — ეთიმადოვლე, მარცხენა ფლანგზე — ლურისტანის ვალი, მარჯვენა ფლანგზე — როსტომ ყულარაღასი და არაბისტანის ვალი.

ავღანთა ცენტრი ეჭირა თვით მირ-მაჰმუდს, მარჯვნივ და მარცხნივ მხარს უმშვენებდნენ გამოცდილი სარდლები: ამანოლა-სულტანი და ნასროლა-სულტანი.

არც ერთი მხარე არ ამჟღავნებდა ბრძოლის წყურვილს. ფრთხილი ეთიმადოვლე თავდაცვაზე ფიქრობდა, ხოლო ავღანები მოწიწებით შეჰყურებდნენ მრავალრიცხოვანსა და ოქრო-ვერცხლით აბრჭყვიალებულ მოწინააღმდეგეს.

ასე გაგრძელდა დღის ოთხ საათამდე!

ყულის ჯართან ერთად როსტომ ყულარაღასს თან ახლდა შაჰის რჩეული გვარდია — ოთხასი მამაცი და გამოწრთობილი ქართველი. დაღლილნი ხანგრძლივი უმოქმედობით, როსტომი და მისი მხედრები მძკინვარედ ეკვეთნენ მტრის მარცხენა ფლანგს და არევ-დარევა შეიტანეს ავღანთა რიგებში. ამავე დროს არაბისტანის ვალის კავალერიამ ფართო რკალი მოხაზა გაშლილ ველზე და თამამი რეიდით ავღანთა ზურგში აღმოჩნდა. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ორ ცეცხლშუა მოექციათ მარცხენა ფლანგი და გაენადგურებინათ (როგორც იყო დაგეგმილი), არაბები ავღანთა ბანაკს დაეპატრონენ და არხეინად შეუდგნენ ძარცვას.

როდესაც მირ-მაჰმუდმა დაინახა, რომ მისი მარცხენა ფლანგი გადრიკა როსტომის იერიშმა, გული გაუტყდა და გაქცევას აპირებდა. ავღანთა წინამძღოლი დროზე შეაკავა სარდალმა ამანოლამ და ურჩია, სასწრაფოდ მიშველებოდა გასაჭირში ჩავარდნილ ნას-

როლას. მირ-მაჰმუდმა მხნეობა მოიკრიბა და მხარი დაუჭირა თავის მარცხენა ფლანგს. ავღანთა ცენტრი დაცარიელდა. მაგრამ ეთიმადოვლეს ყურიც არ შეუბერტყავს და პასიურად ადევნებდა თვალს ბრძოლის მსვლელობას. დადგა კულმინაციური მომენტი და ეთიმადოვლეს განკარგულებაში მყოფი თხუთმეტი ათასი მეომარი გულგრილი მაყურებლის როლს თამაშობდა. ძარცვით გართულ არაბებსაც არ ეცალათ როსტომის დასახმარებლად. მირ-მაჰმუდმა და ნასროლამ გაერთიანებული ძალებით მოჰკვეთეს ყულარაღასი სეფიანთა ლაშქრისაგან.

ამასობაში მარცხენა ფლანგზე ლურისტანის ვალიმ შეუტია ავღანებს. ისინი ვითომდა გაიქცნენ, ნაწილმა მარცხნივ გაუხვია, ნაწილმა — მარჯვნივ, და ღია სივრცე გაუხსნეს თავიანთ ზამბურაკებს (ანუ მსუბუქ ქვემეხებს). ათასი დაჩოქილი აქლემის ზურგიდან იფეთქა ზამბურაკთა ცეცხლმა და პანიკა დათესა მტრის რიგებში. გადარჩენილებმა ძლივს გაიყვანეს დაჭრილი სარდალი ბრძოლის ველიდან.

ეთიმადოვლემ უკანდახევა ბრძანა. ჯარმა უბრძოლველად აჩვენა ზურგი ავღანებს და უკანდახევა გადაიქცა უწესრიგო გაქცევად. ავღანებმა ისე სწრაფად და გაბედულად შეუტიეს ყიზილბაშთა არტილერიას, რომ ფილიპ კოლომბმა მხოლოდ სამი გასროლა მოასწრო და მეზარბაზნენი ავღანთა ტალღამ გადაქელა.

ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო. ერთი მთავარსარდალი ისპაანისაკენ გარბოდა თავქუდმოგლეჯილი, მეორე მთავარსარდალს კი აღარაფერი ახსოვდა, ყაჩაღობის გარდა.

გარშემორტყმულნი ყოველი მხრიდან როსტომი და მისი ქართველი მხედრები თავგანწირვით იკაფავდნენ გზას არხისაკენ. სწორედ არხზე გადახტომისას როსტომის ცხენს ფეხი დაუცდა და დაეცა. სანამ ცხენს ამოათრევდა არხის ტალახიანი ფსკერიდან, ავღანები თავს დაესხნენ და წუთისოფელს გამოასალმეს როსტომ ყულარაღასი. ოთხასი ქართველი მხედრიდან არც ერთი არ გადარჩენილა.

ყიზილბაშებმა დაკარგეს ხუთი ათასი კაცი, ავღანებმა — ბევრზე ხუთასი (ისიც როსტომთან ბრძოლაში).

სპარსელი ისტორიკოსი მუჰამედ მუჰსინი დამსახურებულ ხოტ-

ბას ასხამს ქართველი ყულარაღასისა და ქართველ მხედართა გმირობას და ასკვნის: „სხვა სარდლებს რომ ლაჩრობა არ გამოეჩინათ და მხარი აებათ ყულარაღასისათვის, უეჭველად გააქცევდნენ ავღანებს ბრძოლის ველიდან“.

ირანის დროშაზე გამოსახულ ლომს კლანჭები აღარ უჭრიდა და მის ზურგზე შემჯდარი მზეც უკვე სხივდაცლილი იყო.





პიეტრო დელა ვალეს წინასწარმეტყველება

ვახუშტი ბატონიშვილი ორიოდე სიტყვით გვაუწყებს ავღანების მიერ სეფიანთა ირანის ლაშქრის დამარცხებას ქალაქ ისპაჰანის მისადგომებთან 1722 წლის გაზაფხულზე და დასძენს: „მაშინ მოუწერა ყეენმან მეფესა, რათა მწე ექმნეს“.

თავისთავად, მრავლისმეტყველი ცნობაა, მაგრამ თუ რაოდენ დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა დახმარებას სეფიანთა დინასტიის ყოფნა-არყოფნისათვის, ამას გაცილებით ვრცლად მოგვითხრობენ უცხოური წყაროები.

პოლონელი მისიონერის თადეუშ კრუშინსკის სიტყვით, შაჰჰუსეინი დიდ იმედებს ამყარებდა ქართველებზე. მათი ძლევამოსილება თანაბრად იყო ცნობილი როგორც ყიზილბაშთათვის, ისე მეამბოხეთათვისაც. თადეუშ კრუშინსკი ამტკიცებს, რომ ავღანთა წინამძღოლი მირ-მაჰმუდი დაჰპირდა თავის ჯარს, მაშინვე მოვხსნი ალყას, თუკი ქართველები გამოჩნდებიანო.

ივნისის დამდეგს, ალყაშემორტყმულ ისპაანში იმედის შუქვით გაიელვა შორიდან მოტანილმა ამბავმა. საფრანგეთის კონსულ ანჟე დე გარდანის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ამბობენ, რომ საქართველოს მეფემ დაამარცხა ლეკები, წაართვა შემახის პროვინცია და აქეთ გზავნის თავის ვაჟს, თორმეტი ათასი ქართველის თანხლებით. ეს გახლავთ, ჩემო ბატონო, საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ ამ სახელმწიფოს საქმეები გამოკეთდეს. მაჰმუდი იძულებული გახდება უკან დაიხიოს, არადა მოუწევს დიდი რისკის გაწევა ქართველების ჯართან შებრძოლებით“.

როგორც ვხედავთ, ამ საკითხზე ერთი და იმავე აზრისა იყვნენ ირანის შაჰი, ავღანთა წინამძღოლი და ფრანგი დიპლომატი.

ბეწვზე ეკიდა სეფიანთა ბედ-იღბალი და სადაცაა გაწყდებოდა ეს ბეწვი. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო საქართველოზე.

...ევროპასა და აზიაში ოდითგანვე იყო ცნობილი ქართველთა საბრძოლო შემართება და „სიმხნე წყობათა შინა". ამას ამბობდა მოყვარე, ამას აღიარებდნენ მტრებიც (მათ შორის — სახელგანთქმული სარდლები ჯალალედინი და თემურ-ლენგი).

მაგრამ ერთიანი სამეფოს დაქუცმაცების შემდეგ საქართველოს ძლიერების მზე ჩაესვენა და თუმცა არასოდეს შეუწყვეტია ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, მისი სამხედრო პოტენციალი ნაწილობრივ მაჰმადიანურ სამყაროსაც ასაზრდოებდა.

ქართველების დაწინაურება სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე იწყება შაჰ-აბასის დროიდან. მან ყიზილბაში ამირების გავლენის შესასუსტებლად შექმნა ყულის ჯარი ანუ შაჰის პირადი გვარდია, რომელიც ძირითადად ქართველი მხედრებისაგან შედგებოდა და მათი სარდალიც, წოდებული ყულარაღასად, ჩვეულებრივ ქართველი იყო. ყულარაღასი და მისი ჯარი ზოგჯერ ტახტზე შაჰის აყვანის საქმეშიც კი ერეოდნენ. მათი ძალა ყველასთვის ანგარიშგასაწევი იყო.

ტყვედ წაყვანილთა თუ ბავშვობაში გატაცებულთა გარდა ირანში სამართლის საძიებლად წასული ხალხიც იყო. შაჰი ყველას პატივით იღებდა და წყალობას არ აკლებდა, ოღონდ გამაჰმადიანებულიყვნენ. ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავდა — ირანს აძლიერებდა, საქართველოს ასუსტებდა.

XVII ს. სეფიანთა ირანში აღზევებულ ქართველთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან: ალავერდი-ხან უნდილაძე, ირანის პირველი ყულარაღასი, შაჰ-აბასის სამხედრო რეფორმების სულისჩამდგმელი და ხორცშემსხმელი; მისი ვაჟები — ფარსის ბეგლარბეგი იმამყული-ხანი და განჯის ბეგლარბეგი დაუდ-ხანი; ისპაანის ტარუღა და ირანის ყულარაღასი ხოსრო-მირზა (ანუ როსტომ ბეფე); ირანის სპასალარი და თავრიზის ბეგლარბეგი როსტომ-ხან საააკაძე.

ესეც ვიკმაროთ. ჩამოთვლა ყველასი ძალზე შორს წაგვიყვანდა...

ირანის ხშირი სტუმრები იყვნენ ევროპელი მოგზაურები, ელჩები, ვაჭრები და მისიონერები. მათი ნაწერები შეიცავს ჩვენთვის საინტერესო ცნობებსაც.

იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე წერს, რომ ირანის ჯარის საუკეთესო ნაწილს წარმოადგენენ ქართველები.

ინგლისის ელჩობის წევრი თომას ჰერბერტი ხაზს უსვამს ომებ-

ში სიმამაცით განთქმულ ქართველთა ერთგულებას, რამაც ბრწყინვალე რეპუტაცია მოუპოვა ირანშიო. „იშვიათად სმენია ვინმეს, — გვარწმუნებს თომას ჰერბერტი, — რომელიმე მათგანის მუხანათობა ანდა ის, რომ სპარსელთა სამსახურში მყოფი ოდესმე გადასულიყო ოსმალთა მხარეზე“.

ფრანგი მისიონერი მარტინ გოდერო ამბობს: „ქართველები, უდავოდ, ყველაზე მამაცი ხალხია აღმოსავლეთში“ (სხვათა შორის, ეს გოდერო იყო, შაჰ-ჰუსეინის წერილი რომ გაატანეს საფრანგეთის მეფესთან).

XVII საუკუნის დამლევს სეფიანთა ირანი აღარ ჰგავდა შაჰ-აბასის დროინდელ იმპერიას. მოგზაურს ათასი ხიფათი ელოდა გზებზე. ყაჩაღები თუ თავაშვებული ადგილობრივი მმართველები განუკითხავად ძარცვავდნენ გამვლელ-გამომვლელს. ამიტომაც იყო, რომ 1685 წელს ერევნიდან შემახას მიშავალი ფრანგი მისიონერი ფილიპ ავრილი (იგი იეზუიტთა ორდენის დავალებით ზვერავდა სახმელეთო მარშრუტებს ინდოეთისა და ჩინეთისაკენ) და მისი ამალა „გადაცმული იყვნენ ქართველებად, რომელთა სამოსელი თავზარდამცემია მთელს ირანში“. ეს გახლდათ უშიშროების ყველაზე საიმედო გარანტია.

იტალიელი იურისტი და მოგზაური კარლო ჯემელი-კარერი ირანში ყოფნისას შეხვდა გორელ უზბაშს (ანუ ასისთავს), რომელსაც შაჰისაგან ჰქონია ბოძებული სოფელი ირანში, საიდანაც ყოველწლიურად იღებდა შემოსავალს ასი თუმნის ოდენობით, ჯამაგირი კი ორმოცდაათი თუმანი ეძლეოდა წელიწადში. ჯემელი-კარერის სიტყვით, შაჰი იმიტომ აკეთებს ამას, რომ ჩამოაშოროს ისინი სამშობლოს, რათა ვეღარ იფიქრონ ამბოხებაზეო. გორელ უზბაშს ექვსი ქართველი მეომარი ახლდა, რომლებიც, თურმე, მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ბატონის მიბაძვით გათათრებულან, თავად არასოდეს უფიქრიათ ელოცათ მაჰმადიანური წესით და გულიანად წყევლიდნენ ალაჰსაც და მის მოციქულ მაჰმადსაც. ქართველებმა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინეს გზაში ჯემელი-კარერის, სუფრაც გაუშალეს და გულღიად გაუმასპინძლდნენ. სამაგიეროდ თბილი სტრიქონები დაიმსახურეს იტალიელი მოგზაურის წიგნში, რომელიც ფრანგულ და ინგლისურ ენებზეც არის თარგმნილი...

პეტრე პირველის ელჩი ირანში არტემ ვოლინსკი წერს: „მთელს ირანში საუკეთესოდ მიმაჩნია ქართველთა ჯარი“... ვოლინსკი ამ-

ტკიცებს, რომელი გამარჯვებაც კი მოუპოვებია სეფიანთა სახელმწიფოს, ოსმალეთსა თუ ინდოეთთან ბრძოლაში, მეტწილად — ქართველი მხედრების წყალობითო.

ასეთი სურათი იყო XVII საუკუნეში და კიდევ უფრო გაიზარდა ქართველთა ფასი, როდესაც, დავით გურამიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „ხმლის სიფოლადეს სპარსთასა ჟამი რამ მიხვდა ლბობისა, ხმა დაუმდაბლდათ, მოულბათ, სიტყვის თქმა ამაყობისა“.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველ მეფე-ბატონიშვილებს უდიდესი თანამდებობანი ეჭირათ სეფიანთა სახელმწიფოში: გიორგი XI იყო ირანის სპასალარი და ყანდაარის ბეგლარბეგი; მისი ძმა ლევანი — ირანის დივანბეგი ანუ უზენაესი მსაჯული; ქაიხოსრო, ძე ლევანისა — ისპაანის ტარუღა, შემდგომში — ირანის სპასალარი და თავრიზის ბეგლარბეგი; იესე ბატონიშვილი — ქირმანის ბეგლარბეგი და ირანის თოფჩიბაში; თეიმურაზ პირველის შვილიშვილი ერეკლე — ირანის ყულარაღასი, მისი ვაჟი კონსტანტინე ერთხანს ისპაანის ტარუღად იჯდა.

კიდევ ვინა ვთქვათ? ვახტანგ VI — ირანის სპასალარი და თავრიზის ბეგლარბეგი; როსტომ ბატონიშვილი — ისპაანის ტარუღა, შემდგომში — ირანის ყულარაღასი.

საკმაოდ შთამბეჭდავი სია წარმოგვიდგება თვალწინ.

გამაჰმადიანებულ ქართველ მეფე-ბატონიშვილებს არც სამშობლო ავიწყდებოდათ და არც სეფიანთა ირანს ღალატობდნენ. ვითომ შეუთავსებლის შეთავსებას ლამობდნენ? ეგებ წინასწარ იყო განწირული მათი მცდელობა...

სეფიანთა სახელმწიფოს ძალზე უჭირდა. თუ შაჰ-აბასის დროს, ყიზილბაშები თამამად ერკინებოდნენ ოსმალეთს, პორტუგალიას, ინდოეთს და სასტიკ ბრძოლებში გამარჯვებას გამარჯვებაზე იხვეჭდნენ, ახლა შაჰ-ჰუსეინის დროს, მეამბოხე ბელუჯ-ავღანთა ტომებს ვეღარ უმკლავდებოდა მათი დაჩლუნგებული ხმალი.

XVIII საუკუნის დამდეგს უდიდესი სამსახური გაუწიეს სეფიანთა ირანს ქართველმა მეფეებმა გიორგი XI-მ და ქაიხოსრომ. იღვრებოდა ქართული სისხლი ქირმანსა და ყანდაარში, ხოლო ყიზილბაშები ღალატით უპასუხებდნენ ქართველების ერთგულებას. 1722 წლის 8 მარტს გულნაბადის ბრძოლაში ოთხას ქართველთან ერთად დაიღუპა როსტომ ყულარაღასი, ვახტანგ VI-ის ძმა. მაგრამ ამ მცირე რაზმის ვმირობამ ვერ გადაწონა გამარჯვების სას-

წორი დაძაბუნებული ირანის მხარეზე. ავღანებმა ალყა შემოარტყეს ისპაანს.

შაჰ-ჰუსეინმა მაშინვე საქართველოს მიაპყრო იმედის თვალი. ვახტანგის ვაჟს ბაქარს ყულარაღასობა უბოძა, ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა და მოუწოდა ისპაანის საშველად.

ირანის ახალი ყულარაღასი თავისი ჯარით დაიძრა ალყაშემორტყმული ისპაანისაკენ, მაგრამ საქართველოს საზღვართან მისული უკან მოაბრუნა მამამისმა. ვახტანგ VI აღარ აპირებდა ქართველ მხედართა სისხლის დაღვრას სეფიანთა დინასტიის გადასარჩენად.

უკანასკნელი იმედიც ჩაუქრა შაჰ-ჰუსეინს. ქართველი მეფის უარი სასიკვდილო განაჩენს უდრიდა.

ინგლისელი ისტორიკოსი ლ. ლოკარტი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ ავღანთა დამარცხება.

ცნობილი ქართველოლოგის დ. ლენგის აზრით, საქართველოს საშხედრო მხარდაჭერა უთუოდ იხსნიდა სეფიანთა დინასტიას.

ნუთუ მართლა შეაბრუნებდა ვახტანგ VI ისტორიის მსვლელობას? ვინ იცის...

მაგრამ ახლა მიკცეთ სიტყვა პიეტრო დელა ვალეს. მან გულნაბადის კატასტროფამდე ერთი საუკუნით ადრე დაქცევა უწინასწარმეტყველა სისხლიან საძირკველზე აშენებულ სეფიანთა იმპერიას. შაჰ-აბასის სასტიკ პოლიტიკასთან დაკავშირებით იტალიელი მოგზაური და პილიგრიმი წერდა, რომ უფალი დაუსჯელად არ ტოვებს ერთი ადამიანის მიერ მეორის მიმართ ჩადენილ ბოროტებას და თვით ბოროტების მსხვერპლიც ყველაფერს როდი დაივიწყებს. ასე რომ, ქართველებმა ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა შური იძიონ სეფიანებზეო.

ქართული მარტიროლოგის ფურცლებზე უამრავი სახელი არის ჩაწერილი სეფიანთა სისხლიანი ხელით. ძნელად დასავიწყარი მარტვილობა ქეთევან დედოფლისა და ლუარსაბ მეფისა, უღვთო დასახიჩრება თეიმურაზის ძეთა — ლევანისა და ალექსანდრესი. კიდევ რამდენი ცნობილი თუ ჩვენთვის უცნობი ქართველი შეეწირა სეფიანთა იმპერიის შენებას, ვინ დაითვლის და ვინ აღწერს. რომც აღინუსხოს ყველაფერი, ეს ხომ სტატისტიკა იქნება, ტრაგედიებისაგან შედგენილი სტატისტიკა, სადაც უდროოდ დაღუპულებთან ერთად დაგინახავთ თითო აბაზად გაყიდულ ქალწულებს და მიწასთან გასწორებულ გრემს. შურისძიებისათვის კი ერთი ტრაგედიაც

კმაროდა, თუნდაც ერთადერთი ცრემლი დასაჭურისებისას ჭიქაზე შერყეული ყმაწვილისა, რომლის ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ მამამისს თეიმურაზი ერქვა.

წარსული და აწმყო ერთად ითხოვდნენ შურისძიებას და ადგა შურისძიების ჟამიც.

პიეტრო დელა ვალეს წინასწარმეტყველება ბოლოს და ბოლოს გამართლდა.

ქართველებმა მოწყალე და ყოვლისშემძლე ალაჰის ნებაზე ბიატოვეს შაჰ-ჰუსეინი. ხოლო ალაჰს, სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მისი სახელმწიფოს ბედი.

ვახტანგის ულისხლო შურისძიებამ სიცოცხლე მოუსწრაფა სეფიანთა დინასტიას. ხმალივით ბასრი გამოდგა ხმალზე დადებული ფიცი ქართველი მეფისა.

ავღანთა ულმობელმა ალყამ მოწყვიტა ისპაანი გარე სამყაროს და სურსათ-სანოვაგის გარეშე დატოვა. ალყაშემორტყმულ ქალაქში ერთიანად გააჩანაგეს ძაღლი, კატა და სახედარი. გაჩაღდა ნადირობა თაგვებზე. ჭამდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ და რაც ყელში გადადიოდა. დაშპალ ტყავსა და ხის ქერქს ვინ ჩივის, შიმშილი ისე მძვინვარებდა, რომ ჩონჩორიკსაც კი ალარ იწუნებდნენ!

თითქმის მოისპო განსხვავება მდიდარსა და ღარიბს შორის. ოქრო-ვერცხლმა დაკარგა ყოველგვარი ფასი. აბრეშუმის სამოსელში გამოწყობილი ხალხი, აბრეშუმის ჭიების მსგავსად, მუსრს ავლებდა ფოთლებსო (ამბობს სპარსელი ისტორიკოსი).

თვით ირანის შაჰი აქლემისა და ცხენის ხორცს მიირთმევდა.

ბოლოს ერთმანეთს დაერივნენ დამშეული ადამიანები. არსებობს სარწმუნო ცნობა, რომ დუქნებში დაიწყეს გაყიდვა კაცის ხორცისა, ოღონდ სხვა სახელი დაარქვეს!

სადაცაა მკვდართა ქალაქად გადაიქცეოდა ისპაანი. ასი ათასამდე კაცი შეეწირა ავღანთა ექვსთვიან ალყას, უმრავლესობას შიმშილმა და ეპიდემიამ მოუღო ბოლო.

ავღანები მოთმინებით ელოდნენ უსისხლო გამარჯვებას ფერაბადში, ისპაანის შახლობლად.

შაჰმა დამორჩილება არჩია შიმშილით სიკვდილს. მოლაპარაკება ავღანებთან ერთობ მარტივი და ხანმოკლე გამოდგა. მირმაჰმუდმა მოითხოვა უსიტყვო კაპიტულაცია. დამარცხებული

ხელმწიფე უნდა გამოცხადებულიყო ავღანთა ბანაკში და ავღანთა წინამძღოლისათვის მიენდო თავისი გვირგვინიცა და სიცოცხლეც.

ისპაანიდან ფერაბადს მისასვლელად ცხენი სჭირდებოდა შაჰ-ჰუსეინს, მაგრამ მთელი სამეფო რომ მიეცა ერთ ცხენში, მაინც ვერ მოჰვარიდნენ ქვეშევრდომები. ისპაანში ცხენის ჭაჭანება ადარ იყო. შაჰის საჯინიბოს რჩეული მკვიდრნიც კი შეეპარეს ყიზილბაშებმა. იმავ მირ-მაჰმუდმა გამოიჩინა სულგრძელობა და ფერაბადიდან ცხენი გამოუგზავნა უკიდურესად დამცირებულ ხელმწიფეს.

შაჰ-ჰუსეინმა სამეფო სამზარეულოს უკანასკნელი მარაგი — სანი აქლემი დააკვლევინა და ხალხს გაუნაწილა. ქვითინით წარმოთქვა ლოცვა, შეჯდა ნათხოვარ ცხენზე და გაუდგა გზას.

აჩრდილივით შიჰყვებოდა უპატრონო გვამებით მოფენილ ქუჩებს. თადეუშ კრუშინსკი მოგვითხრობს, რომ ისპაანის გაძვალტყავებული მცხოვრებნი უხმოდ ადევნებდნენ თვალს შაჰსა და მის უმცირეს ამალას, მაგრამ მათი მწუხარება უფრო თავზარდამცემი იყო, ვიდრე ხმამაღალი მოთქმაო.

1722 წლის 23 ოქტომბერს სეფიანთა უკანასკნელი ხელმწიფე აჩრდილივით მიჰყვებოდა გვამებით მოფენილ ისპაანის ქუჩებს.

ვინ იყო იოსებ ქართველი

XVIII საუკუნის პოეტი იესე ტლაშაძე თავის პოემაში „კათალიკოზ-ბაქარიანი“ რამდენიმე სტრიქონს უთმობს ვინმე იოსებს, რომელიც კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს თარჯიმანი ყოფილა; ევროპულ წყაროებში იგი ცნობილი არის იოსებ ქართველის სახელით.

1722 წლის ოქტომბერი იდგა. ოდესღაც ძლევამოსილ სეფიანთა სატახტო ქალაქი სულს ღაფავდა. შიმშილი დღითი დღე აცარიელებდა ალყაშემორტყმულ ისპაანს. სასოწარკვეთილმა შაჰ-ჰუსეინმა კაპიტულაცია გადაწყვიტა და 23 ოქტომბერს მორჩილად ეახლა ავღანთა წინამძღოლს მირ-მაჰმუდს, ისპაანის მახლობლად, რომ იყო დაბანაკებული თვით შაჰ-ჰუსეინის მიერ აგებულ უბრწყინვალეს სასახლეში.

სახელგანთქმული შაჰ-აბასის უნიჭო და უნიათო შთამომავალი კარგა ხანს ალოდინეს გარეთ, მოიმიზეზეს, მირ-მაჰმუდს სძინავსო. ბოლოს და ბოლოს შეუძღვნენ მისაღებ დარბაზში.

„სალამ ალეიქუმ“ — თავმდაბლად მიესალმა შაჰ-ჰუსეინი მირ-მაჰმუდს, რომელიც დარბაზის ერ-ერთ კუთხეში იჯდა. ავღანთა გოროზი წინამძღოლი ფეხზეც არ წამომდგარა და უსიტყვო სალმით დაკმაყოფილდა. ირანის შაჰი დასვეს მოპირდაპირე კუთხეში.

უკიდურესი ღვთისმოსაობის გამო „მოლად“ წოდებულმა შაჰ-ჰუსეინმა ახლაც ყურანიდან დაისესხა სიტყვები: „ალაჰ, ხელმწიფება შენ ხელთ არი! მიანიჭო, ვინცა ინებო და წაართვა, ვინცა ინებო. აანძაღლო, ვინცა ინებო და დაამდაბლო, ვინცა ინებო. კეთილი შენ ხელთ არი, ვინაიდან ყოვლად ძლიერ ხარ!“; დაასრულა ყურანის ლექსი და მერე თავისი სიტყვებიც დააყოლა: „გემორჩილები, შვილო ჩემო, კეთილი იყოს შენი ხელმწიფობა“! (ორმოცდა-

თოთხმეტი წლის შაჰ-ჰუსეინი მართლაც შამად ეკუთვნოდა ოცდაოთხი წლის მირ-მაჰმუდს).

სეფიანთა ხელმწიფემ გვირგვინი მოიხადა და ავღანთა სარდალს ამანოლას გადასცა. ეს უკანასკნელი მიუახლოვდა მირ-მაჰმუდს, მაგრამ მან ხელი აუკრა და შაჰ-ჰუსეინი იძულებული გახდა საკუთარი ხელით დაედგა საკუთარი გვირგვინი ავღანთა წინამძღოლის თავზე.

სეფიანთა უკანასკნელი მბრძანებლის მრისხანე წინაპრები საფლავში გადატრიალდებოდნენ, ამ შემაძრწუნებელი სურათისათვის სასწაულებრივ რომ მოეკრათ თვალი. ძლევამოსილი იმპერიის ასეთ უმსგავსო დასასრულს ერთი საუკუნის წინ უმდიდრესი ფანტაზიის პატრონიც კი ვერ წარმოიდგენდა.

სტუმრებს ყავა და ყალიონი მიართვეს. მირ-მაჰმუდი კარგ გუნებაზე დადგა და მოუნდა, ოდნავ მაინც ენუგეშებინა გვირგვინმოხდილი. „ნუ დაისადგურებს წუხარება შენს გულში, — ასე მიმართა მან შაჰ-ჰუსეინს, — ხელმწიფება ხელიდან ხელში გადადის, ყველაფერი ალაჰის ნებაა“.

ეს იყო და ეს. შაჰმა გააკეთა თავისი საქმე. შაჰს შეეძლო შინ წაბრძანებულიყო. მას შეტი-ალარაფერი მოეთხოვებოდა და ავღანელმა სატახტო ქალაქში დაბრუნების ნება მისცეს...

საიდან ვიცით ასე ზუსტად ყოველივე ზემოთქმული?

მირ-მაჰმუდი, რა თქმა უნდა, დღიურებს არ წერდა, ხოლო სპარსელი ისტორიკოსები, გასაგებ გარემოებათა გამო, ერთობ ძუნწად აშუქებენ მოცემული პერიოდის ამბებს და, ალბათ, უცნობი დარჩებოდა ჩვენთვის ამ საბედისწერო შეხვედრის დეტალები. მაგრამ ესოდენ იშვიათ ცერემონიალს ესწრებოდა კაცი, რომელმაც დაწვრილებით აღწერა სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი დღეები, ისპაანის ალყა და ირანის შაჰის კაპიტულაცია.

ეს კაცი იყო იოსებ ქართველი. ვან თავისი თხზულებანი ე. წ. „სპარსეთის რევოლუციების“ შესახებ შეადგინა ქართულ, იტალიურ, ფრანგულ და თურქულ ენებზე. პირველი ორი ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა. თურქული ხელნაწერი ინახება გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ფრანგული — საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. იოსების სხვადასხვა მასალებით უხვად სარგებლობდნენ XVIII საუკუნის ისტორიკოსები: ფრანგი ლუი მამი-კლერაჟი, ინგლისელი ჯონას ჰანვეი,

პოლონელი თადეუშ კრუშინსკი, სომეხი სარგის გილანენცი. ხშირად იმოწმებენ იოსების ცნობებს თანამედროვე ინგლისელი მეცნიერები ლ. ლოკარტი და დ. ლენგი. იოსებ ქართველის სახელი, ვინაობა და მოღვაწეობის შინაარსი ქართველ მკითხველს პირველად გააცნო ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა ვ. გაბაშვილმა.

...იოსები, გვარად აბესალამაშვილი, დაიბადა 1687 წელს თბილისში. მისი მშობლები, გასპარ და ანა, კათოლიკური სარწმუნოებისა იყვნენ (სახელი „გასპარ" ფართოდ იყო გავრცელებული კათოლიკურ სამყაროში, რადგანაც ქრისტიანული ლეგენდის მიხედვით ახალშობილ იესო ქრისტეს თაყვანსაცემად აღმოსავლეთიდან მოსულ მოგვებს ერქვათ: გასპარ, ბალთაზარ და მელქიორი).

მესხეთიდან გადმოსახლებულ აბესალამაშვილთა გვარი ცნობილ და გავლენიან გვარებს მიეკუთვნებოდა. იოსების მამა წლების მანძილზე ქალაქის ნაცვალი იყო. ნაცვალს უშუალოდ მეფე ნიშნავდა და მას წამყვანი ადგილი ეჭირა ქალაქის მმართველობაში.

იოსებმა დაწყებითი განათლება მიიღო თბილისის კათოლიკე მისიონერთა სასწავლებელში, სადაც ასწავლიდნენ ლათინურ და იტალიურ ენებს, გრამატიკას, აგრეთვე — სარწმუნოების უმთავრეს საგნებს და ლოცვებს, ეს სასწავლებელი ფრიად პოპულარული ყოფილა თბილისის მოსახლეობის ფართო წრეებში. სხვათა შორის, მისიონერებთან სწავლობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი („სულ აღასრულა ყოველი სწავლა ლათინთა ფრანგული", — აღნიშნულია იმდროინდელ ქართულ პოემაში).

სასწავლებლის აღზრდილთა ნაწილი ევროპაში აგრძელებდა სწავლას, მაგრამ საქართველოდან იქ ჩასვლას იმდენი გაჭირვება და სიძნელე ახლდა, რომ კათოლიკე მისიონერები რომის პაპის წინაშე შუამდგომლობდნენ, თვით საქართველოში გახსნილიყო უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ნიჭიერი ახალგაზრდები დაეუფლებოდნენ სამოქალაქო თუ საეკლესიო მეცნიერებას.

ბოწინავე ქართველი საზოგადოება მზად იყო საქართველოში კათოლიკობა გაევრცელებინა და ქართული ეკლესია რომის ტახტისათვის დაემორჩილებინა, ოღონდ კი აღმოსავლეთ ევროპის (ცერძოდ საფრანგეთის) პოლიტიკურ-ეკონომიკური დახმარება მიეღო ირანელ-მალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ კათოლიკობას მოკეთესთან ერთად მტერიც ბევრი ჰყავდა. როდესაც ეროვნული დამოუკიდებლობის მედროშე და კათოლიკეთა მფარველი გიორგი XI ირანს გადაიხვეწა და ქართლის ტახტზე დამკვიდრდა სპარსოფილი ნაზარალი-ხანი, კათოლიკეებს ცუდად წაუვიდათ საქმე.

სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც 1687 წლიდან აღიარებდა კათოლიკურ სარწმუნოებას, მონასტრის კედლებს შეეხიზნა. გასპარ აბესალამაშვილს, იოსების მამას, კათოლიკობის უარყოფა მოსთხოვეს. მან კატეგორიული უარი განაცხადა. ამის გამო თანამდებობიდან გადააყენეს და შემდგომში თბილისიდანაც გააძევეს. „გაფრანგდა მამა ამისი, იყო ქალაქის ნაცვალი, გააგდეს მოქალაქეთა, დაუნიავეს ნაცარი", — მოგვითხრობს იესე ტლაშაძე. ხოლო უცხოური წყარო (სახელდობრ, „კარმელიტთა ქრონიკა") გასპარს მოიხსენიებს ქართველ კეთილშობილად, რომელსაც ჩამოარჩევეს მთელი ქონება კათოლიკური სარწმუნოების ერთგულებისათვის.

დარბეულმა და გაძევებულმა გასპარ აბესალამაშვილმა ოჯახითურთ მალე ირანში ამოჰყო თავი. 1699 წელს იგი გაჰყვა ისპაანის კათოლიკეთა ეპისკოპოსის ელიჯის ელჩობას ევროპაში და გიორგი XI-ის წერილები წაიღო დასავლეთის ხელმწიფეთა კარზე. თორმეტი წლის იოსებიც გაუდგა გზას მამასთან ერთად, რომელსაც გაეგზავნა ეტილი ჰქონდა ევროპაში მიებარებინა სასწავლებლად თავისი შვილი.

მოგზაურობამ თითქმის სამი წელიწადი გასტანა. ელჩობის მარშრუტი ასეთი იყო: ისპაანი-შემახა-ასტრახანი-მოსკოვი-კიევი-ლვოვი-ვარშავა-კრაკოვი-ვენა-ვენეცია-რომი. სიყმაწვილეშივე დაეგემა და იოსებს უცხოეთის გზები და ქალაქები. ხუმრობა საქმეა, ჯერ ულვაშიც არ ამოსვლოდა და უკვე ნახევარი ევროპა შემოიარა!

გასპარ ქართველმა დიდი დახმარება აღმოუჩინა ელიასის ელჩობას მოსკოვში (ემიგრაციაში მყოფი არჩილ ბეფის წყალობით, რომელიც, როგორც ცნობილია, ახლოს იყო პეტრე პირველთან). ელჩობამ გზა გააგრძელა, მაგრამ რომში ჩასვლა თვით გასპარს აღარ ეწერა. ივი მოულოდნელად გარდაიცვალა ვარშავაში 1701 წელს და შვილისათვის არავითარი შემკვიდრეობა არ დაუტოვებია, გარდა ფსევდონიმისა. გასპარ აბესალაშაშვილს უცხოეთში გასპარ ქართველს უწოდებდნენ. სულ მალე მის შვილს იოსებ ქარ-

თველად გაიცნობენ რომსა და პარიზში, ისპაანსა და კონსტანტინოპოლში. გასპარის ძვლები ვარშავის მიწამ მიიბარა, ხოლო დაობლებულ იოსებს ეპისკოპოსმა ელიასმა და იტალიელმა მისიონერმა ამადეომ გაუწიეს პატრონობა.

1702 წლიდან იოსები რომშია. ჯერ ჩარიცხეს მონტეფიასკონის სემინარიაში, სადაც შეისწავლა ცოტაოდენი გრამატიკა, ერთი წლის შემდეგ კი დაშვებულ იქნა ურბანოს კოლეჯში, რომელიც ამზადებდა სხვადასხვა ეროვნების მისიონერებს. სწავლისა და კურთხევის შემდეგ ისინი უნდა დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და ეშრომათ კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად. ურბანოს კოლეჯში ორი ადგილი იყო განკუთვნილი ქართველი ახალგაზრდებისათვის.

საინტერესოა, რომ ათიოდე წლის შემდეგ ამ სასწავლებელს ეწვია სულხან-საბა, რომელ კარდინალ-ეპისკოპოსებთან ერთად და დაესწრო ღვთისმეტყველების გაკვეთილს (ამ დროს იოსები უკვე წამოსული იყო რომიდან). სულხან-საბა გვაუწყებს, რომ მოწაფეთა შორის იყვნენ: ბერძენი, რუსი, გერმანელი, სომეხი, ებრაელი, არაბი, სპარსელი, თურქი, ეგვიპტელი, ეთიოპი, ბოსნიელი. „მათმა ეპისკოპოსმა კიდეც მიხუმრა: ქართველები გვაკლია, უმაწვილები გამოგზავნეო. ასე ვასწავლი და იქავ გამოვგზავნიო. მაგრამ ეს არც ხუმრობა იყო. მართლა შეხვდა პაპის ბრძანებითაო".

ურბანოს კოლეჯში იოსებმა შეისწავლა ფილოსოფია და თეოლოგია, ზედმიწევნით დაეუფლა ევროპულ ენებს და ამრიგად ჩინებული განათლება მიიღო. მაგრამ, როგორც ჩანს, მას არ იზიდავდა კათოლიკე მისიონერის კარიერა. იოსებისათვის კათოლიკობის საკითხი უფრო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი იყო, ისევე როგორც ქართველი მეფე-ბატონიშვილებისა და ფეოდალებისათვის. საერთოდ საქართველოში ღვთისმეტყველებას მაინცდამაინც არ ეწაფებოდნენ, გული „საერო" მეცნიერებაზე მიუწევდათ. იოსებმაც ვეღარ გაძლო ურბანოს კოლეჯის ატმოსფეროში, თავგადასავალმოწყურებულს სასწავლებელის ოთხ კედელში რა გააჩერებდა!

1709 წელს სამშობლოში დაბრუნების ნებართვა ითხოვა. ნება დართეს და ცოტაოდენი ფულიც გაატანეს გზის ხარჯად. იოსები რომიდან წამოვიდა, ხოლო ურბანოს კოლეჯის მოწაფეთა დავთარში სამუდამოდ დარჩა მისი მკაცრი ატესტაცია: „ეშმარიტად

ვშფოთვარე და დაუმორჩილებელი სულისაა, და ღმერთმა უწყიბ, რა დაემართება მას“.

ვნახოთ, რა დაეჰართა იოსებ ქართველს, როგორ აეწყო მისი დამოუკიდებელი ცხოვრება. ერთხანს ვენეციაში იმყოფებოდა, შემდეგ კონსტანტინოპოლში გადაბარგდა, საფრანგეთის საელჩოს დაუახლოვდა. თურქული ენის ცოდნა განიმტკიცა. აქვე გაიცნო სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ევროპიდან საქართველოში ბრუნდებოდა და წელიწად-ნახევარი დაყოვნდა კონსტანტინოპოლში. სახელოვანი ქართველი მწერალი „სიტყვის კონას“ ამუშავებდა, იოსებს ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენაში შეუტანია წვლილი.

ბოლოს ვეღარც კონსტანტინოპოლში მოისვენა იოსებმა. ახალი გზები და ქვეყნები ეძახდნენ. მისი ნიჭი და უნარი უფრო მჩქეფარე ცხოვრებას ელტვოდა. 1716 წელს იგი თარჯიმნად ჩაირიცხა საფრანგეთის ელჩობაში, ირანს რომ მიემგზავრებოდა ანეე დე გარდანის ხელმძღვანელობით.

ელჩობის წევრები ჯერ ალეპოში ჩავიდნენ. დაბინავებულან ქალაქგარეთ, სადაც გარდანი ნადირობით იქცევდა თავს. ამასობაში იმარაგებდა თავისი ამალისათვის ოსმალურ ტანისამოსსა და კარგ ცხენებს (გარდანს ინსტრუქცია ჰქონდა მიღებული მთავრობისაგან, რომ არ გაემჟღავნებინა, თუ სად და რატომ მიემგზავრებოდა. საფრანგეთის მთავრობას არ სურდა, რომ ოსმალეთს რაიმე სცოდნოდა ირან-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ).

იოსები, ცხადია, განუზომელ სამსახურს უწევდა ჯარდანს, რომელმაც არ იცოდა აღმოსავლური ენები და ზნე-ჩვეულებანი.

გავიდა ორი თვე და ერთ მშვენიერ ღამეს გარდანის ელჩობამ მალულად მიატოვა იქაურობა. მაგრამ ოსმალეთის ხელისუფალნიც ფხიზლობდნენ. მათ გაიგეს გარდანის გაქცევა და სასწრაფოდ დაადევნეს საჰხედრო რაზმი. ოცი დღის შემდეგ დაეწივნენ და ყველანი დააპატიმრეს. ბრალად დასდეს ჯაშუშობა ავსტრია-ვენეციის სასარგებლოდ (იმ ხანებში ოსმალეთს ომი ჰქონდა მათთან) და მოათავსეს ალეპოს საპყრობილეში, სადაც ძალზე ცუდად ექცეოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ გარდანი და მისი ელჩობის წევრები საფრანგეთის ქვეშევრდომები იყვნენ. ბოლოს წაიყვანეს კონსტანტინოპოლში და საფრანგეთის ელჩმა ძლივს დაიხსნა ისინი პატიმრობიდან.

გარდანის ელჩობა ხელახლა გაუდგა გზას. კონსტანტინოპოლიდან გემით ჩავიდნენ ტრაპიზონს, იქიდან კი არზრუმისა და ერევნის გავლით 1717 წლის ზაფხულში ირანს ჩაღწიეს.

გარდანი ორჯერ მიიღო ირანის შაჰმა. თარჯიმნობდა იოსებ ქართველი. მან ზედმიწევნით იცოდა თურქულიცა და სპარსულიც. თურქული იყო სალაპარაკო ენა სეფიანთა სამეფო კარზე, მაგრამ სახელმწიფო დოკუმენტები იწერებოდა სპარსულად. ასე რომ, თარჯიმნისათვის ორივე ენის ცოდნა იყო აუცილებელი.

უბრალო თარჯიმანი როდი იყო იოსებ ქართველი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის საბუთებში იგი კონსულ გარდანის მდივან-თარჯიმნად არის მოხსენიებული. მართლაც, აქტიურად მონაწილეობდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებში. სწორედ იოსების საშუალებით დაამყარა კავშირი გარდანმა ირანში დაწინაურებულ ქართველებთან, მათ შორის — ვახტანგ VI-თან, რომელიც ამ დროს ირანის სპასალარი იყო (მართალია, სულხან-საბას ელჩობა ევროპაში მარცხით დამთავრდა, საფრანგეთს კვლავ აინტერესებდა „საქართველოს საკითხი").

გაწყდა ხანი. 1722 წლის დამდეგს ავღანები შემოესივნენ ირანს. გადამწყვეტ ბრძოლაში ისპაანის მისადგომებთან სასტიკად დაამარცხეს საზეიმოდ მორთული, მაგრამ ომისათვის მოუმზადებელი და გაუწვრთნელი ლაშქარი და სეფიანთა სატახტო ქალაქს ალყა შემოარტყეს...

როდესაც ისპაანმა დაკარგა ყოველგვარი იმედი დახმარებისა, გარდანისათვის ნათელი გახდა, რომ გარდუვალი კაპიტულაცია კარზე იყო მომდგარი. 20 ოქტომბერს მან უბრძანა იოსებ ქართველს, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მიეღწია ავღანთა ბანაკამდე და მათი წინამძღოლის წინაშე ეთხოვა მფარველობა საფრანგეთის ქვეშევრდომთათვის.

იოსებმა უყოყმანოდ მიიღო ეს პასუხსაგები და სახიფათო დავალება. მან მოახერხა ყიზილბაშთა და ავღანთა საფრონტო ხაზების გადაკვეთა მირ-მაჰმუდს ძვირფას საჩუქრებთან ერთად გარდანის თხოვნაც მიართვა. ავღანთა წინამძღოლმა, ნასიამოვნებმა იმით, რომ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელმა ცნო იგი ირანის შაჰზე ადრე, აღუთქვა ფრანგებს მფარველობა და დაპირდა, რომ არ ჩაფოლთმევდა შაჰის მიერ ბოძებულ სასახლეს ისპაანში, ხოლო კათოლიკე მისიონერებს არ აუკრძალავდა ღვთისმსახურებას.

ავღანებმა ორი-სამი დღით დატოვეს თავიანთ ბანაკში იოსებ ქართველი და ამგვარად დაესწრო იგი მირ-მაჰმუდისა და შაჰ-ჰუსეინის შეხვედრას. ეშმაკმა უწყის, რატომ დატოვეს და რისთვის! თითქოს განჭვრიტეს, რომ მათი ტრიუმფის უშუალო მოწმე და თვითმხილველი იოსები ყველაფერს კეთილსინდისიერად აღწერდა და მისი უნიკალური ინფორმაცია დაიბეჭდებოდა სხვადასხვა ავტორთა წიგნებში (ლათინურ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე).

სეფიანთა დინასტიის დამხობის ყველაზე დეტალური და უტყუარი სურათი ისტორიას შემოუნახა ქართველმა მწერალმა.

რაც შეეხება გარდანის მიერ დაკისრებულ მისიას, აშკარაა, რომ იოსების დიპლომატობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მირ-მაჰმუდი გაცილებით რბილად მოეპყრო საფრანგეთის ქვეშევრდომთ, ვიდრე ინგლისელ, ჰოლანდიელ, ინდოელ და სომეხ ვაჭრებს, რომელთაც უზარმაზარი კონტრიბუციები შეაწერა და გაჩენის დღე აწყევლინა. ფრანგები კი სულ რაღაც ოცდაათი თუმნით დაზარალდნენ. ავღანთა მიერ მოხვეჭილი ზღაპრული ნადავლის ზღვაში ეს მართლაც რომ ერთი წვეთი იყო.

იოსები დიდხანს აღარ დარჩენილა ისპაანში, სადაც დამპყრობელთა განუკითხავი ტერორი ბატონობდა. 1724 წლიდან იგი უკვე კონსტანტინოპოლში იმყოფება საფრანგეთის საელჩოს თარჯიმნად.

აქ შეხვდა საქართველოს კათალიკოს დომენტის (ვახტანგ VI-ის უმცროს ძმას) და დაეხმარა ოსმალეთის დიდვეზირთან აუდიენციის მიღებაში, თუმცა უმტკიცებდა ოსმალთა ხელზე დარჩენილ კათალიკოსს, რომ „საფრანგეთი სჯობს ამასო“ (ე. ი. ოსმალეთს). იოსები ამასვე იმეორებს მამი-კლერაკის მიერ დამოწმებულ იტალიურ თხზულებაში, ქართული ანდაზის მოშველებით („თუნდა ოსმალოს დანდობიხარ და თუნდა ტალღას `დაყრდნობიხარო“). ხსენებულმა ისტორიკოსმა სწორედ კონსტანტინოპოლში გაიცნო იოსებ ქართველი და ყველაზე უხვი ცნობები დაგვიტოვა მისი ვინაობისა და მოღვაწეობის შესახებ.

მამი-კლერაკი მოგვითხრობს, რომ ირანში მომხდარმა სენსაციურმა ამბებმა ისეთი ხმაური და მითქმა-მოთქმა გამოიწვია კონსტანტინოპოლში, სხვა არაფერზე აღარ ლაპარაკობდნენო, თუმცა ისიც კი არ იცოდნენ წესიერად, აიღეს თუ არა ავღანებმა სეფიანთა სატახტო ქალაქი.

მამი-კლერაკს უკვე ხელთ ჰქონდა ზოგიერთი მასალა ესპაანის ალყაზე, მაგრამ განსაკუთრებით აღაფრთოვანა იგი იოსების თხზულების წაკითხვამ და მერე — თვით ავტორის გაცნობამ. მამი-კლერაკი პროფესიით სამხედრო ინჟინერი იყო და უცებ გადაწყვიტა ისტორიული ნაშრომის დაწერა. „ამის შესახებ ვესაუბრე ბატონ იოსებს, — გვიამბობს იგი, — რომელმაც მომიწონა ეს აზრი".

ნახევარი წლის განმავლობაში იოსებ ქართველი თითქმის ყოველდღე ხვდებოდა მამი-კლერაკს და აძლევდა ვრცელ შენიშვნებსა და ახსნა-განმარტებებს. ამიტომაც უწოდებს მას ფრანგი ისტორიკოსი თავის „მეგზურს" და იოსების მასალებს მიიჩნევს ყველაზე ძვირფას წყაროდ თავისი გამოკვლევისათვის. ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ „ამ ქართველმა" იცოდა მრავალი ევროპული და აღმოსავლური ენა, ჰქონდა მდიდარი მეხსიერება, ცოცხალი და საღი გონება, ფართო ერუდიცია ისტორიასა და გეოგრაფიაში.

მამი-კლერაკის სამტომიანი წიგნი („სპარსეთის ისტორია ამ საუკუნის დამდეგიდან") გამოქვეყნდა პარიზში 1750 წელს. წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ნაწყვეტებს იოსებ ქართველის მიერ იტალიურ და ფრანგულ ენაზე დაწერილი თხზულებებიდან. ასე გააცნო იოსების კალამმა ევროპელ მკითხველს ქართველ მეფეთა (გიორგი XI, ქაიხოსრო, ვახტანგ VI) სახელები და საქმენი.

რა დაემართა საბოლოოდ იოსებ ქართველს? საფიქრებელია, რომ იოსები დაბრუნდა ირანში გარდანის დასახმარებლად. თვით გარდანის სიტყვით, როდესაც იგი გამოემგზავრა ესპაანიდან 1730 წელს, საფრანგეთის კონსულის რეზიდენციაში დარჩენილან კაპუცინი მისიონერი და ქართველი თარჯიმანი, რომელიც უთუოდ იოსები უნდა იყოს. მაგრამ მისი შემდგომი ბედი გაურკვეველია.

ვინ იცის, სად, როდის და როგორ განუტევა თავისი „მშფოთვარე და დაუმორჩილებელი სული" იოსებ ქართველმა, შესანიშნავმა ისტორიკოსმა და დიპლომატმა...



ამორძალთა დარად

„აღიღეს ისპაანი ავღანთა“, — ძუნწად გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი.

მთელი იმდროინდელი მსოფლიო შეაწრიალა ამ უჩვეულო მოვლენამ. ევროპაში წიგნები იწერებოდა ავღანთა მიერ ისპაანის აღებაზე. ლეგენდებით ივსებოდა მათი წარსული და აწმყო, მეომართა კეულადობა და სარდალთა გონიერება. გულმოდგინე შეეწავლის საკანი შეიქნა თვალისმომჭრელი მეტამორფოზა — ირანის ქვეშევრდომთა გადაქცევა ირანის ბატონ-პატრონებად, ჩაგრულთა ფანტასტიკური აღზევება მჩაგვრელებზე. ავღანთა წინამძღოლს მირ-მაჰმუდს, რომელმაც წერტილი დაუსვა სეფიანთა დინასტიის ბატონობას ირანში, უწოდეს ახალი ოლივერ კრომველი. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ბელადის სახელი, ალბათ, არც ჰქონდა გაგონილი ავღანთა წინამძღოლს და ამიტომაც ვერ მოხიბლავდა ესოდენ საპატიო შედარება; მისთვის ისიც იყო საკმარისი, რომ ირანის ხელმწიფედ გამოაცხადა თავი და ისპაანის კედლებთან მირ-მაჰმუდად მისული უკვე შაჰ-მაჰმუდად უნდა შესულიყო ისპაანში.

1722 წლის 25 ოქტომბერს ავღანებმა დაჩოქილი ქალაქის კარი შეაღეს.

ალბათ, სიზმარში ეგონათ თავი ისპაანის მცხოვრებთ. თვალს ან უჯერებდნენ შიმშილისაგან ლანდად ქცეული ადამიანები. მართლაც სიზმარს ჰგავდა ყველაფერი, დაუჯერებელ და წარმოუდგენელ სიზმარს, რომელსაც არავინ მოელოდა.

სეფიანთა იმპერიის სატახტო ქალაქი, მთელს დუნიაზე სახელგანთქმული ისპაანი ეგებებოდა ახალ პატრონს. თავისი მოსახლეობის ნახევარიღა შერჩენოდა ცოცხლებში ექვსთვიანი ალყის გამო ნაშიმშილარ ქალაქს, ღონეგაწყვეტილსა და დამარცხებულს. იდ-

გნენ ისპაანის ქუჩებში მისი მცხოვრებნი და მორჩილი ღიმილით ეგებებოდნენ სატახტო ქალაქის დამპყრობლებს. ავღანთა საზეიმო პროცესია მძიმე ნაბიჯებით უახლოვდებოდა სეფიანთა დინასტიის შაჰების სასახლეს.

ისპაანის ქუჩებს ჯერ კიდევ ახსოვდათ სიხარულისა და აღფრთოვანების მოგვრელი სურათები. სულ რაღაც ერთი საუკუნის წინათ სეფიანთა ამაყად აფრიალებული დროშების ტყე მოედებოდა ქუჩებსა და მოედნებს; შაჰ-აბასის ძლევამოსილი ლაშქარი ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან. ჩაივლიდნენ ისპაანის ქუჩებს აურაცხელი ნადავლით დატვირთული ყიზილბაშები და ნაალაფევ დროშებს დაახვავებდნენ თავიანთი მრისხანე მბრძანებლის ფეხქვეშ. ჩამოჰყავდათ სხვადასხვა ჯურისა და მოდგმის ტყვეები, იზრდებოდა ქვეყნის დოვლათი, ახლობელსა თუ შორეულ ქვეყნებში ვრცელდებოდა პარიკური მითქმა-მოთქმა ყიზილბაშთა ხმლის უძლეველობაზე. ჩამოდიოდნენ ისპაანში დასავლეთის სახელმწიფოთა ელჩები და მეგობრობა-მოკავშირეობას სთავაზობდნენ შაჰ-აბასს.

...ზარ-ზეიმით მოედინებოდა საზეიმო პროცესია. ავღანთა სარდლებს შორის შერეულიყვნენ სეფიანთა ირანის დიდებულნი. პროცესიას ამშვენებდა ალისფერ სამოსელში გამოწყობილი სამასი ზანგი. ისინი შაჰის მონათაგან ამოერჩიათ ავღანებს და შაჰეფის მცველთა რაზმი შეექმნათ.

ავღანთა წინამძღოლს ხელმარცხნივ მოჰყვებოდა სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი ხელმწიფე, გვირგვინმოხდილი, უიარაღო, უჯარო და უძლური შაჰ-ჰუსეინი. მან ჯერ კიდევ არც იცოდა, რომ ავღანები ტახტიდან ჩამოგდებას არ აკმარებდნენ და ხუთიოდე ცოლსა დაუტოვებდნენ მისი მრავალრიცხოვანი და უბრწყინვალესი ჰარამხანიდან.

საზეიმო პროცესიას უკან მოსდევდა ათასამდე აქლემი. თითოეულ მათგანს ზამბურაკი ჰქონდა აკიდებული. აქლემის ზურგზე მოკალათებული ავღანები დროდადრო ზამბურაკთა გრიალით ავონებდნენ ქალაქს — ახალი ბატონები მოვდივართო. ექვსასი დამკვრელი დაუღალავად აბრაგუნებდა დოლს და აჭყვიტინებდა ზურნას. საზეიმო პროცესიის თავში ჩამდგარი ათი რჩეული მხედარი ხმამაღლა წარმოთქვამდა წყევლას ყიზილბაშური რჯულის მიმდევართა მისამართით.

მთელ გზაზე, რომელიც უნდა გაევლო პროცესიას, მაღალ ნა-

გებობათა ბანებსა და მეჩეთის მინარეთებზე თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი ავღანი მეომრები იდგნენ და ფხიზლად ადევნებდნენ თვალს არემარეს, რაიმე ხიფათს რომ არ გადაჰყროდა მაჰმუდი. მაგრამ ისპაანის მოსახლეობა ისე დაშინებული და თავზარდაცემული იყო მოჰხდარი უბედურებით, რომ თითის განძრევაც არავის უფიქრია. ვარდა ამისა, ისპაანის მცხოვრებნი ერთგვარი იმედით ხვდებოდნენ დამპყრობლებს. რომელთაც შეეძლოთ შიმშილის მოსპობა სასიკვდილოდ განწირულ უზარმაზარ ქალაქში.

ფიანდაზი გაუშალეს მაჰმუდს და მორჩილი ღიმილით ეგებებოდნენ. როდესაც ავღანთა წინამძღოლმა მიაღწია შაჰის სასახლეს, მისმა მეომრებმა ერთხმად დასტაცეს: „ალაჰ, ალაჰ!“, თითქოსდა მადლობას უხდიდნენ უზენაეს მბრძანებელს იმ დიდი ჯილდოსათვის, რომელსაც ისპაანი ერჩვა.

მაჰმუდი შებრძანდა სასახლის ჭისაღებ ღარბაზში, დაბრძანდა შაჰის ტახტზე, იხმო უბედური შაჰ-ჰუსეინი და ირანის ყოფილმა ხელმწიფემ კიდევ ერთხელ აღიარა ახალ ხელმწიფედ ავღანთა წინამძღოლი. ხოლო სეფიანთა სამეფო კარის ვეზირებმა და დიდებულებმა ერთგულება და მორჩილება შეჰფიცეს მაჰმუდს. ცოტა ხნის შემდეგ ზარბაზნების ქუხილმა ამცნო ისპაანის მოსახლეობას, რომ სეფიანთა ტახტზე ახალი მბრძანებელი დამკვიდრდა.

ასე დაიწყო ირანში ავღანთა ბატონობის პერიოდი, რომელიც ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი და სისხლიანი გამოდგა.

მაჰმუდი იმყოფებოდა შორ მანძილზე თავისი სამშობლოდან, სანახევროდ დაპყრობილი ქვეყნის შუაგულში. მისი ლაშქარი ახალი ძალებით არ ივსებოდა და სამეფო ტახტის უზურპატორი რჩებოდა ათი ათასი მეომრის ანაბარა. მიუხედავად დიდი გამარჯვებისა, ავღანთა მდგომარეობა არ იყო საზარბიელო და დღითი დღე რთულდებოდა. დამხობილი სეფიანთა სახელმწიფოს მიწებზე სხვა ქვეყნებსაც ეჭირათ თვალი. დასავლეთიდან ოსმალეთი მოიწევდა, ჩრდილოეთიდან — რუსეთი. ცხადია, მაჰმუდს მშვენივრად ესმოდა, რომ თავისი ათი ათასი მეომრით ასეთ ლაშქარმრავალ ქვეყნებს ვერ გაუმკლავდებოდა. ავღანთა საბედნიეროდ, რუსეთი და ოსმალეთი ერთმანეთში ვერ მორიგებულიყვნენ. ორი დიდი მტრის არსებობა უკეთესი იყო ავღანთათვის, ვიდრე ერთადერთისა, მაგრამ სეფიანთა იმპერიის საზღვრებში შემოჭრილი გიგანტები ერთ

ადგილზეც რომ შეჩერებულიყვნენ და წინ აღარ გადმოედგათ ნაბიჯი, მაჰმუდი მაინც ვერ დაიძინებდა მშვიდი ძილით.

იყო კიდევ ერთი კერა საფრთხისა. ალყაშემორტყმული ისპაანიდან გაქცეული უფლისწული თამაზ-მირზა თავრიზში დაბანაკდა და თავის მამა-პაპათა ტახტზე ოცნებობდა. მართალია, იგი უფრო ქეიფსა და განცხრომას ანდომებდა დროსა და ღონეს, ვიდრე საბრძოლო სამზადისს, და ოცნება ოცნებადვე რჩებოდა, მაგრამ მაჰმუდმა რიდი იცოდა, რომ გაქცეული უფლისწული ისეთივე ქარაფშუტა და უსუსური იყო, როგორც ტახტიდან ჩამოვდებული შაჰ-ჰუსეინი. შიშს დიდი თვალები აქვსო და მაჰმუდს დღენიადაგ ეჩვენებოდა, რომ თამაზ-მირზა გაცხარებით ამზადებდა ჯარებს ისპაანის ხელში ჩასაგდებად. ერთი სიტყვით, საითაც არ გაიხედავდა ავღანთა წინამძღოლი, ყოველი მხრიდან საფრთხე ემუქრებოდა და მოსპობას უქადდა. თვით ისპაანშიც ეგულებოდა მტრები და დამორჩილებულ ყიზილბაშებს ეჭვის თვალით უყურებდა.

სეფიანთა სახელმწიფოს დიდკაცები კი მაინცდამაინც არ იტკივებდნენ თავს ავღანთა განდევნაზე ფიქრით და ცდილობდნენ რამენაირად შეგუებოდნენ დამპყრობლებს, ეამებინათ და სამაგიეროდ უდარდელი ცხოვრება მოეხვეჭათ, როგორც შაჰ-ჰუსეინის დროს. მაგრამ უბრალო ხალხი დრტვინავდა: სწორედ გლეხებსა და ხელოსნებს დაეწვათ ყველაზე მძიმედ დამპყრობელთა უღელი. თანდათანობით მწიფდებოდა აჯანყება.

შეშფოთებულმა მაჰმუდმა გადაწყვიტა ულმობელი ტერორით დაეშინებინა მოსახლეობა. მან საგანგებო წვეულებაზე მიიპატიჟა სეფიანთა სახელმწიფოს ვეზირები, ამირები და დიდმოხელენი. ისინიც სიხარულით ეწვივნენ ირანის ახალ ხელმწიფეს. სამასმა კაცმა მოიყარა თავი და როგორც კი მიუსხდნენ სუფრას, მაჰმუდის მეომრებმა შეუბრალებლად გაჟლიტეს ისინი.

სხვებთან ერთად მოკლულ იქნა თორმეტი წლის ვაჟი გულნაზადის ომში დაღუპული როსტომ ბატონიშვილისა (ვახტანგ VI-ის უმცროსი ძმისა). ეს ყმაწვილი შვილად ჰყავდა აყვანილი ავღან ასისთავს, მაგრამ ჯალათებმა გამოჰგლიჯეს მამობილს და მოკლეს.

დახოცილთა გვამები სასახლის წინ მოედანზე დაყარეს ხალხის დასაშინებლად. შესაძლებელი შურისძიების თავიდან ასაცდენად მაჰმუდმა ბრძანა, დახოცილთა შვილებიც ამოეჟლიტათ. ორასი ბავშვი, ირანისა და საქართველოს წარჩინებულ პირთა შვილე-

ბი, გამოიყვანეს სასწავლებლიდან და ტრიალ მინდორში გარეკეს. შემდეგ კი უბრძანეს: გაიქეცით, თორემ სიკვდილი არ აგცდებათო. ისინიც დაემორჩილნენ ბრძანებას, სხვა რა გზა ჰქონდათ, და გაიქცნენ. ავღანმა მხედრებმა წადირობა გაბმართეს. გარბოდნენ ბავშვები, ავღანები ჭენებით მისდევდნენ და უმოწყალოდ მუსრავღნენ. ერთიც არ დაუტოვებიათ ცოცხალი. მაჰმუდმა გამოაცხადა: ისინი შეთქმულებას აწყობდნენ, ტახტიდან ჩემი ჩამოგდება და მოკვლა სურდათო. მტკნარი სიცრუე იყო, მაგრამ ვინ ამოიღებდა ხმას, სისხლიანმა რეპრესიებმა კიდევ უფრო დააშინა ისედაც დაშინებული და ხმაჩაწყვეტილი მოსახლეობა.

...1724 წლის მარტის დამლევს მაჰმუდი თავისი მარბიელი რაზმით ბრუნდებოდა ისპაანში. აბასაბადის ხიდს რომ მიადგნენ, უეცრად ჩოჩქოლი ატყდა ავღანთა შორის. ვიღაც მხედარი ცხენდაცხენ შეიჭრა მათს რიგებში, თავდაუზოგავად ეკვეთა შეცბუნებულ ავღანებს და ოცამდე კაცი თავისი ხმლის ლუკმად აქცია. მაგრამ თვითონაც ვერ გადაურჩა ჭრილობებს, ხელიდან გააგდებინეს ხმალი, შეიპყრეს და მაჰმუდს მიჰგვარეს.

გაოცებას ვერ მალავდნენ ავღანები. სახტად დარჩა მაჰმუდიც. ბევრის მნახველნი იყვნენ ისინი და ბევრის მომსწრენი, ყრმობიდანვე ომსა და სისხლისღვრას შეჩვეულნი, მშობლიური მთებივით პირქუშნი და დაუნდობელნი, მაგრამ ახლა უსაზღვრო გაოცებამ მონუსხა ყველა. სარდალიცა და რიგითი მეომარიც. ასეთი ამბავი არც თვალით ენახათ, არც ყურით სმენოდათ. უცნობი მხედარი, რომელმაც ააფორიაქა მაჰმუდის რაზმი და ოცამდე კაცი იმსხვერპლა, ჰოი, საოცრებავ, თურმე ქალი ყოფილა, ვაჟურად გადაცმული ქართველი ქალი. მისი ქმარი ორიოდე წლის წინათ, ისპაანის ალყის დროს, სწორედ აბასაბადის ხიდზე მოეკლათ ავღანებს.

ორიოდე წლის წინათ, სეფიანთა ირანის ჯარში მყოფი ქართველების რაზმი იცავდა აბასაბადის ხიდს. ვაჟკაცურად იცავდნენ და მედგრად იგერიებდნენ ავღანთა ყოველ იერიშს. მაგრამ ერთ ღამესაც ბრძოლით დაღლილი ქართველები საჭშობლოდან გამოგზავნილ ღვინოს დაეწაფნენ გულის გადასაყოლებლად და ჯავრის გასაქარვებლად. იფიქრეს, ჩვენებური ღვინო რას დაგვაკლებსო და უზომოდ დაეწაფნენ. თრობის ბურანმა ყველას შეუბოჭა ხელ-ფეხი. მსტოვრებმა ფყისვე აუწყეს მაჰმუდს ქართველ მეომართა

საბედისწერო შეცდომა და იმავე ღამეს ავღანელებმა მთელი რაზმი გაანადგურეს აბასაბადის ხიდზე.

ეს ამბავი რომ ჩავიდა საქართველოში, ახალგაზრდა ქვრივმა ცხარე ცრემლით დაიტირა უდროოდ დაღუპული ქმარი და შურისძიების წყურვილმა ყველაფერი გადააავიწყა. ორი პატარა შვილი ჩააბარა თავის ძმას, შენ უპატრონე და თუ ვეღარ დავბრუნდი, ობლები გამიზარდეო. დაუშალეს, მაგრამ ვერ გადააკმევინეს ესოდენ უჩვეულო განზრახვა. ვერც სუსხიანმა ზამთარმა შეაშინა, ვერც შორმა გზამ და მოსალოდნელმა ფათერაკებმა. ვაჟურად გადაიცვა, იარაღი აისხა და ისპაანისაკენ მიმავალ გზას გაუდგა.

მწარე და უსიამო ფიქრთა ჯაჭვით ბორკავდა ქართველი კაცისა თუ ქალის გონებას ისპაანის გზა. ბედკრულთა და განწირულთა გზა ვრქვა მას. მართალია ვერავინ იტყოდა, იქით წასული ბევრი გვინახავს და აქეთ წამოსული არც ერთი გამოჩენილაო, მაგრამ უფრო ხშირად ისპაანის გზამ ქართველი მეფისა თუ უბრალო გლეხის სამუდამოდ დაკარგვა იცოდა. ეს გზა მრავალთათვის ტყვეობისა და დამცირების გზა იყო, წამებისა და სიკვდილის გზა, გათათრებისა და გადაგვარების გზა. ისპაანის გზა ქართველ მეფეს ირანის სპასალარად გადააქცევდა და ქართველ გლეხს — ირანის ლაშქრის უზბაშად. ამ გზას საქართველოსაკენ მოჰყავდა ყიზილბაშთა ურდოები და იმავე ყიზილბაშთა ჰარამხანებში ჩაჰყავდა ქართველი ქალები. სისხლით მორწყული და ძვლებით მოფენილი გზა არავის ინდობდა, არხეინად მიიკლაკნებოდა ისპაანისაკენ, ხან მაღლა აცურდებოდა და უღელტეხილს გადაივლიდა, ხანაც სწორზე მიხრიალებდა, არც იღლებოდა, არც ილეოდა და თავის ზურგზე თითქოსდა მთელი საქართველოს წამოკიდება განუზრახავსო — მაცდურად შლიდა ხელებს, ყველას ეპატიჟებოდა, სიმდიდრესა და სახელს ჰპირდებოდა.

გაუდგა ამ გზას დაქვრივებული ქართველი ქალი, ვაჟკაცურად გადაცმული და იარაღასხმული. უჩვეულო მიზნით აღტკინებული მიეშურებოდა ისპაანისაკენ. ასეთი მგზავრი, ცოტა არ იყოს, უკვირდა ისპაანის გზას — სისხლის ასაღებად წასული ქართველი ქალი!

ზაკცრად ნუ განვსჯით მას, ნუ მოვთხოვთ ბრძნულად აეწონდაეწონა საქმის ვითარება და დაღუპული ქმრის სიყვარული მთლიანად შვილებისათვის გაეწაწილებინა, აღეზარდა ისინი ღირ-

ხეულად და ამით მოეხადა თავისი ვალი როგორც სამშობლოს, ისე ქმრის წინაშე. სად მიდიოდა, რას ფიქრობდა, ნუთუ იმედი ჰქონდა, რომ ცოცხალი გადარჩებოდა და მშვიდობით მობრუნდებოდა ქართლში? ბრძოლა თუ სწყუროდა, რაღა ცხრა მთას იქით გარბოდა მტრის საპოვნელად. ქართლი ოსმალოს ეჭირა და კახეთში ლეკები დათარეშობდნენ. მაგრამ ეს ქალი სახელმწიფო მოღვაწე როდი იყო, რომ ჯერ ქვეყნის სატკივარზე ეფიქრა და მერე — თავისაზე. იგი ჩვეულებრივი ქართველი ქალი იყო, ოღონდ არაჩვეულებრივად უყვარდა თავისი ქმარი, მისი დაკარგვა აუნაზღაურებელ უბედურებად მიაჩნდა, აღარც შვილები ახსოვდა და სიცოცხლე ჩალის ფასად უღირდა. ჩურჩულით ესაუბრებოდა დაღუპულ ვაჟკაცს და ალბათ შესჩიოდა: „უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!“ მართლაც რომ წყეულმა ჟამმა და მუხთალმა საწუთრომ სამარადისოდ გაჰყარა ისინი. სამარადისოდ? ეგებ არა სჯეროდა ქალს, რომ ეს გაყრა სამარადისო იყო. ვინ იცის, იმედი ესახებოდა უდროოდ დაქვრივებულს, რომ ამქვეყნად გაყრილნი მიჯნურნი იმ ქვეყნად მაინც შეიყრებოდნენ, ისევ გაიხარებდნენ ერთმანეთის ხილვით, დატკბებოდნენ ალერსითა და სიყვარულით. ალბათ, აღარ უმძიმდა თავგანწირვა, თუკი ულმობელი სიკვდილი მაინც დაუბრუნებდა დაკარგულ ბედნიერებას.

სწორედ აბასაბადის ხიდთან იდგა და აგერ ავღანთა რაზმიც გამოჩნდა, მხნეობა და საომარი ჟინი გაუსკეცა ქართველ ქალს, როდესაც თვალი შეავლო ისპაანის დამპყრობლებს. წუთიც და უკვე აღარაფერი ახსოვდა, გარდა შურისძიებისა.

...დაჭრილ-დაჩეხილი მიჰგვარეს ავღანთა წინამძღოლს, როცა მაჰმუდმა შეიტყო, რომ უცნობი მხედარი იყო ქართველი ქალი, გაოცებასთან ერთად უნებურმა ალტაცებამ შეიპყრო. ყველაფერზე მეტად სიმამაცეს აფასებდა ველური მთების შვილი, მეომრად დაბადებული და გაზრდილი მაჰმუდი. ჰოდა, როგორ არ მოუგებდა გულს ქართველი ქალის თავგანწირვა და გმირობა.

კიდეც დაავიწყდა მაჰმუდს, რომ მისი რჩეული მეომრები გაისტუმრა საიქიოში ამ ქალის მარჯვენამ. ბუნებით უწყალო და სასტიკი, წვეთ სისხლს რომ არავის შეარჩენდა, ახლა გაქვავებული და დამუნჯებული შეჰყურებდა ქართველ ქალს. რომ ეამბნათ მისთვის, ვერ დაიჯერებდა, მონაჩმახად ჩათვლიდა, მაგრამ ახლა საკუთარი თვალით იხილა აქამდე უნახავი ამბავი. ეგებ სურვილიც

გაუჩნდა. ეკითხა დაჭრილისათვის: აგრე რამ გაგამწარა, ქალო, ხმალი რამ აგაღებინა ხელში, თავი რისთვის შეგვაკალიო. მაგრამ როგორ ეთქვა. როცა ერთმანეთისა არაფერი ესმოდათ. ისედაც მიხვდებოდა ავღანთა წინამძღოლი, თუ რამ მოიყვანა ისპაანში ქართველი ქალი. რასაკვირველია, მიხვდებოდა, რომ მისი თავგანწირვის მიზეზი სადმე გულნაბადთან ან აქვე — აბასაბადის ხიდთან იყო დამარხული მიწაში.

განცვიფრებული ავღანები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. ისევ და ისევ უბრუნდებოდნენ ორიოდე წუთის წინ დატრიალებულ სასწაულს. არა სჯეროდათ, რომ ქალმა მოახდინა ესოდენ ზღაპრული სასწაული. ქართველ მხედრებს მშვენივრად იცნობდნენ ისინი, ახსოვდათ ყანდაარის ბრძოლები, კიდევ უფრო კარგად ახსოვდათ გულნაბადი. სწორედ ქართველ მხედრებზე თქვეს თავმომწონე და ომში გაწაფულმა ავღანებმა, მაგათთან შედარებით დიაცნი ვართო. ამას ამბობდნენ ისინი, რომლებმაც ხელიდან გამოსტაცეს სეფიანთა სახელმწიფოს აუღებელი ყანდაარი, გაუძლეს არაერთ თავდასხმას და ალარ დათმეს უმაგრესი ციხე-ქალაქი. ამას ამბობდნენ ისინი, რომლებმაც უშიშარი მირ-მაჰმუდის წინამძღოლობით თამამად გადალახეს მხურვალე უდაბნოები, ირანის შუაგულში შეიჭრნენ, აიღეს სეფიანთა სატახტო ქალაქი ისპაანი და მთელ მსოფლიოს გააცნეს თავიანთი სახელი და ვინაობა. აი ასეთ სწორუპოვარ მეომრებს თავი დიაცებად ეჩვენებოდათ ქართველ მხედრებთან შედარებით. ახლა კი ქართველმა დიაცმაც დაჯაბნა გამარჯვებითა და საბრძოლო დიდებით მთვრალი ავღანები. ერთმა ქართველმა ქალმა სირცხვილი აჭამა ისპაანის დამპყრობლებს.გაოგნებულნი იდგნენ ისინი და თვალს ვერ აშორებდნენ ვაჟკაცობად გარდასახულ სინაზეს.

მაჰმუდმა სასწრაფოდ გასცა ბრძანება, რომ განეკურნათ დაჭრილი ქალი, არ მოეკლოთ ყურადღება და მზრუნველობა, რასაც იმსახურებდა მისი უჩვეულო და გაუგონარი გმირობა. ასე გადმოგვცემს თადეუშ კრუშინსკი. მეორე წყაროს ცნობით, მაჰმუდმა ციხეში ჩაამწყვდია ქართველი ქალი, ცოტა ხანს იყოს და მერე გავუშვებ, დაე თავის სამშობლოში დაბრუნდესო; მაგრამ ავღანებმა მაჰმუდის ბრძანებას ყური არ ათხოვეს და დატუსაღებული ქალი მოკლესო.

ეს ცნობა საეჭვო უნდა იყოს, ვინაიდან ავღანებთან შეტაკები-

სას მიღებულ ჭრილობათაგან ერთი მაინც იქნებოდა სასიკვდილო და დატყვევებულ ქალს სხვის ჩაურევლადაც მოუსწრაფებდა სიცოცხლეს.

ვინ იცის, რას ამბობდა სიკვდილის პირას მისული გულადი ქართველი ქალი, ტკივილებით გათანგული და სულთმობრძავი. ეგებ ლოცვასავით იმეორებდა გახელებული მიჯნურის — ტარიელის აღგზნებულ სიტყვებს: „აწ მივსწურვილვარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა“.

...XIII საუკუნის ფრანგი მემატიანე წერდა ქართველ ქალთა შესახებ: ისინი ამორძალთა დარად შეიარაღებულნი რაინდებს ესარდამხარ იბრძვიანო. ხუთი საუკუნის შემდეგ, უცნობმა ქართველმა ქალმა ისპაანში, აბასაბადის ხიდთან, კიდევ ერთხელ დაადასტურა ფრანგი მემატიანის ნათქვამი.



თქვენი ძველი მეგობარი ჯუზეპე

„ჩვენ ვართ ერნი შენნი და ცხოვარნი სამწყსოსა შენისანი. დაკარგულნი მოგვიძიენ, მოგვიტაცენ პირისაგან მგელთასა, ნუ გაგვწირავ და გამოგვიხსენ“, — ასე მიმართავდა XVII საუკუნის დამლევს ბარძიმ ალაგვის ერისთავი რომის პაპს.

ორ მაჰმადიანურ სახელმწიფოს შუა მოქცეული ქრისტიანული ქვეყანა შველას ევედრებოდა დასავლეთს.

საქართველოში კათოლიკობის გავრცელება და ურთიერთობა რომის ეკლესიასთან პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. ამ ტენდენციას ჯერ კიდევ XIII საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით ხაზს უსვამდა ივანე ჯავახიშვილი: „საქართველოს მშართველი წრეებისათვის რომის ეკლესიასთან შეერთების საკითხს უფრო პოლიტიკური მიზანი ჰქონდა, ვიდრე სარწმუნოებრივი“.

რომის პაპის მისიონერთა საქმიანობას განსაკუთრებით დიდი გასაქანი მიეცა XVII საუკუნის 80-იან წლებში (გიორგი XI-ის მეფობის დროს), როდესაც დღის სინათლეზე ისევ იქნა გამოტანილი საქართველოს გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის იდეა.

ქართველები კათოლიკობას ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ. კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებდნენ და დახმარებას ელოდნენ კათოლიკური საფრანგეთისაგან. საყოველთაოდ ცნობილია ქართველი მეფე-ბატონიშვილებისა და მოწინავე ფეოდალთა მჭიდრო ურთიერთობა კათოლიკე მისიონერებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ გიორგი XI და ბარძიმ ერისთავი, ლევან და ქაიხოსრო ბატონიშვილები, ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი.

კათოლიკე მისიონერთა საქმიანობა კათოლიკური სარწმუნოების ქადაგებით არ ამოიწურებოდა. მისიონერებს შორის იყვნენ ექიმები და მხატვრები, ინჟინრები და გეოგრაფები, ისტორიკოსები და ეთნოგრაფები.

აჯელო ტოსკანელი იტალიურ ენას ასწავლიდა გიორგი XI-ის ძეს — ბაგრატს, ხოლო რეჯინალდო ლენთინელი ასტრონომიის საკვეთილებს უტარებდა ვახტანგ VI-ს. იტალიელი მისიონერები ესმარებოდნენ სულხან-საბას ლექსიკონზე მუშაობისას. ფიქრობენ, რომ ვახუშტი ბატონიშვილს თავისი კარტოგრაფიული მუშაობა ასევე მისიონერთა თანამშრომლობით უნდა შეესრულებინოს. მაგრამ ხალხში განსაკუთრებით გაითქვეს სახელი მისიონერებმა ეჭიმობითა და სნეულთა მოვლა-პატრონობით. 1684 წელს ქართლში შავი ჭირის ეპიდემია ყოფილა და ნახევარი წელიწადი გაგრძელებულა, მრავალი ადამიანი უმსხვერპლია გორსა თუ თბილისში. იტალიელი მისიონერი კარლო პეშელი არ გახიზნულა გორიდან და დაუწყია უპატრონოდ დარჩენილ სნეულთა მოვლა. ამასობაში თვითონაც გამხდარა ავად, მაგრამ მალე განკურნებულა. ისევ გაუგრძელებია თავისი მადლიანი მოღვაწეობა, მერე ხელმეორედ შეპყრია შავი ჭირი და ამჯერად ვეღარ გადარჩენილა...

მ. თამარაშვილის წიგნის ფურცლებზე უხვად არის დამოწმებული პროგრესულ ქართველ მოღვაწეთა მიმოწერა რომის ეკლესიის მესვეურებთან. მაგრამ თვით ავტორის სიტყვით, მის მიერ შეკრებილი საბუთები საქართველოს შესახებ მხოლოდ მცირე ნაწილია იმ საბუთებისა, რაც დაკარგულა. ერთ-ერთ ასეთ დაკარგულ საბუთად მ. თამარაშვილს მიაჩნდა ლევან ბატონიშვილის წერილი: „გიორგი მეფის ძმას, ლევანს, ირანის მსაჯულთუხუცესს, რომს მიუწერია, მსურს კათოლიკობას შევუერთდეო. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი წერილი დაკარგულია. ამიტომ მისი ნეტი არაფერი ვიცით. ვფიქრობთ, რომ ეს წერილი უნდა იყოს გაგზავნილი რომს 1707 წელს“.

როგორც ირკვევა, ეს წერილი არ დაკარგულა. მშვიდობით ჩასულა რომში, წაუკითხავთ, განუხილავთ და მერე საიმედოდ შეუნახავთ. ვინ იცის, როდემდის იქნებოდა ვატიკანის უზარმაზარი არქივების მტვერში მიგდებული და მდუმარე, რომ უკვე ჩვენს დროში არ აღმოეჩინა მკვლევარის დაკვირვებულ თვალს.

1939 წელს ლონდონში ინგლისელმა მონაზონმა, კარმელიტთა ერთ-ერთი სასწავლებლის აღზრდილმა, გამოსცა საბუთები კარმელიტთა ორდენის ისტორიიდან ორ ტომად შემდეგი სათაურით „კარმელიტთა ქრონიკა ირანში XVII—XVIII სს“; ეს საბუთები უპირატესად ეპისტოლური ხასიათისაა (კარმელიტი მისიონერების

მიმოწერა რომთან) და მოპოვებულია, ძირითადად, ვატიკანის არქივებიდან.

დასახელებული წიგნი მოიხსენიებს ერთ ვრცელ საბუთს ქართულ ენაზე და ამგვარად ახასიათებს ქართულ ხელნაწერს: „მშვენიერი ნიმუში კალიგრაფიისა, რომელიც იმსახურებს უფრო მეტ მნახველს, ვიდრე ეს შესაძლებელია მის აწინდელ მდგომარეობაში".

იქვე მოტანილია წერილის მოკლე შინაარსი: რომს გაგზავნილ მიმართვაში „ლეონ" — ირანის უზენაესი მსაჯული (ანუ დივანბეგი) და საქართველოს მეფე ამბობს, რომ იგი ერთხანს იმყოფებოდა თავისი ძმის, შაჰის ვასალის, მძევლად ირანში და განაგრძობს, რომ სამიოდე წლის წინათ შაჰის ბრძანებით ვაემგზავრა თბილისს, რათა ხელთ აეღო ქვეყნის მმართველობა და თავისი ვაჟი დაესვა ვიცე-მეფედ. გარდა ამისა, წერილის ავტორი განმარტავს, თუ როგორ პირობებში მოუხდა მას ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფა, ე. ი. გაშაჰმადიანება და გამოთქვამს ხურვილს — რომის პაპმა იცნოს იგი კათოლიკე ქრისტიანად.

„კარმელიტთა ქრონიკის" გამომცემელი თვლის, რომ ეს წერილი ეკუთვნის ხოსრო-ხანს (ასე უწოდებდნენ ირანში ქაიხოსრო პატონიშვილს); მისი აზრით, სახელი „ლეონ" იგივეა, რაც ლათინური „ლეო" (ე. ი. ლომი) და „ხოსროც" ლომს ეწოდებაო სპარსულ ენაზე.

სინამდვილეში „ხოსრო" სპარსულად ნიშნავს ხელმწიფეს ანდა მბრძანებელს, ხოლო საქართველოს ისტორიის მცოდნისათვის წერილის შინაარსიდან ცხადზე ცხადია, რომ იგი ეკუთვნის არა ქაიხოსროს, არამედ ლევან ბატონიშვილს.

ამას თვალნათლივ ამტკიცებენ ქართული წყაროები.

1688 წელს გიორგი XI-მ მძევლად წარგზავნა ისპაანს თავისი უმცროსი ძმა ლევანი. მეამბოხე ქართლის მეფის მძევალი ერთხანს შორეულ ჰერათში იყო გადასახლებული, მაგრამ XVII საუკუნის დამლევს სეფიანთა ირანის ახალმა ხელმწიფემ შაჰ-ჰუსეინმა შემოირიგა გიორგი XI. ჰერათიდან სასწრაფოდ იხმეს ლევან ბატონიშვილი და ირანის ტერიტორიაზე შემოსეულ ბელუჯ-ავღანთა მეკობრე ტომებთან საბრძოლველად უკრეს თავი. დავალება პირნათლად შეასრულა და გაწეული სამსახურისათვის იგი დანიშნულ იქნა ირანის დივანბეგად ანუ მსაჯულთუხუცესად. 1703

წელს. როდესაც გიორგი XI-ს უბოძეს ქართლის მეფობა, სწორედ ლევანს დაევალა ჩასვლა ქართლში და იქაური საქმეების მოწესრიგება. მან წელიწად-ნახევარი დაჰყო სამშობლოში, „განაგნა ყოველნი საქმენი ქართლისანი", მერე თავისი ძე — ვახტანგი დატოვა ქართლის ჯანიშინად (ანუ მოადგილედ) და თვითონ კი ირანს დაბრუნდა.

ამრიგად, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ „კარმელიტთა ქრონიკის" ფურცლებზე ბინა დაუდვია ლევან ბატონიშვილის წერილს. რომლის არსებობა სხვა მასალებიდან იცოდა მ. თამარაშვილმა, მაგრამ თვით წერილი დაკარგული ეგონა.

„კარმელიტთა ქრონიკის" გამომცემელს ერთმანეთში რომ აურევია მამა-შვილის სახელები (ლევანი — ქაიხოსრო), გასაკვირი არც არის. ასეთი აღრევა ზოგჯერ თვით ევროპული წყაროებიდან მომდინარეობს. ასე მაგალითად, თადეუშ კრუშინსკის მიხედვით, 1703 წელს გიორგი XI-ის ძმისწული ხოსრო-ხანი დანიშნეს მის მოადგილედ საქართველოში (როგორც ზემოთ ითქვა, ეს იყო ლევანი და არა ქაიხოსრო). იმავე „კარმელიტთა ქრონიკაში" ერთ ადგილას ლევანის ნაცვლად კვლავ მისი უფროსი ვაჟიშვილია დასახელებული (არჩილი, გიორგი და ქაიხოსრო ძმები არიანო).

შესაძლოა, ეს უმნიშვნელო შეცდომები გამოწვეულია იმით, რომ ირანში მყოფ ქართველ მეფე-ბატონიშვილთაგან სწორედ ქაიხოსრო იჩენდა ყველაზე მეტ აქტიურობას რომის ეკლესიასთან ურთიერთობაში.

1707 წელს ქაიხოსრო წერილობით ეკითხებოდა რომის პაპს, რომში რომ ჩამოვიდე, თავშესაფარს თუ მომცემთო.

პასუხი დაუგვიანეს და მხოლოდ 1711 წლის დამდეგს მოსწერეს: პაპი მზად არის დიდი სიყვარულით მიგიღოთ ამ ქალაქში და თავისთან სამუდამოდ შეგინახოთ, თუ აქ შემოხიზვნა დაგჭირდეთო; ინებოს ღმერთმა თქვენი დიდებულების უვნებლად დაცვაო.

არაა ცნობილი, ჩაუსწრო თუ არა ამ წერილმა ქაიხოსროს, ქართლის მეფესა და ირანის სპასალარს შორეულ ავღანეთში, სადაც იგი იმავე წლის შემოდგომაზე დაიღუპა. მის გვერდით მოკლულ იქნა კარმელიტთა ორდენის მისიონერი, სახელად ბასილი, წარმოშობით ფრანგი, რომელიც ყველაზე ახლოს იყო ირანში მყოფ ქართველ მეფე-ბატონიშვილებთან და კერძოდ — ქაიხოსროსთან. სწორედ მისი ხელით ითარგმნებოდა რომს გასაგზავნი წერილები.

1710 წლის 29 იანვრით დათარიღებულ წერილში ბასილი აღნიშნავს ქაიხოსროს შესახებ: „შაჰმა იცის, რომ იგი ყასიდად მაჰმადიანობს, მაგრამ ვინაიდან ესაჭიროება ომში, ამ გარეშოებაზე თვალს ხუჭავს“.

ყანდაარში წასვლამდე ქაიხოსროს უთქვამს პარიზელი ბერისათვის: როგორც კი მოიცლი, მაშინვე ჩემთან გაჩნდი, სადაც არ უნდა ვიყო; მსურს გვერდით მყავდე, რადგან მარტო შენ გენდობიო.

საუდამოდ დარჩება დაუდგენელი, მართლა აპირებდა თუ არა ქართლის მეფე მაჰმადიანური სარწმუნოების უარყოფას, ყანდაარის ლაშქრობა რომ დამთავრდებოდა (როგორც ამტკიცებენ ევროპული წყაროები). ბედისწერამ რკინის ხელით დახურა ქაიხოსროს ცხოვრების წიგნი და დატოვა შეუვსებელი ფურცლები. ვინ იცის, რა დაიწერებოდა ამ ფურცლებზე...

* *

არსებობს იტალიურ ენაზე შედგენილი ერთი წერილი, რომელიც დაცულია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. ჩვენი საუკუნის დამდეგს იგი თარგმნა და გამოაქვეყნა ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა მ. თამარაშვილმა.

ეს წერილი, უპირველეს ყოვლისა, იმით იპყრობს ყურადღებას, რომ მისი ავტორიცა და ადრესატიც ქართველები არიან. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — ქართველი ერის ორი სახელოვანი შვილი, ქართული კულტურის ორი გამოჩენილი მოღვაწე, საშობლოსათვის თავდადებული ორი ადამიანი.

მაშ ასე, ქართველ კაცი თვისტომს უგზავნის წერილს იტალიურ ენაზე. თუმცა თვითონ არც იცის ეს ენა და, საწუხაროდ, ადრესატსაც ერთობ გაუჭირდება მისი წაკითხვა.

ეს უცნაური წერილი 1714 წლის 20 თებერვალს სეფიანთა ირანის სატახტო ქალაქ ისპაანიდან ვახტანგ VI-მ მისწერა თავის ბიძას სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც უკვე საფრანგეთს იყო ჩასული და ქალაქ მარსელიდან პარიზისაკენ გასამგზავრებლად ემზადებოდა, რათა შეხვედროდა საფრანგეთის მეფეს, მოეხსენებინა ისპაანს მყოფი ვახტანგის გასაჭირი და ეთხოვა პოლიტიკურ-ეკონომიკური დახმარება დიდი საფრანგეთისაგან პატარა საქართველოსათვის.

მაგრამ რატომ არის ვახტანგის წერილი შეთხზული იტალიურად? ამაზე თვით წერილის ტექსტი გვაძლევს პასუხს, კერძოდ მისი ერთი ნაწყვეტი, სადაც ვკითხულობთ:

„ვერ ვბეღავ და ჩემი ხელით ვერაფერსა გწერ, რადგან მეშინია ჩემის ძმის იესესი, რომელიც. როგორც მუდამ განდგომილი მტერი და ეშმაკი, ისე დამტრიალებს გარს, რათა შთანმთქაა; ამას ყველას შეიტყობთ თქვენი ძველი მეგობრის ჯუზეპესაგან, როდესაც ის საფრანგეთს მოვა. იმედი მაქვს, ამ დიდი მარხვის შემდგომ წამოვიდეს. ძლიერ მეძნელება მისი გამოშვება, რადგან მარტო ეს არის, რომელიც ყოველდღე ჩემთან მოდის და მანუგეშებს... დავშთები შარად, როგორც აქამდე ვიყავი, ჩემი ყოვლად საყვარელი პატრონ ბიძის უმდაბლესი დისწული. მეფის მაგიერ — მათი ყოვლად მდაბალი, უერთგულესი და დიდად დავალებული მსახური ჯუზეპე ფრესკურატი ვერონეზე“.

ვინ არის ამ წერილში მოხსენიებული ჯუზეპე, ძველი მეგობარი საბასი? სად შეხვდნენ ისინი ერთმანეთს, სად დამეგობრდნენ?

უნდა ვიფიქროთ, რომ საბას ძველი მეგობარი ჯუზეპე, ნუგეშისმცემელი ვახტანგისა, არის იმავე წერილის იტალიურ ენაზე მთარგმნელი — ჯუზეპე ფრესკურატი ვერონეზე.

საბჭოდნიეროდ, არა მარტო ვახტანგის წერილს შემოუნახავს ჯუზეპე ფრესკურატის სახელი. ჯუზეპეს ვინაობას აზუსტებს ფრანგი ისტორიკოსი მამი-კლერაკი. მისი თხზულების წყაროთა კატალოგში მითითებულია ჯუზეპე ფრესკურატის ორი წერილიც, გაგზავნილი ხორასნიდან (ირანის აღმოსავლეთი პროვინციაა), სადაც იგი იმყოფებოდა ქართლის მეფისა და ირანის სპასალარის ქაიხოსრო ლეონის ძის მთავარ ქირურგად.

1710 წლის ნოემბერში ქაიხოსრო თავისი ლაშქრით დაბანაკდა ავღანეთის საზღვრებთან, ქალაქ ფარას მიდამოებში და დროებითი ზავი ჩამოაგდო შეამბოხე ავღანებთან. ჯუზეპე ფრესკურატის წერილები გამოგზავნილია ქალაქ ფარადან. პირველ მათგანს თარიღად უზის 1710 წლის 29 ნოემბერი, მეორეს კი — 1711 წლის 1 იანვარი. თავის წერილებში ჯუზეპე ფრესკურატი აღწერს გიორგი XI-ის დაღუპვას ყანდაარში, ქაიხოსროს ლაშქრის შეტაკებას ავღანებთან, ახასიათებს თვით ქაიხოსროს, ხაზს უსვამს მის კეთილშობილებას, სიმამაცესა და გონიერებას; ბოლოს კი წუწუნით აღნიშნავს, ერთი წელიწადი იქნება, ღვინო არ დამილევიაო (ეტ-

ყობა, ისპაანიდან გამგზავრების შემდეგ მოაკლდა საყვარელი სასმელი იტალიელ ქირურგს).

1711 წლის დამდეგს სწორედ ხორასანში ეწვია სულხან-საბა ქართლის მეფესა და ირანის სპასალარს. მეფე ქაიხოსრომ მიხმოო, გვაუწყებს თვით საბა.

ცხადია, ქაიხოსროსთან ხანმოკლე სტუმრობის დროს გაიცნო დიდმა ქართველმა მწერალმა, დიპლომატმა და ლექსიკოგრაფმა ქართველი მეფის იტალიელი ქირურგი და დაუმეგობრდა (ალბათ, ცოტაოდენ ქართულ ღვინოს ჩაიტანდა საბა ხორასანში და ყელს გაუსველებდა ქართველ მხედრებსაც და თავის ახალ მეგობარსაც).

ბამი-კლერაკი ქართლის მეფის მთავარ ქირურგად მოიხსენიებს ჯუზეპეს. კარგად არის ცნობილი, რომ კათოლიკე მისიონერები თავიანთ ძირითად მოღვაწეობას მშვენივრად უთავსებდნენ სხვა საქმეებსაც, განსაკუთრებით სამედიცინო პრაქტიკას. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ჯუზეპე ფრესკურატი მისიონერი არ ყოფილა, ვინაიდან ყველა წყაროს თანახმად, ყანდაარის ლაშქრობაში ქაიხოსროს ახლდა მხოლოდ და მხოლოდ სამი მისიონერი: იტალიელი კაპუცინები რეჯინალდო და ამბროზიო, აგრეთვე ფრანგი კარმელიტი, სახელად ბასილი. ეს უკანასკნელი ქაიხოსროსთან ერთად დაიღუპა სისხლისმღვრელ ბრძოლაში.

აი როგორ მოგვითხრობს ქაიხოსროს უკანასკნელი ომის ფინალურ ეპიზოდს ქართველი ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე: „გამოექცა თათრის ჯარი მეფესა, დარჩნენ ზოგნი ვინმე ქართველნი. მოახსენეს: „ხელმწიფეო, გაგვეცალა ჯარი და აღარცა ჩანს ძმა თქვენი (იეხე), ნუ მოიკლავ თავსა“. უბრძანა მეფემ: „ჩემისა სიცოცხლისათვის არა მოვაყივნო თავი, არცა გვარი ჩემი“. მიქუსლა ცხენი, შეერია შიგა, ჩამოაგდო შუბითა ორი კაცი, დახვდა ნათხარი რუ, წაექცა ცხენი. რა სცნეს ცხენის წაქცევა, წამოეხვივნენ, დაჩეხეს ხმლითა“.

ქართველი ისტორიკოსი არ მოიხსენიებს ქაიხოსროსთან ერთად დაღუპულ პარიზელ ბერს. ევროპული წყაროს მიხედვით, ქაიხოსრომ თურმე უბრძანა მას, გაიქეცი, თავს უშველეო. მაგრამ ფრანგმა ბერმა, ქართველი მეფის დარად, იუკადრისა გაქცევა და მიმი ბედი გაიზიარა. ალბათ, ლათინური ლოცვებით ევედრებოდა უფალს, ქართლის მეფე გადაარჩინეო, მაგრამ შორეული ავღანეთის მთებში აღარც ლათინური ლოცვები ჭრიდა, აღარც ქართული ხმა-

ლი. რასაკვირველია, იტალიელ ქირურგსაც არავინ მიუშვებდა, რომ ხმლით დაჩეხილი ქაიხოსროს გადასარჩენად გამოეკვლინა თავისი ხელოვნება. თვით ჯუზეპე ფრესკურატი, როგორც ჩანს, დაინდო სიკვდილმა და აგერ, სამიოდე წლის შემდეგ, ისპაანში ქაიხოსროს უმცროს ძმას — ვახტანგს (შინაპატიმრობაში მყოფს) ანუგეშებს და ამხნევებს. ისე დაახლოებულია მასთან, რომ ვახტანგს უჭირს ჯუზეპესთან განშორება.

ჩვენთვის უცნობია იტალიელი ქირურგის შემდგომი თავგადასავალი. ისიც არ ვიცით, ჩააღწია ევროპას თუ ირანში განუტევა სული. მხოლოდ ის ვიცით, რომ საბას „ძველი მეგობარი" ისპაანში მყოფ ქართველ მეფესაც უწევდა ღირსეულ მეგობრობას.

ინგლისელი მკვლევარის ლ. ლოკარტის ცნობით, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება ჯუზეპე ფრესკურატის წერილი „ქართველ თავად სულხან-საბასადმი", დათარიღებული 1714 წლის 20 სექტემბრით. სამწუხაროდ, ლ. ლოკარტი ერთი სიტყვითაც არ ეხება წერილის შინაარსს. ალბათ, იტალიელი ქირურგი დასავლეთ ევროპაში წასულ თავის „ძველ მეგობარს" ამცნობდა ვახტანგის გადასახლებას ისპაანიდან ქირმანში (1714 წლის გაზაფხულზე).

ჯუზეპე ფრესკურატი ფრიად საინტერესო ფიგურად გამოიყურება ჩვენი ისტორიის ფურცლებზე — მთხრობელი გიორგი მეფის დაღუპვისა, მთავარი ქირურგი ქაიხოსროსი, მეგობარი სულხან-საბასი და ნუგეშისმცემელი ისპაანში გადახვეწილი ვახტანგისა.

ვაგლახ, ჯუზეპე არ იჯდა რომის პაპის ტახტზე.

ქართველი მეფე-მთავრები მზად იყვნენ კათოლიკური სარწმუნოება გაევრცელებინათ მთელს საქართველოში, ოღონდ ქვეყნის დამოუკიდებლობა აღედგინათ საფრანგეთის დახმარებითა და რომის პაპის ლოცვა-კურთხევით.

პროგრესულად მოაზროვნე ქართველთა დასის ამ განწყობილებას ნშვენივრად გამოხატავს ბარძიმ არაგვის ერისთავის მგზნებარე მიმართვა რომის პაპისადმი: „ჩვენ ვართ ერნი შენნი და ცხოვარნი სამწყსოსა შენისანი..."

იმავე ხანებში გიორგი XI ამცნობდა დასავლეთის ქრისტიანთა წინამძღვარს: „აწცა ჩვენის სახელმწიფოთა და ბრძანების მორჩილთა საქართველოს ლაშქრით მზა ვართ, თქვენს ბრძანებას ვე-

ლით; რომელსაც თქვენი ლოცვა და კურთხევა დაგვარიგებს, იმისი მქნელი ვართ“.

მაგრამ საქართველოდან წასული ელჩობა რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. რომის პაპი არწმუნებდა რომში ჩასულ სულხან-საბას: ჩემი სიხსნელი რომ მთხოვო, ვახტანგისა და შენი ქვეყნის სასარგებლოდ იმასაც დასაქცევად მოგცემო.

ალბათ, მსგავსი სიტყვებით გაუმასპინძლდა საქართველოს ელჩს საფრანგეთის მეფეც. მაგრამ სიხსნელ კი არა, ერთ ოქროსაც არ გაიღებდა ვახტანგის გულისათვის, თუკი რეალურ სარგებელსა და მოგებას ვერ დაინახავდა. ხოლო საფრანგეთის მთავრობას ირანთან ვაჭრობის გაცხოველება უფრო აინტერესებდა, ვიდრე საქართველოს გაწყობნა მაჰმადიანური გარემოცვისა და გავლენისაგან.

დასავლეთ ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის ელჩობამ კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დაუმტკიცა ქართველ პოლიტიკოსებს, რომ საფრანგეთი ძალზე შორს იყო საქართველოდან.

* *

როდესაც ვახტანგ VI-მ გადაჭრით განაცხადა უარი გამაჰმადიანებაზე, ამით ქართლის სამეფო ტახტი დაკარგა. მაგრამ ეს არ აკმარეს ყიზილბაშებმა და 1714 წლის გაზაფხულზე ისპაანიდან ქირმანს გადაასახლეს. სწორედ ქირმანში ყოფნისას შეუთხზავს ქართველ მეფე-პოეტს ვრცელი ლექსი, რომლის დასათაურება-კომენტარში ვკითხულობთ: „სალბუნად გულისა — მეფე ვახტანგ სამეფოსაგან კიდეგანქმნილი სალბუნად გულისა წყლულებათათვის მკურნალი თავისა თვისისათვის იქმნების და სწერს ესრეთ ქირმანს“.

ამ ლექსში ვახტანგი მწარედ მოთქვამს თავისი სვე-ბედის უკუღმართობას, გმობს წუთისოფლის გაუტანლობას და სამშობლოდან გადახვეწილი გულისტკივილით ამბობს: დავკარგულვარ უცხო თემსა და აღარავინ დამეძებსო. მზით გავარვარებული უდაბნოს პირას, შორეულ ქირმანში გადასახლებულ ქართველ მეფეს ტკბილად აგონდება თბილისური მაისი, ვარსკვლავთა დირად აბდღვრიალებული ვარდები ზედ მოჭიკჭიკე, ტრფობისგან დაბნედილი ბულბულებით და ბწვანედ აღელვებული გარემო. შემდეგ დაწვრილებით იხსენებს ნადირობისა თუ თევზაობის ეპიზოდებს:

დიდგორი და ლილოს ტბა, კოჯორი და თრიალეთი, ყარაია და ლოჭინი — სათითაოდ ცოცხლდება მეხსიერებაში იქ გატარებული დღეები. ეს არის საუდამოდ უკან დარჩენილი წარსული, აწმყოში ქერმანის ტყეებია და ვერც მომავალში ხედავს რაიმე სანუგეშოს ურვაშეპყრობილი მეფე-პოეტი.

გაოცებას ვერ შალავს ვახტანგ VI იმაზე, რომ იგი მტერმაც გაწირა და მოყვარემაც:

> თუცა ვიყავ ამათს რჯულზე, მაშ, ესენი რას მტერობდენ?
> თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ, მაშ, ისინი რათ მაქრობდენ?
> უცხო არის ჩემი საქმე, საარაკო, თუ ფიქრობდენ.
> მილთონთა ვსჩან მეფედ მათად, თვის ტომსა სწადს, რომ მაქრობდენ.

ვახტანგის გაოცება კანონზომიერი და ბუნებრივია. ქართლის მეფობაზე დასამტკიცებლად ისპაანს ჩასული ვახტანგი ორი წელიწადი თავგამოდებით უარობდა მაჰმადიანური სარწმუნოების მიღებას და ნაცვლად იმისა, რომ მხარი დაეჭირათ მისთვის, გაემხნევებინათ, ქართლის გავლენიანმა ფეოდალებმა შეატყობინეს ირანის შაჰს თავიანთი ხვაშიადი: „არა გვნებავს ვახტანგ, არამედ მოგვევლინე იესე". გამაჰმადიანებულ-გათათრებული იესე ამჯობინეს ვახტანგს — მშობელი ქვეყნის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელ მებრძოლსა და ქართული კულტურის ამაგდარს. ხოლო საღვთისმეტყველების მესვეურებმა თვით ვახტანგის ღვიძლი ძმის — კათალიკოს დომენტის თავკაცობით ვახტანგს მოუწოდეს გამაჰმადიანებულიყო, თუკი სურდა ქართლის მეფობა. ამ ფაქტს გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი და აღშფოთებას გამოთქვამს კათალიკოს-ეპისკოპოსთა საქციელზე („ეჰა, უცხო..."). ასევე ეუცხოვება მათი მსჯავრი ვახტანგს („უცხო არის ჩემი საქმე..."). ამგვარად, ზემოთ მოტანილ ვახტანგისეულ სტროფში ყველაფერი გასაგები ხდება, გარდა ერთი სიტყვისა.

„მილთონთა ვსჩან მეფედ მათად..."

ვინ არიან აქ მოხსენიებული მილთონები?

სიტყვა „მილთონი" გვხვდება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საბუთებში. ერთ-ერთი მათგანი აღწერს ვინმე სულხან თუმანიშვილის ქონებას. რა არ არის ჩამოთვლილი ამ აღწერილობაში: ყვითელი დიბის ტყავი; ოქროსა და ვერცხლის საათები, ძვირფასი თასები და თუნგები, ვერცხლით მოჭედილი სარკეები, ლისკოვის ტილო და... მილთონის ჩითი!

ერთი მზითვის სია ფირუზ-ზურმუხტის ბეჭდებსა და სხვა განძეულობასთან ერთად ასახელებს „მილთონის ჩითის კაბას“.

არსებობს ცნობა, რომ XVIII საუკუნის დამლევს თბილისში ყოფილა „მილთონის ქარვასლა“.

მილთონთა გინაობა იცოდნენ ვახტანგის დროინდელ საქართველოშიც.

ამაზე მიუთითებს ე. წ. „ჯულაბაშვილების დავთარი“. ჯულაბაშვილები ცნობილი გორელი ვაჭრები ყოფილან. ისინი ოცხოეთის ქვეყნებშიც ვაჭრობდნენ.

დავთარი იხსნება პაპუნა ჯულაბაშვილის ჩანაწერით, რომელიც დათარიღებულია 1722 წლით. ისპაანს ჩასული პაპუნა აღნიშნავს, რომ მილთონს მისი მამის — გოდერძის თამასუქი ჰქონია (საჰი თუმნისა), მაგრამ იმ თამასუქის პატრონი მილთონი მოკვდარა და თამასუქი ახლა სხვა მილთონის ხელში არისო.

„მილთონი“ ინგლისური წარმოშობის გვარი უნდა იყოს. მაშასადამე, ჯულაბაშვილებს საქმიანი ურთიერთობა ჰქონიათ დამყარებული ირანში მყოფ ინგლისელ ვაჭარ-ფაბრიკანტთა საგვარეულოსთან.

ამრიგად, მილთონებს კარგად იცნობენ საქართველოში და ცხადია — ირანშიც. მაგრამ საიდან გაახსენდებოდა ისინი ქირმანში გადასახლებულ ვახტანგს?

საქმე ისაა, რომ იმ ხანებში, როდესაც ქართველი მეფე-პოეტი ქირმანს იმყოფებოდა, ინგლისის ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიას იმავე ქირმანში გაუმწესებია ინგლისელი ვაჭრები იმ მიზნით, რომ მათ შეესყიდათ სახელგანთქმული ქირმანული თხის თივთიკი. აგრეთვე გაეყიდათ კომპანიის ნაწარმი; მაუდი თუ სხვა საქონელი (1719 წელს ავღანთა ტომის წინამძღოლის მირ-მაჰმუდის ქირმანში შემოსევისას ხსენებული ინგლისელი ვაჭრები ქირმანის ბეგლარბეგთან ერთად გამოქცეულან ისპაანისაკენ).

მართალია, ქირმანში უშუალოდ მილთონთა ყოფნა არაა აღნიშნული წყაროებში, მაგრამ ადვილი დასაშვებია, რომ ისინიც ვიგულოთ ქირმანს მოღვაწე ინგლისელ ვაჭართა შორის.

შესაძლოა, ვახტანგ VI ჯერ კიდევ ისპაანში შეხვედროდა მილთონებს და მაშინდელი შთაბეჭდილების ანარეკლი იყოს ქირმანში შეთხზული ლექსის სტრიქონი („მილთონთა ვსჩან მეფედ მათად, თვის ტომსა სწადს, რომ მაქრობდენ“).

ასეა თუ ისე, ვახტანგს იმის თქმა სურს, რომ ინგლისელი მილ-ონერები მიიჩნევენ მას ქართველთა მეფედ, ხოლო თვისტომთ მი-სი „გაქრობა“ სწადიათ...

ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიას აზიისა და ევროპის ქვეყ-ნებში გაჰქონდა ინდური საქონელი: ბაღბისა და აბრეშუმის ქსოვი-ლები, აბრეშუმის ყაჭი, შაქარი, გვარჯილა, ოპიუმი და სხვ. მილ-ონთა შეხვედრა ირანში მყოფ ქართველ მეფესთან იქნებ იმას ისახავდა მიზნად, რომ მისი შემწეობითა და მფარველობით ინგლი-სელ ვაჭრებს გარკვეული პრივილეგიები მოეხვეჭათ საქართველოს ტერიტორიაზე.

რას დახვალ გზასა შორესა

„სადაც თათარს მიუწევია, იქ ღვთის ნათელი აღარ დამდგარა. ამას გაუოხრებია“, — ეს სიტყვები აღმოხდა სულხან-საბა ორბელიანს თავისი მოგზაურობის დღიურში, როდესაც ევროპიდან საშობლოსაკენ მგზავრობის დროს თვალი შეავლო ოსმალთა მიერ დაპყრობილსა და აოხრებულ მიწებს.

რა იცოდა, რომ გაივლიდა შვიდი წელიწადი და ოსმალები ქართლსაც დაიპყრობდნენ.

სეფიანთა დინასტიის დამხობა საბედისწერო გამოდგა თვით საქართველოსათვის. პეტრე პირველის ლაშქრობა სამხრეთში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, შეწყვეტილ იქნა. ირან-ოსმალეთის ზავი ავტომატურად გააუქმა სეფიანთა აღსასრულმა და ოსმალეთი ხარბად წაეპოტინა ირანის ყოფილ სამფლობელოებს. 1723 წლის ივნისში არზრუმელი იბრაჰიმ-ფაშას ჯარმა უომრად აიღო თბილისი.

ქართლის მეფე ვახტანგ VI, თავისი ოჯახითა და მრავალრიცხოვანი ამალით, რუსეთს გადაიხვეწა...

ვახტანგის პოლიტიკამ მარცხი განიცადა და ერთმორწმუნე რუსეთმა მხოლოდ თავშესაფარი უბოძა ლტოლვილ მეფეს. ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლას ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა კახეთის მეფე კონსტანტინე ანუ მაჰმადყული-ხანი. („წყეული მაჰმადყული, ახლა რომ კონსტანტინედ გადაიქცა“, — ირონიულად შენიშნავს თურქული წყარო). მან რამდენჯერმე აგემა დამარცხება ოსმალებს, მაგრამ ოსმალეთის იმპერია ცხრათავიან დევსა ჰგავდა.

წარსულში სეფიანთა ირანის თავდადებული მსახური, ისპაანში აღზრდილი და გამაჰმადიანებულ-გათათრებული კონსტანტინე 1724 წელს წერილს უგზავნის პეტრე პირველს, შეახსენებს თავის

მამა-პაპათა ერთგულებას რუსეთისადმი, აუწყებს „ურჯულო“ ოსმალთა მიერ ქრისტიანული საქართველოს ჩაგვრას და სასოწარკვეთილი ამბობს: „თუ ამ ორს-სამს თვეში ხელმწიფის იმედი და ჯარი დაგვიანდა, დიაღ ქვეყანას იმედი გარდუწყდების და საქმე გაჭირდების“.

მეფეს არ ჩამორჩებიან კახეთის თავადები და მღვდელმთავარნი. ისინი წერილობით მიმართავენ რუსეთის იმპერატორს და შეჩივიან ქვეყნის აოხრებას, ეკლესიების დაწვა-დანგრევას: „უპოვარს მთაში შეწყვდეულნი ვართ, შეწუხებული შიმშილითა, წყურვილითა და სიშიშვლითა. ხელმწიფის იმედი და ჯარის მოსვლის სიხარული გვაძლებინებს, თვარემ ნადირიც ვერ მოითმენს ჩვენს საქმეს“.

კონსტანტინე თავგამოდებით და დაუღალავად უწევდა წინააღმდეგობას ოსმალებს. 1724 წლის შემოდგომაზე ქართლ-კახეთის გაერთიანებული ძალებით იგი ქალაქ გორის მიდამოებში შეებრძოლა ოკუპანტებს და თითქმის ხელთ ეპყრა გამარჯვება, მაგრამ იესე ბატონიშვილმა (ოსმალთაგან მუსტაფა-ფაშად წოდებულმა) და ერასტი ყაფლანიშვილმა უშველეს ოსმალთა ჯარს და მტერი დამარცხებას გადაარჩინეს. ვახუშტი მოგვითხრობს, რომ ატენის ომში დახოცილ ქართველთა მოჭრილი თავები ერასტი ყაფლანიშვილმა მიართვა თბილისში მყოფ რაჯაბ-ფაშას და ჯილდოდ მიიღო ოცდაათი დრაჰკანი. მაგრამ იესე ტლაშაძე გვარწმუნებს, ერასტი ყაფლანიშვილს სამასი ფლური გადაუხადესო (საბას მიხედვით, დრაჰკანი იგივე ფლურია და მაშასადამე ოცდაათი დრაჰკანი უდრის ოცდაათ ფლურს). ტლაშაძის ცნობა უფრო ზუსტი უნდა იყოს, ვინაიდან იგი დაწვრილებით აღწერს ატენის ომის მსვლელობას, როგორც თვითმხილველი. თავის მხრივ, „ოცდაათი დრაჰკანიც“ არა ჰგავს შემთხვევით დაშვებულ შეცდომას. ეტყობა, ვახუშტი შეგნებულად ამახინჯებს ოსმალთა მიერ გაცემული ფულადი ჯილდოს ოდენობას, რათა ერასტი ყაფლანიშვილი გაიგივოს იმ საუკუნოდ სახელგატეხილ კაცთან, რომელსაც „ოცდაათი ვერცხლი“ გადაუხადეს ღალატისათვის.

როგორც ცნობილია, იესე უმცროსი ძმა იყო ვახტანგ მეფისა, ხოლო ერასტი ყაფლანიშვილი — საბასი. ეს ფაქტი იმდროინდელ საქართველოში შექმნილი ვითარების თვალსაჩინო ილუსტრაციად გამოდგება.

იესეს გარდა ვახტანგს ქართლში დარჩა კიდევ ერთი ძმა, სახელდობრ, დომენტი კათალიკოსი. ამ უკანასკნელმა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და 1725 წლის გაზაფხულზე „სამართლის საძიებლად“ ოსმალეთის სატახტო ქალაქისაკენ აიღო გეზი.

დომენტი კათალიკოსის თავგადასავალს კონსტანტინოპოლში მოგვითხრობს ორი წყარო: კათალიკოსის მხლებლის იესე ტლაშაძის პოემა „კათალიკოზ-ბაქარიანი“ და კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის ანდრეზელის წერილები.

საფრანგეთის ელჩს აღწერილი აქვს დომენტი კათალიკოსის აუდიენცია ოსმალეთის დიდვეზირთან. როგორც ჩანს, იგი ეყრდნობა იოსებ ქართველის ნაამბობს, რომელიც თარჯიმნობას უწევდა კათალიკოსს.

ეტყობა, ამავე შეხვედრაზე მოგვითხრობს იესე ტლაშაძე თავისი პოემის ერთ ფრაგმენტში. საფრანგეთის ელჩის წერილს თარიღად უზის 1725 წლის 15 ოქტომბერი, ე. ი. ძველი სტილით 4 ოქტომბერი. წერილში აღნიშნულია, რომ აუდიენცია შემდგარა „გასულ შაბათს“. 1725 წლის 4 ოქტომბერი ორშაბათზე მოდიოდა. მაშასადამე, „გასულ შაბათში“ უნდა იგულისხმებოდეს 2 ოქტომბერი. ხოლო იესე ტლაშაძე წერს: „კეისრის ნახვა გვეღირსა ღვინობისთვესა ორსაო“. ღვინობისთვე ოქტომბერს ერქვა. ამრიგად, საფრანგეთის ელჩიც და ქართველი პოეტიც ერთსა და იმავე თარიღს აღნიშნავენ. ორ სხვადასხვა მოვლენას არ უნდა ეხებოდეს მათი თხრობა, მიუხედავად იმისა, რომ ტლაშაძე „კეისრის“ (ე. ი. ოსმალეთის ხელმწიფის) ნახვას გადმოგვცემს და საფრანგეთის ელჩი — დიდვეზირთან აუდიენციას. მაგრამ ტლაშაძის თხზულება მაინც მხატვრული ნაწარმოებია და არა საისტორიო წყარო. ამ თვალსაზრისით საფრანგეთის ელჩის წერილი უფრო იმსახურებს ნდობას. ტლაშაძის პოემის ხსენებულ ფრაგმენტში თვით დომენტი კათალიკოსიც ამბობს: „ვეზირი მალაპარაკა, თითონ მიყურებს შორსაო, ის არ იკადრებს ტყუილსა, სიტყვას მიბრძანებს სწორსაო“.

ანდრეზელი წერს, რომ საქართველოს პატრიარქი მიიღეს უდიდესი პატივით. პატრიარქმა მიულოცა დიდვეზირს ოსმალეთის გამარჯვებანი ირანში და მადლობა უძღვნა, რომ საქართველო ხელიდან გამოჰგლიჯეს ირანს. შემდეგ შეახსენა, მამაჩემიც (ე. ი. ლევან ბატონიშვილი) ოსმალებს დახმარებისათვის ხშირად მიმარ-

თავდაო. ამის პასუხად დიდვეზირმა გაიცხა დომენტის ძმა — ვახტანგ მეფე იმის გამო, რომ იგი რუსებს მიენდო (დიდვეზირი უსეშად ამბობს: ვახტანგმა დიდი სისულელე ჩაიდინაო). რა თქმა უნდა, დომენტის ჩასვლა კონსტანტინოპოლში უფრო ეამებოდათ ოსმალებს, ვიდრე ვახტანგისა — პეტერბურგში. სხვათა შორის, ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას შეაქო კათალიკოსი რაჯაბ-ფაშამ: კარგი გიქნია, რომ რუსეთში არ გაჰყოლიხარ ძმებსაო.

ტლაშაძის მიხედვით, კათალიკოსმა შესჩივლა ქართლის აოხრება ხონთქარს (თუ დიდვეზირს?), რომელმაც დაამშვიდა კათალიკოსი და შეჰპირდა, რომ დაბრუნებდა ქართლში „კაის მორჩმით და დიდებით“, ბოლოს კი ასე დააიმედა: „არ წავახდინო ჭე ქართლი, ეს მამიცია პირია“.

საფრანგეთის ელჩი აღნიშნავს, რომ აუდიენციამ ერთ საათზე მეტხანს გასტანა და პატრიარქი გააცილეს დიდი ცერემონიით.

იესე ტლაშაძე გვაუწყებს: „ჩვენ ვდგავართ, ღმერთს ვეხვეწებით, ტირილით, ცრემლით მდინარი; ლაპარაკობენ გულტკბილად, ვითამცა თავის შინ არი“.

საფრანგეთის ელჩის სხვა წერილებიდან ირკვევა, რომ საქართველოს კათალიკოსი ხონთქარის კარზე შუამდგომლობას უწევდა თავის უმცროს ძმას იესეს. ასე მაგალითად, 1725 წლის 24 სექტემბრით დათარიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ პატრიარქი აჩქარებს დიდვეზირის მოადგილეს და სთავაზობს მას ქრთამად ორმოცდაათი ათას ეკიუს, რათა დაუმტკიცონ ქართლის მეფობა მუსტაფა-ფაშას (ანუ იესეს) და წასვლის ნება მისცენ მას (ე. ი. დომენტის). იმავე წლის 11 ნოემბრით დათარიღებული წერილი გვაცნობს, რომ მუსტაფა-ფაშას საქმე კარგად შეტრიალდა, ვინაიდან თბილისის ფაშას გამოუწვევია ოსმალეთის მთავრობის უკმაყოფილება. წერილში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ დომენტი კათალიკოსი ითხოვდა მეფობას თავისი ძმისათვის.

ამგვარად, ანდრეზელის წერილების საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება, თითქოსდა კათალიკოსის კონსტანტინოპოლში ჩასვლის მიზანი იყო იესეს გამეფება ქართლის ტახტზე. მაგრამ ერთობ საეჭვოდ გამოიყურება დომენტის შუამდგომლობა იესესათვის, რომელსაც ივი „სჯულის მგმობელს“ უწოდებდა.

შეიძლება წამოიჭრას ასეთი კითხვაც: თავისთვის ხომ არ ითხოვდა მეფობას საქართველოს კათალიკოსი? მას ხომ ადრეც ჰქონ-

და სერიოზული პრეტენზია მეფის გვირგვინზე და თავისი მიზნის მისაღწევად გამაჰმადიანებასაც კი აპირებდა, როგორც მოგვითხრობენ თადეუშ კრუშინსკი და სხვა ავტორები. ეგებ ხელმეორედ აღეძრა საერო ძალაუფლების დაუძლეველი სურვილი ქრისტეს მსახურს?

რუსეთის ელჩი კონსტანტინოპოლში რუმიანცევი და რეზიდენტი ნეპლუევი 1725 წლის 28 ოქტომბერს თავიანთ მთავრობას ამცნობდნენ შემდეგს: „ქართველი პატრიარქი ისევ აქ არის. ხმა გავრცელდა, რომ მას უშვებენ საქართველოში, მაგრამ პორტას არა სურს იქ ქრისტიანი ხანი და ურჩევნია ოსმალო ფაშა“.

ვინ უნდა იყოს ეს „ქრისტიანი ხანი“? რა თქმა უნდა, ვერ ვიგულისხმებთ ვახტანგს, რომელიც ამ დროს უკვე რუსეთში იმყოფება და სრულიადაც არ აპირებს ოსმალეთის ნება-დასტურით ქართლის მეფობას. ასევე გამორიცხულია იესე. იგი დიდი ხნის წინათ გამაჰმადიანდა და ყიზილბაშური რჯულის მაგივრად ახლა ოსმალურს აღიარებს. ერთადერთი, ვინც კონსტანტინოპოლში შეიძლება მოიხსენიონ როგორც „ქრისტიანი ხანი“, რჩება დომენტი კათალიკოსი და მოტანილი ცნობის შინაარსიც აშკარად ამას მეტყველებს.

ოსმალეთის მთავრობის ყოყმანი, ალბათ, გამოწვეულია უფრო შესაფერი კანდიდატურის არსებობით. იესემ უკვე საკმაოდ გამოიჩინა თავი ოსმალთა ერთგული სამსახურით. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, „იესეს თუცა არა უწოდდენ მეპატრონედ, გარნა შასვე ჰკითხვიდენ და იქმოდენ საქმესა ქართლისასა მის მიერ“.

ზემოთქმულთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი წაწყვეტი ტლაშაძის პოემიდან. იესე ტლაშაძე დაჟინებით მოითხოვს ქართლში დაბრუნებას და ასე მიმართავს კათალიკოსს: „არ იცით, რა დაემართა იაკობის ძმას, ესავსა?“ და მერე აზუსტებს საქმის ვითარებას: „ისაკ აკურთხა იაკობ, არ მოიცადა ესავი“ (იგულისხმება ცნობილი ბიბლიური ეპიზოდი, როდესაც მომაკვდავმა ისაკმა აკურთხა არა თავისი პირმშო, სახელად ესავი, წასული მისივე დავალების შესასრულებლად, არამედ ესავის უმცროსი ძმა იაკობი, რომელმაც თავი მოაჩვენა მომაკვდავ მამას ესავად და უფროსი ძმისათვის მიცემული დავალება, დედის დახმარებით, ესავის დაბრუნებამდე შეასრულა).

მღვდელ ტლაშაძესა და კათალიკოს დომენტის შორის გამარ-

თულ საუბარში ასეთ მინიშნებას მნიშვნელოვანი აზრი ენიჭება. ტლაშაძის ბიბლიური პარალელი საკმაოდ გამჭვირვალეა. შენც ესავის მსგავსად არ დაიჩაგრო, უმცროსმა ძმამ არ გაჯობოსო, აფრთხილებს კათალიკოსს მისი ერთგული მხლებელი.

ჩანს, ვახტანგის საქართველოდან გადახვეწის შემდეგ დომენტისა და იესეს შორის წამოჭრილა დავა ქართლის სამეფო ტახტისათვის.

რუმიანცევი და ნეპლუევი თავის მოხსენებებში ამტკიცებენ, რომ ქართველ პატრიარქს სხვადასხვა საბაბით აკავებს კონსტანტინოპოლში ოსმალეთის მთავრობა. მაგრამ მეორე მხრივ, ტლაშაძის პოემის ბოლო ნაწილი თითქმის მთლიანად ეძღვნება ავტორის მწარე საყვედურებს თავისი ბატონისადმი, საიდანაც თვალნათლივ მჟღავნდება, რომ დომენტი კათალიკოსი საკუთარი ინიციატივით აჭიანურებს ყოფნას კონსტანტინოპოლში.

„ამდენს ხანს შენ აქ რათ ზიხარ, სტამბოლში შენი რა ძესა?“— ეუბნება ტლაშაძე კათალიკოსს და ასკვნის: „მე ვხედავ ჩემის ჭკუითა, ქართლზე აიღე ხელია!“; წუწუნსა და საყვედურს მოსდევს ვედრებანარევი მოწოდება: „ავდგეთ, წავიდეთ ქართლშია, წავიღოთ ჩვენი ბარგია“.

როგორც ეტყობა, არაფერი ჭრის, არც საყვედური და არც ვედრება და ბოლოს დაღონებული ტლაშაძე წარმოთქვამს: „ველაპარაკე, ვაწყინე და თავი შევაზარეო“.

კათალიკოსი თავს იმართლებს, ქართლში ვახტანგის დაბრუნებას ველოდებიო.

1726 წელს რუსეთიდან ირანში წარგზავნილ ვახტანგს ევალებოდა დაედო შაჰ-თამაზთან ხელშეკრულება, რომელსაც მიზნად უნდა დაესახა ირანის სახელმწიფოს აღდგენა და ირან-რუსეთის კოალიციის ჩამოყალიბება, რათა საერთო ძალით განედევნათ ოსმალნი დაპყრობილი მიწებიდან. რასაკვირველია, ოსმალეთის მთავრობისათვის ნათელი იყო რუსეთის ანტიოსმალური გეგმები. კონსტანტინოპოლში უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ: გილანის პროვინციაში ჩასული ვახტანგი წერილობით აქეზებს ქართველებსა და სომხებს, ოსმალეთთან ომი დაიწყეთო.

ოსმალეთის მთავრობამ გადაჭრით მოითხოვა ირანიდან ვახტანგის გაწვევა. პეტერბურგში ყური ათხოვეს ოსმალთა ულტიმატუმს და 1727 წლის სექტემბერში ვახტანგმა დატოვა გილანი.

იმავე წლის 3 დეკემბერს დომენტი კათალიკოსი კონსტანტინოპოლიდან გადაასახლეს თენედოს კუნძულზე.

ერთობ საგულისხმო დამთხვევაა!

მანამდე კონსტანტინოპოლის საპატრიო სტუმარს ზრუნვა-პატივისცემას და „ულუფას" არ აკლებდნენ. მთელი მისი გაჭირვებანი ცხრაწლიანი ექსორიის პერიოდს განეკუთვნება. კათალიკოსმა თენედოდან კონსტანტინოპოლს დაბრუნება (1736 წ.) მხოლოდ ქრთამის საშუალებით მოახერხა. იგი დიდ ვალებში ჩავარდნილა და 1739 წელს, სამშობლოსკენ გამომგზავრებისას, ფრანგ ვაჭართან გირაოდ დაუგდია შემდეგი ნივთები: ყელსაკიდი ხატი, გვირგვინი მურასა ძვირფასი თვლებით, ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი, თეთრი ბისონი და სხვ.

ეტყობა, ოსმალეთის მთავრობა დომენტი კათალიკოსს თვლიდა ვახტანგ VI-ის საწინააღმდეგო კანდიდატურად იმ შემთხვევაში, თუკი ხორცს შეისხამდა ვახტანგის პოლიტიკური გეგმები. საქართველოში ვახტანგის მეტოქედ ოსმალეთს ქრისტიანი დომენტი უფრო გამოადგებოდა, ვიდრე მაჰმადიანი იესე ანუ მუსტაფ-ფაშა. და როცა ვახტანგმა დატოვა ირანი, ოსმალეთის მთავრობას აღარც მისი პოტენციური მეტოქე სჭირდებოდა.

ერთი სიტყვით, დომენტი კათალიკოსი ოსმალთა ხელით აპირებდა ერთხელ გაცრუებული ოცნების განხორციელებას და თავის მხრივ ოსმალებიც გარკვეული ანგარიშით, და არა უანგაროდ, „ინახავდნენ" კონსტანტინოპოლში ჩაბრძანებულ ქართველ კათალიკოსს.

ალბათ, ამიტომაც მოუწოდებდა (თუმცა ამაოდ) იესე ტლაშაძე თავის ბატონს, ქართლში წავიდეთო. მოვუსმინოთ თვით პოემის ავტორს:

> მე უთხარ: „ქართლში წავიდეთ, ნუ იქმ საქმესა გმობილსა,
> თვალს ნუ დაზოგავ ქრთამითა, ნურც მარგალიტსა წყობილსა.
> კარგი არავის არ ახსოვს ამათსა აქ მონდობილსა,
> კარგა გასინჯევ, შეიტყევ: ისევ ძმავე სჯობს ძმობილსა!"

აქ ნახსენები „ვმობილი საქმე" შემთხვევით არ წამოსცდებოდა იესე ტლაშაძეს.

ცნობილია, რომ დომენტი კათალიკოსი განათლებული კაცი იყო და მწერლობის მეგობარი. მისი ბრძანებით უთარგმნიათ არაერთი ახალი თხზულება, მაგრამ კიდევ მეტი გადაუწერიათ წარსულში

ნათარგმნი შრომები. მას ახასიათებენ როგორც აქტიურ საეკლესიო და პოლიტიკურ მოღვაწეს, ტყეთა სყიდვისა და გამაჰმადიანების წინააღმდეგ მებრძოლს. მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ განათლებული და ენერგიული მოღვაწე ამავე დროს ჯიუტი და პატივმოყვარე ადამიანი ყოფილა.

ალბათ ეშმაკი შეუძვრა სულში კათალიკოსს, არ მოასვენა და მოერიბ. კაცმა რომ თქვას, რატომაც არ უნდა ესურვა შეფობა იმ არეულ-დარეულ დროში, როდესაც გადაგვარებული იესე ჯდებოდა სამეფო ტახტზე ანუ, ქართული ანდაზისა არ იყოს, უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენ.

ეშმაკი არ ასვენებდა კათალიკოსს და სამეფო გვირგვინის ელვარებით აცდუნებდა.

სხვათა შორის, ეშმაკი მოხსენიებულია ტლაშაძის პოემაშიც. ოღონდ სრულიად სხვაგან შეუნიშნავს ავტორს ადამის მოდგმის ძველთაძველი და დაუცხრომელი მტერი.

პოეტი გადმოგვცემს, თუ როგორ „აცდუნებდა" იოსებ ქართველი დომენტი კათალიკოსს:

ეშმაკი ეუბნებოდა: „საფრანგეთი სჯობს ამასო,
რა სჯობს იქაურს წესებსა, გაცხოვნებს იმავ წამასო,
ბაღში სიარულს ნიადაგ, დილაზე ვარდთა ნამასო",
სულ ტყუის, ძაღლმა... მამის პაპას და მამასო.

რას მოუწოდებდა „ეშმაკაღ" მონათლული იოსებ ქართველი საქართველოს კათალიკოსს? ბევრს არაფერს — მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ქრისტიან ქართველთა მღვდელმთავარს ზურგი შეექცია მაჰმადიანური ოსმალეთისათვის და კათალიკური საფრანგეთისაკენ ექნა პირი.

„შემოატყუა ბატონსა სიტყვა და სიტყვა მრავალი, თარჯიმნობასა ჩემობდა, იყო აქა-იქ მავალი", — წერს ტენდენციურად განწყობილი იესე ტლაშაძე. თარჯიმნობას როდი ჩემობდა იოსები, მართლაც იყო კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის თარჯიმანიცა და თანაშემწეც. იმავე დომენტი კათალიკოსს უწევდა თარჯიმნობას დიდვეზირთან აუდიენციაზე. მაგრამ საფრანგეთის ელჩის შუამავლობა და მისი თარჯიმნის — „გაფრანგებული" იოსებ ქართველის რჩევანი, როგორც ჩანს, შორს დაუჭერია კათალიკოსს.

თავისთავად გასაკვირი არაა, რომ საქართველოს ეკლესიის მე-

თაურს არც კათოლიკური სარწმუნოება ეჭაშნიკებოდა და არც კათოლიკური სამყაროს პოლიტიკური მეთაურის — საფრანგეთის მფარველობა.

ამას ნათლად მეტყველებს სულხან-საბა ორბელიანის ევროპიდან საქართველოში დაბრუნებისას (1716 წ.) დატრიალებული ამბები. აი, რას გვიამბობს თვით საბა: „ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდელონი რომს წასვლისათვის გამიმტერდენ და ასე შეკრეს ყოველი: ჩვენი ნათესავი და მოყვარე და მეფე-დარბაისელნი, ვერ-ვინ შემომეწია. ვალის მიცემაც გამიჭირდა. თბილისს ერთი დავრდომილი ნათლიდედა მყვანდა, კათოლიკე. მართლმადიდებელი. მან დაიწყო სიარული...“ (ამ ქალს გაუსტუმრებია საბას მევალენი თავის მეგობარ-ნათესავებში მოგროვილი ფულით).

გიორგი ლეონიძე შენიშნავდა, რომ დომენტი კათალიკოსი უნდა ყოფილიყო მთავარი ორგანიზატორი და შთამაგონებელი იმ დევნისა, რომელიც სამღვდელოებამ გაუმართა ევროპიდან დაბრუნებულ საბას. მისივე სიტყვით, საქართველოს ეკლესიის მეთაურის სანქციისა და ხელმძღვანელობის გარეშე ხომ ვერ შეებრძოლებოდნენ საბას „სამღვდელონი და ეპისკოპოსნი?“

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ადვილი გასაგებია იოსებ ქართველის დახასიათება, რომელიც შემოუნახავს ჩვენთვის იესე ტლაშაძის პოემას, ერთადერთ ქართულ წყაროს, სადაც იოსები არის მოხსენიებული და იქაც „ეშმაკის“ სახელით.

მოვლენები ტლაშაძის პოემაში ასე ვითარდება: დომენტი კათალიკოსის აუდიენცია დიდვეზირთან, კონსტანტინოპოლის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, საუბრები იოსებთან და ბოლოს მისი გაგდება „პანღურის ცემით“. საფიქრებელია, რომ კონფლიქტი მომხდარა 1726 წლის პირველ ნახევარში.

ამრიგად, „ეშმაკი გაუჩინარდა, დაეცა მეხი მასცაო“....

საით გაუჩინარდა დომენტი კათალიკოსისა და იესე ტლაშაძის თვალთახედვიდან „ეშმაკი?“ საბედნიეროდ, დასმულ კითხვაზე საკმაო ამომწურავი პასუხის გაცემა შეიძლება. გაუჩინარებული იოსებ ქართველი ყოველდღიურ კონსულტაციებს უწევდა ფრანგ ისტორიკოს მამი-კლერაკს, რომელიც „კალმით ხელში“ უსმენდა იოსების შენიშვნებსა და განმარტებებს სეფიანთა ირანის ისტორიის სხვადასხვა საკითხების გარშემო. მათი შეხვედრები მიმდინა-

რეობდა 1726 წლის ივნისიდან 1727 წლის დამდეგამდე, როდესაც მამი-კლერაკი მოულოდნელად გაიწვიეს საფრანგეთში.

იესე ტლაშაძის პოემის დასკვნითი ნაწილი გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ავტორი არ იზიარებდა თავისი ბატონის ყველა შეხედულებას. და უფალმა უწყის, რომელმა მონათლა იოსებ ქართველი „ეშმაკად", მღვდელმა ტლაშაძემ თუ კათალიკოსმა დომენტიმ; რომელს ეკუთვნის იოსების მისამართით ნასროლი უწმაწური გამოთქმა, ნაბეჭდ ტექსტში მრავალწერტილით რომ არის შეცვლილი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შეურაცყოფის ღირსი (ქართული ლიტერატურული ძეგლის ფურცლებზე!) ის არ ყოფილა...

იესე ტლაშაძე საკმაოდ მოურიდებლად კიცხავს საქართველოს კათალიკოსს:

„შენი ძმა რუსეთს წავიდა, რათ მიხვიდოდი ლორესა,
თუ ქართლში ვეღარსად დადეგ, აოხრდა, გაასწორესა,
რატომ არ გაჰყევ შენს ძმასა, რას დახვალ გზასა შორესა?
ყველაყა თქვენი ბრალია, თუ მათქმევინებ სწორესა!"

„შორ გზას", რა თქმა უნდა, გეოგრაფიული მნიშვნელობით არ ხმარობს ავტორი. მას მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ თბილისიდან პეტერბურგამდე უფრო გრძელი გზა იყო გასავლელი, ვიდრე თბილისიდან კონსტანტინოპოლამდე.

„რას დახვალ გზასა შორესა" — ეს სიტყვები იესე ტლაშაძეს შეეძლო იოსებ ქართველისთვისაც ეთქვა, ვინაიდან საფრანგეთმა ვერაფერი დახმარება გაუწია მაჰმადიანური ქვეყნებით გარშემორტყმულ საქართველოს. იოსების ნათქვამი (საფრანგეთი სჯობს ოსმალეთსაო) ლიტონ განცხადებად რჩებოდა. ქართლში ოსმალები ბატონობდნენ, და ოსმალეთის მჯობნი საფრანგეთი შორს იყო საქართველოდან.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ იესე ტლაშაძე და იოსებ ქართველი, ორი სხვადასხვა ბიოგრაფიისა და მსოფლმხედველობის პიროვნება, ორივე თავისებურად უარყოფდა მაჰმადიანურ ორიენტაციას, რომელიც XVIII საუკუნის ოციან წლებში არამარტო მიუღებელი და შეუწყნარებელი იყო ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის, არამედ დრომოჭმულიცა და უპერსპექტივოც.

ისტორიულად შორდებოდნენ საქართველოს ისპაანი და სტამბოლი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წ ი ნ ა თ ქ მ ა 3

მე ვარ მულიდი I . 7
მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა 17
ორი თქმულება 26
ლტოლვილნი ბიზანტიიდან 36
ლომი ბრეალთაგან 44
უტყუარი მოწმენი 51
ეპისტოლე ფრანგი რაინდისა 58
მათ ეწოდებათ გეორგიანები 82
რინდები 92
მე ვარ შენი ასასინი . . 102
მშვენივრად იცნობდნენ მულიდებს 115
არ ქაჯნია, კაცნიაო 125
დაიძრა დიდი სულტანი 144
შალვა ახალციხელი 152
ლეგენდები და ილუზიები 157
აბაღა-ყაენის ელჩები 162
უმანკო და მალემრწმენი 169
დემეტრე თბილელი, მოგზაური 174
ოთხი საქმე საკვირველი 181
დაგვიანებული დიაგნოზი 186
გაცხადდა ლექსი ნიზამისა 191
საქორწინო მისია 203
სიყვარული და ომი 212
მარიუჩა 218
კაზაკები . . 232
სახელად დავარქვი „რომიბერა“ 237
მანდ რო ქალი დავიკარგე . . 255
მოგვითხრობს პორტუგალიელი ამბროზიო 261
სინანული და სინამდვილე 272
ნუ გათათრდები 278

ესე საქმე მოურავმა 286
მარაბდა 294
ორი მოურავი 300
შირაზის ხანის ქებასა 312
სიკვდილიც ღალატიანი 322
არა ხმლითა მხოლოდ 333
იყო უნდილაძე დავით 338
არაკიცა და მართალიც 349
ერთი ლაშქრობის საიდუმლოება 358
ამბავი ხოსრო ბატონიშვილისა 370
წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა 380
უკანასკნელი დამარცხება . . 388
პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი 395
სათნოება და სევდა 413
ხოშკარუს ქარვასლა 420
წარიყვანეს სთოკოლმას 428
ლოცვიდენ შიმშილის მორჩენისათვის 433
ესე სულთანი უარშიობს 438
ქართული ლექსიკონი ყანდაარში 448
ის იქნება მეფე 459
ომში წასული ძმისაო 464
ფიცი 469
ახლოვდება ქარიშხალი 480
გულნაბადი, 1722 წელი 486
პიეტრო დელა ვალეს წინასწარმეტყველება . 493
ვინ იყო იოსებ ქართველი . 500
ამორძალთა დარად . 509
თქვენი ძველი მეგობარი ჯუზეპე 518
რას დახვალ გზასა შორესა 530

ს. ბ. № 2483

რედაქტორი მ ა რ ი ნ ე ს ო ხ ა ძ ე
მხატვარი დ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი
მხატვრული რედაქტორი შ. დ ო ლ ი ძ ე
ტექნიკური რედაქტორი ზ. დ ო ნ დ უ ა
კონტრ. კორექტორები: მ. ლ ა ღ ა ძ ე,
თ. შ ი ნ დ ა გ ო რ ი ძ ე
კორექტორი მ. ი ნ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა ასაწყობად 29.06.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.02.91. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 31,62. საბ. ქაღალდი № 1. საღებავ-გატარება 31,97. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 25,76. ტირაჟი 20.000
შეკვ. № 5560 ფასი 5 მან.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი,
კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი, 28.
Издательство „Накадули“, Тбилиси,
пр. Константине Гамсахурдия 28.

საქართველოს რესპუბლიკის
ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.
Кутаисское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по печати Грузинской Республики
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.

ნატროშვილი თ.

ნ. 323 „მაშრიყით მაღრიბამდე“, 1990, 544 გვ., 20000 ეგზ,
ორიგინალური, ხელახალი გამოცემა, ფასი 5 მან.

წიგნის მთავარი გმირია ქართველი ხალხი და მისი შვილები თავიანთი გმირული საქმეებით, შრომითა და გარჯით. იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ და სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით ავტორი მკითხველს აცნობს ქართული ისტორიოგრაფიისათვის ნაკლებად ცნობილ თუ დღემდე უცნობ მასალებს ქართველი ერის წარსულზე.

Н $\frac{70803 - 210}{М - 603(08) - 91}$ 125 — 91

ББК 63.3(2Г)